ბ. მარგიანი

სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში

მარგანეცის მრეწველობა

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1968

~~622(47.920)(09)+9(47.922)~~
~~6ГН (С41)(09)~~
~~З 295~~

წიგნში გაშუქებულია კაპიტალისტური ხანის საქართველოს მრეწველობის მსოფლიო მნიშვნელობის დარგის — მარგანეცის მრეწველობის განვითარება და სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება ჭიათურაში თავისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური და ტექნიკური წანამძღვრებით.

შესწავლილია სამრეწველო რაიონის ბურჟუაზიის გენეზისი, ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა ჭიათურაში. დადგენილია მარგანეცის მრეწველობის განვითარების სტადიები. კანონზომიერება და სპეციფიკა. დახასიათებულია სამრეწველო რაიონის მუშათა კლასის ჩამოყალიბების მიმდინარეობა. საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის საქმიანობის განხილვას, ასევე ცარიზმის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის დახასიათებას და სხვ.

1 — 6 — 1

68 ადგ.

წინასიტყვაობა

საბჭოთა მეცნიერება თავიდანვე დიდი გულისყურით ეკიდება ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური მრეწველობისა და სამრეწველო პროლეტარიატის ისტორიის შესწავლას. ამ საქმის ინიციატორი და ორგანიზატორი ა. მ. გორკი თავის 1931 წლის მოწოდებაში მიუთითებდა: „იმისათვის, რომ მუშათა კლასმა გაიგოს თავისი მონაპოვრების, თავის სამეურნეო წარმატებათა უდიდესი მნიშვნელობა, მან უნდა იცოდეს წარსულიც, ის ღრმად ხავსმორეული ნიადაგი, რაზეც დაიწყო თავისი ახალი სახელმწიფოს მშენებლობა. ყველაფერი შეიცნობა შედარებაში და იმისათვის, რომ სწორად შევაფასოთ აწმყო, აუცილებელია ვიცოდეთ წარსული“. ჩვენი პარტიის შეუნელებელი მზრუნველობით საბჭოთა საისტორიო მეცნიერებამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შემუშავებაში. დიდი მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემის მკვლევართა რიგები თანდათან ივსებოდა. მაგრამ ცალკეულ მსხვილ სამრეწველო დაწესებულებათა ისტორიის კვლევა-ძიება საბჭოთა კავშირში და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში გაძლიერდა, — შედარებით მოკლე დროში გამოიცა მრავალი მონოგრაფია თუ ნარკვევი. ამ წარმატებას თვალნათლივ მოწმობს (1966 წლის ნოემბერში პრაღაში ჩატარებული) სოციალისტური ქვეყნების ისტორიკოსთა მეორე საერთაშორისო თათბირის შედეგებიც.

ჩვენს რესპუბლიკაში ამ მიმართულებით დღემდე, სამწუხაროდ, „თითქმის არაფერი

გაკეთებულა. თითო-ოროლა შრომა, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის საკითხებისადმი რომაა მიძღვნილი, საერთო ამინდს ვერ ქმნის".

წინამდებარე ნაშრომის მიზანი მიღწეული იქნება, თუკი ის რამდენადმე მაინც ხელს შეუწყობს ამ ხარვეზის შევსებას ჩვენს ისტორიოგრაფიაში. გამოკვლევის მიზანდასახულობას შესავალში შეეხებით; აქ კი მხოლოდ მისი აგებულების (სტრუქტურის) განმსაზღვრელ პრინციპზე მივუთითებთ. ჩვენ ვცადეთ მარგანეცის მრეწველობის განვითარებაში 1879—1914 წლებში განვლილი, ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებული ეტაპების, ანუ პერიოდების დადგენა. ასეთი გამიჯვნის ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა მოცემული დარგის მიერ განცდილი კარდინალური ეკონომიური ხასიათის ცვლილებების გათვალისწინება. ჩვენი დაკვირვებით, მარგანეცის მრეწველობამ 1914 წლამდე განვლო ოთხი პერიოდი: პირველია მრეწველობის ჩასახვისა და ერთგვარი გაფართოების პერიოდი (1879—1894 წწ.), როცა მის წინსვლას, დაწყების სიძნელესთან ერთად, ძლიერ აბრკოლებდა მიმოსვლისა და მადნის სატრანსპორტო საშუალებათა არარსებობა. ამ პერიოდში მარგანეცის მრეწველობამ ვერ პოვა მძლავრი განვითარება; მეორე პერიოდი ძირითადად ემთხვევა XIX საუკუნის დამლევის მსოფლიო სამრეწველო აღმავლობას (1895—1900 წწ.). მას დასაბამი მისცა სამრეწველო რაიონში რკინიგზის შეყვანამ. ამ პერიოდში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ მძლავრი აღმავლობა განიცადა. მას დიდად შეუწყო ხელი მსოფლიო მეტალურგიის განვითარებისდაკვალად მარგანეცზე მოთხოვნილების კოლოსალურმა ზრდამ; მესამე პერიოდი (1901—1905 წწ.) არსებითად ემთხვევა 1900—1903 წლების მსოფლიო ეკონომიურ კრიზისსა და მის მომდევნო დეპრესიას. ამ პერიოდში მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილება მარგანეცზე თითქმის სანახევროდ შემცირ-

და და ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამაც ამის შესაბამისი დაქვეითება განიცადა; მეოთხე პერიოდი I მსოფლიოომამდელ სამრეწველო აღმავლობას უკავშირდება (1906—1914 წწ.). მოცემულ პერიოდში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა, ისევე როგორც მსოფლიო მეტალურგია, არ ვითარდებოდა სწორხაზობრივად, მისთვის დამახასიათებელი იყო თვალსაჩინო ზიგზაგები: 1906 წლის მძლავრი აღმავლობა, 1907, მეტადრე, 1908 წლის დაქვეითება და, რაც მთავარია, 1913—1914 წლების მძლავრი სამრეწველო აღმავლობა. აღნიშნულის მიუხედავად, ვფიქრობთ, მოცემული ხანა პირობით შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთ პერიოდად. მრეწველობის ოთხივე პერიოდი, წიგნის პირველ ოთხ თავშია განხილული, ხოლო მეხუთე თავში დახასიათებულია ჭიათურის მარგანეცის მადნის ექსპორტი, მისი მომხმარებლები.

წიგნში „დამატების“ სახითაა წარმოდგენილი ნაშრომის ბოლო სამი თავი, სადაც განხილულია ჭიათურის რკინიგზის გაყვანა და ცარიზმის კოლონიური სატარიფო პოლიტიკა, მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის დაარსება და მისი საქმიანობა, ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა პირველი მსოფლიო ომის წლებში ჭიათურაში სალიკვიდაციო გერმანული ფირმების საწარმოთა შესაძენად.

„დამატების“ პირველი ორი თავის ამ სახით წარმოდგენით თავი მოვარიდეთ აქ განხილული საკითხების მოქცევას მრეწველობის განვითარების ზემოთ დასახელებული პერიოდების ჩარჩოებში, რადგან მას შეეძლო გამოეწვია ნაშრომის სტრუქტურის გართულება, მისი გადატვირთვა და, რაც მთავარია, გაძნელდებოდა ცარიზმის კოლონიური

სატაფირო პოლიტიკის, ასევე მრეწველთა ყრილობის საქმიანობის სრული სურათის კომპაქტურად წარმოდგენა. „დამატების“ ბოლო თავი თემატურად და ქრონოლოგიურად 1914—1921 წლებს განეკუთვნება. ამ წლებში ჭიათურის მრეწველობაში შექმნილი ვითარება ზოგად ხაზებში ასახულია აგრეთვე წიგნის IV თავში გაკეთებულ ექსკურსებში.

შესავალი

კაპიტალიზმის გენეზისი და განვითარება საქართველოს მრეწველობაში რთულ და სპეციფიკურ პირობებში მიმდინარეობდა. ამ პროცესის ჯეროვანი სიღრმით შესწავლის გარეშე შეუძლებელი ხდება კოლონიურ დამოკიდებულებაში ჩაყენებულ საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების სრული სურათის აღდგენა, რადგან ეს პროცესი მკაფიოდ აისახა მრეწველობაში. სამრეწველო განვითარებაზე დაკვირვება ხელშესახებ მასალას იძლევა ქვეყნის შიგნით სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების დონის დასადგენად, ასევე ჩვენში მეტროპოლიისა და უცხოური კაპიტალის როლისა და ხვედრითი წონის შესაფასებლად. მრეწველობის განვითარებასთან ორგანულადაა დაკავშირებული კაპიტალისტური საქართველოს ორი ძირითადი ანტაგონისტური კლასის — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ჩამოყალიბება.

მოცემული პრობლემის მეცნიერულ გაშუქებას მივყავართ ჩვენში სოციალისტური რევოლუციის ისტორიული წანამძღვრების ობიექტურ გაგებამდე. ამ გარემოების ერთგვარი გაუთვალისწინებლობის მაჩვენებელი და ნაყოფია ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დღესაც გავრცელებული ზოგიერთი მცდარი თვალსაზრისი და, კერძოდ, მეცნიერულად დაუსაბუთებელი თეზისი, რომელიც მთელი რევოლუციამდელი რუსეთის და, მეტადრე, საქართველოს მრეწველობას ძლიერ ჩამორჩენილ და სუსტ სამეურნეო დარგად წარმოგვიდგენს[1]. აქ საქმე გვაქვს რუსეთისა და საქართველოს საწარმოო ძალთა

---

[1] ბურჟუაზიული ხანის საქართველოს ეკონომიური განვითარების დონის შეფასებლობას ჩვენში თავისი ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, მას ვერ აცდა ისეთი გამოჩენილი პროლეტარული რევოლუციონერიც კი, როგორიც იყო ფილიპე მახარაძე. მან მარქსისტთაგან ერთ-ერთმა პირველთაგანმა მოგვცა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ძირითადად სწორი დახასიათება. ამასთანავე თავის ნაშრომში „1905 წელი ამიერკავკასიაში" (1932 წ.) წერს: „რაც შეეხება ამიერკავკასიის ეროვნებათა ეკონომიკას ანუ საწარმოო ძალებს, ამას მაინცდამაინც წინ არ

განვითარების გარკვეულ შეუფასებლობასთან და მასთან ერთად სოციალისტური რევოლუციის ისტორიული წანამძღვრების ერთგვარ უგულებელყოფასთან. ხსენებული თეზისის უსაფუძვლობა თავის დროზე მთელი სიცხადით გამოააშკარავა ვ. ი. ლენინმა. მან მეცნიერული სიზუსტით დაახასიათა რუსეთის ისტორიული პროცესის მთელი მიმდინარეობა. დაასაბუთა, რომ „რ უ ს ე თ ი ს შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ჩ ა მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ო ბ ა ი ყ ო ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ჩ ა მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ო ბ ა“. „მაგრამ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ძირითადი ძალები — და საზოგადოებრივი მეურნეობის ძირითადი ფორმები — რუსეთში იგივეა, რაც ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ასე რომ ეს თავისებურებანი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ არა ყველაზე მთავარს“[2]. ვ. ი. ლენინი გამოდიოდა რუსეთის შედარებითი ჩამორჩენილობის გაზვიადების წინააღმდეგ: „კაპიტალიზმის გარკვეული დონის გარეშე ჩვენ არაფერი გამოგვივიდოდა“ — მიაწერა მან ბუხარინის წიგნის «Экономика переходного периода»-ს ერთ-ერთ გვერდზე, რომელიც შეიცავდა მტკიცებას, რომ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრახი დაიწყო ყველაზე სუსტი სახალხომეურნეობრივი სისტემიდან. გახაზა რა სიტყვები „ყველაზე სუსტიდან“ ვ. ი. ლენინმა მიაწერა: „არასწორია: „საშუალოდ სუსტიდან“[3].

წაუწევია მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, ის საერთოდ დარჩა ისეთივე როგორიც იყო ათასის წლის წინედ“ (იქვე, გვ. 8). ზემოხსენებული თეზისის გავლენა იგრძნობა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში“ (ტომი I, 1957 წ.), სადაც ვკითხულობთ: „რუსეთის მრეწველობა ძლიერ ჩამორჩებოდა სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობას“ (გვ. 356), „რუსეთში სკვარბობდნენ ძველი ფაბრიკები და ქარხნები, სადაც გაცვეთილი მოწყობილობა იყო“ (იქვე), „მსხვილი სამრეწველო საწარმოები საქართველოში ძალიან ცოტა იყო“ (გვ. 357), საქართველოს ისედაც სუსტად განვითარებული მრეწველობა ომის შედეგად კიდევ უფრო დაზარალდა“ (გვ. 361) და სხვ. ასეთსავე მოსაზრებას ავითარებს მკვლევარი ს. ჩხარტიშვილი, რომლის აზრით ომმა „ჩაკლა ქვეყნის სამრეწველო და სასიცოცხლო მაჯისცემა“ (იხ. მისი ნაშრომი: „რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში“, 1957, გვ. 30). საქმე იმდენად შორს წავიდა, რომ ჩვენში, უახლესი გამოკვლევის ზოგიერთი ავტორი წინასწარვე ისახავს მიზნად აჩვენოს რევოლუციამდელი ამიერკავკასიის ეკონომიკის „ღრმა ჩამორჩენილობა“, ამ მხრივ დამახასიათებელია, მაგალითად, მკვლევარ შ. ბასილაიას სადოქტორო ნაშრომი, სადაც ვკითხულობთ: «Большое место в нашей работе заняли экономические вопросы. Показана глубокая отсталость Закавказья, приведшая, в годы первой мировой войны его хозяйство к упадку...» (იხ. Ш. И. Басилая, Закавказье в годы первой мировой войны. Автореферат докторской диссертации, Сухуми, 1965, гв. 4).

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 110.

[3] Ленинский сборник, XI, гв. 397.

ეს სახელმძღვანელო მითითება საბჭოთა ისტორიოგრაფიაში 30—40-იან წლებში დავიწყებას მიეცა. მომდევნო პერიოდში რუსულ ისტორიოგრაფიაში მდგომარეობა გამოსწორდა: რუსეთის კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის შესწავლას საფუძვლად დაედო მოცემული ისტორიული პროცესის ლენინური კონცეფცია, მეცნიერულად დასაბუთდა, რომ საწარმოო ძალთა განვითარების დონის მხრივ რუსეთის მრეწველობის ძირითადი დარგები სავსებით მომწიფებული იყო ნაციონალიზაციისა და განსაზოგადოებისათვის, აღიკვეთა ქვეყნის სამრეწველო განვითარების შეუფასებლობა, რომელიც კითხვის ქვეშ აყენებდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიული წანამძღვრების არსებობას. რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია გადასინჯულია აგრეთვე მცდარი მოსაზრება რევოლუციამდელი ამიერკავკასიის მრეწველობის ე. წ. „ძლიერ ჩამორჩენილობის“ შესახებ. მაგალითად, გამოჩენილი მკვლევარი პ. ლიაშჩენკო თავის კაპიტალურ ნაშრომში წერს, რომ ამიერკავკასიაში «...была создана капиталистическая промышленность, более мощная, чем в других национальных окраинах и по размерам производства и по числу вовлеченного в нее национального пролетариата»[4].

ქართველმა მეცნიერებმა გარკვეული საკვლევაძიებო სამუშაოები ჩაატარეს XIX საუკუნის საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის ჩასახვა-განვითარების პროცესის შესასწავლად. რთული პრობლემის არაერთმა საკითხმა პოვა სწორი გადაწყვეტა, მრავალი ამჟამადაც სადავოა, ან სავსებით შეუსწავლელი. მთავარი კი ისაა, რომ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანად არ აღმოფხვრილა ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების დონის გარკვეული შეუფასებლობა. ამასთანავე, საქართველოს მრეწველობის განვითარება იმპერიალიზმის ეპოქაში (XX საუკუნის დამდეგიდან სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე) მკვლევართა მიერ თითქმის სავსებით უყურადღებოდაა მიტოვებული. მდგომარეობას, სამწუხაროდ, ვერ ცვლის XIX საუკუნის საქართველოს სამრეწველო განვითარების შესწავლისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში გაკეთებული ზოგადი ექსკურსები, ვერც XX საუკუნის დამდეგის საქართველოს პოლიტიკური ისტორიისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი თუ კონკრეტული ხასიათის ნაშრომებში ქვეყნის სამრეწველო განვითარების შესახებ მოცემული მიმოხილვები და დასკვნები, რომლებიც საფუძვლიანი კვლევის გარეშეა გაკეთებული. ამგვარად, საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება იმპერია-

---

4 П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, том II, Капитализм, Изд. четвертое, М., 1956, гз. 563.

ლიზმის ეპოქაში ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაუტეხავი ყამირია. ასეთი ვითარება, ვფიქრობთ, ორი გარემოებით აიხსნება. ერთი მხრივ, ჩვენი ისტორიული პროცესის კვლევისას საკმაო ანგარიში არ ეწევა მრეწველობის განვითარების მნიშვნელობას; მეორე მხრივ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ფაქტიურად ერთმანეთისაგან ერთგვარად მოწყვეტილადაა წამოდგენილი კაპიტალისტური მრეწველობის გენეზისი და განვითარება. განვითარების ეს პროცესი, ბუნებრივია, უფრო სწრაფად სწორედ იმპერიალიზმის ეპოქაში წარიმართა და მან მაშინ მიიღო შედარებით უფრო დასრულებული სახე. მკვლევართა უმეტესობა კი მარტო XIX საუკუნის დამლევამდე აწარმოებს ამ პროცესზე დაკვირვებას და, თან, მხოლოდ იმდროინდელი სინამდვილის ანალიზზე აგებს თავის მსჯელობას რევოლუციამდელი საქართველოს მთელ სამრეწველო განკითარებაზე. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ მრეწველობის ყველა დარგის გენეზისი დროის ერთსა და იმავე პერიოდთან არაა დაკავშირებული. ზოგიერთი დარგი მხოლოდ რეფორმის მომდევნო ხანაში ჩაისახა და მანქანური ინდუსტრიის სტადიაზე მეტ-ნაკლები დაგვიანებით გადავიდა. ამ გარემოებათა გათვალისწინებით საფუძვლიანადაა გამოსაკვლევი არა მარტო კაპიტალისტური მრეწველობის გენეზისი, არამედ მისი განვითარების მთელი პროცესი.

საკითხის ასეთი დაყენება რომ სწორი და შეიძლება ერთადერთი იყოს, ეს ჩანს თუნდაც იმ „დასაბუთებიდან", რომელსაც თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია მიმართავს ჩვენში სოციალისტური რევოლუციის ისტორიული წანამძღვრებისა და, მაშასადამე, მისი კანონზომიერების უარსაყოფად. მისი წარმომადგენლები, როგორც ცნობილია, უარყოფენ რუსეთში და, მით უმეტეს, მის ვანაპირა მხარეებში სოციალისტური რევოლუციის სოციალურ-ეკონომიური წანამძღვრების არსებობას და ჩვენს ქვეყანაში მის გამარჯვებას შემთხვევით მოვლენად — „ისტორიულ პარადოქსად" — აცხადებენ.[5] ამ მხრივ დამახასიათებელია გ. ფონ რაუხის ნაშრომი, სადაც ვკითხულობთ: „წარმოდგენაც კი არ გვექნებოდა იმ ძალებზე, რომელნიც რუსეთის ისტორიაში გამოჩნდნენ, თუკი დავუშვებდით, რომ ქვეყნის (მხედველობაშია რუსეთი — გ. მ.) განვითარებას აუცილებლობით მოჰყვა ბოლშევიზმი"[6]. ის ცდილობს დაამტკიცოს ჩვენი ქვეყნის უკიდურესი ჩამორჩენილობა, მუშათა კლასის მოუმწიფებლობა

---

[5] V. Giterman, Geschichte Ruslands, Bd I, გვ. 15; იხ. აგრეთვე: M. Karpowich, A. Lelturc on Russi.n history, M. — G, 1958; I. Lawrence, Russia in the Making; G. von Rauch, Geschichte des Bolschewistische Russland, Wiesbaden, 1955.

[6] G. von Rauch, geschichte des Bolschewistischen Russland. გვ. 15.

რევოლუციისათვის და დაასკვნის: „ცარიელი ფიქცია იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციის დღეს ძალაუფლება ხელთ იგდო მუშათა კლასმა“[7].

ისტორიის ფალსიფიკატორები ვ. მარკერტი და ე. ლემბერგი ასევე ირწმუნებიან, რომ რუსეთის იმპერიაში სოციალისტური რევოლუციისათვის არავითარი წინაპირობა არ არსებობდა, გარდა იმისა, რომ რომანოვების დინასტიის დამხობის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა „ხელისუფლების საბედისწერო ვაკუუმი[8]“. ბ. მეისნერი კი აცხადებს, რომ „1917 წლამდე რუსეთში არც კაპიტალიზმმა და არც პროლეტარიატმა არ მიაღწია თავის სრულ განვითარებას“, რომ პროლეტარიატი მოუმწიფებელი იყო საკუთარი დიქტატურის დამყარებისათვის[9]. ასეთივე ყალბი მოსაზრებისაა გ. რიტერი. მისი განცხადებით რუსეთის იმპერიაში 1917 წელს არ არსებობდა „მეურნეობის თანამედროვე კაპიტალისტური სისტემა“, ხოლო პროლეტარიატი წამოადგენდა „სულიერად და სოციალურად გაუფორმებელ მასას“[10]. ისტორიის ფალსიფიკატორები თითქმის ერთხმად უარყოფენ რუსეთის იმპერიის შინაგანი ცხოვრების როლს სოციალისტური რევოლუციის მომწიფებაში. მას ძლიერ ჩამორჩენილ ქვეყნად სახავენ. ამგვარი მეთოდით ერთნი იუწყებიან, რომ „რუსეთის რევოლუცია განეკუთვნება რევოლუციების ახალ კატეგორიას, რევოლუციებს ჩამორჩენილ ქვეყანაში და ამიტომ ის შეიძლება გაგებულ იქნეს უმთავრესად როგორც რევოლუცია, რომლის მიზეზები უნდა ვეძიოთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ“[11]. მეორენი მიიჩნევენ, რომ „რუსეთის წარსულში ნათლად შეიძლება შევიცნოთ მისი აწმყოს წანამძღვრები და ჩანასახები“[12]. მაგრამ, ამ წანამძღვრებს ისინი ხედავენ არა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში, არამედ. პირიქით, ჩამორჩენილობაში; მესამენი კი შემთხვევითი ხასიათის მოვლენათა ერთობ თავმოყრით ხსნიან რუსეთის იმპერიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას[13]. ამგვარი

---

[7] G. von Reich, Geschichte.... გვ. 15.

[8] W. Markert, Zum problem der kontinuität in der russischen Geschichte. „Deutschland und Europa“, Düsseldorf, 1951, გვ. 308; E. Lemberg, Die Sowjetunion und Osteuropa, Salzburg, 1955, გვ. 55.

[9] . Meissner, Sowjetrussland zwischen Revolution und Restauration, köln, 1956. გვ. 22.

[10] G. Ritter, Lebendige Vergangenheit, München, 1958, გვ.44, 45.

[11] Th. von Laue, Die Revolution von russen als erste phase der Russischen Revolution 1917. „Jahrbücher für Geschichte Osteuropas“, 1956, Bd, 4, H. 2, გვ. 138.

[12] /. Gitermann, Geschichte Russlands, Bd. 1. გვ. 14 — 15.

[13] W. Walhs, Russia and the Sovietunion, Ann Arbor, University of Michigan press, 1953, გვ. 639 — 640.

ანტიისტორიული კონცეფციების ავტორები იმასაც კი აცხადებენ, რომ თითქოსდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია „ეწინააღმდეგება მარქსიზმის მოძღვრებას პროლეტარული რევოლუციის შესახებ"[14].

ისტორიის ფალსიფიკატორები, ასევე წინაზრახულად, კიდევ უფრო დაჟინებით უარყოფენ სოციალისტური რევოლუციის კანონზომიერებას ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში, მათ შორის საქართველოში. ისინი ხელოვნურად თიშავენ პროვინციას ცენტრისაგან და ცდილობენ იმის დასაბუთებას, რომ თითქოსდა ეს მხარეები ივყოფებოდნენ რუსეთის ყოველგვარი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების გავლენის ფარგლებს გარეთ. ამავე დროს შეუსაბამოდ აზვიადებენ განაპირა მხარეების ადგილობრივ თავისებურებებს და უარყოფენ რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გავლენას, განაპირა პროვინციების მშრომელ მასებზე. ამგვარი ნაშრომები მიზნად ისახავს შთააგონოს მკითხველს, რომ თითქოსდა 1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლამდე საქართველოსა და ამიერკავკასიაში ადგილი არ ჰქონია არავითარ რევოლუციურ მოძრაობას, არავითარ კლასობრივ ბრძოლას და, რომ თუ საერთოდ რაიმე გამოსვლები შეინიშნებოდა აქ, ეს იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და არა პროლეტარული. ამ მხრივ ნიშანდობლივია ამერიკელი პროფ. რ. პაიპსის თვალსაზრისი, რომლის თანახმად 1917 წელს ამიერკავკასიაში სიმშვიდე სუფევდა, ხოლო 1918 წელს გამოსვლები მიმდინარეობდა ამიერკავკასიაში რუსეთის არმიის ნაწილების მოძრაობის შედეგად[15].

ისტორიის ფალსიფიკატორების მიერ შეთხზული ვერსიით სოციალისტური რევოლუცია ამიერკავკასიაში იყო „არაკანონზომიერი მოვლენა", გადატრიალება, მოწყობილი საბჭოთა რუსეთის მიერ „შეიარაღებული ინტერვენციის" მეშვეობით. მათ ნაშრომებში ამ ასპექტშია წარმოდგენილი მეთერთმეტე წითელი არმიის შემოსვლა საქართველოში და სოციალისტური რევოლუციისათვის მებრძოლი ძალებისადმი მის მიერ გაწეული დახმარება შეფასებულია, როგორც „ბოლშევიკური ჩრდილოეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ"[16].

---

[14] Handbuch des Weltkommunismus, Hrsg, J. Bochenski, München, 1958, გვ. 61.

[15] R. Pipes, The Formation of the Ssovietunion. Communism and Nationalism 1917 — 1923. Harvard University Press, Combridge, 1954, გვ. 98 — 99. 103 — 104.

[16] ი. ს. დანიელოვი, „აფხაზი ხალხის ტრაგედია" (Review of the Jnstitute for the study of the USSR, № 1, München, 1951; M. Lashauri, Current soviet jnterpretation of XIX — XX Century Georgian Hustory („Caucasian Review", № 3, 1950).

* * *

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ რევოლუციის წინარე ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების პროცესის გამოკვლევა, საერთოდ, და სამრეწველო განვითარებისა, განსაკუთრებით, დღემდე ინარჩუნებს დიდ მეცნიერულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. ამ ამოცანის გადაწყვეტა და, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის გენეზისისა და განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული სურათის შემუშავება ვერ ხერხდება რთული პროცესის ყველა ძირითადი ასპექტის გაშუქების გარეშე, მრეწველობის ყველაზე წამყვანი და ტიპიური დარგების საფუძვლიანი შესწავლის გარეშე. ვფიქრობთ, სწორია ვ. კ. იაცუნსკი, რომელიც, ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებაზე დაყრდნობით, მკვლევარებს სთავაზობს მრეწველობის განვითარების შესწავლას დარგობრივად[17].

* * *

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — სამთამადნო მრეწველობის განვითარების მონოგრაფიულად შესწავლას. ამავე დროს, მოცემული პროცესის კანონზომიერებისა და სპეციფიკის, რამდენადაც შეიძლებოდა, მკაფიოდ და რელიეფურად გაშუქების მიზნით შემოვიფარგლეთ მარგანეცის მრეწველობით. რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს მრეწველობაში, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა სამთამადნო მრეწველობამ, რომლის წამყვან დარგს წამოადგენდა მარგანეცის მრეწველობა. ეს უკანასკნელი ჩვენში 1879 წელს ჩაისახა და მისი განვითარება I მსოფლიო ომის დაწყებამდე მიმდინარეობდა. მოცემულ პერიოდში მარგანეცის მრეწველობა მზარდი წარმატებით აკმაყოფილებდა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებას მარგანეცზე და მადნის ექსპორტის მასშტაბის გადიდებით აქტიურად ზემოქმედებდა რუსეთის იმპერიის საგარეო ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესებაზე. ბურჟუაზიული საქართველოს მარგანეცის მრეწველობა საიმპერიო და მსოფლიო მნიშვნელობის დარგად იქცა. საქართველოს კაპიტალისტურ მრეწველობაში მისი ხვედრითი წონა თვალსაჩინოდ იზრდებოდა: XX საუკუნის დასაწყისიდან, მეტადრე 1905 წლის დამლევიდან მარგანეცის მრეწველობამ

[17] В. К. Яцунский, Промышленный переворот в России, «Вопросы истории», 1952, № 12, გვ.49.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობის დარგებს შორის პირველი ადგილი დაიმკვიდრა წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვისა და ნაწარმის საერთო ღირებულების სიდიდით.

მარგანეცის მრეწველობა დიდ ყურადღებას იმსახურებს ჩვენში კაპიტალისტური მრეწველობის გენეზისის თვალსაზრისით. მან აქ განვლო კაპიტალისტური მრეწველობის სამივე სტადია: წვრილი სასაქონლო წარმოებისა, მანუფაქტურული და ფაბრიკული. მანუფაქტურული სტადიიდან მანქანურ-ინდუსტრიულ სტადიაზე გადასვლა, როგორც ეს საზოგადოდ ხდება, სამრეწველო გადატრიალების შედეგად განხორციელდა. სამრეწველო გადატრიალება მოასწავებდა არა მარტო ტექნიკურ რევოლუციას, არამედ მოცემულ სამრეწველო რაიონში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირეულ გარდაქმნასაც. ამ პროცესს გააჩნდა ორი მხარე: ტექნიკური და სოციალური, რაც მთელი სიცხადით წარმოგვიდგება ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მაგალითზე. მართლაც, თუკი ამ კუთხით მივუდგებით რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს მრეწველობის განვითარების სოციალური შედეგების შეფასებას, ვფიქრობთ, იმ უტყუარ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ, რომ აქ კაპიტალისტური საზოგადოების ორი ძირითადი (ანტაგონისტური) კლასის — სამრეწველო ბურჟუაზიისა და სამრეწველო პროლეტარიატის — ჩამოყალიბების კანონზომიერება და სპეციფიკური თავისებურება ყველაზე მკაფიოდ სწორედ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში აისახა. ჭიათურის სამრეწველო რაიონში, ეროვნული სამრეწველო ბურჟუაზიის მრავალრიცხოვან ჯგუფთან ერთად, ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული სამრეწველო პროლეტარიატის ერთ-ერთი მძლავრი, მრავალათასიანი რაზმი, რომელშიც სხვა ეროვნების მუშებიც შედიოდნენ. ამდენად, დასახელებული დარგის განვითარებაზე დაკვირვება დიდძალ მასალას იძლევა სამრეწველო ბურჟუაზიის გენეზისისა და სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბების პროცესის კანონზომიერებისა და სპეციფიკის დასადგენად.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა თავიდანვე გახდა ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობისა და ურთიერთბრძოლის ასპარეზი. ამ პროცესზე დაკვირვება მით უფრო საგულისხმოა, რომ ის ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღემდე არ გამხდარა საფუძვლიანი კვლევის საგანი; კიდევ მეტი, საერთოდ, საქართველოს მრეწველობაში ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის ხვედრითი თანაფარდობა და მნიშვნელობა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ზოგადადაა დახასიათებული. მოცემული პრობლემის გასაშუქებლად და დასკვნების გასაკეთებლად დიდძალ ხელ-

შესახებ მასალას იძლევა რევოლუციამდელი ხანის ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებით ცხარე და ინტენსიური ბრძოლა გაჩაღდა ადგილობრივ და უცხოურ კაპიტალს შორის (რუსული კაპიტალი აქ შედარებით მოგვიანებით გააქტიურდა).

მარგანეცის მრეწველობა საინტერესოა აგრეთვე ცარიზმის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის დახასიათების თვალსაზრისითაც, მით უმეტეს, რომ საქართველოს მრეწველობის ეს დარგი, როგორც ნედლეულის მომპოვებელი საწარმო, კოლონიურ დამოკიდებულებაში მოქცეული ქვეყნის მრეწველობის კოლორიტული დარგია. ამასთანავე, ცარიზმი გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან თავისებური გულისყურით ეკიდებოდა მარგანეცის მრეწველობას საქართველოში: მეფის მთავრობა, სამხრეთ რუსეთის (ნიკოპოლის) მარგანეცის მრეწველობისათვის მფარველობის გაწევისა და ხაზინის ვიწროდ გაგებული ფისკალური ინტერესების შესაბამისად, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მიმართ მეთოდურად ახორციელებდა მკაცრ (პროტექციონისტულ) სატარიფო პოლიტიკას, რომელიც იმპერიის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის კონკრეტულ განსახიერებას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის სამთამადნო მრეწველობაში.

რეეოლუციამდელ ჭიათურაში ჩამოყალიბდა მეწარმეთა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია — „მარგანეცის მრეწველთა ყრილობა" (სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის ეს თვითმმართველი ორგანიზაცია ერთადერთი იყო იმჟამინდელ საქართველოში). მის ხანგრძლივ საქმიანობაზე დაკვირვება გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ეროვნული სამრეწველო ბურჟუაზიის მისწრაფებათა დასახასიათებლად.

მარგანეცის მრეწველობას შეუნელებელი ყურადღებით ეკიდებოდა იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობა, სხვადასხვა იდეურ მიმართულებათა წამომადგენლები. ამდენად, მრეწველობის ამ დარგის ისტორია არაერთ საგულისხმო ფაქტს იძლევა ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიური აზრის ისტორიისათვის.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იმსახურებს მარგანეცის მრეწველობა. პირველ რიგში საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების თვალსაზრისით. ჩვენ ვცდილობდით კვლევის სფეროში მოგვექცია მოცემული პროცესის ყველა ასპექტი: სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური, ტექნიკური. ამასთან დაკავშირებით განისაზღვრა გამოკვლევის ოთხი უმთავრესი ამოცანა: 1) ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო რ ა ი ო ნ ი ს ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს გ ე ნ ე ზ ი ს ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა, სახელდობრ,

მრეწველთა რიგების შევსების წყაროების დადგენა, მათი სოციალური და ეროვნული შედგენილობის გარკვევა, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობის მიმდინარეობის სურათის დადგენა, ექსპლოატატორული კლასის პრაქტიკული მოქმედების დახასიათება (ამ შემთხვევაში არ დაგვიწყებია ის სახელმძღვანელო დებულება, რომ საზოგადოებრივი კლასები, მათ შორის ბურჟუაზია, განხილული უნდა იქნან თავის განვითარებაში); 2) სამრეწველო რაიონის მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესის გაშუქება, სახელდობრ, მუშათა რიგების შევსების წყაროების დადგენა, მუშათა შემადგენლობის დახასიათება, იმის ჩვენება, თუ როგორ გადაიქცა „მუშათა მასა“ „კლასად თავისთავად“, ხოლო შემდეგ „კლასად თავისთვის“. ამ მიზნით დაკვირვება ვაწარმოეთ არა მარტო მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებში მომხდარ ძვრებზე, არამედ მუშათა კლასობრივი ბრძოლის დაბალი ფორმებიდან მაღალ ფორმებზე გადასვლაზე, ვცადეთ გვეჩვენებინა ლენინური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით მებრძოლი მუშათა რაზმის რევოლუციური თვითშეგნებისა და ინიციატივის ამაღლება, დავახასიათეთ ჭიათურელ მუშათა როლი საქართველოს მუშათა მოძრაობაში (რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო დასავლეთ საქართველოში 1905 წლიდან 1913 წლამდე ჩათვლით); 3) მარგანეცის მრეწველობის განვითარების სტადიების დადგენა-დახასიათება. ამ მიზნით ვიკვლევდით მრეწველობის სხვადასხვა ფორმის თანაფარდობაში მომხდარ ცვლილებებს, თვალს ვადევნებდით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, საგანგებო დაკვირვებას ვაწარმოებდით სამრეწველო გადატრიალების მიმდინარეობაზე; 4) ჭიათურის მარგანეცის ექსპორტისა და მადნის მომხმარებელი ქვეყნების დახასიათება. აქვეა განსაზღვრული ჭიათურის ხვედრი მადნის მსოფლიო მოპოვებაში, მსოფლიო ექსპორტსა და მოხმარებაში. დახასიათებულია მარგანეცის ფასების მერყეობა მადნის საერთაშორისო ბაზრებზე.

ნაშრომში ვრცლადაა განხილული ცარიზმის კოლონიური (პროტექციონისტული) სატარიფო პოლიტიკა, ასევე მარგანეცის მრეწველთა ყრილობის მთელი საქმიანობა, გაშუქებულია ის მსოფლიო მასშტაბის მეტოქეობა, რომელიც I მსოფლიო ომის წლებში გაიშალა ჭიათურაში სალიკვიდაციო გერმანული ფირმების საწარმოთა ხელში ჩასაგდებად.

ნაშრომის ქრონოლოგიური ფარგლების განსაზღვრისას 1914 წელზე შეჩერება იმით იყო ნაკარნახევი, რომ საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის ამ (მსოფლიო ბაზართან ორგანულად დაკავშირე-

ბული) დარგის კანონზომიერი განვითარება სწორედ ამ დროს შეწყდა მსოფლიო ომის დაწყების შედეგად.

დღემდე არ გაგვაჩნია ისეთი სრულფასოვანი განმაზოგადებელი გამოკვლევა, სადაც ჯეროვანი სიღრმით იქნებოდა გაშუქებული საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის გენეზისი და განვითარება; ამ პრობლემის გადაწყვეტა, როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელი ხდება მრეწველობის წამყვანი სფეროების მონოგრაფიულად შესწავლის გარეშე.

მსგავსი ვითარებაა საქართველოში მუშათა კლასის ისტორიის შესწავლაში: მართალია, ამ აქტუალურ პრობლემას უკვე მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ ავტორთა უმეტესობა მუშათა მოძრაობას იკვლევს პროლეტარიატის კლასად ჩამოყალიბების პროცესთან კავშირის გარეშე, კიდევ მეტი, ქვეყნის სამრეწველო განვითარების პროცესის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე. ამგვარი გამოკვლევები (როგორც კონკრეტული საკითხების შემსწავლელი, ისე განმაზოგადებელი ხასიათისა) ერთმანეთს გავს ე. წ. შესავალი „ისტორიული ფონით", ანუ, უფრო ზუსტად, განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული ეტაპის თანადროული საქართველოს სამრეწველო ცხოვრების ზოგადი დახასიათებით. საკვლევი პრობლემისადმი ამგვარმა მიდგომამ ჩვენს ისტორიოგრაფიაში წარმოშვა სადღეისოდაც გავრცელებული თვალსაზრისი, რომელიც, ერთი მხრივ, უსაბუთოდ ცდილობს შთაგვაგონოს, რომ რევოლუციამდელ საქართველოში მრეწველობა „ძლიერ სუსტად იყო განვითარებული", ხოლო, მეორე მხრივ, მართებულად აღიარებს, რომ აქ მუშათა მოძრაობა ხასიათდებოდა უმაგალითო გაქანებით. უდავოა, საქართველოს მუშათა კლასი ჩამოყალიბდა და გაიზარდა, როგორც მთელი რუსეთის მუშათა კლასის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი, მისი ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი; საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა არ შეიძლება განხილულ იქნეს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გაშლილი მუშათა საერთო-სარუსეთო რევოლუციური მოძრაობისაგან მოწყვეტით, მასთან მჭიდრო კავშირის გარეშე. ჩვენში მუშათა მოძრაობის გაძლიერებაზე დიდი გავლენა იქონია რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლამ. მაგრამ, ამ გავლენის აღიარებასთან ერთად, ჯეროვნად უნდა შეფასდეს საქართველოში მუშათა მოძრაობის მძლავრი გაქანების განმსაზღვრელი შინაგანი ფაქტორები — ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები, რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო კოლონიური ჩაგვრის არსებობა და მისი შედეგები, არამედ ქვეყნის სამრეწველო-ეკონომიური განვითარების გარკვეული დონის არსებობა, რადგან მუშათა კლასი

საზოგადოდ, ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების შედეგი და საგნობრივი განსახიერებაა. მუშათა მოძრაობას საქართველოში, ისე როგორც მთელ რუსეთში, გააჩნდა თავისი შინაგანი ლოგიკა, თავისი ისტორიული წანამძღვრები, რომელთა შორის აღსანიშნავია ქვეყნის სამრეწველო განვითარების გარკვეული დონე. მარტოოდენ ამ გარემოების გათვალისწინებაც კი იმას ადასტურებს, რომ საქართველოში მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის მძლავრი გაქანება ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ქვეყნის მრეწველობის „ძლიერი სისუსტის" მაჩვენებლად, და, გნებავთ, შედეგად. საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის გაშუქებაში დაშვებული შეუსაბამობა გამოიწვია პრობლემისადმი ცალმხრივმა მიდგომამ, კერძოდ, იმან, რომ ჩვენში მუშათა მოძრაობის განსაკუთრებული სიძლიერის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა მხოლოდ ქვეყნის კოლონიურ მდგომარეობას, ასევე რუსეთის მუშათა კლასის გმირული ბრძოლის გამარევოლუციონერებელ გავლენას, ხოლო ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად შექმნილი კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური ვითარება, რომელმაც წარმოშვა მუშათა კლასი და მის რევოლუციურ ბრძოლასაც მწვავე ხასიათი მისცა, რამდენადმე გაუთვალისწინებელ-შეუფასებელი რჩებოდა. მუშათა კლასის ისტორიის შესწავლაში ჩვენს ისტორიოგრაფიაში მრავალი სხვა ნაკლიც შეინიშნება; მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს მრეწველობის ცალკეულ დარგებში და ცალკეულ სამრეწველო რაიონებში მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესის შეუსწავლელობა, რის გამოც ძნელდება ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის მეცნიერული ისტორიის შემუშავება. წინამდებარე ნაშრომის დაწერისას ვცდილობდით რელიეფურად დაგვესურათებინა მუშათა კლასის ჩამოყალიბება ჭიათურის სამრეწველო რაიონში.

ნაშრომში გაბათილებულია რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიისაგან მემკვიდრეობით მიღებული და თანამედროვე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მცდარი თვალსაზრისი, რომლის თანახმად ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა რევოლუციამდელი საქართველოს მრეწველობის ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა და 1921 წლამდე ატარებდა „წვრილი სასაქონლო და კუსტარული წარმოების ხასიათს".

* * *

საკვლევი პრობლემის შესწავლისას ვხელმძღვანელობდით ისტორიული პროცესის ლენინური კონცეფციით. პირველ რიგში ვემყარებოდით ვ.ი. ლენინის ნაშრომს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში",

სადაც საგანგებოდაა აღნიშნული კავკასიის სამთო მრეწველობის „გასაოცარი ზრდა რეფორმისშემდგომ პერიოდში“[18]. ნაშრომში ფართოდაა გამოყენებული ვ. ი. ლენინის გამოკვლევა „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ, როგორც ცნობილია, ჩასახვიდანვე მიიპყრო თანამედროვეთა ყურადღება. მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს რევოლუციამდელ და მეტადრე საბჭოთა ხანაში მრავალი პუბლიცისტური, ისტორიული და ეკონომიური ხასიათის წერილი და გამოკვლევა მიეძღვნა.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას თავიდანვე მზრუნველობით მოეკიდნენ თერგდალეულთა პლეადის სახელოვანი წარმომადგენლები: აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი. მათ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვეს დასახელებული დარგის ისტორიისათვის. მარგანეცის მრეწველობის ფუძემდებლის, ა. წერეთლის უამრავ სტატიებსა და ნარკვევებში დახასიათებულია წარმოების ჩასახვა და მისი პირველი ნაბიჯები, სამრეწველო ბურჟუაზიის საქმიანობა და მუშათა მდგომარეობა. ავტორის სიმპათიები მშრომელთა მხარეზეა, მუშათა კლასის მისიის შეფასებაში ის მარქსისტულ გაგებას უახლოვდება[19].

დიდი ილია კარგა ხანს იღვწოდა ჭიათურის სამრეწველო რაიონში რკინიგზის შესაყვანად. ის მკაცრად აკრიტიკებდა მარგანეცის მრეწველთა მოქმედებას, მოითხოვდა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას[20].

ს. მესხი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოვიდა მარგანეცის მადნის საბადოების უცხოელთა ხელში გადასვლის წინააღმდეგ[21].

მარგანეცის მრეწველობაზე ზრუნვას განსაკუთრებით ბევრი დრო და ენერგია შეალია ნ. ნიკოლაძემ. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი და რამდენიმე ბროშურა, სადაც ავტორი მისთვის ჩვეული სიმახვილითა და მგზნებარებით აღწერს მრეწველობის მდგომარეობას, დაუნდობლად აკრიტიკებს მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას,

---

[18] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 581.

[19] იხ. ა. წერეთლის წერილები: „დროება“, 1880, 8 იანვარი, № 5; „დროება“, 1886, № 113; „ივერია“, 1889, №224, 257, 299; „კვალი“, 1893, № 34, 46; „კვალი“, 1902, № 50; „ივერია“, 1902, № 229 და სხვ. იხ. აგრეთვე ა. კოპლატაშვილი, ა. წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, თბ., 1958; ა. იოვაძის პუბლიკაცია, ა. წერეთელი, დოკუმენტები („საისტორიო მოამბე“, 1953, № 7).

[20] იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, 1955, გვ. 10, ასევე, მისი წერილი გაზ. „ივერია“, 1886, 16 ოქტომბერი, № 223.

[21] იხ. „დროება“, 1879, 30 ნოემბერი, № 248.

ასევე მარგანეცის მრეწველებს და ესარჩლება სამრეწველო რაიონის მშრომელებს[22]. ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელთან ერთად, ხანგრძლივი ბრძოლა აწარმოვა ჭიათურის რკინიგზის გასაყვანად.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას მრავალი წერილით გამოეხმაურა გ. წერეთელი[23]. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ნარკვევი „შავი ქვის წარმოება დასავლეთ საქართველოში", სადაც ავტორმა, ერთ-ერთმა პირველთაგანმა, მოგვცა მარგანეცის მრეწველთა გენეზისის ცდა, ასევე ჭიათურაში ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობის დაწყების დახასიათება.

თერგდალეულთა პლეადას კარგად ესმოდა ჩვენი ქვეყნის სამრეწველო წინსვლის და, კერძოდ, მარგანეცის მრეწველობის ეროვნულ ნიადაგზე აღორძინების მნიშვნელობა. გამოჩენილმა მოღვაწეებმა ვერ მოგვცეს მრეწველობის მოცემულ დარგში დამკვიდრებულ სოციალურ ურთიერთობათა ბოლომდე სწორი შეფასება. სამაგიეროდ, მათ არსებითად სწორად დაახასიათეს ამ დარგის განვითარების პროგრესული მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური წინსვლისათვის. ამასთანავე ისინი გვევლინებიან კაპიტალიზმის კრიტიკოსებად.

გასული საუკუნის ბოლოსა და მიმდინარე საუკუნის დამდეგს ჭიათურაში შექმნილ ვითარებას აღწერდა მარგანეცის მრეწველთა ყრილობის „წვრილ მრეწველთა ოპოზიციის" ხელმძღვანელი სიმონ ქვარიანი. მან ზუსტად გადმოსცა მრეწველთა გაერთიანება „შავი ქვის" დაარსების ისტორია. ცენზურის მიერ აკრძალულ ბროშურაში „შავი ქვის მწარმოებელთა გაჭირვებანი" (1900 წ.) ს. ქვარიანმა გაბედულად გააკრიტიკა მრეწველობის მოუწესრიგებლობა, დაახასიათა მუშათა მძიმე მდგომარეობა[24].

მარგანეცის მრეწველობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ყოფილი ხალხოსნის გ. მაიაშვილის (ზდანოვიჩი) ხანგრძლივი მოღვაწეობა. მრეწველთა ყრილობის უცვლელმა ხელმძღვანელმა 1896 — 1917 წლებში მთავრობის ორგანოებს წარუდგინა რამდენიმე ასეული მოხსენება, შუამდგომლობა თუ განცხადება, სადაც აღწერილია მრეწველობის ვითარება. ისინი დღემდე გამოუქვეყნებელია და არქივებში ინახება. ამ საბუთებში მოტანილი დიდძალი მასალა და ფაქტები ხშირად არაზუსტია. ამას იწვევდა მთავრობის მხარდაჭერის მოპოვებისათვის მზრუნველი მოღვაწის მცდელობა, რამდენადაც შეიძლებოდა შთამბეჭდავად დაეხატა მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობა.

---

22 იხ. მისი ბროშურები: Кавказское марганцевое самоуправление, СПБ, 1910; К истории грузинской марганцепромышлености... Тиф., 1925.

23 იხ. „ივერია", 1889, 12 იანვარი, № 8; „ქვალი", 1900, № 40.

24 იხ. „საისტორიო მოამბე", 1956, № 9, გვ. 200—201.

მარგანეცის მრეწველობასთან კავშირი ჰქონდათ და მას წერილები მიუძღვნეს ცნობილმა კრიტიკოსმა კიტა (ივანე) აბაშიძემ, მწერალმა ნ. დადიანმა, ივ. აბაშიძემ. ჭიათურის მრეწველობას, ასევე სხვა ქვეყნების მარგანეცის მრეწველობას, წერილები და წიგნი მიუძღვნა სამთო ინჟინერმა გ. დეკანოზიშვილმა[25]. ავტორს დიდძალი ფაქტობრივი მასალა მოაქვს მარგანეცის მსოფლიო მრეწველობისა და მადნის მსოფლიო მოხმარების დასახასიათებლად.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობას გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ხშირად ადგილზევე სწავლობდა გ. ლასხიშვილი, რომელმაც მრავალი ნარკვევი გამოაქვეყნა ჟურნალ „მოამბესა" და გაზ. „ივერიაში"[26]. ავტორმა მიმოიხილა მრეწველობის განვითარების პირველი პერიოდი.

1912 წელს გამოიცა ნ. წუწუნავას წიგნაკი „შავი ქვა", სადაც მოკლედაა გადმოცემული მრეწველობის ისტორია, დახასიათებულია მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში საქართველოს მარგანეცის მრეწველობამ შემდგომი დაქვეითება განიცადა. მაგრამ, პერიოდულ პრესაში მრეწველობის ამ დარგის წარსულზე, მის მსოფლიო მნიშვნელობაზე მსჯელობა გრძელდებოდა, საფიქრებელია, ამ სიმდიდრით დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების დაინტერესების მიზნითაც. ამ კონტექსტში საყურადღებოა ცნობილი მრეწველისა და ბურჟუაზიული მოღვაწის სოლომონ წერეთლის ვრცელი ნარკვევი „მარგანეცის მრეწველობა და მისი განვითარების ისტორია საქართველოში"[27]. აქ ზოგად ხაზებშია მიმოხილული მრეწველობის ისტორია მისი ჩასახვიდან 1918 წლამდე. საყურადღებოა ავტორის დაკვირვება მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე, ასევე. მრეწველთა ყრილობის საქმიანობაზე. მაგრამ, მრეწველთა ყრილობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ამ ორგანიზაციის საქმიანობის აპოლოგეტიკაა.

ს. წერეთელმა საკითხის ისტორიოგრაფიაში პირველმა წარმოადგინა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის თავისებური პერიოდიზაცია. მისი შეხედულებით, მრეწველობამ რევოლუციამდელ ხანაში გაიარა ორი პერიოდი. პირველი მოიცავს 1879 — 1896 წლებს („პრიმიტიულ-რაინდული ხანა"), მეორე კი 1896—1919 წლებს („კუსტა-

[25] იხ. მისი წიგნი: Очерк марганцевой промышленности Бразилии и остр. Кубы, Кутаиси, 1905; ასევე წერილები: „ივერია", 1893, № 256, 260, „ივერია", 1898, № 16.

[26] იხ. „მოამბე", 1900, № 8, განყ. II; „ივერია", 1886, 7 თებერვალი, № 30, 1887, 28 ოქტომბერი, № 225.

[27] იხ. გაზ. „საქართველო", 1920, № 14, № 18, № 20, № 31.

რული ხანა"). ეს პერიოდიზაცია, ისევე როგორც მოტანილი მასალის ავტორისეული ინტერპრეტაცია, მიუღებელია.

მარქსისტთაგან ჭიათურის მრეწველობას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ფილიპე მახარაძე. გამოჩენილმა რევოლუციონერმა სამრეწველო რაიონის მუშათა მდგომარეობის დახასიათებას მიუძღვნა შრავალი წერილი და ამ საკითხს ის შემდეგშიც რამდენჯერმე დაუბრუნდა [28]. ფ. მახარაძე მკაფიოდ აღწერდა სამთო, მადნის გადამზიდველ და მტვირთავ მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების მძიმე პირობებს, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მრეწველებს, მრეწველთა ყრილობასა და მის საბჭოს[29]. საგულისხმოა მისი დაკვირვება მარგანეცის მრეწველობის განვითარების პროცესზე. ამასთანავე, ძნელია დავეთანხმოთ ავტორს, როცა დაასკვნის: „აგერ 22 წელიწადია, რაც ეს მრეწველობა არსებობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მას ფერი არ უცვლია"[30].

მარგანეცის მრეწველობაში ჩაბმულ ბურჟუაზიულ მოღვაწეთა და. კერძოდ, მრეწველთა ყრილობის საქმიანობის დასახასიათებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოჩენილ მარქსისტ ალექსანდრე წულუკიძის სტატიას „ჩემი შთაბეჭდილებანი..."[31].

ასეთია, ზოგად ხაზებში, საკითხის რევოლუციამდელი ისტორიოგრაფია.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას ნარკვევი მიუძღვნა ა. ბ. სოლოვიოვმა. ავტორი მოკლედ ახასიათებს მრეწველობას. ის გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს მენშევიკური მთავრობის ღონისძიებას მრეწველთა ერთ საზოგადოებაში გასაერთიანებლად[32].

1925 წელს გამოქვეყნდა ფ. ბუბლეინიკოვისა და ნ. ლესინგის გამოკვლევა „Марганцевая промышленность СССР". აქ მიმოხილულია ჭიათურის მრეწველობის მდგომარეობა 1905 — 1921 წლებში, დახასიათებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჭიათურის მრეწველობის ნაციონალიზაციის თავისებურება.[33].

---

[28] იხ. Ф. Е. Махарадзе, История возникновения и развития рабочего движения в Грузии, М., 1932; მისივე, Грузия в девятнадцатом столетии, Тб., 1933.

[29] „კვალი, 1902, № 50, გვ. 799—800; იგივე სტატია იხ. ფ. მახარაძე, თხზ., ტ. II, ტფ., 1925, გვ. 5—6.

[30] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. II, გვ. 54.

[31] იხ. „კვალი", 1903, № 5; ა. წულუკიძე, თხზულებანი, თბ., 1943, გვ. 80—83.

[32] იხ. А. П. Соловьев, Марганцевая промышленность Грузии, Тиф., 1921, გვ. 38.

[33] Ф. Бубленников, Н. Лессинг, Марганцевая промышленность СССР, изд. центр. упр. печати ВСНХ СССР, М. —Л., 1925, გვ. 8, 29.

1926 წელს გამოიცა ქს. კვანტრეს ნარკვევი, სადაც მოკლედაა აღწერილი ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა მდგომარეობა და მათი ბრძოლის ზოგიერთი ეპიზოდი[34].

აღსანიშნავია ვ. ტუხოლკას ნაშრომი „Железные и марганцевые руды", სადაც ყურადღება გამახვილებულია ჭიათურის მრეწველობაში გერმანული ფირმების საქმიანობაზე[35].

საკითხის ისტორიოგრაფიაში რამდენადმე მივიწყებულია, თუმცა „თავისებურ" სარგებლობაშია დ. წერეთლის ვრცელი წიგნი „შავი ქვა", გამოცემული 1930 წელს. მართალია, ნაშრომში ზოგიერთი საკითხი ბურჟუაზიული ობიექტივიზმის პოზიციიდანაა გაშუქებული, მაგრამ ამასთანავე საინტერესოა ავტორის სოციოლოგიური მიდგომა მრეწველობის ისტორიისადმი.

ვ. ადამჩუკის ნაშრომში „Марганец СССР в мировой марганцевой промышленности" გადმოცემულია ჭიათურის მრეწველობის მოკლე ისტორია (1900 წლიდან სოციალისტურ რევოლუციამდე), დახასიათებულია საერთაშორისო ბაზრებზე მარგანეცის მადნის ფასების მერყეობა, ასევე პირველი მსოფლიოომამდელი ჭიათურის მრეწველობის „სინდიკატიზაციის" ცდების წარუმატებლობის მიზეზები[36].

ოცდაათიანი წლების დამდეგს ა. მ. გორკის ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში წამოიწყო და თანდათან გაიშალა ფართო მოძრაობა ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შესამუშავებლად. დიდი მწერალი თავის მოწოდებაში მოითხოვდა ყველაზე ტიპიურ საწარმოთა ისტორიის საფუძვლიან შესწავლას. საარქივო და სხვა წყაროების ვრცლად გამოყენებით უნდა გაშუქებულიყო საწარმოთა ისტორია, მუშათა კლასის ჩამოყალიბება, მისი შრომისა და ყოფის პირობები, პარტიული წრეების აღმოცენება, პოლიტიკური მოძრაობა და რეაქციული პარტიების მოქმედება, მუშათა შეტაკება პოლიციასთან და კაზაკებთან, საწარმოს კავშირი სოფელთან და მუშათა გავლენა გლეხობაზე, ნაჩვენები უნდა ყოფილიყო „фигуры бывших хозяев" და სხვ.[37]. ა. მ. გორკის ამ მოწოდებამ და სამრეწველო საწარმოთა ისტორიის შესაქმნელად

---

34 იხ. ქს. კვანტრე, საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, თბ., 1926.

35 В. А. Тухолка. Железные и марганцевые руды (Богатства СССР, под общ. ред. А. Ф. Арского, М.-Л.; 1927, გვ. 66).

36 В. А. Адамчук, Марганец СССР в мировой марганцевой промышленности, М.-Л., 1932, გვ. 14.

37 А. М. Горький, История фабрик и заводов («Правда», 1931, 7 IX, № 247).

ჩვენი პარტიის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა თავისი გამოძახილი პოვა საქართველოშიც. საქ. კპ(ბ) ც. კ.-თან არსებული სტალინის ისტორიულ-პარტიულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში 1933 წელს უკვე მუშაობდა საქართველოს ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორიის შემსწავლელი კომისია გამოჩენილი მეცნიერის სიმონ ხუნდაძის ხელმძღვანელობით. ინსტიტუტის გეგმით 1933 წელს გამოსაცემად გათვალისწინებული იყო ამიერკავკასიის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს ისტორია — 16 თაბახის მოცულობით; ჭიათურის მარგანეცის მრეწველობისა და მუშათა მოძრაობის ისტორია — 24 თაბახი; თბილისის ტრამვაი — 15 თაბახი[38]. ინსტიტუტის დირექციამ 1933 წლის 15 მარტს განიხილა საკითხი „ჭიათურის მრეწველობის ისტორიის შესახებ". მიღებულ იქნა დადგენილება: „ჭ ი ა თ უ რ ი ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა გ ა მ ო ი ც ე ს 2 ტ ო მ ა დ, 45 თ ა ბ ა ხ ი ს მ ო ც უ ლ ო ბ ი თ", მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი ნაშრომი არ გამოცემულა.

შემდეგში, ქართველ საბჭოთა მკვლევართაგან პ. გუგუშვილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეისწავლა მონოგრაფიულად ჩვენში და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება. მისი ვრცელი ნაშრომი „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში", გამოცემული 1941 წელს, მრავალფეროვანი წყაროების, მათ შორის სტატისტიკური კრებულებისა და პერიოდული პრესის მონაცემების საფუძვლიანი შესწავლის შედეგია. აქ გარკვეული ადგილი უკავია ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სოციალურ-ეკონომიურ ისტორიას, წარმოდგენილია მისი ჩასახვა-განვითარების საერთო სურათი, საინტერესო მონაცემებია მოტანილი მრეწველთა ყრილობის საქმიანობის დასახასიათებლად. განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის დაკვირვება წარმოების გამსხვილებასა და კონცენტრაციაზე.

1953 წელს გამოიცა ა. რობაქიძის გამოკვლევა: „Некоторые стороны быта рабочих Чиатурской марганцевой промышленности". ავტორი საარქივო წყაროების, ეთნოგრაფიული მასალისა და რევოლუციამდელი პერიოდული პრესის მონაცემების მოშველიებით ახასიათებს მრეწველობას, აკაკი წერეთლის საქმიანობას მრეწველობის დასაფუძნებლად. ნაშრომი გვიჩვენებს სამთო მუშათა კონტინგენტის შევსებას.

---

[38] ამ ცნობაზე მიგვითითა და სათანადო საარქივო საბუთის ლეგენდაც გადმოგვცა მკვლევარმა მაყვალა ნათმელაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ. საბ. იხ. სკკპ ცეკასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 8, ანაწ. I, საქმე 10, ფურცელი 4—7.

მკვლევარს დიდ დახმარებას უწევს ა. კიკვიძის ორტომიანი ნაშრომი („საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე", 1954; „საქართველოს ისტორია. XIX—XX სს.", 1959), ასევე ავტორთა კოლექტივის (პ. რატიანი, ა. კიკვიძე, ი. კაჭარავა, ა. სურგულაძე) მიერ 1962 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორია, ტომი II".

ყურადღებას იმსახურებს მკვლევარ ა. გავაშელის ნაშრომები, მათ შორის წიგნი „ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიიდან" (1957 წ.). ავტორს საინტერესო ცნობები მოაქვს წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დასახასიათებლად. მისი აზრით, ჭიათურის მრეწველობამ რევოლუციამდელ ხანაში განვლო ერთი ეტაპი. ის წერს: „პირველი ეტაპი ესაა პერიოდი 1879 წლიდან 1922 წლამდე, როცა ჭიათურის მარგანეცის მადნების ექსპლოატაციას ეწეოდნენ ადგილობრივი კერძო პირები, უცხოელი კაპიტალისტები და საააქციო საზოგადოებანი. ამ პერიოდში საბადო მუშავდებოდა ხელით, პრიმიტიული წესით"[39].

1958 წელს გამოიცა გ. ბაქრაძის მონოგრაფია „Возникновение и развитие капиталистической промышленности в грузии в XIX веке". ავტორმა გამოავლინა და კვლევა-ძიების სფეროში მოაქცია მრავალფეროვანი, უპირატესად საარქივო წყაროები, ახლებურად მიუდგა პრობლემის ზოგიერთი ასპექტის გაშუქებას. მან საკითხის ისტორიოგრაფიაში პირველმა მიუთითა მანუფაქტურული და ფაბრიკული ხასიათისა და ფორმის ზოგიერთ საწარმოს არსებობაზე ჭიათურაში (გასული საუკუნის მიწურულიდან).

1958 წელსვე გამოქვეყნდა ნ. ტყეშელაშვილის „ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864 — 1920 წწ.)", სადაც მარგანეცის მრეწველობაცაა განხილული. ავტორი ერთმანეთისაგან გამოყოფს მრეწველობის განვითარების ორ („მონოპოლიზმამდელი" და „მონოპოლისტური კაპიტალიზმის") პერიოდს. საყურადღებოა მისი დაკვირვება მარგანეცის მადნის მომხმარებლის — მსოფლიო მეტალურგიის განვითარებაზე.

1958 წელს გამოიცა ა. კოჭლავაშვილის მონოგრაფია „აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი". ავტორი ზოგიერთი ადრე უცნობი წყაროს დეტალური განხილვით, დამაჯერებლად ასაბუთებს ადრე ცნობილ, მაგრამ თავიდანვე სადაოდ გამხდარ, მოსაზრებას ჭიათურის მარგანეცის მადნის საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყებაში აკაკი წერეთლის პრიორიტეტის, აგრეთვე ექსპლოატაციის დაწყების დროის შესახებ. ნაშრომში დამტკიცებულია, რომ საბადოთა სამრეწ-

---

[39] ა. გავაშელი, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიიდან, 1957, გვ. 7.

ველო ექსპლოატაცია პირველად 1879 წელს დაიწყო ა. წერეთელმა. აქ გადმოცემულია მრეწველობის დაფუძნებისა და ჭიათურის რკინიგზის შტოს მშენებლობის მოკლე ისტორია და სხვ.

აღსანიშნავია ვ. ჯაოშვილის „ჭიათურა. ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი" (1959 წ.). ავტორი ცდილობს დაახასიათოს ჭიათურის, როგორც სამრეწველო რაიონის ცენტრის, ზრდა-განვითარება. მისი აზრით, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ 1879 — 1921 წლებში განვლო სამი ეტაპი: პირველი ეტაპი 1879 — 1895 წლებს მოიცავს, მეორე — 1896—1913, ხოლო მესამე — 1914—1921 წლებს[40]. ავტორს მიაჩნია, რომ ამ ეტაპებზე მრეწველობის ფორმაში ცვლილება არ მომხდარა და მადნის მოპოვება და დატვირთვა „კვლავ პრიმიტიული წესით წარმოებდა"[41].

საყურადღებოა სამთო საქმის სპეციალისტის, მკვლევარ ელ. ჭანიშვილის ვრცელი ნაშრომი „მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში" (1960 წ.), რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს ხანას მრეწველობის ჩასახვიდან 1941 წლამდე, ხოლო თემატიკურად მრეწველობის ისტორიას, საბადოს სამთო-გეოლოგიურ და სამთო-ტექნიკურ დახასიათებას და სხვ. წიგნის პირველ ნაწილში განხილულია მრეწველობის პირველი მსოფლიოომამდელი ხანა. გაშუქებულია მარგანეცის მადნის ჭიათურის საბადოს აღმოჩენისა და გეოლოგიური შესწავლის ისტორია, საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყება და მისი მიმდინარეობა რკინიგზის ჭიათურის შტოს გაყვანამდე და მის შემდეგ, გადმოცემულია რკინიგზის დასახელებული შტოს მშენებლობის ისტორია. დიდძალი მასალაა მოტანილი მრეწველთა საქმიანობის, მათ გაერთიანებათა დასახასიათებლად. ავტორი ეხება წარმოების ტექნიკურ აღჭურვილობას, ასევე მუშათა მდგომარეობას. ისტორიული კვლევისა და მასალის დალაგების ავტორისეული მეთოდი, ისევე როგორც მისი ზოგიერთი დებულება, ჩვენი აზრით, არაერთ სერიოზულ შენიშვნას იმსახურებს. ნაშრომში საგრძნობია თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ერთგვარი უგულებელყოფა. ავტორს რომ ლიტერატურა ჯეროვნად გაეთვალისწინებია, ის არ შეუდგებოდა მარგანეცის საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყების ხელახლა დათარიღებას.

ნაშრომის ღირსებაა მარგანეცის „მრეწველობის განვითარების" პერიოდიზაციის ცდა. ავტორისეული პერიოდიზაცია ასეთია:

---

[40] ვ. ჯაოშვილი, ჭიათურა (ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი), 1959, გვ. 25.

[41] ი ქ ვ ე, გვ. 30.

I — საბადოს აღმოჩენის, მისი წინასწარი გეოლოგიური შესწავლის და ექსპლოატაციის მომზადების პერიოდი (1846—1875 წწ.); II — მრეწველობის ჩასახვა-წარმოშობისა (1876—1879 წწ.); III — მრეწველობის განვითარებისა და განმტკიცებისა (1879—1894 წწ.). IV პერიოდი მსხვილი კაპიტალის შემოჭრით ხასიათდება (1894—1900 წწ.); V პერიოდი მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისა და რეაქციის წლებს მოიცავს (1900—1910 წწ.); VI პერიოდი პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინა წლებს მოიცავს (1910—1913 წწ.); VII პერიოდი პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებს მოიცავს (1914—1917 წწ.); VIII პერიოდი მარგანეცის მრეწველობის დაქვეითებისა და მთლიანად შეწყვეტისა (1917—1921 წწ.)[42] და ა. შ.

შევნიშნავთ, რომ შესავალში მოცემული პერიოდიზაცია (პერიოდების სახელწოდებანი და ქრონოლოგიური ფარგლები) მნიშვნელოვნად შესწორებული და სახეშეცვლილია ნაშრომში[43]. ამასთანავე, რამდენადმე გაუგებარია, რა პრინციპით ხელმძღვანელობს ვ. ჭანიშვილი, როცა „მრეწველობის განვითარების" პირველ პერიოდად ასახელებს „საბადოს აღმოჩენის.... წინასწარი გეოლოგიური კვლევისა და ექსპლოატაციის მომზადების წლებს" (1846—1875 წწ.)[44]. ასევე დამაფიქრებელია 1876—1879 წლების ჩათვლა „მრეწველობის ჩასახვა-წარმოშობის პერიოდად"[45]. თუ მეორე პერიოდის ავტორისეულ ფორმულირებას გავიზიარებთ, გამოდის, რომ „მრეწველობის განვითარების" პირველი პერიოდი წინ უსწრებდა საკუთრივ მრეწველობის „ჩასახვა-წარმოშობას" სასურველი იყო პეირიოდიზაციას საფუძვლად დასდებოდა არა სხვადასხვა, ისიც ზედმიწევნით პირობითი ნიშნები, არამედ საერთო პრინციპი, პირველ რიგში მრეწველობის ეკონომიკაში მომხდარი კარდინალური ძვრები, უამისოდ გარკვეული უხერხულობა იქმნება; ასე მაგალითად, მრეწველობის მესამე პერიოდის (1879—1894 წწ.) გამოყოფას, ავტორის განმარტებით, საფუძვლად უდევს მრეწველობის განვითარებისა და განმტკიცების გათვალისწინება, მეოთხეს (1894—1901 წწ.) მსხვილი კაპიტალის შემოჭრა, მეხუთეს (1900—1910 წწ.) მუშათა რევოლუციური აღმავ-

---

42 იხ. ვ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 11—14.

43 შდრ. ერთმანეთს თუნდაც ნაშრომის სარჩევი (გვ. 5—6) და შესავალში მოცემული პერიოდიზაცია .

44 ვ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

45 იქვე.

ლობისა და რეაქციის წლების დადგომა და სხვ. ისმის კითხვა, თუ მრეწველობის განვითარებაში მომხდარი წინსვლაა პერიოდიზაციის პრინციპი (თავი III), ეს ხომ მომდევნო ხანაში, ვთქვათ 90-იანი წლების ბოლოს, 1906 წელს, ან, მით უმეტეს, I მსოფლიო ომის წინ, უფრო თვალსაჩინოა?! თუკი პერიოდიზაციის საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი კაპიტალის შემოჭრა, ესეც ხომ უფრო 1894—1900 წლების მომდევნო ხანას, კერძოდ, 1909 — 1914 წლებს ახასიათებს?! ვ. ჭანიშვილის მიერ გამოყოფილი V პერიოდი (1900—1910 წწ.) მოიცავს პოლიტიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებულ სამ სხვადასხვა პერიოდს: რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის, 1905 — 1907 წლების რევოლუციისა და რეაქციისას. თუ ავტორის მიერ მიღებული პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდი ხომ მაინც ცალკე უნდა გამოგვეყო, ამასთანავე ჭიათურის სამრეწველო რაიონში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა არ დაწყებულა 1900 და, გნებავთ, 1901 წელს. უხერხულობას აღრმავებს 90-იანი წლების სამრეწველო აღმავლობის, XX საუკუნის დამდეგის სამრეწველო კრიზისისა და მისი მომდევნო დეპრესიის, ასევე I მსოფლიოომამდელი სამრეწველო აღმავლობის ერთგვარი შეუფასებლობა, რასაც ვ. ჭანიშვილის მიერ მოცემული პერიოდიზაცია იწვევს, ხოლო ეს მოვლენები ხომ ყველაზე მკაფიოდ განასხვავებდა ერთმანეთისაგან მრეწველობის განვითარების სხვადასხვა პერიოდს.

1962 წელს გამოიცა ა. კოპლავაშვილის მეორე მონოგრაფია „საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში". აქ ახალი მასალის მოტანითაა დახასიათებული მარგანეცის საბადოთა აღმოჩენა[46], აკაკი წერეთლის ღვაწლი მრეწველობის მოცემული დარგის დაფუძნებაში. ავტორის აზრით, „ჭიათურის მანგანუმის სამრეწველო ექსპლოატაციისათვის ცდები ა. წერეთელს 50-იანი წლების მეორე ნახევარში დაუწყია[47], მაგრამ ვერ მოუხერხებია"[48]. ა. კოპლავაშვილი დასახელებულ ნაშრომში კიდევ უფრო დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ „საბადოების დამუშავება აკაკის დაუწყია 1879 წლის დასაწყისში"[49]. მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობა 1879 — 1895 წლებში ფაქტიურად სრულიად შეუსწავლელია და მით უფრო მნიშვნელოვანია ა. კოპლავაშვილის ცდა გააშუქოს ეს პერიოდი.

ასევე საყურადღებოა ა. ბენდიანიშვილის ვრცელი სტატია „ქარ-

---

[46] ა. კოპლავაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 226.
[47] იქვე, გვ. 237.
[48] იქვე, გვ. 238.
[49] იქვე, გვ. 273.

თული ეროვნული ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალი 1879 — 1921 წლებში ჭიათურის სამრეწველო რაიონში"[50].

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიას ეხება დ. გოგოლაძისა[51] და ე. ხოშტარიას[52] ნაშრომები, რომელთა გამოცემის დროისათვის ჩვენი გამოკვლევა უკვე შესრულებული იყო.

დღემდე მრავალი მკვლევარი შეხებია მუშათა მდგომარეობასა და პოლიტიკურ ბრძოლას რევოლუციამდელ ჭიათურაში. მუშათა ყოფა-ცხოვრებისა და ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები, ზემოხსენებულ ავტორთა გარდა, გააშუქეს მკვლევარმა პროფ. ი. ხუციშვილმა, ზ. გეგეშიძემ, გ. არუთინოვმა და სხვ.[53]. უახლესი გამოკვლევებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ვ. ჯიქიას ნაშრომი, სადაც ახალი მასალების მოშველიებით და უფრო ვრცლადაა გაშუქებული საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშათა მდგომარეობა და საგაფიცვო მოძრაობა 1900 — 1917 წლებში[54]. ასევე საყურადღებოა მ. ჯიჯეიშვილის ნაშრომი „მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში (1917—1921 წწ.)"[55], სადაც გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ჭიათურის სამრეწველო რაიონის პროლეტარიატის მდგომარეობისა და ბრძოლის დახასიათებას.

• • •

წინამდებარე შრომა მნიშვნელოვანწილად ემყარება პირველადი წყაროების კრიტიკულ შესწავლას. ბეჭდური წყაროებიდან აღსანიშნავია „შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის" გამოცემები: ყრილობის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები —

---

[50] იხ. „მოამბე" 1963, № 2, გვ. 92—113.

[51] იხ. დ. გოგოლაძე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, XVIII—XIX სს., თბ., 1966, გვ. 104—151.

[52] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развития капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб, 1967. гз. 111—120.

[53] იხ. ი. ხუციშვილი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955; ზ. გეგეშიძე, 1905 წელი ჭიათურაში. (პროფ. ი. ხუციშვილისა და სხვ. რედაქციით, თბ., 1955); მისივე, რევოლუციური წარსულის შესანიშნავი რელიქვია (იხ. კრებული: საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები, ტ. 14. თბ., 1966); Г. Арутюнов, 56-дневная стачка Чиатурских рабочих в 1913 году, «Исторические записки», 1956, М., № 58.

[54] „მაცნე", 1965, № 4.

[55] წიგნი 1965 წელს გამოიცა.

„შრომები“, ყრილობის საბჭოს „მოხსენებები“, ყრილობის სარევიზიო კომისიის „მოხსენებები“, ყრილობის საბჭოს წარმომადგენლობითი მოღვაწეობის „ანგარიში“, ყრილობის სტატისტიკური კომიტეტის კრებულები. ზოგიერთ საყურადღებო ცნობას შეიცავს აგრეთვე დემოგრაფიული სტატისტიკა.

ყრილობის გამოცემები და სტატისტიკური კრებულები მრავალი ფაქტის მცდარ აღწერასა და არაზუსტ ცნობებსაც შეიცავენ, მაგალითად: „მარგანეცის საქმის სტატისტიკის“ ცნობით 1879 — 1914 წლებში ჭიათურის აუზში მოპოვებულ იქნა სულ 634 028 000 ფუთი მადანი. ეს მაშინ, როცა ამ პერიოდში გზათა სამინისტროს უწყების ცნობით, რკინიგზით გაზიდულ იქნა 698 580 593 ფუთი. როგორც ვხედავთ, მადნის მოპოვების სტატისტიკურ მაჩვენებელს 64552593 ფუთით აღემატება რკინიგზით გადაზიდული მადნის ოდენობა, რაც მხოლოდ სტატისტიკური მაჩვენებლის მეტისმეტ ნაკლულობაზე მეტყველებს. მადნის მოპოვების მაჩვენებლებისა და რკინიგზის სადგურებზე მიზიდული მადნის ოდენობის მონაცემების ურთიერთშედარებისას, „სტატისტიკური კრებულის“ ავტორები არ მალავდნენ, რომ „რკინიგზის პლატფორმებზე მიზიდული მარგანეცის რაოდენობის ამსახველი ცნობები გვიჩვენებენ, რომ სინამდვილეში მოპოვებულია გაცილებით მეტი მადანი, ვიდრე ზემოთაა ნაჩვენები“[56]. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნავსადგურებში მიზიდული მადნის ექსპორტის ოდენობის მაჩვენებლებიც არასრულია, რადგან „საბაჟო უწყისებში ყველაფერი არაა ნაჩვენები“[57]. სამრეწველო სტატისტიკის მოუწესრიგებლობაზე ჩივილი ხშირად გვხვდება სტატისტიკურ კრებულებშივე, მათი ავტორები შენიშნავდნენ: «Скудность статистических данных не позволили в достаточной степени осветить все стороны названной отрасли промышленности а некоторые, очень важные вопросы по этой причине даже совершенно не могли быть затронуты»[58]. მარგანეცის მრეწველობის სტატისტიკის მოუწესრიგებლობას ჩივის გ. ლასხიშვილიც, რომელიც ჯერ კიდევ 1887 წელს, ადგილზევე სწავლობდა მრეწველობის ვითარებას. „სამთო მრეწველობას ჩვენში, — წერდა იგი. — ძალიან ბევრი ნაკლოვანებაც აქვს. სხვა ნაკლოვანებათა შორის უმთავრესი სტატისტიკის უქონლობაა“. „სამთო მმართველობა ყოველი წლის დამლევს მოსთხოვს ხოლმე თვითეულ მრეწ-

---

[56] Статистика марганцевого дела, К, 1902, გვ. 24.

[57] Статистика марганцевого дела, К., 1909, გვ. 29.

[58] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 1.

ველს მუშაობის ანგარიშს. მრეწველებიც უგზავნიან, მაგრამ ვაი ამ ანგარიშს. არც ერთი ციფრი არ არის ნამდვილი, სულ შეთხზულია და მასთან უხეიროდაც"[59]. მარგანეცის საქმის სტატისტიკა საკვლევით მოუწესრიგებელი იყო 1893 წლამდე, ანუ ჭიათურის მრეწველობაზე სამთო ზედამხედველობის დაწესებამდე. ამ დრომდე მეწარმეები არასისტემატურად უდგენდნენ ცნობებს კავკასიის სამთო სამმართველოს. მოცემული სტატისტიკა, ზედამხედველობის დაწესების შემდეგაც, უფრო მოუწესრიგებელი იყო, ვიდრე საზოგადოდ რუსეთის სამთამადნო და საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა, რომლის მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ესოდენ მკაფიოდაა გამოაშკარავებული ვ. ი. ლენინის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში"[60]. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „კანონის ფრიად დაწვრილებითი განკარგულებანი მეფაბრიკეების მიერ ცნობების წარმოდგენის შესახებ მხოლოდ კეთილ სურვილად რჩება", რომ „საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკას დღემდე შერჩენილი აქვს თავისი ძველი, წმინდა რეფორმამდელი ორგანიზაცია"[61]. სამრეწველო სტატისტიკის შემდგენლებიც აღიარებდნენ, რომ „მუშათა რიცხვი და წარმოების თანხა საგრძნობლად შემცირებულია მეფაბრიკეთა ჩვენებებში"[62]. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ „მარგანეცის საქმის სტატისტიკის" ცნობით 1913 წელს ჭიათურაში მხოლოდ 3477 სამთო მუშაა[63], ხოლო სხვა კატეგორიის მუშები სულ არაა აღრიცხული, ეს მაშინ, როცა უფრო სანდო წყაროს (ბოქაულის მიერ ადგილზე ჩატარებული აღწერის) ჩვენებით იქ 7001 სამთო მუშაა, ხოლო სამრეწველო რაიონში ყველა კატეგორიის მუშათა საერთო რიცხვი 12000-მდე აღწევს[64]. კიდევ უფრო ნაკლულია დემოგრაფიული სტატისტიკა. ასე მაგალითად, მოსახლეობის 1897 წლის აღწერის ცნობით, ჭიათურის სამრეწველო რაიონში მხოლოდ 128 მუშაა[65], ეს მაშინ, როცა სამრეწველო სტატისტიკის არასრული ცნობით იქ მარტო სამთო მუშათა რიცხვი 1500-ზე მეტია[66]. მარგანე-

---

[59] გ. ლასხიშვილი, (განი), შავი ქვის მრეწველობა, „ივერია", 1887, 28 ოქტომბერი, № 244.

[60] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 3, გვ. 537—553.

[61] იქვე, გვ. 537—538.

[62] იქვე, გვ. 539.

[63] Статистика марганцевого дела за 1914—1917 годы. К., 1918, табл. № 17.

[64] იხ. სსსა, ფონ. 415, საქ. 109, ფურც. 6—7.

[65] იხ. Численность и состав рабочих в России в 1897 году, т. II, СПБ, 1906, გვ. 106.

[66] Статистика марганцевого дела, К., 1907, გვ. 37.

ცის საქმის სტატისტიკა ხასიათდებოდა ბურჟუაზიული სტატისტიკისათვის ნიშანდობლივი აპოლოგეტიკითა და ფალსიფიკაციით. ის ხელოვნურად ან არაზუსტი აღრიცხვით ამცირებდა უმუშევრობის მასშტაბებს, აზვიადებდა ნომინალური და რეალური ხელფასის დონეს, მკვეთრად ამცირებდა კაპიტალისტების მიერ მიღებული მოგების ოდენობას, ჩქმალავდა კლასობრივი წინააღმდეგობის სიმწვავეს და სხვ. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სტატისტიკის მონაცემები საკითხის რევოლუციამდელ და საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, სამწუხაროდ, არაკრიტიკულადაა გამოყენებული და გადმონერგილი. ვ. ი. ლენინი, როგორც ცნობილია, მკაცრად აკრიტიკებდა რეფორმის მერმინდელი რუსეთის მრეწველობის ბურჟუაზიულ მკვლევარებს, რომლებიც იჩენდნენ „სტატისტიკისადმი უაღრესად არაკრიტიკულ დამოკიდებულებას"[67]. სტატისტიკური მონაცემებით სარგებლობისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ ვ.ი. ლენინის მითითებით, „რომ უმეტეს შემთხვევაში მისი ცნობებით სარგებლობა განსაკუთრებული დამუშავების ჩაუტარებლად არ შეიძლება და რომ ამ დამუშავების მთავარი მიზანი უნდა იყოს შედარებით გამოსადეგის გამოყოფა აბსოლუტურად უვარგისისაგან", რომ სტატისტიკური „ცნობები ძალიან ხშირად... სრულიად შემთხვევით ხასიათს ატარებენ და რომ ამიტომ საჭიროა უდიდესი სიფრთხილე ამ ცნობებით სარგებლობის დროს"[68]. სტატისტიკური გაძოთვლებისას ჩვენ ყველა შემთხვევაში ვცდილობთ მხოლოდ განვითარების ტენდენციის სწორად ჩვენებას, ხოლო აბსოლუტურ სიზუსტეზე პრეტენზიას არ ვაცხადებთ.

გამოკვლევაში გამოყენებულ მრავალფეროვან საარქივო წყაროებს შორის საგანგებო მნიშვნელობის საბუთებია: მრეწველთა პირადი საქმეები (სსსა), ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის თაობაზე პეტერბურგში მოწყობილი საუწყებათაშორისო თათბირების სტენოგრაფიული ანგარიშები, ჭიათურაში მოქმედი გერმანული ფირმების სალიკვიდაციო სამმართველოს მასალები (ЦГИАЛ), მეწარმეთა, ასევე მათი ყრილობის განცხადება-შუამდგომლობები (ससा, ЦГИАЛ), მეწარმეთა სიები, ასევე მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით მთავრობის ორგანოებში წარდგენილი ცნობები (ЦГИАЛ, ЦГИАМ), ქუთაისის გუბერნიის საფაბრიკო და სამთო-საქარხნო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს სხდომების ოქმები (ХФЦГИАУ), მრეწველობასთან დაკავშირებულ მოღვაწეთა პირადი არქივები (ნ. ნიკოლაძის არქივი — საქ. სსრ საჯარო ბიბლიოთეკის

---

[67] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3., გვ. 542.

[68] ოქვე. გვ. 551.

ქართველოლოგიის კაბინეტში, ასევე გ. ზდანოვიჩისა — ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივში), რომლებიც ეპისტოლარულ მემკვიდრეობასთან ერთად უამრავ სხვა საბუთსაც შეიცავს.

* * *

ნაშრომში ფართოდ და კრიტიკულადაა გამოყენებული შესასწავლი ხანის სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების პერიოდული გამოცემების მასალები. ასეთ მასალას შეიცავს: „მოამბე“ და „კრებული აკაკისა“, „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი,“ „ახალი სხივი“, „ერი“, „ეშმაკის მათრახი“, „ეკალი“, „აზრი,“ „ამირანი“, „მერცხალი“, „ცხოვრების სარკე“, „ჩვენი კვალი“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „პრავდაში“ ჭიათურის თაობაზე გამოქვეყნებულ კორესპონდენციებს.

თავი I

ჭიათურის მარგანეცის საბადოს აღმოჩენა და მისი სამრეწველო ექსპლოატაციის პირველი ეტაპი (1846—1879—1894 წწ.)

§ 1. საბადოს აღმოჩენა-გამოკვლევა (1846—1876 წწ.)

მარგანეცის მადნის ჭიათურის საბადო, როგორც ცნობილია, 1846 წელს აღმოაჩინა აკად. აბიხმა. ამის შემდეგ საბადოს გეოლოგიურ შესწავლა-გამოკვლევას ეწეოდა სამთო ინჟინერი, პოლკოვნიკი კომაროვი (1849 და 1851 წწ.) და სამთო ინჟინერი, შტაბს-კაპიტანი კომაროვი (1853 წ.).

1854 წელს „სამთო ჟურნალში" დაიბეჭდა პირველი ცნობა ჭიათურის საბადოზე, ხოლო 1858 წელს იმავე ჟურნალში გამოქვეყნდა აკად. აბიხის ვრცელი გამოკვლევა მარგანეცის დასახელებული საბადოს შესახებ.

საქართველოში მარგანეცის მადნის საბადოს გეოლოგიური გამოკვლევის შედეგების პოპულარიზაციაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკი წერეთელს. დიდი მგოსანი მარგანეცის მადანს უშუალოდ გასცნობია ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას, ხოლო შემდეგ ლიტერატურული წყაროებით პეტერბურგში სტუდენტობისას — 1859 — 1862 წლებში[1]. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჭიათურის საბადო 1872 წელს გამოიკვლია გეოლოგმა ს. სიმონოვიჩმა. გამოკვლევის შედეგების ამსახველი ნაშრომი აკაკის, თავის მოსაზრებათა დართვით, რამდენიმე ენაზე უთარგმნია და გაუვრცელებია[2].

---

[1] იხ. ვრცელი გამოკვლევები: ალ. კოპლავაშვილი, აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, 1958; ვლ. ჭანიშვილი, მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბ., 1960; ალ. კოპლავაშვილი, საქართველოს სამთამადნო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, 1962.

[2] იხ. დ. წერეთლის ნაშრომი „შავი ქვა", ტფ., 1930, გვ. 57. სხვა ცნობით, გამოკვლევა დაიწყო 1873 წელს (იხ. ა. კოპლავაშვილი, აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, გვ. 38, 47).

შემდეგში, მთავრობის ნებართვით, იმავე, ს. სიმონოვიჩს და სამთო ინჟინრებს ა. სოროკინსა და ლ. ბაცევიჩს, ქუთაისისა და შორაპნის მაზრების გეოლოგიურად შესწავლისას, 1873 წელს კვლავ გამოუკვლევიათ მარგანეცის მადნის ჭიათურის საბადო.

1876 წელს შორაპნის მაზრა გეოლოგიურად შეისწავლა ლ. ბაცევიჩმა და შეადგინა ჭიათურის საბადოს გეოლოგიური რუკა[3].

სპეციალურმა, საფუძვლიანმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ჭიათურის მარგანეცის საბადო მადნის მარაგით, მისი კეთილხარისხოვნებით და მოპოვების ხელსაყრელი პირობებით, აგრეთვე სარკინიგზო და საზღვაო გზებთან სიახლოვითაც, თითქმის სწორუპოვარი იყო არა მარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელ იმდროინდელ მსოფლიოში. ჭიათურის საბადოს მსოფლიო მნიშვნელობა იმთავითვე გაიზარდა უძლიერეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მეტალურგიული მრეწველობის განვითარების შედეგად, მარგანეცის თვისებების მეცნიერულად შესწავლა-დადგენამ, მისმა გამოყენებამ სხმული ფოლადის მიღების ბესემერული და მარტენული მეთოდის დანერგვისა და სრულყოფის გზით, როგორც ცნობილია, ხელი შეუწყო მსოფლიო მეტალურგიის განვითარებას ფერომარგანეცის ფართოდ გამოყენების ბაზაზე.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო მეტალურგიული მრეწველობის განვითარებისდაკვალად მარგანეცზე მოთხოვნილება კოლოსალურად გაიზარდა. მეტალურგიული მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა მარგანეცისა და რკინის შენადნობთა მიღება. ასეთი შენადნობი, რომელიც 8%-დან 35%-მდე მეტალურ მარგანეცს შეიცავდა, სარკულ თუჯს წამოადგენდა, ხოლო შენადნობი 50%-დან 82%-მდე მეტალური მარგანეცის შემცველობით ფერომარგანეცს, რომელმაც გამოყენება პოვა განსაკუთრებული ხარისხების ფოლადის მისაღებად. მარგანეცი, როგორც ცნობილია, ფოლადსა და რკინას ანიჭებს ჭედადობას, სიბლანტეს, სიმკვრივეს, ზრდის მათი დრეკადობის, აგრეთვე გამძლეობის ზღვარს და სხვ.[4]

მაღალხარისხოვანი მარგანეციანი ფოლადის ფართოდ გამოყენება

---

[3] ვლ. ჭანშვილი, მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში, 1960, გვ. 95.

* ქვემოთ „მარგანეცის მადანს", აუცილებელი შემთხვევების გარდა, მოვიხსენიებთ შემოკლებით — „მარგანეცი".

[4] В. Л. Тухолка. железные и марганцевые руды (Богатства СССР. Под ред, А. Ф. Арского. М.-Л., 1925, გვ. 64), ф. Бублейников и Н. Лессинг. Марганцевая промышленность СССР, изд. центр. управления печати ВСНХ, М.-Л, 1925, გვ. 12.

სახალხო მეურნეობაში, სახელდობრ მანქანათმშენებლობაში, სამხედრო მრეწველობაში, სარკინიგზო და გემთმშენებლობაში, აგრეთვე მრავალ სხვა დარგში იმ დროს დღითი დღე იზრდებოდა და საფუძვლად ედებოდა მრეწველობის შესაფერისი დარგების განვითარებას. მარგანეცი სტრატეგიულ ნედლეულსაც წარმოადგენდა. ამასთანავე ინერგება მარგანეცის გამოყენება ფერადი ლითონების შენადნობთა, მინის, ასევე კრისტალურ წარმოებაში, აგრეთვე ქიმიურ მრეწველობაში, სადაც მარგანეცმა გამოყენება პოვა ქლორის დასამზადებლად, საღებავების მისაღებად, მახრჩობელა გაზების საწარმოებლად და სხვ.

მარგანეცის საერთო მოხმარების 90% იმ დროს მეტალურგიაში ფოლადის წარმოებაში მიდიოდა და მხოლოდ 10% იხარჯებოდა სხვა ნაწარმთა მისაღებად. მრეწველობის წამყვან დარგებში მარგანეცის გამოყენებამ გამოიწვია მასზე მოთხოვნილების უდიდესი ზრდა.

მარგანეცის მადანი, როგორც ცნობილია, მრავალ ქვეყანაში მოიპოვება. მაგრამ, მისი მოპოვება თვალსაჩინო კომერციული დანიშნულებით, იმ დროს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში, სახელდობრ, საქართველოში, ინდოეთსა და ბრაზილიაში დაიწყო და განვითარდა.

მარგანეცის საბადოების ღირსება-მნიშვნელობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, განისაზღვრება მადანში მეტალის პროცენტული შემცველობით, ანუ მისი კეთილხარისხოვნებით. მარგანეცის ცნობილ საბადოთა შორის ჭიათურის მარგანეცის საბადო გამოირჩეოდა მადანში მეტალის პროცენტული შემცველობის უმაღლესი მაჩვენებლებით, ასევე მადნის დაუშრეტელი მარაგით, რამაც განაპირობა ჩვენში მარგანეცის მრეწველობის დიდი მომავალი. სპეციალური გამოკვლევით დადგინდა, რომ აქაური მადანი 56% მეტალურ მარგანეცს შეიცავდა[5].

ჭიათურის აუზში მადნის უმდიდრესი ფენები, იმდროინდელი მიახლოებითი გაანგარიშებით, განლაგებულია 125 — 136 კვ. ვერსის ფართობზე[6], ხოლო მადნის საერთო მარაგი, პროფ. კოცოვსკის გაანგარიშებით 6,6 მილიარდ ფუთს შეადგენდა[7], ინჟინერ ცეიტლინისა — 14 მილიარდ ფუთს, გეოლოგების — ნიკიტინის და კოლოტოვის, ასევე სოლოვიოვის ვარაუდით კი 15 მილიარდ ფუთს[8]. მარაგის შეუდარებელ სიდიდესთან ერთად, ჭიათურის საბადო გამოირჩევა სამრეწველო ექსპლოატაციის იშვიათი, ხელსაყრელი პირობებით. საბადოები მდინარე ყვირილადან ამაღლებულია 300-დან 350 მეტრამდე, საბადოთა აუზში

---

[5] ЦГИАЛ, Ф. 1263, оп. 2, д. 4914, л. 517.

[6] სსსა, ფონ. 12, ანაწ. I, საქ. 1494, ფურც. 33.

[7] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 10: К. И. Богданович, марганец в СССР, Пд., 1920, გვ. 12.

[8] А. П. Соловьев, Марганцевая промышленность Грузии, Тф., 1922, გვ. 6.

ღრმადაა შეჭრილი მდინარე ყვირილა და მისი შენაკადი ღელეები, რომლებიც აქ 8 ზეგანს „ნახევარკუნძულების“ სახეს აძლევს. ეს ზეგნები (ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე: რგანი, ზედა რგანი, თაბაგრები, მღვიმევი და დარკვეთი, ხოლო მარცხენაზე: პერევისა, შუქრუთი და ითხვისი) სამივე მხარეზე ფერდობითაა გარშემორტყმული და ღიაა. ასევე დიდ სივრცეზეა ღია მარგანეცის ჰორიზონტალურად განლაგებული სქელი ფენები. ეს ფენები 2—5 მეტრის, საშუალოდ კი 3 მეტრის სისქისა და 200 მეტრიდან 2—3 ვერსამდე სიგრძის შავ ზოლად ჰორიზონტალურად გასდევს საბადო ზეგნების — „ნახევარკუნძულების“ — ფერდობებს სამი მხრიდან. ამ, ერთმანეთის პარალელურად განლაგებული, ფენების რიცხვი სხვადასხვა ზეგნის ფერდობებზე ხუთიდან თერთმეტამდე მერყეობდა[9]. მადნის ფენების ღია განლაგება ხელსაყრელ პირობას ქმნიდა მისი სამრეწველო ექსპლოატაციისათვის. მადანი ჭიათურის აუზში მარცვლოვანი, „პლასტის“ (მკვრივი), ან ბელტის (რბილი და ნესტიანი) და სხვ. სახისაა[10]. მადნის სირბილე, ასაფეთქებელი მასალის გამოუყენებლად, მისი მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდა. საბადოს ფენების სიმშრალე აადვილებდა სამთო გამონამუშევრების გაყვანას. მადნის ჰორიზონტალური და კომპაქტური განლაგება მოპოვებასთან ერთად მადნის გამოზიდვასაც აიაფებდა. — ყოველივე ეს აადვილებდა და აიაფებდა ჭიათურის აუზის სამრეწველო ექსპლოატაციას ერთდროულად და დიდ სივრცეზე, ისიც უმარტივესი საწარმოო საშუალებით. ჭიათურის საბადო, სადაც კოლოსალური სიმდიდრე ასათვისებლად მოხერხებულად იყო განლაგებული. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთელ მსოფლიოში გახდა სახელგანთქმული, მით უფრო, რომ იმდროინდელი სპეციალისტების აღიარებით სხვაგან არსად მოიპოვებოდა მარგანეცის მადნის ესოდენ მაღალხარისხოვანი და ექსპლოატაციისათვის ასე ადვილი და ხელსაყრელი საბადო. ჭიათურის საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის პირობების დახასიათებისას ინჟ. გ. დეკანოზიშვილი გადაუჭარბებლად ამბობდა: „თვითონ ადამიანს რომ მოეწყო ეს მადნები თავისი სურვილისამებრ, მაშინაც არ იქნებოდა სამუშაო ასეთი ადვილი, როგორც ეხლა არის“[11]. ამიტომ დასახელებული საბადო ექსპლოატაციაში შესვლისთანავე იქნა მიჩნეული მსოფლიოში სწორუპოვრად, ხოლო ჭიათურას ეწოდა „საქართველოს კალიფორნია, სადაც ბუნებას შეუკუმშავს 126 კვადრატულ ვერსზე უმდიდრესი შრეები საჭირო მადნისა“[12].

---

[9] В. А. Адамчук, указ. соч., გვ. 12.
[10] დ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.
[11] ციტ. დ. წერეთლის ნაშრომიდან „შავი ქვა“, გვ. 517.
[12] „კვალი“, 1900, № 39, გვ. 620.

ყოველივე ამის გამო ჭიათურის საბადოთი თავიდანვე დაინტერესდნენ თითქმის ყველა უძლიერესი კაპიტალისტური სახელმწიფოები და ეს დაინტერესებულობა დროთა მსვლელობაში არა თუ ცხრებოდა, არამედ ძლიერდებოდა.

§ 2. ჭიათურის საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის პირველი ეტაპი (1879 — 1894 წწ.)

ა) პირველი მრეწველები. საბადოთა იჯარით გაცემა. ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობის შედეგები

ჭიათურის მარგანეცის საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის ფუძემდებელი აკაკი წერეთელია[1]. ამასთან დაკავშირებით მგოსნის ერთი თანამედროვე 1893 წელს წერდა: „იყო დრო, როცა სიზმრადაც არავის ახსოვდა შავი ქვა. იყო დრო, როცა მხოლოდ ყორედ ავლებდნენ მას... რასაც გუშინ ყრიდნენ ღრეებში, მას დღეს დაეძებენ გამწარებული, ხვრეტენ კლდეებს, გლეჯენ მიწას, იღვრებიან ოფლში, ეზიდებიან მილიონ ფუთობით ევროპა-რუსეთში და ივსებენ ჯიბეს შავი ქვის ნაცვლად ყვითელი ოქროთი. აქ დღეს გაუყვანიათ გზები, აუშენებიათ სახლები, დაუდგავთ მადნის გორები და დაცქრიალობს პაწია მატარებელი, რომელიც მიეზიდება ყოველ წლობით ოცსა და ოცდაათ მილიონ ფუთს მარგანეცს“. ამ მნიშვნელოვან წამოწყებაში პრიორიტეტი ეკუთვნის აკაკი წერეთელს. „პოეტის ზენაარმა ოცნებამ იოცა შავი ქვის ბზინვარება, მას წარმოუდგა იგი სასარგებლო მადნებად, წარმოუდგა ნათლად მომავალი სიმდიდრე და ბედნიერება; დასდო დროებით ჩონგური მგოსანმა... წავიდა, აჩვენა მადნის ნიმუშები რუსებს და ევროპელთ, მოიწვია მცოდნე პირები და ამ მეცადინეობას მოჰყვა შედეგად ხელოვნური გვირაბები, მუდმივი მუშაობა, გორად დადგმული მადნები და მილიონები, მას მოჰყვა შედეგად რკინიგზები და ევროპაში ცნობილი ჭიათურა“[2]. მართლაც, თვალსაჩინოა აკაკი წერეთლის დამსახურება ჭიათურის მარგანეცის მადნის მრეწველობის დაფუძნებაში. იგი „ათეული წლების განმავლობაში იღვწოდა“, რაც მაშინ ბევრს „ახირებული“, „სახუმრო“ და „სასაცილო“ საქმედ ეჩვენებოდა. 1879 წელს აკაკი წერეთელმა (ა. კაპანაძესთან ერთად) პირველმა წა-

---

[1] იხ. ა. კოპლავაშვილი, აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, გვ. 189.

[2] „კრებული აკაკისა“, 1893, № 10, განყოფილება I, გვ. 74 — 75.

მოიწყო ჭიათურის საბადოს სამრეწველო ექსპლოატაცია[3], რასაც იგი შეუდგა არა პირადი ინტერესებისათვის, არამედ „საზოგადო საქ-

---

[3] აკად. გ. ხაჭაპურიძემ თავის ნაშრომში „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“ (1955, გვ. 7), გაუგებრობის ნიადაგზე, უზუსტობა დაუშვა, როცა წერდა, რომ თითქოსდა „1858 წელს ფოთში ააგეს დიდი ნავსადგური და დაიწყო მარგანეცის გაზიდვა...“, რომ „70-იან წლებში რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით მარგანეცის გაზიდვა გაიზარდა“. მკვლევარმა ელ. ჭანიშვილმა თავის ერცელ გამოკვლევაში („მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში“, 1960. გვ. 125) გამოთქვა მოსაზრება, უფრო ზუსტად, ვარაუდი, რომლის თანახმად აკაკი წერეთელმა „მანგანუმის მადნის დამუშავება დაიწყო 1876 ან 1877 წელს“. ეს ვარაუდი მხოლოდ ერთ, თითქოსდა ანგარიშგასაწევ, თუმცა მაინც უდავოდ სათუო საბუთზეა დამყარებული. ეს საბუთი გახლავთ მთავრობის მიერ 1877—1878 წლებში ყვირილის გზის შესაკეთებლად თანხის გამოყოფა. ამ წლებში, როგორც ელ. ჭანიშვილი მიუთითებს, მართლაც მიმდინარეობდა დასახელებული გზის შეკეთება, კიდევ მეტი, ისეთი შედარებით უფრო სანდო წყარო, როგორიცაა «Сборник сведении о Кутанской губернии» (вып. второй, 1885, გვ. 16—17), გვაუწყებს, რომ შორაპნის მაზრის უფროსს, მთავრობამ ჯერ კიდევ 1876 წელს დაავალა შორაპანსა და ჭიათურას შორის გზის გაფართოება, ხოლო 1877—1878 წლებში ხაზინამ საამისოდ 7 856 მანეთი და 399 ფუთი ფეთქებადი მასალაც გამოყო. მაგრამ დასახელებული წყარო სავსებით გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ შორაპნიდან ჭიათურამდე გზის გაფართოებას მარგანეცის საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყებამდე შეუდგნენ, ხოლო 1879 წელს საბადოთა ექსპლოატაცია დაიწყო, რის შემდეგაც 1880 წელს, შორაპანი-ჭიათურის გზის მშენებლობის გაგრძელება დაევალა ინჟ. პოლკოვნიკ ლენჩევსკის, კომერციულ საფუძველზე (იქვე, გვ. 17, 3.). მთავრობა, მხარის უკეთ ათვისების მიზნით, გზებისა და ხიდების გასაკეთებლად თუ გასაუმჯობესებლად გარკვეულ ხარჯებს იღებდა საქართველოშიც. ამიტომ შორაპნის მაზრის ცენტრიდან ჭიათურამდე გზის გაფართოების 1876 წელს წამოწყება არ შეიძლება ჩაითვალოს ჭიათურის აუზში საბადოთა ექსპლოატაციის დაწყების მაჩვენებელ საბუთად. ამავე დროს მსგავსი ვარაუდი მით უფრო ძნელი გასაზიარებელია, რომ მრავალრიცხოვანი წყაროები, ასევე სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა არ შეიცავს მის დამადასტურებელ, რამდენადმე ხელშესახებ ცნობებს, ხოლო საწინააღმდეგოს — მრავლად. წყაროები ჭიათურის საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყებას თითქმის ერთხმად ათარიღებენ 1879 წლით. წარმოუდგენელია ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქმის წამოწყების და მასში პოპულარული მწერლისა და მოღვაწის, ა. წერეთლის, მონაწილეობის ფაქტის დათარიღებაში რამდენიმე წლით შემცდარიყო, მაგალითად, გაზეთი „დროება“, რომელიც დასახელებულ საბადოს დამუშავების დაწყებას 1879 წლით ათარიღებს (იხ. „დროება“ 1879 წ. № 248, 252) ასევე მხარის სამთო მრეწველობის საერთო განმგებელი — კავკასიის სამთო სამმართველო, რომელიც ხაზინის ფისკალური ინტერესებით ხელმძღვანელობდა და შედარებით უმნიშვნელო სამთო საწარმოებსაც, ვთქვათ, „ქვის სატეხებსაც“, დროულად აღრიცხავდა. ეს ორგანოც თავის მოხსენებაში ჭიათურის საბადოს დამუშავების დაწყებას 1829 წლით ათარიღებს (იხ. Отчет о деятельности управления горной частью на Кавказе и за Кавказом, Тиф., 1887, გვ. 163). მართალია, გიორგი წერეთელი წერდა, რომ „ეს მადნეული პირველად გავიდა კავკასიიდან საზღვარგარეთ 1878 წელს“ (იხ. „ივე-

მისათვის“, „როგორც საერთო საქმეს... ჩვენი ქვეყნის გამობრუნებისათვის[4]. ამასთან დაკავშირებით დიდი მგოსანი შემდეგში წერდა: „პირადი ანგარიში მე არ მქონდა, ოღონდ კი ის იმედები, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი, განხორციელებულიყო და მზად ვიყავი, მთელი ჩემი სიცოცხლე სიღარიბეში გამეტარებინა, გინდ ხელგაშვერილი დღიური ლუკმის მოსაპოვებლად“.

ჭიათურაში სამრეწველო საქმიანობის წამოწყებას აკაკიმ ბევრი დრო და ენერგია მოახმარა, მნიშვნელოვანი ხარჯებიც გასწია. მან საქმე იმით დაიწყო, რომ რუს, ნაფიც მსაჯულ-ოსტრიაკოვთან დადო პირობა, რომლის ძალით უკანასკნელისათვის მას უნდა ჩაებარებინა 2 მილიონი ფუთი მადანი. შემდეგ აკაკიმ იჯარით (500 თუმნად) აიღო სალომე წერეთლის (ანდრონიკაშვილის ქვრივის) მამულები. აკაკიმ 1879 წელს დაიწყო მადნის ძოპოვება და ამაში ჩააბა ადგილობრივი გლეხები. იმავე წლის მეორე ნახევარში ჭიათურაში ჩამოვიდა კონტრაგენტი ოსტრიაკოვი, რომელსაც ყაზახთა რაზმთან ერთად თან ახლდა ცნობილი საქმოსანი ფურმანი. ადგილობრივი მცხოვრებნი მალე დარწმუნდნენ, რომ საბადოს მყიდველი გაუჩნდებოდა. მათ ს. წერეთელს დავა დაუწყეს იმ მიწების თაობაზე, რომელიც უკანასკნელმა იჯარით გადასცა აკაკის — ამ მიწების მფლობელად თავისი თავი გამოაცხადეს. ადგილობრივმა მესაკუთრეებმა გზები შეკრეს და აკაკის უარი უთხრეს ძოპოვებული მადნის გასაზიდად გზის მიცემაზე. სალომე წერეთელმა უპირობა გამოიჩინა და აკაკის განუცხადა: „რადგანაც თქვენ მეოთხე იჯარის ვადა გაუშვით და დანიშნულ დღეს ხვედრი ფული არ შემოიტანეთ, მეც ავიღე და მადნები ივანე მუხრანბატონს გადავეცი, რადგანაც ის მეტს მაძლევსო“.

საქმე ჩაიშალა. ჭიათურის საბადოს საექსპლოატაციოდ აკაკის მიერ გაღებული ხარჯი —10. 000 თუმანზე მეტი, — საკვლევით აუნაზღაურებელი დარჩა, მით უფრო, რომ მის მიერ იჯარით აღებულ საბადოში უკვე მოპოვებული მადანიც სხვამ გაასაღა. ამის გამო აკაკი 1893 წელს

რია“ 1899, № 8), მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ არა კომერციული დანიშნულებით, არამედ ლაბორატორიულად შესასწავლ-შესამოწმებლად. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი გ. ლასხიშვილი (განი) წერდა: „შორაპანში საბადოების ექსპლოატაციას და მადნის დასავლეთ ევროპაში გაგზავნას შეუდგნენ მხოლოდ 1879 წელს“ (იხ. „ივერია“, 1886, № 30). ამრიგად, ოფიციალური წყაროები, ჭიათურის მრეწველობასთან დაკავშირებული სამთო სპეციალისტები, მკვლევარები, ასევე მრეწველობის მოცემული დარგის ჩასახვა-განვითარების საქმეში კარგად გათვითცნობიერებული მოღვაწენი გვიდასტურებენ, რომ ჭიათურის საბადოს სამრეწველო ექსპლოატაცია 1879 წელს დაიწყო.

[4] იხ. ა. იოვაძის პუბლიკაცია, აკაკი წერეთელი, დოკუმენტები, „საისტორიო მოამბე“, 1953, № 7, გვ. 420.

წერდა: „დამრჩა ხელში მხოლოდ სუდები და პროცესები, რომელსაც, რასაკვირველია, მე სიამოვნებითა და ხალისით ვერ მივეტანებოდი“[5]. „ცამეტი წელიწადი, — განაგრძობს მგოსანი, — საცინლად მიგდებდნენ, ხელს მიშლიდნენ, არ სჯეროდათ ჩემი... და, როდესაც ყველაფერი გამართლდა, მაშინ კი თითქოს არაფერი ამბავიაო, გადააფუჩეჩეს“[6]. აღმოჩნდნენ ისეთებიც, აკაკის უმართებულოდ რომ კიცხავდნენ. მათ ის მოაგონებდა თავის ღვაწლს: „მე უტეხ ტყეში შევედი, ახო ავიღე. დავხანი, დავთესე, მოვმკე, გავლეწე, გავანიავე და როდესაც გამოცხვა, სხვებმა... ხელიდან გამომგლიჯეს, მაგრამ თვითონ კი ლამაზად შეექცნენ და მზამზარეულზე ლხინი გაჰმართეს“[7]. მართლაც, ჭიათურისაკენ მალე დაიძრნენ ადგილობრივი, რუსი და უცხოელი საქმოსნები და ფირმები, რომლებიც შეძლებისდაგვარად თავიდანვე ენერგიულად გულმოდგინეობდნენ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში დასამკვიდრებლად. ამის გამო გაზეთი „დროება“ 1879 წელს წერდა: „უნდა იცოდეთ, თუ რა ცხო ჩაუდგა შავმა ქვამ სტუმრებსაც და მასპინძლებსაც და რანაირი თრთოლვით ააძიგძიგა „მადნის ცხელებამ“ ყველა მრუდი და მართალი, პატრონი და საპატრონე. რომ შეხედოთ არის გადაბმული ცხენი ცხენზე, ფაიტონი ფაიტონზე. ინჟინრები, იჯარადრები, ვაჭრები და ჩარჩები, მოხუცი და ახალგაზრდა მიეშურებიან შავი ქვისაკენ ბრწყინვალე იმედებით აღფრთოვანებულები“[8]. ქართველებიდან, აკაკის შემდეგ, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში ერთ-ერთი პირველთაგანი ჩაება ცნობილი მსხვილი მემამულე — რაციონალიზატორი ივანე მუხრანბატონი, რომელსაც შეუკავშირდა რიშარის სავაჭრო სახლი თბილისში[9]. მან ფართო მასშტაბით წამოიწყო საექსპლოატაციო სამუშაოები, მოპოვებული მადნის რკინიგზის მაგისტრალამდე გადასაზიდად «Выписал 200 конных ароб и осетин из Терской области»[10]

მარგანეცის მადნის საბადოთა იჯარით აღებასა და სამრეწველო ექსპლოატაციას იმთავითვე შეუდგნენ თავადაზნაურობისა და გლეხობის წრიდან გამოსული ქართველი, აგრეთვე სხვა ეროვნების ადგილობრივი საქმოსნები, მათ შორის ცნობილი ვაჭრები, სახელდობრ.

---

[5] იხ. აკაკი წერეთელი, შავი ქვის ამბავი, „ივერია“, 1893, 8 დეკემბერი, № 265; „კვალი“, 1902, № 49, გვ. 793.

[6] ა. წერეთელი, შავი ქვის ამბავი, „ივერია“, 1893, 9 დეკემბერი, № 266.

[7] იქვე.

[8] „დროება“, 1879, № 252.

[9] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 4814, 1891—1892 гг. л. 518; Сборник сведений о Кутаисской губернии. Выпуск второй, К., 1885 г., გვ. 9.

[10] Сборник сведения о Кутаисской губернии. Выпуск второй, 1885 г., გვ. 20.

მე-2 გილდის ვაჭრები: ყვირილელი გედევან ჩუბინიძე, ფოთელი პავლე მოსეშვილი, ოზურგეთელი (მერმე ქუთაისელი) იორდანე სიხარულიძე, წეველი ყარამან გაჩეჩილაძე, საჩხერელი დავით გაფრინდაშვილი, თბილისელები — გ. კუზანოვი, ა. ალავერდოვი, ე. ტერსიმონოვი, ი. ათაბეგოვი, ქუთაისელები ძმები იაკობ და ზაქარია ოგანეზოვები, ახალციხელები — გ. აზნაუროვი და ო. ათაბეგოვი, ფოთელი ფ. ავგერინო, გუბელი ლევან მოსეშვილი[11] და სხვ.

თავად-აზნაურთა წრიდან მარგანეცის მრეწველობაში (ივ. მუხრანბატონის გარდა) თავიდანვე ჩაებნენ: დ. აბაშიძე, ი. წერეთელი, ნ. დადიანი, ა. მიქელაძე, ე. ერისთავი, ნ. ჩოლოყაშვილი, ე. წერეთელი, ი. აბდუშელიშვილი, კ. აბდუშელიშვილი, თ. ჯაფარიძე, ზ. ბარათაშვილი, ვ. წერეთელი, ნ. წერეთელი, ი. გამყრელიძე, ე. რატიანი. გ. ჯაფარიძე[12] და სხვ.

მარგანეცის მრეწველები გახდნენ აგრეთვე სასულიერო წოდების ზოგიერთი წარმომადგენლებიც, კერძოდ, მღვიმევის მონასტერი, რომელსაც ეკუთვნოდა 25 დესეტინა ფართობის მადნიანი ნაკვეთები მღვიმევში[13], 7 დესეტინა ზედა რგანში და სხვაგან[14]. მონასტრის სამრეწველო საქმიანობას წარმართავდნენ წინამძღვარი მონაზონი ელენე ჭუმბურიძე, კაცხის მონასტრის იღუმენი ნიკიფორე და დეკანოზი იოანე აბაშიძე. მრეწველები გახდნენ აგრეთვე ე. გაფრინდაშვილი, პერეკისელი გერონტი[15] და სხვ. მარგანეცის მრეწველობის გარიჟრაჟზე მეწარმეთა საერთო რიცხვის თითქმის 50% გლეხთა წრიდან იყო გამოსული. მათ შორის უმრავლესობა საბადო ნაკვეთების მფლობელებია, უმცირესობა კი მოიჯარადრენი. მარგანეცის მრეწველები გახდნენ სხვადასხვა კატეგორიის (მესაკუთრე, სახელმწიფო, აგრეთვე დროებითვალდებული) გლეხები: შუქრუთელი ო. ჩაჩანიძე, ქუთაისის მაზრის სოფ. გუბის მცხოვრები ე. მოსეშვილი, მღვიმეველი მ. ღუღუნიშვილი, შუქრუთელი ი. გაფრინდაშვილი, რგანელი ს. ვაშაძე, წყალტუბოელი ლ. ჯიქია, მარტვილელი ყ. კვესელავა, ა. ხომაშურიძე

---

[11] Сборник сведений о Кутаисской губернии. Выпуск второй, 1885, გვ. 6-9; „ივერია", 1886, 7 თებერვალი, № 30; „ივერია" 1889, 12 იანვარი, № 8; ფ. წერეთელი, შავი ქვა, 1930, გვ. 64; სსსა, ფონ. 264, საქმეები: 967, 1093, 1276. 969, 1292, 1034, 943, 1258, 1260, 1261, 1099, 1234, 1165, 1166, 1231, 1236, 1262, 1225, 1241.

[12] სსსა, ფონ, 264, საქ. 1230, 1232, 1228, 1269, 1347, 1353, 1350, 1238, 1230, 1235, 1247, 1274, 1284, 1369.

[13] ЦГИАЛ, Ф. 1290, оп. 6. Д. 48, л. 74.

[14] სსსა, ფონ. 264, საქ. 1224, ფურც. 4. მღვიმის მონასტერს სულ გააჩნდა 820 ქცევა (იხ. Отчет о деятельности Совета съезда марганцепромышленников за 1905 и 1906 гг., К., 1907, გვ.. 210).

[15] სსსა, ფონ. 264, საქ. 1654, 1367.

(იგივე ხაჟომია), სამტრედიელი ს. ჯანელიძე, ქუთაისელი ი. პატარიძე, დარკვეთელები კ. ბ. და პ. კაციტაძეები, შუქრუთელები ი. ბ. და მ. ჩაჩანიძეები, სარქველთუბნელი დ. და ი. სამყურაშვილები, ჭიათურელი ზ. და ვ. ვაშაძეები, რგანელი გ. ი. და ა. ხვედელიძეები, ს. კუპატაძე, ბ. ლერთოდიანი, ჟ. და მ. ჩაჩანიძეები, ი. დ. და ვ. ვაშაძეები და სხვ.[16].

ქართველი ინტელიგენციის წრეებიდან გამოსულ მრეწველთაგან ყველაზე ცნობილი მეწარმენი გახდნენ ნიკო ღოღობერიძე, პეტრე წულუკიძე, ს. წერეთელი, აგრეთვე ნ. დადიანი, გ. ჩიკვაიძე, ე. ჯაფარიძე, ტექნიკური ინტელიგენციიდან და მთავრობის მოხელეებიდან — თადარიგის ინჟ. გენერალ-მაიორი ადოლფ ფალკენგანგენი, ინჟ. ბორჟილი, ე. ნიჟარაძე, ი. მატვეევი და სხვ.[17].

ჭიათურაში სამრეწველო საქმიანობის წამოწყება თავიდანვე ს

თად, რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ერმოლოვს, რომელიც 1894 წელს სპეციალურად ეწვია ჭიათურას, დაბეჯითებით მოახსენებდა ჭიათურის მრეწველობის ამბებში თავიდანვე კარგად ინფორმირებული ინჟინერი სიმონოვიჩი, რომ ჭიათურის საბადოს დამუშავების დამწყებია „Три духанщика, которые и должны считаться основателями марганцевой промышленности“[19]. ამასთანავე, საარქივო წყაროებისა და იმჟამინდელი ოფიციალური გამოცემების ერთი წყება პირდაპირ ეწინააღმდეგება ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარის მტკიცებას უცხოელთა მიერ ჭიათურაში სამრეწველო საქმიანობის გვიან დაწყებაზე და იმას გვიდასტურებს, რომ საბადოთა შესაძენად და საექსპლოატაციოდ 1879 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდა: იმდროინდელი მსოფლიოში ცნობილი გერმანული ფირმის — კრუპის მეტალურგიული ქარხნის (ესსენი) პეტერბურგელი წარმომადგენელი გალბაუერი, სააქციო საზოგადოება „Gute Hoffnung“ი-ს (ვესტფალია) რკინის საბადოების დირექტორი ე. მაიერი და რუსეთისათვის ფერომარგანეცის მთავარი მიმწოდებლის — პეტერბურგის სავაჭრო სახლის — „კ. ვახტერისა და კომპანიის“ წარმომადგენელი ბარონი ო. ფონ მერცენფელდი, რომელსაც თან ახლდა სამთო ინჟინერი იოსსა[20]. აქვე შევნიშნოთ, რომ ბარონი ო. ფონ მერცენფელდი ჭიათურაში საქმიანობის წამოწყებას თავდაპირველად ცდილობდა თავის რწმუნებულის ფურმანის მეშვეობითაც[21]. მერცენფელდმა იმთავითვე შეიძინა და იჯარითაც აიღო რამდენიმე ქცევა მადნიანი მიწები, „გამოიწერა“ ინსტრუმენტები და მუშები, დაიწყო შტოლნების გაყვანა. ამ დროიდან, სახელდობრ 1879 წლის ნოემბრიდან დაიწყო მან ჭიათურის საბადოთა ექსპლოატაცია[22]. ამას მოწმობს ო. ფონ მერცენფელდსა და სვირელ თავად დავით ქაიხოსროს ძე აბაშიძეს შორის 1880 წლის 19 იანვარს დადებული საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მე-6 მუხლი გვაუწყებს, რომ მერცენფელდს ამ ხელშეკრულების დადებამდე საკუთრივ, აგრეთვე თავისი რწმუნებულის მეშვეობით აუღია საბადო ნაკვეთები ვაშაძეებისაგან (რგან-

---

[19] ЦГИАЛ, 37, оп. 66, д. 2305, 1895 г., л. 33.

[20] იხ. Сборник сведений о Кутаисской губернии. К., 1885, გვ. 6; სსსა. ფონ. 264, საქ. 1307, ფურც. 52—60, საქ. 970, ფურც. 3; ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 4914, л. 517—518; ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 26. ф. 565 оп. 7, д. 26907, л. 9.

[21] იხ. გ. ლასხიშვილი (განი), შავი ქვის წარმოება, „ივერია“, 1886, 7 თებერვალი, № 30; Аргутинский-Долгоруков, История сооружения, Тиф., 1896, გვ. 589.

[22] Сборник сведении о Кутаисской губернии, К. 1885, გვ. 6.

ში)[23]. უეჭველია, რომ მერცენფელდმა ჭიათურის აუზში საწარმოო საქმიანობას ხელი მიჰყო 1879 წლის დამლევიდან.

მომდევნო წლის მიწურულს ჭიათურაში მუშაობას შეუდგა ფრანგული ფირმა „Terre neuve"[24], რომლის აგენტი იყო ფრანგი საქმოსანი პავლე პუჟე. მან იჯარით აიღო 5 ჰექტარი საბადო ნაკვეთები (რგანში) და სამრეწველო საქმიანობა გაშალა[25] უცხოეთიდან მოწვეული გამოცდილი მაღაროელი მუშების მეშვეობით[26]. 1881 წელს ფრანგმა ინჟინერმა ედმუნდ პიომ (ქ. მარსელი) ასევე იჯარით აიღო 20 ჰექტარის (18 დესეტინა) საერთო ფართობის საბადოები რგანში და წამოიწყო მათი სამრეწველო ექსპლოატაცია[27], ხოლო 1882 წელს ფრანგი სოლელიაკიც შეუდგა იჯარით აღებული ნაკვეთების (2 დესეტინა) სამრეწველო ათვისებას[28].

1883 — 1884 წლებში სამრეწველო საქმიანობას ხელი მიჰყო ფრანგმა ანტონ კომპანიონმა, რომელმაც საამისოდ იჯარით აიღო 2,5 დესეტინა ფართობის საბადო ნაკვეთები. 1884—1885 წლებში ჭიათურის აუზში 4 დესეტინა საბადო ადგილები იჯარით აიღო და მეწარმეობა დაიწყო იტალიის ქვეშევრდომმა გასტონ ბოლდეტიმ.

მოიჯარადრე მრეწველი გახდა საბერძნეთის ქვეშევრდომი გ. ვაკულოპულო[29]. ჭიათურაში სამრეწველო საქმიანობის წამოსაწყებად მოვიდნენ აგრეთვე კონსტანტინეპოლელი ვაჭრები ტომბაკო და ტირანდა-ფელიდი[30].

ამრიგად, ვხედავთ, რომ ჭიათურას მოაწყდნენ სხვადასხვა ქვეყნისა და ეროვნების, სხვადასხვა სოციალური წარმოშობის (ადგილობრივი და მოსული) საქმოსნები. ჭიათურის აუზში ქართველ მეწარმეთა მეტოქედ რომ 1879 წელსვე გამოჩნდნენ რუსი და უცხოელი საქმოსნები, ეს აშკარაა; ამასთან დაკავშირებით ნ. დადიანი 1879 წელსვე გამოქვეყნებულ წერილში „ქვაგუნდის გაწამაწია" იუწყება: ჭიათუ-

---

[23] იხ. სსსა. ფონ. 264, საქ. 970, ფურც. 3.

[24] ი. გ. ლასხიშვილი, დასახ. სტატია, „ივერია", 1886, 7 თებერვალი, № 30; გ. წერეთელი, შავი ქვის წარმოება დასავლეთ საქართველოში, „ივერია", 1889, 12 დანვარი, № 8; ზოგიერთი წყაროს მოწმობით ეს ფირმა იტალიურადაა მიჩნეული, რაც სწორი არ არის, იხ. სსსა, ფონ. 264, საქ. 1049, ფურც. 1—12; ЦГИАЛ, Ф. 1263, оп. 2, д. 4914, л. 418—519; Сборник сведений от Кутаисской губернии. К., 1885, გვ. 10—11.

[25] სსსა, ფონ. 264, საქ. 1049, ფურც. 9—10.

[26] იხ. „ივერია" 1886, 17 თებერვალი, № 30.

[27] სსსა, ფონ. 264, საქ. 1049, ფურც. 10.

[28] ЦГИАЛ, ф. 1263. оп. 2. д, 4914, д. 518—519.

[29] სსსა, ფონ. 264, საქ. 1123, ფურც. 2; საქ. 1164, ფურც. 1, საქ. 1299, 1348.

[30] Сборник сведении о Кутаисской губернии, К., 1885, გვ. 9.

რის საბადოს „შემოესიენ ყოველის მხრით... ისე, რომ არც ბარონი აკლია, არც გრაფი, არც ადვოკატი, არც ნოტარიუსი, არც მეწვრილმანე, არც მესხვილმანე ვაჭარი, არც ურია, არც სომეხი, არც მთას გადალმელი, არც ზღვას გადალმელი, არც ერთი თემი არავინ"[31]. ქართველი, სომეხი, ებრაელი, ბერძენი, რუსი და უცხოელი (გერმანელი, ფრანგი, იტალიელი, ბერძენი, თურქი) საქმოსნები (ვაჭრები, მემამულეები, მრეწველები თუ სამრეწველო ფირმები) იმთავითვე ეცნენ საბადოებს, რომელთა ხელში ჩასაგდებად თავიდანვე სასტიკი მეტოქეობა დაიწყო და გაიშალა[32]. ჭიათურაში ადგილობრივი და უცხოური სამრეწველო კაპიტალის მეტოქეობას მკაფიოდ და არსებითად სწორად ახასიათებს გიორგი წერეთელი ნარკვევში „შავი ქვის წარმოება დასავლეთ საქართველოში"[33]. „მე მსურს, — წერს გ. წერეთელი, — მკითხველს თვალწინ დავუხატო კვალდაკვალ ასეთი სასტიკი ბრძოლა იმერლებსა და უცხოელებს შორის" ჭიათურის მრეწველობაში[34]. ავტორი გადმოგვცემს, თუ როგორ გულმოდგინებას იჩენდნენ ზემოთ ჩამოთვლილი უცხოური სამრეწველო და სავაჭრო ფირმების წარმომადგენლები (კომისიონერები) ჭიათურის საბადოების ხელში ჩასაგდებად და როგორი ბრძოლა გაიმართა ადგილობრივ და უცხოელ საქმოსნებს შორის ,ჭიათურის სამრეწველო რაიონში პირველობისათვის. ჩანს, რომ ქართველთა შორის, ივანე მუხრანბატონის გარდა, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში თავდაპირველად საიმედოდ ჩაება მრავალი ადგილობრივი საქმოსანი. აქ განსაკუთრებით ღრმად გაიდგეს ფესვები შემდეგში ცნობილმა მრეწველებმა გედევან ჩუბინიძემ და პავლე მოსეშვილმა. ამ ორი პიროვნების როლი იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ გ. წერეთლის აზრით, მათ იხსნეს ჭიათურა უცხოელთა გაბატონებისაგან: „თუ უცხო ქვეყნელებმა, — წერს იგი, — დღემდის შავი ქვის მადნებს ბრჭყალები ვერ ჩაასვეს, ვერც ერთი გოჯი მიწა აქამდე ვერ დაისაკუთრეს სულ ამ ორი კაცის მხნეობის და სიმარჯვის ბრალია"[35]. ასეთი ფართო განზოგადებით გამოჩენილი მოღვაწე, ჩვენი დაკვირვებით, რამდენადმე გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს დასახელებულ საქმოსანთა როლს, მხედველობიდან უშვებს რა მოცემულ პერიოდში ჭიათურაში უცხოური სამრეწველო კაპიტალის დამკვიდრების სხვა

---

[31] იხ. „დროება", 1879, 5 ქრისტეშობის თვე, № 252.

[32] იხ. გ. წერეთელი, შავი ქვის წარმოება დასავლეთ საქართველოში, „ივერია" 1889, 12 იანვარი, № 8.

[33] გ. წერეთელი, შავი ქვის წარმოება დასავლეთ საქართველოში, იხ. „ივერია". 1889, 12 იანვარი, № 8.

[34] იქვე.

[35] იქვე.

ხელშემშლელ სუბიექტურ და მეტადრე ობიექტურ ფაქტორებს, რომელთაც ქვემოთ შევეხებით.

ქართველი საქმოსნები არ შეუშინდნენ „დიდ ფულიანი კაცების, კომისიონერების, რაზმებს". „შეიქმნა ბრძოლა ჭიათურის გარშემო მადნეული ალაგების ყიდვის თაობაზე". „უცხოელებს, — განაგრძობს გ. წერეთელი, — უნდოდათ ეყიდათ საბადოები და მერმე ეწარმოებიათ ქვის საქმე". ქართველმა საქმოსნებმა „არ მოინდომეს, რომ უცხო ქვეყნელებს ჩაედგათ ფეხი შავი ქვის წარმოებაში და ამიტომ აგონებდნენ, უხსნიდნენ ადგილის მეპატრონეებს, რომ არასგზით არ გაეყიდნათ შავი ქვის მადნები. ამ სახით შეიქმნა სასტიკი ბრძოლა ორ მხარეს შორის. ცალ მხრით ადგილის მეპატრონენი პავლე მოსეშვილისა და გედევან ჩუბინიძის თაოსნობით იმაგრებდნენ თავიანთ ხელში ქვის წარმოებას; მეორეს მხრით, უცხო ქვეყნის აგენტები არა ჰზოგავდნენ თავიანთ მარწმუნებელთა ფულს, რომ ფულის დახმარებით გამოერთმიათ მადნები იქაურის მწარმოებლებისა და ადგილის მეპატრონეებისათვის"[36].

ამ დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, ხმა აღიმაღლეს გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ისინი სასიცოცხლოდ იყვნენ დაინტერესებული ჩვენში ადგილობრივი ძალებისა და რესურსების გამოყენების ბაზაზე მრეწველობის განვითარებით. მათ იმთავითვე დაიწყეს ცდა ჭიათურის მარგანეცის საბადოების უცხოელთა ხელში გადასვლის თავიდან ასაცილებლად. სერგეი მესხი გაზეთ „დროებაში" 1879 წელსვე გამოეხმაურა საბადოების მფლობელთა ბიერ მიწების უცხოელებზე გადაცემას და მათ მეპატრონეებს აფრთხილებდა: „ჩვენი რჩევა ეს არის, რომ ნუ აჩქარდებიან, ნუ ენდობიან ყველა უცნობ გამვლელ-გამომვლელს, ნუ დაერწმუნებიან იმათ დაპირებას, სიტყვას, ნურც იმათ ნოტარიალურ პირობას..." შემდეგ ის მათ არწმუნებდა: „...თუ ამდენი ხანი მოგითმენიათ, თუ ამდენი ხანი ეს შავი ქვა შავ ქვად ყრილა, ერთ-ორ წელიწადს, სანამ ყველაფერს დაწვრილებით და ბეჯითად გაიგებდეთ, კიდევ ეყაროს. თქვენი მადანი ისეთი საგნისათვის არის საჭირო, რომ მას შემდეგში, თუ არ მოემატება, დაკლებით მაინც არასდროს დააკლდება ფასი"[37]. ჭიათურის საბადოების საეკვო პირთა და უცხოელთა ხელში გადასვლის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე აკაკი წერეთელი. იგი შთაგონებდა საბადოთა მეპატრონეებს: „აი, რა შეიძლება მოხდეს: ზოგი სიღარიბით, ზოგი სულწასულობით, ზოგი უმეცრებით სულ ტყუილა-

---

[36] „დროება" 1879, 30 ნოემბერი, № 248.

[37] იქვე.

უბრალოდ დაკარგავენ ამ საშვილიშვილო საქმეს და ისეთის ხელში ჩააგდებენ, რომ თვითონვე საშვილიშვილოდ უღლად დააწვეთ კისერზედ და ბოლოს „არ ველოდითო“, და „არ გვეგონაო“ იწყონ თავის მართლება, მაგრამ ეს ვეღარაფერს მიეხმარებათ მათ მაშინ, როდესაც შავი-მიწის პატრონები თვითონ შავ მუშებად გადაიქცევიან და სხვის სამოწყალოდ დარჩებიან“[38].

ქართველი მოღვაწენი, რომლებიც თავის ქვეყნის სამრეწველო-ეკონომიური განვითარების აუცილებლობას ქადაგებდნენ, სწორად აფასებდნენ ჩვენში უცხოური კაპიტალის შემოჭრის შესაძლებელ შედეგებს და ამიტომ, ბუნებრივია, გადაჭრით ილაშქრებდნენ ჭიათურაში უცხოური კაპიტალის გაბატონების წინააღმდეგ.

სახელოვან მოღვაწეთა ხმა მთელი ერის მოწინავე ნაწილის გულისთქმას გამოხატავდა და მან კეთილმყოფელი გავლენა იქონია იმ-დროინდელი საქართველოს სამთამადნო მრეწველობის პირველხარისხოვანი დარგის ჩასახვა-განვითარებაზე, ადგილობრივ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე. მართალია, ჩვენში იმ დროს სამრეწველო კაპიტალის ნაკლებობა მტკივნეულად იგრძნობოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ადგილობრივმა საქმოსნებმა მოახერხეს მეწარმეობა, უცხოური კაპიტალის მოძალების მოგერიება, ჭიათურის მრეწველობაში გადამწყვეტი პოზიციების კარგა ხანით შენარჩუნება, გარედან მოსულებმა, მაგალითად, მერცენფელდმა, „არ დაზოგა არც ფული, არც შრომა და ენერგია ამ საქმის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ „...დიდხანს ვერ შეძლო მუშაობა და იძულებული გახდა საქმისათვის თავი მიენებებია“[39]. მერცენფელდს მეტოქეობა გაუწიეს პ. მოსეშვილმა, ი. სიხარულიძემ, ფ. ავგერინომ და განსაკუთრებით გ. ჩუბინიძემ. მათ „შეისყიდეს ან იჯარით აიღეს მიწები და ბარონს ხელიდან გამოაცალეს საქმე“[40].

ჭიათურის აუზში მარგანეცის საბადოთა ხელში ჩასაგდებად ადგილობრივ და უცხოურ კაპიტალს შორის მეტოქეობას ამწვავებდა და ამ ბრძოლაში ადგილობრივ კაპიტალს ხელს უწყობდა სამრეწველო რაიონში შექმნილი ვითარება, კერძოდ, საბადო ზეგნების ფართობის მეტისმეტად დაქუცმაცებულობა (სხვადასხვა მესაკუთრეთა თუ მფლობელთა ხელში)[41], ასევე მიწების გამიჯვნის დაუმთავრებლობა და

---

[38] „დროება“, 1880, 8 იანვარი, № 5.

[39] გ. წერეთელი, დასახ. ნარკვევი, „ივერია“, 1889, 12 იანვარი, № 8.

[40] გ. ლასხიშვილი, შავი ქვის მრეწველობის მდგომარეობა, „ივერია“, 1896, 7 თებერვალი, № 30.

[41] სსსა, ფონ. 264, საქ, 1307, ფურც. 60.

მფლობელთა შორის განუწყვეტელი დავა მიწების თაობაზე[42]. უცხოელები არ იყვნენ გარკვეული ადგილობრივ პირობებში, თანაც მათ უნდობლად ეკიდებოდნენ საბადოთა მეპატრონეები და სხვ.[43]

საბადოთა აუზში ხაზინას არ გააჩნდა „თავისუფალი" მიწები[44]. საბადოთა ფართობის თითქმის ნახევარი თავადაზნაურობას და სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა[45]. ასე მაგალითად, სოფ. პერევისაში თავადაზნაურულ ოჯახებს, გვიანდელი ცნობით, სულ გააჩნდათ 50 დესეტინა, თითოს კი 3—4 დესეტინა, სასულიერო პირებს—32 დესეტინა, თითოს 2—4 დესეტინა, ხოლო გლეხებს — 121 დესეტინა, მათ შორის ზოგიერთ გლეხურ კომლს 5 კვ საჟენიდან 900 კვ საჟენამდე, იშვიათადაც 1—2 დესეტინამდე[46]. სხვა ოფიციალური ცნობით მარგანეცის საბადოთა ფარგლებში დროებით ვალდებული გლეხების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების ფართობი კომლზე საშუალოდ შეადგენდა[47]:

სოფ. დარკვეთში	1	დესეტინასა და	54	კვ საჟენს
მღვიმევში	1	— „ —	1250	— „ —
შუქრუთში	1	— „ —	1074	— „ —
ითხვისში	1	— „ —	1283	— „ —
ზედა რგანში	1	— „ —	2106	— „ —
პერევისაში	2	— „ —	1479	— „ —
„ რგანში	3	— „ —	358	— „ —

ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები საბადო ზეგნების ტერიტორიაზე მცხოვრებ უმიწო და მცირე მიწიან გლეხთა აბსოლუტური და შეფარდებითი რაოდენობის შესახებ. ამავე დროს ცნობილია, რომ ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ კომლთა საერთო რაოდენობის 33% მიწით სრულიად არ იყო უზრუნველყოფილი[48]. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე მდგომარეობა იქნებოდა ჭიათურის აუზშიც. მესაკუთრე გლეხები მიწით შედარებით უკეთესად იყვნენ უზრუნველყოფილი[49]. ასე, რომ საბადოები დაქუცმაცებული იყო მცირე ნაკვეთებად. სამრეწველო რაიონის 10—15 სოფლის დროებით ვალდებულ გლეხთა შორის ბევრი უკვე გამოსყიდული ნადელის სრულუფლებიანი მფლობელიც გახდა. მათ შორის ზოგიერთს გააჩნდა მემამულე-

---

[42] ЦГИАЛ, ф. 1263. оп. д. 4914, 1891—1892 гг. л. 518 об.
[43] იქვე, ფურც. 518—519.
[44] ЦГИАЛ, ф. 37. оп. 66, д. 2305, 1895, л. 33.
[45] Сборник сведений о Кутаисской губернии, К., 1885. გვ. 8.
[46] ЦГИАЛ, ф. 1290, оп. 6. д. 47. 779—782.
[47] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, л. 27.
[48] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 100—102.
[49] იქვე.

ებისავან ნაყიდი მიწებიც. ირკვევა, რომ ჭიათურის აუბში მიწის მესაკუთრე გლეხთა რიცხვიც საგრძნობი იყო[50]. როგორც აღვნიშნეთ. საბადო ნაკვეთების მფლობელი გლეხებიდან მრავალი შეუდგა მათ სამრეწველო ათვისებას. ისინი მადნის მოპოვებას ეწეოდნენ თავის პატარ-პატარა ნაკვეთებში. საბადო მიწების მფლობელი ადგილობრივი თავადაზნაურობიდან ბევრმა სცადა მეწარმეობა და მას არაერთმა წარმატებითაც გაართვა თავი. ამის მიუხედავად, საბადოთა დიდი ნაწილი თანდათან გადადიოდა (უპირატესად იჯარით) მოსულ, შედარებით შეძლებულ ქართველ და უცხოელ საქმოსანთა ხელში. საბადოთა გაცემის პირობები (ჭიათურის მრეწველობის დაფუძნების ხანაში), იჯარის (რენტის) ფორმები აქ მეტად მრავალფეროვანი იყო. საბადოს მესაკუთრესა და მეწარმეს შორის საიჯარო ხელშეკრულება ფორმდებოდა სხვადასხვა პირობითა და ვადით. ხოლო საიჯარო ფასი დამოკიდებული იყო იჯარით გასაცემ საბადოს ავკარგიანობაზე. ჩვენი მიახლოებითი აღრიცხვით 1879—1894 წლებში დაიდო 2390 საიჯარო ხელშეკრულება, რომელთა ძალით მოიჯარადრე მრეწველთა ხელში გადავიდა 4 300 დესეტინის საერთო ფართობის 7254 ნაკვეთი. საბადოთა მესაკუთრეებს მოიჯარადრენი ურიგდებოდნენ სხვადასხვა პირობით. ასე მაგალითად, გედევან ჩუბინიძემ 1879—1886 წლებში მღვიმევში იჯარით აიღო 3 დესეტინა საერთო ფართობის საბადოები და მეპატრონეებს ყოველ ფუთ მადანში უხდიდა 2 კაპიკს, რგანში აიღო 7 დესეტინა და ფუთში უხდიდა 1,5 კაპიკს. შუქრუთში — 2,5 დესეტინა და ფუთში აძლევდა 1 კაპიკს. პავლე მოსეშვილმა 32 საიჯარო ხელშეკრულებით 12 წლით აიღო 13 დესეტინა ფართობის 28 საბადო ნაკვეთი ზედა რგანში, შუქრუთში და მღვიმევში; 21 ხელშეკრულების ძალით მოიჯარადრე საბადო ნაკვეთების მფლობელებს თითოეულ ფუთ მადანში უხდიდა 1—2 კაპიკს, ხოლო 11 ხელშეკრულებით მან საბადო ნაკვეთები აიღო ქცევობით: ქცევაში ყოველწლიურად იხდიდა 32 მანეთიდან 42 მანეთამდე, იმ პირობით, რომ მოიპოვებდა მადანს მისი ოდენობის შეუზღუდველად. გ. ჩუბინიძემ და პ. მოსეშვილმა იჯარით აღებულ საბადოთა წიაღით შეუზღუდველად სარგებლობის უფლება მოიპოვეს, ხოლო ზედაპირი, გზების, ფუჭი ქანების გადასაყრელი ფერდობებისა და სამრეწველო დანიშნულების ნაგებობათა ასაშენებლად აუცილებელი ზოგიერთი ადგილის გარდა, მთლიანად რჩებოდა იჯარით გაცემულ საბადოთა მფლობელების სარგებლობაში[51].

---

[50] ЦГИАЛ, ф. 1290. оп. 6, Д. 47, л. 778—782.

[51] Сборник сведений о Кутаисской губернии, вып. II, К., 1887. гз. 42—43.

ბოიჯარადრე-მეწარმე საბადოს მესაკუთრეს ხშირად ურიგდებოდა კუბიკური საკენსობიოთაც, ასე მაგალითად, მრეწველებმა დ. გაფრინდაშვილმა და ხ. აბაშიძემ გრიგოლ როსტომის ძე წერეთლისაგან (მღვიმევში) იჯარით აიღეს 0.5 დესეტინა საერთო ფართობის 4 ნაკვეთი, 3 წლით. მოიჯარადრენი ყოველ მოპოვებულ კუბ. საჟ. მადანში აძლევდნენ 25 მანეთს ვერცხლით. ხელშეკრულების მე-4 მუხლში ნათქვამი იყო: „თუკი მომავალში საბადოს საიჯარო ფასი მოიმატებს, ასეთ შემთხვევაში დასახელებული მოიჯარადრეები ვალდებული არიან გადაიხადონ მომატების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწის მესაკუთრეს უფლება აქვს ის სხვას გადასცეს“[52]. აზნაურმა თ. ჯაფარიძემ და წირქვალელმა გლეხმა ი. გაფრინდაშვილმა 1885 წელს მესაკუთრე გლეხ დ. ღუღუნიშვილისაგან 4 წლის ვადით იჯარით აიღეს საბადოს ნაკვეთები მღვიმევში, დარკვეთში. მოიჯარადრენი მეპატრონეს მღვიმევში მოპოვებულ ყოველ კუბ. საჟენ მადანში უხდიდნენ 15 მანეთს, ხოლო დარკვეთში — 10 მანეთს.

იორდანე სიხარულიძემ 1882 წელს ჭიათურელი ვაშაძეებისაგან 10 წლით აიღო დაახლოებით 3 დესეტინა საბადო ნაკვეთები მღვიმევში და ფუთში ოხდიდა 2 კაპიკს. მანვე 10 წლით აიღო 3 ქცევა ზედარგანელი გლეხის ვ. თაბაგარისაგან და წელიწადში თითოეულ ქცევაში უხდიდა 10 მანეთს. გარდა ამისა იორდანე სიხარულიძემ (თავისი რწმუნებულის, ე. ჩიკვაიძის მეშვეობით) 1885 წელს სალომე წერეთლისაგან 5 წლის ვადით ბითუმად აიღო დიდძალი მამულები მღვიმევში, ზედა რგანში, დარკვეთში, შუქრუთში, თაბაგრებში, წირქვალში და სარეკში, რაშიც მოიჯარადრე მეპატრონეს ყოველწლიურად უხდიდა 3.700 მანეთს (ყოველ ნახევარ წელიწადში წინდაწინ)[53]. საიჯარო პირობის დამრღვევი ჯარიმდებოდა 2000 მანეთით. ამასთანავე ჯარიმის გადახდის შემთხვევაშიც სალომე წერეთელი არ თავისუფლდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისაგან. ხელშეკრულების მე-12 მუხლში ნათქვამი იყო: «В случае войны России с иностранными державами если только театром войны будут берега Черного моря, действие сего договора на все время войны приостанавливается»[54]. გარიგების მიხედვით მოიჯარადრის სარგებლობაში მხოლოდ საბადოს წიაღი გადადიოდა.

ზოგიერთი საბადო ნაკვეთი სანახევროდ სარგებლობის უფლებით გაიცემოდა. ასე მაგალითად, შუქრუთელმა მესაკუთრე გლეხებმა ჩაჩანიძეებმა 1882 წელს 6 ქცევა საბადოს ნაკვეთები იჯარით გადას-

---

[52] სსსა, ფონ. 264. საქ. 1284, 1215, 1231, 1238.

[53] სსსა. ფონ. 264, საქ. 1099. 1258. 1261. 1099. 1260.

[54] სსსა. ფონ. 264. საქ. 1234.

ცეს მე-2 გილდის ვაჭარს ს. ხატისოვს, ხოლო 1884 წელს იგივე ნაკვეთი სანახევროდ სარგებლობის უფლებით გადასცეს მე-2 გილდის ვაჭარ ყარამან გაჩეჩილაძეს 9 წლით, 1000 მანეთად[55]. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც სხვა ამგვარ საიჯარო ხელშეკრულებებში აღნიშნული იყო: «Владельцам предоставляется пользоваться поверхностью заарендованных участков по их усмотрению, но не стесняя при этом арендатора в разработке и эксплоатации руд».

იშვიათი არ იყო შემთხვევა, როცა მოიჯარადრე გარკვეული ვადით აღებულ საბადოს სრული ათვისების უფლებას პოულობდა. მაგალითად: 1884 წელს მე-2 გილდის ვაჭარმა სარდიონ გაჩეჩილაძემ, თავის ძმებთან და აგარელ გლეხ თ. ებანოიძესთან ერთად, აიღო საბადო ნაკვეთი მესაკუთრე გლეხების — გაფრინდაშვილებისაგან 9 წლით 440 მანეთად, მაგრამ იმ პირობით (მუხლი მე-3), რომ «Если по истечении арендного срока в заарендованном имении марганцевые руды не истощается, то срок настоящего договора должен быть продолжен еще на 9 лет без всякого нас, владельцев, за то вознаграждения»[56].

საიჯარო ხელშეკრულებებზე დაკვირვება მოწმობს, რომ მოიჯარადრე მრეწველს, როგორც წესი, უფლება ენიჭებოდა მოპოვებული მადნის დასაწყობად ასევე ნაგებობათა გასამართავად გამოეყენებია საბადოს ზედაპირი, ესარგებლა მადნის გასაზიდი გზით, ხოლო გაცემული მიწის ზედაპირის თავისუფალი ნაწილი მესაკუთრის სარგებლობაში რჩებოდა, თუმცა იმ პირობით, რომ მოიჯარადრე მრეწველის საქმიანობას არ დააბრკოლებდა. თავის მხრივ მოიჯარადრეებს ხელშეკრულების ძალით ევალებოდათ «Не повреждать поверхности земли и имеющиеся на ней растения и насаждения за исключением под насыпи вывозимой из топелей во время добывания марганца земли, клад добытой руды и дорог»[57]. საიჯარო ხელშეკრულებებში ზუსტად იყო მითითებული შეთანხმებული მხარეების უფლება-მოვალეობა. ამ მხრივ ტიპიურია, მაგალითად, ბარონ ოტტო ფონ მერცენფელდსა და თავად დ. აბაშიძეს შორის 12 წლის ვადით დადებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების ძალით მოიჯარადრეს უფლება მიენიჭა თავის ნება-სურვილისამებრ, შეუზღუდველად ეწარმოები-

---

[55] ხელშეკრულებებში ვკითხულობთ, რომ მოიჯარადრეს უფლება ეძლევა «Разрабатывать и эксплоатировать марг. руды лишь в половинной части заарендованных участков», სსსა, ფონ. 264, საქ. 1165, ფურც. 2.

[56] სსსა, ფონ. 264, საქ. 1165, ფურც. 2—4.

[57] სსსა, ფონ. 264, საქ. 1299, ფურც. 2—3, საქ. 1358, 1164, 1347, 1353—1355, 1262, 1122, 1236, 1350, 1241, 1269, 1240.

ნა აღებულ საბადოთა ექსპლოატაცია, გამოეყენებინა მადნის დასაწ-ყობად აუცილებელი მიწის ზედაპირი. თავადი დ. აბაშიძე მოვალე იყო მოიჯარადრე დაეცვა იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე დავას დაუწყებ-და იჯარით აღებული მიწების თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველს მეორისათვის (ჯარიმის სახით) უნდა გადაეხადა 10 000 მანეთი. მოიჯარადრე მოვალე იყო წელიწადში მოეპოვებინა და გაე-ზიდა არა ნაკლებ 300 000 ფუთისა და ყოველ ფუთ მადანში გადაეხა-და დაწესებული საიჯარო ფასი. მერცენფელდი ვალდებული იყო წინდაწინვე გადაეხადა პირობითი საიჯარო ფასი (ანგარიშით 300 000 ფუთზე 3000 მანეთი), ხოლო თუ ის ამდენს არ მოიპოვებდა წლიუ-რად, ეს თანხა მაინც უკლებლივ რჩებოდა დ. აბაშიძეს. მოპოვებული და გასაზიდი მადნის ოდენობის შესამოწმებლად მოიჯარადრეს ევა-ლებოდა დაეშვა დ. აბაშიძე ან მისი რწმუნებული. მიწის მესაკუთრეს ეკრძალებოდა იჯარით გაცემული საბადოს სხვაზე გადაცემა, ხოლო მოიჯარადრეს საბადოების აღება სხვა მესაკუთრეებისაგან, გარდა იმ მიწებისა, რომლებიც მან ადრე აიღო. ხელშეკრულების ვადის გას-ვლამდე მერცენფელდს უფლება არ ჰქონდა უარი ეთქვა შეთანხმება-ზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იჯარით აღებულ საბადოში მარგანე-ცის მადანი გამოილეოდა, ხოლო თუ ის სხვა მიზეზით იტყოდა უარს საბადოს ექსპლოატაციაზე, ვალდებული იყო დ. აბაშიძისათვის მაინც ყოველწლიურად გადაეხადა 3 ათასი მანეთი ხელშეკრულების ვადის დამთავრებამდე. თავის მხრივ დ. აბაშიძესაც არ ჰქონდა უფლება მოიჯარადრისათვის საბადოს ექსპლოატაციაზე უარის თქმისა, წინა-ააღმდეგ შემთხვევაში პირველს მეორისათვის უნდა გადაეხადა 3 600 მანეთი. გარდა ამისა, მერცენფელდს ევალებოდა დ. აბაშიძისათვის (თუკი უკანასკნელი ამას თავისთვის მომგებიანად ჩათვლიდა) ნება მიეცა მონაწილეობა მიეღო მოიჯარადრის მიერ მოპოვებული მადნის გაზიდვაში საბადოებიდან რკინიგზის ყვირილას სადგურამდე, ხოლო გადაზიდვის ფასი ყოველწლიურად უნდა ყოფილიყო ისეთი, როგო-რიც საზოგადოდ იქნებოდა დაწესებული. ხელშეკრულებით შეთანხმე-ბულ მხარეებს შეეძლოთ თავისი უფლება-მოვალეობის სხვაზე გადა-ცემა, მხოლოდ იმ პირობით, რომ თვითონ პასუხისმგებლობას შეინარ-ჩუნებდნენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე[58].

ასეთი იყო საბადოთა იჯარის პირობების მრავალგვარობა, საიჯარო ფასი დამოკიდებული იყო იჯარით გაცემული საბადოს ავკარგიანობაზე, იქ მოპოვებული მადნის ხარისხზე, საბადოდან რკინიგზამდე მისი ტრან-სპორტირების პირობებზე და სხვ. ამასთან დაკავშირებით საყურადღე-

---

[58] სსსა, ფონ. 264, საქ. 970, ფურც. 2—4.

ნო განმარტებებს შეიცავს საარქივო საბუთები. კერძოდ, 1895 წლიდ-
დათარიღებული დოკუმენტური აღწერები, სადაც ვკითხულობთ: უკა-
ნასკნელი სამი წლის მანძილზე საბადოთა საიჯარო ფასი მერყეობდა:
ჰოიჯარადრე ყოველ ფუთ მადანში იხდიდა 1,5-დან 2 კაპიკამდე, ე. ი.
საშუალოდ 1,75 კაპიკს. სოფლებში ზედა რგანში, მღვიმევში,
ზუქრუთსა და პერევისაში, სადაც საბადოები მდიდარია და მისასვლელ-
გზებთან, ასევე სადგურ ჭიათურასთან შედარებით ახლოს მდებარეობს,
კუბიური საჟენი მადნის საიჯარო ფასი 20—30 მანეთს შეადგენდა, ხო-
ლო ჭიათურიდან უფრო დაშორებულ სოფლებში — რგანში, დარკვეთ-
სა და ითხვისში, სადაც საბადოები ნაკლებად მდიდარია და მადნის ფე-
ნებიც თხელია, კუბ. საჟ. მადნის საიჯარო ფასი 10—15 მანეთს უღრი-
და, ზოგ შემთხვევაშიც 20 მანეთს"[59].

მოიჯარადრენი იყვნენ ადგილობრივი, ასევე რუსეთიდან და უცხო-
ეთიდან მოსული საქმოსნები. ისინი რენტას მეტწილად ბითუმად ის-
ხდიდნენ, აღებული საბადოს ფართობის ოდენობის შესაბამისად, ან
მოპოვებული მადნის ოდენობისდა მიხედვით, კერძოდ, ფუთ მადანში
1-დან 2 კაპიკამდე, ხოლო კუბურ საჟენში — 15—30 მანეთს. იჯარის
ვადები 3 წლიდან 12 წლამდე აღწევდა, იშვიათად 18 წლამდეც. იჯა-
რით გაცემული საბადოს ზედაპირი, როგორც წესი, თითქმის მუდამ
ჰთლიანად მეპატრონის სარგებლობაში რჩებოდა (გამონაკლისს წარ-
ოადგენდა მადნის დასაწყობად, მის გასაზიდად, ფუჭი ქანების გადა-
საყრელად, აგრეთვე ნაგებობათა გასამართავად აუცილებელი მიწის
ზედაპირი), ხოლო წიაღი მოიჯარადრის ხელში გადადიოდა სხვადასხვა
პირობით (მოპოვება — შეუზღუდველად, ფუთობით, კუბ. საჟენობით,
„მარაგის სრულ ამოწურვამდე და "სხვ.).

მრეწველთა პირად საქმეებზე დაკვირვება მოწმობს, რომ 1879—
1885 წლებში მოიჯარადრეთა დიდ უმრავლესობას ქართველი ვაჭრები,
თავადაზნაურობის, აგრეთვე გლეხთა წრიდან გამოსული საქმოსნები
შეადგენდნენ, ხოლო უმცირესობას — უცხოელნი. ადგილობრივმა საქ-
მოსნებმა დაისაკუთრეს უმნიშვნელოვანეს საბადოთა შედარებით დიდი
მასივები, რითაც მარგანეცის მრეწველობაში გადამწყვეტი პოზიცი-
ების დაკავების შესაძლებლობა მოიპოვეს.

ირკვევა, რომ 1879 წლიდანვე იშვიათი არ იყო საბადო ნაკვეთთა
გაყიდვა, რასაც უფრო ეწოდნენ მიწის მცირე ნაკვეთების მფლობელ-
ნი, ე. ი. გლეხები. ამის გამო „დროების" კორესპონდენტი („საჩხერელი")
1879 წელს იტყობინებოდა: „მცირე ადგილის მეპატრონეები ჰყიდიან
და მსხვილი მემამულეები კი სხვა დროს ელიან"[60].

---

[59] ЦГИАЛ, Ф. 37, оп. 65, д. 2766, л. 2 об.; Ф, 37, оп.. 71, д. 43, л. 152.
[60] „დროება", 1879, 30 ნოემბერი, № 248.

მრავლად გამოჩნდნენ საქართველოა სხვა კუთხეებიდან მოსული ისეთი საქმოსნები, რომლებიც თავის შეძლებისდაგვარად ამუშავებდნენ ცალკეულ კომლთა თუ სოფლის სარგებლობაში არსებულ მადნიან ნაკვეთებს, რომელთაც იღებდნენ მოკლე ან გრძელვადიანი იჯარით. ანდა განსაზღვრულ დროში მოპოვების უფლებით[61].

მიწის იჯარით გაცემასა თუ შისი გაყიდვის ოპერაციებში ჩაებნენ უამრავი ჩარჩ-ვაჭრები, რომელთაც „ადვოკატებს" უწოდებდნენ. ე. წ. „ადვოკატებმა", — წერს „დროების" კორესპონდენტი, — რამდენიმე ღარიბ კაცს, რომელთაც ჰქონდათ თითო-ოროლა ნაკერი ამისთანა ადგილი, გამოართვეს პირობით, რომ რასაც აიღებდნენ ფასათ, ორიეენ ისარგებლონ, რადგანაც ადგილის მეპატრონეები დააჯერეს, რომ სხვანაირად ისინი მოტყუვდებიან გაყიდვაში და პირობის შეკვრაში". ამნაირად „ადვოკატებმა ადგილები ხელში ჩაიგდეს"[62].

საბადოს აუზის მოსახლეობას. მართლაც, მრავლად მოევლინა მძარცველად როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვაჭრები და მეწარმეები, სხვადასხვა ჯურის აგენტები და სპეკულანტები, რომლებიც საბადოთა მფლობელი მშრომელი მოსახლეობის მოტყუების ხარჯზე სუქდებოდნენ. ისინი იძენდნენ ან იჯარით იღებდნენ მიწებს, ხოლო შემდეგ უფრო მაღალ ფასებში ასხვისებდნენ. ასეთი იყო სვირელი თავადი დავით აბაშიძე, რომელმაც დიდძალი მამულები აიღო რგანსა და დარკვეთში, რაც შემდეგ იჯარით გასცა მერცენფელდზე[63] და სხვებზე. ამავე მიზნით სვირელმა თავადმა ა. აბაშიძემ რამდენიმე დესეტინა საბადოს ნაკვეთები აიღო რგანში[64], ქუთაისში მცხოვრებმა მ. სტეპანოვამ — 40 დესეტინა რგანში, ხოლო სვირელმა ე. ნიჟარაძემ — 8 დესეტინა დარკვეთში და სხვ.

მარგანეცის საბადოები სპეკულაციის საგნად იქცა, უცხოელთა ხელში მათი გადასვლის საფრთხეც შეიქმნა. მაგრამ, ამ ხანებში ადგილობრივი მოიჯარადრე მრეწველების გარდა მეწარმეობას ფართოდ მიყვეს ხელი საბადოთა მესაკუთრეებმაც. ამან კი ხელი შეუწყო უცხოელთა მეწარმეობის აღკვეთას ჭიათურაში. ამ მხრივ თვალსაჩინო როლი შეასრულა ცნობილმა ინტელიგენტმა ნიკო ღოღობერიძემ. ის ძმებთან ერთად რგანში ფლობდა 200 დესეტინა (საკარმიდამო, სახნავ-სათესი, ტყე) მიწას, რომლის ნაწილი დროებით ვალდებულ გლეხთა სარგებლობაში იყო[65], მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა ნ. ღოღობერიძეს მოცე-

---

[61] ЦГИАЛ, Ф. 37, оп. 67, д. 954, л. 38.
[62] „დროება" 1879, 30 ნოემბერი, № 248.
[63] ЦГИА, ფონ. 264, საქ. 970, ფურც. 2 — 3.
[64] ЦГИАЛ, Ф. 1290, оп. 6, д. 48, л. 741.
[65] ЦГИА, ფონ. 264, საქ. 1267.

მულ სივრცეზე საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის ფართოდ გაშლაში. მეწარმეობას თავიდანვე წარმატებით შეუდგა საბადოთა მესაკუთრე აზნაური ვ. წერეთელი[66], თავადები ვ. აბაშიძე და ნ. ნიჟარაძე[67], ბუქრუთელი მესაკუთრე გლეხი ი. გაფრინდაშვილი და მრავალი სხვა[68].

* * *

ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი მოიჯარადრენი, ასევე საბადოთა მეპატრონე მრეწველები ენერგიულად მოქმედებდნენ მარგანეცის მადნის საბადოთა ხელში ჩასაგდებად თუ შესანარჩუნებლად, უცხოელთა ხელში მათი გადასვლის თავიდან ასაცილებლად. ეს საქმოსნები, მეტადრე გ. ჩუბინიძე, პ. მოსეშვილი, ი. სიხარულიძე და სხვ., „უკეთ იცნობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მათ კვალდაკვალ სდიეს, ერთი მხრივ, „ვახტერისა და კომპანიის“, ხოლო, მეორე მხრივ, კრუპის წარმომადგენლებს, დაასწრეს მათ საუკეთესო საბადო ნაკვეთების ხელში ჩაგდება არა მარტო ზედა რგანში, საიდანაც პირველ ხანებშივე გამოაძევეს მერცენფელდი, და რგანში, სადაც გადაინაცვლეს ორივე ფირმის წარმომადგენლებმა, არამედ ყვირილის ხეობის ორივე სანაპიროდან“[69]. «Чубинидзе, — ვკითხულობთ ქუთაისის გუბერნიის 1885 წლის აღწერაში,—завладел всеми теми участками, где руда выходит в наружу и доступна к выработке открытыми работами и штольнями: таким образом для Мерценфельда остались только такие участки, которые окружены со всех сторон чужими, доступны только при выработке глубокими шахтами. Так, что дело это стало для Вахтера настолько убыточным, что проработав только около 2-х лет и оставив 100 тысяч рублей, он бросил его окончательно и отозвал своего поверенного в Петербург, где тот умер»[70]. ასე, რომ „კ. ვახტერმა და კომპანიამ“, რომელმაც 1880 წელს 97 მუშით აწარმოვა საექსპლოატაციო სამუშაოები და 170 000 ფუთი მადანი მოიპოვა, ისევე როგორც კრუპის წარმომადგენელმა, ხელი აიღო წარმოებაზე. ეს კომპანია თავის მარცხს ხსნიდა ზემოთ დასახელებულ ქართველ მეწარმეთა და მათი ე. წ. „იმერეთის ამხანაგობის“ მეტოქეობით. ასევე განდევნეს სხვა მეწარმენი, როგორიც იყო, მაგალითად, რიშარის

---

66 სსსა, ფონ. 265, საქ. 1235.

67 სსსა, ფონ. 264, საქ. 1232.

68 სსსა. ფონ. 264, საქ. 1352.

69 Сборник сведений о Кутаисской губернии, выпуск второй, 1885, გვ. 8.

70 იქვე, გვ. 8—9.

სავაჭრო სახლი თბილისში, მემამულე, გენერალ-მაიორი ივ. მუხრანბატონი, კონსტანტინეპოლელი ვაჭრები: „ტომბაკო, ტირანდა-ფელიდი და სხვები. წარმატება არ ხვდა ფირმა „Teere neuve"-საც[71]. მისმა წარმომადგენელმა ინჟინერმა პიომაც იჯარით აიღო საბადოები, უცხოეთიდან დასელოვნებული მუშებიც მოიყვანა და დაიწყო მადნის მოპოვება, მაგრამ იმის გამო, რომ უგზოობის პირობებში მადნის მოპოვებაზე უფრო ძნელი და ძვირი მისი რკინიგზის მაგისტრალამდე გაზიდვა იყო, მან ჭიათურის ეიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა განიზრახა და საამისო პროექტი მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა. ეს პროექტი მთავრობამ არ დაამტკიცა იმიტომ, რომ მისი ავტორი მოითხოვდა: „რადგან ამ გზებს ჩემი ფულით ვაკეთებ, ნება მომეცით მხოლოდ ჩემი ქვა ვზიდოო"[72]. ვიდრე მთავრობიდან უარს მიიღებდა ინჟ. პიომ მოასწრო საბადოდან ყვირილის ხეობამდე მადნის გადასაზიდად 1½ კილომეტრის სიგრძის საბაგირო გზის გამართვა-გაკეთება. მთავრობამ უარყო პიოს მოთხოვნა და უკანასკნელი იძულებული გახდა „მიეტოვებინა ასე კარგად დაწყებული საქმე"[73]. უფრო მეტ ხანს შერჩნენ ჭიათურის მრეწველობას იტალიელი ბოლდეტი და ფრანგი პუეე. „მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ფეხი მაგრად ვერ მოიკიდა და მუშაობა ვერ გააგრძელა იმდენად, რომ ადგილობრივი ვაჭრებისათვის კონკურენცია გაეწია"[74]. ჭიათურაში უცხოელთა დამკვიდრების ცდები ჩაიფუშა. გ. წერეთლის გადმოცემით, მერცენფელდმა ჭიათურაში 200 ათასი მანეთის ზარალი ნახა, პიომ — 120 ათასისა, საქართველოში მცხოვრებმა უცხოელმა ვაჭარმა რიშარმა (ივ. მუხრანბატონთან ერთად) — 80 ათასისა. საკონკურენციო ბრძოლას თავი გაართვეს ქართველმა საქმოსნებმა პ. მოსეშვილმა და გ. ჩუბინიძემ, რომელთაც 1884 წელს „წაგებული ჰქონდათ თითქმის 200 ათასი მანეთი თავისი და სხვისი ფული"[75]. უცხოელებმა „ვერა გააწყვეს რა, იმიტომ კი არა, რომ ამისათვის საკმაო კაპიტალი არ მოეძებნებოდათ, ან მათ გამჭრიახობა აკლდათ, იმიტომ რომ ქართველთა შეგნებამ მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწია"[76]. მართლაც, მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის მხარდაჭერას, როგორც აღვნიშნავდით, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურაში უცხოური სამრეწველო კაპიტალის გაბატონების თავიდან ასაცილებლად. ქართველმა საქმოსნებმა შეძლეს საუკეთესო საბადოთა შენარჩუ-

---

71 Сборник сведений о Кутаисской губернии, К. 1885. გვ. 9, 10—11.

72 „იბერია", 1889, 12 იანვარი, № 8.

73 იქვე.

74 დ. წერეთელი, შავი ქვა, გვ. 68.

75 „იბერია", 1889, 12 იანვარი, № 8.

76 დ. წერეთელი, შავი ქვა, გვ. 64.

ნება ან იჯარით აღება და დასაკუთრება. ისინი უგზოობის პირობებშიც ახერხებდნენ მოპოვებული მადნის გადაზიდვას რკინიგზის მაგისტრალამდე. ხოლო უცხოურმა სამრეწველო კაპიტალმა ამ დროს ჭიათურაში ფეხი ვერ მოიკიდა. ამ. ერთი შესედვით, პარადოქსალურ გარემოებას თავისი განმსაზღვრელი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები გააჩნდა: ჯერ ერთი, სამრეწველო აუზში საბადო მიწის ნაკვეთები მეტისმეტად დაქუცმაცებული სახით ეკუთვნოდა მათ მრავალრიცხოვან მფლობელებს. ამავე დროს მიწის გამიჯვნის საქმე დაუმთავრებელი და შოუწესრიგებელი იყო, რის შედეგადაც მფლობელები თუ მოიჯარადრეები მიწების თაობაზე განუწყვეტლივ დავობდნენ, ერთმანეთს ეცილებოდნენ. თანაც, როგორც წესი, თითქმის ყოველი ნაკვეთი გარშემორტყმული იყო სხვადასხვა მფლობელთა კუთვნილი მიწებით, რის შედეგადაც ამა თუ იმ საბადოდან მადნის გაზიდვა მეზობელ ნაკვეთთა მფლობელთა თანხმობის გარეშე არ ხერხდებოდა. საქმეს ართულებდა სამრეწველო რაიონში სახელმწიფო ზედამხედველობის არარსებობაც.

ეხებოდა რა ამ გარემოებას და ჭიათურის მარგანეცის მადნის საბადოთა იჯარით აღებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს კავკასიის სამთო სამმართველო 1885 წელს აღნიშნავდა:

„პირველი სოლიდური მრეწველი კაპიტალისტები წააწყდნენ მთელ რიგ დაბრკოლებებს, როგორიცაა: მიწის მცირე ნაკვეთების გაუმიჯნაობა, სწრაფი გამდიდრების სურვილით შეპყრობილ მოიჯარადრეებს შორის წარმოებული გაუთავებელი დავა, სამრეწველო რაიონში ტექნიკური და საპოლიციო ზედამხედველობის არარსებობა. ამ მრეწველებმა, მნიშვნელოვანი კაპიტალების დაბანდების მიუხედავად, თავი ვერ გაართვეს დაბრკოლებებს და მიატოვეს წარმოება“[77]. ქუთაისის გუბერნატორი თავის 1891 წლის „უქვეშევრდომილეს“ მოხსენებაში წერდა: „სამიწათმოქმედო ურთიერთობის უსაზღვრო არეულობისა და წვრილ მფლობელთა სიმრავლის წყალობით, ასევე სხვადასხვაგვარი ეშმაკობით, აღგილობრივ მრეწველებს იოლად შეეძლო ბრძოლა მოსულებთან: უკანასკნელნი, უკეთეს შემთხვევაში აღმოჩნდნენ რა ნაკვეთებზე, რომლებიც გარშემორტყმული იყო სხვისი მიწებით, იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ საქმე“[78]. მეორე მხრივ, საბადოთა ექსპლოატაციის ფართო ნიადაგზე დაყენებას ართულებდა დაწყების სიძნელე: საბადოთა ხელში ჩაგდების სირთულე, მიმოსვლისა და (მადნის) ხელსაყრელ სატრანსპორტო საშუალებათა არარსებობა. საბადო ზეგნებიდან ყვირილას ხეობამდე გზები სავსებით გაუმართავი იყო, ხოლო

---

[77] სსსა. ფონ. 264, საქ. 1307, ფურც. 60.

[78] ЦГИАЛ. Ф. 1263. оп. 2. д. 4191. 1891 г. л. 518 об.

საბრეწველო რაიონიდან რკინიგზის მაგისტრალამდე მადნის საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით გადაზიდვაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. წარმოების რაციონალურად მოწყობა დიდძალი კაპიტალდაბანდების გარეშე შეუძლებელი ხდებოდა. უგზოობა, ადგილობრივი პირობების უცოდინარობა და ჩასახვის პროცესში მყოფი მრეწველობის დარგისადმი მთავრობის გულგრილობა და უზრუნველობა უცხოურ კაპიტალს წარმოებაზე ხელის აღებისკენ უბიძგებდა. ასეთ ვითარებაში უცხოელებს სარისკო საქმედ მიაჩნდათ დიდძალი კაპიტალების დაბანდება საბადოთა ხელში ჩასაგდებად, წარმოების, მიმოსვლისა და მადნის სატრანსპორტო საშუალებათა მოსაწყობად. ისინი ფრთხილად, ძუნწად ეწეოდნენ კაპიტალდაბანდებებს წარმოებაში და მოხერხებულად მოქმედებდნენ სხვის მიერ მოპოვებული მადნის ადგილობრივი ბაზრის დასაპყრობად. უცხოელებმა მალე, 1885 წლიდან რამდენიმე ბნით ხელი აიღეს ჭიათურის საბადოებზე და საქართველოს მარგანეცის მადნის სხვა, რკინიგზის მაგისტრალური ხაზის მახლობელ, საბადოებში (აჯამეთი, ჩხარი, ნახშირღელე და სხვ.) გადაინაცვლეს[79]. ამასთანავე მათ გააჩაღეს ბრძოლა მარგანეცის მადნის ადგილობრივ ბაზარზე (უმთავრესად ზესტაფონში, გომში, ფოთში, ბათუმში, იშვიათად ჭიათურაში) მომგებიანი სავაჭრო ოპერაციების პირობების გასაუმჯობესებლად. მათ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მარგანეცის მადნის ადგილობრივ ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს. ასე რომ ამჯერად უცხოურმა კაპიტალმა ჩვენებური მადნის ექსპორტის სფეროში გადაინაცვლა.

ამრიგად, ჭიათურის მრეწველობის ასპარეზზე ძირითადად მხოლოდ ადგილობრივი მრეწველები დარჩნენ და მათ „ძლევამოსილება იდღეასწაულეს უცხო ქვეყნელების წინააღმდეგ. ეს მოხდა 1885 წლის დამდეგს“[80].

ქართველი თავადაზნაურობის, ასევე გლეხობისა და ვაჭართა წრიდან გამოსული მრეწველები თავიდანვე დაეწაფნენ საბადოების ექსპლოატაციას. ისინი ცალ-ცალკე და ზოგჯერ ერთმანეთთან კავშირშიც მოქმედებდნენ და მეტ-ნაკლები წარმატებით სარგებლობდნენ საამისო ხელსაყრელი პირობებით: მათ ეკუთვნოდათ ან იჯარით აიღეს საბადოები, კარგად გამოიყენეს მადნის მოპოვების ხელსაყრელი პირობები და ეფექტური საწარმოო-ტექნიკური აღჭურვილობის გარეშეც მოახერხეს საბადოთა ექსპლოატაცია და მოპოვებული მადნის გაზიდვა-გასაღება. იმდროინდელი ჭიათურის მრეწველობაში კარგად გათვითცნო-

---

[79] სსსა, ფონ. 264, საქ. 962.

[80] „იბერია“, 1889, 12 იანვარი. № 8.

ბიერებული მრეწველის, სოლომონ წერეთლის სიტყვით, 1879 — 1896 წლები ჭიათურის მრეწველობის ისტორიაში „რაინდული ხანაა", „რადგან მრეწველები „ვაჟკაცობას" აღგენენ და ბუღალტერისა და საანგარიშო ცხრილების მაგივრად ატრიალებდნენ ხმლებს, ხანჯლებს, კეტებს და ურმის ჭალებს. გარდა ამისა, ვისაც კი მოეპოვებოდა ერთი წყრაჭვი და ორი ნიჩაბი, იწყებდა შავი ქვის ტეხას და ნეუბრალებლად ჰლეპავდა ბუნებისაგან მოცემულ სიმდიდრეს და ეს იმიტომ, რომ მადნეულობის დაწზადებას არა ჰყავდა ყურისმგდებელი და მასწავლებელი"[81].

ჭიათურიდან უცხოური სამრეწველო ფირმების განდევნის შემდეგ ქართველმა მრეწველებმა, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, სახსრების ნაკლებობის ან უქონლობის გამო, დამოუკიდებლად ვერ შეძლეს საქმის გაგრძელება. საბრუნავი კაპიტალის სიმცირე ან უქონლობა მათ ამჯერადაც, ისევე როგორც ადრე, აიძულებდა თავისთვის წამგებიანი წინასწარი გარიგებით მიეღოთ კრედიტი („ავანსი", „ბეი" ან „სესხი") მადნის უცხოელი შემსყიდველებისაგან, რომლებისთვისაც უნდა დაემზადებინათ და წინასწარ დადგენილ ვადებში, დაბალ ფასებში ჩაებარებინათ მადანი. ამ ვითარებას ასე აღწერდა გ. ლასხიშვილი: „არც ერთ მრეწველს არ შეუძლიან იმუშაოს თუ წინდაწინვე ბეთი ფული არ მიიღო. მყიდველი ბეს არ მისცემს თუ ნასყიდობის პირობა არ შეკრეს; რადგან მომავალ წელში გამოსატანი ქვა ამ ზამთარშივე უნდა მომზადდეს და რადგანაც ამ ზამთარშივე საჭიროა ფული, ამიტომ მრეწველი იძულებული იქნება მომავალ წელიწადში გადმოსატანი ქვა ახლავე ნაფად გაჰყიდოს, რომ ბეი მიიღოს და იმუშაოს"[82].

ქართველ მეწარმეთა დიდი ნაწილის შედარებითი უსახსრობით მაქსიმალურად ისარგებლეს ჭიათურაში, ზესტაფონში, ფოთსა და ბათუმში მოკალათებულმა, მადნის უცხოელმა ექსპორტიორებმა და მათმა აგენტებმა, რომლებიც მეწარმეებთან წინასწარი გარიგებითა და კრედიტის გაღებით, შეღავათიან ფასებში იძენდნენ მადანს. ადგილობრივი მრეწველები იოლად ებმებოდნენ უცხოელ კრედიტორთა მიერ დაგებულ მახეში და კაბალაში ექცეოდნენ. ისინი იძულებული იყვნენ უშუალოდ ან შუამავალ-ვაჭართა მეშვეობით დაკავშირებოდნენ მადნის შემსყიდველ უცხოურ ფირმებს. მხარეებს შორის ხელშეკრულებები ფორმდებოდა, მრეწველები ამ ფირმებისაგან წინდაწინ, ბეის სახით, ფულს ღებულობდნენ და ვალდებულებას იღებდნენ, რომ კონტრ-

---

81 „საქართველო", 1920, 29 იანვარი, № 20.

82 გ. ლასხიშვილი (განი), შავი ქვის მრეწველობის მდგომარეობა, „ივერია", 1886, 16 ოქტომბერი, № 223.

აგენტს ჩაებარებდნენ მადანს წინასწარ გათვალისწინებული რაოდენობით. დებიტორი მრეწველები ხშირად მთელი დასამზადებელი მადნის სრულ ღირებულებას წინდაწინ ღებულობდნენ, ზოგჯერაც მხოლოდ მის ნაწილს. უცხოელი კრედიტორები ჭიათურელი მრეწველების მიმართ თანღათან უფრო ულმობელი გახდნენ. იგივე გ. ლასხიშვილი, რომელმაც მთელი 9 თვე დაჰყო ჭიათურის სამრეწველო რაიონში მდგომარეობის შესასწავლად, 1887 წელს აღნიშნავდა: „წლევანდლამდის უცხოელნი ჩვენ მრეწველთ ეხვეწებოდნენ, წინდაწინ ფულს იძლეოდნენ, ოღონდ იმუშავეთ და ქვა ჩაგვაბარეთ, ახლა კი საქმემ პირი იბრუნა"[83]. უცხოელთა მოქმედება ემყარებოდა შემდეგ მოსაზრებას: „მკვიდრთ არა აქვთ მატერიალური შეძლება თვითონ იმუშაონ. აქამდის თუ მუშაობდნენ, ჩვენგან წინად აღებულის ფულით; ახლა ნუღარ გავუმართავთ ხელსა; მყიდველები მარტო ჩვენა ვართ; ჩვენს იქით იმათ გზა არა აქვთ; ფულიც თუნდა იშოვონ კიდეც, მაინც ვერ გაჰბედავენ მუშაობას, თუ წლის დამლევს ან მომავალი წლის დამდეგს არ შეგვეკვრიან პირობით. თუნდა გაბედონ მუშაობა, მყიდველი ვინ იქნება? თითონ ხომ ვერ გაიტანენ საზღვარგარეთ. მაშასადამე ბურთი და მოედანი ჩვენ დაგვრჩება"[84]. მადნის უცხოელი ექსპორტიორები ცდილობდნენ უფრო და უფრო დაექვემდებარებიათ ქართველი მრეწველები, მოემზადებინათ პირობები მრეწველობის მოცემული დარგის დასაპყრობად.

უცხოური ფირმები მადნის ადგილობრივ ბაზარზე ხელოვნურად ქმნიდნენ ისეთ ვითარებას, როცა დამზადებული მადნის რაოდენობა აღემატებოდა მასზე მოთხოვნილებას. შესყიდული მადნის მარაგის ადგილზეევ შექმნით უცხოელები წარმატებით აბერხებდნენ მადნის ფასის ხელოვნურად დაცემას[85]. ამრიგად, უცხოური კაპიტალი სესხის მეშვეობით აკაბალებდა მარგანეცის მრეწველებს. შესყიდული მადნის მარაგის ადგილზეევ შექმნით და მისი ფასის ხელოვნურად დაწევის მეშვეობით სავაჭრო მოგების სახით იღებდა ზედმეტი ღირებულების, რამდენადაც შეიძლებოდა, მეტ ნაწილს.

როგორც დავინახეთ, საბადოთა ხელში ჩასაგდებად და ასათვისებლად ადგილობრივ და უცხოელ საქმოსნებს შორის თავიდანვე მწვავე მეტოქეობა გაიშალა. 1879 წლიდანვე დაწყებული საკონკურენციო ბრძოლა 1885 წლისათვის დამთავრდა ადგილობრივ მეწარმეთა გამარჯვებით.

აღებული ხანის ჭიათურის მრეწველობაზე და, კერძოდ, ადგილობ-

---

[83] „იბერია", 1887, 28 ოქტომბერი, № 225

[84] იქვე.

[85] იქვე.

რივი მრეწველების ფინანსიურ მდგომარეობაზე. აგრეთვე უცხოური კაპიტალის საკოლიტო ოპერაციებზე დაკვირვება მოწმობს, რომ ამ დროს ადგილობრივი მრეწველების უმეტესობა, უცხოელთაგან სესხის ძიების გარეშე, ვერ აბერხებდა საწარმოო საქმიანობის ფართოდ გაშლას. საამისოდ როგორც ჩანს, ადგილობრივ აუცილებელი წინაპირობები ჯერ კიდევ ვერაა საკმაოდ მომწიფებული. სამრეწველო კაპიტალიზმი, როგორც ცნობილია, თავისი განვითარების წანამძღვრების არსებობას საჭიროებს. მისი ძირთადი წანამძღვარია პირველ რიგში განვითარებული სასაქონლო მეურნეობა, რომელიც აღმოცენდება ნატურალური მეურნეობის რღვევის ნიადაგზე, რაც წარმოადგენს „სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის განვითარების მთელი პროცესის საფუძველს". ჩვენ, ცხადია, მიზნად არ ვისახავთ საქართველოში ამ პროცესის თუნდაც ზოგად დახასიათებას. ამასთანავე, ვფიქრობთ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედარებით დაბალი ფონის ერთგვარი, არც თუ ისე შემთხვევითი მაგალითია კაპიტალის ის წვავე ნაკლებობა, რომელსაც ქართველ მეწარმეთა ძირითადი მასა განიცდიდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის გარიჟრაჟზე. ამ გარეგანებაზე დაკვირვება მოწმობს, რომ ჩვენში, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში, ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გაღრმავებული მსხვილი კაპიტალის დაგროვების პროცესი, რასაც სამრეწველო კაპიტალიზმი მოითხოვს და გულისხმობს, ეს დაგროვება, როგორც ცნობილია, მხოლოდ მეორე მხარეა მთელი პროცესისა—სასაქონლო მეურნეობის განვითარებისა და მწარმოებლის გამოცალკევებისა საწარმოო საშუალებებისაგან, რომლებიც ამავე პროცესში გარდაიქმნებიან კაპიტალად მათი ახალი ფლობელის ხელში. ცნობილია, რომ საწარმოო საშუალებებისაგან მწარმოებლის გამოცალკევებისა და კაპიტალისტის ხელში იმ საშუალებათა კაპიტალად გადაქცევის პროცესში, კაპიტალისტური დაგროვების პროცესში, მიმდინარეობს სამრეწველო ბურჟუაზიის ჩამოყალიბება. ამ პროცესში კაპიტალი გარდაიქმნება კაპიტალისტური საწარმოს მატერიალურ სუბსტრატად, მის საწარმოო საშუალებად. ჭიათურის მაგალითზე ჩანს, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულისათვის ჩვენში კაპიტალისტური დაგროვების პროცესი ძლიერ გაღრმავებული არ არის. ამიტომ სამრეწველო ბურჟუაზიამ აქ გვიან აიდგა ფეხი და ძლივს მომძლავრდა. საქართველოს ეროვნული სამრეწველო ბურჟუაზიის მოცემული ჯგუფი, თავისი შედარებითი სისუსტის გამო, ვერ აუდიოდა მრეწველობის კაპიტალით უზრუნველყოფას. საამისოდ ის შემდეგშიც ხშირად უხმობდა უცხოურ სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალს, რომელიც ამით სარგებლობდა.

ბ) სამრეწველო ბურჟუაზია. მრეწველთა შემადგენლობა და კატეგორიები

სამრეწველო ბურჟუაზიის, როგორც კლასის, წარმოშობა კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარი და ელემენტია. მისი ჩამოყალიბება საზოგადოდ კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების პროცესში იწყება. ჯერ კიდევ ფეოდალურ-ბატონყმური სამეურნეო სისტემის ფარგლებში, თუმცა, ამ კლასის ჩამოყალიბების მიმდინარეობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ ხორციელდება. ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს სამრეწველო კაპიტალიზმის ძირითადი წანამძღვრის—სასაქონლო წარმოებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების — არსებობას, იმას, თუ რა დონეზე დგას სასაქონლო წარმოებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესი; ამასთანავე იმას, თუ როგორ მიმდინარეობს კაპიტალისტური სამეურნეო სისტემის ფორმირება მრეწველობაში, როგორ გადის ის თავისი განვითარების სტადიებს (წვრილი სასაქონლო წარმოება, კაპიტალისტური მანუფაქტურა, ფაბრიკა). უნდა შევნიშნოთ, რომ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების დონის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი: „ფული და საქონელი, სწორედ ისევე, როგორც წარმოების საშუალებანი და საარსებო საშუალებანი, თავისთავად სრულიადაც არ წარმოადგენენ კაპიტალს. ისინი საჭიროებენ კაპიტალად გარდაქმნას. მაგრამ ოვით ეს გარდაქმნა შეიძლება მოხდეს მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში, რომელნიც შემდეგ სახეს იღებენ: ერთმანეთს უნდა დაუპირდაპირდეს და კონტაქტში შევიდეს ორი მეტად განსხვავებული სახის საქონელმფლობელი, ერთი მხრივ, ფულის, წარმოების საშუალებათა და საარსებო საშუალებათა მესაკუთრენი, რომელთაც მათ მიერ მითვისებული ღირებულების ჯამის გაადიდებლად ესაჭიროებათ სხვისი სამუშაო ძალის ყიდვა; მეორე მხრივ, თავისუფალი მუშები, საკუთარი სამუშაო ძალის გამყიდველნი და, მაშასადამე, შრომის გამყიდველნი". „საქონლის ბაზრის ამ პოლარიზაციით, — განაგრძობს კ. მარქსი, — მოცემულია კაპიტალისტური წარმოების ძირითადი პირობები. კაპიტალისტური ურთიერთობა გულისხმობს, რომ საკუთრება შრომის განხორციელების პირობებზე გათიშულია მუშისაგან. როგორც კი კაპიტალისტური წარმოება საკუთარ ფეხზე დგება, იგი არა თუ ინარჩუნებს ამ გათიშვაა, არამედ აკვლავწარმოებს მას სულ უფრო და უფრო მზარდი მასშტაბით"[1]. ჩვენში კაპიტალიზმისა და მისი ძირითადი ელე-

[1] კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. 1. 1954. გვ. 897—898.

მენტების (კაპიტალის დაგროვება, ბურჟუაზიისა და სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება, სამრეწველო გადატრიალება) ფორმირება კლასიკური ფორმით, როგორც ეს ინგლისში მოხდა, არ განხორციელებულა. აქ ისევე როგორც რუსეთში, სამრეწველო კაპიტალიზმის, მისი ძირითადი ელემენტების ჩამოყალიბების პროცესს თავისი ისტორიული თავისებურებანი ახასიათებს. თავდაპირველი დაგროვებისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის საწყისი ეტაპების კლასიკური (ინგლისური) ფორმისაგან განსხვავებით, ამავე პროცესის არსებითი თავისებურება ჩვენს ქვეყანაში ბატონყმური ურთიერთობის შედარებითი ხანგრძლიობით და ამიტომ ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლოატაციის ფორმების კაპიტალისტური ექსპლოატაციის ფორმებით შედარებით ნელი შეცვლითაა გაპირობებული. ამიტომ ჩვენში „ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურიდან“ „კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურის წარმოშობა“, პირველის დაშლით მეორის „ელემენტების გათავისუფლება“ შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა. აქაც თითქმის ისევე, როგორც რუსეთში, ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში მკაფიოდ შეინიშნება თავდაპირველი დაგროვების ძირთადი ელემენტები და კაპიტალიზმის წანამძღვარები, მაგრამ ბატონყმობა და მისი გადმონაშთები თავის დაღს ასვამდა და ამუხრუჭებდა სამრეწველო წარმოებაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესს არა მარტო საგლეხო რეფორმის გატარებამდე, არამედ მის შემდეგაც. მართალია, რეფორმამ ჩვენში გაწმინდა ნიადაგი სამრეწველო-კაპიტალისტური განვითარების აუცილებელი პირობების საბოლოოდ დასამკვიდრებლად, გააუქმა „გარეეკონომიური იძულების“ იურიდიული ზედნაშენი — „ბატონყმური სამართალი“, მაგრამ, რეფორმის „ბატონურმა“ ხასიათმა განსაზღვრა ძველი წყობილების გადმონაშთების მრავლად შენარჩუნება, რაც დიდად აბრკოლებდა საწარმოო ძალთა განვითარებას—კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვებას. ამასთანავე ჩვენში, როგორც კოლონიურ მდგომარეობაში მოქცეულ ქვეყანაში, დასახელებულ პროცესს გარკვეულ შემთხვევაში ამუხრუჭებდა ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკაც. მსხვილი და გავლენიანი სამრეწველო ბურჟუაზია, როგორც ახალი სოციალური ძალა და ახალი საზოგადოებრივი კლასი, ისიც ეროვნული, ჩვენში, რუსეთისაგან განსხვავებით, გასული საუკუნის 60-იანი წლებისათვის არც არსებობდა. სამრეწველო ბურჟუაზიის, როგორც განსაკუთრებული კლასის, ფორმირება აქ მხოლოდ რეფორმის მომდევნო ხანას განეკუთვნება. მას თვალსაჩინო ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გავლენა არ მოუპოვებია კაპიტალისტური ეპოქის დადგომის დროისათვის.

რეფორმის მომდევნო პერიოდში, გლეხობის დიფერენციაციისა და

ჰისი კლასობრივი დაშლის სწრაფად მიმდინარეობის საფუძველზე საქართველოში ბურჟუაზიის რიგები ივსება საზოგადოების „ქვედა ფენებიდან“, სოფლის კულაკობის, სოფლის მევახშეების, ვაჭრებისა და სხვათა ხარჯზე. მის რიგებს ავსებენ აგრეთვე სხვა ეროვნების (სომეხი, რუსი, ბერძენი, ებრაელი) საქმოსნები და მოხელეები, აგრეთვე უცხოური კაპიტალის წარმომადგენლები. ჩვენში სამრეწველო ბურჟუაზიისა და ეროვნული კაპიტალის ფორმირების პროცესი უფრო შესამჩნევი ხდება 70-იანი წლების მიწურულიდან, განსაკუთრებით კი 90-იანი წლების სამრეწველო აღმავლობის პერიოდში, როცა კაპიტალის დაგროვების და კონცენტრაციის წყაროები გამრავლდა და ბურჟუაზიამ მეწარმეობის კარგი სკოლაც გაიარა. ასეთია ჩვენში ბურჟუაზიის, როგორც ახალი სოციალური ძალის, ჩამოყალიბების ზოგადი სურათი. საკითხის არსებით მხარეს, სახელდობრ იმას, თუ რა პირობებში მიმდინარეობდა საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარება და კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კლასების ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ფორმირება, მრეწველობის დარგების დეტალური შესწავლა დაგვანახვებს. საქართველოს სამრეწველო ბურჟუაზიის შევსების, მისი ეროვნული შემადგენლობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მისწრაფებებისა და როლის რამდენადმე სერიოზულად გაშუქება და შეფასება წარმოუდგენელიცაა მრეწველობის დარგების გენეზისისა და განვითარების პროცესის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე.

ამ შემთხვევაში მხოლოდ ჭიათურის სამრეწველო რაიონის ბურჟუაზიის ფორმირებაზე დაკვირვებით ვიფარგლებით.

კაპიტალისტური მრეწველობის ყოველი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დარგის ჩასახვა და განვითარება ჩვენში ამ დროს სამრეწველო ბურჟუაზიის ჩამოყალიბებასთანაცაა დაკავშირებული და ამ მხრივ ჭიათურის მრეწველობა გამონაკლისს არ წარმოადგენს.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა შემადგენლობა და კატეგორიები აღებულ პერიოდში საფუძვლიანად არ არის მიმოხილული ლიტერატურაში. ჩვენს ხელთ არსებული წყაროების ეპიზოდური მონაცემებითაც რამდენადმე ძნელი ან, რიგ შემთხვევაში, შეუძლებელიც ხდება ჭიათურის მრეწველობაში 1879—1894 წლებში ჩაბმულ მრეწველთა სოციალური შემადგენლობის მკაფიოდ დიფერენციაცია, ასევე სხვადასხვა კატეგორიის ანუ სხვადასხვა შესაძლებლობის მრეწველთა თანაფარდობის ზუსტად დადგენა. საქმეს ის ართულებს, რომ ჭიათურაში, მოცემულ პერიოდში, სამერწველო სტატისტიკა არ არსებობდა, სამრეწველო აღწერები არ ხორციელდებოდა, მით უფრო რომ სამთო ზედამხედველობა სამრეწველო რაიონში 1893 წლამდე ფორმალურადაც არ ასრულებდა თავის ფუნქციებს. ჭიათურაში ამ მხრივ სურათი ძირ-

ფესვიანად არც შემდეგში შეცვლილა. აღნიშნულის მიუხედავად შესაძლებელი ხდება მარგანეცის მრეწველთა ეროვნული, აგრეთვე სოციალური შემადგენლობის დიფერენციაცია. შესასწავლი ხანის ზოგიერთი წლის საამისო სტატისტიკური ცნობების კრიტიკული განხილვით დგინდება მრეწველთა საერთო რიცხვის საგრძნობი ზრდის ტენდენცია: ასე მაგალითად, 1880 წელს მრეწველთა საერთო რიცხვია 123: აქედან უცხოელია 8, რუსი — 4, ადგილობრივი სომეხი — 3, ბერძენი— 2. ებრაელი — 2, ხოლო ქართველი — 114. ქართველ მრეწველთა სიაზე დაკვირვებას (მათი სოციალური წარმოშობის დასადგენად) იმ ვარაუდამდე მივყავართ, რომ 114 ქართველი მრეწველიდან თავადაზნაურობის წრიდანაა დაახლოებით 58, სასულიერო წოდებიდან — 1, (მღვიმევის ქალთა მონასტერი), ხოლო 55 გლეხთა წრიდან უნდა იყოს გამოსული[2]. 1886 წელს მრეწველია 190; აქედან უცხოელია 1 (ინჟინერი პიო), რუსი — 5, სომეხი — 6, ბერძენი — 3, ებრაელი—3, ქართველი— 172, რომელთაგან დაახლოებით 83 თავადაზნაურობიდან უნდა იყოს. ხოლო 89 გლეხობიდან[3]. 1890 და 1893 წლებში, როგორც ჩანს, მრეწველთა საერთო სიები არ შემდგარა და წყაროს ზოგადი განცხადებით 1890 წელს მრეწველთა რიცხვია 199, ხოლო 1893 წელს —214[4]. 1894 წელს შედგენილი სიის მიხედვით მარგანეცის მრეწველთა საერთო რიცხვია 239[5]. მათ შორის, ჩვენი დაკვირვებით, სომეხია — 12, ბერძენი — 9, რუსი — 1, გერმანელი — 1 (გ. გროტე), ხოლო ქართველი — 216, საიდანაც თავადაზნაურობის წრიდანაა დაახლოებით 82 (37,9%) გლეხობიდან —134 (62,1%).

ამრიგად, ჯ ე რ ე რ თ ი, 1880 წლიდან 1894 წლამდე მეწარმეთა რიცხვი განუხრელად მატულობდა და ის გაიზარდა თითქმის ორჯერ, ამასთანავე განსაკუთრებით თვალსაჩინო ზრდა 1893 წლიდან იგრძნობა. ეს გასაგებიცაა, რადგან ჭიათურის რკინიგზის გაყვანამდე (ამ გზაზე ტვირთზიდვა 1893 წ. დაიწყო) „მარგანეცის მწარმოებელნი რიცხობრივად ბევრად უფრო ცოტანი იყვნენ"[6]. მ ე ო რ ე, 1880 წელს ჭიათურაში მომუშავე 8 უცხოური ფირმიდან 1886 წელს მარტო ერთი შერჩენია წარმოებას, ერთგვარად შემცირდა რუსი საქმოსნების რიცხვი და გაიზარდა სომეხ და ბერძენ მეწარმეთა რიცხვი, მ ე ს ა მ ე, მეწარმეთა ძირითად მასას ქართველები შეადგენდნენ და მრეწველთა რიცხვი მოცემულ პერიოდში სწორედ მათ ხარჯზე იზრდებოდა. მ ე ო თ ხ ე, 1880

[2] ЦГИАМ, ф, 3. 1157, оп. 1. д. 52, 1893 г.

[3] ი ქ ვ ე, ფურც, 248—252.

[4] იქვე, ფურც. 254. სხვა წყაროს მოწმობით 1890 წელს მრეწველთა რიცხვია— 193 (იხ. Отчет о деятельности Совета съезда марганцепромышленников за 1905 и 1906 гг., К., 1907, გვ. 210).

[5] ЦГИАЛ, ф. 37, Оп. 67, д. 954, л. 12—26.

[6] „კვალი", 1898, № 16, გვ. 274.

და 1886 წლებში ქართველ მრეწველთა საერთო რიცხვის დაახლოებით 50%-ზე მეტს შეადგენდნენ თავადაზნაურობის წრიდან, ხოლო დანარჩენს გლეხობიდან გამოსულნი; 1894 წელს კი ვითარება რამდენადმე შეცვლილია, ქართველ მრეწველთა საერთო რიცხვის 62% გლეხთა წრიდანაა გამოსული. ამრიგად, დროის მსვლელობაში მარგანეცის მრეწველთა საერთო მასაში გლეხური წარმოშობის მეწარმეთა შეფარდებითი რაოდენობა იზრდებოდა, ხოლო თავადაზნაურთა წრიდან გამოსულთა — მცირდებოდა. ვაჭრებზე კი ქვემოთ გვექნება საუბარი.

სხვადასხვა სიდიდის სამთო საწარმოებში ჩაბმული დაქირავებული მუშახელის რიცხვის, მათ მიერ მოპოვებული მადნის ოდენობისა და ღირებულების გათვალისწინება ერთგვარ გასაღებს მოგვცემს ე. წ. სხვადასხვა „კატეგორიის" (ანუ მასშტაბის) საწარმოთა კლასიფიკაციისათვის და, რაც მთავარია, მრეწველობის ბუნების დასახასიათებლად.

ქართულ საისტორიო და ეკონომიურ ლიტერატურაში გავრცელებულია მცდარი აზრი მთელი რევოლუციამდელი ხანის ჭიათურის მრეწველობაში ე. წ. „მსხვილ" სამთო საწარმოთა რიცხვის უკიდურეს სიმცირეზე, მრეწველობის ამ დარგის „კუსტარულობაზე". ამიტომ საჭიროა გზადაგზა გავაანალიზოთ შესაფერისი ცნობები, გადავსინჯოთ უსაფუძვლო მოსაზრებანი და, რამდენადაც შეიძლება, ცხადვყოთ, თუ როგორი იყო სხვადასხვა სამთო საწარმოთა და მთელი მრეწველობის ორგანიზაცია, როგორ გასცილდა ის თავის განვითარებაში კაპიტალისტური მრეწველობის პირველ სტადიას, როგორ გადაიზარდა მანუფაქტურულ და შემდეგ მანქანური ინდუსტრიის სტადიაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის ამჯერად საინტერესო პერიოდის (1879—1894 წწ.) რამდენადმე სისტემატურად და სრულად ამსახველი სტატისტიკური ცნობები არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დროის ამ მონაკვეთში მადნის წლიური მოპოვების მონაცემებს, რომელთაც ასევე ახასიათებს ნაკლულობა. სამაგიეროდ, როცა გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სტატისტიკის მოწესრიგება და საამისო კრებულების გამოცემა დაიწყო, მათმა შემდგენლებმა სცადეს 1879—1894 წლების ვითარების გათვალისწინება, სახელდობრ, კრებულებში მოათავსეს დასახელებულ წლებში მადნის საერთო მოპოვების მაჩვენებლები. სტატისტიკურ კრებულებში, ასევე საკითხის ისტორიოგრაფიაში, არცაა ნაცადი აღებული ხანის ჭიათურის მრეწველობაში მოქმედ სამთო საწარმოთა რიცხვის დადგენა და მით უმეტეს წვრილ, საშუალო და მსხვილ საწარმოთა ერთმანეთისაგან გამოყოფა. სამაგიეროდ სტატისტიკა 1895 წლიდან მარგანეცის მრეწველებს სამ ჯგუფად (სამ კატეგორიად) ყოფდა. პირველ კატეგორიაში მას შეჰყავდა წვრილი მრეწველები — 100 000 ფუთამდე მადნის მოპო-

ვებით; მეორეში საშუალო სიდიდის მრეწველები — 100 001 ფუთიდან 500 000 ფუთამდე მოპოვებით; მესამე კატეგორიაში მსხვილი მრეწველები — 500 000 ფუთზე მეტის მოპოვებით. ამრიგად, მრეწველთა კატეგორიებად დაყოფისას ამოსავალი და ერთადერთი გასაღები იყო მადნის მოპოვების სიდიდე[7].

ვფიქრობთ, მრეწველთა კატეგორიებად დაყოფისას მხოლოდ ამ ნიშნით სარგებლობა შეუძლებელია. წვრილ, საშუალო და მსხვილ მრეწველთა ცნების დასადგენად, ჩვენი აზრით, აუცილებელია დაყოფის საფუძველი განვსაზღვროთ ყველა იმ ცნობით, რასაც საწარმოთა აღწერა შეიცავს. ამასთანავე საჭიროა სხვადასხვა საწარმოს სხვადასხვანაირი საფუძველი გამოვუნახოთ, კერძოდ, ამ შემთხვევაში შეუძლებელია სხვადასხვა თანრიგის საწარმოებში ჩაბმულ მუშათა რიცხვის გაუთვალისწინებლობა. ზემოჩამოთვლილი კატეგორიების საწარმოთა ცნების დასადგენად ისევე, როგორც საზოგადოდ ფაბრიკის ან ქარხნის ცნების დასადგენად, ერთ-ერთ შედარებით საყურადღებო პირობით ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს შესაბამის საწარმოში დაბანდებული მუშათა რიცხვი, რასაც „მარგანეცის საქმის სტატისტიკა" ანგარიშს არ უწევდა სამთო საწარმოთა კატეგორიებად (წვრილ, საშუალო და მსხვილ საწარმოებად) დაყოფისას. საამისოდ ეს ნიშანი, ჩვენი დაკვირვებით, უფრო უტყუარი იქნებოდა, ვიდრე, ამა თუ იმ საწარმოში მოპოვებული მადნის ოდენობა, რაც რევოლუციამდელი სტატისტიკისათვის სამთო საწარმოთა კატეგორიებად დიფერენცირების ერთადერთ ნიშანს წარმოადგენდა. ასეთი, ერთ-ერთი პირობითი ნიშანი წვრილ სამთო საწარმოსათვის შეიძლება იყოს დაახლოებით 1-დან 10 მუშამდე, საშუალოსათვის — 10-დან 25 მუშამდე, ხოლო მსხვილი საწარმოსათვის 25 მუშის ზევით. ასეთი ნიშნის შემოღება საფუძველსმოკლებულად არ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფაბრიკის ცნების დასადგენად ვ.ი. ლენინმა ერთ-ერთ პირობით ნიშ-

---

[7] ეს მაშინ, როცა მადნის მოპოვების ოდენობა ხშირად სრულებით არ ასახავდა წარმოების ნამდვილ მასშტაბს, მით უმეტეს, რომ საბადოთა საექსპლოატაციო სამუშაოების მომზადება, რასაც ადგილი ჰქონდა უფრო მეტად მსხვილ საწარმოებში, ზოგჯერ დიდ დროს მოითხოვდა და ამის შედეგად დროის ამ მონაკვეთში მადნის უშუალო მოპოვება არ წარმოებდა. ამითაც აიხსნება, მაგალითად, ის, რომ 1894 წელს ე. საპაძემ 20 მუშით მოიპოვა მხოლოდ 77200 ფუთი მადანი, ხოლო ი. ველიევმა 2 მუშით 45000 ფუთი, ასევე ნ. ღოღობერიძემ თავის ერთ საბადოში 30 მუშით მოიპოვა მხოლოდ 190500 ფუთი, ეს მაშინ, როცა პ. მოსეშვილმა თავის ერთ-ერთ საბადოში 9 მუშით მოიპოვა 103550 ფუთი. ასეთი მაგალითები, რომლებიც მკაფიოდ მეტყველებენ იმაზე, რომ მადნის მოპოვება ყოველწლიურად ვერ ასახავდა წარმოების ნამდვილ მასშტაბს, მრავლადაა წარმოდგენილი ჭიათურის მრეწველობის შესაფერის აღწერებში (იხ. ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 12—26 .

ნად აიღო საწარმოში დაბანდებულ მუშათა რიცხვი — „არანაკლებ 16-სა"[8]. თუკი მუშათა ამ, შედარებით მცირე რიცხვს გავითვალისწინებთ, ჩვენი დაყოფა, ვფიქრობთ, ჭიათურაში სამთო საწარმოთა სიდიდეს სრულებით არ აზვიადებს. უნდა შევნიშნოთ, რომ მოცემული პირობითი ნიშნის მიხედვით სხვადასხვა სიდიდის საწარმოთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა მხოლოდ არქივებში დაცულ „მრეწველთა სიების" მეშვეობით შეიძლება, რადგან მარტო ისინი შეიცავენ თითოეული მეწარმის მიერ დაქირავებულ მუშათა რაოდენობის მონაცემებს, ამავე დროს ჩვენ მივაკვლიეთ და ხელთა გვაქვს განსახილველი პერიოდის მხოლოდ 1880, 1886, 1894 წლების სიები და ისინიც არაერთნაირად სრულფასოვანი, სადაც ნაჩვენები იქნებოდა ყოველი მრეწველის საბადოთა და მაღაროთა, ასევე მუშათა რიცხვი, მადნის მოპოვებისა და მისი ღირებულების ოდენობის მაჩვენებლები. ასე მაგალითად, მარგანეცის მრეწველთა პირველი ორი სია, რომლებიც 1880 და 1886 წლებს განეკუთვნება, არ შეიცავს შესაფერის მონაცემებს მეწარმეთა ხელთ არსებული მოქმედი მაღაროებისა და შტოლნების, მათ მიერ დაქირავებული მუშების, მოპოვებული მადნის ოდენობისა და მისი საერთო ღირებულების დასადგენად. მრეწველთა პირველი სია, სადაც ყველა ეს მონაცემია წარმოდგენილი, 1894 წელსაა შედგენილი. ამიტომ ეს დოკუმენტი იძლევა მრეწველთა სხვადასხვა კატეგორიაზე წარმოდგენის გამომუშავების შესაძლებლობას. მარგანეცის მრეწველთა 1894 წლის სიაში შეტანილია 239 სამთო საწარმო. ყველა საწარმოში აღრიცხულია 2183 მუშა[9]. ეს სია, სადაც მითითებულია თითოეულ სამთო საწარმოში ჩაბმულ მუშათა რიცხვი, შესაძლებლობას გვაძლევს საწარმოები დავაჯგუფოთ მუშათა რიცხვის გათვალისწინებით. სურათის სისრულისათვის ჯერ, ვფიქრობთ, საჭიროა მოვახდინოთ დეტალური დაჯგუფება. ასე მაგალითად, ჩვენი გამოთვლით, 1894 წელს მუშათა რიცხვის და მათი საერთო რაოდენობის მხრივ სხვადასხვა სამთო საწარმოებში ასე იყოფა:

68	საწარმოში მუშაობდა	1-დან 3-მდე	მუშა, სულ კი	159 მუშა
104	— „ —	1-დან 10-მდე	„ „	438 „
28	— „ —	10-დან 15-მდე	„ „	342 „
7	— „ —	15-დან 20-მდე	„ „	145 „
15	— „ —	20-დან 25-მდე	„ „	335 „
3	— „ —	25-დან 30 მდე	„	71 „
6	— „ —	30-დან 40-მდე	„	228 „

[8] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 552.
[9] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 12—26.

3	საწარმოში მუშაობდა	40-დან 50-მდე მუშა,	სულ კი 153 მუშა
4	— „ —	50-დან 60-მდე „	242
1	— „ —	60-დან 70-მდე „	70 „

თუ საწარმოებს ჩვენ მიერ შემოღებული პირობითი ნიშნის მიხედვით წარმოვადგენთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: 1-დან 10-მდე მუშიან 172 წვრილ საწარმოში 597 მუშა იყო დასაქმებული, 10-დან 25-მდე მუშიან 50 საშუალო სიდიდის საწარმოში — 822 მუშა, ხოლო 17 მსხვილ საწარმოში — 764 მუშა.

ამრიგად, ვხედავთ, რომ წვრილ საწარმოებში (მათი რიცხობრივი სიმრავლის მიუხედავად) თავმოყრილია მუშათა საერთო რიცხვის მხოლოდ 26,9%, საშუალო საწარმოებში — 37,4%, მსხვილ საწარმოებში კი — 35,7%. თუ მოცემული ნიშნის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ თავისი ხვედრითი წონით პირველ ადგილზეა საშუალო სიდიდის საწარმოები, მეორეზე მსხვილი, ხოლო მესამეზე წვრილი საწარმოები.

თუკი სამივე კატეგორიის საწარმოებზე ვიმსჯელებთ სხვა პირობითი ნიშნების, კერძოდ, მათ მიერ მოპოვებული მადნის ოდენობისა და მისი ღირებულების გათვალისწინებით, მრეწველთა 1894 წლის სიის მონაცემების[10] სათანადო დაჯამებით, მდგომარეობა ასე წარმოგვიდგება: მოცემულ წელს სულ მოპოვებულ იქნა 11 165 000 ფუთი, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 501 282 მანეთი. აქედან 172 წვრილმა საწარმომ მოიპოვა დაახლოებით 3 314 500 ფუთი, რომლის ღირებულება შეადგენდა 157 698 მანეთს, 50-მა საშუალო სიდიდის საწარმომ — 4 მილიონამდე ფუთი, — 180 ათასი მანეთის ღირებულებისა, ხოლო 17-მა მსხვილმა საწარმომ — 3 450 500 ფუთი, რაც ღირდა 163 584 მანეთი.

ამრიგად, ნათელია, რომ წვრილ საწარმოებზე მოდის მთელი მოპოვების 29,7% და მისი საერთო ღირებულების 31,5%, საშუალო სიდიდის საწარმოებზე შესაბამისად 39,4% და 35,8%, ხოლო მსხვილ საწარმოებზე 30,9% და 32,7%. ამ პირობითი ნიშნების გათვალისწინებითაც პირველ ადგილზეა საშუალო საწარმოები, მეორეზე — მსხვილი, მესამეზე კი წვრილი. აქედან ჩანს, რომ ჭიათურაში 1894 წელს წვრილი საწარმოები, რიცხობრივი სიმრავლის მიუხედავად, მესამეხარისხოვან როლს ასრულებენ. თავისი განვითარების დონით და ხასიათით ისინი, ჩვენი გაგებით, არ სცილდებიან წვრილი სასაქონლო წარმოების ფარგლებს. მსხვილი სამთო საწარმოები მანუფაქტურებია. ამასთანავე ჩვენ შორს ვართ იმ მოსაზრებისაგან, რომ საშუალო სიდი-

---

[10] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 12—26.

დის საწარმოები მიჩნეულ იქნენ მანუფაქტურებად, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, მათ შორის ბევრია მანუფაქტურები, სადაც თავმოყრილია მუშათა საკმაო რიცხვი და წარმოების პროცესში ადგილი აქვს შრომის დანაწილებას, დამყარებულს ხელით შრომაზე. მთავარი კი ის არის, რომ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში შედარებით სოლიდურ საწარმოთა რიცხვი და ხვედრითი წონა წარმოებაში უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე ეს ასახულია „მარგანეცის საქმის სტატისტიკაში". დავახასიათოთ თუნდაც რამდენიმე შედარებით მსხვილი მრეწველი (მათი სოციალური წარმოშობის, ასევე საწარმოო საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით). ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებენ ცნობილი მრეწველები პავლე მოსეშვილი და გედევან ჩუბინიძე, რომლებიც ზემოთაც მოვიხსენიეთ. წარმოშობით გლეხი, პ. მოსეშვილი, ადრე, ოსმალეთთან ომის პერიოდში, ვაჭარი იყო, კომერციულ საქმიანობას ფართოდ ეწეოდა. გ. წერეთლის მოწმობით ეს გლეხი, მერმე ვაჭარი, გამუდმებით ეწეოდა აღებ-მიცემობას მთელ ამიერკავკასიაში. „დღეს ხედავთ ის აფხაზეთში ამოჰყოფს თავს, ხვალ ჭიათურაშია, ზეგ რაჭის კლდე-ღრეებში დახეტიალობს, მასზეგ ბაქოსა და ბათუმს მიჰქრის. მისთვის არ არის ძილი და მოსვენება... ეს კაცი ამ უკანასკნელს ათს წელიწადში სამჯერ მინახავს ისეთს მდგომარეობაში, რომ ასი ათას მანეთამდე ატრიალებდა"[11]. პ. მოსეშვილი ერთ-ერთი უმდიდრესი ვაჭარი იყო ფოთში. მან 402 დესეტინა ტყეები შეიძინა რაჭაში[12], რის სამრეწველო ათვისებას შეუდგა 2 სახერხი ქარხნის მოწყობით, თუმცა 1879 წლიდან ის „ჭიათურის მარგანეცს დაეწაფა"[13]. ეს გასაგებიცაა, რადგან გამოჩენილი მოღვაწის, გ. წერეთლის, გადმოცემით, პ. მოსეშვილს მიაჩნდა, რომ „მომავალი კავკასიისა და საქართველოს ერისა თვით კავკასიის გულშია ჩამარხული. საქართველოს ბედი და მასთან კავკასიისა მხოლოდ მადნეულის წარმოებაზეა დამოკიდებული... აი ჩვენ მხოლოდ ამას უნდა ჩაეჭიდოთ ხელი"[14]. პ. მოსეშვილი თავიდანვე წარმატებით ჩაება მარგანეცის მრეწველობაში. შედარებით მსხვილმა მრეწველმა პ. მოსეშვილმა

---

[11] „ივერია", 1889, 12 იანვარი, № 8.

[12] Сборник сведений о Кутаисской губернии, К. 1881. გვ. 48.

[13] ი ქ ვ ე, გვ. 49.

[14] „ივერია", 1889, 12 იანვარი, № 4. 1880—1886 წლებში პ. მოსეშვილი (ა. გურაბანიძესთან ერთად) მეცადინეობდა ქუთაისის მაზრის სოფ. ბზეურის მახლობლად ქვანახშირის საბადოს საექსპლოატაციოდ (სსსა, ფონ. 264, საქ. 1292, ფურც. 58). 1880 წელს პ. მოსეშვილმა სცადა ვერცხლისა და სპილენძის საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაცია ბათუმის ოლქში (სსსა, ფონ. 264, საქ. 10935, საქ. 943).

1885 წელს მოიპოვა და სადგურ ყვირილაში კომისიონერებს ჩააბარა 470 000 ფუთი მადანი[15]. 1894 წელს მას 5 მოქმედი საბადო გააჩნდა ზედა რგანში, პერევისასა და შუქრუთში. ამ წელს, ჩვენი გამოთვლით, ვან 23 მუშით მოიპოვა 216000 ფუთი მადანი, რისი ღირებულებაც 7855 მანეთს შეადგენდა[16]. მომდევნო პერიოდში პ. მოსეშვილმა მნიშვნელოვნად გააფართოვა საბადოთა ექსპლოატაცია და ის თითქმის 20 წლის მანძილზე ერთ-ერთი შედარებით მსხვილი და გავლენიანი მრეწველი იყო ჭიათურაში.

თავიდანვე ცნობილი მრეწველი იყო წარმოშობით გლეხი, მერმე ვაჭარი გ. ჩუბინიძე, რომლის შესახებ გ. წერეთელი მოგვითხრობს: „ჩუბინიძე ვაჭრობაში ყოველთვის მეანგარიშეა. არაფერს მოჰკიდებს ხელს, არც დაგელაპარაკებათ, თუ პირველად არ გამოიანგარიშა: ამა და ამ საქმეზე მანეთი რომ დავხარჯო ავიღებ თუ არა ექვს აბაზსო“[17]. გ. ჩუბინიძემ 1879—1880 წლებში იჯარით აიღო 18 საბადო ნაკვეთი, მან პ. მოსეშვილთან ერთად, თვალსაჩინო როლი ითამაშა ჭიათურის საბადოებიდან უცხოელთა, კერძოდ, მერცენფელდის განდევნაში[18]. გ. ჩუბინიძეს 1894 წელს, ჩვენი გამოთვლით, 10 ადგილას გააჩნდა საბადოები ზედა რგანში, მღვიმევსა და პერევისაში. იგი 60 მაღაროსა და შტოლნში ეწეოდა მადნის მოპოვებას 119 მუშით. ამ წელს გ. ჩუბინიძემ მოიპოვა 786 000 ფუთი მადანი, რაც ღირდა 24 192 მანეთი[19]. ის ერთ-ერთი მსხვილი მრეწველთაგანი იყო რევოლუციამდელ ჭიათურაში.

გ. წერეთლის მტკიცებით პ. მოსეშვილისა და გ. ჩუბინიძის მაგალითმა „ინტელიგენციის წარმომადგენლებიც გამოიწვია მრეწველობის ასპარეზზე“. მათ აფიქრებინეს ნიკოლოზ ღოღობერიძესა და პეტრე წულუკიძეს საკუთარი, აგრეთვე ახლობლების კუთვნილი საბადოების დამუშავების დაწყება[20].

თავადაზნაურული წრეებიდან გამოსულ მრეწველებს შორის გამოირჩეოდა გამოჩენილი ბურჟუაზიული მოღვაწე ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძე, რომელმაც თანამედროვეთა აღიარებით.

---

[15] იხ. დ. წერეთელი, შავი ქვა, გვ. 68.

[16] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 12—25.

[17] „ივერია“, 1889, 12 იანვარი, № 8.

[18] Сборник сведений о Кутаисской губернии, К., 1885, გვ. 8.

[19] ЦГИАЛ. ф. 37, оп, 67 д. 954, л. 13—24. გ. ჩუბინიძემ 1882—1893 წლებში საძიებო სამუშაოები აწარმოვა შორაპნის მაზრის სოფ. მარილისის მახლობლად ვერცხლისა და სპილენძის საბადოთა აღმოსაჩენადაც, სსსა, ფონ. 264, საქ. 1093, ფურც. 1—3.

[20] გ. წერეთელი, შავი ქვის წარმოება დასავლეთ საქართველოში, „ივერია“, 1889, 12 იანვარი, № 8.

„შავი ქვის მრეწველობას ევროპული ხასიათი მისცა“[21]. აი, მისი საქმიანი ბიოგრაფია: თავის დროზე ის სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, რაც წარჩინებით დაამთავრა. იმ დროს მისი კარგი მეგობრები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, დავით ყიფიანი, ნ. ჯაბადარი, ბესარიონ ღოღობერიძე, გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი დობროლიუბოვი, ლ. პანტელეევი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნ. ღოღობერიძე ერთხანს მასწავლებლობდა.

ნ. ღოღობერიძემ, დიმიტრი ბაქრაძესთან, სტეფანე მელიქიშვილთან და ვახტანგ თულაშვილთან ერთად, დააარსა ქართული სტამბა თბილისში, მონაწილეობდა გაზ. „დროების“ დაარსებაში. ამ მოღვაწეობას ის ეწეოდა 1868 წლამდე. შემდეგ მუშაობდა ქუთაისის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ, ასევე ქუთაისის ოლქის სასამართლოში, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის მმართველად. მან ეს ადგილი მალე მიატოვა და რამდენიმე ხნის შემდეგ შეუდგა მარგანეცის შესყიდვას და ექსპორტს, — მადანს აგზავნიდა საზღვარგარეთ და რუსეთში. ბოლოს შეუდგა მადნის მოპოვებას საკუთარ მამულში — სოფ. რგანში. საქმე სულ სამი ათასი მანეთით დაიწყო, მაგრამ მალე გაძლიერდა და 11 წლის განმავლობაში ერთ-ერთი მსხვილი მრეწველთაგანი იყო ჭიათურაში[22]. 1894 წელს მას უკვე 9 მოქმედი საბადო გააჩნდა ზედა რგანში, მღვიმევში, პერევისასა და შუქრუთში. მადნის მოპოვებას ეწეოდა 43 მაღაროსა და შტოლნში. მან ამ წელს 185 მუშით მოიპოვა 1 228 500 ფუთი მადანი, 55 279 მანეთის ღირებულებისა[23]. თანამედროვეთა აღიარებით ნ. ღოღობერიძის, როგორც მრეწველის „სიტყვას და საქმეს დიდი ფასი ჰქონდა“, მარგანეცის მრეწველობის „დიდ საქმეში არ ყოფილა არც ერთი პირი, რომელსაც ასეთი გავლენა ჰქონებოდეს, როგორც ნ. ღოღობერიძეს“[24]. მან პირველმა დაიწყო ტექნიკური სიახლეების დანერგვა მრეწველობაში: 1886 წელს მას, პირველს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში, თავის საბადოში 50 — 60 საჟენის სიგრძის მიწისქვეშა ლიანდაგიანი გზა ჰქონდა გაყვანილი[25]. ნ. ღოღობერიძე განაგრძობდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას პირადი მონაწილეობითა და საკუთარი კაპიტალით მან დიდი წვლილი შეიტანა იმდროინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების

---

21 იხ. ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1912, გვ. 13.

22 იქვე, გვ. 12—18.

23 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 14.—25.

24 ძველი საქართველო... გვ. 13, 18.

25 Отчет о деятельности Управления горной частью на Кавказе в 1887 году, Тиф., 1888, გვ. 104.

გამოცემაში. ნ. ღოღობერიძემ თავის ძმას სიმონს ათარგმნინა მარი ბროსეს საქართველოს ისტორია (რუსულიდან) და ის საკუთარ ხარჯზე ორ წიგნად გამოსცა. თერთმეტი წლის მუშაობის შემდეგ მან, ავადმყოფობის გამო, მარგანეცის საქმეს თავი მიანება, უცხოეთში გაემგზავრა, იქიდან დაბრუნების შემდეგ, 1911 წელს, გარდაიცვალა.

ნ. ღოღობერიძემ ილიას, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა რჩევით, თავისი ქონების ნახევარი უანდერძა საზოგადო საქმეს — წერა-კითხვის გამავრცელებელ, ასევე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.[26].

მარგანეცის მრეწველობაში წარმატებით ჩაება თავის დროზე ცნობილი პუბლიცისტი სოლომონ წერეთელი. ადრე ცნობილ მემამულეს 1894 წელს 10 საბადო ნაკვეთი გააჩნდა ზედა რგანში, პერევისასა და შუქრუთში. ამ წელს მან, ჩვენი გაანგარიშებით, 14 მაღაროსა და შტოლნში 67 მუშით მოიპოვა 500 ათასამდე ფუთი მარგანეცი — 15.342 მანეთის საერთო ღირებულებისა[27].

გლეხთა წრიდან იყო გამოსული მარგანეცის მრეწველი ნ. კაკაბაძე, რომელსაც 1894 წელს საბადო ნაკვეთი გააჩნდა ზედა რგანში, მღვიმევსა და შუქრუთში. თავის 33 მაღაროსა და შტოლნში მან, 82 მუშით, მოიპოვა 448 500 ფუთი მადანი, რომლის საერთო ღირებულება 20 132 მანეთს შეადგენდა[28].

1879 წელსვე შეუდგა მეწარმეობას დასავლეთ საქართველოში ცნობილი ვაჭარი ი. სიხარულიძე. ადრე იგი ვაჭრობას ეწეოდა ქუთაისში, ზესტაფონსა და საჩხერეში. ი. სიხარულიძე შეუამხანაგდა ვინმე ხათისოვს და დიდი მამულები შეიძინა ჭიათურის საბადოთა აუზში. მან, გ. ჩუბინიძესთან და პ. მოსეშვილთან ერთად, ეფექტურად აწარმოვა ბრძოლა უცხოელ საქმოსნებთან ჭიათურაში[29]. ი. სიხარულიძეს 1883 წელს ჭიათურაში პირველი ადგილი დაუკავებია მადნის მოპოვების ოდენობის, დაქირავებული მუშების რიცხვის, აგრეთვე მადნის ექსპორტის სიდიდის მიხედვით[30]. 1885 წელს პ. მოსეშვილის, გ. ჩუბინიძისა და ი. სიხარულიძის ჯგუფს გაცილებით მეტი მადანი გაუგზავნია უცხოეთში, ვიდრე ცნობილ ფრანგულ ფირმას[31]. ამ წელს

---

[26] ძველი საქართველო..., გვ. 13, 18.

[27] ЦГИАЛ, ф. 36, оп. 67, д. 954, л. 14—24. მადნის ღირებულება ხშირად არ იყო მისი ოდენობის შესაბამისი: ერთი და იმავე ოდენობის სხვადასხვა ხარისხის მადანი სხვადასხვანაირად ფასობდა.

[28] ი ქ ვ ე.

[29] „ივერია“, 1886, № 30.

[30] ა. კოკლიანაშვილი, საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, 1962, გვ. 287.

[31] ი ქ ვ ე.

ი. სიხარულიძემ საკუთრივ მოიპოვა და გაასაღა 360 ათასი ფუთი მადანი[32].

თავადაზნაურული წრიდან გამოსულ მრეწველებს შორის აღსანიშნავია კ. და ი. აბდუშელიშვილები. მათ შორის პირველს 1880 წელს გააჩნდა 19 დესეტინა საბადო მიწა, ხოლო მეორეს — 23. 1893 წელს კ. აბდუშელიშვილი 103 მუშით ეწეოდა საბადოთა ექსპლოატაციას, ხოლო ი. აბდუშელიშვილი — 83 მუშით[33]. 1893 წელს გაელენიანი მრეწველებია აგრეთვე ნ. ყიფიანი, ი. მაისურაძე, მ. საყვარელიძე. მათ შორის პირველს გააჩნდა 15 დესეტინა საბადო ადგილები, მეორეს — 11, ხოლო მესამეს — 8[34].

ასევე შეძლებული მრეწველები იყვნენ წარმოშობით გლეხები ს. გაჩეჩილაძე, ს. აბესაძე, ს. გაფრინდაშვილი, კ. ვაშაძე და ი. ცერცვაძე[35]. 1894 წლის დამლევიდან ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა ცნობილი საქმოსანი ალექსანდრე ჯაყელი, რომელსაც ამასთანავე იჯარით, 30 წლის ვადით, ჰქონდა აღებული ლიხეთის ტყეები (რაჭის მაზრაში)[36]. ცნობილი საქმოსანი იყო მემამულე ი. მუხრანბატონი, 1879 წელს (რიშარის სავაჭრო სახლთან ერთად) ჩაება მარგანეცის მრეწველობაში, თუმცა მან ორი წლის შემდეგ საქმეს თავი მიანება და დაზარალდა.

როგორც ვხედავთ, მრავალი მემამულე, ვაჭარი თუ გლეხი გახდა შედარებით მსხვილი მრეწველი.

მარგანეცის მრეწველთა შორის იყვნენ ხელოსანთა წრიდან გამოსულნიც. ასეთი იყო პ. დათებავა, რომელიც 1883 წლამდე მჭედლად მუშაობდა ფოთში, ხოლო 1884 წლიდან ე. წ. „მეფუთე“ მრეწველია ჭიათურაში[37]. მან 1894 წელს 5 მუშით მოიპოვა 24 500 ფუთი მადანი, 967 მანეთის ღირებულებისა[38]. თბილისელი ზეინკალი დ. ბარნაძე 1891 წელს უკვე მარგანეცის მრეწველია[39], რომელმაც 1894 წელს 39 მუშით აწარმოვა მადნის მოპოვება და დაამზადა 36000 ფუთი მადანი, 1 620 მანეთის ღირებულებისა[40]. ადრე ხელოსნები იყვნენ, ხოლო 1891 — 1894 წლებში მარგანეცის მრეწველებია:

---

32 იხ. დ. წერეთელი, შავი ქვა, გვ. 68.

33 ЦГИАМ, ф. 1157, оп. 1, д. 52, 1893, л. 256.

34 იქვე.

35 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 18—26.

36 ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 508, л. 8.

37 ЦГИАМ, ф. 1157, оп. 1, д. 52, 1893, л. 257.

38 ЦГИАЛ, ф. 37. оп. 67. д. 954, л. 12.

39 ЦГИАМ, ф. 1157, оп. 1, д. 52, л. 257.

40 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 12.

ფ. დარჩია, ს. ვაშაძე, ს. ქაცარავა, გ. ცერცვაძე და სხვ.[41]. იმის დამახასიათებელ მაგალითად, თუ როგორ იქცეოდა ხელოსანი მსხვილ მრეწველად, შეგვიძლია მივიჩნიოთ ღარიბი რაჭველი მჭედლის ა. ვაწაძისა და მისი შვილის ფარნაოზის საქმიანობის ისტორია. ი. ვაწაძე სოფ. ღვარდიიდან იყო და მექანიკურ სახელოსნოს ფლობდა ქუთაისში. აქედან იგი ჩასულა თბილისში და იქ მოწყობილა სამუშაოდ ინგლისელ მრეწველ რუქსთან. აქვე ჩამოუყვანია ერთ-ერთი ვაჟი-შვილი ფარნაოზი, რომელიც სემინარიაში მიუბარებია სასწავლებლად; სამი წლის შემდეგ კი რუქსთან მიუყვანია, სადაც სამი წელი დაუყვია და ხარატობა უსწავლია. მრეწველ რუქსის რჩევით, ხელობის უკეთ შესასწავლად, ფარნაოზი, მამის დაუკითხავად ინგლისში გამგზავრებულა (70-იან წლებში). აქ 5 წელი დაუყვია, ხარატის ხელობა და ინგლისური ენაც უსწავლია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფარნაოზი ერთხელ კიდევ ყოფილა ინგლისში იარაღ-ხელსაწყოების შესაძენად. ამის მერე მამა-შვილს ქუთაისში გაუხსნიათ საკმაოდ დიდი მექანიკური სახელოსნო, სადაც თვითონ მუშაობდნენ, აგრეთვე 4 დაქირავებულ ოსტატსა და 15 შეგირდსაც ამუშავებდნენ. ამზადებდნენ რკინის ღობეებს, ხიდის ნაწილებს. მათ მონაწილეობა მიუღიათ ხიდების მშენებლობაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში (მათ შორის მურის ხიდისა), აგრეთვე ნოვოროსიაშიც. სახელოსნო ჭიათურიდანაც იღებდა დაკვეთებს.

ფ. ვაწაძე მჭიდროდ დაკავშირებია ჭიათურის მრეწველობას. იქ მრეწველებთან — ჩომახიძესთან და გველესიანთან-ერთად მან ააშენა მარგანეცის მადნის გამამდიდრებელი „ფაბრიკა", სადაც ორთქლის ძრავი იდგა და მადნის სარეცხი ბარაბანი მოქმედებდა[42]. ამხანაგობაში უთანხმოება მომხდარა და ის დაშლილა. შემდეგში ვ. ბარათაშვილთან, გ. წერეთელთან და ი. სამხარაძესთან ერთად, ფ. ვაწაძემ ახალი ფაბრიკა გამართა, სადაც მუშაობდა 150 კაცი სამ ცვლად[43]. ამგვარად, როგორც ვხედავთ, არაერთი ხელოსანი გადაიქცა მარგანეცის მრეწველად.

მარგანეცის მრეწველთა რიგები ივსებოდა აგრეთვე ინტელიგენ-

---

[41] ЦГИАМ, ф. 1115. оп. 1, д. 52, л. 257—258, ЦГИАЛ, ф. 37, он. 67. д. 954, л. 12—24.

[42] იხ. პ. რატიანი, საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნარკვ. 1, 1961, გვ. 170—171.

[43] იქვე, გვ. 171. ეს ფაბრიკა აღრიცხულია სამთო უწყების მიერ 1913 წელს შედგენილ სპეციალურ უწყისში, იხ. სსსა, ფონ. 415, საქ. 109, ფურც. 2.

ციის ხარჯზეც. ასეთები იყვნენ ჩვენთვის უკვე ცნობილი ნიკო ღოღობერიძე, პეტრე წულუკიძე, ასევე ნიკო დადიანი და სხვ.

გლეხური ინტელიგენციის წრიდან გამოსულ მრეწველთა შორის უურადღებას იპყრობს სვანი გიორგი გუჯეჯიანი, რომელიც 90-იანი წლების დამდეგს შეუდგა სამრეწველო საქმიანობას და მალე ცნობილი მრეწველი გახდა. ჭიათურაში მიწის ნაკვეთი შეიძინა. აქ მან გააშენა ვენახი, ააგო სამი სახლი. გიორგიმ 7 ათას მანეთად გამოისყიდა წერეთლების მიერ ბანკში დაგირავებული ტყე, საჩხერის იქით, — 12 კილომეტრზე, — კვერეთში და იქ მალე გააწყო გოგირდის აბანო, გააშენა ხეხილის ბაღი. იგი ფართო მასშტაბით ეწეოდა საბადოთა ექსპლოატაციას. 100-მდე მუშა ყოველთვის ჰყავდა, უმთავრესად სვანები. 1911 წელს საბადო ნაკვეთების ერთი ნაწილი გერმანული სააქციო საზოგადოება „კავკასიის საბადოთა ამხანაგობის“ რწმუნებულს, ინჟ. ბ. პაპავას მიჰყიდა[44]. ამის მიუხედავად გ. გუჯეჯიანი მეწარმეობას შემდეგშიც განაგრძობდა. იგი კავშირს არ წყვეტდა სვანეთთანაც. სოფ. ჟაბეში თავის სახლის მახლობლად საუკეთესო სახნავი მიწები შეიძინა და დაამრგვალა, რაც დღემდეა ცნობილი, როგორც „გიორგის მიწები“. გ. გუჯეჯიანი ახლო ურთიერთობაში ყოფილა ჭიათურის მრეწველობაში ჩაბმულ ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან[45]. გ. გუჯეჯიანი ზოგ შემთხვევაში მუშებისადმი რამდენადმე ლმობიერ დამოკიდებულებასაც იჩენდა. ასე მაგალითად, 1908 წელს, როცა მარგანეცის მრეწველობის მძიმე კრიზისის შედეგად უმუშევრად დარჩენილი მრავალი ათასი მუშა მძიმე და აუტანელ გასაჭირს განიცდიდა, გ. გუჯეჯიანმა (მრეწველთა ყრილობაზე) მუშებისათვის დახმარების აღმოჩენა მოითხოვა, თუმცა, როგორც გაზ. „ჩვენი კვალი“ იუწყებოდა, ამაოდ: „მრეწველთა ცივი გული ვერ მოალბო ვერც გუჯეჯიანის, ვერც ჭანიშვილის სიტყვებმა“[46].

მრეწველობაში, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, თავიდანვე გამოჩნდნენ „ისეთი ქართველი მწარმოებელნიც, რომელთაც თავისი თუმცა პატარა, მაგრამ მაინც ქართული კაპიტალით დაიწყეს წარმოება“. ქართველ მეწარმეთა ეს შედარებით შეძლებული ჯგუფი განუწყვეტლივ ცდილობდა თავი დაეღწია „იმ უმწეობისაგან, რომელსაც ქმნიდა ობიექტური პირობები მარგანეცის მრეწველობაში“[47]. აქ მხედველო-

---

[44] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 2912, л. 6—7.

[45] ამ შემთხვევაში ჩვენ ვემყარებით გიორგის შვილის, 62 წლის დავით (დათიკო) გუჯეჯიანის მოგონებას, რომელიც ხელნაწერის სახით გადმოგვცა და ჩვენს პირად არქივში ინახება.

[46] „ჩვენი კვალი“, 1908, 25 მაისი, № 1.

[47] იხ. ს. წერეთელი, დასახ. ნარკვევი, გაზ. „საქართველო“, 1920, 21 იანვარი, № 14.

ბაშია წარმოების დაფუძნების სიძნელე, საბრუნავი კაპიტალის სიმცირე, უცხოელ საქმოსანთა ძალმომრეობა და სხვ.

ამრიგად, დავინახეთ, რომ ჭიათურაში მარგანეცის მრეწველთა რიგები ივსებოდა ქართველ თავადაზნაურულ-მემამულურ, ვაჭართა, გლეხთა და ხელოსანთა წრიდან გამოსულ საქმოსანთა ხარჯზე. მემამულე, ვაჭარი, გლეხი, ხელოსანი მეწარმედ იქცეოდა.

მრეწველთა რიგები ივსებოდა აგრეთვე სხვა ეროვნების ადგილობრივ საქმოსანთა ხარჯზეც. მაგალითად, გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის საქართველოში, კერძოდ, თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ფართო სავაჭრო-კომერციულ საქმიანობას ეწეოდნენ ძმები ოგანეზოვები, რომლებმაც ამ გზით ჩვენში დიდძალი კაპიტალი დააგროვეს და მძლავრი „სავაჭრო სახლიც“ ჩამოაყალიბეს. ეს ფირმა 1883 წელს ჩაება და დამკვიდრდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში. მას 1894 წელს ეკუთვნოდა 3 საბადო ნაკვეთი 9 მაღაროთი და შტოლნით. ფირმამ იმავე წელს 24 მუშით მოიპოვა 225 000 ფუთი მადანი 10 125 მანეთის ღირებულებისა[48]. მან შემდეგში გარკვეული როლი შეასრულა წარმოების ტექნიკურ აღჭურვაში, — მიმდინარე საუკუნის დამდეგისათვის მას უკვე გააჩნდა კარგად მოწყობილი მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა, საჰაერო-საბაგირო გზა. ფირმამ შეიძინა სპეციალური ფლოტილია, რითაც შავი და აზოვის ზღვით ეწეოდა მადნის გაზიდვას რუსეთში[49].

დასავლეთ ევროპული ფირმებიდან 1885 წლის შემდეგ ჭიათურაში ორიოდე ჩანს. მათ შორის იყო გერმან გროტე, რომელსაც 1894 წელს სამი მოქმედი მაღარო გააჩნდა დარკვეთში, მღვიმევსა და შუქრუთში. ამ წელს მან 28 მუშით მოიპოვა 80 000 ფუთამდე მადანი, რომლის ღირებულება 3 365 მანეთს შეადგენდა[50].

წყაროებზე დაკვირვება მოწმობს, რომ მსხვილ მრეწველებს შორის თავდაპირველად იყვნენ უცხოელებიც, რომლებმაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, მოცემულ პერიოდში მარცხი განიცადეს. ადგილობრივმა მსხვილმა მრეწველებმა შეძლეს წარმოების შენარჩუნება და თანდათან გაფართოება.

წვრილი მრეწველები უპირატესად ღარიბი გლეხები იყვნენ. „მათ არც ფული აქვთ, არც კრედიტი“.. „ამათ თვით მადნებში აქვთ პატარ-პატარა ადგილები და თვითონ ამუშავებენ მადნებს, რასაკვირველია, მუშების დახმარებით. ის თვით მშრომელია“. მსხვილ მრეწველებს „აქვს პლატფორმები (მაღაროდან ამოღებული შავი ქვის საწყობი

---

[48] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 13—25

[49] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 49 об.

[50] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 13—25.

ადგილები შიგ ჭიათურაში), წვრილებს არა აქვს". „პირველს შეუძლია შავი ქვა ფოთში გაიტანოს და იქ გაჰყიდოს, ან თვით პირდაპირ საზღვარგარეთ გააგზავნოს, მეორე კი იძულებულია... თავისი ნაწარმი პირველს მიჰყიდოს, რასაკვირველია, იმ ფასებში, რა ფასშიც პირველი მოისურვებს. ამისათვის, როდესაც პირველს შეუძლია მოიგოს ფუთზე 4 — 5 კაპიკი, მეორე ერთი კაპიკითაც კმაყოფილდება"[51]. წვრილ მრეწველთა საერთო მასაში უმრავლესობას სეზონურად მომუშავე ადგილობრივი თუ მოსული „შემთხვევითი" მრეწველები შეადგენდნენ. ამის გამო შესასწავლი ხანის საარქივო დოკუმენტი გვაუწყებს: — «Громадное большинство марганцепромышленников состоит из промишленников мелких, случайных; это скорее кустари, чем промышленники в строгом смысле этого слова. Сюда относятся как местные крестьяне, занимающиеся на принадлежащих им небольших участках марганцевых залежей добычей руды, в свободное от полевых работ время, так и всякого рода пришлый люд, который является на промысел на короткое время и занимается разработкой марганцевых рудников урывками, случайно»[52].

ამრიგად, მრეწველობისათვის დამახასიათებელი იყო წვრილ, შემთხვევით, სეზონურ მეწარმეთა რიცხობრივი სიჭარბე.

* * *

ასეთი იყო სამრეწველო ბურჟუაზიის ჩამოყალიბების პირველი ნაბიჯები ჭიათურაში. სამრეწველო ბურჟუაზია უმთავრესად ქართველი თავადაზნაურობისა და გლეხთა წრიდან გამოსულ საქმოსანთა, ვაჭართა, აგრეთვე ხელოსანთა ხარჯზე იზრდებოდა. მრეწველთა ერთი ნაწილი საბადოთა მესაკუთრეებია, მეორე, უფრო დიდი ნაწილი კი მოიჯარადრენი. სავაჭრო ბურჟუაზია უპირატესად უცხოურია[53]. ეროვნული სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის ჩამოყალიბების პროცესზე დაკვირვება მოწმობს, რომ მას სერიოზულად აბრკოლებდა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარისა და ელემენტის — კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების დაუმთავრებლობა. მრეწველთა საწარმო საქმიანობაზე დაკვირვება აშკარად ცხადყოფს, რომ მათი უმრავლესობა წვრილი და საშუალო მეწარმეებია და საერთოდ მრეწველთა ერთი ნაწილის ხელში ფული კაპიტალად არ არის გადაქცეული. ამიტომაა, რომ ადგილობრივ

---

[51] „ივერია", 1900, № 30, გვ. 471.

[52] ЦГИАЛ, ф. 350, оп. 14, д. 117, 1885, л. 10.

[53] სსსა, ფონ. 12, ანაწ. 1, საქ. 1494, ფურც. 33—34.

მრეწველთა უმრავლესობა მხოლოდ უცხოელთაგან მიღებული, რასაკვირველია, წამგებიანი კრედიტის მეშვეობით ახერხებს საბრუნავი კაპიტალის გამონახვას. ამასთანავე ზედმეტი ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს ითვისებდნენ უცხოელები, რომელთაც საქართველოდან გაზიდული მადანი საერთაშორისო ბაზრებზე გაჰქონდათ. ასეთ ვითარებაში ჭიათურაში თავიდანვე წამოიჭრა უცხოური კაპიტალის კონკურენციისა და მოძალების მოსაგერიებლად ქართველ მრეწველთა გაერთიანების იდეა.

ბ) ქართველ მრეწველთა გაერთიანების პირველი ცდები

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ჩასახვა-განვითარების პირველ წლებში ადგილობრივი მრეწველები, რომელთა დიდი ნაწილი საბრუნავი კაპიტალის ნაკლებობას ან უქონლობას განიცდიდა, უცხოური სამრეწველო კაპიტალის მოძალებას დაქსაქსულად ძნელად უმკლავდებოდნენ. ამასთანავე უცხოური სავაჭრო კაპიტალი თავიდანვე იმუქრებოდა მადნის ადგილობრივი ბაზრის დაპყრობითაც. ამიტომ ქართველმა მრეწველებმა წარმოებაში საკუთარი პოზიციების შესაქმნელად და განსამტკიცებლად, ასევე მოპოვებული მადნის მომგებიან პირობებში გასასაღებლად, მალე სცადეს გაერთიანებული ძალებით მოქმედება. ჭიათურაში ქართველ მრეწველთა გაერთიანების იდეა პირველად წამოყენებულ იქნა არა 90-იან წლებში და არა გიორგი ზდანოვიჩის მიერ, როგორც ამას შეცდომით ამტკიცებს ზოგიერთი მკვლევარი, არამედ ჯერ კიდევ 1880 წელს აკაკი წერეთლის მიერ. თავის წერილში „ქვაგუნდის ამბავი", რომელიც 1880 წლის იანვარში გამოქვეყნდა, ა. წერეთელი აღნიშნავდა, რომ მარგანეცის მადნის უმდიდრესი საბადო მოიზიდავდა უცხოელებს. ამიტომ ადგილობრივ მრეწველებს იმთავითვე გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა და ამტკიცებდა „ძალიან ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენშიდაც შედგეს მისთანა კომპანია, რომელმაც ეგ მადნეულობა ხელიდან არ გაუშვას"[1]. იგი მოითხოვდა ქართველ მრეწველთა „ძალიან შეძლებული კომპანიის" დაარსებას, რომ მას „კონკურენტი ადვილად დაემარცხებინა". „ამგვარი კომპანია,—წერდა ა. წერეთელი,—დიდი სარგებელია ჩვენთვის. უნდა მოიყვანოს რკინიგზა და აგრეთვე მუშებიც ჩვენშივე მონახოს"[2]. რო-

---

[1] აკ. წერეთელი, ქვაგუნდის ამბავი, „დროება", 1880, 8 იანვარი, № 5.

[2] იქვე.

გორც ეხედავთ, აკაკი მძლავრი გაერთიანების დაარსებას და ამასთანავე ადგილობრივი ღარიბი მოსახლეობის დასაქმებასაც მოითხოვდა. უნდა შექმნილიყო მძლავრი კომპანია, რომელიც დაამარცხებდა შესაძლებელ კონკურენტს და ხელიდან არ გაუშვებდა მრეწველობის მნიშვნელოვან დარგს, გაიყვანდა რკინიგზას, უზრუნველყოფდა მსხვილ თუ წვრილ მრეწველთა მიერ ცალ-ცალკე მოპოვებული მადნის მიღებას და ხელსაყრელ პირობებში ერთობლივ გასაღებას. მუშახელი და ზედამხედველებიც ადგილობრივნი უნდა ყოფილიყვნენ[3].

მარგანეცის მადნის ადგილობრივ მრეწველთა გაერთიანების საკითხი იმ დროს დავის საგნად იქცა[4]. გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ქართველ მრეწველთა გაერთიანება, ისევე როგორც მათ მიერ მარგანეცის მრეწველობის შენარჩუნება, შეუძლებლად მიაჩნდათ. ასეთი იყო, მაგალითად, ერთი კორესპონდენციის ავტორი („Nemo"-ს ფსევდონიმით), რომელიც ირწმუნებოდა: „შეერთებულად შრომის რჩევა დღევანდელს ქვაგუნდის მრეწველობისათვის მგლის თავზე საბარების კითხვაა". მისი აზრით, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში „გზა და მოედანი" უცხოელებს უნდა „დარჩეთ": „გარწმუნებთ, რომ ამდენს ხანს მთელი ჩვენი ქვა-გუნდის მრეწველობა ტყუილად ბავშვების რიკფაინობა იყო, რომელსაც საღამოს ჟამს ყოველთვის დიდთა ჭიდაობა და მობურთალობა მოსდევს"[5].

ადგილობრივმა მრეწველებმა ჯერ კიდევ 1880 წელს შექმნეს პირველი გაერთიანება „მარგანეცის მადნის იმერეთის ამხანაგობა", რომლის დამაარსებლები იყვნენ გ. ჩუბინიძე, პ. მოსეშვილი, მ. გამრეკლიძე და სხვ. მას ხაზინა მხარს არ უჭერდა. დასახელებულმა ამხანაგობამ, რომლის სარეწებში 1880 წელს უკვე 120 მუშა იყო ჩაბმული, შედარებით წარმატებით გააფართოვა სამრეწველო საქმიანობა[6] და თავის დროზე გარკვეული როლიც შეასრულა ჭიათურიდან უცხოელ მეწარმეთა განდევნაში. მეწარმეობის ერთპიროვნული ფორმიდან კოლექტიურ, აქციონერულ ფორმაზე გადასვლას ქართველი საქმოსნები განსაკუთრებით ინტენსიურად ცდილობდნენ ჭიათურის რკინიგზის მონაკვეთზე ტვირთზიდვის დაწყებიდან (1893 წ.), როცა უცხოურმა საეაჭრო კაპიტალმა თვით სამრეწველო რაიონშიც დაიწყო თავისი მომგებიანი კომერციული ოპერაციებისა და სამრეწველო საქმიანობის გაფართოება. ამასთან დაკავშირებით „კვალი" 1897 წელს წერდა: „1893 წელს ჩაისახა აზრი შავი ქვის მრეწველთა ამხანაგობის დაარ-

---

[3] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ქვაგუნდის ამბავი, „დროება", 1880, 8 იანვარი, № 5.
[4] „ივერია", 1886, 16 ოქტომბერი, № 223.
[5] ი ქ ვ ე, 26 ოქტომბერი, № 233.
[6] სსსა, ფონ. 264, საქ. 1030, ფურც. 23.

სების შესახებ. ამ საშუალებით ამხანაგობას ჰსურდა გამკლავებოდა ათასნაირ დაბრკოლებებს, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ უნდა გაჩენილიყო ჭიათურა-შორაპანის რკინიგზის გაყვანის შემდეგ. გრძნობდნენ, რომ ეს უკანასკნელი გაუადვილებდა ევროპელებს ჭიათურიდან ქვის ადვილად გადატანას, რასაც დღემდე ურკინიგზოდ მოკლებული იყვნენ,—რაკი საურმე გზები არ ვარგოდნენ და საქონლის გადმოტანა ევროპელებისათვის ძნელი და მოუხერხებელი იყო, ამისათვის ისინი იძულებული გახდნენ პირდაპირ ჩვენ მწარმოებლებთან შეკავშირებულიყვნენ ფასში, რომ ქვა პირდაპირ რკინის გზის სადგურზე მიეტანათ. აქ ფასი ქვისა მწარმოებელზე იყო დამოკიდებული და არა მყიდველებზე; ამის გამო ჩვენ მწარმოებელს ცოგებაც კარგი რჩებოდა. რკინის გზამ დიდ მწარმოებლებს და ევროპიელ კომისიონერებს ფრთები შეასხა: წვრილი მწარმოებელნი და მესაკუთრენი წყალში ჩაჰყარა. იმათ აღარ ეძნელებოდათ ქვის გადატანა, რადგან ადგილობრივ მადნებთან ქვას ბევრს ამზადებდნენ წვრილი მწარმოებლები, ამისათვის კომისიონერებმა გამართეს ცათ შორის კონკურენცია და ვინც უფრო იაფად მისცემდა ქვას, მისგან ყიდულობდნენ.

ევროპის კომისიონერებს რაკი გზა გაეხსნათ ადვილ გასატანი, რაღას დაეძებენ წვრილ მწარმოებელს, რა საჭიროა მას კონტრასტებით შეეკრან. ისინი ახლა თავისუფალია. ვინც იაფად მიჰყიდის ქვას, მისგან ყიდულობს. ის შეიქმნა თვითონ პატრონი ცთელი წარმოებისა, ამას წინ დავუყენოთ ის გარემოება, რომ უფულობა პირდაპირ ახრჩობს ჩვენს წვრილ მწარმოებელს.

ამ გარემოებამ დაბადა ჩვენებური წვრილი მწარმოებლების თავში მოსაზრება შავი ქვის ამხანაგობის დაარსებაზე. ეს გარემოება იყო თავი და თავი მიზეზი, რომ ერთმანეთში ცტრად გადაკიდებულ მწარმოებლებს ჭკუაში აგდებდა: ცტრობის მაგიერ შეეერთდეთო"[7]. აქ არსებითად სწორადაა წარმოდგენილი ქართველ მრეწველთა გაერთიანების მოტივები და მიზნები.

1893 წლის ოქტომბრიდან დაიწყო აქციონერული ფირმის ოთხი სხვადასხვა ამხანაგობის ჩამოყალიბება, ცაგრამ, მხოლოდ „შავი ქვის ცწარმოებელთა ამხანაგობამ" შეინარჩუნა არსებობა. უკანასკნელი 150-მდე წევრს აერთიანებდა. ეს ამხანაგობა, ერთი ცნობით, წელიწადში 5 მილიონ ფუთამდე მადანს აგზავნიდა უცხოეთში[8].

---

[7] „კვალი", 1897, № 19, გვ. 376 (ხაზგასმა ჩვენია).

[8] იქვე, № 37, გვ. 230.

ქართველმა მრეწველებმა და საბადოთა მფლობელებმა საკუთარ შესაძლებლობათა გასაერთიანებლად 1894 წელს შექმნეს „კავკასიის მარგანეცის სამრეწველო ამხანაგობა“[9]. ამხანაგობა დაარსდა 5 წლის ვადით. მისი წესდება ნოტარიალურად დამტკიცდა 1894 წლის მარტში. ეს ამხანაგობა, ისევე როგორც „შავი ქვის მწარმოებელთა ამხანაგობა“, ნოტარიალურად დამტკიცებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბდა და არა სააქციო საზოგადოების სტანდარტულად შემუშავებული, მთავრობის ორგანოებში განხილული და „უმაღლესად“ დამტკიცებული წესდების საფუძველზე, როგორც ეს საერთოდ ხდებოდა რუსეთის იმპერიაში. ამასთანავე, დასახელებული ამხანაგობა არსებითად წარმოადგენდა არა სამრეწველო, არამედ მხოლოდ სავაჭრო გაერთიანებას. ამას მოწმობს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ მოპოვებული მადნის ჩაბარებას სადგურ ჭიათურაში. ამხანაგობის წევრს ეკრძალებოდა მოპოვებული მადნის კერძოდ გაყიდვა, ასევე ამხანაგობის თანხმობის გარეშე მადნის მოპოვების უფლების სხვაზე გადაცემა. თუკი ამხანაგობის რომელიმე წევრს არ შეეძლო მადნის დადგენილი ოდენობით ჩაბარება, შეიძლებოდა გარიცხულიყო. ამხანაგობის ხელმძღვანელობაში შედიოდნენ: გ. ჩუბინიძე, პ. მოსეშვილი, ზ. გაჩეჩილაძე, ე. რატიანი და ნ. ყიფშიძე. ხელმძღვანელობის მოვალეობა იყო იმის წინასწარ დადგენა, თუ რა ოდენობის მადანს ჩააბარებდა (საწარმოო წელს) ამხანაგობის თითოეული წევრი ცალ-ცალკე და ყველა ერთად, ამის შესაბამისად მადნის მყიდველის პოვნა და მასთან ხელშეკრულების დადება, მადნის ღირებულების სახით მიღებული თანხის გაცემა ამხანაგობის წევრებზე (გასაყიდად მათ მიერ ჩაბარებული მადნის ოდენობის შესაბამისად), ასევე ამხანაგობაში ახალი წევრების მიღება, საჭიროების შემთხვევაში სესხის აღება, ამხანაგობის წევრთა მიერ ხელშეკრულების შესრულებაზე მეთვალყურეობა და შეუსრულებლობის შემთხვევაში მათი დაჯარიმება, ამხანაგობის საერთო საქმეების დასაფინანსებლად ყოველი ფუთი გაყიდული მადნის ღირებულებიდან თითო კაპიკის დაქვითვა, ამხანაგობის ადმინისტრაციის ხარჯების დასაფარავად, საჭირო ნაგებობის შესაძენად ან დასაქირავებლად და სხვ.

ამხანაგობას არ გააჩნდა თავისი „ძირითადი კაპიტალი“ და აქციები. თითოეული მრეწველი განცალკევებულად ეწეოდა სამრეწველო საქმიანობას. ის წარმოადგენდა სავაჭრო გაერთიანებას, რომლის მიზა-

---

[9] ნ. ნიკოლაძის არქივი, საქ. № 51/96, № 51/97 (საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა); ვლ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

ნი იყო მადნის ადგილობრივ ბაზარზე უცხოელ შემსყიდველ-ექსპორტიორთა ბატონობის აღკვეთა და ამხანაგობის წევრთა კუთვნილი მადნის მომგებიან პირობებში გასაღება.

დ. მუშები და მათი მდგომარეობა

კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთ წანამძღვარსა და ელემენტს წარმოადგენს წარმოების საშუალებებს მოკლებული დაქირავებული მუშათა კლასის წარმოშობა. ამ კლასის ჩამოყალიბება, როგორც ცნობილია, ხდება სასაქონლო ურთიერთობის განვითარებისა და წარმოების საშუალებებისაგან მწარმოებლის მოწყვეტის, ანუ უშუალო მწარმოებლის ექსპროპრიაციის პროცესში. „მაშასადამე, პროცესი, რომელიც კაპიტალისტურ ურთიერთობას ქმნის, არ შეიძლება იყოს სხვა რამე, თუ არა პროცესი გათიშვისა მუშასა და მისი შრომის პირობების საკუთრებას შორის, პროცესი, რომელიც, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ საარსებო საშუალებებს და წარმოების საშუალებებს კაპიტალად აქცევს, ხოლო, მეორე მხრივ, უშუალო მწარმოებელს — დაქირავებულ მუშად“[1]. ასე ხორციელდება ე. წ. თავდაპირველი დაგროვება, რომელიც, კ. მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ, „სხვა არაფერია, თუ არა ისტორიული პროცესი მწარმოებლისა და წარმოების საშუალებათა გათიშვისა“[2]. ხოლო „თავდაპირველი დაგროვების ისტორიაში, — წერს კ. მარქსი,—ეპოქის შემქმნელია ყველა ის გადატრიალება, რომელიც კაპიტალისტების კლასისათვის მისი შექმნის პროცესში ბერკეტს წარმოადგენს; უწინარეს ყოვლისა ასეთი მნიშვნელობისაა ის მომენტები, როცა ადამიანთა დიდი მასები უეცრად და ძალდატანებით მოწყვეტილნი ხდებიან საარსებო საშუალებებს და გადატყორცნილნი შრომის ბაზარზე როგორც კანონგარეშე დაყენებული პროლეტარები. სოფლის მეურნეობის მწარმოებლის ექსპროპრიაცია, გლეხის გაბოგანება, მთელი პროცესის საფუძველს შეადგენს. ამ ექსპროპრიაციის ისტორია,—შენიშნავს კ. მარქსი,—სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ელფერს იღებს, სხვადასხვა თანმიმდევრობით და სხვადასხვა ისტორიულ ხანაში სხვადასხვა ფაზებს გაივლის“[3].

სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება ჩვენში საზოგადოდ შედარებით ნელა მიმდინარეობდა, რადგან მას ხანგრძლივად ამუხრუჭებდა ბატონყმური ურთიერთობა. აქ ეს პროცესი, როგორც ცნობილია, ბატონყმობის გაუქმებამდე დაიწყო და გაძლიერდა რეფორმის

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 898.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 899—900.

მომდევნო ხანაში, ბატონყმობის გადმონაშთების არსებობის პირობებში; თუმცა, სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ თითქოს ბატონყმურმა მეურნეობამ ძირფესვიანად აღკვეთა სამრეწველო მუშათა კადრების მომზადებისა და ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ბატონყმურმა მეურნეობამ მხოლოდ შეაფერხა პროფესიულ სამრეწველო მუშათა კლასის ჩამოყალიბება. რეფორმამდელ ხანაში ბატონყმური სისტემა გამოხატულებას პოულობდა საზოგადოებრივ ურთიერთობაშიც, რომელიც მყარდებოდა, ერთი მხრივ, გლეხ-მუშასა და, მეორე მხრივ, მემამულე-ფაბრიკანტს შორის. გლეხი მუშად იქცეოდა, მეფაბრიკისაგან ექსპლოატაციას განიცდიდა და ამავე დროს ის ყმა გლეხადაც რჩებოდა. ყმის შრომა თავისუფალ დაქირავებულ შრომასთან შედარებით დაბალი ანაზღაურებითაც ხასიათდებოდა, რაც ყმა გლეხის საარსებო მინიმუმის დონის სიდაბლით, დაბალი კვალიფიკაციით, შრომის არამუდმივობით და სეზონურობითაც იყო გამოწვეული. მაგრამ, ამ გარემოების უკუფენას წარმოადგენდა ყმის შრომის დაბალი ნაყოფიერება, რაც მრეწველს არ აძლევდა დიდ მოგებას და შეუძლებელს ხდიდა წარმოების ჯეროვან პროგრესს. ჩვენში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ხდება საგრძნობი სამრეწველო განვითარების წამოწყებანი და თავისუფალი დაქირავებული მუშახელის გამოყენება, რაც წვრილ მწარმოებელთა ექსპროპრიაციის პროცესის გაღრმავების მაჩვენებელიცაა. კაპიტალისტურმა წამოწყებებმა თავი იჩინა თვით ბატონყმური მეურნეობის სისტემაშიც. ამასთანავე, დაქირავებულ მუშათა ექსპლოატაციის ბატონყმური ფორმებიც თანდათან იცვლებოდა ექსპლოატაციის კაპიტალისტური ფორმებით. ქვეყნის ეკონომიური პრგრესი ვლინდებოდა სოფლის მეურნეობისაგან მრეწველობის თანდათან გამოყოფაში, რაც სასაქონლო მეურნეობის განვითარების ძირითადი წანამძღვარი და თანმხლებია. მართალია, ჩვენში XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში შეიმჩნევა თავდაპირველი დაგროვების ელემენტები და იქმნება კაპიტალიზმის წანამძღვრები, მაგრამ ბატონყმობა დიდხანს აბრკოლებდა კაპიტალიზმის განვითარებას სამრეწველო წარმოებაში.

საგლეხო რეფორმამ გლეხთა ექსპროპრიაციისა და მათი მიწების დატაცების პროცესი დააგვირგვინა მიწების „საერთო წმენდით", „გათავისუფლებულ" გლეხთა „გამოყოფით" მათი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილისაგან. გლეხობას ჩამოაჭრეს მიწები, შეუმცირეს ნადელები. რეფორმა რუსეთშიც ბატონყმური იყო და მემამულეთა ინტერესების შესაბამისად გატარდა. საქართველოში რეფორმის ეს ბატონყმური ხასიათი კიდევ უფრო მეტად იგრძნობოდა, რადგანაც აქ გაცილებით მეტი რაოდენობით რჩებოდა ბატონყმობის ნაშთები. რეფორ-

მა ქართველი გლეხობისათვის მეტისმეტად არახელსაყრელ პირობებში გატარდა, რის შედეგადაც გლეხობის საგრძნობი ნაწილი, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, სრულიად უმიწაწყლოდ დარჩა[4]. ამას მოჰყვა „თავისუფალი" მიწის მწარმოებლის ექსპლოატაციის წმინდა კაპიტალისტური ფორმები. რეფორმამ საქმე მიიყვანა ჩაგვრის ფორმის ცვლილებამდე, ფეოდალური ექსპლოატაციის კაპიტალისტურით შეცვლამდე, სამრეწველო პროლეტარიატის და მისი სარეზერვო არმიის შექმნამდე, არმიისა, რომელიც უპირველეს ყოვლისა სოფლის წიაღში ყალიბდებოდა.

ყოველივე ამის გამო რეფორმამ ძლიერი ბიძგი მისცა „თავისუფალი" სამრეწველო პროლეტარიატის კადრების ჩამოყალიბებას. გლეხთა დიდი მასის მოწყვეტით საარსებო საშუალებებისაგან და მისი „გადატყორცნით" შრომის ბაზარზე, რეფორმამ გადაწყვიტა კაპიტალიზმისათვის ძირითადი საკითხი, — მისთვის საჭირო „თავისუფალი" მუშახელისა.

რეფორმის შედეგად შეიქმნა უმიწაწყლო გლეხთა მრავალრიცხოვანი ფენა, რომელიც აერთიანებდა ყოფილ ყმა გლეხთა სხვადასხვა ჯგუფს, იმათაც ვინც უკიდურესად მცირე ნადელები მიიღეს და წარმოადგენდნენ „მუშებს ნადელებით". რეფორმის მიერ შექმნილი უმიწაწყლო გლეხთა კადრები შეადგენდნენ იმ რეზერვს, რომელიც სამუშაო ძალით ასაზრდოებდა განვითარების პროცესში შესულ ქალაქსა და მრეწველობას. უმთავრესად ამ სარეზერვო არმიის ხარჯზე მიმდინარეობდა სამრეწველო პროლეტარიატის ფორმირება. ამრიგად, ჩვენში სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბების პროცესის ზოგადი დახასიათებიდანაც ჩანს, რომ მისი ფორმირების ძირითად წყაროს როგორც XIX საუკუნის ბატონყმური, ისე კაპიტალისტური ეპოქის საქართველოში გლეხობა წარმოადგენდა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ კაპიტალისტურ ეპოქაში სამრეწველო კადრების შევსება ხდებოდა უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხთა ხარჯზე. ამ პროცესში შედარებით უმნიშვნელო იყო ქალაქის ხელოსნების მონაწილეობა თვით სოფლის ხელოსნებთან შედარებითაც.

სამრეწველო პროლეტარიატის ფორმირების ამ სპეციფიკამ ჩვენში დიდი გავლენა მოახდინა კაპიტალიზმის შინაგანი სტრუქტურის განვითარებაზე. ის დიდი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობის ფაქტორიც გახდა, რადგან სამრეწველო პროლეტარიატის უშუალოდ გლეხობის ხარჯზე ჩამოყალიბების, ანუ მეორის დაშლის ხარჯზე პირველის ფორმირების შედეგია ის, რომ ჩვენში, ისე-

---

[4] საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ., 1962, გვ. 33.

ვე როგორც რუსეთში, ამ ორი, თავისი გენეზისით ერთმანეთის მახლობელი კლასის სოციალურ-ეკონომიური და რევოლუციურ-პოლიტიკური მისწრაფებები, ერთმანეთს „ხშირად მთლიანად ემთხვეოდა"[5]. ასეთია, ზოგადად, ჩვენს მრეწველობაში მუშათა კლასის ფორმირების საერთო ტენდენცია.

1879—1894 წლებში ჭიათურაში სამრეწველო აღწერები არ ხორციელდებოდა. მუშათა სტატისტიკის მოუწესრიგებლობაზე გ. ლასხიშვილი 1887 წელს წერდა: „რამდენი ვეცადე გამეგო ზოგიერთი საპირო ცნობები მუშების შესახებ... მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ეს თითქმის შეუძლებელი შეიქნა... იმის ანგარიშიც არა აქვთ, თუ წლის განმავლობაში რამდენი მუშა მუშაობდა; რამდენია ნამუშევარი; რას აძლევდნენ. ადგილობრივი მცხოვრებნი მუშაობდნენ, თუ მოსულნი; რამდენი იყვნენ ან ერთნი ან მეორენი და სხვ"[6]. სამრეწველო სტატისტიკის მოუწესრიგებლობის გამო ზუსტად ვერ დგინდება თუ რამდენი მუდმივი და სეზონური მუშა იყო დასაქმებული მრეწველობის დასახელებულ დარგში — სამთო და დამხმარე სარეწავებში, საიდან არიან ისინი მოსული, რამდენი იყო მათ შორის ბავშვი და ქალი, როგორი იყო სხვადასხვა კატეგორიის, სქესისა და ასაკის მუშათა ხელფასის ანაზღაურების პირობები და სხვ. წყაროები კიდევ უფრო ძუნწ ცნობებს შეიცავენ საბადოებიდან გასაღების ადგილამდე მადნის გადამზიდველი და წარმოების დამხმარე სარეწავთა მუშახელის რაოდენობის საჩვენებლად. ეს მაშინ, როცა მარგანეცის მრეწველობაში ჩაბმული მუშახელის დიდ ნაწილს ანუ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თითქმის ნახევარს, მარტო მადნის საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით გადამზიდველნი შეადგენდნენ[7].

სამთო მუშათა შესახებ ცნობების შეგროვება 1893 წლიდან სამთო ზედამხედველობას ჰქონდა დაკისრებული, ხოლო უკანასკნელი მიახლოებით აღრიცხავდა, მრეწველთა მიერ მოწოდებული ცნობების საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით სტატისტიკურ კრებულში აღნიშნულია:

„ცნობების შეკრების ასეთ წესს, რა თქმა უნდა, არ შეუძლია მოგვცეს მათი სრული სიზუსტის გარანტია. ამასთან ერთად, ამ ცნობებს ახლავს სხვა ნაკლიც: იქ ჩვენ ვერ ვპოულობთ მუშების დაყოფას ეროვნების, ქვეშევრდომობის, სქესისა და ასაკის მიხედვით და არც მათ ოჯა-

---

[5] И. П. Лященко, История народного хозяйства СССР, т. 2, М. 1956, გვ. 30.

[6] გ. ლასხიშვილი (განი), შავი ქვის მრეწველობა, გაზ. „ივერია", 1887, 28 ოქტომბერი, № 244.

[7] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. I, 37.

ხურ მდგომარეობაზე მითითებას"[8]. ამდენად, სტატისტიკისა და სხვა წყაროების მონაცემების კრიტიკული განხილვით მხოლოდ მიახლოებითი სურათის აღდგენა ხერხდება.

* * *

ჭიათურის მრეწველობის დაფუძნების პერიოდში პროფესიულ-სამრეწველო მუშათა ადგილობრივი კადრები სრულებით არ ჩანან. მრეწველობის მუდმივ და სეზონურ მუშახელს და სამრეწველო მუშათა შევსების მთავარ წყაროს შორაპნის მაზრის, ასევე საქართველოს სხვა კუთხეებიდან მოსული ღარიბი გლეხობა წარმოადგენდა. ჭიათურაში სწორედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში დაიწყო მუშათა პირველი კადრების ჩამოყალიბება, რაც აქ, ისევე როგორც რუსეთში, დაკავშირებული იყო წარმოების სტადიების — წვრილი სასაქონლო და მანუფაქტურული წარმოების ჩასახვასა და განვითარებასთან[9].

კოლონიურ მდგომარეობაში მოქცეული საქართველო შედარებითი ეკონომიური ჩამორჩენილობით ხასიათდებოდა. ამიტომ რეფორმამდელ ხანაში კაპიტალისტურმა მანუფაქტურამ ვერ პოვა ისეთი განვითარება, რომ მას მოემზადებინა სამრეწველო მუშათა კვალიფიციური კადრები, კერძოდ, სამთო მუშათა კვალიფიციური კადრები. რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს მრეწველობის დარგების განვითარებას, გასული საუკუნის 80-იან წლებამდე, ერთგვარად აბრკოლებდა მუშათა კვალიფიციური კადრების სიმცირეც. საქართველოს მრეწველობაში საერთოდ (და მით უმეტეს მარგანეცის მრეწველობაში, რომელიც მხოლოდ 80-იანი წლების დამდეგიდან წარმოიშვა) მუშათა კლასი რეფორმის მომდევნო ხანაში ჩამოყალიბდა. ამიტომ, გასაგებია, რომ ჭიათურის სამრეწველო რაიონში მუშათა რიგების შევსების მთავარ წყაროს ამავე რაიონის, მთელ დასავლეთ, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებიდან მოსული გლეხობა შეადგენდა. მაგრამ სოფლიდან წასულ გლეხთა დიდი ნაწილი თავდაპირველად წარმოებაში მხოლოდ დროებით, სეზონურად ებმებოდა, როგორც გარესამუშაოში, და ის კვლავ თავის ოჯახსა და მეურნეობას უბრუნდებოდა. საოკრუგო ინჟინრის 1891 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჭიათურაში ადგილობრივი გლეხები ეწევიან სამთო სამუშაოებს, როგორც დამხმარე სარეწავს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, უპირატესად ზამთარში[10]. ზოგიერთი წყაროს ჩვენებით ჭიათურელი სამთო მუშა არა თუ

---

[8] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 37.

[9] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 732—339.

[10] სსსა, ფონ. 264, საქ. 2006, ფურც. 28.

მრეწველობის მოცემული დარგის განვითარების გარიჟრაჟზე, არამედ უფრო გვიანდელ ხანაშიც არაყოველდღიურად მუშაობდა[11]. მრეწველობაში ჩაბმულ მუდმივ და, მით უმეტეს, დროებით მუშათა ცხოვრებაზე დაკვირვება მოწმობს, რომ 1879—1894 წლებში, როცა ჭიათურის მრეწველობაში არსებითად არაფერი იყო გაკეთებული მუშახელის საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, მუშები სოფელთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული.

თავის წიგნში პროფ. ა. რობაქიძე ცალკეულ მუშათა გენეალოგიის დადგენით წარმოგვიდგენს ჭიათურაში სამთო მუშათა კადრების ჩამოყალიბების სურათს, საიდანაც ჩანს, რომ სოფლიდან წარმოებაში მოსული მშრომელები კარგა ხანს თავისებურად ათავსებდნენ ერთმანეთს მიწათმოქმედებასა და წარმოებაში მუშაობას, რომ უკანასკნელს ისინი ეწეოდნენ, როგორც გარე სამუშაოს, ოჯახისაგან მოუწყვეტლივ, რითაც დამატებით სახსარს პოულობდნენ[12]. მაგრამ, მრეწველობის განვითარებისდაკვალად ეს ვითარება გარდაქმნას განიცდიდა.

«Все более широкое вовлечение местного населения в промышленность и все более глубокое проникновение промышленности в сельскую жизнь населения района марганцевых залежей в условиях сохранения значительной частью промысловых рабочих постепенно слабеющей, но все еще постоянной связи с сельским хозяйством, составили ту основу, на которой протекал процесс формирования кадра производственных рабочих Чиатурской марганцевой промышленности почти до начала XX века»[13]. მკვლევარმა ა. რობაქიძემ მრავალი ოჯახის გენეალოგიის მაგალითზე გვიჩვენა მემკვიდრეობით სამთოელთა ოჯახების ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი, რითაც ნათელყო სამრეწველო მუშათა კადრების ჩამოყალიბების თავისებურებანი ჭიათურაში. ავტორი დასკვნის: «Этот процесс зарождается в семьях **исключительно сельскохозяйственного типа**, проходит стадию **преимущественно извозного промысла**, характеризуемую непостоянной связью с производством и полным подчинением промысла интересам сельскохозяйственной семьи. В дальнейшем, этот процесс вступает в стадию **главным образом промышленного характера**, причем связь с производством становится постоянной, а сельское хозяйство начинает терять господствующее положение. На этой

---

[11] Труды III съезда марганцепромышленников, 1904, გვ. 57.

[12] А. Робакидзе, Некоторые стороны быта рабочих Чиатурской марганцевой промышленности, Тб., 1953, გვ. 25.

[13] იქვე, გვ. 24.

стадии и зарождается основная масса Чиатурских горно-промышленных рабочих определенных производственных профессий»[14].

ამრიგად, ვხედავთ, რომ გლეხური ოჯახიდან წარმოებაში მშრომელები თავდაპირველად ებმებიან უპირატესად როგორც გარე სამუშაოში. ამ ეტაპზე მათი კავშირი წარმოებასთან არამუდმივია: წარმოებაში დროებით ჩაბმული გლეხის ოჯახისათვის მთავარ საარსებო წყაროს კვლავ მიწათმოქმედება შეადგენს, ხოლო საწარმოდან მიღებული შემოსავალი მხოლოდ დამხმარე სახსარს. დროის მსვლელობაში ვითარება იცვლება. მრეწველობის განვითარებისდაკვალად სოფლიდან წასული გლეხი წარმოებასთან მუდმივ კავშირს ამყარებს, აქედან მიღებული შემოსავალი ხდება ოჯახის მთავარი საარსებო წყარო, ხოლო სოფლის მეურნეობა კარგავს ადრინდელ, უპირატეს მნიშვნელობას და ის მისთვის მეორეხარისხოვან საარსებო საშუალებად იქცევა. ეს ცვლილება რამდენადმე გვიან, გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა და ის დაკავშირებული იყო სამრეწველო რაიონის მუდმივ მუშათა კადრების ჩამოყალიბებასთან. მაგრამ, კადრის მუშათა ძირითადი მასა სოფელთან შესუსტებულ კავშირს კვლავ ინარჩუნებდა. ამ გაგებით ბინადრობა და კარჩაკეტილობა მოცემულ პერიოდში, როცა ჭიათურის მრეწველობა კაპიტალისტური განვითარების პირველი სტადიიდან მეორეზე გადავიდა, დამახასიათებელია როგორც მუშებისათვის, ისე მრეწველთათვის, რომელთა უმრავლესობას ადგილობრივი საქმოსნები შეადგენდნენ.

ინტენსიური მეურნეობის ქვეყანაში, არა თუ სოფლიდან მოსული მუშა, არამედ წვრილი მრეწველიც ერთგვარ დასაყრდენს პოულობდა გლეხურ მეურნეობაში. ეს გასაგებიცაა, რადგან საზოგადოდ „მრეწველობის განვითარების პირველი ორი სტადია ხასიათდება მოსახლეობის ბინადრობით. წვრილი მრეწველი, — წერს ვ. ი. ლენინი, — გლეხად რომ რჩება, მიწის მეურნეობით თავის სოფელზეა მიმაგრებული. მანუფაქტურის ოსტატი ჩვეულებრივ მიჯაჭვული რჩება მრეწველობის იმ პატარა, კარჩაკეტილ რაიონზე, რომელსაც მანუფაქტურა ჰქმნის. თვით მრეწველობის წყობაში მისი განვითარების პირველ და მეორე სტადიაზე ისეთი არაფერია, რომ არღვევდეს მწარმოებლის ამ ბინადრობასა და კარჩაკეტილობას“[15]. ამ დებულების სისწორეს მთელი დამაჯერებლობით გვიდასტურებს ჭიათურის მრეწველობის საწყის სტადიებზე მუშათა კადრების ცხოვრებაზე დაკვირვება. ადგილობრივ მრეწველთა

---

[14] А. Робакидзе. Некоторые стороны быта рабочих Чиатурской марганцевой промышленности, Тб., 1953, გვ. 26.

[15] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 649.

უმრავლესობა და, მით უმეტეს, ადგილობრივ გლეხთა წრიდან გამოსული მუშები, რამდენადაც შეიძლებოდა, ცდილობდნენ სოფელთან კავშირის შენარჩუნებას. ეს გარემოება ჭიათურისათვის კარგა ხანს იყო დამახასიათებელი, თუმცა სოფელთან ამ კავშირის შესუსტება წარმოების გაძლიერებისდაკვალად მიმდინარეობდა. წარმოების გარიჟრაჟზე კი, ჩვენი დაკვირვებით, საქართველოს სოფლიდან მოსულ მუშებს შორის მცირე უნდა ყოფილიყვნენ ისეთები, რომლებიც მთლიანად იქნებოდნენ მოწყვეტილნი წარმოების საშუალებებს და „გადატყორცნილნი შრომის ბაზარზე, როგორც კანონგარეშე დაყენებული პროლეტარები". ჭიათურის მრეწველობაში ჩაბმული ადგილობრივი მშრომელების ცხოვრების პირობებზე დაკვირვება მოწმობს, რომ ჩვენში, შორაპნის მაზრაში, გასული საუკუნის 80-იან წლებში, გლეხობის დიდ უმრავლესობას არ განუცდია „განგლეხება", ამასთანავე მხოლოდ წამოწყებულია გათიშვა მუშისა შრომის პირობებისაგან და ამ უკანასკნელთა საფუძვლისგან—მიწისაგან, მხოლოდ წამოწყებულია მრეწველობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან. ამ პროცესს აბრკოლებდა ბუნების სიმდიდრით უხვად დაჯილდოებული ქვეყნის ინტენსიური სოფლის მეურნეობის შედარებით მაღალი პროდუქტიულობა, რის გამო მრეწველობაში დაქირავებულ მუშად ქცეული გლეხი ცდილობდა იმავდროულად შეენარჩუნებინა კავშირი მიწასთან. პროცესს ასევე აფერხებდა ცარიზმის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ქვეყნის კოლონიურ ათვისება-დაპყრობას და არა მის საწარმოო ძალთა განვითარებას მრეწველობაში. ეს პოლიტიკა მოცემულ პერიოდში კვლავ ამუხრუჭებდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას და, მაშასადამე, მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის გამოყოფას ამიტომაა, რომ გლეხობიდან გამოსულ სამრეწველო მუშათა გარკვეული ნაწილის, „ორმისამართიანი" ცხოვრება მთელი საქართველოს მუშათა კლასისათვის იყო დამახასიათებელი[16].

სამრეწველო მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ სოფელთან კავშირის შენარჩუნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, გაპირობებული იყო აგრეთვე ჩვენი ქვეყნის შედარებითი ტერიტორიული სიმცირით, ანუ სამრეწველო ცენტრების სოფელთან სიახლოვით. ამ თავისებურებამ შემდეგში, მუშათა რევოლუციური მოძრაობის ეპოქაში, მხოლოდ ხელი შეუწყო თავისი გენეზისით ერთმანეთის ახლობელი ორი ჩაგრული კლასის — პროლეტარიატისა და გლეხობის მისწრაფებათა ურთიერთდაახლოებას.

---

[16] ი. კაჭარავა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, 1959, გვ. 40.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ჭიათურაში სამრეწველო მუშათა ძირითად მასას საქართველოს სოფლიდან მოსული გლეხობა შეადგენდა. აქ იყ-ვნენ აგრეთვე კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან, რუსეთის შიდა გუბერ-ნიებიდან, ასევე უცხოეთიდან (თურქეთიდან და სპარსეთიდან) მოსუ-ლი მუშები: რუსები, სომხები, ოსები, ბერძნები, სპარსელები[17], ლე-კები[18], ჩეჩნები[19], ერთ დროსაც იტალიიდან ჩამოყვანილი მუშები[20], ხოლო საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით მადნის გადაზიდვას ქარ-თველ გლეხებთან ერთად ეწეოდა ირანიდან და თურქეთიდან, აგრეთვე სომხეთიდან და ოსეთიდან თავისი სატრანსპორტო საშუალებით მოსუ-ლი მუშახელი[21]. სტატისტიკის მოუწესრიგებლობის გამო საიდუმლოე-ბით მოცულია ჭიათურის მრეწველობასა და მის დამხმარე სარეწებში იმ დროს ასე თუ ისე ჩაბმულ მუდმივ და სეზონურ მუშათა რაოდენობის ცვალებადობის ზუსტი მაჩვენებლები, რადგან სამთო ზედამხედველო-ბა მარტო სამთო მუშათა რიცხვს აღნუსხავდა და ისიც არაყოველწლი-ურად, თანაც დაუდევრად. ამიტომ, გასაგებია, შეუძლებელი ხდება მუდმივ და სეზონურ მუშათა დიფერენცირება, სამთო წარმოების დამ-ხმარე სარეწებისა და საბადოებიდან რკინიგზამდე მადნის გადამზიდვე-ლი მუშახელის რამდენადმე ზუსტად გათვალისწინებაც. სამთო მუშების საერთო რიცხვის დადგენა ხერხდება სხვადასხვა წყაროთა მიახლოები-თი ცნობების გათვალისწინებით[22]. ეს მონაცემები ასეთ სურათს წარ-მოგვიდგენს:

წელი	სამთო მუშათა რიცხვი	წელი	სამთო მუშათა რიცხვი
1880	346	1889	1093
1881	451	1890	2706
1882	480	1891	1830
1883	290	1892	2205
1886	1008	1893	2740
1887	1156	1894	2183
1888	726		

სამთო მუშათა კონცენტრაციის ტენდენცია აღებული ხანის ჭიათუ-რის მარგანეცის მრეწველობაში საგრძნობია; თუმცა, ისიც ფაქტია,

---

[17] სსსა, ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 6, მეორე გვერდი.

[18] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 38.

[19] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2., д. 4914, 1890—1892., л. 526.

[20] „ივერია", 1889, 12 იანვარი, № 8, ფ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 6—7.

[21] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 37—39; Богатства СССР, М.-Л., 1927, გვ. 67.

[22] სურათის დასადგენად გამოვიყენეთ ЦГИАЛ, ф. 23, оп. 67, д. 253, л. 13; ЦГИАЛ, ф. 23, оп. 17, д. 738, л. 75; სსსა, ფონ. 264, საქ. 1030, ფურც. 17; სსსა, ფონ. 12, ანაწ. 1, საქ. 1005, ფურც. 66; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 12—26.

რომ მუშათა რაოდენობაში მომხდარი ცვლილებები ყოველწლიურად ერთნაირი სიზუსტით არ შეესაბამება წარმოების მასშტაბს, რადგან მათ შორის დროებით მუშათა რიცხვი ცვალებადობდა წარმოებაში სეზონურობის მეტ-ნაკლებობისა და საქართველოს, მეტადრე დასავლეთ საქართველოს სოფელში სხვადასხვა წლებში შექმნილი ვითარებისდაკვალად (მოუსავლიანობა და სხვ.)[23]. ეს არასრული ცნობები ვერ გამოდგება აღებული ხანის ჭიათურის მრეწველობაში მუშათა საერთო რიცხვის ზრდის დინამიკის ზუსტად საჩვენებლად, მით უფრო, რომ აქ გაუთვალისწინებელია სამთო მრეწველობის დამხმარე სარეწავთა და, რაც მთავარია, საბადოებიდან რკინიგზამდე მადნის გადამზიდველი, აგრეთვე მტვირთავი მუშახელის რაოდენობა. ამავე დროს, ურკინიგზობის პირობებში, როცა მადნის გაზიდვა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალამდე, უმთავრესად ურმებით, ცხენებით, აგრეთვე ჯორებით, სახედრებით და ერთ დროს აქლემებითაც ხდებოდა, ამ საქმეში დიდძალი მუშახელი იყო დასაქმებული. მადნის გადამზიდველთა რიცხვის მიახლოებით დადგენისას „სტატისტიკური კრებულის" ავტორები, შენიშნავენ: „უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი რიცხვი სამრეწველო მუშათა რიცხვზე ნაკლები არ არის და ეს რიცხვი იცვლება სამთო მუშათა რაოდენობის შესაბამისად: სამთო მუშათა რიცხვის ზრდისა და მარგანეცის საბადოების ექსპლოატაციის გაძლიერების პარალელურად იზრდება მადნის გადამზიდველთა რიცხვი და პირუკუ"[24]. ამ ცნობის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამთო და გადამზიდველ მუშათა საერთო რაოდენობა (მრეწველობის დამხმარე სარეწავთა მუშახელის ჩაუთვლელად) ჭიათურის სამრეწველო რაიონში, ვთქვათ, 1893 წელს, 5 000-ს აღემატებოდა. მართალია, განსახილველ პერიოდში სამთო გამონამუშევრების გამაგრება ყველგან როდი ხდებოდა, მაგრამ შედარებით მსხვილ სარეწავებში ის წამოიწყო და საამისო ხის მასალის (ბოძების, ფიცრების და სხვ.) დამზადებას ასევე სჭირდებოდა მუშახელი. სამრეწველო რაიონში (ჭიათურაში, რგანში) თავიდანვე გაჩნდა და მომრავლდა სამუშაო იარაღების (ნიჩაბი, წერაქვი და სხვ.), ასევე

---

[23] ხშირი იყო შემთხვევები, როცა მუშახელი მეტად ჭარბი იყო ჭიათურაში გუბერნიის სოფლის მეურნეობის დაცემისა და გარე სამუშაოების არსებობის შედეგად (იხ. ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, л. 10 об). წარმოებაში სეზონურობა ხველა წელში ერთნაირი მასშტაბით არ ხასიათდებოდა.

[24] Статистика марганцевого дела, 1902, გვ. 45. გადამზიდველთა შესახებ საარქივო დოკუმენტებიც ასევე მეტყველებენ: «Хотя статистических данных о наличности возчиков и нагрузчиков не имеется, но, во всяком случае, она представляется не меньше численности промысловых рабочих, увеличиваясь или уменьшаясь в соответствии с размерами добычи» ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 28).

სატრანსპორტო საშუალებათა (ურმების, ხელურმების და სხვ.) შემკეთებელი და მკეთებელი სამჭედლო სახელოსნოები (სოფ. მანდაეთში, ჭიათურაში. კორბოულში), სადაც ასევე გარკვეული რაოდენობის მუშახელი იქნებოდა დასაქმებული. სამრეწველო რაიონში თანდათან მოეწყო სხვადასხვა სახელოსნოები. ამდენად, სამრეწველო რაიონში მუშაობა კონცენტრაცია, გასაგებია, უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე ამას გვიჩვენებს ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი არასრული ცნობები.

ადგილობრივი და სამხრეთის ქვეყნებიდან მოსული მუშათა ძირითადი მასა თავისი სოციალური წარმოშობით გლეხები. სამთო და მადნის გადამზიდველ მუშათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 80—85% ქართველები. იმის გამო, რომ სამთო-მოპოვებითი მრეწველობა შედარებით ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, ხოლო მადნის გადაზიდვა უფრო სეზონურს, მუდმივ მუშათა კადრების ძირითად მასას სამთო მუშები შეადგენდნენ, ხოლო მადნის გადამზიდველნი — უფრო სეზონურს.

სამთო საწარმოებში, როგორც ჩანს, შედარებით ფართოდ იყენებდნენ ქალთა და ბავშვთა შრომას. ამის გამო საარქივო წყაროში ვკითხულობთ: „საწარმოებში მუშაობს საგრძნობი რიცხვი ქალებისა და 7-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისა[25]. ასეთსავე ცნობას გვაწვდის ამ ფაქტის თვითმხილველი გ. დეკანოზიშვილი, რომელიც 1893 წელს წერდა: „თვითონ ჩვენ ხშირად გვინახავს მადნების პირს დედაკაცობა, შეუჩვეველი მძიმე შრომას და ბავშვობაც, რომელნიც აგროვებდნენ გვირაბების ახლომახლო შავი ქვის ნატეხებს"[26].

სამთო მუშათა საშუალო წლიური მწარმოებლურობა აღებულ ხანაში ასე იზრდებოდა[27]:

წელი	თითოეული მუშის წლიური გამომუშავება (ფუთობით)	წელი	თითოეული მუშის წლიური გამომუშავება (ფუთობით)
1880	2 300	1889	3 960
1881	1 600	1890	4 018
1882	2 580	1891	3 900
1883	3 360	1892	4 640
1886	2 900	1893	3 990
1887	2 780	1894	5 090
1888	2 500		

[25] ЦГИАЛ, ф. 565, оп. 26907, л. 103.

[26] იხ. „ივერია", 1893, № 256.

[27] ЦГИАЛ, ф. 565, оп. 7, д. 26907, л. 101. 1881—1883 და 1883 წლების მონაცემები. შდრ., ა. კოპლატაძე, საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა XIX საუკუნეში, გვ. 297.

როგორც ვხედავთ, მუშის საშუალო წლიური მწარმოებლურობა დინამიურია, ხან მატულობდა, ხან კლებულობდა, რაც მუშათა საერთო მასაში სეზონურად მომუშავეთა ხვედრითი წონის მეტ-ნაკლებობითაც უნდა აიხსნას. მაგრამ, მუშის საშუალო წლიური წარმადობის ზრდა მაინც იოლი შესამჩნევია. „მუშის საშუალო მწარმოებლურობა თანდათან იზრდება, რაც, ჩანს, აიხსნება მათ მიერ გამოცდილების შეძენითა და შრომის ჩვევების გამომუშავებით“[28]. მოცემულ პერიოდში, როცა მრეწველობის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღება არც კი იყო რამდენადმე საგრძნობლად დაწყებული, მუშათა წლიური მწარმოებლურობის ზრდა აიხსნება მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებით, შრომის ინტენსიფიკაციით, ასევე მრეწველობის ახალ, მანუფაქტურულ სტადიაზე გადასვლით, ანუ წარმოებაში მუშათა შორის შრომის დანაწილების გაღრმავებით, რაც თავის მხრივ იწვევდა მუშათა მიერ საწარმოო ჩვევების გამომუშავებას, მათ დახელოვნება-დაოსტატებას. ყოველივე ეს ადიდებდა შრომის ნაყოფიერებას.

მრეწველობის ჩასახვა-განვითარების მოცემულ პერიოდში წარმოებას არ გააჩნდა შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, ტექნიკური სიახლეების დანერგვა არ იყო დაწყებული. მრეწველთა უმრავლესობა წარმოების სრულყოფა-გაუმჯობესებისათვის აუცილებელი კაპიტალის ნაკლებობას მწვავედ განიცდიდა, რის გამო მადნის შემსყიდველ-ექსპორტიორთა კაბალაში იყო მოქცეული. მრეწველთა უმეტესობა საქმიანობის გაფართოებასა და მოგების ნორმის გადიდებას დაქირავებულ მუშათა ექსპლოატაციის მაქსიმალურად გაძლიერებით, ასევე შრომის პროცესის ინტენსიფიკაციის მეშვეობით ცდილობდა და შთელ სიმდიდრეს და ზედმეტ ღირებულებასაც მუშის ხელით შრომა ქმნიდა. პრიმიტიულ ტექნიკაზე და ხელით შრომაზე დამყარებულ სარეწავთა მფლობელები, განსაკუთრებით წვრილი მრეწველები, მსხვილ მრეწველებთან საკონკურენციო ბრძოლაში, მიმართავდნენ სამუშაო დღის გახანგრძლივებასაც.

როგორც ცნობილია, მუშათა კლასის მდგომარეობას განსაზღვრავს შემდეგი უმთავრესი ფაქტორები: შრომის პირობები, სამუშაო დღის ხანგრძლიობა, შრომის ინტენსიურობა, ხელფასის დონე, საყოფაცხოვრებო პირობები, ქალთა და ბავშვთა შრომის გამოყენება, უმუშევრობის მასშტაბი, მუშათა პოლიტიკური უფლებები. სწორედ ამ თვალსაზრისით შეეცდებით დავახასიათოთ სხვადასხვა კატეგორიისა თუ პროფესიის მუშათა მდგომარეობა ჭიათურის მრეწველობაში.

---

[28] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 28.

* * *

სამრეწველო რაიონში მუშები, თავისი საქმიანობის ხასიათით, ძირითადად ორ ჯგუფად იყოფოდნენ: სამთო და საბადოდან რკინიგზის მაგისტრალამდე მადნის გადამზიდველ მუშებად, თუმცა მრეწველობაში თავიდანვე ჩაისახა დამხმარე დარგები (სახელოსნოები, სამჭედლოები და სხვ.), სადაც დაქირავებული მუშახელი იყო გამოყენებული. რკინიგზის სადგურებზე მადნის დასატვირთად დიდძალი დაქირავებული მუშახელი იყო თავმოყრილი.

თავის მხრივ, სამთო მუშები, სამუშაოს ხასიათით, იყოფოდნენ: მნგრეველებად, მადნის გამომზიდველებად, დამხარისხებლებად, „მეშტაბელეებად". პირველნი ეწეოდნენ მადნის გამონგრევა-მოპოვებას, მეორენი — მაღაროში მოპოვებული მადნის ზედაპირზე გადმოზიდვას, მესამენი — მადნის გაცხრილვა-დახარისხებას საბადოს ზედაპირზე, მეოთხენი — მადნის დაწყობას (უმთავრესად კუბ. საჟენებად), მაგრამ წარმოების ჩასახვა-განვითარების პირველ წლებში (ასევე ხშირ შემთხვევაში მომდევნო ხანაში) წვრილ სამთო საწარმოებში, სამთო მუშათა მცირერიცხოვნებისას, შეუძლებელი ხდებოდა შრომის პროცესის დანაწილება და ყველა ამ სამუშაოს ერთი და იგივე მუშები ასრულებდნენ: „წვრილ სარეწებში მუშების დაქირავებისა და საბადოების დამუშავების წესის თანახმად, მადნის ამოღება, მიწის ზედაპირზე გამოზიდვა, დახარისხება და საჟენებად დაწყობა ხდებოდა ერთი და იგივე პირის მიერ, სანარდო გარიგების საფუძველზე"[29]. აქ გამორიცხული იყო შრომის პროცესის სპეციალიზაცია. წვრილ (უმთავრესად გლეხურ) სამთო საწარმოებში მუშათა რიცხვი და, მაშასადამე, სამუშაოთა მასშტაბიც შედარებით უმნიშვნელო იყო. მათთვის დამახასიათებელი არ იყო შრომის პროცესის დანაწილება. ამ სარეწავებში წვრილი მეწარმენი ხშირად დაქირავებულ მუშებთან ერთად იყვნენ ჩაბმული შრომის პროცესში. როგორც მუშები. შრომის დანაწილებაზე დაკვირვებისას ყურადღებას იპყრობენ ე. წ. „მეფუთე" მუშები, რომლებიც წინასწარი სანარდო გარიგებით საბადოში მოპოვებულ მადანს მეწარმეს დადგენილ ფასში აბარებდნენ. ირკვევა, რომ ამ „კატეგორიის" თვითეული მუშა, მეტადრე წვრილ საწარმოში ჩაბმული, ხშირად ერთდროულად ასრულებდა მადნის მოპოვებასთან, ზედაპირზე მის გამოზიდვასთან და დახარისხებასთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციას, რის შემდეგ მას ენაცვლებოდა საბადოდან გასაღების ადგილამდე მად-

---

[29] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, л. 71.

ნის გადამზიდველი მუშახელი. მაგრამ, მალე, 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, „მეფუთეებს შორის შეინიშნება შრომის დანაწილების ტენდენცია. დაიწყო „მეფუთე“ მუშათა არტელების ჩამოყალიბება, რაც, ჩვენი აზრით, მანუფაქტურული ტიპის სამთო საწარმოების ჩამოყალიბებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან „შრომის მანუფაქტურული დანაწილება საქმეში გამოყენებულ მუშათა რიცხვის ზრდას ტექნიკურ აუცილებლობად ხდის“[30]. საარქივო საბუთები მოწმობენ, რომ მუშათა არტელები აერთიანებდნენ სხვადასხვა კვალიფიკაციის სამთო მუშებს: მნგრეველებს, გამონამუშევრებიდან მადნის გამომზიდველებს, დამხარისხებლებს, „მეშტაბელეებს“. მრეწველებსა და მეფუთეთა არტელებს შორის დადებული ხელშეკრულებებით უკანასკნელნი ხშირად ვალდებული იყვნენ საკუთარი იარაღებით ეწარმოებინათ მოპოვება, ზოგჯერაც მრეწველები აწვდიდნენ არტელს სამუშაო იარაღებს, გამონამუშევრების გასამაგრებელ მასალას და სხვ.[31] სანარდო გარიგების ეს სისტემა, როგორც წესი, მომგებიანი იყო მეწარმისათვის, რომელიც დიდი კაპიტალდაბანდების გარეშე ეწეოდა სამრეწველო საქმიანობას და იოლად ახერხებდა შრომის პროცესის ინტენსიფიკაციის დონის ამაღლებას. მაგრამ, მთავარი ის არის, რომ მეფუთეთა არტელების ჩამოყალიბების შემდეგ, როცა შესაფერის საწარმოში თავს იყრიდა დიდძალი მუშახელი, დაქირავების სანარდო სისტემის ამ სახეობასაც ახასიათებს შრომის დანაწილება, რაც ნიშანდობლივია წარმოების მანუფაქტურული სტადიისათვის.

მსხვილ საწარმოებში შრომის პროცესზე დაკვირვება სულ სხვა სურათს გვაძლევს: ამ საწარმოებში თავიდანვე შეიმჩნევა შრომის პროცესის გარკვეული დანაწილება. აქ ერთნი ეწევიან საბადოს ფენების დამუშავებას და მადნის გამონგრევას, მეორენი გამონგრეულ მადანს ამზადებენ გასაზიდად, მესამენი მას ეზიდებიან ზედაპირზე, მეოთხენი არჩევენ და ამზადებენ ადგილზე გასასაღებლად, ან გასაღების ადგილზე გასაზიდად[32]. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ იმ დროის თანამედროვენი და საქმეში ჩახედული პირები სამთო მუშათა საერთო მასაში ერთმანეთისაგან გამოჰყოფდნენ სხვადასხვა ხელობის მუშებს და აღნიშნავდნენ, რომ ამ მასას შეადგენდნენ „მეკირკეები“, „მელაფათქეები“, „მეტაპკეები“ და „ქვის მწმენდელები“[33]. ამრიგად, ვხედავთ, რომ მუშა (მნგრეველი, მენიჩბე, გამომზიდველი, დამხარისხებელი ანუ

---

[30] იხ. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 457.

[31] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 29, д. 88, л. 375; ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 27.

[32] იხ. Статистика марганцевого дела, 1902, გვ. 37—40.

[33] იხ. „ივერია“, 1889, 12 იანვარი, № 8.

რაც იგივეა: მეწერაქვე, მენიჩბე, მეურმე და ქვის მწმენდელი) წარმოადგენს რგოლს წარმოების პროცესის საერთო ჯაჭვში. ამავე დროს, წარმოების პროცესი ხელით შრომას ემყარებოდა. ასეთ პირობებში შრომის დანაწილების გაღრმავება, ჩვენი აზრით, შესაფერის სამთო საწარმოთა მანუფაქტურული ხასიათის ერთ-ერთი უტყუარი მაჩვენებელია.

მუშათა მდგომარეობა მეტად მძიმე იყო არა მარტო წვრილ გლეხურ სარეწავებში, არამედ მსხვილ მანუფაქტურული ტიპის საწარმოებშიც. სამთო ზედამხედველობა არ არსებობდა, რადგან კავკასიის სამთო სამმართველომ მოცემულ პერიოდში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა არ მიიჩნია მნიშვნელოვან საწარმოდ, სადაც სამთო წესდების თანახმად წარიმართებოდა მუშაობა. სამრეწველო რაიონს დიდძალი მუშახელი აწყდებოდა. ამით სარგებლობდნენ მრეწველები, რომლებიც მუშებს ქირაობდნენ საკუთრივ ან „მენარდეთა" და „ზედამხედველთა" მეშვეობით, ხშირად „არტელის" სახითაც. მენარდენი და ზედამხედველნი თავის მხრივ ექსპლოატაციას უწევდნენ მუშებს და ამ გზით მდიდრდებოდნენ. მათი წრიდან არაერთი გახდა შემდეგში შეძლებული მრეწველი. ასეთ პირობებში მეწარმესთან ერთად მუშას სხვა ექსპლოატატორიც უჩნდებოდა[34].

მეწარმენი, მუშის სამუშაო დღის გასახანგრძლივებლად და შრომის ინტენსიურობის უზრუნველსაყოფად, მოხერხებულად იყენებდნენ მუშახელის დაქირავების სანარდო სისტემის სხვადასხვა ფორმას. ამ სისტემის ერთ-ერთი ფორმა ასეთი იყო: „მუშა ღებულობს მწარმოებლისაგან ქირას. სამუშაო იარაღს და განათებას, როცა სამუშაო იარაღი ჩლუნგდება, ან ტყდება მისი შესწორება-შეკეთება ან გამოცვლა მწარმოებლის ხარჯით უნდა მოხდეს. მაღაროების კედლების გასამაგრებლად მასალას: ბოძებს, ფიცრებს და სხვ. ყიდულობს იგივე მწარმოებელი"[35].

არსებობდა სხვა ფორმაც: მრეწველნი, განსაკუთრებით საამისო საბრუნავ კაპიტალს მოკლებული წვრილი მეწარმენი, მუშას ნარდად ქირაობდნენ იმ პირობით, რომ უკანასკნელს საკუთარი იარაღებითა და სხვა საშუალებებით ეწარმოებინა მიჩენილი საბადოს ექსპლოატაცია. ასეთი გარიგების თანახმად, მუშისაგან მეწარმე საბადოშივე ან, იშვიათად, ჭიათურაში იბარებდა მადანს წონით (ფუთობით), ან მოცულობით (კუბ. არშინობითა და საჟენობით — საჟენი კი 1500—1800 ფუთად ითვლებოდა).

იშვიათი არ იყო შემთხვევები, განსაკუთრებით მრეწველობის გვიანდელ ხანაში, როცა ნარდად დაქირავებული მუშები ქირას ღებულობდ-

[34] იხ. „კვალი", 1902, № 5, გვ. 81.

[35] ნ. ნუწუნავა, შავი ქვა, თბ., 1812, გვ. 17.

ნენ საბადოში მათ მიერ „გამოჭრილ“ კუბური არშინობით, «Получая с каждого прорезанного ими аршина приблизительно, смотря крепости породы, от 2-х до 5-ти рублей, причем один рабочий в три дня может прорезать два аршина, а иногда два человека в два дня больше одного аршина не прорежут. Таким образом средний дневной заработок забойщиков колеблется между 1 р.—1 р. 50 коп.»[36] მაგრამ, მუშახელის დაქირავების სანარდო სისტემის ყველა ფორმას შორის თანდათან უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო. ე. წ. ფუთობით გარიგებამ. ასეთი გარიგებისას მრეწველსაც და მუშასაც „მეფუთე“ ეწოდებოდა. პირველისაგან მეორე მოპოვების ადგილას ყოველ ფუთ მადანში ღებულობდა დაახლოებით 1—2 კაპიკს (იშვიათად 2—3½ კაპიკს), ხოლო ჭიათურაში ჩაბარებისას 5—8 კაპიკს. ამ შემთხვევაში ღირებულებას განსაზღვრავდა საბადოს ავკარგიანობა, მოპოვების სირთულე და საბადოს სიშორე. დაქირავების ეს ფორმა მოხერხებული და მომგებიანი იყო მრეწველისათვის, რადგან მუშა წინასწარი გარიგებით, ხშირად საკუთარი საწარმოო საშუალებით ეწეოდა მადნის მოპოვებას და არაიშვიათად საბადოდან ჭიათურამდე მადნის გადაზიდვასაც. „მეფუთე“ მუშას საშუალოდ დღეში შეეძლო გამოემუშავებინა 80 კაპიკიდან 1 მანეთამდე[37].

ამრიგად, მუშახელის დაქირავების სანარდო სისტემამ, მეტადრე „მეფუთეობამ“, წარმოებაში გაბატონებული მდგომარეობა დაიმკვიდრა. ეს გასაგებიცაა, რადგან მეწარმე ამ გზით მუშის სამუშაო დღის გახანგრძლივებას, შრომის ინტენსიფიკაციას მოხერხებულად აღწევდა. ასევე ყველა ზემოჩამოთვლილ შემთხვევაში (არშინობით, საჟენობით, თუ ფუთობით გარიგებისას) მუშის ქირას ხელოვნურად ამცირებდა.

აუტანელ პირობებში მუშაობდნენ მადნის მნგრეველი და სამთო გამონამუშევრებიდან მისი გამომზიდველი მუშები. გამონამუშევრების სიგრძე წვრილ სარეწავებში სამიოდე საჟენს არ აღემატებოდა, ხოლო შედარებით მსხვილ საწარმოებში 50—60 საჟენს აღწევდა. შიგნით არ იყო ვენტილაცია[38]. სამთო გამონამუშევრებს ანათებდნენ ჭრაქებით და პატრუქიანი პატარა (თუჯის) ჭურჭლით, ე. წ. „კანდალით“, რომელიც იტალიელებმა მოიტანეს. ასეთი განათება ვერ ქმნიდა მუშაობის შესაფერის პირობებს; შემდეგ თანდათან გადავიდნენ ზეთით განათებაზე და ბოლოს შემოიღეს ნავთის ლამპებით განათება[39]. სამთო გამონამუშევრებში „ნამეტანი ნოტიო იყო და დახშული ჰაერი“, „ჭრაქების

---

[36] Статистика марганцевого дела. К., 1902, გვ. 39.

[37] იქვე, გვ. 40.

[38] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, л., 44.

[39] ნ. წუწუნავა, შავი, ქვა, გვ. 15—17.

სუნი და ბოლი სულს უხუთავდა მუშას მაღაროში"[40]. ჭიათურის მაღაროების მუშათა პირობების აღმწერნი შეშფოთებით მიუთითებენ მუშათა შრომის აუტანელ პირობებზე. ერთ-ერთი მათგანი წერდა: „მაღაროში ჰაერი დახშულია და ადვილად ფუჭდება: ამას ზედ დავუმატოთ საშინელი მტვერი ქვისა, რომელიც მუშას სულ ერთიან მურავს, თან ჰაერთან ერთად სასუნთქავ ორგანოებში ჩაუდის. თქვენ წარმოიდგინეთ რა ტანჯვა-წვალებას განიცდის საწყალი მუშა, მაგრამ ლუკმა-პურისათვის კაცი რას არ აიტანს"[41]. ამასთანავე სამთო გამონამუშევრების ჭერის სიმაღლე უფრო ხშირად 1,5 არშინს არ აღემატებოდა, ამიტომ „მიგ სიარული წელში მოღუნული შეიძლებოდა მხოლოდ"[42]. მიწათმოქმედების მინისტრი ერმოლოვი, რომელმაც 1894 წელს დაათვალიერა ჭიათურის მაღაროები, თავის „მოხსენებაში" წერდა: „მბოლოდ ღოღობერიძის მაღაროში არის გაყვანილი რელსებიანი გზა და მადანი გამოაქვთ ვაგონეტებით, მაგრამ შტოლნები ისე დაბალია, რომ იქ მხოლოდ წელში მოხრილი შეიძლება იარონ. სხვა მეწარმეების მაღაროებიდან მადანი ზურგით გამოაქვთ"[43].

ამოღებული მადანი თავდაპირველად ზურგითაც გამოჰქონდათ, მაგრამ მალე დაიწყეს მისი გამოზიდვა ხუთფუთიანი ურიკებით და ხელურმებით. სამთო გამონამუშევრების გამაგრება ან არ ხდებოდა, ან ხდებოდა არასაიმედოდ, რაც ქანების ხშირ ჩამონგრევას და უბედურ შემთხვევებს, — მუშათა მსხვერპლს, — იწვევდა[44]. მრეწველობის განსახილველ პერიოდში სამთო ზედამხედველობის არარსებობის გამო, არ გაგვაჩნია უბედურ შემთხვევათა სისტემატური სტატისტიკა. მათი აღრიცხვა მხოლოდ იშვიათად, საგანგებო შემოხვევებში ხდებოდა. აღრიცხვის უწყისი, რომელსაც ჩვენ მივაკვლიეთ, მოწმობს, რომ უბედური შემთხვევები მაღაროებში ხშირი იყო და მათ იწვევდა უსაფრთხოების წესების დაუცველობა (სამთო გამონამუშევრების ცუდი გამაგრება ან გაუმაგრებლობა). მაგალითად, 1891 წელს, შუქრუთში მრეწველ ი. აბდუშელიშვილის მაღაროში, ფეხის ჩამონგრევის შედეგად მძიმედ ღაშავდა მუშა ვ. ნეფარიძე. სამთო უწყების წარმომადგენელმა ადგილზევე გამოიკვლია უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზები და დამნაშავედ სცნო მრეწველი, რომელიც სამთო გამონამუშევრის გამაგრებას არ ახდენდა. 1891 წელს შუქრუთში, ო. ჩაჩანიძის მაღაროში, იმავე

---

[40] „კვალი", 1900, № 31; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, л. 9.

[41] ნ. წ უ წ უ ნ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[42] „კვალი", 1900, № 31, გვ. 495.

[43] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 66, д. 2305, 1895. г., л. 33.

[44] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, л. 9 об.

მიზეზით დაიღუპა მუშა ნ. ნეფარიძე[45]. 1892 წელს, პერევისაში, გ. ჩუბინიძის მაღაროში, მუშა გ. კურტანიძე მოპოვებულ მადანს საკენობით აბარებდა მეპატრონეს, ვერ ეყო ჩასაბარებლად, ის შევიდა მადნის გამოსაზიდად, მაღაროში ფენა ჩამოიშალა და დაიღუპა. დამნაშავედ აღიარებულ იქნა მრეწველი, რომელსაც სამთო გამონამუშევარი არ ჰქონდა საიმედოდ გამაგრებული. 1893 წელს, შუქრუთში, გ. გაფრიხდაშვილის მაღაროში ფენები ჩამოინგრა და დაიღუპა მუშა ა. კუსიანი. სამთო გამონამუშევრების გაუმაგრებლობის გამო იმავე წელს, მღვიმეში, ფ. დარჩიას მაღაროში, დაიღუპა მუშა დ. მირიტაძე. 1893 წელსვე შუქრუთში, ა. ვაკოლოპულოს მაღაროში, ღამით მუშაობისას მთელი სხეულის ძლიერი დაშავება მიიღო მუშა ნ. ტაბატაძემ, რაშიც დამნაშავედ აღიარებულ იქნა მრეწველი. 1894 წელს ზედა რგანში ი. გამყრელიძის მაღაროში ფენა ჩამოინგრა და დაიღუპნენ მუშები ს. და გ. ფარქოსაძეები, დამნაშავე იყო მეწარმე, რომელიც საბადოს ექსპლოატაციას ეწეოდა უსაფრთხოების წესების დაუცველად. ამავე წელს მღვიმევში გ. ჩუბინიძის მაღაროში მიწა ჩამოინგრა და დაიღუპა მუშა ე. ხუციშვილი; სამთო უწყების წარმომადგენელმა დამნაშავედ მიიჩნია სამუშაოს გამგე ხარაძე, რომელსაც გ. ჩუბინიძისათვის ხელწერილი ჰქონდა მიცემული, რომ უსაფრთხოების წესებს დაიცავდა[46].

უბედური შემთხვევები ხშირი იყო მაშინაც, როცა სამთო მუშები უბინაობის გამო ღამეს სამთო გამონამუშევრებში ათევდნენ. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, მაგალითად, ფრანგი მრეწველის პიოს მაღაროში, რგანში 1881 წლის 26 ნოემბერს. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის გუბერნატორი 28 დეკემბერს აცნობებდა მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს უფროსს:

„გასულ 26 ნოემბერს, 6 გლეხი, გვარად სარალიძეები, ღამის გასათევად დარჩნენ ფრანგ მარგანეცის მრეწველ პიოს შტოლნში, სოფ. რგანში და იმ დროს, როცა მუშებს ეძინათ, ჩამოინგრა შტოლნის თაღი და ქვეშ მოიქცია მძინარენი. მართალია, გლეხები მალე ამოიყვანეს მიწიდან ცოცხლები, მაგრამ ერთი მათგანი — არჩილ სარალიძე, 16 წლის ჭაბუკი, იქვე გარდაიცვალა, სხვებმა კი მიიღეს მეტ-ნაკლები სიმძიმის ჭრილობები"[47]. 1894 წელს მღვიმევში, ს. წერეთლის საბადოში, მუშები მაღაროში იყვნენ ღამის გასათევად; გამონანუშევარი არ იყო საკმაოდ გამაგრებული, რის შედეგადაც მისი ჭერი ოთხი საკენის სიგრძეზე ჩამოინგრა, ორი მუშა დაზიანდა, ხოლო მესამე,—ა. ისლამოვი,—

---

[46] ЦГИАЛ, ф. 37. оп. 75. д. 69, 1891—1900 гг., 1—57.

[46] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 69 л. 24, 25, 29, 42, 49, 53.

[47] ЦГИА, ფონ. 264, საქ. 1049, ფურც. 1; საქ. 1100, ფურც. 37.

გაისრისა; დამნაშავედ იქნა ცნობილი საბადოს ექსპლოატატორი, ა. ვაკოლოპულო, რომელიც გამონამუშევრების გაუმაგრებლად, წესების დაუცველად ეწეოდა მადნის მოპოვებას[48]. სამრეწველო რაიონში უბედური შემთხვევები და უწესრიგობა, განსახილველ ხანაში და შემდეგაც ჩვეულებად იქცა. „კვალის“ კორესპონდენტი („შავი ქვის მუშის“ ფსევდონიმით) 1900 წელს სამართლიანად შენიშნავდა: „ისე შევაჩვიეთ ყურადღებას უბედურ შემთხვევებს, რომ ჩვენთვის თითქოს ყურადღების ღირსი არც კი არის: კაცი მოჰკლეს, კაცი დაჭრეს, ვიღაცას მადნებში გვირაბი ჩამონგრევია და შიგ მოჰყოლია, ცოცხლად დამარხულა... ვიღაცას ქვა დაცემია და სხვა ათასი უსიამოვნო ამბავი გესმით, თუ ყოველ საათში არა, ყოველ დღე მაინც და აჩვევთ ყურს. კაცი ჯოჯოხეთსაც შეჩვევიაო ნათქვამია, სწორედ ეს ითქმის ჭიათურელებზე“[49]. ეხებოდა რა ჭიათურის სამრეწველო რაიონში მომხდარ უბედურ შემთხვევებს, ქუთაისის გუბერნატორი 1881 წელს მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ ბარათში შენიშნავდა: „მსგავსი შემთხვევების განმეორების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად მიმაჩნია სამთო სამმართველოს მხრივ შორაპნის მაზრის მარგანეცის საბადოთა ექსპლოატაციაზე თუნდაც პერიოდული მეთვალყურეობის დაწესება“[50]. შუამდგომლობამ ნაყოფი არ გამოიღო. ამიტომ 1891 წელს კავკასიის I სამთო ოკრუგის ინჟინერი სამთო ნაწილის უფროსს კვლავ აცნობებდა:

1) აუცილებელია პოლიციურ-ადმინისტრაციული ხელისუფლების გაძლიერება მარგანეცის საბადოებში (აქ არის 1 ბოქაული და 3 „სტრაჟნიკი“, თუმცა ისინიც ხშირად ადგილზე არ არიან); გაძლიერება შეიძლება იმითაც, რომ ბოქაულის სამოქმედო ასპარეზი შევზღუდოთ სამრეწველო რაიონით. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დიდძალ მუშახელს, მრეწველებსა და მადნის შემძენთ სულ მუდამ ბრძოლა აქვთ. 2) აუცილებელია სანიტარულ-სამედიცინო ზედამხედველობა; თვით სოფლის აფთიაქიც არსადაა. ექიმი ყვირილაშია (36—50 ვერსზე). ასეთ ვითარებაში დასახიჩრებული მუშები „რჩებიან ბედის ანაბარა“, ყოველგვარი სამედიცინო დახმარების გარეშე. 3) „აუცილებელია ვაიძულოთ მრეწველები მოაწყონ მუშათა საცხოვრებელი ბარაკები, ხოლო საპოლიციო ზედამხედველობას უნდა დაევალოს არ დაუშვას მუშები ღამის სათევად მაღაროში“[51]. იმხანად ვითარება არ შეცვლილა: მუშათა დაზღვევა იმ დროს არც იყო შემოღებული. სამრეწველო რაიონის ადმინისტრაცია და სამთო უწყება არ მოქმედებდა. ყოველივე ამის გამო სამთო მუშათა

---

[48] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 69. 1881—1900, л. 19.

[49] „კვალი“, 1900, № 19, გვ. 253.

[50] სსსა, ფონ. 264, საქ. 1049, ფურც. 2—3.

[51] სსსა, ფონ. 264, საქ. 1307, ფურც. 144—145.

მდგომარეობა ჭიათურაში უფრო მძიმე და აუტანელი იყო, ვიდრე შიდა რუსეთში და, მით უმეტეს, დასავლეთ ევროპაში, სადაც სამთო წესდება, ასე თუ ისე, ძალაში იყო.

ამრიგად, ვხედავთ, რომ უბედურ შემთხვევებს და მუშათა მსხვერპლს იწვევდა უსაფრთხოების წესების დაუცველობა, სამთო გამონამუშევრების ცუდი გამაგრება, ან გაუმაგრებლობა; ამ შემთხვევების აღწერის საბუთებიდან ისიც ჩანს, რომ მათი მსხვერპლი ხდებოდნენ მნგრეველი და მაღაროდან მადნის გამომზიდველი მუშები. უბედური შემთხვევები ხდებოდა მაშინაც, როცა მუშებს ღამის თევა მაღაროში უხდებოდა[52], აგრეთვე მაშინაც, როცა ღამე მუშაობდნენ[53].

წყაროები ერთხმად მეტყველებენ, რომ სამუშაო დღის ხანგრძლიობას ჭიათურის მრეწველობაში იშვიათად თუ მოეპოვებოდა პრეცენდენტი კავკასიისა და მთელი რუსეთის იმდროინდელ სამთამადნო მრეწველობაში. ამაზე საყურადღებო ცნობას გვაწვდის „კვალის“ კორესპონდენტი („S.П.“): მას დაუვლია საბადოები და გასაუბრებია სამთო მუშებს, რომელთაც შეკითხვაზე — თუ რამდენ ხანს მუშაობდნენ დღეში,—უპასუხიათ: „დილიდან-საღამომდის. ხანდახან ღამეც ვმუშაობთ... თორემ ისე არაფერი გვრჩება“[54]. საარქივო საბუთები, რომლებიც ჭიათურელ სამთო მუშათა შრომის პირობების აღწერას შეიცავს, მოგვითხრობენ, რომ სამთო მუშები მაღაროებში გათენებიდან დაღამებამდე მუშაობდნენ[55]. სამუშაო დღის ხანგრძლიობა საშუალოდ 12—16 საათს უდრიდა, ეს მაშინ, როცა შიდა რუსეთში რეფორმის შემდეგ 12-საათიანი სამუშაო დღე „ნორმად“ იქნა გამოცხადებული.

ჭიათურის მრეწველობაში სამუშაო ძალის ფასიც მეტისმეტად დაბალი იყო[56]. ამ გარემოების განმსაზღვრელ პირობებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ მარგანეცის მრეწველობაში ჩაბმული დაქირავებული მუშახელის რიგების შევსების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა სამრეწველო რაიონის, ასევე მისი მახლობელი სოფლების ღარიბი გლეხობა, რომელიც წარმოებაში მუშაობდა და მოწყვეტილი არ იყო საკუთარ სახლს და მიწას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს მიწათმოქმედებისა და მრეწველობის შეერთებასთან.

---

[52] სსსა, ფონ. 264, საქ. 1307, ფურც. 19.

[53] იქვე, ფურც. 49.

[54] „კვალი“, 1900, № 41, გვ. 645.

[55] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, 87, л. 27.

[56] ასე მაგალითად, თუ ჭიათურაში მნგრეველი-მაღაროელის დღიური ხელფასი 1—1,5 მანეთს არ აღემატებოდა, დონბასში იმავე კვალიფიკაციის მუშის ხელფასი 1,5 მანეთიდან 2,5 მანეთამდე აღწევდა (Сборник статистических сведений по Екатеринославской губернии, 1898, გვ. 383).

რაც წარმოადგენდა მუშის კაპიტალისტური ექსპლოატაციის უძლიერეს საშუალებას. ეხებოდა რა 80-იანი წლების დამდეგის გერმანიის მრეწველობაში ჩაბმული მუშახელის მდგომარეობას, ფ. ენგელსი 1884 წელს წერდა: „ვინაიდან შინამრეწველობაში მომუშავე მუშა უფრო მეტად თავის პაწია მიწის ნაკვეთს ამუშავებს, ამიტომ იბადება შესაძლებლობა, რომ აქ მისი ხელფასი უფრო მეტად შემცირდეს, ვიდრე სხვაგან, ის რაც უწინ პატარა კაცის ბედნიერებას შეადგენდა — მიწათმოქმედებისა და მრეწველობის შეერთება, ახლა კაპიტალისტური ექსპლოატაციის უძლიერეს საშუალებად იქცა. კარტოფილის კვალი, ძროხა, პაწია მიწის ნაკვეთი მას შესაძლებლობას აძლევს თავისი სამუშაო ძალა არსებულ ფასზე დაბლა გაჰყიდოს; ისინი მას აიძულებენ ამას, რადგან მუშას აბამს მიწაზე, რომელიც მას მხოლოდ ნაწილობრივ ჰკვებავს“[57].

ნაშრომში „ბინის საკითხისათვის“ ფ. ენგელსი (1887 წელს) კვლავ უბრუნდება ჩვენთვის საინტერესო საკითხს და შენიშნავს: „თუკი უფრო ადრინდელ ისტორიულ საფეხურზე მუშების შედარებითი კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენდა მიწათმოქმედების კავშირი მრეწველობასთან, სახლის, ბოსტნის, მიწის ნაკვეთის მფლობელობა, უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინა, — დღეს, მსხვილი მრეწველობის პირობებში, ის მუშისათვის იქცევა არა მარტო უაღრესად მძიმე ბორკილებად, არამედ უდიდეს უბედურებად მთელი მუშათა კლასისათვის, იქცევა იმის საფუძვლად, რომ მოხდეს ხელფასის უმაგალითო შემცირება მის ნორმალურ დონესთან შედარებით, თანაც არა მარტო წარმოების ცალკეულ დარგებში, ცალკეულ რაიონებში, არამედ მთელ ქვეყანაში. გასაკვირი არაა, — განაგრძობს ფ. ენგელსი, რომ მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია, რომელიც ხელფასიდან ამ დიდი გამოქვითვების ხარჯზე ცხოვრობს და მდიდრდება... საკუთარი სახლების მქონე მუშებზე ოცნებობს...“[58].

ადგილობრივი წარმოშობის, საკუთარი სახლისა და მიწის ნაკვეთის მფლობელი მუშის ხელფასი საზოგადოდ მუდამ მეტად მცირეა. ფ. ენგელსის სიტყვით რომ ვთქვათ, „სწორედ აქ ვლინდება სრული სიცხადით ის „მადლი“, რომელსაც თანამედროვე მუშისათვის საკუთარი მიწის ნაკვეთი შეადგენს... მას, რასაც ოჯახი თავის ბოსტანსა და პატარა მიწის ნაკვეთზე გამოიმუშავებს, კაპიტალისტი, კონკურენციის წყალობით, სამუშაო ძალის ფასიდან ქვითავს; მუშები იძულებული არიან დათანხმდნენ ყოველგვარ სანარდო ხელფასს იმიტომ, რომ სხვანაირად

---

[57] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 422.

[58] ფ. ენგელსი, ბინის საკითხისათვის, იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1963, გვ. 641.

ისინი სრულიად ვერაფერს მიიღებენ, ხოლო მარტო თავიანთი მიწათმოქმედების პროდუქტებით ვერ იცხოვრებენ, დათანხმდნენ აგრეთვე იმიტომაც, რომ მეორე მხრივ, ისინი მიჯაჭვული არიან ერთ ადგილზე სწორედ ამ მიწათმოქმედებისა და მიწის საკუთრების გამო, რაც მათ ხელს უშლის სხვა სამუშაო ეძიონ"[59]. ამ დებულების სისწორე მთელი დამაჯერებლობით დასტურდება ჭიათურის მრეწველობაში ჩაბმული მუშების მდგომარეობისა და მათი ხელფასის მაგალითზე. ჩვენთვის ამჯერად საინტერესო პერიოდში მუშის დღიური ხელფასი არ იყო დაწესებული, მის დონეს განსაზღვრავდა ე. წ. „ნარდად" გარიგების პირობა. ჭიათურის მრეწველობის მდგომარეობაში ზედმიწევნით გარკვეული ბურჟუაზიული მოღვაწე გ. ზდანოვიჩი 1898 წელს წერდა:

„მარგანეცის საწარმოებში არაა დაწესებული დღიური სამუშაო ქირა, ანაზღაურება ხდება მხოლოდ ნარდად. მუშა ან მუშათა არტელი (3—4 კაცი) ვალდებულია მოიპოვოს მადანი, გაწმინდოს ის ფუჭი შენარევებისაგან და დააწყოს საჟენებად"[60]. კუბურ საჟენ მადანში, რომელიც 1 500—1 800 ფუთს შეადგენდა, მუშები ღებულობდნენ[61]:

1886—1887	წლებში	— 45	მანეთიდან	50	მანეთამდე
1888—1889	„	— 42	„	45	„
1890—1891	„	— 38	„	40	„
1892	წელს	— 40	„	45	„
1893	„	— 35	„	40	„
1894	„	— 32	„	35	„
1895	„	— 28	„	30	„
1896	„	— 22	„	25	„
1897	„	— 15	„	17	„

ამრიგად, 10 წელიწადში (1886 წლიდან 1896 წლამდე) ხელფასი შემცირდა სანახევროდ, ანუ დაეცა 50%-ით, ხოლო მომდევნო (1897) წელს ხელფასი შემცირდა და მუშა თავის შრომაში ღებულობდა უკვე თითქმის მხოლოდ იმის ერთ მესამედს, რასაც მას 1886 წელს — 11 წლის წინ — აძლევდნენ. ასეთ ვითარებაში, 1890-იანი წლების დამდეგისათვის, მნგრეველი (მაღაროელი) მუშის საშუალო დღიური გამომუშავება 1 მანეთიდან 1,5 მანეთამდე აღწევდა, ხოლო სამთო გამონამუ-

---

[59] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 640—641.

[60] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, л. 10 об.

[61] იქვე იხ. Отчет о деятельности Совета съезда, избранного на 1 съезде марганцепромышленников, К., 1898, გვ. 139—147. სხვა ცნობით სამთო მუშა-კუბ. საჟენის მოპოვებაში 1892 წელს ღებულობდა 40—45 მანეთს, ხოლო 1897 წელს — 15—17 მანეთს, ე. ი. დაუკლია 65%-მდე. (იხ. „კვალი", 1900, № 40, გვ. 639).

შევრებიდან საბადოს ზედაპირზე მადნის გადმომზიდველისა — 70 კაპიკიდან 1 მანეთამდე. გამომუშავების მხრივ უკანასკნელი ადგილი ეკავა საბადოს ზედაპირზე მადნის დამხარისხებელს, რაშიც ფართოდ იყენებდნენ ბავშვთა შრომასაც. ამ სამუშაოში ბავშვები ღებულობდნენ დღიურად 10-დან 40 კაპიკამდე, მოზრდილები კი 60-დან 80 კაპიკამდე.

სამთო მუშათა ხელფასი განუხრელად, წლიდან წლამდე ეცემოდა. ასე მაგალითად, გ. ზდანოვიჩის გაანგარიშებით სამთო მუშათა საერთო წლიურმა ხელფასმა 1886—1887 წლებში შეადგინა დაახლოებით 293 750 მანეთი, 1888 წელს — 100 000 მანეთი, ხოლო 1894—1897 წლებში 629 250 მანეთი[62]. ეს ციფრები სრულებით ვერ ასახავენ სურათს, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ, ვთქვათ, 1894 წელს 1886 წელთან შედარებით მუშათა რიცხვი და მასთან ერთად მადნის მოპოვებაც გაიზარდა 3,5-ჯერ, ხოლო 1887 წელთან შედარებით თითქმის 4-ჯერ[63].

სამთო მუშათა ხელფასის დაცემის გამომწვევ მიზეზებს შორის აღსანიშნავია, ჯერ ერთი, სხვა ქვეყნებში მარგანეცის მოპოვების ზრდა 1893—1895 წლებში, რამაც გამოიწვია მადნის ფასის საგრძნობი დაცემა უცხოეთში: საფრანგეთში — 16%-ით, ინგლისში — 28,5%-ით, ხოლო გერმანიაში — 37%-ით. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ჭიათურის მრეწველობაში მუშახელზე მოთხოვნილების და, რაც მთავარია, მუშის ხელფასის შემცირებას[64]. მეორეც, საბადოებიდან მარტო სოფ. ჭიათურამდე ფუთი მადნის გადაზიდვა ჯდებოდა 2—1½ კაპიკი, ხოლო მისი ღირებულება აქ ზოგჯერ მხოლოდ 5-დან 6 კაპიკამდე აღწევდა. „საქმის ასეთი მდგომარეობისას მარგანეცის მრეწველს მხოლოდ სამუშაო ჭირის შემცირების მეშვეობით შეუძლია მადნის მოპოვების გაგრძელება, რის გამო ხელფასი უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად ეცემა"[65]. ჭიათურაში უფრო და უფრო იგრძნობოდა დიდძალი თავისუფალი მუშახელის მოზღვავება, რაც გამოწვეული იყო მთელი ქვეყნის და მეტადრე ქუთაისის გუბერნიის სოფლის მეურნეობის დაცემით და გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავებით; ყოველივე ამით სარგებლობდნენ მეწარმენი, რომელნიც მუშახელის ბარბაროსულ ექსპლოატაციას ეწეოდნენ. განმარტავდა რა ჭიათურის მრეწველობაში მუშათა ხელფასის სისტემატური და განუწყვეტელი დაცემის მიზეზებს, გ. ზდანოვიჩი 1898 წელს თავის „მოხსენებით ბარათში", რაც მან რუსეთის მთავრობას წარუდგინა, ამტკიცებდა: „საზღვარგარეთ მარგანეცის ფა-

---

[62] Отчет о деятельности Совета съезда, К., 1898, გვ. 140—141; Статистика марганцевого дела, 1902, გვ. 40.

[63] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, л. 11.

[64] ЦГИАЛ, ф. 37. оп. 65, д. 2766, л. 1 об.

[65] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, л. 2 об.

სის თანდათანი დაცემის წყალობით მოთხოვნილება მუშახელზე მცირდება, ხოლო სამუშაოს მსურველთა რიცხვი იზრდება, რაც გაპირობებულია ქუთაისის გუბერნიის სოფლის მეურნეობის დაცემით და ადგილზე სხვა რაიმე სამუშაოს არარსებობით. ამის შედეგად არაჩვეულებრივ და გამუდმებით მცირდება მუშის ხელფასი"[66]. სამუშაო ძალის ფასს ერთგვარი მერყეობა ახასიათებდა წლის სხვადასხვა დროის შესაბამისადაც: სამთო მუშათა დიდი ნაწილი სოფელთან კავშირში იყო, ზაფხულობით, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით, სახლს მიაშურებდა. ამიტომ „ზაფხულში მუშათა ხელფასი ჩვეულებრივ იზრდება, რადგან სამთო მუშათა ნაწილი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე მიდის"[67]. სამთო მუშებს ხელფასი წესით, უმეტეს შემთხვევებში, ეძლეოდათ ყოველ კვირაში — კვირა დღეს (თუმცა ხშირი იყო მისი დროზე დაურიგებლობაც!) და მხოლოდ 1900 წელს იქნა აღძრული საკითხი იმაზე, რომ „მრეწველებმა მუშებს ანგარიში გაუსწორონ არა კვირა დღეს, როგორც ეს ამჟამადაა პრაქტიკაში, არამედ ერთ-ერთ სამუშაო დღეს"[68]. ეს საკითხი აღძრა ჭიათურის მრეწველთა საბჭომ, რომლის საქმიანობას არსებითად ქვემოთ გავეცნობით, და განიხილა კავკასიის სამთო სამმართველომ, ასევე გუბერნიის საფაბრიკო-საქარხნო საქმეთა საგანგებო საკრებულომ; დადგენილებაც მიღებულ იქნა, თუმცა ის არ გატარებულა და ამიტომ ხელფასის მიღების დღის შეცვლას მუშები შემდეგშიც მუდამ მოითხოვდნენ. ამრიგად, ჭიათურის მრეწველობაში სამუშაო ძალის ფასი მეტისმეტად დაბალი იყო და გაცემაც არ იყო მოწესრიგებული. ცნობილია, რომ „სამუშაო ძალის ღირებულების უდაბლეს, ანუ მინიმალურ საზღვარს ქმნის იმ საქონელთა მასის ღირებულება, რომელთა ყოველდღე მიუწოდებლად სამუშაო ძალის მატარებელს, ადამიანს, არ შეუძლია განაახლოს თავისი სასიცოცხლო პროცესი, მაშასადამე, ამ მინიმალურ საზღვარს ქმნის ფიზიკურად აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულება"[69]. სამუშაო ძალის ყოველდღიურად კვლავწარმოებისათვის, ამ ძალის მესაკუთრეს შრომის პროცესში დახარჯული ენერგიის აღდგენა, ძალღონისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება, ესაჭიროება. ამიტომ საარსებო საშუალებათა რაოდენობა უნდა საკმარისი იყოს, იმისათვის, რომ შეინახოს მშრომელი ინდივიდი როგორც ასეთი, მისი ცხოვრების ნორმალურ მდგომარეობაში. ასეთ აუცილებელ საარსებო მოთხოვნილებას წარმოადგენს, მაგალითად, საზ-

---

[66] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, л. 10. об.

[67] ЦГИАЛ, ф. 76, оп. 19, д. 87, л. 27.

[68] Отчет о деятельности Совета съезда, избранного на III съезде марганцепромышленников, 1902, გვ. 43.

[69] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 221.

რდო, ტანსაცმელი, ბინა და სხვ. ამ მოთხოვნილებათა მოცულობა, ისევე როგორც მათი დაკმაყოფილების წესი, — წერს კ. მარქსი, — „თვით არის ისტორიული პროდუქტი და ამიტომ დამოკიდებულია მეტწილად ამა თუ იმ ქვეყნის კულტურულ დონეზე, სხვათაშორის, არსებითად იმაზეც, თუ რა პირობებში და, მაშასადამე, რა ჩვეულებებით და სასიცოცხლო მოთხოვნილებებით ჩამოყალიბდა თავისუფალი მუშათა კლასი“[70]. როგორი იყო ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენში, ჭიათურის მრეწველობის მუშათა მდგომარეობის მაგალითზე? ხელფასის სიმცირესთან ერთად მუშებს არ გააჩნდათ აუცილებელი საარსებო საშუალებანი.

მრეწველობის ჩასახვისა და განვითარების მოცემულ პერიოდში მუშას არც საბადოებში და არც თვით ჭიათურაში არ გააჩნდა მოხერხებული ბინა. სამთო მუშები ბევრგან წნელით შემოღობილ ფარდულებში ცხოვრობდნენ, ხოლო ზამთრობით ხშირად მაღაროში იძინებდნენ. ამასთან დაკავშირებით „კვალის“ კორესპონდენტი წერდა: „ზამთარში მაღაროშივე წვებიან მუშები“[71]. „ისეთი მაგალითები ვიცით ჩვენ, რომ მუშას, რომელსაც მაღაროში ეძინა, დაეცა მძინარეს მაღლიდან ჩამოსული ქვა და იქვე სული გაანთხევინა“[72]. არც ჭიათურაში იყო უკეთესი მდგომარეობა არა თუ 1894 წლამდე, არამედ 90-იანი წლების მიწურულსაც. ამ მდგომარეობის აღწერისას „კვალის“ კორესპონდენტი გვაუწყებს: ჭიათურაში „აგებულია ფიცრის კაზარმები, შიგ $^2/_3$ თუ მეტი ადგილი ცხენებს და ვირებს უჭირავს, სხვა ადგილზე ადამიანები ცხოვრობენ. ამ კაზარმებში უფრო თათრები ბინადრობენ, ჩვენები კი უმთავრესად დუქნების ქვეშ, რასაკვირველია, პირუტყვთან ერთად. უმრავლესობა პირდაპირ მიწაზე, უკეთ რომ ვთქვათ, ერთ არშინზე დაყრილ ნაგავზე წვება. სადაა საგებ-საბანი! თივა, ტყავი, ქეჩა, დაფლეთილი მაზარა, საბნის ნახევი“. „ადამიანები, ცხენები, ვირები, ხარები, ერთმანეთში არიან არეულნი. ირგვლივ ტალახი, აქა-იქ დამდგარი დამპალი წყალი, ნაგავი“. „ძნელად თუ სადმე შეხვდება ადამიანი ასე უპატრონოდ მიგდებულ დაბას“. ამავე დროს აქ „20 ათასზე მეტ ადამიანს და რამდენიმე ათას პირუტყვს მოუყრია თავი ერთად“[73]. ასეთ ვითარებაში ჰიგიენური პირობების დაცვაზე და სამედიცინო მომსახურებაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო, რის გამო სამრეწველო რაიონში ხშირი იყო სხვადასხვა ავადმყოფობათა მასობრივად გავრცელება. მეტისმეტად ძნელი იყო მუშათა კვების პირობები. საბადოებში არ იყო მუშათა სასადილოები და ფარდულები. მახლობელი სოფლებიდან მოსულ მუ-

---

[70] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 219.
[71] „კვალი“, 1900, № 31, გვ. 495.
[72] „კვალი“, 1902, № 42, გვ. 672.
[73] „კვალი“, 1900, № 29, გვ. 477.

შებს ერთი კვირის სარჩო შინიდან მოჰქონდათ. „ჩვენებური მუშა, — წერდა „კვალი“, — პურსა და წყალს ჯერდება“. მას დღეში თავისთავზე ეხარჯებოდა 15—20 კაპიკი[74].

* * *

მძიმე და აუტანელი იყო მაღაროებიდან რკინიგზამდე მადნის სასაპალნე და საჭაპანო ტრანსპორტით გადამზიდველთა მდგომარეობა, რომლის თვითმხილველი, მიწათმოქმედების მინისტრი, ერმოლოვი 1895 წელს წერდა, რომ მადნის გადაზიდვის საშუალებანი პირველყოფილურია. ეს ხდებოდა სასაპალნე ცხენებით, ასევე იმერული ურმებით და 2—3 ვერსზე ფუთი მადნის გადაზიდვა 3,5 კაპიკი ჯდებოდა[75]. ამ მხრივ ვითარება არც მომდევნო ხანაში გაუმჯობესებულა. აი, როგორ ახასიათებდა მადნის საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით გადაზიდვის პირობებს თვით ჭიათურის მრეწველთა ყრილობის სტატისტიკური ბიურო: „უნდა შეინიშნოს, რომ ეს საშუალება ყველაზე ბარბაროსულია; აქ არ ებრალებათ არც ადამიანი, არც პირუტყვი. დაღმართებზე, ციცაბო და ვიწრო ბილიკებზე დატვირთულ ცხენსა და ხარ-ურემს ყოველ წუთს საფრთხე ელის. თუ კაცი ან ცხენი მოულოდნელად წაიბორძიკებს და წაიქცევა, — მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. და ასეთი შემთხვევები აქ ცოტა როდია“[76]. გზები ცუდი იყო და უბედური შემთხვევები ხშირი. გზებს ხშირად აკეთებდნენ, ასწორებდნენ, მაგრამ დიდი მოძრაობის გამო მალე ფუჭდებოდა.

საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით მადნის გადაზიდვა რკინიგზის ჭიათურის შტომდე და მაგისტრალური რკინიგზის სადგურებამდე ასე ხდებოდა: ჩალვადარი ცხენს გადაჰკიდებდა „ორ კოხტად დაწნულ და ფორმით ჩანთის მსგავს კალათს“, მადნით სავსეს[77]. ცხენს, ერთი ცნობით, მიჰქონდა საშუალოდ 8—12 ფუთი[78], მეორე, სათუო, ცნობით კი 12—15 ფუთი[79]. მეურმეებს გრძელი კალათები ჰქონდათ დაწნული და იმით მიჰქონდათ ერთ გზობაზე საშუალოდ 40—70 ფუთი მადანი. ერთსა და იმავე დროში ჩალვადარი გაცილებით უფრო მეტ მანძილს ფარავდა, ვიდრე მეურმე. მუშას ერთი ცხენით, ასევე ერთი უღელი ხა-

---

[74] „კვალი“, 1900, № 31, გვ. 495.

[75] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 66. д. 2305, 1895 г., л. 33.

[76] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 46.

[77] ნ. წუწუნავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[78] ქს. კვანტრე, საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 36.

[79] Статистика марганцевого дела, 1902, გვ. 46.

რით, დღეში შეეძლო გამოემუშავებინა, ერთი ცნობით 1,5 მანეთი-დან 2 მანეთამდე[80], მეორეთი—2-დან 3 მანეთამდე[81]. ზოგიერთი ჩალავადარი 2—3 ცხენს უმკლავდებოდა. გადამზიდველ მუშებს შორის ყოფილან ბავშვებიც (12 წლის ასაკიდან)[82]. სამრეწველო რაიონის ფარგლებში გადაზიდვის მანძილი არ აღემატებოდა 6 ვერსს, უფრო ხშირად კი 2—5 ვერსს,[53], ხოლო ჭიათურა-ყვირილას (ზესტაფონი) შორის ეს მანძილი 38 ვერსს შეადგენდა. მოზიდული მადნის ჩასაბარებელ ადგილებში (სადგურებზე) საწყობები (ბაქნები) იყო გამართული. მადანს იბარებდნენ მწონავები და მესაწყობეები. გადამზიდველი მუშა ქირას ღებულობდა დანიშნულების ადგილზე, გადაზიდული და ჩაბარებული მადნის ოდენობის შესაბამისად.

ზიდვის ფასის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებოდა გზის ავკარგიანობა და მანძილი. სხვადასხვა წარმოშობისა და ხასიათის წყაროები მოწმობენ, რომ მადნის გადაზიდვის ფასები თანდათან ეცემოდა: ასე მაგალითად, საბადოდან ჭიათურამდე ფუთი მადნის გადაზიდვის ფასი, ადგილობრივი საოკრუგო ინჟინრის ოფიციალური ცნობით, 1886—1890 წლებში 4 — $3^1/_2$ — $2^1/_2$ კაპიკს შორის მერყეობდა, 1891 — 1893 წლებში — 3 — $2^1/_2$ — 2 კაპიკს შორის, ხოლო 1894 — 1897 წლებში — 2—$1^1/_2$ კაპიკს შორის[84]. კიდევ უფრო მცირდებოდა ჭიათურიდან ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალურ სადგურებამდე მადნის გადაზიდვის ფასი. ჭიათურის რკინიგზის შტოს გაყვანამდე მოცემულ მანძილზე ფუთი მადნის გადაზიდვაში მუშა იღებდა 22 კაპიკამდე, ხოლო რკინიგზის ჭიათურის შტოს მწყობრში ჩადგომის შემდეგ (როცა ამ გზაზე მადნის გადაზიდვა ღირდა ჯერ 10 კაპიკი, მერე 7 კაპიკი, სასაპალნე და საჭაპანო ტრანსპორტით გადაზიდვა კვლავ გრძელდებოდა) მეურმე თუ ჩალავადარი ქირას ღებულობდა რკინიგზაზე დაწესებული ტარიფის ოდენობის შესაბამისად. ასე, რომ გადამზიდველი მუშის გამომუშავება მცირდებოდა ტარიფის შემცირებისდაკვალად. ამრიგად, საბადოდან ჭიათურამდე, აგრეთვე ჭიათურიდან რკინიგზის მაგისტრალურ ხაზამდე მადნის გადამზიდველი მუშახელის ხელფასი განუხრელად ეცემოდა, შემცირდა დაახლოებით ერთი-ორად და მეტადაც. გ. ზდანოვიჩის მიახლოე-

---

[80] Ста́тистика марганцевого дела, გვ. 47.

[81] ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

[82] Статистика марганцевого дела, 1902, გვ. 46.

[83] ი ქ ვ ე.

[84] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, л. 11; სხვა ცნობით ეს ფასი 2 და $3^1/_2$ კაპიკს შორის მერყეობდა (იხ. Статистика марганцевого дела, 1902, გვ. 46) 1886—1890 წლებში ის $2^1/_2$—4 კაპიკი იყო (იხ. Отчет о деятельности Совета съезда.... 1900, გვ. 139—144).

ბითი გაანგარიშებით მუშებმა ხელფასის დაკლების შედეგად 1886—1897 წლებში (ე. ი. 12 წელიწადში) საერთო ჯამში დაკარგეს 1 664 250 მანეთი[85].

გადაზიდვის ფასის შემცირებასთან ერთად, ამ საქმეში ჩაბმული მუშახელის მდგომარეობას ასევე აუარესებდა მადნის შემსყიდველ-ვაჭართა მიერ წონაში მოტყუების სისტემად გადაქცევა. რაც დამახასიათებელია მთელი რევოლუციამდელი სანის ჭიათურის მრეწველობისათვის. უცხოელ თუ ადგილობრივ ვაჭარ-შემსყიდველთა ასეთი თვალთმაქცობის და ძალმომრეობის წინააღმდეგ სისტემატურად გამოდიოდა და ხმას იმაღლებდა იმჟამინდელი პროგრესული ქართული პრესა, რომელიც მშრომელ ხალხს თავისებურად ესარჩლებოდა. ასე მაგალითად, გაზეთი „ივერია“ 1886 წელს წერდა: „გლეხკაცობა, რომელიც შავ ქვას ეზიდება ურმებით მადნებიდან, ძალიან შევიწროებულია სხვადასხვა უწესობის გამო. მეტადრე იმით არიან შეწუხებული გლეხკაცნი, რომ წონაში ატყუებენ“[86]. იგივე გაზეთი 1887 წელს აღწერდა მადნის გადამზიდველი მუშახელის მძიმე მდგომარეობას და დასძენდა: „მართლაცდა, არიან იმისთანა მწონავები, რომ ყოველად შეუძლებელია, თითოეულს ურემზედ ათი თხუთმეტი ფუთი ნაკლები არ აჩვენონ“[87]. 1892 წელს გაზეთი სინანულით აღნიშნავდა: „ვერაფერ საქმეს სჩადიან შავი ქვის ვაჭარნი, რომ გლეხკაცობას ასე დაუნდობლად ექცევიან. ორმოცდაათი ფუთი რომ ჩამოიტანოს გლეხმა მადნებიდან, იმდენს იზამენ, რომ 15—20 ფუთი მაინც ნაკლები გამოიყვანონ წონაში და ქირის ფასი დაუკირონ. სამწუხარო ის არის, რომ... თითქმის ყველანი ასე იქცევიან და სრულიად არ ებრალებათ მოქირავე ღარიბი ხალხი“[88]. ჩალვადარმეურმეთა ასევე სამთო მუშათა ექსპლოატაცია და ძარცვა-გლეჯა იმდენად ნიშანდობლივი იყო მთელი მრეწველობისათვის, რომ მისი არსებობის ამ ხანას, მრეწველ ს. წერეთლის აღიარებით, იმ დროს „სკიდკისა“ და „სირისტის“, ასევე „ყაჩაღობის ხანა“ ეწოდებოდა.

მადნის გადამზიდველ მუშათა აშკარა მოტყუება დაკანონდა, რაც სამთო მუშათა ხელფასის დაქვეითებაზეც ზემოქმედებდა. ამას სწორად აღნიშნავდა „ივერია,“ როცა წერდა: „ყოველ მეურმეს ან ჩალვადარს, რომელსაც შავი ქვა მაღაროებიდან ჩამოჰქონდა, აწონის დროს ექვითებოდა „სკიდკა“ ორ-ხუთ ფუთამდე და იმდენივე „სიროსტისა“, მიუხედავად იმისა ჩამოტანილი ქვა დასველებული იყო თუ არა, ეს რაო-

---

[85] ЦГИАЛ, ф. 350. оп. 14, д. 117, л. 11.

[86] „ივერია“ 1886, 24 დეკემბერი, № 279.

[87] „ივერია“ 1887, 10 ივლისი, № 140.

[88] „ივერია“ 1892, 3 დეკემბერი, № 256.

დენობა ექვითებოდა არამც თუ მეურმეს და ჩალვადარს, ექვითებოდა აგრეთვე მაღაროელ მუშებს"[89].

მადნის გადამზიდველი მუშახელის სამუშაო დღის ასეთი ხანგრძლიობა, დაბალი ხელფასი, აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობები, სრული უუფლებობა უპრეცენდენტო იყო მთელი რუსეთის სამთამადნო მრეწველობაში.

* * *

გავეცანით მუშათა მდგომარეობას ჭიათურაში. დავინახეთ, რომ ის არა თუ უმჯობესდებოდა, არამედ წლიდან წლამდე უარესდებოდა. სამუშაო დღის უმაგალითო ხანგრძლიობა, დაბალი ხელფასი, არაადამიანური საყოფაცხოვრებო პირობები სამუშაო ძალას არ აძლევდა მოსვენებისა და დახარჯული ენერგიის აღდგენის საშუალებას, ფიზიკურად და მორალურად აუძლურებდა, აუარესებდა მის მდგომარეობას. მარგანეცის მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა ეს მრავალენოვანი და მრავალეროვანი არმია მოკლებული იყო შეკავშირების უფლებას[90] და, რაც მთავარია, შესაძლებლობას. ამას ხალისით აღნუსხავდა ხელისუფლების ადგილობრივი ადმინისტრაცია და მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია, როცა წერდა: „ნაციონალური განსხვავებულობა იწვევს იმას. რომ ურთიერთ მეზობლად მდებარე საბადოთა მუშებსაც კი არ აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობა და ერთმანეთს ვერც კი უგებენ"[91]. აღებულ პერიოდში, ასევე მომდევნო 4 — 5 წლის მანძილზეც, სამრეწველო რაიონის მუშები თავისი ჩამორჩენილობის, — შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის მონური გაგების შედეგად „სრულებით არ იყვნენ განწყობილი გასანძრევად, წინააღმდეგობის გასაწევად, თუნდაც თავისი ყოფის რამდენადმე გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად"[92].

წყაროებზე დაკვირვება მოწმობს, რომ ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ხანაში ჭიათურელ მუშათა შორის რევოლუციური თვითშეგნების ჩასახვა ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა; ეს გასაგებიც იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მუშათა კლასის ამ რაზმის ჩამოყალიბების პროცესი ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა: „მუშათა მასის"

---

[89] „ივერია", 1889, 12 იანვარი, № 8.

[90] ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[91] Статистика марганцевого дела, 1902, გვ. 41.

[92] С. Т. Аркомед, Рабочее движение и социал-демократия на Кавказе (с 80-х годов по 1903 г.). С предисловием к 1-му изданию Г. В. Плеханова, М. -Пд., 1923, გვ. 37.

ნამოყალიბება „კლასად თავისთავად“ ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

ახლა გავეცნოთ მრეწველობის განვითარებას და მის ბუნებას.

ე. მრეწველობის განვითარება და ხასიათი

ბიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარება 1879—1894 წლებში მადნის მოპოვების ზრდით აღინიშნა:[1]

წელი	მადნის ამოღება (ათას ფუთობით)	წელი	მადნის ამოღება (ათას ფუთობით)
1879	57	1887	3 217
1880	520	1888	1 893
1881	690	1889	4 243
1882	760	1890	10 468
1883	930	1891	6 600
1884	1 276	1892	10 243
1885	3 640	1893	10 473
1886	4 216	1894	11 165

ეხედავთ, რომ მადნის მოპოვება, 1887—1888 და 1891 წლების გამოკლებით, შესამჩნევი ტემპით იზრდებოდა, ხოლო 1887—1888 წლებში ძლიერ შემცირდა, რასაც გიორგი წერეთელი მართებულად ხსნიდა ჩვენებური მადნის მთავარი შემსყიდველი ფირმების, მათ შორის ინგლისური ფირმის „შოტენზაკის“ მოქმედებით[2]. „ამ ფირმას, — წერდა გ. წერეთელი, — დიდი ხმა აქვს ევროპის ბაზრებზე. შეუძლია შავი ქვის ფასები ასწი-დასწიოს, შეაჩეროს“[3].

„ამას გარდა, — განაგრძობს გ. წერეთელი, — შავი ქვის ფასის დაკლებაზე კიდევ უფრო სხვა ორ დიდს გარემოებას ჰქონდა თავისი გაკლენა. ერთის მხრივ, რომ ამერიკაში გამოჩნდა მშვენიერი მარგანეცი და

---

[1] შონაცემების დასაზუსტებლად სტატისტიკური კრებულების გარდა გამოეიყენეთ საარქივო წყაროების შესაფერისი ცნობები.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, შავი ქვის წარმოება დასავლეთ საქართველოში, „ივერია“ 1889, 12 იანვარი, № 8. ამ პერიოდში მადნის შემსყიდველ-ექსპორტიორთა შორის ჩვენში ყველაზე ცნობილი იყვნენ ფრანგი საქმოსანი სოლელიაკი და ინგლისური ფირმის — „შოტენზაკის“ რწმუნებული ლიმბერგი (იქვე).

[3] ი ქ ვ ე.

იქიდან უფრო იაფად გადმოაქვთ ევროპაში, ვიდრე კავკასიიდან; მეორეს მხრივ, იმას, რომ რუსის ფულმა იმატა ფასი და უცხო ქვეყნის ფულმა რუსის ფულთან შედარებით დაიკლო ფასი. ამ ორი მიზეზის გამო ძლიერ დავარდა შავი ქვის წარმოება"[4]. ირკვევა, რომ ჩვენებური მადნის უცხოელ ექსპორტიორთა კომერციულმა აქციებმა, ბრაზილიაში მარგანეცის საბადოთა ექსპლოატაციის გაძლიერებამ და რუსეთში ფულის კურსში მომხდარმა ცვლილებამ, 1887—1888 წლებში. უარყოფითი გავლენა იქონია მარგანეცის მრეწველობაზე ჭიათურაში. მალე, 1889 წლიდან, მან კვლავ სწრაფად იწყო განვითარება, თუმცა 1891 წელს ჭიათურის მრეწველობამ ისევ განიცადა ხანმოკლე კრიზისი, დაკავშირებული სამრეწველო რაიონში მოპოვებული მადნის დიდი მარაგის შექმნასთან და ამის შედეგად მისი ფასის დაცემასთან. მადნის ამოღების ზემომოტანილი მონაცემები მკაფიოდ გვიჩვენებენ, რომ განსახილველ პერიოდში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა თითქმის განუწყვეტლივ ვითარდებოდა. ასეთი ზრდა მოცემულ პერიოდში, როცა მრეწველობა მოკლებული იყო შესაფერის მატერიალურ-ტექნიკურ მოწყობილობას და მადნის გადაზიდვის სრულყოფილ საშუალებებს, არსებითად ძნელი ასახსნელი იქნებოდა თუკი, საბადოთა დამუშავების მასშტაბის გაფართოებასთან, მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერებასთან და შრომის პროცესის ინტენსიფიკაციასთან ერთად, არ გავითვალისწინებდით შრომის ორგანიზაციის შედარებით მაღალი ფორმების დანერგვას, შრომის დანაწილების გაღრმავების საფუძველზე, რაც, ჩვენი დაკვირვებით, ჭიათურაში შედარებით მკაფიოდ შეინიშნება გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანიდან. ამ დროიდან ჭიათურის რკინიგზის ექსპლოატაციაში შესვლამდე, უცხოური სამრეწველო კაპიტალი, ის იყო, განიდევნა წარმოებიდან, ასპარეზი დაისაკუთრა ადგილობრივმა სამრეწველო კაპიტალმა, რომელმაც ვერ შეძლო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებითი გაუმჯობესება. ასეთ პირობებში მადნის მოპოვების შედარებით მძლავრი ზრდა აიხსნება საკუთრივ მრეწველობის ბუნებაში მომხდარი ცვლილებითაც, ანუ მრეწველობის თანდათანი გადასვლით წვრილი სასაქონლო წარმოების სტადიიდან განვითარების უფრო მაღალ, მანუფაქტურულ სტადიაზე. ამიტომ, ჩვენი აზრით, შეუძლებელია გაზიარებულ იქნეს ოფიციალურ დოკუმენტებში, ასევე საკითხის რევოლუციამდელ და, სამწუხაროდ, საბჭოურ ისტორიოგრაფიაშიც გავრცელებული მოსაზრება, რომელიც მთელი რევოლუციამდელი ხანის ჭიათურის მრეწველობას აცხადებს „წვრილი, კუსტარული", „პრიმიტიული და მტაცებლურ-პირველყოფილი", ან კიდევ „შინამრეწ-

---

[4] „იერია", 1889, 12 იანვარი, № 8.

ველური ფორმის“ წარმოებად. მრეწველობის მოცემული დარგის ხასიათის ამგვარ შეფასებას თავისი ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების ოფიციალური დოკუმენტები აფასებენ მას, როგორც „კუსტარული ხასიათის მრეწველობას“[5]. „მარგანეცის საქმის სტატისტიკოსთა 1902 წლის ცნობით „შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველობა საერთოდ დღემდე ატარებს წვრილი, კუსტარული მრეწველობის ხასიათს“[6]. მომდევნო ხანაში, კერძოდ, 1910 წელს, როცა ჭიათურის მრეწველობა უკვე საქვეყნოდ განთქმულ, სოლიდურ სამრეწველო დარგადაა ქცეული, სამთო უწყების წარმომადგენლები ერთგვარ სიფრთხილეს იჩენენ ამ დარგის დახასიათებისას, როცა წერენ: „მარგანეცის მრეწველობა შორაპნის მაზრაში თ ა ვ ი ს ი ხ ა ს ი ა თ ი თ ა ხ ლ ო ს დ გ ა ს კ უ ს ტ ა რ უ ლ მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა ს თ ა ნ“[7]. ეს დახასიათება, როგორც დავინახავთ, დღემდე არ არის საფუძვლიანად გადასინჯული სამეცნიერო ლიტერატურაში. ასე მაგალითად, ცნობილი მკვლევარი პაატა გუგუშვილი, თავის, 1941 წელს გამოცემულ კაპიტალურ ნაშრომში — „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ — განიხილავს რევოლუციამდელი ხანის ჭიათურის მრეწველობას, მიუთითებს წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ფაქტებზე („საჰაერო მავთულის გზები“, ბრემსბერგები, მილები, ელექტროგანათება, „მადნის სარეცხი ქარხნები“) გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულსა და მსოფლიო იმპერიალისტური ომისწინა წლებში[8], მაგრამ, მისი აზრით, „მრეწველობის ბაზას აქ წარმოადგენდა მარგანეცის მოპოვებისა და გადაზიდვის ტექნიკურად ჩამორჩენილი, პრიმიტიული საშუალებანი“[9]. განსაზღვრავს რა რევოლუციამდელი ხანის ჭიათურის მრეწველობის განვითარების დონეს, პ. გუგუშვილი დაასკვნის: „მარგანეცის მოპოვება კარგა ხნის განმავლობაში ატარებდა მეტად წვრილი სარეწავების ხასიათს, და ამგვარად, არ გასცილებია შინამრეწველობის ფორმას“[10]. ე. ი. ავტორს მიაჩნია, რომ ჭიათურის მრეწველობა არ გასცილებია კაპიტალისტური მრეწველობის პირველ სტადიას, ანუ ვ. ი. ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, „წვრილი სასაქონლო წარმოების (წვრილი, უმთავრესად გლეხური) სარეწავების“ სტადიას. საქმე იმაშია, რომ

---

[5] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, л. 10.

[6] Статистика марганцевого дела. К., 1902, გვ. 26.

[7] ЦГИАЛ, ф. 565, оп. 7., Д. 26907, 1910—1911 гг., л, 10; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, 1905—1914, гг., л. 40. (ხაზგასმა ჩვენია).

[8] პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 261.

[9] ი ბ ი ვ ე.

[10] ი ბ ი ვ ე, გვ. 259.

პ. გუგუშვილის შეხედულებით, როგორც ცნობილია, ტერმინი „წვრილი სასაქონლო წარმოება“ ზუსტად ვერ ასახავს სამრეწველო წარმოების შესაფერის საფეხურსა და ფორმას. პ. გუგუშვილის მიერ შემოთავაზებული სოციოლოგიური კლასიფიკაციით ამ საფეხურს ასახავს ტერმინი „შინამრეწველობა“[11]. ამრიგად, პ. გუგუშვილის აზრით, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა რევოლუციამდელ ხანაში არ გასცილებია კაპიტალისტური მრეწველობის პირველ საფეხურს, ანუ სტადიას. ამას უეჭველს ხდის ის გარემოებაც, რომ საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების მანუფაქტურული სტადიის ცნობილი მკვლევარი, თავისი შრომის იმ ნაწილში, სადაც მარგანეცის მრეწველობას განიხილავს, არც მოიხსენიებს მანუფაქტურას.

უფრო დამაფიქრებელი და წინააღმდეგობრივია მკვლევარ ნ. ტყეშელაშვილის მსჯელობა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ასე მაგალითად, თავის, 1958 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ის, „მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის პერიოდის“ საქართველოს მარგანეცის მრეწველობის მიმოხილვისას დაასკვნის: „ამრიგად, წვრილი მრეწველები თანდათან უბრალო დანამატად იქცეოდნენ და თითქმის ემორჩილებოდნენ მსხვილი კაპიტალისტების თვითნებობასა და ძალას“[12]. შემდეგ: „მარგანეცის მადნის ამოღებისა და ექსპორტის მონოპოლია თითქმის ბოლოამდე ჩაიგდეს ხელში მსხვილმა მრეწველებმა“[13]. და ბოლოს აცხადებს: „სასტიკი კონკურენციის ბაზაზე მარგანეცის მრეწველობაში მიმდინარეობდა წარმოებისა და კაპიტალის კონკურენციის გაძლიერებული პროცესი“[14]. თუ ამ მსჯელობას სწორი მეთოდოლოგიური პოზიციიდან შევაფასებთ, გამოდის, რომ ავტორი „მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის პერიოდის“ (ანუ 1900 წლამდე) ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარებას მაღალ შეფასებას აძლევს. მაგრამ, ეხება რა შემდგომ ხანის—„მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდის“—ჭიათურის მრეწველობას, მკვლევარი პრინციპულად განსხვავებულ მოსაზრებას აყალიბებს და ამტკიცებს, რომ ამ პერიოდში (ანუ როგორც თვითონაც აღნიშნავს: 1900—1917 წლებში) „...საკვლევით ბუნებრივია, რომ საბადოს დამუშავება (მხედველობაშია ჭიათურის საბა-

---

[11] პ. გუგუშვილი, სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესზე (იტალიაში) წაკითხული მოხსენება — მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის საკითხისათვის (პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის განვითარება XIX—XX საუკუნეებში, ტომი მესუთე. 1962, გვ. 575).

[12] ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან. 1958, გვ. 23.

[13] იქვე, გვ. 20.

[14] იქვე, გვ. 23.

დოები — **გ. მ.) წარმოებდა სტიქიურად, პრიმიტიულად და მტაცებლურ-პირველყოფილი წესით"**[15]. მრეწველობის დასახელებულ დარგს დაახლოებით ასე აფასებდა კავკასიის სამთო სამმართველო, როცა 1903 წლის მოხსენებაში ამტკიცებდა: „მარგანეცის მრეწველობა ღღემდე განაგრძობს განვითარების პირველყოფილ სტადიაზე არსებობას"[16]. ამ დახასიათებას, რომელიც 1903 წლამდე არსებულ ვითარებას შეეხება, მკვლევარი ნ. ტყეშელაშვილი, როგორც ვხედავთ, თითქმის უცვლელად ავრცელებს მომდევნო ხანის (1900—1917 წლების) ჭიათურის მრეწველობაზე. გამოდის, რომ ავტორი შეუსაბამოდ მაღალ შეფასებას აძლევს „მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის პერიოდის" ჭიათურის მრეწველობას (მსხვილი კაპიტალის მიერ წვრილი მრეწველობის დამორჩილება, მსხვილ მრეწველთა მიერ მადნის ამოღებისა და ექსპორტის მონოპოლიზება!), ხოლო „მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდის" ჭიათურის მრეწველობის დონეს, პირიქით, შეუსაბამოდ დაბალ შეფასებას აძლევს (საბადოთა პრიმიტიული, მტაცებლურ-პირველყოფილი წესით დამუშავება).

ვერ დავეთანხმებით აგრეთვე მკვლევარ გ. ბაქრაძეს რომელიც თავის 1958 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, წერს: «В Чиатурском промысле за весь период его капиталистического развития шахтерская кирка не была заменена машинами и высокопроизводительным оборудованием. Поэтому, — განაგრძობს ავტორი, — несмотря на рост добычи руды, в действительности Чиатурская марганцевая промышленность все же являлась отсталой отраслью грузинской промышленности»[17]. ეიღრე მკვლევარის შემდგომ მსჯელობას გავეცნობოდეთ, შევნიშნავთ, რომ საქართველოს მრეწველობის მსოფლიო მნიშვნელობის დარგის განვითარების დონის ასეთი, ჩვენი აზრით, ცალმხრივი შეფასებისას მთელი ყურადღება გადატანილია მხოლოდ აწარმოო პროცესის ერთ ოპერაციაზე, მადნის მონგრევაზე და მადნის ხელით, — წერაქვით მოპოვებაზე, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს იარაღი მართლაც გამოყენებული იყო სამუშაოდ და „საბადოს ექსპლოატაციის დაწყებიდან 1931 წლამდე შეუცვლელად ემსახურებოდა მანგანუმის მრეწველობას საქართველოში". მადნის მოსანგრევად სწორედ მხოლოდ 1931 წლიდან „ლაწყეს ბურღვა — აფეთქებითი სამუშაოების გამოყენება". კიდევ

ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 72 (ხაზგასმა ჩვენია).

[16] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 669, 1903, л. 19 об.

[17] К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии XIX веке, 1958, гв. 236.

მეტი, „მადნის ხელით (ნიჩბით) ტვირთვა საბადოს ექსპლოატაციის პირველი დღიდან დაწყებული დღემდე გრძელდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაღაროების გენერალური რეკონსტრუქციისა და სოციალისტური ხუთწლედების განხორციელების შედეგად, მისი ხვედრითი მონაწილეობა თანდათანობით შემცირდა“[18]... თუ ავტორის ლოგიკას გავყვებით ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა საქართველოს მრეწველობის ჩამორჩენილ დარგად უნდა ჩავთვალოთ არა მარტო 1921, არამედ 1931 წლამდე მაინც. ამასთანავე მკვლევარი გ. ბაქრაძე, ერთი მხრივ, აცხადებს, რომ ჭიათურაში, მთელ პირველ მსოფლიო ომამდელ პერიოდში «...Рост производительности труда и увеличение добычи происходили не в результате улучшения техники производства и изменения форм промышленности»[19]. მეორე მხრივ, ავტორი ამტკიცებს, რომ «В указанный период (с 1879 г. по 1921 г.) Чиатурская марганцевая промышленность, в основном имела форму мелкотоварного и кустарного производства, однако, наряду с этим некоторые промыслы носили характер мануфактуры, а с конца 90-х годов встречались даже фабричные формы»[20].

ამ, წინააღმდეგობრივ მსჯელობაში ყურადღებას იპყრობს, ერთი მხრივ, საქმის ნამდვილი ვითარების გაუთვალისწინებლობა და მთელი რევოლუციამდელი ჭიათურის მრეწველობის „ძირითადად წვრილი სასაქონლო და კუსტარული ფორმის წარმოებად“ გამოცხადება, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგიერთი მანუფაქტურული, აგრეთვე ფაბრიკული ფორმის საწარმოთა არსებობის აღიარება. გ. ბაქრაძე ცნობს მრეწველობის მოცემულ დარგში მანუფაქტურული და ფაბრიკული ფორმის საწარმოთა არსებობასაც, რაც, ჩვენი აზრით, წინ გადადგმული ნაბიჯია მრეწველობის ამ დარგის ხასიათის გაგებაში.

მაგრამ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ხანაში აღმოჩნდნენ ისეთი მოხელენი და მრეწველებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან განცალკევებით განიხილავდნენ რევოლუციამდელი ჭიათურის მრეწველობაში არსებულ მსხვილ და წვრილ საწარმოებს და არ ეთანხმებოდნენ მოცემული დარგის „კუსტარულ“ წარმოებად მიჩნევას. ასე მაგალითად, მეფისნაცვლის თანაშემწე, სენატორი ვატაცი, რომელიც 1909 წელს ადგილზევე გაეცნო ჭიათურის მრეწველობას, ერთმანეთისაგან განასხვავებდა კარგად მოწყობილ მსხვილ საწარმოებს და წვრილ, გლეხურ სარეწავებს[21], ხოლო მარგანეცის მრეწველი

---

[18] ივ. ჭანიშვილი, მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში, 1960, გვ. 541, 543.

[19] გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

[20] იქვე. გვ. 236.

[21] იხ. ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, 1910 г. л. 72 об.

და მადნის ექსპორტიორი ი. ს. პერსინაკი, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში მოწყობილ საუწყებათაშორისო თათბირზე 1910 წელს, ჭიათურის მრეწველობის მდგომარეობის განხილვისას, არ დაეთანხმა იმათ, ვინც ამ დარგს „კუსტარული ხასიათის“ წარმოებად მიიჩნევდა. ამ პირებს ის პასუხობდა: «Что касается вопроса о том, кустарная эта промышленность или нет, то я должен сказать, что конечно, нельзя требовать, чтобы марганцепромышленники владели большими капиталами, но судя по количеству вывозимого за границу марганца, промышленность эту можно признать довольно солидной»[22].

რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა საქმოსან ი. პერსინაკისთვის მოგვეთხოვა მრეწველობის მოცემული დარგის ხასიათის სწორი მეთოდოლოგიური პოზიციიდან შეფასება. ამავე დროს ის მართებული წანამძღვრიდან გამოდის, როცა ამტკიცებს, რომ ჭიათურის მრეწველობა არ შეიძლება ჩაითვალოს კუსტარულ მრეწველობად, რადგან ეს სოლიდური დარგი მნიშვნელოვანწილად აკმაყოფილებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებას მარგანეცის მადანზე. მართლაც, ეფიქრობთ, სადავო არ არის ის, რომ ე. წ. „კუსტარული მრეწველობის“ ანუ, როგორც მას ზოგიერთი მკვლევარი უწოდებს, „შინამრეწველობის“ ნაწარმს არსად და არასდროს მოუპოვებია თვალსაჩინო და მით უმეტეს გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე, როგორც ეს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ მოიპოვა მადნის საერთაშორისო ბაზრებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნებოდა „კუსტარული“ და „შინამრეწველური“ წარმოება. მრეწველობის მოცემული დარგის მდგომარეობაში ქვემოთ, მისი მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღების დეტალური დახასიათებისას გავერკვევით. ახლა კი დავუბრუნდეთ საკითხს იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია მთელი რევოლუციამდელი ხანის ჭიათურის მრეწველობის განვითარების დონის ერთგვარი შეუფასებლობა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ჭიათურის მრეწველობაში 1879—1894 წლებში ძნელი შესამჩნევი როდია წვრილ, გლეხურ სამთო სარეწავთა სიმრავლე, მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების პროცესი არ ხასიათდებოდა ერთფეროვნებით. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანიდან ჭიათურის მრეწველობაში წვრილ (უმთავრესად გლეხურ) სარეწავთა გვერდით არსებობდა საშუალო და შედარებით მსხვილი სამთო საწარმოები[23]. ზოგიერთი მკვლევარი სხვადასხვა კატეგორიის (წვრილ, საშუალო და

---

[22] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 130 об.

[23] იხ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის 1894 წლის მიმოხილვა ფაბრიკა-ქარხნებისა და სარეწავთა მდგომარეობის შესახებ, სსსა, ფონ. 12, ანაწ. I, საქ. 1494, ფურც. 33—34.

ბსხვილ) სამთო საწარმოთა ხვედრითი თანაფარდობის დადგენისას ანგარიშს არ უწევს მათ მიერ დასაქმებულ მუშათა რიცხვს, ასევე მათ ხვედრით წილს მადნის საერთო მოპოვებაში და სხვადასხვა კატეგორიის საწარმოთა რიცხვის გათვალისწინებას ჯერდება. რთული საკითხისადმი ესოდენ მარტივი მიდგომით მართლაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ითქოსდა წვრილი საწარმოები დომინირებენ მრეწველობაში. მაგრამ, თუ მართებული მეთოდოლოგიური წანამძღვარით ვიხელმძღვანელეთ, მსხვილ საწარმოთა რაოდენობრივი სიმცირე, წვრილ სარეწაებთან შედარებით, ვერ გამოდგება მოცემულ პერიოდში ჭიათურის მრეწველობის მანუფაქტურულ სტადიაზე გადასვლის უარსაყოფად. რადგან, როგორც ცნობილია „...კაპიტალისტური მანუფაქტურისათვის ტ ი პ ი უ რ ი ა სწორედ შედარებით მსხვილ საწარმოთა მცირე რიცხვის არსებობა წვრილ საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობის გვერდით“[24]. წვრილ სარეწაეთა რიცხობრივი სიმრავლე მსხვილ საწარმოებთან შედარებით იმიტომაც ვერ გამოდგება მრეწველობის მანუფაქტურული საფეხურის უარსაყოფად, რომ, როგორც ცნობილია, საზოგადოდ „...მანუფაქტურას არ შეეძლო საზოგადოებრივი წარმოების დაპყრობა მთელი მისი მოცულობით და არც მისი ძირფესვიანად გადატრიალება. იგი აღმართული იყო როგორც ეკონომიური ხელოვნების ქმნილება საქალაქო ხელოსნობისა და სასოფლო შინამრეწველობის ფართო საფუძველზე“[25]. მანუფაქტურას არ ძალუძს მოიცვას საზოგადოებრივი წარმოება მთელი მოცულობით, რადგან ის ხელით წარმოებას ემყარება. ხოლო „ხელით წარმოების დროს მსხვილ საწარმოებს არა აქვთ გადამწყვეტი უპირატესობა წვრილ საწარმოთა წინაშე“[26]. წყაროები მეტყველებენ, რომ ეს ასე იყო ჭიათურის მრეწველობაშიც: ზემოთ, როცა დაკვირვება ვაწარმოეთ სამთო მუშებზე, დავადგინეთ, რომ შედარებით მსხვილ, აგრეთვე მრავალი საშუალო სიდიდის საწარმოებში, შრომის დანაწილება გაღრმავებულია, სხვადასხვა ხელობის მუშები (მეწერაქვე, მენიჩბე, „მეტაპკე“, ქვის მწმენდელი) წარმოადგენენ რგოლებს წარმოების პროცესის საერთო ჯაჭვში. ამას კარგად ამჩნევდა „ივერიის“ ერთ-ერთი კორესპონდენტი, როცა ის, 1889 წელს გარკვევით აღნიშნავდა რომ სამთო მუშები ჭიათურაში იყოფიან „მეკირკეებად“, „მელაფათქეებად“, „მეტაპკეებად“ და „ქვის მწმენდელებად“ (იხ. 1889 წლის 12 იანვრის № 3). ისეთ საწარმოებში, სადაც ერთდროულად მრავალი მუშა იყო ჩაბმული, შრომა დანაწილებული იყო: ერთნი მადნის გადაყელვასა და

---

[24] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3 გვ. 516.

[25] კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი I, 1954, გვ. 468.

[26] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 516.

მონგრევას ეწეოდნენ, მეორენი მის თავმოყრასა და აწმენდა-დატვირთვას, მესამენი გადაზიდვას, ხოლო მეოთხენი საბადოს ზედაპირზე მის გარჩევა-გაცხრილვას. სტატისტიკოსები ასევე აჯგუფებდნენ სხვადასხვა ხელობის სამთო მუშებს და მიუთითებდნენ: „ეს სახელწოდებანი აბსოლუტურად ახასიათებენ მუშათა თითოეული ჯგუფის სპეციალურ საქმიანობას"[27]. შედარებით მსხვილი სამთო საწარმოები, როგორც ამას ქვემოთ. წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განხილვისას დავინახავთ. ხელით შრომას ემყარებოდნენ. ამიტომ ისინი მანუფაქტურული ხასიათის საწარმოებად მიგვაჩნია. ამასთანავე ზემოთ მრეწველთა შემადგენლობის ღაბასიათებისა და სხვადასხვა სიდიდის სამთო საწარმოთა ერთმანეთისაგან გამოყოფისას დავინახეთ, რომ, ვთქვათ, 1894 წელს მუშათა რაოდენობით, მოპოვებული მადნის, ასევე მისი ღირებულების ოდენობის მხრივ პირველ ადგილზე იყვნენ საშუალო სიდიდის საწარმოები, მეორეზე — მსხვილი, ხოლო მესამეზე — წვრილი საწარმოები. დაახლოებით ასეთ სურათს იძლევა წვრილ, უმთავრესად გლეხურ სარეწაოთა და მანუფაქტურული ხასიათის საწარმოთა თანაარსებობა მოცემულ პერიოდში.

ახლა გავეცნოთ შრომის პროცესსა და საწარმოო საშუალებებს, რაც კიდევ უფრო გაგვიადვილებს მრეწველობის ბუნების მართებულად შეფასებას. მარგანეცის მადნის მოპოვება თითქმის ერთდროულად დაიწყო საბადოს აუზის მთელ სივრცეზე. აქ თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ისეთი უბანი, რომ „შავი ქვის ჩიჩქნა არ დაეწყოთ და მაღაროებიდან გამოეჭონდათ ქვა არა მთლად, არამედ მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც იმ მომენტში უფრო ხელსაყრელი და ადვილი დასამუშავებელი იყო"[28]. მრეწველები, მეტადრე, წვრილი მრეწველები, უპირატესად მხოლოდ „ნატეხი მარგანეცის ფენებს" ამუშავებდნენ, როგორც უფრო ღირებულს და გაწმენდის გარეშე გამოსადეგს, ხოლო მარცვლოვან მადანს, რაც ნატეხი მადნის დამუშავებისას რჩებოდა, ყრიდნენ ფუჭ ქანებთან ერთად. სპეციალისტების გაანგარიშებით, ასეთი მუშაობის შედეგად კარგი ხარისხის მადნის დანაკარგი ერთ „ქცევა" საბადო ფართობზე (ე. ი. 900 კვ. საჟენზე) 36 000 ფუთს აღემატებოდა, ხოლო თუ მჭედველობაში მივიღებთ ფუჭ ქანებთან ერთად გადაყრილი მადნის მთელ ოდენობას, დანაკარგი ყოველ ქცევაზე შეადგენდა 100000 ფუთს, ანუ მთელი მოპოვების 30%[29]. სხვა სარწმუნო წყაროებიდანაც ამკარაა, რომ მრეწველთა დიდი ნაწილი გაურბოდა მადნის შედარებით ღარიბი

---

[27] Статистика марганцевого дела. К., 1907. გვ. 35.

[28] გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

[29] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, 1903, л. 9, об.

ფენების დამუშავებას, ხოლო, როცა ამ ფენების დამუშავება აუცილებელი ხდებოდა, ღარიბი ფენის ნაშალს გარეთ ეზიდებოდა და ხეობებში ყრიდა, რის შედეგად დანაკარგმა მადანმა აღებულ ხანაში და მომდევნო წლებში, ზოგიერთი მკვლევარის მიახლოებითი გაანგარიშებით, შეადგინა არა ნაკლებ 200 მილიონი ფუთისა, ანუ 3,4 მილიონი ტონისა, საიდანაც შეიძლებოდა მიღებულიყო 1,7 მილიონი ტონა გარეცხილ-გამდიდრებული მადანი[30].

საბადოს ექსპლოატაციის ხელსაყრელი პირობებით სარგებლობას ცდილობდა საზოგადოების ყველა ან თითქმის ყველა კლასისა და ფენის წარმომადგენელი. გ. ლასხიშვილი ამასთან დაკავშირებით 1898 წელს წერდა: „შავი ქვის მადნებში მუშაობა ისე ძნელი არ არის როგორც ქვანახშირის, სპილენძის, ტყვია-ვერცხლის მადნებში მუშაობა. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ყველა გაკოტრებული მედუქნე ან ხარაზი მუშაობს ამ მადნებში. ამგვარმა ხალხმა დაჰბადა ... ურიგობა და უწესობა აქაურის ვაჭრობისა და მრეწველობისა"[31].

მადნის ამოღება ჯერ კარიერებით წარმოებდა, მაგრამ, როცა ეს შეუძლებელი გახდა, დაიწყეს ჰორიზონტალურ მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრების გაყვანა. საბადო ზეგნების ფერდობებზე გვერდიდან შეჰყავდათ გვირაბები, რომლებიც მადნის ფენებს მიჰყვებოდნენ. წვრილი მეწარმენი მინიმალური დაბანდებით მეტი რაოდენობის მადნის მოსაპოვებლად სამთო სამუშაოებს ეწეოდნენ ერთდროულად, მრავალ, ერთმანეთის მახლობელ შტოლნებში, სადაც მადნის მოსაპოვებლად სამიოდე საჟენის სიღრმეში შეჭრის შემდეგ იწყებდნენ შტოლნის ორივე გვერდზე მადნის გამონგრევას („შტრეკების" გაყვანას)[32]. საბადოს ექს-

---

[30] Ф. Бублейников и Н. Лессинг, Марганцевая промышленность СССР, М.-Л. 1925. გვ. 7.

[31] „ივერია" 1886, 4 მაისი, № 97.

[32] ЦГИАЛ. ф. 37. оп. 55. д. 609. л. об. მადნის მოპოვების ტექნიკა განსახილველ პერიოდში ნელი ტემპით უმჯობესდებოდა. ამ მხრივ 1885 წელს არსებული ვითარება აღწერა სამთო ინჟინერმა ა. ცეიტლინმა. მან დაათვალიერა სამთო საწარმოები რგანში, ზედა რგანში, მღვიმევში, პერევისასა და შუქრუთში. მისი დასკვნით «Добыча производится, за небольшими исключениями открытых работ, подземными работами... Искусственные закрепления выработок почти нигде не употребляются... Работы ведутся с дневной поверхности штольнями..., имеющими в основании приблизительно от 7 до 10—12 футов ширины: высота же штолен от 5 до 7 и более футов, соответствует толщине или мощности пластов марганцевой руды». ინჟ. ა. ცეიტლინი აღნიშნავს, რომ შტოლნები ერთიმეორისაგან დაცილებულია 14-დან 28 ფუტამდე, რომ მეწარმენი მოპოვებას ეწევიან თვითნებურად, სამთო გამონამუშევრების ჯეროვანი გამაგრების გარეშე, რის გამო «Добыча марганцевой руды становится небезопасной для рабочих», ЦГИА, ფონ. 264, საქ. 1251, ფურც. 1—12.

პლოტაცია განისაზღვრებოდა გრძივი და განივი ამოღებით. მაღაროც თანდათან ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა მიწის წიაღში. წმენდითი ამოღება თითქმის არ წარმოებდა. გამონამუშევრებს ამაგრებდნენ აუცილებელ შემთხვევაში, ზოგჯერ გამონამუშევრების შუაში მიწის „სვეტის“ ხელუხლებლად დატოვებითაც[33]. ისინი გაჰყავდათ, ფაქტიურად, უიარაღოდ, თვალდათვალ, რასაც მადნის დიდი რაოდენობით დაკარგვასთან და ხშირ უბედურ შემთხვევებთან ერთად, თან ახლდა სხვადასხვა მფლობელთა საბადოების საზღვრების ურთიერთგადალახვა მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრების გაყვანისას, რაც მათ შორის გამუდმ ლ დავის საგნად იყო ქცეული. ამაში ინფორმირებული იყო მთავრობის შესაფერისი ორგანოებიც. კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსი კ. რუგაჩოვი თავის მოხსენებაში შენიშნავდა: საბადოთა სწორი გეგმების არარსებობა ხშირად იწვევს ერთმანეთის მეზობელ მეწარმეთა საზღვრების ურთიერთდარღვევას, მფლობელთა უფლებების შელახვას[34]. მიწათმოქმედების მინისტრი ერმოლოვი თავის ერთ-ერთ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ მას, სხვა პირებთან ერთად, საჩივრით მიმართა საბადოთა აუზში დიდი მამულების მფლობელმა, სალომე წერეთელმა. რომელიც აღნიშნავდა, რომ მისი მეზობელი მეწარმენი თავთავის მაღაროებში დიდ სიღრმეში იჭრებიან და იქ გადადიან მის კუთვნილ საბადოთა წიაღში, საიდანაც გააქვთ მადანი[35].

მიწისქვეშა გამონამუშევრების გაყვანა წარმოებდა წინასწარი გაყოლვით მადნის რბილ შრეში ან ფუჭ ქანში. გადაყოლილი მადნის ჩონგრევა წერაქვითა და სოლით ხდებოდა, ხოლო მისი აწმენდა-დატვირთვა—ნიჩბით. მაღაროში მადნის მოსანგრევად, ჩანს, იშვიათად იყენებდნენ თეთქებად მასალასაც. ასე მაგალითად, მრეწველმა გ. ჩობინიძემ 1881 წელს მოითხოვა ნებართვა მადნის მოსანგრევად ... საკეთებლად 12 ფუთი ფეთქებადი მასალის გამოყენებაზე[36] და სხვ.

მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრების „ჭერის“ სიმაღლე უფრო ხშირად არ აღემატებოდა 1,5 არშინს. მათი სიგრძე 3—4 საჟენიდან 50—60 საჟენამდე აღწევდა, ხოლო მადნის უფრო ღრმად განლაგებული ფენები ხელუხლებელი რჩებოდა[37]. საბადოს წიაღში სამთო გამონამუშევრების ღრმად შეჭრას, მის ჯეროვან ათვისებას სხვა გარემოებებთან ერთად აბრკოლებდა ვენტილაციის მოუწყობლობა და სუსტი განათება. საარქივო წყაროს მოწმობით «На длину штолен, а

---

[33] А. П. Соловьев. Марганцевая промышленность Грузии. Тиф., 1922. გვ. 11.

[34] ЦГИАЛ. ф. оп. 55. д. 609. л 19.

[35] ЦГИАЛ. ф. 37. оп. 69. д. 2305. л. 33.

[36] სსსა. ფონ. 264, საქ. 969, ფურც. 5.

[37] იქვე.

следовательно и на их производительность, немаловажное влияние оказывают отсутствие правильно устроенной вентиляции и несовершенство освещения, по большей части керосинового, которое вследствие копоти, приводит к быстрой порче воздуха и тем препятствует работам в отдаленных от выхода шполен рудника»[38].

მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებიდან მადანს თავდაპირველად ეზიდებოდნენ ზურგით[39], შემდეგ ხელურძებით, „ჯინებით“ ან ხუთფუთიანი „ურიკებით“[40], თუმცა 80-იანი წლებიდან წამოიწყო მაღაროებში რელსებიანი გზების გამართვა და იქიდან საბადოს ზედაპირზე მადნის ვაგონებით ზიდვა, რაც იმ დროს წარმოებაში პროგრესს მოასწავებდა[41].

მრეწველობის გარიჟრაჟზე ყველაზე უმდიდრეს საბადოთა დამუშავება მიმდინარეობდა და მადანიც მაღალხარისხოვანი იყო. შემდეგ საბადოებში სამთო გამონამუშევრების ღრმად შეჭრა განხორციელდა. აქ მადანში უფრო მეტად ერია ფუჭი ქანები. ამას დაემთხვა მადნის მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნების მარგანეცის გამოჩენა. აუცილებელი გახდა მადნის გაწმენდა ქანებისაგან. მაგრამ მადნის გამაუფასურებელ-გამამდიდრებელი ქარხნები არ არსებობდა. და მისი გაწმენდა ხელით, მაეთუნის საცრებით წარმოებდა, ზედაპირზე გამოზიდულ მადანს ბარით და ხელითაც აცლიდნენ თიხას და ქვებს, ზოგან მადანს რეცხავდნენ, აცლიდნენ ფუჭ შენარევებს და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, აუმჯობესებდნენ მის ხარისხს[42].

* * *

გავეცანით მარგანეცის მადნის მოპოვების ოპერაციებს, საწარმოო პროცესის მიმდინარეობას, შრომის საშუალებებს. ირკვევა, რომ ჰოლმულ ეტაპზე ჭიათურის მარგანეცის მრეწველობისათვის დამახასიათებელია ხელით წარმოება და შრომის დანაწილების გართულება. მართალია, ამ პროცესმა ვერ მოიცვა ყველა სამთო საწარმო, კერძოდ, წყვილი (გლეხური) სარეწავები, სადაც წარმოება მეტად შეზღუდულად, მხოლოდ ერთეულ მუშათა შრომით სულდგმულობდა. ანაგიეროდ, მათ გვერდით არსებულ შედარებით მსხვილ მანუფაქტურულ საწარმოებში, სადაც კრთდროულად მრავალი მუშა მუშაობდა, შრომის

---

38 სსსა, ფონ. 264, საქ. 969, ფურც. 9, მეორე გვერდი.

39 იხ. ЦГИАЛ. ф. 37. оп 66. д 2305. 1895. л 33.

40 იხ. ა. გავაშელი, ჭიათურის მარგანეცი, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“. 1953. № 8. გვ. 17; ვლ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 546.

41 იხ. ЦГИАЛ. ф. 37. оп 66. д. 2305. 1895. л. 33.

42 ნ. წულუნავა, დასახ. ნაშრ., გვ 15.

დანაწილება და მუშის სპეციალიზაცია (დახელოვნება), არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო შრომის ნაყოფიერებისა და მადნის მოპოვების მასშტაბის ზრდის წყარო და ფაქტორი, რადგან მანუფაქტურა საზოგადოდ იწვევს საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის გადიდებას შრომის დანაწილების გამო[43]. შრომის მანუფაქტურულმა დანაწილებამ ჭიათურის მრეწველობაში საქმეში გამოყენებულ მუშათა რიცხვის ზრდა ტექნიკურ აუცილებლობად გახადა. მან გამოიწვია შრომის იარაღების ერთგვარი სპეციალიზაცია, ნაწილობრივი მუშების შექმნა, მათი დაჯგუფება და ერთ მთლიან მექანიზმად კომბინირება, საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესის თვისებრივი დაყოფა და რაოდენობრივი პროპორციულობა, მაშასადამე, საზოგადოებრივი შრომის განსაზღვრული ორგანიზაციის შექმნა, რითაც შრომის ახალ საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალას ავითარებდა[44]. უამპირობოდ, ვფიქრობთ, შეუძლებელიც იქნებოდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ისეთი სწრაფი განვითარება, როგორიც დამახასიათებელია განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანიდან. მრეწველობის მანუფაქტურულ სტადიასთანაა დაკავშირებული მეწარმეთა და მუშათა მკაცრი დაპირისპირებისა და სამრეწველო რაიონის პროლეტარიატის ფართო ფენების წარმოშობა. მართალია, კაპიტალისტური ურთიერთობა, საერთოდ, წვრილ სარეწებშიც მყარდება, „ოღონდ, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — აქ ის ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული და არ ღებულობს წარმოების მონაწილე პირთა ჯგუფების მკაცრი დაპირისპირების ხასიათს. აქ ჯერ კიდევ არ არის არც მსხვილი კაპიტალი, არ არიან არც პროლეტარიატის ფართო ფენები. მანუფაქტურაში უკვე ვხედავთ, რომ იქმნება ერთიც და მეორეც. წარმოების საშუალებათა მეპატრონისა და მომუშავეს შორის ულსკრული უკვე საგრძნობ ფარგლებს აღწევს“[45].

ვფიქრობთ უდავოა, რომ თუკი მე-19 საუკუნის 80—90-იანი წლების და მთელი რევოლუციამდელი ხანის ჭიათურის მრეწველობას „წვრილ, კუსტარულ“, „მტაცებლურ-პირველყოფილ წესზე“ ან კიდევ „შინამრეწველობის“ სტადიაზე გაყინულ საწარმოდ მივიჩნევთ, როგორც ამას აკეთებენ ჩვენი წინამორბედი მკვლევარები, გაუგებარი იქნებოდა არა მარტო მრეწველობის ამ დარგის ესოდენ გაძლიერება, არამედ მუშათა კლასის ჩამოყალიბება ჭიათურაში და მისი თვალსაჩინო როლი ეპოქის გამთავისუფლებელ რევოლუციურ მოძრაობაში მე-20 საუკუნის პირველი წლებიდანვე.

---

[43] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 457.

[44] იქვე, გვ. 463.

[45] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 644.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაზე დაკვირვება, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ მრეწველობის ამ დარგის განვითარება 1879—1894 წლებში სხვა შინაგან ფაქტორებთან ერთად, დაკავშირებულია კაპიტალისტური მრეწველობის პირველი სტადიიდან, მეორე (მანუფაქტურულ) სტადიაზე გადასვლასთან.

* * *

თავისი ჩასახვა-განვითარების პირველი 15 წლის მანძილზე, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა მსოფლიო მნიშვნელობის დარგად იქნა აღიარებული. ამ წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მსოფლიო მეტალურგიის განვითარება ფერომარგანეცის ფართოდ გამოყენების ბაზაზე, რის შედეგადაც მარგანეცის მადანზე მოთხოვნილება კოლოსალურად იზრდებოდა (ხოლო მისი მოპოვება სხვა ქვეყნებში მაშინ ძალზე უმნიშვნელო მასშტაბით წარმოებდა). აღსანიშნავია აგრეთვე ჭიათურის საბადოს სწორუპოვრობა (მადნის მოპოვების სიადვილე, მაღალხარისხოვნება), მისი შედარებითი სიახლოვე სარკინიგზო და საზღვაო გზებთან, ახალ სამრეწველო რაიონში თავისუფალი, იაფი სამუშაო ძალის მოზღვავება და სხვ. ჭიათურის მრეწველობის წინსვლას თავიდანვე ცხოველი ინტერესით შეეგებნენ მსოფლიო მეტალურგიაში ცნობილი ფირმები, ამას მაღალ შეფასებას აძლევდა რუსეთის მთავრობის არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მათ შორის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ერმოლოვი, რომელიც ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ადგილზე დათვალიერების შემდეგ 1894 წლის 21 სექტემბერს მარგანეცის მრეწველთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში დაასკვნიდა: „მრეწველობის ისტორიაში შეუძლებელია ვიპოვოთ ახლადაღმოცენებული მრეწველობის ისეთი სწრაფი განვითარების მაგალითი, როგორიც გვაქვს მარგანეცის მრეწველობაში. ოდაც 15 წელიწადში... მარგანეცის მრეწველებმა აამაღლეს ის მსოფლიო ბაზარზე გაბატონებულ მდგომარეობამდე"[46].

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა მსოფლიო ბაზარს ემსახურებოდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული მსოფლიო მეტალურგიასთან. ამიტომ, ბუნებრივია, ეს დარგი წარმოადგენდა ერთგვარ ბარომეტრს, რომელშიც გამოხატულებას პოულობდა ყოველგვარი კარდინალური ძვრა მსოფლიო მეტალურგიაში, მარგანეცის მადნის მსოფ-

[46] ЦГИАЛ. Ф. 37, оп. 66, д. 2305, 1895, л. 34.

ლიო მოპოვებასა და მოხმარებაში, რაც ერთობ განსაზღვრავდა მოთხოვნილებას მადანზე, მისი გასაღების პირობებსა და სარეალიზაციო ფასს მსოფლიო ბაზარზე.

მსოფლიო მეურნეობის და ბაზრის კონიუნქტურასთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებში მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობასთან ერთად, ჩვენში მრეწველობის დასახელებული დარგის განვითარებაზე გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა წარმოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისა და მადნის სატრანსპორტო საშუალებათა მდგომარეობა, უცხოური კაპიტალის როლის გაძლიერება თუ შესუსტება, ასევე სხვა გარემოებანი, რომლებიც თავის მხრივ ზემოქმედებდნენ მადნის თვითღირებულების შემცირება-გადიდებაზე, და, მაშასადამე, მისი გასაღების პირობების გაუმჯობესება-გაუარესებაზე.

მრეწველობის მოცემული დარგის განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი უმთავრესთაგანი იყო ურკინიგზობა.

§ 8. ურკინიგზობა

ჭიათურის აუზში მიმოსვლისა და მადნის გადაზიდვის საშუალებათა მოწყობა და სამრეწველო რაიონში რკინიგზის ხაზის შეყვანა ადრიდანვე გახდა ის ძნელად გადასაწყვეტი პრობლემა, რისგანაც მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარება. საბადო ზეგნებზე უმთავრესად მარტო საცალფეხო გზები იყო გამართული, მაღაროებიდან ჭიათურამდე საურმე გზებიც მხოლოდ ცალკეულ უბნებზე იყო გაყვანილი, ხოლო სამრეწველო რაიონი ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის სადგურებთან დაკავშირებული არ იყო მოხერხებული საურმე გზებითაც. ასეთ პირობებში საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით მადნის დიდი რაოდენობით გადაზიდვა არ ხერხდებოდა, და ძვირიც ჯდებოდა. ამასთანავე სატრანსპორტო პირუტყვის გამოკვება, სამრეწველო რაიონში საძოვრებისა და სათიბების უკიდურესი სიმცირის გამო, ძნელდებოდა. მიმოსვლისა და მადნის გადაზიდვის სრულყოფილ საშუალებათა მოსაწყობად ნაკლებად ზრუნავდნენ მეწარმენი, ასევე ხაზინა. უგზოობის პირობებში ბრკოლდებოდა მრეწველობის მძლავრი განვითარება; გადაზიდვის სიძვირე მეტისმეტად ზრდიდა მადნის თვითღირებულებას, რის შედეგადაც მარგანეცის მრეწველობას საფრთხეს უქმნიდა საგარეო კონკურენცია.

სამრეწველო რაიონის შიდა გზების, ასევე ჭიათურასა და შორაპანს შორის გზების ვაუმჯობესების ცდებს ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ ჭიათურის საბადოთა ექსპლოატაციის დაწყებამდე, 1876 წელს, შორაპნის მაზრის უფროსს დაევალა შორაპანსა და ჭიათურას შორის გზის გაფართოება, რის შედეგადაც შორაპნიდან ბოსლევამდე, 12 ვერსზე, გზა გაფართოვდა 1½ საჟენამდე და საურმე გზად გადაკეთდა[1]. 1877 — 1879 წლებში ამ გზის გასაუმჯობესებლად გათვალისწინებული იყო საჭირო რაოდენობის „საერობო მუშების" გამოყენება, ამასთანავე ხაზინამ გაიღო 7 856 მანეთი და 399 ფუთი ფეთქებადი მასალა. სამუშაოები დაიწყო, რის გაგრძელებაც მალე, ჭიათურაში მრეწველობის ჩასახვის შემდეგ, 1880 წელს, დაევალა ინჟ. პოლკოვნიკ ლენჩევსკის, კომერციულ საფუძველზე. მან მთელ ხაზზე, ძველი გზის საურმე გზად გადაკეთებისას, რამდენიმე უბანზე სცადა მისი მიმართულების შეცვლა. საამისოდ თანხები არ ეყო და წამოწყებაც მიატოვა. ამავე დროს მოხერხებული, თუნდაც საურმე გზის საჭიროება, მადნის გადაზიდვის ზრდისკვალად უფრო და უფრო მტკივნეულად იგრძნობოდა, მით უმეტეს, რომ ცუდ გზაზე სასაპალნე და საჭაპანო ტრანსპორტით ჭიათურიდან შორაპნამდე ფუთი მადნის გადაზიდვა 22 — 30, ზოგჯერ 40 კაპიკი ჯდებოდა[2]. ადგილობრივი მოსახლეობაც ღარიბი იყო სატრანსპორტო საშუალების მხრივ: მაზრაში ყოველ კომლს არ გააჩნდა ერთი უღელი გაუყვეი ძალა, ხოლო ცხენების 1887 წლის აღწერის ცნობით საშუალოდ მაოლოდ ყოველ 9 გლეხურ კომლს გააჩნდა 1 ცხენი. ასეთ ვითარებაში მადნის გადასაზიდი გზის გაუმჯობესებასა და მისი გამტარუნარიანობის გაზრდას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა ძრეწველობის ასლადჩასახული დარგისათვის. 1881 წელს ინჟ. პოლკოვნიკმა ვეისენგოფმა შეადგინა შორაპანი—ჭიათურის გზის მშენებლობის პროექტი და ანგარიში, რომლის თანახმად საქმე უნდა დაჯღარიყო 175 ათასი მანეთი. ნავარაუდევი იყო, რომ შარაგზაზე გასაზიდი ყოველი ფუთი მადანი დაიბეგრებოდა 2-დან 4 კაპიკამდე, იმ პირობით, რომ ბოცემულ მანძილზე მადნის გადაზიდვის ხარჯი შემცირდებოდა ფუთზე 15 კაპიკამდე. ეს წინადადება არ განხორციელდა, რადგან პეტერბურგელმა ვაჭარმა მეისნერმა თითქმის იმავდროულად წამოაყენა ცხენის რკინიგზის პროექტი, რომლის თანაბამად საქმოსანი თავის ხარჯზე კისრულობდა გზის მშენებლობას და მის ბოვლა-პატრონობას მთელ საკონცესიო პერიოდში — 60

---

[1] Сборник сведений о Кутаисской губернии, Вып. второй, 1885, зз. 16—17.

[2] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2. д. 4914, 1891—1892 г., л. 519 об.

წელს, მაგრამ იმ პირობით, რომ გზის სამუშაოები „საერობო მუშახელს“ ეწარმოებინა. სამაგიეროდ კონცესიონერი ამ მუშახელს ერთდროულად აძლევდა 30 ათას მანეთს ყვირილაში საგლეხო ბანკის დასაარსებლად, ამასთანავე ხაზინას უხდიდა 2000 მანეთს ყოველწლიურად მთელი საკონცესიო დროის მანძილზე და სხვ. მთავრობამ უარი უთხრა კონცესიონერს გზის მშენებლობაზე „საერობო მუშახელის“ გამოყენების მოუხერხებლობისა და მომავალ გზაზე მადნის გადაზიდვის მაღალი ფასის — ფუთზე 15 კაპიკის დაწესების გამო[3]. მეისნერის შემდეგ ფრანგმა პიომ საკუთარი საჭიროებისათვის მოითხოვა „ორთქლის რკინიგზის“ მშენებლობის ნებართვა. ამის საპირისპიროდ მეისნერმა მთავრობას შესთავაზა ასეთივე რკინიგზის მშენებლობის პროექტი და პირობას იძლეოდა, რომ გზას გაიყვანდა საერთო სარგებლობისათვის[4]. ყველა ეს პროექტი და წინადადება განიხილა და მიუღებლად ჩათვალა გზათა სამინისტრომ.

სამრეწველო რაიონიდან რკინიგზის მთავარ მაგისტრალურ ხაზამდე რელსებიანი გზის გაყვანის წინააღმდეგ იბრძოდა მაზრის მოსახლეობა, რომელიც, მეორე მხრივ, ცდილობდა სხვა კუთხეებიდან თუ სხვა ქვეყნებიდან მოსულ ჩალვადარ-მეურმეთა ჭიათურიდან გაძევებას. ამის გამო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის 1890 წლის „უქვეშევრდომილეს“ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი გლეხები, რომლებიც მარგანეცის გადაზიდვას ეწევიან, „ებრძვიან გარედან მოსულ გადამზიდველებს“, რომ ისინი „ყველა საშუალებით იბრძვიან აგრეთვე გზის მშენებლობის (მხედველობაშია ჭიათურა-შორაპნის რკინიგზა — გ. მ.) წინააღმდეგ, რათა მათ არ დაკარგონ მადნის გადაზიდვის მონოპოლია“[5]. ასე მოხდა 1888 წელს, როცა გამოჩნდნენ უცხოელი საქმოსნები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ რკინიგზას თავის ხარჯზე გაიყვანდნენ საბადოებამდე. ისინი პირობას იძლეოდნენ, რომ საკუთარი საშუალებით გაყვანილ რკინიგზაზე გადაზიდულ ყოველ ფუთზე ხაზინას ჩაურიცხავდნენ თითო კაპიკს, ამასთანავე თავის ხარჯზე შეინახავდნენ სამრეწველო რაიონის ტექნიკურ და სამედიცინო ზედამხედველობასა და საფოსტო უწყებას, მაგრამ იმ პირობით, რომ თითოეული ფუთი მადნის გადაზიდვაში მიიღებდნენ 7 კაპიკს. ეს პროექტი მოიწონეს მთავრობის ორგანოებმა და დასკვნისათვის გადაეგზავნა კავკასიის ადმინისტრაციას. ამის საპასუხოდ შორაპნის მაზრის გლეხობამ თხოვნით მიმართა ხელმწიფეს, რათა მას არ დაეშვა უცხოელების მიერ ჭიათუ-

---

[3] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 4914, 1891—1892, л. 520, 522.

[4] იქვე, ფურც. 222, მეორე გვერდი.

[5] იქვე, ფურც. 520, 521, 522.

რის რკინიგზის მშენებლობა[6]. უცხოური კომპანიის წინადადება არ იქნა მიღებული და მას შეეناცვლა სხვა კაპიტალისტების, — ციმერმანის, ფურმანისა და იალოვეცკის პროექტები, რომლებიც განიხილა ქ. ქუთაისში სპეციალურად შექმნილმა კომპეტენტურმა კომისიამ. მან მოიწონა ინჟ. იალოვეცკის პროექტი. მაგრამ, ზემოდასახელებული კაპიტალისტების მეტოქედ იმავდროულად გამოჩნდა გერმანული ანონიმური კომპანია, რომელსაც 1888 წლისათვის უკვე დაპროექტებული ჰქონდა სოფ. ტყიბულთან ახლოს ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობა. ამ პროექტით ჭიათურის საბადოებიდან ტყიბულამდე მარგანეცის გადასაზიდად უნდა აგებულიყო საჰაერო რკინიგზა („Воздушная железная дорога“). კომპანია მზად იყო მის გასამართავად გაეღო საჭირო დიდძალი კაპიტალი. პროექტი განიხილეს მთავრობის ორგანოებში, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებლად მიიჩნიეს იმ საბაბით, რომ საჰაერო რკინიგზის მთელ ხაზზე შესაფერისი სვეტების აღმართვისათვის საჭირო მიწების გასხვისება ძნელი იყო[7]. ამავე დროს, 1888 წელს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ჭიათურის მრეწველობამ ძლიერი კრიზისი განიცადა, რაც გაღრმავდა მადნის საერთაშორისო ბაზრებზე სამხრეთ ამერიკული, იაფფასიანი მადნის გამოჩენის შედეგად. ამ გარემოებამ ერთი-ორი წლით შეანელა ადგილობრივ, რუს და უცხოელ კაპიტალისტთა ინტერესი ჭიათურის მარგანეცის მრეწველობისა და რკინიგზის შტოს მშენებლობისადმი, მაგრამ, მალე გაირკვა, რომ სამხრეთ ამერიკული მადანი უხარისხობის გამო არ ამართლებს იმედებს და 1890 წლიდან მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილება ჭიათურის მარგანეცზე კვლავ ძლიერ გაიზარდა. საბადოებიდან მაგისტრალურ რკინიგზამდე მადნის გადაზიდვას ვეღარ აუდიოდა მთელი ამიერკავკასიიდან მოსული მუშახელი. ხაზინა შედარებით მცირედი სახსრების გაღებით განაგრძობდა შორაპანი — ჭიათურის გზის გაფართოება-გაუმჯობესებას და მალე საურმე გზად გადაკეთდა. ამ გზაზე 1880 წელს მხოლოდ 50 — 60 ათასი ფუთი მადანი გაიზიდა, ხოლო 1884 წელს უკვე 1 მილიონ ფუთამდე. გზის გაუმჯობესებით მოცემულ მანძილზე მადნის გადაზიდვის ღირებულება თანდათან მცირდებოდა: თუკი 1880 წელს ფუთის გადაზიდვა 40 კაპიკს ფასობდა, 1884 წლისათვის შემცირდა 25 კაპიკამდე[8], 1892 წლისათვის კი — 22 კაპიკამდე[9]. მაგრამ, ვითარება ძირფესვიანად არ შეცვლილა: სამრეწველო რაიონში მადნის

---

[6] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 4914, л. 523.

[7] იქვე, ფურც. 524.

[8] Сборник сведений о Кутаисской губернии, К., 1885, გვ. 19.

[9] ЦГИАЛ, 1263, оп. 2. д. 4914, 1890—1892, л. 527, об.

გადაზიდვის რამდენადმე სრულყოფილ საშუალებათა არარსებობა და, მით უმეტეს, სამრეწველო რაიონსა და რკინიგზის მთავარ მაგისტრალს შორის რელსებიანი გზის არარსებობა გასაქანს არ აძლევდა და ახშობდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას, უსაშველოდ ზრდიდა აქაური მადნის თვითღირებულებას. ასეთ ვითარებაში სამრეწველო რაიონიდან რკინიგზის მთავარი მაგისტრალის სადგურებამდე მადანს საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით სამი გზით ეზიდებოდნენ: 1. ყვირილას (დიდწიფელას) გზით (რომლის სიგრძე 36 კილომეტრი იყო); 2. დილიკაურის გზით (43 კილომეტრზე) — გაჰქონდათ იმ საბადოებიდან, საიდანაც, ჭიათურის გავლით, უფრო უდგებოდნენ ყვირილას; 3. ულევის უშორესი გზით (56 კილომეტრზე) კი მადანს პერევისიდან და შუქრუთიდან ეზიდებოდნენ.

ყველაზე დიდი მოძრაობა იყო დიდწიფელას ანუ ყვირილას გზაზე, ხოლო დილიკაურის გზა, რომელიც 12 — 14 კილომეტრით მოკლე იყო ულევის გზაზე, ნაკლებად იყო გამოყენებული, რადგან დილიკაურის პლატოზე წვიმიან ამინდში გაუვალი ტალახი დგებოდა, აღმართ-დაღმართებიც ბევრი იყო. დილიკაურის გზით მადნის გადაზიდვა მოხერხებული იყო ზაფხულის მშრალ ამინდში, მით უფრო, რომ ამ გზაზე საუკეთესო საძოვრები იყო და ეს კი სატრანსპორტო საქონლის საბალახოდ გამოდგებოდა.

მადნის გადაზიდვას უმეტესად მაინც ყვირილას გზით ეწეოდნენ, ხოლო უკან საძოვრებით მდიდარ დილიკაურის გზით ბრუნდებოდნენ[10]. შორაპნის მაზრის უფროსის 1885 წლის ცნობით მთელი აქამდე მოპოვებული მადნის საერთო ოდენობიდან ულევის გზით გაიზიდა არა უმეტეს $^1/_6$ ნაწილისა, დილიკაურის გზით — $^1/_4$, ხოლო დანარჩენი — ყვირილას გზით[11].

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო საბადო ზეგნებიდან მთავარ გზებამდე მომავალი „შუკები", ისინი გაუმართავი, ბევრგან სახიფათო იყო ტვირთზიდვისათვის. ამავე დროს ექსპლოატაციაში შესული საბადოები ტერიტორიულად დიდ სივრცეზე იყო გადაჭიმული და აქ მრავალი სოფლები ერთმანეთთან, ასევე ჭიათურასთან მხოლოდ ვიწრო, იშვიათად საურმედ ძნელად გამოსადეგი გზებით იყო დაკავშირებული. ამ გზების გაუმჯობესება-გაფართოება-მოპირკეთებაზე არ ზრუნავდნენ მრეწველები, რადგან ამისათვის მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდება იყო აუცილებელი, ამასთანავე ამ გზებით სარგებლობა უხდებოდათ უამრავ მეწარმეებს, რომლებიც ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებული გზების გასამართავადაც. ისინი მთავრობის წინაშე ამაოდ შუამდგომლობდნენ შიდა გზების გაკეთე-

[10] Сборник сведений о Кутаисской губернии, К., 1885, გვ. 13—14.

[11] იქვე, გვ. 14

ბაზე, ხოლო მთავრობა, პირიქით, მას მრეწველთა საქმედ მიიჩნევდა. ამ გზების გაუმჯობესებას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მრეწველობისათვის, მით უმეტეს, რომ მოუწყობელ, ნახევრად საცალფეხო გზებზე წვრილი — ნაშალი მადნის გაზიდვა არ ხერხდებოდა და ამიტომ მადნის დიდი ნაწილი იკარგებოდა. ეს გასაგები იყო ხაზინისათვისაც: როცა 1895 წელს მინისტრთა კომიტეტმა განიხილა მეწარმეთა შუამდგომლობა ჭიათურის სამრეწველო რაიონის შიდა გზების გაყვანისა და გაუმჯობესების საჭიროების შესახებ „ჟურნალში" შეტანილ იქნა მოსაზრება, რომ „ამ ღონისძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარგანეცის მრეწველობის განვითარებისათვის. რადგან დასახელებული ბილიკების გამტარუნარიანობის უკმარობით იზღუდება საბადოებიდან მადნის გაზიდვა და, გარდა ამისა, შეუძლებელი ხდება ნაშალი მადნის გასაღება, ხოლო ეს უკანასკნელი მთელი მოპოვებული მადნის ოდენობის ნახევარს შეადგენს და ის რჩება მოპოვების ადგილას გადაყრილ ფუჭ ქანებთან ერთად". ამასთან დაკავშირებით მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებაში ეკითხულობთ: სასაპალნე ბილიკების გაუმჯობესებისა და ახლის გაყვანის. ასევე საურმე გზების მოწყობის აუცილებლობა მთავრობამ სცნო ჯერ კიდევ 80-იანი წლების დამდეგს, მაგრამ მაშინ ამ გზებს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ მთავრობამ არ იკისრა მათი გაყვანა[12].

სამრეწველო რაიონის შიდა გზების მშენებლობა სოლიდურ კაპიტალდაბანდებას მოითხოვდა, ხოლო ხაზინის შემოსავალი ჭიათურიდან იმ დროს უმნიშვნელო იყო და ამიტომ ის საქმეს ხელს არ ჭკიდებდა.

ასეთ ვითარებაში მადნის გადაზიდვის სიძნელე და ხარჯების სიდიდე ზღაპრულად ადიდებდა მადნის თვითღირებულებას. ჭიათურის რკინიგზის ექსპლოატაციაში ოფიციალურად შესვლამდე (1892 — 1894 წლებში) ზესტაფონში გაზიდული ფუთი მადნის თვითღირებულება დაახლოებით ასე დგებოდა:[13]

სხვადასხვა ხარჯი	1 ფუთ მადანზე:
1. საბადოს საიჯარო გადასახადი	2 კაპიკი
2. მადნის მოპოვება	2
3. საბადოდან ჭიათურამდე მადნის გადაზიდვა	3
4. ჭიათურიდან ზესტაფონამდე მადნის გადაზიდვა	22
5. სხვადასხვა ხარჯები	2 „
	სულ 32 კაპიკი

[12] ЦГИАЛ, ф. 1263, б/оп. д. 5189, л. 208—210.

[13] თვითღირებულების დასადგენად ეისარგებლეთ: ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 5; ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 4914, 1891—1892 гг., л. 527 и об.; იხ. აგრეთვე ნ. ნიკოლაძე, ჭიათურის შავი ქვა, „კვალი" № 42, 1902, გვ. 679.

როგორც ვხედავთ, ზესტაფონში მიზიდული მადნის თვითღირებულების 78 — 79%-ს გადაზიდვის ხარჯები შეადგენდა. კიდევ უფრო დიდი, მანძილის შესაბამისი, იყო გადაზიდვის ხარჯების ხვედრითი წონა ულევის უშორესი გზით გატანილი მადნის თვითღირებულებაში. ამას ემატებოდა ამიერკავკასიის მაგისტრალური რკინიგზით ბათუმამდე და ფოთამდე, ასევე ამ ნავსადგურებიდან საზღვაო ტრანსპორტით უცხოეთში მადნის გადაზიდვის ფასები. ასე მაგალითად, ზესტაფონიდან ფოთამდე რკინიგზით ფუთი მადნის გადაზიდვა (ტარიფი) 1891 — 1892 წლებში ჯდებოდა 7 კაპიკი, ხოლო ზედნადები ხარჯები (მადნის ვაგონებში დატვირთვა-გადმოტვირთვა და სხვ.) შეადგენდა 2 კაპიკს[14]. ამდენად, ფოთში ფუთი მადნის თვითღირებულება 41 კაპიკს აღწევდა. ამას ემატებოდა ფოთიდან უცხოეთის ნავსადგურებში გეგმებით მადნის გადაზიდვის ხარჯები (ფრახტი). ასე მაგალითად, იმავე 1891—1892 წლებში ფოთიდან მარსელამდე, ამსტერდამამდე და ლივერპულამდე ფუთ მადანზე საშუალო ფრახტი შეადგენდა 12 კაპიკს, ხოლო ზედნადები ხარჯები 5 კაპიკს[15]. ამრიგად, უცხოეთის დასახელებულ ნავსადგურებში ჩვენებური მადნის თითოეული ფუთის თვითღირებულება 58 კაპიკს შეადგენდა; აქედან ჭიათურის საბადოებიდან უცხოეთის ნავსადგურებამდე მადნის გადაზიდვაზე მოდიოდა 53 კაპიკი ანუ 92%. იმავე პერიოდში ფუთი ჩვენებური მადნის ფასი უცხოეთის ბაზრებზე შეადგენდა 63 — 65 კაპიკს[16].

მადნის გადაზიდვის ხარჯების ესოდენი სიდიდე თავის გამოხატულებას პოულობდა მისი თვითღირებულების ძლიერ ზრდაში. რითაც აფერხებდა და ამუხრუჭებდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარებას, ასუსტებდა მის პოზიციებს მადნის საერთაშორისო ბაზრებზე. მით უფრო მწვავედ დგებოდა სამრეწველო რაიონის შიდა გზების და, რაც მთავარია, ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალთან სამრეწველო რაიონის რკინიგზით დაკავშირების საჭიროება და აუცილებლობა. ჭიათურის რკინიგზის მშენებლობისათვის ბრძოლა, როგორც ამას წინამდებარე ნაშრომის VI თავში დავინახავთ, 1882—1890 წლებში განუწყვეტლივ გრძელდებოდა, მაგრამ მკვდარი წერტილიდან არ იძვროდა. ბოლოს, 1891 წელს ეს საქმე ხაზინამ ითავა და ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობა მთლიანად დაამთავრა 1894 წლის 1 მაისისათვის[17].

---

[14] ЦГИАЛ, ф. 1263, по 2. д. 4914, 1891—1892 гг., 527 об.

[15] იქვე.

[16] იქვე.

[17] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5192, л. 256.

ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალთან საიმედო სატრანსპორტო საშუალებით დაკავშირებამ მკვიდრი ნიადაგი და ფართო ასპარეზი შეუქმნა მარგანეცის წარმოებას სწორედ მაშინ, როცა ქართულ მარგანეცს ესოდენ ესაჭიროებოდა საერთაშორისო ბაზარზე პოზიციების განმტკიცება, უკვე გაჩაღებულ საკონკურენციო ბრძოლაში გასამარჯვებლად. „რკინიგზის გაყვანამდე, -- სწორად აღნიშნავდა „კვალი“,— წარმოებას, რასაკვირველია, არ ექნებოდა ერთი გარკვეული კალაპოტი. დარ-ავდარს, ზამთარ-ზაფხულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ წარმოებისათვის. რკინის გზამ ჩამოაშორა წარმოებას ასეთი შეშთხვევითი ხასიათი და მისცა მას უფრო მკვიდრი და მუდმივი მიმდინარეობა. წინათ თუ ერთი ფუთი ქვის ჩატანა ჭიათურიდან ზესტაფონამდის... 25 კაპიკად ჯდებოდა საშუალო რიცხვით, დღეს ამას 11 კაპიკის მეტი (10 კაპ. რკინის გზის ტარიფი და 1 კაპ. სხვა ხარჯები) არ უნდა“[18].

ჭიათურის რკინიგზამ უფრო ინტენსიური ხასიათი მისცა მრეწველობის განვითარებას, გამოიწვია მადნის მოპოვებასა და მის გაზიდვა-გასაღებაში ჩაბმულ საქმოსანთა რიცხვის გაზრდა, „წარმოება, წინეთ „რჩეულთა ხვედრი“, ყველასათვის ხელმისაწვდომი შეიქმნა“[19].

სამრეწველო რაიონში რკინიგზის შესვლის შემდეგ წარმოება და აღებ-მიცემობა გაცხოველდა. მას მოაწყდა სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა სოციალური წარმოშობის თუ ხელობის საქმოსანთა ახალი, მძლავრი ნაკადი. სამრეწველო ცხოვრების მაჯისცემა გაძლიერდა, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, მრეწველობის დამხმარე საწარმოთა შესაქმნელად.

რკინიგზის შტო გახდა მრეწველობის მოცემული დარგის სასიცოცხლო არტერია, რომლითაც ის უშუალოდ დაუკავშირდა მადნის საექსპორტო ნავსადგურებს (ფოთსა და ბათუმს). მაგრამ რკინიგზის შტოს მნიშვნელობას ძლიერ ზღუდავდა მისი ტექნიკური აღჭურვის ნაკლოვანება, მოძრავი შემადგენლობის მოუწყობლობა, გამტარუნარიანობის უკმარობა და, რაც ყველაზე მტკივნეული იყო, ტარიფის უმაგალითო სიდიდე. „ეს ტარიფი რომ დიდი და უხეში იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ რკინის გზას კონკურენციას ურმები და ცხენები უწევენ, რაც კარიკატურას უფრო გვაგონებს, ვიდრე სინამდვილეს, თუმცა ეს ნამდვილი ფაქტი იყო ჭიათურის რაიონში“[20]. ამასთანავე რკინიგზა ხში-

---

[18] „კვალი“, 1897, № 11, გვ. 229.

[19] „კვალი“, 1900, № 16, გვ. 274.

[20] იხ. სოლ. წერეთელი, დასახ. ნარკვევი, გაზ. „საქართველო“, 1920, 25 იანვარი, № 18.

რად ვერ აუდიოდა გადაზიდვის მოთხოვნას, რის შედეგადაც ჭიათურაში იქმნებოდა გასაზიდი მადნის დიდი მარაგი. „ეს მარაგი, — როგორც სულ მუდამ ჩიოდნენ მეწარმენი, — მძიმე ტვირთად აწვევს მრეწველობას, რადგან მისი შენახვა დიდ ხარჯებთანაცაა დაკავშირებული"[21].

ზემოაღნიშნულის მიუხედავად ჭიათურის რკინიგზას შედარებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მადნის გადაზიდვის ფასისა და მისი თვითღირებულების შესამცირებლად. საკმარისია ითქვას, რომ რკინიგზის გაყვანის წინანდელ ხანასთან შედარებით, როცა მაგისტრალურ რკინიგზამდე მადნის გადაზიდვა მხოლოდ საურმე გზებით მიმდინარეობდა, ჭიათურის შტოს ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ შორაპნამდე ფუთი მადნის გადაზიდვის ადრინდელი ფასი იმთავითვე შემცირდა ჯერ სანახევროდ, ხოლო შემდეგ უფრო მეტად. ამის შესაბამისად მცირდებოდა ჩვენებური მარგანეცის თვითღირებულება, რითაც ხელი ეწყობოდა მისი საკონკურენციო ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას მადნის მსოფლიო ბაზრებზე. რკინიგზის ჭიათურის შტომ მთავრობის კოლონიური სატარიფო პოლიტიკის მიუხედავად, დადებითი გავლენა იქონია მარგანეცის მრეწველობის განვითარებაზე. მან მაინც ფრთები შეასხა ადრე სრულყოფილ სატრანსპორტო საშუალებას მოკლებულ ჭიათურის მრეწველობას, რომელმაც მალე შედარებით მძლავრი აღმავლობა განიცადა და მარგანეცის მადნის საერთაშორისო ბაზრებზე ჯეროვნად განიმტკიცა საკუთარი პოზიციები.

---

[21] ЦГИАЛ, ф. 37, оп 72, д. 138, л. 48 об.

თავი II

სამრეწველო აღმავლობა ჭიათურაში

(1895—1900 წწ.)

§ 1. უცხოური კაპიტალის შემოჭრისა და ადგილობრივ მრეწველთა გაერთიანებების ჩამოყალიბების ახალი ცდები

XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ძლიერ დაწინაურების განმსაზღვრელ შინაგან თუ საგარეო ეკონომიურ ფაქტორთა შორის საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მწყობრში ჩადგომას. ამიერიდან სამრეწველო რაიონი საიმედო სატრანსპორტო საშუალებით დაუკავშირდა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალურ ხაზს, საიდანაც ფოთზე, აგრეთვე ბათუმზე გავლით, ჩვენებური მადანი დიდი რაოდენობით გადიოდა მსოფლიო ბაზარზე, მცირე რაოდენობით კი შიდა რუსეთში; მართალია, მთავრობამ ამ გზაზე უაღრესად მაღალი ტარიფი დააწესა, რამაც შეზღუდა რკინიგზის შტოს მნიშვნელობა, მაგრამ რეგულარულმა სატრანსპორტო საშუალებამ შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნა მრეწველობის მოცემული დარგის წინსვლისათვის. რკინიგზის შტოს გაყვანამ დასაბამი მისცა ახალ ეტაპსა და მძლავრ აღმავლობას ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში. მადნის გადაზიდვის შედარებით ხელსაყრელი და საიმედო საშუალებით უზრუნველყოფილი სამრეწველო დარგი ვითარდებოდა კაპიტალდაბანდებათა თანდათანი ზრდისა და წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საფუძველზე. ამ პროცესს მოცემულ პერიოდში, მეტადრე 90-იანი წლების დამლევს, ერთგვარად აჩქარებდა უცხოური სამრეწველო კაპიტალის მონაწილეობა წარმოებაში, რაც აქ უფრო შესამჩნევი გახდა ჭიათურაში რკინიგზის შესვლის დროიდან, რადგან „მას უცხოური კაპიტალიც მოჰყვა"[1].

---

[1] ს. წერეთელი. მარგანეცი და მისი მრეწველობა საქართველოში, გაზ „საქართველო", 1920. 21 იანვარი, № 14.

ზემოთ დავინახეთ, რომ ადგილობრივ, აგრეთვე რუსულ კაპიტალთან ერთად, უცხოური კაპიტალი ჭიათურის მრეწველობაში ფეხის მოკიდებას ცდილობდა გასული საუკუნის 80-იან წლებშიც, როცა კაპიტალის ერთი დარგიდან მეორე დარგში, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასროლა ეპოქის დამახასიათებელ თავისებურებად იქცა; მაგრამ, იმ დროს საქართველოს მარგანეცის მრეწველობაში უცხოური, ისევე როგორც რუსული კაპიტალი, ვერ დამკვიდრდა „...უკანასკნელ ხანს, — წერდა ვ. ი. ლენინი 1895—1896 წლებში, — უცხოელ კაპიტალისტებს განსაკუთრებული ხალისით გადმოაქვთ თავიანთი კაპიტალები რუსეთში, აშენებენ რუსეთში თავიანთი ქარხნებისა და ფაბრიკების განყოფილებებს და აარსებენ კომპანიებს რუსეთში ახალ საწარმოთა შესაქმნელად. ისინი ხარბად ეტანებიან ახალგაზრდა ქვეყანას, სადაც მთავრობა ისე კეთილმოწყალე და მასიამოვნებელია კაპიტალისა, როგორც არსად, სადაც ისინი ნაკლებ გაერთიანებულ და წინააღმდეგობის გაწევის ნაკლებუნარიან მუშებს ხვდებიან, ვიდრე დასავლეთში, სადაც მუშათა საარსებო დონე და, მაშასადამე, მათი ხელფასიც გაცილებით უფრო დაბალია და სადაც ამიტომ უცხოელ კაპიტალისტებს შეუძლიათ უდიდესი, თავიანთ სამშობლოში გაუგონარი მოგება მიიღონ“[2].

კოლონიურ მდგომარეობაში ჩაყენებულ საქართველოში უცხოური სამრეწველო კაპიტალის შემოჭრა განსაკუთრებით ძლიერ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რამდენადმე მოგვიანებით მიმდინარეობდა, თუმცა ეს პროცესი 90-იან წლებშიც თვალსაჩინოა. უცხოური ფირმები: ფრანგული „დარკვეთი“, ინგლისური „გარდნერი“ და „კიტტელი და კომპანია“, გერმანული „შალკე“ და სხვ., უცხოელი კაპიტალისტები ბრალი, პანასიე, ემერიკი და სხვ., რომელთა უმრავლესობა ადრე უმთავრესად მადნის ექსპორტს ეწეოდა, თანდათან აფართოებენ თავის სამრეწველო საქმიანობას ჭიათურაში. ეს ფირმები და მრეწველები დიდ კაპიტალდაბანდებებს ეწეოდნენ მადნიანი ადგილების ხელში ჩასაგდებად და საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის მასშტაბის გასაფართოებლად. მათ შორის ფრანგულმა ფირმამ „დარკვეთმა“ ჭიათურაში 1 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალი დააბანდა და მიაღწია ყოველწლიურად 3 300 000 ფუთი გაუხვებულ-გამდიდრებული მადნის დამზადებას; ინგლისურმა ფირმამ „კიტტელმა და კომპანიამ“ 200 000 მანეთამდე დააბანდა და მარგანეცის წარმოებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა; გერმანულმა ფირმამ „შალკემ“ ასევე ფართო საწარმოო საქმიანობა წამოიწყო[3], გუსტავ ემე-

---

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 120.

[3] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, л. 48.

რიკმა იჯარით აიღო 9 საბადო ნაკვეთი პერევისაში, მღვიმევში, შუქრუთსა და ზედა რგანში, სადაც მან 1899 წელს მოიპოვა 132 448 ფუთი, ხოლო 1900 წელს — 2 550 000 ფუთი მადანი. მანვე 1898 წლიდან 1902 წლის დამდეგამდე ჭიათურიდან გაზიდა 9 200 000 ფუთი მადანი[4]. უცხოური კაპიტალის მოძალება წარმოებაში ადგილობრივი კაპიტალის როლის შესუსტებას იწვევდა, ხოლო მადნის გასაღების სფეროში ხომ თავიდანვე უცხოური ფირმები ბატონობდნენ.

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა, ბუნებრივია, უარყოფითად ეკიდებოდა ჭიათურის მრეწველობაში უცხოელთა გაბატონების ცდებს და ხმას იმაღლებდა წარმოებაში ადგილობრივ მრეწველთა ინტერესების დასაცავად. ამ მხრივ ნიშანდობლივია ერთი ქართველი ინტელიგენტის შეშფოთება მარგანეცის წარმოებაში შექმნილი ვითარების გამო. იგი წერდა: „სამწუხარო ისაა, რომ ამ ბუნების სიმდიდრეს ნაღებსა და კარაქს აცლიან უცხოელები, რკინიგზა და ფულიანები, მადნის პატრონებსა და მუშებს კი რჩებათ მხოლოდ უგემური წაქი"[5].

უცხოური კაპიტალის მოძალებას წარმოებაში, რაც 1895 წლიდან გაძლიერდა, ქართველი მრეწველები, საამისო საბრუნავი კაპიტალის სიმცირის გამო, დაქსაქსულად ვერ უმკლავდებოდნენ. ამიტომ მათ, უფრო ორგანიზებულად, ვიდრე ადრე, დაიწყეს „ამხანაგობებში "გაერთიანება, რითაც მიზნად ისახავდნენ სახსრებისა და შესაძლებლობის მობილიზაციასა და კონცენტრაციას მრეწველობაში გაბატონებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად, უცხოური კაპიტალის მოძალების მოსაგერიებლად.

1895 წელს ჭიათურაში დაარსდა ადგილობრივ მრეწველთა ერთ-ერთი ასეთი გაერთიანება — „კავკასიის მარგანეცის ამხანაგობა"[6].

მის შემადგენლობაში შევიდნენ 1894 წელს ჩამოყალიბებული „კავკასიის მარგანეცის სამრეწველო ამხანაგობის" ზოგიერთი წევრებიც. ეს გასაგებია, მით უფრო, რომ „კავკასიის მარგანეცის სამრეწველო ამხანაგობა", რომელიც თავის წევრთა მიერ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოპოვებული მადნის გასაღების საერთო ორგანიზაციით კმაყოფილდებოდა, არსებითად მხოლოდ სავაჭრო გაერთიანებას წარმოადგენდა, ხოლო „კავკასიის მარგანეცის ამხანაგობა" უფრო სააქციო საზოგადოების ფორმის სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება იყო. უკანასკნელი დაარსდა ექვსი წლით, ჭიათურის საბადოს „ექსპლოატაციისა და მოპოვებული მადნის გასაღებისათვის როგორც ქვეყნის

---

[4] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 68, д. 152, л. 45.

[5] კრებული აკაკისა, 1889, განყ. 1, № 10, გვ. 74.

[6] ელ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187; ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საბუთი, 51/61.

შიგნით, ისე უცხოეთში". ამხანაგობის უმაღლესი ორგანო იყო წევრთა საერთო კრება, რომელიც ყოველწლიურად ერთხელ იწვეოდა.

ამხანაგობის რეგულარული განმგებელი იყო კრების მიერ არჩეული კომიტეტი, შემდგარი ხუთი წევრისა და ორი კანდიდატისაგან, ხოლო კომიტეტის მუშაობას ამოწმებდა ასევე კრების მიერ არჩეული კონტროლიორი. ამხანაგობის პირველმა კრებამ კომიტეტში აირჩია: ს. აბდუშელიშვილი, პ. მოსეშვილი, ე. რატიანი, ნ. ბეჟანიშვილი და ი. ქადაგიძე, ხოლო კონტროლიორად პ. წულუკიძე.

ამხანაგობის ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი თავდაპირველად მხოლოდ 5 ათას მანეთს უდრიდა, რაც შედგა ამხანაგობაში გაერთიანებულ მრეწველთა საწევრო გადასახადებისაგან. ეს თანხა ამხანაგობის ერთობლივი სამრეწველო საქმიანობის დასაფინანსებლად იყო განკუთვნილი. მაგრამ, მისი სიმცირის გამო ამხანაგობამ თვითეულ წევრს უფლება დაუტოვა თავის საბადოში დამოუკიდებლადაც ეწარმოებინა მადნის მოპოვება. ამასთანავე ყოველ წევრს უფლება ჰქონდა და კიდეც ევალებოდა ამხანაგობის საერთო საწყობებში ჩაებარებინა ყოველწლიურად 30 000-დან 300 000-მდე ფუთი მადანი, ხოლო თუ ის ჩაბარების მინიმუმს არ შეასრულებდა, ასეთ შემთხვევაში დანაკლისს, მისსავე მაღაროში მოპოვებული მადნის ხარჯზე, ავსებდნენ ამხანაგობის სხვა წევრები. საწყობებში უხარისხო მადნის ჩაბარებისათვის ამხანაგობის წევრს ექვითებოდა მისი გაწმენდის ხარჯები. ამხანაგობის წევრი, რომელიც ხელშეკრულებას დაარღვევდა, შეიძლებოდა დაჯარიმებულიყო 1000 მანეთით.

ამრიგად, ჩანს, რომ ამხანაგობა უფრო სამრეწველო-სავაჭრო სააქციო საზოგადოების ტიპის გაერთიანების ცდაა. ამასთანავე ირკვევა, რომ საბრუნავი კაპიტალის სიმცირის გამო, მან ვერ შეძლო თავის წევრთა სამრეწველო საქმიანობის სრულად გაერთიანება და ამიტომ ისინი კოლექტიურადაც ეწეოდნენ მადნის მოპოვებას და ერთპიროვნულად, დაქსაქსულადაც განაგრძობდნენ თავთავის მაღაროებში მუშაობას და მოპოვებული მადნის გარკვეულ რაოდენობას გასასაღებლად ამხანაგობას აბარებდნენ.

ასეთი გაერთიანებით ადგილობრივი მრეწველები მიზნად ისახავდნენ, ერთი მხრივ, ჭიათურაში უცხოური სამრეწველო კაპიტალის მოძალებისა და შემოჭრის თავიდან აცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, მადნის უცხოელ შემსყიდველ-ექსპორტიორების მომგებიანი კომერციული საქმიანობის შეზღუდვას და ადგილობრივ ბაზარზე მათი ბატონობის ალაგმვას.

„კავკასიის მარგანეცის ამხანაგობა" წარმოადგენდა სააქციო საზო-

გადოებისმაგვარ სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებას, შემდგარს უმეტესად მხოლოდ ქართველ მრეწველთაგან.

იმდროინდელი რუსეთის მრეწველობის მრავალ დარგში მოქმედი ტიპიური სამრეწველო-სავაჭრო სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთ პირველ ცდას ჭიათურაში ადგილი ჰქონდა 1898 წელს. ეს იყო „ფოთი-ჭიათურის მარგანეცის — სამთოსამრეწველო და მეტალურგიული საზოგადოება", რომლის დამაარსებლები იყვნენ: ი. საეტი, ი. გასფელდი, გ. რაფალოვიჩი, ლ. პერელმანი, გალპერინი[7].

სააქციო საზოგადოების წესდებიდან ჩანს, რომ ის ფართო მიზნებს ისახავდა. საზოგადოება არსდებოდა ქუთაისელ ვაჭარ ი. საეტის მიერ შორაპნის მაზრაში იჯარით აღებულ საბადოთა, ასევე სხვა პირთა კუთვნილი მადნიანი ადგილების საექსპლოატაციოდ. მარგანეცისა და რკინის მადნის მოსაპოვებლად, მადნეულობის გადასამუშავებლად, რკინის, ფერომარგანეცისა და სარკული თუჯის საწარმოებლად. საზოგადოება მიზნად ისახავდა სამთო და მეტალურგიული ქარხნების მშენებლობას, მოპოვებული და გადამუშავებული ნედლეულითა და პროდუქციით ვაჭრობას იმპერიაში და საზღვარგარეთ[8].

ფინანსთა მინისტრმა ვიტემ 1899 წლის 19 მაისს დასახელებული სააქციო საზოგადოების დაარსების საკითხი წარადგინა მინისტრთა კომიტეტში განსახილველად და დასამტკიცებლად. მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასახელებული სააქციო საზოგადოების დაარსების თაობაზე ხელმწიფემ დაამტკიცა 1899 წლის 21 ივნისს, რის შემდეგაც სააქციო საზოგადოების დაარსებას დასტური მისცა მთავარმართებელმა სენატმა. ფინანსთა მინისტრმა მაშინვე აცნობა სააქციო საზოგადოების დამფუძნებელს მთავრობის მიერ მისი დამტკიცების შესახებ[9]. მაგრამ, ამ საზოგადოებამ ფართო საქმიანობა ვერ გაშალა და მისი წევრები ი. საეტი და ი. გასფელდი ერთპიროვნულად განაგრძობდნენ სამრეწველო საქმიანობას.

ასეთი იყო ჭიათურაში სხვადასხვა სოციალური თუ ეროვნული წარმოშობის მეწარმეთა გაერთიანების, სააქციო საზოგადოებათა დაარსების ენერგიული, თუმცა არც თუ ისე წარმატებული ცდები მრეწველობის განვითარების განსახილველ პერიოდში. როცა ადგილობრივი მრეწველები უცხოური კაპიტალის მოძალების მოგერიებას მეწარმეობის ერთპიროვნული ფორმიდან კოლექტიურ ფორმაზე გადასვლით ესწრაფვოდნენ.

---

[7] ЦГИАЛ. ф. 20, оп. 4. д. 4184. 1898—1902 гг., Л. 40.

[8] ЦГИАЛ. ф. 20, оп. 4. д. 4184. л. 43—64.

[9] იქვე. ფურც. 64.

§ 2. მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია. პირველი ნაბიჯები მეწარმეთა გაერთიანების — „სინდიკატის" ჩამოსაყალიბებლად

ჭიათურის რკინიგზის გაყვანის შემდეგ სამრეწველო რაიონში ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა და ურთიერთბრძოლა თანდათან მწვავდებოდა. მარგანეცის მრეწველობაში ჩაბმულმა ეროვნულმა ბურჟუაზიამ უცხოური კაპიტალის მოძალების მოსაგერიებლად და საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად გაერთიანება და თავისი წარმომადგენლობითი ორგანიზაციის დაარსება გადაწყვიტა. 1896 წლის 15 აპრილს, მთავრობის ნებართვით, ქ. ქუთაისში შედგა „შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა პირველი (დამფუძნებელი) ყრილობა", რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის დაარსებას. მისი დაარსება და ხანგრძლივი საქმიანობა განხილული გვაქვს ქვემოთ (VII თავში). ქართველ მრეწველთა წარმომადგენლობით ორგანიზაციაში შეივიდნენ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობასთან დაკავშირებული ზოგიერთი უცხოური სავაჭრო და სამრეწველო ფირმებიც, რომელთა მიზანს დაარსებული ორგანიზაციის დაქვემდებარება შეადგენდა. მრეწველთა ყრილობა თავიდანვე ცდილობდა ადგილობრივ მეწარმეთათვის კრედიტის შოვნას, დაქსაქსულად მოქმედ ადგილობრივ მრეწველთა მტკიცე და ძლიერი სამრეწველო და სავაჭრო გაერთიანების შექმნას, მათ მიერ მოპოვებული მადნის მსოფლიო ბაზრებზე უშუალოდ, უცხოური სავაჭრო კომპანიების უმეშვეოდ, გატანის ორგანიზებას; თუმცა, თავიდანვე აშკარა გახდა, რომ ყრილობას არ ძალუძდა საბრუნავი კაპიტალის სიმცირით ან კიდევ უქონლობით შეევიწროებულ ადგილობრივ მეწარმეთათვის საიმედო მხარდაჭერა, მათი დაკრედიტება, ყრილობისა და ხაზინისაგან კრედიტით ქმედით დახმარებას მოკლებული ადგილობრივი, განსაკუთრებით წვრილი, აგრეთვე საშუალო მრეწველები კრედიტის მისაღებად კვლავაც ჭიათურის მრეწველობასთან დაკავშირებულ უცხოურ სავაჭრო-საექსპორტო ფირმებს მიმართავდნენ. ეს ფირმები მარგანეცის მადნის ადგილობრივ ბაზარზე თითქმის მონოპოლიურად ბატონობდნენ და სესხს თავისათვის მომგებიან პირობებში უხვად იძლეოდნენ. სესხებით დაკაბალებული ადგილობრივი მრეწველები დამკრედიტებელი უცხოური ფირმების ტყვეობაში ექცეოდნენ და იძულებული ხდებოდნენ მათთვის მეტისმეტად შეღავათიან ფასებში ჩაებარებინათ მადანი.

მეწარმეთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციის წინაშე წამოიჭრა უცხოელი კრედიტორების ტყვეობიდან გამოსვლისა და მად-

ნის უცხოელ შემსყიდველთა და ექსპორტიორთა შუამავლებისაგან ხსნის პრობლემა, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო თუკი ადგილობრივი მრეწველები „საიმედო“ კრედიტორს იპოვნიდნენ და საკუთარი ნაწარმით მსოფლიო ბაზარზეც უშუალოდ გავიდოდნენ და დამკვიდრდებოდნენ. ამ პრობლემის გადაწყვეტის და, მაშასადამე, თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობას მრეწველთა დიდი უმრავლესობა, ისევე როგორც მათი ყრილობა, კვლავ საკუთარ ძალთა და შესაძლებლობათა გაერთიანებაში და ერთ ან რამდენიმე ძლიერ უცხოურ ფირმასთან შედარებით მისაღები პირობებით შეკავშირებაში ხედავდა. მთავრობის ორგანოები, მათ შორის, ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ჭიათურის მრეწველობის წინსვლით მხოლოდ იმდენად იყო დაინტერესებული, რამდენადაც ის სახაზინო რკინიგზაზე ტვირთზიდვის ზრდას იწვევდა, მრეწველობის მოცემული დარგის პერსპექტივების დასახვისას მიუთითებდნენ „ყველა მრეწველის სინდიკატის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე“. გაერთიანებას უნდა აღმოეფხვრა ადგილობრივი კონკურენცია, უზრუნველეყო მადნის ბაზარზე მტკიცე ფასების დაწესება[1]. მრეწველთა ყრილობამ სცადა ერთპიროვნულად, დაქსაქსულად მოქმედ მეწარმეთა გაერთიანება.

ასე ჩაისახა „კავკასიის მარგანეცის მრეწველთა სინდიკატის“ დაარსების იდეა, რომლის თანახმად მრეწველები უნდა გაერთიანებულიყვნენ მადანზე მონოპოლიური ფასის დასაწესებლად, აგრეთვე რკინიგზის ტარიფის შესამცირებლად. ეს იდეა წამოაყენა მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარემ გ. ზდანოვიჩმა და საკითხი 1897 წლის მაისში განიხილა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის II საგანგებო ყრილობამ, რომელმაც სინდიკატის წესდების შესამუშავებლად გამოჰყო კომისია (გ. ზდანოვიჩის თავმჯდომარეობით).

მარგანეცის მრეწველთა ამავე ყრილობამ, რომელმაც სინდიკატის დაარსების საკითხი წამოჭრა, მოითხოვა რკინიგზის ჭიათურის შტოზე ტარიფის შემცირება მხოლოდ სინდიკატის ტვირთისათვის. ამ მიზნით შედგენილ იქნა მრეწველთა ყრილობის საბჭოს შუამდგომლობა, რომელიც მოითხოვდა სინდიკატის ტვირთზე ტარიფის შემცირებას 3 კაპიკამდე და სხვა ტვირთზე ძველი ტარიფის დატოვებას. შუამდგომლობაში ამასთანავე ნათქვამია: „კარგი იქნება თუკი სამინისტრო ჭიათურის რკინიგზას გადასცემს სინდიკატს პირობითი იჯარით ან თვითონ აირჩევს რაიმე სხვა ფორმას სინდიკატის ტვირთზე ტარიფის შესამცირებლად“. შუამდგომლობის არსი ის არის, რომ ყრილობა მოითხოვს სინდიკატისათვის გარკვეული პრივილეგიის მინიჭებას. ყრილო-

[1] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, Л. 40.

ბის შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ ის სინდიკატისათვის ამ პრივილეგიას მოითხოვს მხოლოდ „მარგანეცის მრეწველობის ინტერესებისათვის"[2]

II ყრილობის მიერ შედგენილმა კომისიამ შეიმუშავა მომავალი სინდიკატის წესდების პროექტი[3], რომლის თანახმად სინდიკატში შესვლა შეეძლო ყველა მრეწველს ან მრეწველთა ჯგუფს, რომელიც ეწეოდა მარგანეცის მადნის მოპოვებას საკუთარ ან იჯარით აღებულ საბადოში (§ 2). სინდიკატიდან გაირიცხებოდა ყველა პირი, რომლებიც არ ფლობდნენ საკუთარ ან იჯარით აღებულ საბადოებს და მისდევდნენ მხოლოდ ვაჭრობას — მადნის შესყიდვა-გაყიდვას. სინდიკატში შესასვლელად მრეწველს რკინიგზის ბაქანზე თავდაპირველად უნდა ჰქონოდა 500 ათასი ფუთი მადანი, ხოლო შემდეგ ყოველწლიურად ბაქანზე უნდა ჩაებარებინა არა ნაკლებ 200 ათასი ფუთი მადნისა. წესდებით მადნის ყიდვა-გაყიდვა მარტო სინდიკატის წევრებს შორის დაიშვებოდა და ისიც მხოლოდ მადნის იმ ნაწილისა, რომელშიც ბეი აიღო სინდიკატის გამგეობამ და გათვალისწინებულია გასაზიდად (§ 3). სინდიკატის წევრებს ეკრძალებოდა თავისი ან სხვისი კუთვნილი მადნის კერძოდ გაყიდვა და ბეის აღება, ასევე გაყიდვის შესახებ გამგეობის უნებართვოდ განცხადების გაკეთება (§ 8). გამგეობა სინდიკატის სახელით ახორციელებდა ყველა ურთიერთობას მომხმარებელთან და აფორმებდა შეთანხმებებს.

სინდიკატის განკარგულებაში არსებული მადნის წლიური მარაგის წინასწარ გაყიდვისას გამგეობის მიერ მიღებული თანხა (ბეი) ნაწილდებოდა სინდიკატის წევრებს შორის.

სინდიკატის ყველა წევრის მიერ მოპოვებულ მადანზე წესდებოდა ერთიანი და ერთნაირი ფასები, რისთვისაც გამგეობა, ერთი მხრივ, ადგენდა წლის მანძილზე ჩაბარებული მადნის საერთო ფასს მისი მეტალური შემცველობის გათვალისწინებით, ხოლო, მეორე მხრივ, ანგარიშს ასწორებდა თავის წევრებთან არა მხოლოდ ჩაბარებული მადნის წონის მიხედვით, არამედ მასში მეტალის პროცენტული შემადგენლობის გათვალისწინებით.

პირველ წელს გამგეობას, საჭირო ოპერაციებისათვის, ბარდებოდა წევრთა მიერ ჩაბარებული მადნის 10%.

სინდიკატის გამგეობა უფლებამოსილი იყო შესაფერისი ხელშეკრულებები დაედო სხვა ქვეყნების მარგანეცის მრეწველებთან მადანზე საერთაშორისო ფასების დასაწესებლად[4].

---

[2] «Новое обозрение», 1897. 5 декабря, № 4786; Отчет о деятельности Совета, избранного на II съезде марганцепромышленников, გვ. 133.

[3] სსსა, ფონ. 417, ანაწ. 1, საქ. 361, ფურც. 200—210.

[4] სსსა, ფონ. 417, ან. 1, საქ. 361, ფურც. 201.

სინდიკატი, როგორც ეს გარკვევით ჩანს წესდების პროექტიდან, აერთიანებდა მხოლოდ მრეწველებსა და მრეწველთა ჯგუფებს.

სინდიკატის წევრს ეკრძალებოდა ერთპიროვნულად, მის მუდმივ-მოქმედ ორგანოს — „გამგეობის“ — უნებართვოდ მადნის გასაღება. სინდიკატს ევალებოდა თავის წევრთა მიერ ჩაბარებულ მადანზე ერთიანი, ფაქტიურად მონოპოლიური, ფასის დაწესება და მისი გასაღების ცენტრალიზაცია და ორგანიზაცია.

სინდიკატი არ ერეოდა თავის წევრთა საწარმოო საქმიანობაში. ამდენად ის წარმოადგენდა სავაჭრო გაერთიანებას, რომელსაც მონოპოლიური მდგომარეობა უნდა მოეპოვებინა მადნის ადგილობრივ ბაზარზე და ასევე, თუკი ეს შესაძლებელი იქნებოდა, მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო ბაზრებზე მარგანეცის მადნის ფასის რეგულირებაშიც.

1897 წლის 3 ნოემბერს მრეწველთა ყრილობის საბჭომ სინდიკატის წესდების პროექტი და სინდიკატის ტვირთზე ტარიფის შემცირების შუამდგომლობა წარუდგინა ფინანსთა სამინისტროს, რომელმაც შუამდგომლობა განიხილა, ხოლო სინდიკატის წესდების პროექტი უყურადღებოდ დატოვა.

მარგანეცის მრეწველთა სინდიკატის დაარსების პირველი ცდა ამჯერად უშედეგოდ დამთავრდა. მრეწველთა ყრილობის საბჭო სინდიკატის ჩამოყალიბების ცდას შემდეგშიც განაგრძობდა. ეს გასაგებია, რადგან მოცემულ პერიოდში, როცა რუსეთში ობიექტური პირობები შეიქმნა „თავისუფალი კაპიტალიზმის“ მონოპოლისტურ კაპიტალიზმში გადაზრდისათვის, კოლონიურ მდგომარეობაში ჩაყენებული საქართველოს მრეწველობის მოცემულ დარგშიც შეინიშნებოდა მეტროპოლიაში მიმდინარე ღრმა ეკონომიური ძვრებისა და საერთაშორისო ეკონომიკის კონიუნქტურის გავლენა: ჩვენშიც შეიქმნა პირობები მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანებათა, სააქციო საზოგადოებათა და, კერძოდ, სინდიკატის ტიპის გაერთიანებათა ჩამოსაყალიბებლად. საქართველოს დამმუშავებელი და მოპოვებითი მრეწველობის წამყვან დარგებში სააქციო საზოგადოებანი უკვე შედარებით მრავლად არსებობდნენ. რუსეთისა და საქართველოს მრეწველობის 90-იანი წლების აღმავლობის ამ ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანთვისებას კარგად ამჩნევდნენ ეპოქის თანამედროვენი, როცა აღნიშნავდნენ:

„სინდიკატების საკითხი, როგორც ცნობილია, აინტერესებთ არა მარტო მარგანეცის მრეწველებს, არამედ სამამულო მრეწველობის სხვა დარგების წარმომადგენლებსაც“[5].

---

[5] «Новое обозрение», 1897, 20 декабря, № 4800.

§ 8. სამრეწველო ბურჟუაზიის რიგების ახალი შევსება. მრეწველთა კატეგორიები და მათ თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებანი

მარგანეცის მრეწველობის აღმავლობა 1895—1900 წლებში მეწარმეთა რიცხვის თანდათანი ზრდითაც ხასიათდება. ამ პროცესს ძლიერი ბიძგი მისცა ჭიათურის რკინიგზის ექსპლოატაციაში შესვლამაც. ადრე, — წერდა 1900 წელს „კვალის“ ჭიათურელი კორესპონდენტი გ. ბერიძე, — „როდესაც ჩვენი მამაპაპური ურმები ჭიათურის რკინიგზის მაგივრობას ეწეოდა, შავი ქვის წარმოების დასაწყებად დიდძალი ფული იყო საჭირო, როგორც ადგილობრივ, ჭიათურაში ქვის საყიდლად, ისე ზესტაფონს ჩატანილ ქვის დასახსნელად. უფულოდ მაშინ ძნელად თუ რაიმე საქმეს გააკეთებდით, ნდობით და ნისიობით კი შორ მანძილს ვერ გაივლიდით. ამიტომ, მაშინ შავი ქვის მწარმოებელნი, რაოდენობრივად, ბევრად ცოტანი იყვნენ, ვინემ დღეს არიან. ჭიათურის რკინიგზის გაკეთებასთან ერთად არსებულმა გარემოებამაც იცვალა ფერი. უწინ ქვის დამზადება და მისი ზესტაფონში ურმებით გადატანა ბევრ ხარჯსა და შრომას ითხოვდა. რკინიგზამ... გააადვილა ქვის დამზადება-ჩამოტანა. წარმოება ...ყველასათვის ხელმისაწვდომი შეიქნა. ამისათვის დიდმა და პატარამ, ჩინიანმა და უჩინომ, ვაჭარმა და ხელოსანმა, ყველამ შავი ქვის წარმოება დაიწყო. ამრიგად, — დაასკვნის გ. ბერიძე, — ჭიათურელი მეწვრილმანე გინდა, თუ ხაბაზი, გაბმულია ობობას ქსელივით „საქმეში“ ...ამ რჯულის შავი ქვის მწარმოებელნი გამრავლდნენ უფრო მეტად ბოლო ხანებში, მას აქეთ, რაც ყვირილის ხეობაში იწყო ქშენა-წივილი ორთქლმავალმა“[1].

სხვადასხვა წარმოშობის წყაროები გვიდასტურებენ, რომ განსახილველ ხანაში „მწარმოებელთა რიცხვის გამრავლება“ ტენდენციად იქცა, თუმცა, მეტწილად კვლავ ნაკლებად შეძლებულ მეწარმეთა მომრავლების ხარჯზე. ეს იმითაც აიხსნება, რომ „წინეთ ცოტა ფულის პატრონს არ შეეძლო ზესტაფონის საწყობზე თავისი ხარჯით ქვის დაყრა და შემდეგ გაყიდვა; ჭიათურაში კი ეს შესაძლებელი გახდა. ვინ გინდათ, რომ ჭიათურაში თავისი საკუთარი საწყობი არ ჰქონდეს გამართული“[2]. ადრე, ურკინიგზობისას, წვრილი მრეწველი თავისი ნაწარმით ჭიათურას ვერ სცილდებოდა: რკინიგზის მთავარ მაგისტრალამდე მადნის გაზიდვა მას არ ძალუძდა, ხოლო ადგილზე გასაღება ძნელი და ნაკლებად მომგებიანიც იყო. რკინიგზის შტოს მწყობრში ჩადგომამ მოხსნა ეს სიძნელე და მრეწველს მადნის გასაღება უკვე შეეძლო ჭიათურაში, სადაც რკინიგზას თან შეჰყვა მადნის მყიდველ-

---

[1] „კვალი“, 1900, №16, გვ. 274.

[2] „კვალი“, 1897, № 11, გვ. 229.

გადამყიდველები და უცხოელი შემსყიდველ-ექსპორტიორები. ამ გარემოებამ სტიმული მისცა წვრილ მეწარმეებს საქმიანობის გასაშლელად. ოკრუგის სამთო ინჟინერი ა. ცეიტლინი 1900 წელს აღნიშნავდა: „ჭიათურაში მუშაობას უდგებიან ყველა, როგორც შეძლების მქონენი, ისე ყოველგვარ შეძლებას მოკლებულნი“[3]. ნ. ნიკოლაძის მოწმობით, „თითქმის მთელ მოსახლეობას სურდა, რომ ყოფილიყო მარგანეცის მომპოვებელი“[4]. სამრეწველო რაიონში ვაჭრობასა და აღებ-მიცემობაში მრავალნაირად ჩაბმული გასფელდი მრეწველთა III ყრილობაზე (1900 წ.) წაკითხულ მოხსენებაში იუწყებოდა, რომ „საბადო მიწის მცირედი ნაკვეთის ყოველი მფლობელი თვითონ ოჯახით მუშაობს მადნის მოპოვებაზე და ნაწარმოებს საკუთარი ცხენით ეზიდება რკინიგზის ბაქნებამდე, სადაც ეძებს მის მყიდველს“[5]. კიტა აბაშიძე ასევე შენიშნავდა: „ჩვენთან მეწარმეთა უმრავლესობა წვრილი მრეწველებია, რომლებიც წარმოადგენენ უმაღლესი ტიპის მუშებს“[6]. მრეწველთა III ყრილობაზე გამოსულმა თითქმის ყველა მეწარმემ აღნიშნა წვრილ მწარმოებელთა სიჭარბე მარგანეცის მრეწველობაში. ამ კატეგორიის საწარმოები, ყრილობის წევრთა შეფასებით, „უფრო კუსტარულ ხასიათს ატარებენ, ვიდრე კაპიტალისტურს“[7]. ჩვენ ვერ გავიზიარებთ წვრილ საწარმოთა რიცხობრივი სიჭარბისა და მათი ხასიათის ზემომოტანილ შეფასებას, ამავე დროს დასტურდება, რომ რკინიგზის ჭიათურის შტოს გაყვანის შემდეგ საბადოთა ათვისებას შეუდგა მრავალი წვრილი მრეწველი, მათ შორის საბადოთა მფლობელი გლეხები, რომლებიც ოჯახის წევრებთან, აგრეთვე დაქირავებულ მუშებთან ერთად მუშაობდნენ მაღაროებში. წყაროები მეტყველებენ, რომ გასული საუკუნის დამლევს მარგანეცის მრეწველთა რიგები ახალი ნაკადით შეივსო.

სამრეწველო სტატისტიკის მანკიერების გამო შეუძლებელი ხდება მოცემულ ხანაში მეწარმეთა რიცხვის ყოველწლიური ზრდის ზუსტად დადგენა, რადგან მეწარმეთა სიები, როგორც ირკვევა, ყოველწლიურად არ დგებოდა, რის გამო გაუთვალისწინებელი რჩებოდა ამა თუ იმ წელს წარმოებაში მოსული ან წასული მეწარმეები. განსახილველ პერიოდში, ჩვენს ხელთ არსებული საბუთების მოწმობით, მარტო 1899 წელს შედგა ეს სიები, ხოლო დანარჩენი წლების შესაფერისი მონა-

---

[3] Труды III съезда марганцепромышленников, К:, 1901, გვ. 38.

[4] Н. Николадзе, Кавказское марганцевое самоуправление, СПБ, 1910, გვ. 18.

[5] Труды III съезда... გვ. 124.

[6] Труды VI съезда марганцепромышленников... К., 1904, გვ. 39—40.

[7] Труды III съезда марганцепромышленников... К., 1901, გვ. 19—20.

ცემების წარმოსადგენად მხოლოდ ზოგადი სტატისტიკური ცნობები არსებობს, რასაც საკითხის ყველა მკვლევარი უკრიტიკოდ იყენებს. ზემოთ ვნახეთ, რომ 1894 წელს მარგანეცის მრეწველთა სიაში ირიცხებოდა 239 მრეწველი (თუმცა ზოგიერთი მეწარმე, რომელიც რამდენიმე ადგილას ეწეოდა მადნის მოპოვებას, რამდენჯერმეა მოხსენებული)[8], სტატისტიკის ზოგადი ცნობით 1895 წელს მარგანეცის მრეწველთა რიცხვია მხოლოდ 78, 1896 წელს — 291, 1897 წელს — 380—400, 1898 წელს — 177—182[9]. 1899 წელს მარგანეცის მრეწველთა ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სია შედგა. მათ შორის ერთში (რაც სტატისტიკურ კრებულშია გამოქვეყნებული) 291 მეწარმე ირიცხება[10], ხოლო მეორეში (რომელიც ნ. ნიკოლაძის არქივშია დაცული) — 313[11]. სინამდვილეში სწორია პირველი ცნობა. 1900 წელს კი სტატისტიკური კრებულის ზოგადი ჩვენებით მარგანეცის მრეწველთა რიცხვია 377[12]. თუ ამ მონაცემებს მთლიანობაში განვიხილავთ და, ჰიათურის რკინიგზის გაყვანის შედეგად, მარგანეცის მრეწველთა რიცხობრივი ზრდის დამადასტურებელ, ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ მოსაზრებებსაც გავითვალისწინებთ, თვალ'ში გვეცემა მეწარმეთა რიცხვის აშკარა სიმცირე 1895 წელს როგორც წინა (1894), ისე მომდევნო (1896) წელთან შედარებით (1894 წ. — 291, მომდევნო 1895 წ. — 78, ხოლო 1966 წ. — 291). ანგარიშს ვუწევთ იმასაც, რომ 1894, აგრეთვე 1896 წელთნ შედარებით, 1895 წელს მადნის მოპოვების მასშტაბი საგრძნობლად შემცირდა; ამის მიუხედავად, ყველა ჩვენს ხელთ არსებული მონაცემისა და მარგანეცის მრეწველობის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებას იმ ვარაუდამდე მივყავართ, რომ 1895 წელს მრეწველთა რიცხვი მხოლოდ 78 არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს ერთგვარ დამაჯერებლობას მატებს ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ 1895 წელს, სამთო ოკრუგის ინჟინრის განკარგულებით,

---

[8] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 12—26.

[9] იხ. Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 26; ЦГИАМ, ф. 1157, оп. 1, д. 53, л. 19—20; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 1.

[10] «Список лиц, занимавшихся добычей марганцевой руды в 1899 году» (იხ. Труды III съезда марганцепромышленников... К., 1901, Приложение II; ასევე. Статистика марганцевого дела, К., 1900; (Приложение № 2, გვ. 1—12).

[11] «Общий список лицам, занимавшимся добычей... марганцевых руд в 1899 году" (იხ. სსრ საჯარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, საბუთი 51/93.

[12] იხ. Статистика марганцевого дела, К., 1907, стр. 21; ЦГИАЛ ф. 37, оп. 67, д. 954, л. 1. ზოგიერთი წყაროს მოწმობით 1900 წელს ჰიათურაში 400 მრეწველია, რაც ჩვენი დაკვირვებით, სტატისტიკის მიერ ზუსტი მონაცემის დამრგვალების შედეგია.

საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის უფლებას კარგავდა „ყველა მრეწველი, რომლებიც არ წარმოადგენენ სამთო სამმართველოს მიერ მოცემულ ნებართვას“[13]. ადვილი შესაძლებელია, რომ 1895 წელს მეწარმეებად მხოლოდ ისინი ჩაეთვალათ, ვისაც საამისო ნებართვა გააჩნდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მარგანეცის საქმის სტატისტიკაში“ უხეში შეცდომები და „Вранные данные“[14], ისედაც მრავლადაა. ამ შენიშვნის გაკეთების შემდეგ ჩვენ თავს ნებას მივცემთ შედარებისათვის მაინც გამოვიყენოთ 1895 წლის შესახები ზემოთ მოტანილი სათუო მონაცემები.

შესასწავლი ხანის ზოგიერთი წლის უტყუარი მონაცემები გვიდასტურებენ ჭიათურაში მარგანეცის ადგილობრივ მრეწველთა, მათ ამხანაგობათა და უცხოურ ფირმათა რიცხვის გაზრდას.

მრეწველთა რიცხვის ზრდისა და წარმოებაში სხვადასხვა კატეგორიის მეწარმეთა ხვედრითი წონის საილუსტრაციო ზოგად სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებისას უნდა გავიხსენოთ, რომ რევოლუციამდელი სტატისტიკა, ასევე საკითხის მთელი ამჟამინდელი სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა, მარგანეცის მრეწველებს, მარტოდმარტო მათ მიერ მოპოვებული მადნის ოდენობის გათვალისწინებით, სამ კატეგორიად (წვრილ, საშუალო და მსხვილ მრეწველებად) ყოფს. მოცემული ნიშნის მიხედვით სამივე კატეგორიის მრეწველთა და მათ მიერ დაქირავებულ სამთო მუშათა რიცხვის, ასევე თითოეული კატეგორიის მრეწველთა მიერ მოპოვებული მადნის აბსოლუტური და შეფარდებითი ოდენობის თანაფარდობა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში დაახლოებით ასეთია (იხ. ცხრილი 1, გვ. 149).

ცხრილის მონაცემები მოწმობენ, რომ განსახილველ პერიოდში წვრილ მეწარმეთა აბსოლუტური რიცხვი იზრდება, ხოლო მათი შეფარდებითი რაოდენობა მრეწველთა საერთო მასაში კლებულობს. წვრილ მეწარმეთა მიერ დაქირავებულ სამთო მუშათა რიცხვი შედარებით უმნიშვნელოა და მათი შეფარდებითი რაოდენობა კლებულობს. წვრილ მეწარმეთა ხვედრი მადნის საერთო მოპოვებაში ასევე უმნიშვნელოა.

საშუალო მრეწველთა აბსოლუტური რაოდენობა თვალსაჩინოდ იზრდება, შეფარდებითი კი ნაკლებად. იზრდება მოცემული კატეგორიის მეწარმეთა მიერ დასაქმებულ მუშათა აბსოლუტური და შეფარდებითი რაოდენობა. საშუალო მრეწველებზე მოდის მადნის საერთო მოპოვების 47—53%.

---

[13] ЦГИАМ, ф. 1157, оп. 1, д. 53, л. 21.

[14] Н. Николадзе, Кавказское марганцевое самоуправление, СПБ, 1910, 23. 15.

მრეწველობა კატეგორიები	წ ლ ე ბ ი																	
	1895						1899						1900					
	მრეწველთა და ფირმათა რიცხვი		დაქირავებულ სამთო მუშათა რიცხვი		მოპოვებული მადნის რაოდენობა		მრეწველთა და ფირმათა რიცხვი		დაქირავებულ სამთო მუშათა რიცხვი		მოპოვებული მადნის რაოდენობა		მრეწველთა და ფირმათა რიცხვი		დაქირავებულ სამთო მუშათა რიცხვი		მოპოვებული მადნის რაოდენობა	
	აბსოლუტური	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური (ათას ფუთობით)	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური (ათას ფუთობით)	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური (ათას ფუთობით)	შეფარდებითი %-ში
I	61	78,21	536	19,8	1430,3	20,14	189	64,94	686	21	7866,012	23,10	248	65,6	640	17,3	6997,7	17,34
II	15	19,23	1268	47,9	3407,0	47,9	92	31,62	1704	52	17349,494	50,95	118	31,3	1981	53,5	21578,94	53,46
III	2	2,56	883	32,3	2371,3	32,96	10	3,44	902	27	8836,494	25,95	11	3,1	1081	29,2	11786,4	29,20
სულ	78	100	2687	100	72086	100	291	100	3292	100	34,052	100	377	100	3702	100	40363,5	100

[18] ცხრილის შედგენისას გავითვალისწინეთ: ფ. მახარაძე, თხზ., ტ. II, ტფ., 1925, გვ. 55—56; В. А. Тухолка, железные и марганцевые руды (см. Богатства СССР. Под ред. А. Ф. Арского, М. —Л, 1925); ს. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, 1941, გვ. 265; ნ. ტყემელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, 1958, გვ. 22; ვლ. ჭანიშვილი, მანგანუმის მრეწველობა საქართველოში... 1960, გვ. 177; წყაროები: Статистика марганцевого дела, К. 1902, გვ. 26; Статистика марганцевого дела. К. 1907. გვ. 21; Обзор Кутаисской губернии за 1896 год. К 1897, Обзор Кутаисской губернии за 1898 г. К. 1899; Кавказский календарь на 1901 год, Тиф. 1900; Труды III съезда марганцепромышленников, К. 1901; ЦГИАМ, ф. 1157, оп. 1. д. 53. л. 21; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67. д. 954, л. 1, 12—26.

როგორც ვხედავთ, საშუალო მრეწველებმა მოცემულ პერიოდში თავიდანვე თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრეს და ის წარმატებით შეინარჩუნეს.

სტატისტიკამ 1895 წელს ჭიათურაში მხოლოდ ორი მსხვილი მრეწველი აღრიცხა, მაშინ როცა მათი რიცხვი წინა (1894) წელს დაახლოებით 17 მაინც იყო. სტატისტიკა მსხვილ მრეწველთა კატეგორიაში მხოლოდ საქვეყნოდ ცნობილ ფირმებს აქცევდა. 1899 წელს სტატისტიკური ბიუროს ცნობით 10 მსხვილი მრეწველია, ხოლო 1900 წელს— 11. რკინიგზის ჭიათურის შტოს გაყვანის შემდეგ აქ მოვიდნენ მძლავრი უცხოური ფირმებიც (ფრანგული — „დარკვეთი", ინგლისური — „კიტტელი და კომპანია", გერმანული — „შალკე" და სხვ). მსხვილ მრეწველთა აბსოლუტური და შეფარდებითი რაოდენობა მრეწველთა საერთო მასაში მაინც მცირეა; ამასთანავე შედარებით დიდია მათი ხვედრითი წონა მრეწველობაში. სტატისტიკის მონაცემების თანახმად მსხვილ მრეწველებზე მოდიოდა სამრეწველო რაიონის სამთო მუშათა საერთო რიცხვისა და მადნის საერთო მოპოვების მესამედი, ან თითქმის მესამედი.

თუ რაოდენ უმნიშვნელო იყო წვრილ მეწარმეთა მონაწილეობა მადნის მოპოვებაში, საშუალო და მსხვილ მეწარმეებთან შედარებით, ამას უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს სხვადასხვა შესაძლებლობის მრეწველთა მიერ მოპოვებული მადნის აბსოლუტური რაოდენობის უფრო დეტალური ურთიერთშედარება, რაც 1899 წელს ასეთ სურათს წარმოგვიდგენს:

ცხრილი 2

მადნის მოპოვების ოდენობა (ფუთობით)	მრეწველთა რიცხვი	მოპოვებული იქნა სულ (ფუთობით)
900—დან— 1 000—მდე	1	900
1 000 „ — 10 000 „	29	148 225
10 000 „ — 20 000 „	24	327 070
20 000 „ — 30 000 „	21	501 508
30 000 „ — 40 000 „	24	795 070
40 000 „ — 50 000 „	14	605 650
50 000 „ — 60 000 „	12	668 478
60 000 „ — 70 000 „	22	1 121 918
70 000 „ — 80 000 „	14	1 039 900
80 000 „ — 90 000 „	17	1 427 820
90 000 „ —100 000 „	11	1 021 750
100 000 „ —200 000 „	62	8 501 962
200 000 „ —300 000 „	16	3 700 023
300 000 „ —400 000 „	10	3 329 000
400 000 „ —500 000 „	4	1 800 500
500 000 „ —1 მილიონამდე და მეტი	10	8 786 919
სულ	291	34 107 714

თუ ამ მონაცემებს რამდენადმე დავამრგვალებთ და ოფიციალური სტატისტიკის მიერ შემუშავებული პრინციპის მიხედვით სხვადასხვა კატეგორიის მეწარმეებზე გავანაწილებთ, მივიღებთ: 1) 1899 წელს 900 ფუთიდან 50 ათას ფუთამდე მადანი მოიპოვა 113 მრეწველმა. მათ დაამზადეს სულ 2 382 232 ფუთი. 50 ათასიდან 100 ათას ფუთამდე მადანი მოიპოვა 76 მრეწველმა, რომელთა საერთო მოპოვებამ შეადგინა 5 385 866 ფუთი. ამრიგად, 189 წვრილმა მეწარმემ 8 მილიონ ფუთზე ნაკლები მოიპოვა, რაც საერთო მოპოვების მხოლოდ 23% შეადგენს.

2) იმავე წელს 100 ათასი ფუთიდან 200 ათას ფუთამდე მადანი მოიპოვა 62 მრეწველმა. მათ წილად მოვიდა სულ 8 575 926 ფუთი, ხოლო 30-მა მრეწველმა, რომელთაც თითოეულად 200 ათასიდან 500 ათასამდე ფუთი მოიპოვეს, დაამზადა 8 830 423. ამრიგად, 92 საშუალო მრეწველმა სულ მოიპოვა 17 მილიონ ფუთზე მეტი, ანუ მთელი საერთო მოპოვების 50%-ზე მეტი.

3) 10-მა მსხვილმა მრეწველმა, 500 ათას ფუთზე მეტის მოპოვებით, დაამზადა თითქმის 9 მილიონი ფუთი მადანი, ანუ საერთო მოპოვების 25%-ზე მეტი.

ზემომოტანილი მონაცემები სტატისტიკის მიერ შემოღებული, ჩვენი აზრით, მცდარი პრინციპის მიხედვითაა დაჯგუფებული, რის გამოც მარგანეცის მრეწველობაში სხვადასხვა კატეგორიის ანუ მასშტაბის საწარმოთა ხვედრითი წონის ზუსტად განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა. ეს მონაცემები რამდენადმე გაზვიადებულად წარმოგვიდგენენ წვრილ და საშუალო სამთო საწარმოთა საქმიანობის მასშტაბს, ხოლო მსხვილ საწარმოებს შემცირებული სახით გვიჩვენებენ. ასე მაგალითად, სტატისტიკოსთა შეფასებით 1899 წელს ჰიათურაში მხოლოდ 10 მრეწველს გააჩნია მსხვილი სამთო საწარმო. სინამდვილეში მათი რიცხვი ორჯერ მეტი მაინც იყო. ამ დროს, როგორც ეს კარგად ჩანს მარგანეცის მრეწველთა 1899 წლის სიიდან, სადაც თითოეული საწარმოს პროდუქციის ოდენობაცაა ნაჩვენები, ადგილობრივთაგან მსხვილი მრეწველებია: ი. აბდუშელიშვილი, პ. წულუკიძე, კ. გურული, ყ. და ბ. ჩაჩანიძეები, ფ. წერეთელი, დ. კაკაბაძე, ს. წერეთელი, ს. აბესაძე, ძმ. ოგანეზოვები, რომელთა შორის თითოეულმა მოიპოვა 500 ათას ფუთზე მეტი მადანი[16]. ასევე მსხვილი მეწარმეებია: ო. ჩაჩანიძე, ნ. ბეჟანიშვილი, დ. ბურჯანაძე (გ. თაბაგარეთან ერთად), ვ. წერეთელი, 1899 წელს თითოეულმა მათგანმა მოიპოვა 400 ათასიდან

[16] იხ. მრეწველთა სია, Труды III съезда марганцепромышленников. К., 1901, Приложение II; Статистика марганцевого дела, К., 1900, приложение, II, გვ. 1—12.

500 ათას ფუთამდე მადანი, ხოლო 300 ათასიდან 400 ათას ფუთამდე მოიპოვეს გ. ჩუბინიძემ, ს. გამყრელიძემ (მ. კაციასთან ერთად), ო. ჩაჩანიძემ, დ. ბაქრაძემ (ა. ღლონტთან და ვ. ვაშაძესთან ერთად), ი. კაკაბაძემ (ნ. კაკაბაძესთან ერთად), ნ. ღოღობერიძემ, ა. ხამაშურიძემ, გ. ბრეგვაძემ, ჯ. იაშვილმა, ს. გუგუშვილმა (თ. მარგველაშვილთან ერთად) და პ. მოსეშვილმა. 1899 წელს უცხოელებიდან მსხვილი მრეწველია გ. ემერიკი, ხოლო 1900 წლიდან უკვე 7 უცხოური სამრეწველო ფირმაა ჭიათურაში[17]. მათ შორის თავისი საქმიანობის მასშტაბით გამოირჩევა „დარკვეთი", „კიტტელი და კომპანია", „შალკე", პანასიე, ბრალი, ემერიკი.

წარმოებაში მსხვილი კაპიტალის შემოჭრის და მისი ზრდის მაჩვენებელია აგრეთვე თითოეული მრეწველის მიერ მადნის საშუალო წლიური მოპოვების ზრდა, რაც მოცემული ხანის ჭიათურის მრეწველობაში არც თუ ისე ძნელი შესამჩნევია. ასე მაგალითად, საშუალოდ ყოველ მრეწველზე მოდიოდა მოპოვებული მადანი[18]:

წელი	ოდენობა (ფუთობით)
1895	91 026
1899	117 018
1900	100 908

მოტანილ მონაცემებზე დაკვირვებისას გასათვალისწინებელია ის, რომ 1899 და მეტადრე 1900 წელს წარმოებას წვრილ მეწარმეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასა მოაწყდა და მათი მონაწილეობა მადნის საერთო მოპოვებაში უმნიშვნელო იყო. ამის მიუხედავად თითოეული მრეწველის საშუალო წლიური მოპოვების ზრდა მაინც შესამჩნევია.

წვრილ მეწარმეთა პოზიციები თანდათან სუსტდება. ისინი განაგრძობენ მადნის მოპოვებას, მაგრამ იძულებული არიან გაასაღონ ადგილზევე — ჭიათურის რკინიგზის ბაქნებზე, სადაც მას იძენენ შედარებით შეძლებული მეწარმენი ან ექსპორტიორები. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ რამდენიმე ასეული მეწარმიდან და ათამდე ექსპორტიორიდან ჭიათურის რკინიგზით მადანს 1895 წელს აგზავნის მხოლოდ 53 საქმოსანი, 1897 წელს — 53, 1898 წელს — 62, 1899 წელს — 39, ხოლო 1900 წელს — 53[19]. წვრილი სამთო სარეწავები მსხვილ საწარმოთა ერთგვარ დანამატად იქცევიან. მრეწველობის გამსხვილების

[17] Труды III съезда... Приложение II, გვ. 25.

[18] Статистика марганцевого дела, К. 1902, გვ. 26.

[19] Труды III съезда... გვ. 12—19.

პროცესი, რაც გასული საუკუნის დამლევიდან წამოიწყო და თანდათან გაღრმავდა, ბიძგს აძლევდა და აჩქარებდა წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვას, შრომის ინტენსიფიკაციას, იწვევდა მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. ყოველივე ეს იყო წარმოებაში მსხვილი კაპიტალის დამკვიდრების შედეგი და წარმოების კონცენტრაციის შემდგომი გაძლიერების წანამძღვარიც.

მარგანეცის მრეწველობაში უცხოური სამრეწველო კაპიტალის თანდათან შემოჭრის მიუხედავად, ადგილობრივი კაპიტალი გასული საუკუნის დამლევს მაინც ინარჩუნებს გადამწყვეტ პოზიციებს. ამ დროს მარგანეცის მრეწველთა ეროვნული და სოციალური შემადგენლობა კვლავ სხვადასხვაობით ხასიათდება. მრეწველთა 1899 წლის სიაზე დაკვირვება მოწმობს, რომ ამ წელს 291 მრეწველიდან 270 ქართველია, ხოლო 21 სხვა ეროვნებისა (სომეხი — 11, ბერძენი — 3, გერმანელი — 3, ფრანგი — 2, ინგლისელი — 1 და ებრაელი — 1)[20], ე. ი. ქართველებია 93,5%, ხოლო სხვა ეროვნებისა—6,5%. რაც შეეხება მრეწველთა სოციალურ შემადგენლობას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წვრილ მეწარმეთა დიდი უმრავლესობა გლეხებია, რომელთა ერთი ნაწილი საბადოთა მფლობელიცაა, ხოლო მეორე მოიჯარადრეა. საშუალო, აგრეთვე მსხვილ მეწარმეთა შორის არიან გლეხები, თუმცა მათი უმრავლესობა თავადაზნაურობისა და ვაჭართა წრიდან არიან გამოსული. ამასთანავე ვაჭართა წრიდან გამოსულებს შორის ზოგიერთი მრეწველი გლეხური წარმოშობისაა. მსხვილ მრეწველებს შორის, როგორც ითქვა, იყვნენ უცხოური (ფრანგული, ინგლისური, გერმანული) ფირმები. ჩვენი დაკვირვებით 270 ქართველი მრეწველიდან თავადაზნაურობიდანაა 110, ანუ 40,7%, ხოლო გლეხობიდან 160, ანუ 59,3%.

• • •

სამრეწველო ბურჟუაზიის რიგების შევსებასა და სხვადასხვა კატეგორიის მეწარმეთა თანაფარდობაში მომხდარ ცვლილებებზე დაკვირვებამ დაგვანახვა, რომ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მოცემულ ეტაპზე მრეწველთა საერთო რიცხვი გაიზარდა. წვრილ მწარმოებელთა რიცხვი იზრდებოდა, მაგრამ მათი ხვედრითი წონა და მნიშვნელობა წარმოებაში მცირდებოდა. საშუალო მრეწველთა აბსოლუტური რაოდენობა და, განსაკუთრებით, მათი ხვედრითი წონა და რო-

[20] იხ. მრეწველთა სია (Труды III съезда... Приложение 2).

ლი იზრდებოდა. მსხვილ მრეწველთა რიცხვი ძლიერ არ გაზრდილა, ამის მიუხედავად მათ საწარმოებზე მოდიოდა სამთო მუშათა საერთო რიცხვის ასევე მოპოვებული მადნის საერთო ოდენობის მესამედამდე.

აღებული პერიოდის ჭიათურის მრეწველობაში დაქირავებულ სამთო მუშების რიცხვისა და მოპოვებული მადნის რაოდენობის სიდიდით პირველ ადგილზეა საშუალო მრეწველები, მეორეზე — მსხვილი, ხოლო მესამე ანუ უკანასკნელ ადგილზე — წვრილი მრეწველები. მსხვილ მრეწველთა რიგებს 1900 წლისათვის უკვე შედარებით მძლავრი უცხოური ფირმებიც შეემატა. სხვადასხვა კატეგორიის მეწარმეთა თანაფარდობაში მომხდარი ძვრები, წარმოების კონცენტრაციის ტენდენციის ერთგვარი გამოხატულება და მოწმობაა. ამ ტენდენციამ გარკვეული კანონზომიერი პროცესის სახე მიიღო და იმდენად შესამჩნევი გახდა, რომ იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ფართო წრეების მსჯელობის საგნად იქცა. მოცემულ პერიოდში საერთაშორისო ბაზრებზე მადნის ფასის დაქვეითებისდაკვალად ჩვენებური მადნის ექსპორტიორთა მიერ ადგილობრივ ბაზარზე ფასების დაწევის შესახებ, ასევე მსხვილ მრეწველთა მხრივ წვრილი მრეწველების შევიწროების თაობაზე „კვალი" 1900 წელს სწორად აღნიშნავდა: „1896 — 1900 წლები არის ხანა შავი ქვის ფასების დაწევისა მსოფლიო ბაზარზე. რამდენადაც ფასი ეცემოდა, იმდენად... ექსპორტიორები (გამტანნი) მადნის ფასს უკლებდნენ, მაშასადამე მრეწველნი, განსაკუთრებით წვრილნი, იძულებული ხდებოდნენ... თავისი საქონელი თანდათან იაფად გაეყიდათ... ამ სახით ჭიათურის წარმოება ხელში ჩაიგდეს შეძლებულმა მრეწველებმა და ტვირთად დააწვნენ დანარჩენთ. წვრილი მწარმოებლებისათვის საჭირო იყო კრედიტი, რომ შეძლებოდა მოცდა მანამდის, სანამ ის ხელსაყრელად დაინახავდა საქონლის გაყიდვას. საჭირო იყო მარგანეცის მადნის საწყობი ადგილები (პლატფორმები) რკინიგზასთან ახლოს, რომ შესაძლებელი გამხდარიყო გასაყიდი მადნის გაჩერება იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც პატრონი მოისურვებდა; საჭირო იყო უცხოეთის ბაზართან დაახლოება, რომ შუა-კაცები თავიდან მოეშორებია. მაგრამ წვრილ მწარმოებელს კრედიტი არ გააჩნდა, პლატფორმები ცოტა იყო, უცხოეთის ბაზრები გარეშეთა ხელში იყო. წვრილი მრეწველის მდგომარეობა ასეთ პირობებში გამოუვალი იყო"[21].

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჭიათურაში ბაზას იკავებს მრეწველობის შემდგომი განვითარების კანონზომიერი პროცესი, — წვრილ (გლეხურ) სარეწავებს თანდათან ავიწროებს

[21] „კვალი", 1900, № 41, გვ. 645.

შედარებით მსხვილი სამრეწველო კაპიტალი, საფუძველი ეყრება მრეწველობის თანდათან გადასვლას მანუფაქტურული სტადიიდან განვითარების უმაღლეს — ქარხნულ — ინდუსტრიულ — სტადიაზე. მოცემული პროცესის გაღრმავების ბაზაზე მიმდინარეობდა სამრეწველო რაიონის მუშათა კლასის ჩამოყალიბება.

§ 4. მუშათა რიგების შევსება და მდგომარეობა

1895 — 1900 წლების სამრეწველო აღმავლობა, როგორც დავინახეთ, არ იყო სწორხაზობრივი. მარგანეცის მრეწველობაში მომხდარი ცვლილებანი, ბუნებრივია, იმთავითვე აისახებოდა მუშათა რიცხვის შესაბამის ზრდა-შემცირებაშიც.

სამრეწველო სტატისტიკა, როგორც ვიცით, მხოლოდ სამთო მუშათა რიცხვის მიახლოებით ამსახველ ცნობებს შეიცავს. ეს ცნობები ასეთია[1]:

წელი	სამთო მუშათა რიცხვი
1895	2 687
1896	2 081
1897	1 571
1898	1 245
1899	3 292
1900	3 702

როგორც ვხედავთ, განსახილველ პერიოდში, 1896 — 1897 წლების გამოკლებით, როცა წარმოებამ დროებით დაქვეითება განიცადა, სამთო მუშათა რიცხვი იზრდებოდა. ამავე დროს, როგორც ზემოთ, სხვადასხვა კატეგორიის სამთო საწარმოებში დაქირავებული მუშახელის აბსოლუტურ რაოდენობაზე და პროცენტულ თანაშეფარდებაზე დაკვირვებამ დაგვანახა, სამთო მუშათა ძირითადი მასა თანდათან უფრო იყრიდა თავს საშუალო და მსხვილ საწარმოებში. ეს გარემოება, სამრეწველო რაიონში სამთო მუშათა კონტინგენტის ზრდასთან ერთად, მუშათა კონცენტრაციის მაჩვენებელია, რაც, თავის მხრივ, წარმოების კონცენტრაციის მოწმობაა, მით უმეტეს, რომ როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, „...წარმოების კონცენტრაცია გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე მუშების კონცენტრაცია, რადგან მსხვილ წარმოებაში შრომა ბევრად უფრო ნაყოფიერია“[2]. ამაზე მეტყველებს

---

[1] ცნობები იხ. Статистика марганцевого дела, К., 1907, გვ. 37; Обзор Кутаисской губернии за 1896 год, К., 1897, გვ. 30; Обзор Кутаисской губернии за 1897 год, К., 1898, გვ. 30; Кавказский календарь на 1901 год, Тиф., 1900, გვ. 81.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 242.

თითოეული მუშის საშუალო წლიური წარმადობის ზრდა მდანის მოპოვებაში[3]:

წელი	ერთი მუშის საშუალო წლიური მოპოვება (ფუთობით)
1895	2 682
1896	5 696
1897	8 778
1898	13 059
1899	10 478
1900	10 903

სამთო მუშის საშუალო წლიური წარმადობა იზრდება ყოველწლიურად, გარდა 1899 წლისა, როცა ის წინა წელთან შედარებით 19,78%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ეს წარმადობა 1895 წელთან შედარებით 1898 წელს გაზრდილია თითქმის ხუთჯერ, ხოლო 1900 წელს — ოთხჯერ. შრომის ნაყოფიერების ზრდას, მუშათა, ასევე წარმოების კონცენტრაციასთან ერთად, ხელს უწყობდა მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარკვეული გაუმჯობესება, შრომის პროცესის ინტენსიფიკაცია, მუშის ექსპლოატაციის გაძლიერება, მუშის მიერ საწარმოო ჩვევებისა და გამოცდილების გამომუშავება. ყველა ეს ფაქტორი მეტ-ნაკლები ზომით ბიძგს აძლევდა შრომის მწარმოებლურობის ზრდას. ამიტომ ცდებიან სტატისტიკოსები, როცა ამტკიცებენ, რომ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში სამთო მუშის საშუალო წლიური წარმადობის ზრდა თითქოსდა «Должен быть обяснен исключительно приобретением ими большего навыка и умения ориентироваться при производстве горных работ»[4].

ამ მოსაზრებას ისინი თვითონვე აბათილებენ, როცა აღიარებენ მსხვილ საწარმოებში მუშის შრომის ნაყოფიერების გაცილებით უფრო სწრაფ ზრდას, ვიდრე წვრილ საწარმოებში, როცა ისინი კონკრეტულად მიუთითებენ, რომ, მაგალითად, „დარკვეთის საზოგადოებამ“ ამას მიაღწია «...благодаря рациональной постановке вопроса».

---

[3] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 42; В. Л. Тухолка, Железные и марганцевые руды... გვ. 75. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამხრეთ რუსეთის მარგანეცის მრეწველობაში (ეკატერინოსლავის გუბერნია — ნიკოპოლი) 1900 წელს ერთი მუშის საშუალო წლიურმა მოპოვებამ შეადგინა 13 488 ფუთი (Статистика марганцевого дела, 1902, გვ. 43).

[4] Ибид., გვ. 43.

• • •

სამრეწველო სტატისტიკა, სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარშიც არ აღრიცხავდა მრეწველობის დამხმარე დარგების (სამუშაო იარაღების მკეთებელი და შემკეთებელი სარეწები, სამთო გამონამუშევრების გასამაგრებელი ხე-ტყის დამამუშავებელი, ასევე სამშენებლო საწარმოები), აგრეთვე მაღაროებიდან რკინიგზამდე მადნის გადამზიდველი (ჩალვადარი, მეურმე) და რკინიგზის შტოს სადგურებზე მტვირთავი მუშახელის რაოდენობას. ამ ხარვეზს 1900 წლისთვის ერთგვარად ავსებს ადგილობრივი პოლიციის ბოქაულის ცნობა, რომლის თანახმად, სამრეწველო რაიონში არსებობდა 70 სხვადასხვა სახელოსნო, სადაც მუშაობდა 500-მდე მუშა. იმავე ცნობით ჭიათურის რკინიგზის შტოს სადგურებზე მტვირთავ მუშათა რიცხვი 280 კაცს შეადგენდა, ხოლო მაღაროებიდან რკინიგზის სადგურზე მადნის საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით გადამზიდველთა რიცხვი 3 600 კაცს აღწევდა[5]. მართალია, მოტანილი მონაცემების სანდოობის შესამოწმებლად სხვა საამისო პირდაპირი წყარო არ გაგვაჩნია, მაგრამ მათს სისწორეს გარკვეულად ადასტურებს ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი, რომელიც 1900 წელს მრეწველთა III ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ მადნის გადამზიდველთა რიცხვი სამრეწველო რაიონში სამთო მუშათა რიცხვს უტოლდებაო[6]. ამგვარად, ყველა ცნობის გათვალისწინებით გამოდის, რომ 1900 წელს სამრეწველო რაიონში (სამთო მუშებია 3 702, სხვადასხვა სახელოსნოთა 500-მდე, რკინიგზის შტოს სადგურებზე მადნის მტვირთავები — 280, ხოლო მადნის საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით გადამზიდველნი — 3 600) სულ არის დაახლოებით 8082 მუშა.

სამრეწველო აღმავლობას ჭიათურაში თან მოყვა მუშათა რიგების ახალი შევსება. მუშათა კონტინგენტის შევსების მთავარ წყაროს კვლავ საქართველოს, მეტადრე დასავლეთ საქართველოს და განსაკუთრებით ზემო იმერეთის ღარიბი გლეხობა შეადგენდა. ის ივსებოდა აგრეთვე სხვა ეროვნების (რუსები, სომხები, ოსები, ბერძნები, სპარსელები, თურქები) მშრომელთა ხარჯზეც. სამუშაო ძალის კონტინგენტის შევსების ერთ-ერთ წყაროსაც მუშათა ოჯახების წევრები შეადგენდნენ. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ცნობა, რომელიც

---

[5] Сборник сведений о Кутаисской губернии, К., 1901, გვ. 23.

[6] იხ. Труды III съезда... марганцепромышленников, К., 1901, გვ. 10.

გვაუწყებს, რომ „სამთო მუშათა ოჯახის წევრები თითქმის მთლიანად ებმებიან სამრეწველო საქმიანობაში“[7].

თავის ჩასახვა-განვითარების ადრინდელ პერიოდში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა მნიშვნელოვანწილად სეზონური იყო და ამიტომ კადრის მუშათა კონტინგენტი შედარებით ნელი ტემპით იზრდებოდა, ხოლო განსახილველ პერიოდში მრეწველობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო და მუშათა რიგების შევსებაც არსებითად განუწყვეტლივ და უფრო სწრაფად მიმდინარეობდა. კადრის მუშათა ძირითად მასას ქართველები შეადგენდნენ, ხოლო სეზონურ მუშათა შორის შედარებით ბევრი იყო ოსები, სომხები, ანატოლიელი ბერძნები, სპარსელები და თურქები. ადგილობრივი მუდმივი სამთო მუშები, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, სოფელთან კვლავაც კავშირში იყვნენ. მათი ოჯახები სოფლად სახლობდნენ და თავთავის მეურნეობას ინარჩუნებდნენ. მუშის ოჯახის საარსებო წყაროს წარმოადგენდა წარმოებიდან მიღებული ქირა და მცირედი მეურნეობის შემოსავალი. სოფელთან კავშირის შენარჩუნება კიდევ მეტად იყო დამახასიათებელი მრეწველობის დამხმარე საწარმოთა და მადნის გადამზიდველი ადგილობრივი, აგრეთვე მოსული მუშების დიდი ნაწილისათვის, მით უმეტეს, რომ მაღაროებიდან რკინიგზის სადგურებამდე მადნის გადამზიდველნი, ამ სამუშაოს რამდენადმე სეზონურობის გამო, ასევე თვით (საჭაპანო და სასაპალნე) სატრანსპორტო საშუალების შესანარჩუნებლად სოფელთან იყო მიჯაჭვული.

ჭიათურის რკინიგზის მწყობრში ჩადგომამ ბიძგი მისცა მრეწველობის წინსვლას, მისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესებას, თუმცა, ტექნიკური სიახლეების დანერგვა გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ძლიერ ფართოდ ვერ წარიმართა. მრეწველობაში და მის დამხმარე დარგებში საწარმოო პროცესის ინდუსტრიულ ყაიდაზე გარდაქმნა შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა და წარმოებაში მუშახელის განლაგებაში ცვლილება ასევე ნელა იჩენდა თავს. სამთო მუშები კვლავ იყოფოდნენ სამ ძირითად კატეგორიად: პირველს შეადგენდნენ მნგრეველნი — მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრების გამყვანნი და მადნის გამომნგრეველ-დამამზადებელნი; მეორეს — მადნის გამომზიდველნი — მაღაროში დამზადებული მადნის მცირე „ვაგონებში“ დამტვირთველნი და ზედაპირზე მათი გამომგორებელნი; მესამეს — ზედაპირზე გამოზიდული მადნის გამრჩევ-გადამხარისხებელნი. სამუშაო იარაღების, გამონამუშევრების გამაგრების, მათი განათებისა და ვენტილაციის გაუმჯობე-

---

[7] Сборник сведении о Кутаисской губернии, К., 1901, გვ. 24.

სებას ფართო ხასიათი არ მიუღია და წარმოებაში ძირფესვიანი გარდატეხა არ გამოუწვევია. მუშათა შრომის პირობები კვლავ ცუდი იყო, ხოლო ხელფასი დაბალი. ყველაზე მძიმე შრომას მადნის მნგრეველი მუშა ეწეოდა და მისი დღიური ხელფასი 1 მანეთიდან 1,5 მანეთამდე აღწევდა, მაღაროდან მადნის გამომზიდველისა 70 კაპიკიდან 1 მანეთამდე, დამხარისხებლისა 60 კაპიკიდან 80 კაპიკამდე[8]. არასრულასაკოვანთა და ქალთა შრომა გამოყენებული იყო მხოლოდ საბადოს ზედაპირზე გამოზიდული მადნის გარჩევა-დახარისხებაში[9]. მცირეწლოვანთა დღიური ხელფასი 10 კაპიკიდან 40 კაპიკამდე აღწევდა, მოზარდთა—60-დან 80 კაპიკამდე, ქალთა — 40-დან 70 კაპიკამდე. სხვადასხვა კატეგორიის, ასაკისა და სქესის მუშათა ხელფასის შესახებ ჩვენ მიერ მოტანილი მონაცემები პირობითია. საქმე იმაშია, რომ ჭიათურის მრეწველობაში, ბაქოს ნავთობისა და სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველობისაგან განსხვავებით, თითქმის არ არსებობდა მუშათა დღიური და თვიური დაქირავების სისტემა[10]. აქ კვლავ მუშათა ნარდად დაქირავება იყო გავრცელებული. ამიტომ სამთო მუშათა დღიური ხელფასი წყაროებში გაანგარიშებულია იმისდა მიხედვით, თუ რა უწევდა საშუალოდ დღეში ნარდად დაქირავებულ მუშას.

ამასთანავე მუშის ხელფასი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სტაბილური. მეწარმეთა დიდი ნაწილი, რომელთაც წარმოებაში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა არ ძალუძდათ, მოგების ნორმის გადიდებას მეტწილად მუშის ხელფასის შემცირებით აღწევდნენ. ისინი ამ შემთხვევაში თავს იმით „იმართლებდნენ“, რომ მაღაროდან რკინიგზამდე მადნის გადაზიდვა ძვირია და სარკინიგზო ტარიფიც მაღალია. ასეთ ვითარებაში, — ეკითხულობთ მრეწველთა II ყრილობის მიერ ტარიფის შემცირების თაობაზე აღძრულ შუამდგომლობაში, — „მარგანეცის მრეწველს მხოლოდ მუშათა ხელფასის შემცირების წყალობით შეუძლია საქმის გაგრძელება, ამიტომ ხელფასი უკანასკნელ ხანს საგრძნობლად მცირდება“[11]. მუშების ხელფასის შემცირებას ჭიათურის მრეწველობაში აღიარებდა გ. ზდანოვიჩი, რომელიც რკინიგზის დეპარტამენტის დირექტორისადმი 1898 წელს გაგზავნილ ბარათში წერდა: «Благодаря... падению цен на марганец за границей, спрос на рабочие руки уменьшается сравни-

---

[8] Статистика марганцевого дела. К., 1902, გვ. 38—40.

[9] ანონი, როგორც ცნობილია, კრძალავდა ქალის შრომას მაღაროში (იხ. Труды IX и X съездов... марганцепромышленников. გვ. 227).

[10] Труды III съезда... марганцепромышленников, გვ. 19.

[11] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, 1898— 1899 гг., л. 17 об.

тельно с громадным предложением, обусловленным упадком сельского хозяйства в... губернии и отсутствием каких-либо иных заработков на месте. В результате — необыкновенное и постоянное из года в год падение цен на рабочие руки»[12] ამრიგად, ჩანს, მუშათა ხელფასი ჭიათურაში განუხრელად მცირდებოდა, რასაც თვით მრეწველებიც აღიარებდნენ.

სამთო მუშათა ნარდად დაქირავების ორი ერთმანეთის მსგავსი ფორმა დამკვიდრდა. მრეწველსა და მუშას შორის წინასწარი მორიგება ხდებოდა. მის თანახმად მუშა ღებულობდა განსაზღვრულ თანხას ყოველ კვ. საჟენ მადანში, ან ყოველ ფუთ მოპოვებულ მადანში. ასეთი გარიგება ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში მუშახელის დაქირავების სპეციფიკას წარმოადგენდა, რითაც ის განსხვავდებოდა რუსეთის სამთამადნო მრეწველობის ყველა სხვა დარგისაგან[13].

მუშახელის დაქირავების ასეთი სისტემის შედეგად, ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის აღიარებით, მუშები აქ ხელფასით „ნაკლებად" იყვნენ „უზრუნველყოფილი, ვიდრე რუსეთის სხვა სამთო საწარმოებში"[14].

ნარდად დაქირავებულ მუშათა საერთო მასაში სჭარბობდნენ ე. წ. „მეფუთეები", რომლებიც ყოველ ფუთ მოპოვებულ, გაწმენდილ და რკინიგზის შტოს ბაქნებზე ჩაბარებულ მადანში ღებულობდნენ (მოპოვებისა და გადაზიდვის პირობების, აგრეთვე მადნის ხარისხის გათვალისწინებით) 2 კაპიკიდან 3,5 კაპიკამდე. მეფუთე მუშის საშუალო დღიური ხელფასი 80 კაპიკიდან 1 მანეთამდე აღწევდა. მუშათა დაქირავების ასეთი სისტემა ადრეც არსებობდა, თუმცა მან გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის უპირატესი მნიშვნელობა და გავრცელებაც მოიპოვა[15].

მოცემულ პერიოდში სამთო მუშათა უმრავლესობა „მეფუთეებია". ამ კატეგორიის მუშები ცალ-ცალკე და გაერთიანებული ძალებითაც ეწეოდნენ სამუშაოებს. საშუალო და მეტადრე მსხვილ საწარმოებში, სადაც შრომის დანაწილება თავიდანვე შორს იყო წასული, ისინი გაერთიანებული ძალებით (არტელები) მოქმედებდნენ, ხოლო წვრილ (გლეხურ) სამთო სარეწავებში — განცალკევებულად, ან რამდენიმე მუშა ერთად. 1895 წლიდან ჭიათურის სამრეწველო რაიონში თანდათან გაძლიერდა მუშათა გაერთიანების — „არტელების" — ჩამოყალიბება. ისინი აერთიანებდნენ 20-დან 100-მდე მუშას[16].

---

[12] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65. д. 2766, л. 20.

[13] Труды III съезда марганцепромышленников, გვ. 20.

[14] იქვე.

[15] В. Л. Тухолка, Железные и марганцевые руды... გვ. 67.

[16] ЦГИАМ, ф. 1157, оп. 1, д. 79, л. 211.

შრომის სანარდო სისტემისათვის ჭიათურაში დამახასიათებელი იყო აგრეთვე მეწარმეთა უზრუნველობა მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. ამ მიმართულებით სამრეწველო რაიონში 1900 წლამდე არსებითი არაფერი გაკეთებულა.

სამთო მუშათა შრომის პირობები არა თუ გაუმჯობესდა, არამედ უფრო მძიმე გახდა სამთო გამონამუშევრების უფრო დიდ სიღრმეში შეჭრის შედეგად. მრეწველებიდან იშვიათად თუ ვინმე ზრუნავდა სამთო გამონამუშევრების საიმედოდ გამაგრებაზე, მუშაობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე. ყოველივე ამას გულგრილად უყურებდა სამთო უწყება, რომელსაც ზედამხედველობა ევალებოდა. ამის გამო „კვალი" 1897 წელს წერდა: „მეტად ცუდი წარმოებაა მადნებში „...მთავრობამ დააყენა შტეიგერები და ინჟინრები, რომ ყურადღება მიექციათ მადნების უწესრიგო მუშაობაზე, მაგრამ აღარც მერე დაეტყო გაუმჯობესება მუშაობას, ვინაიდან მათი მიმხრობა (უნდა ვიფიქროთ, მათი მოსყიდვა! — **გ. მ.**) თითოეულმა ადვილად მოახერხა და მუშაობა მადნის ისევ და ისევ მიდის ჩვეულებრივად"[17]. ასეთ პირობებში მაღაროებში ხშირი იყო უბედური შემთხვევები, რის მსხვერპლიც მეტწილად მაღაროელი მუშები ხდებოდნენ. ჩვენ ხელთა გვაქვს ზოგიერთი უბედური შემთხვევის ადგილზევე გამოკვლევის შედეგების ამსახველი უწყისი, საიდანაც ჩანს, რომ 1895 — 1900 წლებში მომხდარი უბედური შემთხვევებიდან 34 აღუწერია სამთო ოკრუგის ინჟინერს[18]. უწყისი საგულისხმო ცნობებს შეიცავს სამთო მუშათა შრომის პირობების დასახასიათებლად. უწყისზე დაკვირვება მოწმობს, რომ 1895 — 1900 წლებში მომხდარი 34 უბედური შემთხვევიდან 33 მოხდა სამთო გამონამუშევრებში ზემოდან ფენების ჩამოშლა-ჩამონგრევით[19]. ყველა ამ შემთხვევისას დაიღუპნენ ან დაშავდნენ მადნის გამომნგრეველი მუშები. უბედური შემთხვევები ხდებოდა არა მარტო წვრილ მეწარმეთა მაღაროებში, სადაც სამთო გამონამუშევრების გამაგრება თითქმის არ ხდებოდა, არამედ შედარებით მსხვილ საწარმოებშიც, სადაც შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას მცირეოდენი ყურადღება მაინც ექცეოდა. ასე მაგალითად, 1899 წელს გუსტავ ემერიკის მაღაროში, ზედა რგანში, ფენების ჩამონგრევის შედეგად ძლიერ დაშავდა მუშა მუსტაფა ახმედ-ოღლი, ხოლო 1900 წელს მისსავე მაღაროში, შუქრუთში, ფენების ჩამონგრევის შედეგად ორივე ფეხი მძიმედ დაუშავდა მუშა ა. გაფრინდაშვილს. ორივე შემთხვევა ადგილზე შეამოწმა სამთო

---

[17] „კვალი", 1897, № 37, გვ. 671.

[18] უწყისი იხ. ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 69, л. 1—57.

[19] იქვე.

ოკრუგის ინჟინერმა ცეიტლინმა, რომლის დასკვნით პირველი შემთხვევისას არავინ იყო დამნაშავე[20], მეორე კი მოხდა მუშის გაუფრთხილებლობითა და მაღაროს ადმინისტრაციის დაუდევრობით. მსხვილი მრეწველის ნ. ღოღობერიძის მაღაროში, მღვიმევში, 1896 წელს ფენის ჩამონგრევის შედეგად დაშავდა მუშა ზ. გურული, ხოლო 1898 წელს მის მაღაროში, ზედა რგანში, ჩამონგრეულმა ფენამ გაჭყლიტა მუშა ო. მოდებაძე. ინჟ. ცეიტლინის დასკვნით, პირველი შემთხვევა მოხდა სამთო გამონამუშევრის ძველი სამაგრის ახლით შეცვლისას[21]. მეორე შემთხვევაში დამნაშავე იყო მაღაროს გამგე ს. ყიფშიძე, რომელიც არ ეწეოდა გამონამუშევრების გამაგრებას[22]. მსხვილი მეწარმის პ. წულუკიძის მაღაროში, ზედა რგანში, 1897 წელს, მიწის ჩამონგრევის შედეგად დაიღუპა მუშა დ. ხეცურიანი, ხოლო 1900 წელს მისსავე მაღაროში, მღვიმევში, იმავე მიზეზით დაიღუპა მუშა გ. კურცაძე. ორივე შემთხვევაში დამნაშავედ მაღაროს გამგე იქნა მიჩნეული[23]. მსხვილი მრეწველის ს. წერეთლის მაღაროში, მღვიმევში, კვირას მუშაობისას, ზემოდან ფენების ჩამონგრევამ ძლიერ დააშავა მუშა გ. კენჭოშვილი. სამთო ინჟინრის დასკვნით, ეს გამოიწვია გამონამუშევრების გაუმაგრებლობამ, რაშიც ბრალი მიუძღოდა მრეწველს[24]. ნ. და ი. კაკაბაძეების მაღაროში, ზედა რგანში, ასეთივე მიზეზის გამო დაიღუპა მუშა ქ. არზიევი[25]. იმავე ი. კაკაბაძის მაღაროში მძიმედ დაშავდა მუშა ი. მაჭარაშვილი. ამასთან დაკავშირებით სამთო ინჟ. ცეიტლინი დაასკვნიდა: „დამნაშავეა მაღაროს მფლობელი, რომელიც ზომებს არ იღებს მუშაობის სწორი და უსაფრთხო წარმოებისათვის"[26].

მრეწველ ო. ჩაჩანიძის მაღაროში, შუქრუთში, 1895 წელს დასვენებისას მუშას ს. ოსმან-ოღლის ჩამოენგრა გამონამუშევრის „ჭერი" და მძიმედ დაშავდა. ი. და ნ. კაკაბაძეების მაღაროში, ზედა რგანში, 1897 წელს ფენების ჩამონგრევის შედეგად ძლიერ დაშავდა მუშა ზ. თუთისანი, რის გამო პასუხისმგებლობა დაეკისრა მაღაროს მფლობელს[27]. მეწარმე ფ. დარჩიას მაღაროში, მღვიმევში, 1899 წელს, დაიღუპა მუშა დ. მირიტაძე, ხოლო 1900 წელს ასევე გამონამუშევარში ფე-

---

[20] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 69, л. 15.

[21] იქვე, ფურც. 13, 35, 7.

[22] იქვე, ფურც. 34.

[23] იქვე, ფურც. 28. 53.

[24] იქვე, ფურც. 27

[25] იქვე, ფურც. 2.

[26] იქვე, ფურც. 32.

[27] იქვე. ფურც. 50.

ნის ჩამონგრევის შედეგად ტვინის შერყევა მიიღო მუშამ ნ. რობაქიძემ[28]. ასევე შედარებით მსხვილი მეწარმის ნ. გაფრინდაშვილის მაღაროში, შუქრუთში, 1899 წელს დაიღუპა ს. ტყემალაძე. მისი მიზეზის გამოკვლევამაც ცხადყო, რომ „შტოლნი, სადაც სამთო გამონამუშევრების სიგანე 2,5 საჟენს აღწევს, ხოლო სიმაღლე 1 საჟენს, სრულებით არაა გამაგრებული“[29], რის გამო ბრალი დაედო მრეწველს. საყურადღებოა ისიც, რომ წვრილი მრეწველი მ. ბრეგვაძე, რომელსაც საბადო ჰქონდა ზედა რგანში, თავის მაღაროში მუშაობისას ჩამონგრეულმა ფენამ გაჭყლიტა. ამის გამო სამთო ინჟ. ცეიტლინი დაასკვნიდა: რადგან დაღუპული თვითონ იყო საბადოს მფლობელი, უბედური შემთხვევა მისსავე დანაშაულად უნდა ჩაითვალოს[30]. იყო შემთხვევები, როცა სამთო გამონამუშევრების გაუმაგრებლობის შედეგად ერთდროულად ორი მუშა დაიღუპა ან დაშავდა[31]. უბედურ შემთხვევათა ზემოთ აღნიშნული მაგალითები იმაზე მეტყველებს, რომ მუშათა დაღუპვასა და დაშავებას იწვევდა სამთო გამონამუშევრების გაუმაგრებლობა ან კიდევ ცუდად გამაგრება, შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობა.

მუშათა შრომის პირობებთან ერთად, 1900 წლამდე მოუწყობელი იყო მათი საბინაო პირობები. იშვიათად თუ სადმე აიგო მუშათა საცხოვრებელი ბარაკები. საბადოებში არ იყო მუშათა სასადილოები და ფარდულები. ასევე ცოტა რამ გაკეთდა მუშათა სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა და მათი კულტურული მომსახურების უზრუნველსაყოფად. სამრეწველო რაიონში თავმოყრილი დიდძალი დაქირავებული მუშახელის აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობები მკაფიოდაა დახასიათებული იმდროინდელ ქართულ პრესაში, განსაკუთრებით გაზეთ „კვალში“, რომელიც 1899 წელს წერდა: „უმრავლესობა მუშებისა უსახლკარო და უბინაო არის, სადაც შემოაღამდება იქ იძინებს. შემაძრწუნებელი სანახავია ზამთარ-ზაფხულ ერთ და იმავე ძონძებში გახვეულნი, გამურულნი, გაყვითლებულნი და ზეზე ჩამომხმარი მუშები. იმათ საზრდოს ერთადერთი მშრალი პური და ხმელი მარილიანი ოსური ყველი შეადგენს, ხშირად მარტო პურითაც იოლად მიდიან; სადილისათვის ვერ მოუცლიათ, რომ მოსვენებით ჭამონ; ხშირად შეხვდებით მუშას, რომელიც მუხლამდე ტალახში ან მტვერში ცხენს მისდევს, ცალ ხელში სახრე უჭირავს, მეორე ხელში კი პური და გზაშივე მიიჭამს. პური ისეა გამურული შავი-ქვისგან.

---

[28] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75. д. 69. л. 30, 44.

[29] იქვე, ფურც. 51.

[30] იქვე, ფურც. 4.

[31] იქვე, ფურც. 6, 20, 42, 43.

რომ პირველ შეხედვაზე მიწა გეგონებათ. ამ ყოფაში არიან ქვის გადამტანი მუშები.

არა უკეთეს მდგომარეობაში არიან გვირაბში მომუშავენი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე კარავს, რომელიც გვირაბებთან არის გაშენებული. გვირაბში მომუშავენიც უბინაოთ არიან და გვირაბშივე ცხოვრობენ დღითაც და ღამითაც სინათლეს და სუფთა ჰაერს მოკლებულნი"[32]. „კვალი" 1900 წელსაც, ასევე სწორად ახასიათებდა მუშათა არაადამიანურ საყოფაცხოვრებო პირობებს, როცა იუწყებოდა: „... გვირაბში მომუშავეთა საცხოვრებელ სახლს შეადგენს ისევ გვირაბი, ჩალვადრისათვის თავლა, მეურმისათვის მინდორი... ხოლო თუ ასში ერთს არგუნა წილად ბედმა იმისთანა კაცთან მუშაობა, ვისაც სახლი სამუშაოს ახლოს უდგია, ეს მისთვის საუკეთესო ჯილდოს შეადგენს. მარა რის სახლი. უბრალო „შილოპკისაგან" არის გაკეთებული, იატაკი მიწის არის, კედლებშიც თავისუფლად ნავარდობს ქარი"[33].

სამრეწველო რაიონში მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების სიმძიმეს აღიარებდნენ თვითონ მრეწველებიც. აი, როგორ დაახასიათა ეს პირობები მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის თავმჯდომარემ გ. ზდანოვიჩმა 1900 წელს მრეწველთა მესამე ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში — „მარგანეცის საწარმოებში მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ზომების შესახებ" — „საოუოა გადაჭარბება იყოს იმის თქმა, რომ შესაძლებელია რუსეთის მრეწველობის არც ერთ დარგში ისეთი მცირე ყურადღება არ ექცეოდა მუშათა მდგომარეობას, როგორც მარგანეცის მრეწველობაში. ეს სამრეწველო დარგი, — განაგრძობს გ. ზდანოვიჩი, — უკვე 20 წელია არსებობს და დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა საწარმოებში სამთო მუშათა არსებობის მძიმე პირობების გასაუმჯობესებლად. ამ გარემოებით, შესაძლებელია, უნდა აიხსნას ის უცნაური მოვლენა, რომ მითითებულ დროში მარგანეცის მრეწველობაში არ ჩამოყალიბდა მუდმივ მუშათა კონტინგენტი. საწარმოებში დღემდე არაა თვით საცხოვრებელი შენობებიც მუშებისათვის და არაიშვიათად მუშები წვებიან ნოტიო, დახუთულ შტოლნებში, რაც იწვევს ხშირ და სახიფათო დაავადებებს. ასეთ პირობებში მუშები უკიდურესი გაჭირვებისას და ისიც მხოლოდ დროებით ჰკიდებენ ხელს საწარმოო საქმიანობას, რადგან მეწარმეებს არ ძალუძთ მათ შეუქმნან რაიმე პირობები; მათი ცხოვრება არაა უზრუნველყოფილი არც შრომის პირობებით, არც სხვა ზომებით, რასაც მრეწველებმა უნდა მიმართონ ამ პირობების შე-

---

[32] „კვალი", 1899, № 47, გვ. 800.

[33] „კვალი", 1900, № 23, 4 ივნისი.

საქმნელად". და ბოლოს გ. ზდანოვიჩი დასძენს: „რაოდენ სამწუხაროა ამგვარი ფაქტის აღიარება, მაგრამ ჯობია პირდაპირ ვაღიაროთ ჩვენი უზრუნველობა და უყურადღებობა მუშათა მიმართ, ვიდრე მის წინაშე თვალები დავხუჭოთ და თავისთავს არ მივცეთ იმის საშუალება, რომ თუნდაც მომავალში უკეთესობისკენ წარვმართოთ იმათი მდგომარეობა, ვინც თავისი შრომით ასულდგმულებს მარგანეცის მრეწველობის არსებობას"[34]. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა სამრეწველო რაიონის მუშათა მრავალათასიანი რაზმი. მუშები მოკლებული იყვნენ არსებობისათვის აუცილებელ, პირველი მოთხოვნილების საგნებს, კვების პირობებს და სხვ. მაღაროელი მუშები იძულებული იყვნენ შინიდან ან ჭიათურიდან მოეტანათ პურიც კი. არც სოფ. ჭიათურაში იყო შექმნილი მუშათა არსებობისათვის აუცილებელი მინიმალური პირობები. გასული საუკუნის დამლევს ის სავსებით უყურადღებოდ მიტოვებული და ყოვლად მოუწყობელი სოფელია. ამასთან დაკავშირებით „კვალის" კორესპონდენტი 1900 წელს აღნიშნავდა: ჭიათურაში „ბევრ ალაგას ფეხით გავლა შეუძლებელი ხდება, ზოგან ცხენებიც კი ეფლობა მუცლამდე. ამასთან წარმოიდგინეთ საშინელი სიბინძურე და სიბნელე (უფარნობა) და თქვენ დაგეხატებათ მკრთალი სურათი ჭიათურის სიმშვენიერისა..."[35]. მრავალი ათასი მუშის წარმოუდგენელი საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ჭიათურასა და მთელს სამრეწველო რაიონში ხშირად იწვევდა სხვადასხვა დაავადებათა აღმოცენებასა და გავრცელებას. ასეთმა დაავადებამ იფეთქა ჭიათურაში 1900 წელს, როცა ის მთელს სამრეწველო აუზს მოედო. ამის გამო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1900 წლის „უქვეშევრდომილეს" მოხსენებაში წერდა: «Обращает на себя внимание лишь болезнь эпидемического характера с большим процентом смертности, до 70%, развивающаяся весною в районе Чиатурских марганцевых промыслов... Болезнь оказалась смешанной формою тифа с крупозным восполением... Причины взрыва болезни надо объяснить... крайне неудовлетворительными санитарными условиями помещения, продовольствия и работ скученной в местечке Чиатуры 12 тысячной толпы пришлого рабочего люда... Скопление массы выючных животных до 15 тысяч, с своей стороны ухудшает санитарные условия»[36]. ასეთი იყო ვითარება, ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ სამრეწველო მუშები, რომლებიც ძლივს ინარჩუნებდნენ თავის არსებობას.

---

[34] Труды III съезда... марганцепромышленников, К., 1901. გვ. 12—13.
[35] „კვალი", 1900, № 50, გვ. 796.
[36] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 90, д. 5501, 1901 г., л. 164.

• • •

ამრიგად, 1895—1900 წლებში სამრეწველო რაიონის მუშათა რიგები საგრძნობლად შეივსო. მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და სამრეწველო აუზის ცენტრის — ჭიათურის — კეთილმოსაწყობად თითქმის არაფერი გაკეთებულა. მართალია, მოცემულ პერიოდში წარმოებამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო, შრომის ინტენსიფიკაციის დონე ამაღლდა, ხოლო შრომის დანაწილება წარმოებაში გაღრმავდა, მაგრამ კადრის მუშათა ჩამოყალიბების პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა. სამრეწველო რაიონის მუშათა ერთი ნაწილი უფრო სეზონურად მუშაობდა. ვიდრე მუდმივად.

§ 6. მრეწველობის განვითარება და ხასიათი

მრეწველობის აღმავლობის პერიოდში, 1895—1900 წლებში, საბადოთა ექსპლოატაცია ძლიერ გაფართოვდა ტერიტორიულადაც: გაიზარდა სამთო გამონამუშევრების — მაღაროთა და შტოლნთა — რიცხვი, ასევე მათი საშუალო წლიური წარმადობა, რასაც მე-3 ცხრილი გვიჩვენებს.

ცხრილი 3[1]

წელი	მოქმედი		შტოლნების საშუალო რიცხვი თითოეულ მაღაროში	მადნის საშუალო მოპოვება ფუთობით	
	მაღაროები	შტოლნები		ერთ მაღაროში	ერთ შტოლნში
1895	181	379	2,05	33 827	12 022
1896	233	571	2,45	41 658	17 000
1897	226	567	2,50	58 105	21 396
1898	229	472	2,06	71 001	36 142
1899	429	820	1,96	79 353	41 527
1900	348	715	2,05	116 000	56 425

როგორც ვხედავთ, მოქმედ მაღაროთა და შტოლნთა რიცხვი, ასევე მათი საშუალო წლიური წარმადობა, თითქმის ყოველწლიურად იზრდება და ამ ტენდენციიდან მნიშვნელოვანი გადახვევა თითქმის არ იგრ-

[1] იხ. Статистика марганцевого дела. К., 1902. გვ. 32; Статистика марганцевого дела, К., 1907 г, გვ. 24—39; Труды III съезда... марганцепромышленников, К., 1902, часть 2, გვ. 7—8.

ძნობა. ეს იმით აიხსნება, რომ განსახილველ პერიოდში, როცა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში წერილი (გლეხური) სამთო სარეწაევები და მანუფაქტურული ხასიათის საწარმოები თანაარსებობდა, ხოლო მრეწველობის ინდუსტრიულ ყაიდაზე გარდაქმნისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა ის იყო იწყებოდა, წარმოების ზრდა-განვითარება სამთო გამონამუშევრების ქსელის გაფართოების გზითაც მიმდინარეობდა. ამიტომაა, რომ 1900 წელს, 1895 წელთან შედარებით, მათი რიცხვი გაზრდილია თითქმის ორჯერ, ხოლო საშუალო წლიური მწარმოებლურობა — სამჯერ. აქედან აშკარაა, რომ მოქმედი მაღაროებისა და შტოლნების რიცხობრივ ზრდას თავისი ტემპით რამდენადმე უსწრებდა მათი საშუალო წლიური ნაყოფიერების ზრდა, რაც აიხსნება წარმოებაში წვრილ საწარმოთა როლის დაქვეითებითა და საშუალო, აგრეთვე მსხვილ საწარმოთა ხვედრითი წონის გარკვეული ზრდით ანუ წარმოების გამსხვილებით. ეს ტენდენცია თან ახლდა სამრეწველო აღმავლობას. შემთხვევითი როდია, რომ მადნის მოპოვების, შეიძლება ითქვას, კოლოსალური ზრდა მოდის სწორედ 1899—1900 წლებზე, როცა წარმოებაში საშუალო და მსხვილ საწარმოთა მონაწილეობა და ხვედრითი წონა გაიზარდა.

მადნის მოპოვება მოცემულ პერიოდში ასე იზრდებოდა:[2]

წელი	მოპოვებულ იქნა მადანი (ათას ფუთობით)
1895	7 209
1896	9 706
1897	11 232
1898	16 289
1899	34 052
1900	40 363

აქედან ცხადია, რომ მადნის მოპოვებაში ნახტომისებური წინსვლა მხოლოდ 1899—1900 წლებში მოხდა. აღსანიშნავია, რომ 1898 წელს 1895 წელთან შედარებით, მადნის მოპოვება გაიზარდა ორჯერ და უფრო მეტად, ხოლო 1900 წელს 1898 წელთან შედარებით თითქმის სამჯერ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მადნის მოპოვებაში 1900 წელს მიღწეული დონე (40 363 000 ფუთი!), შემდეგში პირველად მხოლოდ 1906 წელს იქნა მიღწეული და გადაჭარბებული (57 170 000 ფუთი!). გასული საუკუნის მიწურულს სამრეწველო აღმავლობის ძლიერმა ტალღამ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა დიდად დააწი-

---

[2] იხ. В. А. Тухолка, железные и марганцевые рды (Богатства СССР. М.-Л. 1925, გვ. 66—67; პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, 1941, გვ. 262.

ნაურა. ამას მსოფლიო მეტალურგიის მხრივ მადანზე მოთხოვნილების ზრდასთან და სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო წარმოებაში მსხვილი კაპიტალის შემოჭრამ, წარმოების გამსხვილებამ, რასაც მრეწველობის განვითარების მოცემულ ეტაპზე არ მოჰყოლია და არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მისი მონოპოლიზაცია. სწორედ მსხვილი კაპიტალის მოქმედებით დაიწყო მრეწველობის ქარხნულ-ინდუსტრიულ საწყისებზე გარდაქმნა. გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს მსხვილ სამთო საწარმოებში გაგრძელდა ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის გაუმჯობესება, თუმცა ამ საქმეს ნელა ეყრებოდა საფუძველი. ამასთან, მრავალრიცხოვან წვრილ სამთო სარეწებში ტექნიკური პროგრესი არ იგრძნობოდა.

საშუალო და, მეტადრე, მსხვილ სამთო საწარმოებში, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ მრეწველობაში, ჯერ კიდევ 80-იანი წლების შუა ხანებიდან შეუდგნენ საწარმოო პროცესების სრულყოფა-გაუმჯობესებას, თუმცა მადნის მონგრევა კვლავ ხელით წარმოებდა. საამისო სამუშაო იარაღებიც მხოლოდ მცირედ უმჯობესდებოდა. ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა ყველაზე ადრე დაიწყო სამთო გამონამუშევრებიდან მადნის გადმოზიდვის საქმეში. ფრანგულმა ანონიმურმა სააქციო საზოგადოება „დარკვეთმა" თავის მაღაროებში რელსებიანი გზები შეიყვანა და 1900 წელს მადანი ზედაპირზე უკვე ამ ხაზზე მოძრავი ვაგონეტებით გამოჰქონდა. მაღაროს რელსებიანი გზების სიგანე 58 სანტიმეტრს აღწევდა, ხოლო მოძრავი ვაგონეტის ტევადობა 1 ტონას[3]. ამ სიახლეს უდავოდ ჰქონდა პროგრესული მნიშვნელობა: თუ წინათ მაღაროდან მადანი ზურგით ან უბრალო ხელურმებითა და ურიკებით გამოჰქონდათ, ამიერიდან თანდათან გავრცელდა მაღაროებში რელსებიანი გზების შეყვანა და დაინერგა მაღაროებიდან მადნის ვაგონეტებით გამოზიდვა[4]. რელსებიან გზებზე მოქმედ მაღაროს ვაგონეტებს ჯერ მუშები ამოძრავებდნენ, ხოლო შემდეგ ცხენებსაც იყენებდნენ. გასული საუკუნის 90-იანი წლების დამლევისათვის მიწისქვეშა რელსებიანი რკინიგზა მხოლოდ 18 საწარმოში იყო გაყვანილი, ამიტომ სამთო გამონამუშევრებიდან მადნის ზედაპირზე გამოზიდვაში ხელურემი და ურიკები კვლავ ინარჩუნებდნენ მნიშვნელობას.[5] სამთო გამონამუშევრებში რელსებიანი გზის შეყვანამ გააადვილა, გააიაფა და გაადიდა მონგრეული მადნის გადმოზიდვა. ამან ხელი შეუწყო აგრეთვე

---

[3] Отчет Кавказского горного управления за 1910 год. Тиф., 1911, გვ. 83.

[4] ს. წერეთელი, მარგანეცი და მისი მრეწველობა საქართველოში, გაზ. „საქართველო", 1920, 29 იანვარი, № 20.

[5] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 11.

საბადოს ფენების რაციონალურ დამუშავებას, შესაძლებელი გახადა დაბალი ხარისხის მადნის, ასევე გამონამუშევრებში დაგროვილი ფუჭი ქანებისა და ჩამოშლილი მიწის გამოზიდვაც. ყოველივე ეს ხელს უწყობდა საბადოთა რაციონალურ ექსპლოატაციას. რელსებიანი გზები ბევრგან გაიმართა, არა მარტო მაღაროების სიღრმეში, არამედ საბადოთა ზედაპირზე, სადაც მადანს ლითონის, აგრეთვე ლითონისა და ხის (შერეული) მასალისგან დამზადებული ვაგონეტებით ეზიდებოდნენ.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს დაიწყო საბადოებიდან მდ. ყვირილას, ასევე მისი შენაკადების ხეობებისაკენ მადნის ჩამოზიდვის საშუალებათა ტექნიკურად მოწყობა, — მადნის ორგვარი ჩამოსაშვების — „ბრემსბერგისა" და საჰაერო-საბაგირო გზების მშენებლობა. მსხვილმა მრეწველმა გ. ემერიკმა 1899 წელს მღვიმევში პირველმა მოაწყო მადნის ჩამოსაშვები — „ბრემსბერგი"[6], რომლის სიგრძე 350 მეტრს შეადგენდა. დარკვეთში ინჟინერმა ა. ბრალიმ პირველმა გაიყვანა 270 მეტრი სიგრძის მადნის ჩამოსაშვები — „ბრემსბერგი". მისი მეშვეობით მადნის ჩაშვება ორი, თითო 40 ფუთის ტევადობის ვაგონეტით ხდებოდა. გზის გამტარუნარიანობა დიდი იყო: ყოველ 10 საათში 10—12 ათას ფუთ მადანს უშვებდა. ეს ჩამოსაშვები მალე შეიძინა და სრულყო ფრანგულმა სააქციო საზოგადოება „დარკვეთმა". ამ ტექნიკურმა სიახლემ მოცემულ მანძილზე 1 ფუთი მადნის გადაზიდვა 2—2,5 კაპიკით გააიაფა. საჰაერო-საბაგირო გზების მშენებლობაც პირველმა დაიწყო ინჟ. ბრალიმ, რაც შემდეგ შეიძინა და გამართა ფრანგულმა საზოგადოებამ „დარკვეთმა". ასეთივე გზის მშენებლობა წამოიწყო ინგლისურმა ფირმამ „კიტტელმა და კომპანიამ", რომელმაც 1900 წლისათვის ჩინებულად მოაწყო რკინის რელსებიანი გზები მაღაროში და ზედაპირზეც (მადნის გასაზიდად). ამგვარი ტექნიკური სიახლის დანერგვით საბადოებიდან რკინიგზის ჭიათურის შტოს სადგურებამდე მადნის გადაზიდვაში თანდათან იდევნებოდა სასაპალნე და საჭაპანო ტრანსპორტი. ამას საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიის სამთო სამმართველო, რომელიც თავის 1900 წლის „ანგარიშში" წერდა:

„საბადოებიდან ჭიათურის რკინიგზის შტომდე მადნის გადაზიდვაში საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტს ცვლის მექანიკური საჰაერო-საბაგირო დასაშვები და ბრემსბერგი". ინჟინერ ბრალისა, კიტტელისა და კომპანიის მაღაროებში შეყვანილია რელსებიანი გზები, მათ მოწყობილი აქვთ საჰაერო-საბაგირო გზები, რომლებიც უშუალოდ

---

[6] Статистика марганцевого дела, К., 1902, зз. 46.

უკავშირდება რკინიგზის შტოს სადგურებს[7]. აღსანიშნავია, რომ 1900 წლისათვის მრეწველობაში ტექნიკური სიახლეების დანერგვა ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება: ზედა რგანში, დარკვეთში, მღვიმევში და სხვა საბადო ზეგნებზე „ბრემსბერგების“ გვერდით მრავალ ადგილას განხორციელდა მადნის ჩამოსაშვები ღარების მშენებლობა. საურმე გზებამდე მადნის ჩასაშვებად ასეთი ვერტიკალური ღარები მოაწყვეს ინჟ. ლ. პანასიემ, გ. ემერიკმა და სხვ. „ბრემსბერგის“, საჰაეროსაბაგირო გზებისა და ვერტიკალური ღარების მშენებლობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო.

საერთაშორისო ბაზრებზე სხვადასხვა ქვეყნების მარგანეცის მადნის მოზღვავებისა და საკონკურენციო ბრძოლის გაჩაღების გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მადნის ხარისხს. ამავე დროს მსოფლიო ბაზრისათვის მაღალხარისხოვანი მადნის მიწოდება ჩვენგან ძნელდებოდა, რადგან ყველა საბადოში ერთნაირად მაღალხარისხოვანი მადანი არ მოიპოვებოდა, თანაც მადნის გარჩევა-გამდიდრება 90-იანი წლების თითქმის მიწურულამდე მეტწილად პრიმიტიული საშუალებით (მავთულის საცრებით, სარეცხებით და სხვ.) ხორციელდებოდა. მთელი აუცილებლობით წამოიჭრა მადნის გაუხვება-გამდიდრების, ანუ მისი ხარისხის ამაღლების პრობლემა. ამ საქმეში ადრე დანერგილი საშუალება არც თვისობრივად და არც რაოდენობრივად პასუხობდა გაზრდილ მოთხოვნილებას. ასეთ ვითარებაში ჭიათურის სამრეწველო რაიონში, გასული საუკუნის დამლევს, წამოიწყო მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობა. ეს საქმე პირველად 1899 წელს, წამოიწყო ჩვენთვის უკვე ცნობილმა ინჟ. ა. ბრალიმ, რომლისგანაც ის იმემკვიდრა საზოგადოება „დარკვეთმა“. უკანასკნელმა გამამდიდრებელი ფაბრიკა მალე შეიყვანა ექსპლოატაციაში. ეს ფაბრიკა, თანამედროვეთა შეფასებით ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, სადაც „მექანიკური ძალა ფართოდაა გამოყენებული როგორც მადნის გაწმენდა-დახარისხებაში, ასევე სხვა, ამ საქმესთან დაკავშირებულ ოპერაციებში“. ამ ფაბრიკის დანიშნულებასა და ტექნიკურ მოწყობილობას კავკასიის სამთო სამმართველო 1900 წელს ასე ახასიათებდა: საზოგადოება „დარკვეთმა“ მადნის ხარისხის გასაუმჯობესებლად მოაწყო გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომლის მთელ მოწყობილობასა და მექანიზმებს ორთქლის მანქანა ამოძრავებს. საამისოდ ფაბრიკაში დადგმულია კორნვალსის სისტემის 2 ორთქლის ქვაბი. ფაბრიკიდან რკინიგზის შტომდე გაყვანილია ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. რკინიგზის

[7] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 74, д. 348, л. 236—237.

შტოს სადგურზე მადანი მექანიკური საშუალებით იტვირთება ვაგონებში[8]. ამ ფაბრიკაში გამდიდრების შედეგად მიიღებოდა 52%-იანი მეტალური შემცველობის მარგანეცის მადანი. ასეთი და კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და მძლავრი ფაბრიკების მშენებლობა ჭიათურის აუზში 1900-იან წლებში გაძლიერდა. ჭიათურის მრეწველობაში, საერთოდ, და, კერძოდ, აქაური მადნის გაზიდვის საქმეში ტექნიკურ სიახლეთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე ჭიათურის შტოზე ძოძრავი ვაგონებიდან მაგისტრალური რკინიგზის ვაგონებში მადნის მექანიკურად გადატვირთვის მიზნით ხაზინის მიერ სად. შორაპანში (10 000 მანეთად) მოწყობილი ბუნკერები, რომლით სარგებლობისათვის მან ყოველ 1000 ფუთ მადანზე დააწესა 2 მანეთი. სახაზინო რკინიგზამ ამ გადასახადის სახით 1900 წელს 61 000 მანეთის შემოსავალი მიიღო[9]. მრეწველობისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურა-დარკვეთის რკინიგზის მწყობრში ჩადგომას. ეს გზა გაიხსნა 1900 წლის 18 ივლისს, რის შემდეგაც ის განუწყვეტლივ ძოქმედებდა. 1900 — 1901 წლების მიჯნაზე ჭიათურის რკინიგზამ დამატებით ჩაიბარა 300 ბაქანი[11].

ასე დაიწყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. საგრძნობლად განვითარდა მადნის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გამდიდრების ტექნიკა. სამთო გამონამუშევრებში და საბადოს ზედაპირზე მადნის გადაზიდვის გასაადვილებლად და გასაიაფებლად ბევრგან მოეწყო რელსებიანი გზები, მოეწყო „ბრემსბერგები", საჰაერო საბაგირო გზები, მადნის ჩამოსაშვები ღარები, აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა და წამოიწყო სხვა ამგვარი ფაბრიკების მშენებლობა, რკინიგზამ მიაღწია დარკვეთამდე, სადგურ შორაპანში წამოიწყო ჭიათურის შტოს ვაგონებიდან მაგისტრალური რკინიგზის ვაგონებში მადნის გადატვირთვის მექანიზაცია. დაწყებული სამრეწველო რევოლუცია მოასწავებდა წარმოების მანუფაქტურული სტადიიდან ქარხნულ-ინდუსტრიულ სტადიაზე გადასვლის მიმდინარეობას. ჭიათურაში საამისოდ ნიადაგი მოამზადა მანუფაქტურამ, რომელმაც შექმნა პირობები წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, მანქანურ წარმოებაზე გადასასვლელად.

---

[8] А. П. Соловьев, Марганцевая промышленность Грузии. Тиф., 1922, გვ. 13; Статистика марганцевого дела. К., 1902, გვ. 12; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 74, д. 348, л. 276.

[9] Кавказская марганцевая руда. К., 1901, გვ. 7.

[10] Труды VI съезда... марганцепромышленников... К., 1910, გვ. 40.

ამ გადასვლას, რაც საზოგადოდ, მრეწველობის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მოასწავებს სრულ ტექნიკურ გადატრიალებას, რომელიც აქარწყლებს ხელით მუშაობის ოსტატობას, ჩვენშიც გააჩნდა ორი მხარე: ტექნიკური და სოციალური[11]. ამ პროცესის განვითარებას ანუ, სახელდობრ, ტექნიკურ გადატრიალებას ჭიათურის მრეწველობაში ისევე, როგორც ეს საზოგადოდ ხდება მრეწველობის განვითარების შესაბამის საფეხურზე, მოჰყვა საზოგადოებრივი ურთიერთობის მძაფრი მსხვრევა, საბოლოო განხეთქილება წარმოების მონაწილე პირთა სხვადასხვა ჯგუფს შორის, „კაპიტალიზმის ყველა ბნელი მხარის გამწვავება და გაფართოება“[12]. სამრეწველო რევოლუციამ, რომელიც ჭიათურის მრეწველობაში ხანგრძლივ პროცესად წარმოგვიდგება, მოცემულ დარგში შექმნა კაპიტალისტური წარმოების ადექვატური ტექნიკური ბაზა და განამტკიცა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი.

სამრეწველო გადატრიალების დაწყების დაგვიანება და მისი განვითარების შედარებით ნელი ტემპი წარმოების მოცემულ დარგში, სხვა ფაქტორებთან ერთად, იმანაც განაპირობა, რომ აქ თავისუფალი კონკურენციის ბაზაზე წარმოების კონცენტრაციის პროცესი, ზემოდასახელებულ მიზეზთა გამო, სწრაფი ტემპით და ერთობ ფართო მასშტაბით არ მიმდინარეობდა: წვრილი, საშუალო და მსხვილი ათმთო საწარმოები ხანგრძლივი დროის მანძილზე თანაარსებობდნენ, ხოლო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაჩინო გაუმჯობესება და მანქანურ წარმოებაზე გადასვლა, რაც სამრეწველო გადატრიალების საფუძველს წარმოადგენს, მხოლოდ შედარებით მსხვილი კაპიტალების მქონე მრეწველებს შეეძლოთ. უკანასკნელთა რიცხვი და ხვედრითი წონა ჭიათურაში მხოლოდ გასული საუკუნის მიწურულიდან გახდა განსაკუთრებით თვალსაჩინო და სამრეწველო გადატრიალებაც სწორედ მხოლოდ ამ დროიდან გაღრმავდა. ამიერიდან დაჩქარდა, ერთი მხრივ, წარმოების კონცენტრაცია, ხოლო, მეორე მხრივ, სამრეწველო რევოლუციის მიმდინარეობა.

* * *

წარმოების კონცენტრაცია და ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა შესაბამის სამთო საწარმოებში ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას, ამცირებდა მოპოვებული მადნის თვითღირებულებას. მრავალრიცხო-

---

[11] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 535.

[12] იქვე, გვ. 535—536.

ვანი წვრილი სამთო საწარმო კი სტატისტიკურ მდგომარეობაში რჩებოდა. მათი მეპატრონეები მოკლებული იყვნენ დიდძალ საბრუნავ კაპიტალს, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო საწარმოს წინსვლა. წვრილ და საშუალო მეწარმეთა გაერთიანებების შექმნის მრავალმა ცდამ ნაყოფი არ გამოიღო. ინდივიდუალურად მოქმედი, შედარებით მცირე მასშტაბის სამთო საწარმოები ვერ ახერხებდნენ ტექნიკური სიახლეების დანერგვას, რაც სოლიდურ კაპიტალდაბანდებას მოითხოვდა. ამის მიუხედავად წარმოებაში ტექნიკური პროგრესი მაინც საგრძნობი იყო, მოპოვებული მადნის თვითღირებულებაც მცირდებოდა, უპირატესად მსხვილ საწარმოებში.

მაგრამ, ჩვენებური მარგანეცის მადნის თვითღირებულება, ზოგიერთი სხვა ქვეყნის მადანთან შედარებით, 1900 წელსაც უფრო მაღალია. ასე მაგალითად, 1900 წელს ჩვენებური და ბრაზილიური მადნის თვითღირებულება მის საექსპორტო, ადგილობრივ ნავსადგურებში ასეთია:

ცხრილი 4[13]

თვითღირებულების შემადგენელი სტატიები	ბრაზილიური ფუთი—კაპიკებში	ქართული ფუთი—კაპიკებში	1 ფუთი ქართული მადანი ჯდება ბრაზილიურზე მეტი ან ნაკლები
საბადოს იჯარა	0,75	1,85	+1,07
მოპოვება და რკინიგზამდე გაზიდვა	5,5	4,05	—1,45
დატვირთვა, გადმოტვირთვა რკინიგზის სხვადასხვა სადგურში	0,85	0,90	+0,05
ნავსადგურამდე რკინიგზით მადნის გადაზიდვა და სადგურის ხარჯები . .	3,93	9,77	+5,84
ადმინისტრაციული და სხვა გამოსაღები	1,04	1,50	+0,46
საკომისიო და სხვ. წვრილმანი ხარჯები	1,31	0,75	—0,56
სულ	14,45	21,57	

ვხედავთ, რომ შესაბამის ნავსადგურში ყოველი ფუთი ჩვენებური მადნის თვითღირებულება ბრაზილიურს აღემატება 7,12 კაპიკით. ამასთანავე მოტანილი მონაცემების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ ქართული მადნის თვითღირებულების ზრდის მთავარ ფაქტორს კვლავ სარკინიგზო ტარიფის შეუსაბამო სიდიდე წარმოადგენს, ხო-

[13] Отчет о деятельности Совета съезда избранного на III съезда марганцепромышленников, К., 1902, зз. 128.

ლო ბრაზილიურისას — მადნის მოპოვების ხარჯები. თუ რაოდენ მძიმე ტვირთად აწვა მრეწველობას რკინიგზის ტარიფის სიდიდე, ამას მოწმობს თუნდაც ასეთი ფაქტი: 1894—1897 წლებში ჭიათურის სამრეწველო რაიონში სამთო მუშებმა ხელფასის სახით მიიღეს სულ დაახლოებით 629 250 მანეთი, მეურმეებმა და ჩალვადრებმა 700 000, ხოლო რკინიგზის ჭიათურის შტომ ტარიფის სახით 4 200 000 მანეთი[14]. ცხრილიდან ჩანს აგრეთვე ჩვენში საბადოს საიჯარო ქირის სიდიდე ბრაზილიასთან შედარებით.

მეორე მხრივ, თუ მხედველობაში მივიღებთ, იმას, რომ ჭიათურის რკინიგზის შტოს გაყვანამდე აქაური მარგანეცის მადნის თვითღირებულება, როგორც ზემოთ დავინახეთ, ზესტაფონში 32 კაპიკს აღწევდა, ხოლო 1900 წელს საქართველოს ნავსადგურებში 21,57 კაპიკს არ სცილდებოდა, გამოდის, რომ ჩვენებური მადნის თვითღირებულება შემცირებულა 10,43 კაპიკით. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ რკინიგზის ჭიათურის შტოს გაყვანამდე ჭიათურიდან ზესტაფონამდე ფუთი მადნის საურმე გზით გადაზიდვა მინიმალურად 22 კაპიკი მაინც ჯდებოდა. უნდა შევნიშნოთ, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრამდე ყოველი ფუთი მადნის მოპოვება ჯდებოდა საშუალოდ დაახლოებით 2 კაპიკი, ხოლო 1900 წელს 2 კაპიკს აღემატებოდა, რაც ასევე გასაგები იქნება თუ გავიხსენებთ, რომ საბადოების ექსპლოატაცია დასაწყისში რამდენადმე იაფი ჯდებოდა, ხოლო შემდეგ — ძვირი, რადგან მადნის მოპოვება უკვე საბადოს წიაღში ღრმად შეჭრასთან და სამთო გამონამუშევრების დიდ სიღრმეში შესვლასთანაა დაკავშირებული. ეს უკანასკნელი აძნელებდა და აძვირებდა საბადოთა ექსპლოატაციას და მადნის ზედაპირზე გადმოზიდვასაც.

განვიხილეთ რა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარება 1895 — 1900 წლებში, დავინახეთ, რომ მან შედარებით მძლავრი აღმავლობა განიცადა. დასაბამი — მიეცა მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას და სამრეწველო გადატრიალებას. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სამრეწველო აღმავლობა ჭიათურის მრეწველობაში, 1900 — 1903 წლის მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გავლენით, დაღმავლობით შეიცვალა.

---

[14] Отчет о деятельности совета съезда, избранного на I съезда марганцепромышленников, К. 1900, зз. 148—149.

თავი III

ჰიათურის მარგანეცის მრეწველობა 1901—1903 წლების კრიზისისა და 1904—1905 წლების დეპრესიის პერიოდში

გასული საუკუნის დამლევიდან დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ეკონომიური კრიზისი დაიწყო. მაგრამ კრიზისმა ყველა ქვეყანაში, ასევე ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის ყველა რაიონში და მრეწველობის ყველა დარგში ერთდროულად და თანმიმდევრულად როდი იფეთქა. 90-იანი წლების სამრეწველო აღმავლობა რუსეთში კრიზისით შეიცვალა. 1899 წლის დამლევს ცხადი გახდა, რომ რუსეთში სამრეწველო კრიზისია. „ის აქ გაჩაღდა უფრო ადრე, ვიდრე დასავლეთ ევროპაში"[1]. შიდა რუსეთისგან განსხვავებით, სადაც სამრეწველო აღმავლობა 1900 წელს უკვე კრიზისით შეიცვალა, საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთ წამყვან დარგში, ჰიათურის მარგანეცის მრეწველობაში, კრიზისმა, რამდენადმე მოგვიანებით, 1901 წლიდან იჩინა თავი. 1900—1903 წლების ჭარბი წარმოების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა ძლიერ შეარყია ჰიათურის მარგანეცის მადნის მომხმარებელი — მსოფლიო მეტალურგია. რუსეთში, დასავლეთ ევროპის უძლიერეს კაპიტალისტურ ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში შემცირდა თუჯისა და ფოლადის წარმოება. ასე მაგალითად, ინგლისში თუჯის წარმოება 1901 წელს 1899 წელთან შედარებით დაეცა 15,8 %-ით, გერმანიაში კი თუჯის წარმოება 1901 წელს 1900 წელთან შედარებით შემცირდა 7,5%-ით. ხოლო ფოლადისა — 3,8 %-ით, საფრანგეთში თუჯის წარმოებამ იკლო 1900 წელთან შედარებით 1901 წელს 12 %ით, ფოლადისამ კი 9 %-ით. ამერიკის შეერთებული შტატების მეტალურგიაში კრიზისი მთელი სიმწვავით უფრო გვიან, 1903 წლის ნახევრიდან დაიწყო და მის შედეგად იქ ფოლადის წარმოება იმავე წლის მეორე ნახევარში შემცირდა 51 %-ით, ხოლო 1904 წელს 1902 წელთან შედარებით

---

[1] П. И. Лященко. История народного хозяйства СССР, т. II, გვ. 231.

დაეცა 7,3 %-ით, თუჯის წარმოება კი 1903 წლის უკანასკნელი შვიდი თვის მანძილზე შემცირდა 50,6 %-ით, ხოლო 1904 წელს 1903 წელთან შედარებით 8,4 %-ით[2]. ამან გამოიწვია ჭიათურის მარგანეცის ფასის დაცემა საერთაშორისო ბაზრებზე. ასე მაგალითად, ინგლისში 1900 წელს ფუთი ჩვენებური მადანი ღირდა 13 — $12^3/_4$ პენსი*, იმავე წლის დამლევს — 12, ანუ საშუალოდ, $12^1/_2$ პენსი, 1901 წლის დამდეგს, — $11^1/_2$, ხოლო იმავე წლის დამლევს $8^7/_8$ პენსი, ანუ საშუალოდ $9^5/_8$ პენსი, 1902 წლის დამდეგს — 9, ხოლო მის დამლევს $8^1/_2$ პენსი, ანუ საშუალოდ $8^8/_9$ პენსი[3].

ფერომარგანეცის ფასი ინგლისის ბაზარზე ასევე მკვეთრ დაცემას განიცდიდა: ოფიციალური მონაცემებით 1900 წლის იანვარში 1 ტონა ფერომარგანეცი ფასობდა 17 გირვანქა სტერლინგი, ერთი წლის შემდეგ, 1902 წლის იანვარში, ის დაეცა 11 გ სტერლინგამდე და, განაგრძობდა რა დაქვეითებას, იმავე წლის ივნისში დავიდა 9 გ. სტერლინგამდე[4]. სხვა სიტყვებით, უკანასკნელი ერთნახევარი წლის მანძილზე ფასი დაეცა თითქმის 50%-ით. იგივე შეიმჩნეოდა ამერიკის ბაზრებზე, სადაც 1900 წლის იანვარში ტონა ფერომარგანეცი ფასობდა 125 დოლარი, ერთი წლის შემდეგ, 1901 წლის იანვარში, 62 დოლარი და 50 ცენტი, ხოლო აგვისტოში 54 დოლარი და 55 ცენტი[5], ე. ი. შემცირდა 56%-ით და უფრო მეტადაც. ფერომარგანეცზე ფასის ასეთმა დაცემამ გამოიწვია მარგანეცის მადნის ფასის ასეთივე დაქვეითება. ეკონომიური კრიზისის შედეგად ჭიათურის მარგანეცის დაბალ ფასებში გასაღებაც კი მეტად გაძნელდა, რადგან მსოფლიო მეტალურგიის მოთხოვნილება მადანზე ძლიერ შემცირდა: თუკი 1900 წელს მასზე მოთხოვნილებამ 1 324 039 ტონას მიაღწია, 1901 წელს ის 1 158 107 ტონამდე დავიდა, ამან გავლენა იქონია ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაზე, რომელიც 1900 წელს მარგანეცის მადნის მსოფლიო მოხმარებას 45 %-ით აკმაყოფილებდა[6].

---

[2] იხ. Мировые экономические кризисы. 1848—1935, т. I, М., 1939, გვ. 245—265.

* პენსი — მეტალური ინგლისური მონეტა — დაახლოებით 4 კაპიკს უტოლდება. 12 პენსი შეადგენს შილინგს, 20 შილინგი — გირვანქა სტერლინგს ანუ ჩვენებური, იმდროინდელი კურსით 9 მანეთსა და 45 კაპიკს (იხ. Ф. Бублейников и Н. Лесинг, Марганцевая промышленность СССР, М., 1925, გვ. 18).

[3] Отчет о деятельности Совета съезда, избранного на III съезде марганцепромышленников, К., 1902, გვ. 112; Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 144.

[4] Отчет о деятельности Совета съезда, избран. на III съезде... გვ. 112.

[5] Статистика марганцевого дела, 1907, გვ. 28.

[6] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, 1903, л. 43 об.

კრიზისის შედეგად შემცირდა ახალი, მათ შორის უცხოური, კაპიტალის დაბანდება წარმოებაში. როგორც ქვემო (§ 3) დავინახავთ, კრიზისის გამო ვერ გაშალეს ფართო სამრეწველო საქმიანობა ამ დროისათვის „უმაღლესად“ დამტკიცებულმა ინგლისურმა და ფრანგულმა სააქციო საზოგადოებებმა. მათ არ გარისკეს დიდი კაპიტალების დაბანდება.

კრიზისის პერიოდში ჭიათურის მარგანეცს საერთაშორისო ბაზრებზე ძლიერ საშიში კონკურენტები გამოუჩნდა ინდოეთისა და ბრაზილიის მარგანეცის სახით[7]. ეს ადრინდელი კონკურენტები კრიზისმა არ შეარყია.

1903—1904 წლებში კრიზისი თანდათან მინელდა რუსეთშიც, მაგრამ დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით, ის სრულიად ლიკვიდირებული არ იყო 1904 — 1905 წლებისათვის. ჩვენში, კერძოდ, მარგანეცის მრეწველობაში სიმყარისა და მით უმეტეს გაუმჯობესების ნიშნებიც კი არ ჩანდა. 1904 წელს 1903 წელთან შედარებით წარმოების მასშტაბი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირდა, ხოლო 1905 წელს წინა წლის დონეზე გაიყინა. ამდენად, კრიზისის ციკლი აქ მხოლოდ 1905 წელს დასრულდა. ასე, რომ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში კრიზისმა 1905 წლის დამლევამდე გასტანა, ხოლო მისი მომდევნო დეპრესია, რაც რუსეთს მრეწველობამ ასე თუ ისე განიცადა, ჭიათურაში თითქმის არ შეიმჩნევა, რაც უკანასკნელის თავისებურებად წარმოგვიდგება.

§ 1. მადნის მოპოვების მკვეთრი შემცირება

როგორც აღვნიშნეთ, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის კრიზისი მადანზე მოთხოვნილების ძლიერ შემცირებამ, წარმოებაში კაპიტალის დენადობის შესუსტებამ გამოიწვია. ის გაამწვავა მეტოქე ქვეყნებში, ინდოეთსა და ბრაზილიაში 1901 — 1905 წლებში მარგანეცის მრეწველობის შეუნელებელმა აღმავლობამ. ამას დაერთო ჭიათურის სამრეწველო რაიონში მუშათა მასობრივი რევოლუციური მოძრაობის უმაგალითო გაქანება 1905 წელს, რევოლუციის აღმავლობის პერიოდში.

კრიზისმა აქ თავისი გამოხატულება პოვა პირველ რიგში სამთო საწარმოთა, ასევე მოქმედ მაღაროთა და შტოლნთა რიცხვის შემცირებაში. მან წარმოებიდან განდევნა მრავალი, უპირატესად წვრილი

---

[7] იხ. Отчет о деятельности Совета съезда, избр. на III съезде... გვ. 112.

საწარმოები. შესამჩნევი გახდა წარმოების კონცენტრაციის პროცესის გაგრძელება, რის მაჩვენებელიცაა მაღაროთა და შტოლნთა საშუალო წლიური წარმადობის გაზრდა, იდრინდელთან შედარებით. პროცესი უფრო გასაგებად წარმოგვიდგება თუკი ამ მხრივ კრიზისის წლებს შევადარებთ გასული საუკუნის მიწურულის სამრეწველო აღმავლობის კულმინაციურ (1900) წელს. ამ წელს მოქმედი მაღაროებია 348, შტოლნები — 715, თითოეულ მაღაროში შტოლნთა საშუალო რიცხვია — 2, მადნის საშუალო მოპოვება ერთ მაღაროში 116 000 ფუთი, ერთ შტოლნში 56 425 ფუთი, ხოლო 1901 — 1905 წლებში მათი რიცხვი და წარმადობა ასეთია:

ცხრილი 18

წლები	მოქმედი მაღაროები და შტოლნები		შტოლნთა რიცხვი თითოეულ მაღაროში (საშუალოდ)	მადნის საშუალო მოპოვება (ფუთობით)	
	მაღაროები	შტოლნები		ერთ მაღაროში	ერთ შტოლნში
1901	225	512	2,28	101 794	44 733
1902	277	470	1,69	93 592	55 168
1903	251	415	1,65	91 512	55 360
1904	211	302	1,43	96 001	67 073
1905	202	343	1,69	103 348	60 864

აქედან ჩანს, რომ 1901 წელს 1900 წელთან შედარებით მოქმედი მაღაროების რიცხვი შემცირდა 35,3 %-ით, შტოლნებისა — 28,3 %-ით, ხოლო მადნის საშუალო წლიური მოპოვება თვითოეულ მაღაროსა და შტოლნში შემცირდა შესაბამისად მხოლოდ 12,2 %-ით და 20,7 %-ით. ამავე დროს 1901 — 1905 წლებში, როგორც ცხრილი გვიჩვენებს, მოქმედ მაღაროთა და შტოლნთა რიცხვი შემცირების ტენდენციას ამჟღავნებს, ხოლო მათი საშუალო წლიური წარმადობა ერთგვარი ზრდით ხასიათდება. ეს იმით აიხსნება, რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ძლიერმა ტალღამ ძალუმად შეარყია ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა. წვრილ (გლეხურ) სამთო სარეწავთა უმეტესობა დაიხურა, ხოლო საშუალო და, მეტადრე, მსხვილმა სამთო საწარმოებმა შეინარჩუნეს არსებობა. ამიტომ, მოცემულ პერიოდში სამრეწველო რაიონში მაღაროთა და შტოლნთა რიცხვი განუხრელად მცირდებოდა, ხოლო მათი საშუალო წლიური მწარ-

[18] Статистика марганцевого дела. К., 1907. გვ. 23; ЦГИАЛ, ф. 23, оп. 67, л. 253, л. 13—14.

მოებლურობა იზრდებოდა. ამდენად, კრიზისმა ხელი შეუწყო წარმოების კონცენტრაციის ადრე დაწყებული პროცესის ერთგვარ გაღრმავებას.

კრიზისი მკვეთრად გამოიხატა მადნის მოპოვების მასშტაბის თითქმის სანახევროდ შემცირებაში. ასე მაგალითად, გასული საუკუნის დამლევის სამრეწველო აღმავლობის სარეკორდო (1900) წელს, როგორც ვიცით, მოპოვებულ იქნა 40 363 ათასი ფუთი მადანი, ხოლო კრიზისის ხანაში მოპოვება ასე შემცირდა[9]:

წელი	მოპოვებული მადანი (ათას ფუთობით)
1901	22 905
1902	25 935
1903	22 974
1904	20 256
1905	20 876

ამგვარად, მადნის მოპოვება ჭიათურაში 1901 წელს 1900 წელთან შედარებით შემცირებულია 43,25%-ით, 1905 წელს კი 48,27%-ით. როგორც ვხედავთ, მოპოვების ოდენობა მკვეთრად შემცირდა 1901 წელს, ხოლო მომდევნო წლებში ამ მხრივ რამდენადმე სტაბილური მდგომარეობა იქმნება: 1901 წლიდან 1905 წლამდე ის მცირდება, თუმცა შედარებით უმნიშვნელოდ. კრიზისის წლებში 1900 წელთან შედარებით მადნის მოპოვება თითქმის სანახევროდაა შემცირებული, მაგრამ, თუ კრიზისის ხუთწლედის საშუალო წლიურ მოპოვებას მრეწველობის წინა ხანის ხუთწლედების ანალოგიურ მონაცემებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ საშუალო ხუთწლიური მოპოვება არ შემცირებულა. ასე მაგალითად, თუ მოპოვებას წარმოვადგენთ ხუთწლედების მიხედვით, მივიღებთ:

ცხრილი 2[10]

ხუთწლედები	სულ მოპოვებული იქნა (ფუთობით)	საშუალო წლიური მოპოვება	საშუალო წლიური მოპოვების ზრდა წინა ხუთწლედთან შედარებით	
			აბსოლუტურად	შეფარდებით
1886—1890	23 966 462	4 793 292	—	—
1891—1895	44 979 480	8 995 896	+ 4 202 604	+ 87,67%
1896—1900	112 513 223	22 502 644	+13 506 748	+150,03%
1901—1905	112 937 049	22 587 409	+84 765	+ 0,37%

აქედან ჩანს, რომ მადნის საშუალო მოპოვება წინანდელთან შედარებით ყოველ ხუთწლედში იზრდება, სახელდობრ, კრიზისის ხუთ-

[9] В. Л. Тухолка, Железные и марганцевые руды, М. Л., 1927. გვ. 66—67; ЦГИАЛ, ф. 23, оп. 67, д. 253, л. 13.

[10] Статистика марганцевого дела, К., 1907, გვ. 8.

წლედში (1901 — 1905 წწ.), სამრეწველო აღმავლობის ხუთწლედთან (1896 — 1900 წწ.) შედარებითაც კი ის არ შემცირებულა. ეს გარემოება მითუმეტეს საყურადღებოა წარმოების კონცენტრაციაზე დაკვირვებისას, რადგან კრიზისის პერიოდში, გასული საუკუნის უკანასკნელ ხუთწლედთან შედარებით, მრეწველთა და, მაშასადამე, სამთო საწარმოთა რიცხვი, როგორც ნაშრომის მომდევნო ქვეთავში დავინახავთ, ძლიერ შემცირდა.

§ 2. სამრეწველო ბურჟუაზიის რიგების შემცირება. მრეწველთა კატეგორიები და მათ თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებანი

შრავალრიცხოვანი წვრილი (გლეხური) სამთო საწარმოები კრიზისამდეც მუდამ განიცდიდნენ საბრუნავი კაპიტალის ნაკლებობას ან უქონლობას. მაგრამ მაშინ ისინი ასე თუ ისე ახერხებდნენ მცირეოდენი კრედიტის მიღებას (უპირატესად მადნის შემსყიდველებისაგან), ან დამზადებულ ნაწარმს გზადაგზა ასაღებდნენ და საქმიანობას მაინც განაგრძობდნენ. კრიზისის პერიოდში წვრილი მეწარმენი კრედიტს ვერ შოულობდნენ, მადნის იმთავითვე გასაღებასაც ვერ ახერხებდნენ. მადანზე მოთხოვნილება შემცირდა, მისი გასაღება გაჭიანურდა. ადგილზე (მოპოვებული) მადნის დიდი მარაგი შეიქმნა; საკმარისია ითქვას, რომ 1903 წლის აგვისტოსათვის ჭიათურის აუზში გასასაღებლად გამზადებული მადნის მარაგმა 42 მილიონი ფუთი შეადგინა[1]. ამან კი ძლიერ დასცა მადნის ფასი: 1900 წელს ფუთი მადანი ჭიათურის სადგურზე 12 კაპიკამდე ფასობდა, ხოლო 1904 წელს მხოლოდ $3^1/_6$[2]. ყოველივე ამან გამოიწვია წვრილ მეწარმეთა დიდი ნაწილის განდევნა წარმოებიდან, საბოლოო ჯამში კი მრეწველთა და სამთო საწარმოთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ პროცესის საილუსტრაციოდ იძულებული ვხდებით დავჯერდეთ სამრეწველო სტატისტიკის ოფიციალურ მონაცემებს, რომლებიც სამთო საწარმოთა რიცხვის ცვალებადობას სწორად ასახავენ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ იძლევიან რამდენადმე ზუსტ ცნობებს სხვადასხვა კატეგორიის სამთო საწარმოთა თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებების სწორად დასადგენად, კერძოდ, ისინი, როგორც 1904 წელს შედგენილი „მრეწველთა სიის“ მონაცემების განხილვა გვიჩვენებს, შეტისმეტად შემცირებული სახით წარმოგვიდგენენ მსხვილ სამთო საწარმოთა რიცხვსა და ხვედრით წონას წარმოებაში.

---

[1] ЦГИАЛ, ф. 37. оп, 55, д. 609, 1903, л. 44.

[2] ЦГИАЛ, ф. 22, оп. 2, д. 1894, 1904, л. 198; Труды VI съезда... марганцепромышленников... К., 1910, გვ. 340.

მრეწველთა კატეგორიები	წლები																			
	1901				1902				1903				1904				1905			
	მრეწველთა და ფირმათა რიცხვი		მოპოვებული მადნის რაოდენობა		მრეწველთა და ფირმათა რიცხვი		მოპოვებული მადნის რაოდენობა		მრეწველთა და ფირმათა რიცხვი		მოპოვებული მადნის რაოდენობა		მრეწველთა და ფირმათა რიცხვი		მოპოვებული მადნის რაოდენობა		მრეწველთა და ფირმათა რიცხვი		მოპოვებული მადნის რაოდენობა	
	აბსოლუტური	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური (ათას ფუთობით)	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური (ათას ფუთობით)	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური (ათას ფუთობით)	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური (ათას ფუთობით)	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური	შეფარდებითი %-ში	აბსოლუტური (ათას ფუთობით)	შეფარდებითი %-ში
I	85	48,14	3,037	13,23	92	50,27	3,815	14,72	100	55,55	4,022	17,51	83	53,21	3,606	17,22	112	62,93	5,681	27,21
II	88	49,37	15,048	65,70	89	48,64	17,628	67,99	77	42,78	14,989	65,24	70	44,87	13,985	69,04	64	35,95	12,619	60,45
III	4	2,49	4,818	21,07	2	1,09	4,481	17,29	3	1,67	3,962	17,25	3	1,92	2,663	13,15	2	1,12	2,575	12,34
სულ	177	100	3697	—	183	100	414,9	100	180	100	376,3		156	100	3318	100	178	100	341,9	100

[3] მოცემული ცხრილის შედგენისას ჩვენ მოკლებული ვიყავით რამდენადმე სანდო წყაროებით სარგებლობის შესაძლებლობას, რადგანაც ის არ არსებობს. ამიტომ კრიტიკულად განვიხილეთ და ერთმანეთს შევაჯერეთ სხვადასხვა ოფიციალურ წყაროთა შესაფერისი მონაცემები: იხ. ЦГИАЛ, Ф. 37, оп. 53, д. 323, 1904—1905 г г., л. 190—193; ЦГИАЛ, Ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 38; Ф. 23, оп. 67, д. 253, л. 13—14 об.; Статистика марганцевого дела, к., 1902, გვ. 37; Статистика марганцевого дела, К., 1907, გვ. 21—27.

ამის მიუხედავად, სხვა უფრო სანდო წყაროთა არარსებობის გამო, შევმართოთ სამრეწველო სტატისტიკის ოფიციალურ მონაცემებს. კრიზისის წლებში მრეწველთა საერთო რიცხვის შემცირებისა და წარმოებაში სხვადასხვა კატეგორიის მეწარმეთა თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებების ამსახველი ოფიციალური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე ჩვენ მიერ შედგენილი მე-3 ცხრილი ასეთ სურათს წარმოგვიდგენს (იხ. გვ. 181).

ცხრილიდან ჩანს, რომ კრიზისის პირველ წელს 1900 წელთან შედარებით მრეწველთა საერთო რიცხვი შემცირდა უმთავრესად წარმოებიდან წვრილ მრეწველთა თითქმის ორი მესამედის განდევნით, ხოლო საშუალო მრეწველთა რიცხვი, მართალია, აბსოლუტურად შემცირდა, მაგრამ მრეწველთა საერთო მასაში მათი შეფარდებითი რაოდენობა გაიზარდა. სამრეწველო სტატისტიკა შემცირებულად წარმოგვიდგენს მსხვილ მრეწველთა აბსოლუტურ და შეფარდებით რაოდენობასაც, რომლის ცნობით, მადნის მოპოვებაში 1901 წელს გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ საშუალო მრეწველები, მეორე ადგილზე იყვნენ მსხვილი, ხოლო მესამეზე — წვრილი მრეწველები. 1901 — 1905 წლებში მრეწველთა რიცხვი შედარებით სტაბილურია. ამასთანავე, 1905 წელს 1904 წელთან შედარებით წვრილ მრეწველთა რიცხვი რამდენადმე გაიზარდა, ხოლო საშუალო და მსხვილ მრეწველთა რიცხვი შემცირდა. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ წვრილ სარეწავებს, სადაც ერთეული მუშები იყო თავმოყრილი, სამრეწველო რაიონში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის ძლიერი გავლენა არ განუცდიათ. რევოლუციური მოძრაობა თავიდანვე ჩაისახა და მან გაქანებას მიაღწია სწორედ უმსხვილეს, მსხვილ, აგრეთვე საშუალო საწარმოებში[4], სადაც სამთო მუშათა შედარებით დიდი მასა იყო თავმოყრილი. 1901 — 1905 წლებში წვრილ მრეწველთა მონაწილეობა მარგანეცის მადნის საერთო მოპოვებაში ძლიერ შემცირდა, ხოლო საშუალო, მსხვილ და უმსხვილეს საწარმოთა, პირიქით, გაიზარდა. ამ პროცესზე დაკვირვებისათვის სამრეწველო სტატისტიკა შეიცავს საგულისხმო მონაცემებს, რომელთა მიხედვით შეიძლება უფრო დეტალურად გავერკვეთ მადნის მოპოვებაში სხვადასხვა შესაძლებლობის საწარმოთა როლის ცვალებადობაში. აი, ეს მონაცემები:

---

[4] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5734, л. 47.

წლები	1 ათასამდე ფუთის მოპოვებით	1 ათასიდან 10 ათასამდე	10 ათასიდან 50 ათასამდე	50 ათასიდან 100 ათასამდე	100 ათასიდან 200 ათასამდე	200 ათასიდან 500 ათასამდე	500 ათასიდან 1 მილიონამდე	1 მილიონზე მეტის მოპოვებით	სულ
1901	—	13	45	27	53	38	1	2	177
1902	1	9	48	34	50	39	1	1	183
1903	—	16	40	44	51	26	2	1	180
1904	1	4	42	36	41	29	2	1	156
1905	—	5	51	56	38	26	—	2	178

ცხრილიდან ჩანს, რომ მრეწველები, რომლებიც 1 ათას ფუთზე ნაკლებს ამზადებდნენ, თითქმის მთლიანად განდევნილია წარმოებიდან, მნიშვნელოვნად შემცირდა 10 ათას ფუთზე ნაკლები მადნის მომპოვებელთა რიცხვი. ძალიან გაიზარდა იმ მრეწველთა რიცხვი, რომლებიც წელიწადში 10-დან 100 ათასამდე ფუთ მადანს ამზადებდნენ. მართალია, 100 ათას ფუთ მადანზე მეტის მომპოვებელთა რიცხვი აბსოლუტურად მცირდება, მაგრამ სინამდვილეში ისინი გადამწყვეტ როლს თამაშობენ მადნის საერთო მოპოვებაში. ამაზე მეტყველებს მადნის საერთო წლიურ მოპოვებაში მრეწველთა სხვადასხვა „ჯგუფის“ მონაწილეობის შედარებით ზუსტი მაჩვენებლები: ასე მაგალითად, 1905 წელს წარმოებაში ჩაბმულ 178 მრეწველის მიერ მოპოვებული 20 876 487 ფუთი მადნიდან 5 მრეწველმა (1 ათასიდან 10 ათას ფუთამდე მადნის მოპოვებით) დაამზადა 29 ათასი ფუთი, 51 მრეწველმა (10 ათასიდან 50 ათასამდე ფუთის მოპოვებით) — 1,559 ათასი ფუთი, 56 მრეწველმა (50 ათასიდან 100 ათას ფუთამდე მოპოვებით) — 4 093 963 ფუთი, 38 მრეწველმა (100 ათასიდან 200 ათასამდე ფუთის მოპოვებით) — 5 427 308 ფუთი, 26 მრეწველმა (200 ათასიდან 500 ათასამდე ფუთის მოპოვებით) — 7 192 216 ფუთი, ხოლო ორმა მრეწველმა (ერთ მილიონზე მეტის მოპოვებით) — 2 575 ათასი ფუთი მადანი[6].

ამრიგად, ჩანს, რომ მადნის საერთო მოპოვებაში მრეწველთა სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობა იზრდება ნაჩვენები თანმიმდევრობით, ანუ, სხვანაირად, წვრილ მრეწველთა მონაწილეობა უმნიშვნე-

[5] იხ. Статистика марганцевого дела, К., 1907, გვ. 19.

[6] იქვე.

ლოა, ხოლო საშუალო და აგრეთვე მსხვილ მრეწველთა ხვედრითი წონა მადნის საერთო მოპოვებაში იზრდება.

მოტანილი მონაცემები მეტყველებენ, რომ წარმოების გამსხვილება, ანუ, უფრო ზუსტად, წვრილ მრეწველთა ხვედრითი წონის შემცირება და საშუალო, აგრეთვე მსხვილ მრეწველთა როლის ზრდა დამახასიათებელი იყო კრიზისის პერიოდისათვის. ამ ტენდენციის გამოვლინებაა საშუალოდ ყოველი მრეწველის მიერ მოპოვებული მადნის ოდენობის ყოველწლიური ზრდა: ასე, მაგალითად, 1900 წელს, როცა ჭიათურაში მადნის მოპოვებამ მანამდე არნახულ დონეს მიაღწია, საშუალოდ ერთ მრეწველზე მოდიოდა 107 279 ფუთი მადანი, ხოლო

1901	წელს	127 958[7]	ფუთი
1902	„	141 667	„
1903	„	130 833	„
1904	„	129 842	„
1905	„	133 430[8]	„

ამრიგად, კრიზისის პერიოდში თითოეული მრეწველის საშუალო წლიური მოპოვება 1900 წელთან შედარებით გაიზარდა და ის შემდეგშიც მატულობდა, რაც გვანიშნებს სამთო საწარმოთა გამსხვილებაზე. მაგრამ, როგორც დავინახავთ, ზემომოტანილი მონაცემებიც არასრულად წარმოგვიდგენენ სამთო საწარმოთა გამსხვილების პროცესის მიმდინარეობას. ამას გვიჩვენებს ჩვენ მიერ მიკვლეული საარქივო დოკუმენტი: „კავკასიის 1 ოკრუგის სამთო და „სამთო-საქარხნო საწარმოთა სია (1904 წ.)"[9], სადაც წარმოდგენილია ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა სიაც. აქ დასახელებულია ყოველი მრეწველი და მის საწარმოში დასაქმებულ მუშათა რიცხვი. ეს სია შესაძლებლობას გვაძლევს საწარმოები დავაჯგუფოთ მათ მიერ დასაქმებულ მუშათა რიცხვის გათვალისწინებით. აქვე შევნიშნოთ, რომ სიაში ირიცხება 175 მრეწველი, ნაცვლად სტატისტიკურ კრებულში დასახელებული რიცხვისა 156. სიაში აღრიცხულია 2 996 სამთო მუშა. სურათის სისრულისათვის ჯერ, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება მუშათა რიცხვის გათვალისწინების ნიშნის მიხედვით მოვახდინოთ სამთო საწარმოთა შედარებით დეტალური დაჯგუფება. ასე მაგალითად, ჩვენი გამოთვლით 1904 წელს სხვადასხვა სამთო საწარმო მუშათა რიცხვისა და მათი საერთო რაოდენობის მხრივ ასე იყოფოდა:

---

[7] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 42.

[8] Статистика марганцевого дела, К., 1907, გვ. 33—40.

[9] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 58, д. 328, 1905, л. 188—193.

15	სამთო	საწარმოში	ირიცხებოდა	1-დან 3-მდე	მუშა,	სულ კი	38 მუშა
70	„	„	„	4-დან 10-მდე	„	„	465 „
22	„	„	„	10-დან 15-მდე	„	„	329 „
20	„	„	„	15-დან 20-მდე	„	„	348 „
15	„	„	„	20-დან 25-მდე	„	„	367 „
7	„	„	„	25-დან 30-მდე	„	„	194 „
15		„	„	30-დან 40-მდე	„	„	564
5		„	„	40-დან 50-მდე	„	„	230 „
3		„	„	50-დან 60-მდე	„	„	168 „
3		„	„	60 მუშაზე მეტი		„	293 „

ამგვარად, 175 საწარმოს შორის 2 996 სამთო მუშის განაწილების ზემომოტანილი მაჩვენებლები იმაზე მეტყველებს, რომ შედარებით წვრილ საწარმოებში მუშათა მცირე რიცხვია თავმოყრილი, ხოლო თუ წინამდებარე ნაშრომის წინა თავებში ჩვენ მიერ შემოღებული ნიშნის მიხედვით, საწარმოებს უფრო მსხვილ ჯგუფებად წარმოვადგენთ, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ: 85 წვრილ საწარმოში, სადაც 1-დან 10 მუშამდეა დასაქმებული, 503 მუშაა, 57 საშუალო საწარმოში, სადაც 10-დან 25 მუშამდეა, სულ 1044 მუშაა, 33 მსხვილ საწარმოში (25-ზე მეტი მუშით) კი 1449 მუშაა. აქედან აშკარაა, რომ წარმოებაში ჩაბმულ სამთო მუშათა ძირითადი მასა შედარებით მსხვილ, აგრეთვე საშუალო საწარმოებშია თავმოყრილი, ხოლო წვრილ საწარმოებში მუშათა საერთო რიცხვის მხოლოდ ერთი მეექვსედი. მრეწველთა სიაზე დაკვირვება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ 1904 წელს მსხვილ მეწარმეთა რიცხვი 30-ს აღემატება[10]. ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ კრიზისის წლებში წვრილი მეწარმეებიდან ბევრი ჩამოცილდა საქმეს, ხოლო საშუალო და მსხვილ მეწარმეთა ხვედრითი წონა წარმოებაში გაიზარდა და აქ ადგილი ჰქონდა მუშახელის კონცენტრაციას, რასაც გვიდასტურებს მრეწველთა 1904 წლის სიის მონაცემები[11]. ეს სია უფრო სწორად ასურათებს სხვადასხვა კატეგორიის მრეწველთა თანაფარდობას მარგანეცის წარმოებაში, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც მრეწველთა კატეგორიებად დაჯგუფებისას მხოლოდ იმას ითვალისწინებს, თუ რამდენი მადანი მოიპოვა ამა თუ იმ მეწარმემ და სრულებით არ უწევს ანგარიშს მუშათა რიცხვს ამა თუ იმ სამთო საწარმოში. ჩვენ მოგვეპოვება სარწმუნო ცნობები, რომლებიც დაბეჯითებით მოწმობენ, რომ სამთო საწარმოთა მასშტაბის განსაზღვრისას ხშირად უტყუარ კრიტერიუმს წარმოადგენს სწორედ მასში

[10] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 58, д. 328, л. 188—193.
[11] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 1781, л. 19—24.

დასაქმებული მუშათა რიცხვი და არა მოპოვებული მადნის ოდენობა, რადგან მსხვილ სამთო საწარმოებში წლების მანძილზე მიმდინარეობდა საბადოთა საექსპლოატაციოდ მომზადებასთან დაკავშირებული სამუშაოები შედარებით დიდძალი მუშახელის გამოყენებით.

1904 წლის სია მრეწველთა ეროვნულ და სოციალურ შემადგენლობაზე დაკვირვების ერთგვარ საშუალებასაც იძლევა. სიიდან ჩანს, რომ მრეწველთა საერთო რიცხვიდან (175) სხვა ეროვნებისაა 14 (ბერძენი — 4, გერმანელი — 3, სომეხი —2, ფრანგი — 2, რუსი — 1, ებრაელი — 1, ინგლისელი — 1), ხოლო ქართველები — 161, მათ შორის ირიცხება მღვიმევის ქალთა მონასტერი და საზოგადოება „შავი ქვა". დანარჩენი 159 მეწარმიდან (6 მცირე ამხანაგობაა) თავადაზნაურობიდანაა დაახლოებით 73, ხოლო გლეხობიდან 80[12]. როგორც ვხედავთ, კრიზისის წლებში მრეწველთა სოციალური შემადგენლობა ძლიერ შეცვლილა: თუკი ადრე მათ შორის რიცხობრივად გლეხთა წრიდან გამოსულნი შედარებით საგრძნობლად სჭარბობდნენ, ამჯერად პრივილეგიური წოდებიდან თითქმის იმდენივეა, რამდენიც გლეხობიდან. ამ ცვლილებას ადასტურებს ისეთი შედარებით სანდო წყაროც, როგორიცაა ჭიათურის მოსახლეობის 1903 წლის 18—20 იანვრის აღწერა, სადაც ვკითხულობთ, რომ ჭიათურაში მცხოვრებ 140 მარგანეცის მრეწველიდან (აქ უცხოელებიცაა ნაგულისხმევი) გლეხური წარმოშობისაა 64[13].

მრეწველთა საერთო მასაში გლეხური წარმოშობის მეწარმეთა აბსოლუტური და შეფარდებითი რაოდენობის შემცირება კანონზომიერად წარმოგვიდგება, თუ გავიხსენებთ, რომ კრიზისის შედეგად ყველაზე მეტი რაოდენობით სწორედ წვრილი (გლეხური) სარეწავები დაიხურა.

§ 8. ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა. უცხოური საპაქციო საზოგადოებანი, ადგილობრივ მრეწველთა ამხანაგობანი და „სინდიკატის" ტიპის გაერთიანება

ზემოთ ვნახეთ, რომ 1901 — 1905 წლების კრიზისი ჭიათურაში აღინიშნა მარგანეცის მრეწველობის დაქვეითებით, მრეწველთა რიცხვის თითქმის სანახევროდ შემცირებით. კრიზისმა განსაკუთრებით შეარყია წვრილ მრეწველთა პოზიციები. წვრილ მრეწველთა მდგო-

---

[12] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 58, д. 328, л. 188—193.

[13] Статистика Чиатурского населения по переписи, произведенной статистическим бюро Совета съезда Шорапанских марганцепромышленников 18—20 января 1903 года, К., 1905, гр. 7.

მარეობა ისედაც მძიმე იყო, მით უმეტეს, რომ მადნის მოპოვება ამ დროისათვის დაკავშირებული იყო საბადოთა წიაღში ღრმად შეჭრასთან და სამთო გამონამუშევრების გაყვანასთან, რაც გარკვეული ოდენობის საბრუნავი კაპიტალის გარეშე მათ არ შეეძლოთ. კრიზისის პერიოდში მადანზე მოთხოვნილება შემცირდა, მისი ფასი დაეცა, მადნის იმთავითვე რეალიზაცია, მისი წინასწარ გაყიდვა და მადნის ექსპორტიორთაგან ავანსისა და კრედიტის მიღება გაძნელდა. ასეთ ვითარებაში ერთმანეთს კიდევ უფრო მკვეთრად დაუპირისპირდნენ სხვადასხვა კატეგორიის მეწარმენი, ადგილობრივნი და უცხოელნი. მრეწველები და ექსპორტიორები. გამწვავდა ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა მარგანეცის მრეწველობაში და მადნის საშინაო ბაზარზე. უცხოური კაპიტალი, რომელიც მარგანეცის მადნის ადგილობრივ ბაზარზე თითქმის განუყოფლად ბატონობდა, ახალი ძალით ლამობდა მარგანეცის მრეწველობაში ფართოდ შეჭრას, ადგილობრივი კაპიტალი კი, პირიქით, მადნის ადგილობრივ ბაზარზე უცხოური კაპიტალის ბატონობის ალაგმვას და მრეწველობაში საკუთარი პოზიციების შენარჩუნებას ცდილობდა. ამ პროცესმა თავისი გამოხატულება პოვა, ერთი მხრივ, ჭიათურაში სამოქმედოდ უცხოურ სააქციო საზოგადოებათა ჩამოყალიბებაში, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივ მრეწველთა სხვადასხვა ფორმის გაერთიანებათა ჩამოყალიბებაში.

ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა ჭიათურაში, როგორც აღვნიშნეთ, მარგანეცის მადნის საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყებისთანავე ჩაისახა. ამ მეტოქეობის მთელ მანძილზე ადგილობრივი და რუსული სამრეწველო კაპიტალის შედარებითი სისუსტე ხელსაყრელ ობიექტურ პირობებს უქმნიდა უცხოურ კაპიტალს ჭიათურის მრეწველობაში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან უცხოური კაპიტალის შემოჭრას ჩვენში ხელს უწყობდა აგრეთვე კავკასიის ადმინისტრაცია. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველი კავკასიაში თავადი გოლიცინი თავისი საქმიანობის დაწყებისთანავე დაინტერესდა უცხოელთა მოზიდვით მხარის ეკონომიური ცხოვრების გასაძლიერებლად. 1898 წელს გოლიცინმა გუბერნატორებს დაავალა შეეგროვებინათ ცნობები ამიერკავკასიაში უცხოელთა მიწათმფლობელობის მასშტაბის დასადგენად[1]. აღმოჩნდა, რომ ქუთაისის გუბერნიაში უცხოელები თავმოყრილი იყვნენ უმთავრესად ნავსადგურებსა და ქალაქებში; მაზრებსა და ოკრუგებში კი ისინი ფლობდნენ დაახლოებით

[1] ЦГИАЛ. ф. 1263. оп. 2. д. 5334. 1898 г., л. 699.

4000 დესეტინას. მათ ხელთ არსებული ნაკვეთების ფართობი 1-დან 800 დესეტინამდე აღწევდა[2]. თბილისის გუბერნიის ხუთ მაზრაში უცხოელთა მფლობელობაში მიწების ფართობი ასევე არ აღემატებოდა 4000 დესეტინას[3]. ვითარების დეტალურად შესწავლის შემდეგ, გოლიცინმა დასაბუთებული შუამდგომლობით ჰიმართა მინისტრთა კომიტეტს. რათა მხარის ეკონომიური ათვისების მიზნით კავკასიაზე გავრცელებულიყო «Особые правила о приобретении иностранцами в собственность или в срочное владение и пользование недвижимых имуществ в некоторых губерниях западной полосе России»[4]. მთავარმმართველი მოითხოვდა გამონაკლისის დაშვებას — ხსენებული კანონის გავრცელებას კავკასიაში საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით. მის მიერ შეტანილი კანონპროექტის თანახმად მთავარმმართველს უფლება ენიჭებოდა ფაბრიკა-ქარხნების ასაშენებლად (ფინანსთა სამინისტროს თანხმობით) ასევე სამთო-საქარხნო მრეწველობის დასაფუძნებლად (მიწათმოქმედების სამინისტროს თანხმობით) ნება დაერთო უცხოელებისათვის შეეძინათ ნაკვეთები და დასახლებული მიწები[5]. თავის შუამდგომლობისა და კანონპროექტის დასაბუთებისას, გოლიცინი კავკასიას ადარებდა რუსეთის დასავლეთის რაიონებს და ხაზგასმით აღნიშნავდა: „კავკასია თავისებურ მდგომარეობაშია და ჯერჯერობით უცხოური კაპიტალის გარეშე ძნელდება მრეწველობის განვითარება, განსაკუთრებით იმ სისუსტის გამო, რომელსაც რუსული კაპიტალი იჩენს. თავისუფალი კაპიტალების არარსებობა, საქარხნო და საფაბრიკო მრეწველობის ჩანასახოვანი მდგომარეობა, სოფლის მეურნეობის დაბალი დონე, ტექნიკური ცოდნის უკმარობა და ადგილობრივი მოსახლეობის სუსტი თაოსნობა მომავალშიც დიდხანს დააბრკოლებს მხარის ეკონომიურ განვითარებას. ასეთ პირობებში შეუძლებელია უარი ვთქვათ კავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობაზე, ამავე დროს თუკი მათ ავუკრძალავთ უძრავი ქონების შეძენას, უცხოური კაპიტალის დენადობა შეწყდება, რაც აშკარა ზიანს მიაყენებს მხარის ეკონომიურ ინტერესებს"[6]. მხარის ეკონომიური განვითარების დონის გოლიცინისეული შეფასება ზუსტი არ არის, მაგრამ აქ ჩვენთვის მთავარია კავკასიის ადმინისტრაციის მისწრაფება მხარის ეკონომიური დაწინაურებისადმი, თუნდაც

---

[2] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5334, 1898, л. 699, 708.
[3] იქვე, ფურც. 699, 708—709.
[4] იქვე, ფურც. 669—700.
[5] იქვე, ფურც. 700—701.
[6] იქვე, ფურც. 699. მეორე გვერდი.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. გოლიცინის ზემოხსენებულ შუამდგომლობაში მთელი სიცხადითაა წარმოდგენილი კავკასიის ადმინისტრაციის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკა, რომლის დედააზრს და მიზანს გასული საუკუნის 90-იან წლებში წარმოადგენდა მხარის სრული ეკონომიური დაპყრობა. კავკასიის ადმინისტრაცია ამ მიზნის მიღწევას მხარის სამრეწველო-ეკონომიური განვითარებისათვის ხელშეწყობით ცდილობდა. კავკასიაში კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის ამგვარად წარმართვას მოცემულ, კონკრეტულ შემთხვევაში, ისე როგორც საზოგადოდ, ეწინააღმდეგებოდნენ საიმპერიო მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელთაც მიაჩნდათ, რომ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში რუსული კაპიტალის უმოქმედობისას უცხოური კაპიტალის შემოჭრა-დამკვიდრება საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის ბატონობას, ხელს შეუშლიდა კავკასიის გარუსებასა და შერწყმას რუსეთის იმპერიასთან. ამ მხრივ ნიშანდობლივია შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლა მინისტრთა კომიტეტში გოლიცინის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობისა და კანონპროექტის წინააღმდეგ. „კავკასია, — განაცხადა მან, — თავისი მრავალტომობრივი მოსახლეობით, რუსეთის ხელში არსებობის მანძილზე ჯერ კიდევ არაა სრულად შერწყმული რუსეთთან და რუსული მოქალაქეობრიობის დამკვიდრება ამ მხარეში კვლავ შეადგენს მთავრობის ამოცანას, რომლის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია პირველ რიგში როგორც რუსული ელემენტის გაძლიერება ადგილობრივი მოსახლეობის შემადგენლობაში, ასევე მხარის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიური მოღვაწეობის ყველა სფეროში“. „ამავე დროს, — განაგრძობს შინაგან საქმეთა მინისტრი, — ბუნების სიმდიდრეებით უხვად დაჯილდოებული კავკასია, რომელიც ამ სიმდიდრეთა საექსპლოატაციოდ დიდძალ კაპიტალებს საჭიროებს, იზიდავს საქმოსანი კაპიტალისტების ყურადღებას, ისიც, სამწუხაროდ, არა იმდენად რუსებისა, რამდენადაც უცხოელებისა. უეჭველია, — პასუხობს მინისტრი მთავარმმართველ გოლიცინს, — რომ უცხოური კაპიტალის დაბანდება დადებით გავლენას ახდენს მხარის ეკონომიურ განვითარებაზე, ხელს უწყობს ხაზინის შემოსავლის გადიდებას. მაგრამ არ შეიძლება უარყოფილ იქნეს, რომ ეს მოვლენა ზოგჯერ იწვევს უცხოელთა გავლენის არასასურველ ზრდას განაპირა მხარის მოსახლეობაზე, რომელიც ჯერ კიდევ მოკლებულია რუსეთთან განუყრელი ერთიანობის მტკიცე გაგებას“[7]. როგორც ვხედავთ, აქ აღიარებულია უცხოური კაპიტალის შემოჭრის

[7] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5334, л. 705.

მნიშვნელობა კავკასიის ეკონომიური წინსვლისათვის, ამავე დროს ყურადღებაა გამახვილებული მისი მოქმედების შესაძლებელ, უარყოფით შედეგებზე, სახელდობრ, მხარის მოსახლეობაში უცხოელთა გავლენის მოსალოდნელ გაძლიერებაზე და რუსეთის გავლენის შესუსტებაზე. მართალია, კავკასიის ადმინისტრაციამ ვერ შეძლო მთავრობის მიმხრობა — უცხოური კაპიტალის შემოჭრისათვის ხელშეწყობის მიზნით წარდგენილი კანონპროექტის დასამტკიცებლად, მაგრამ რამდენადაც შეეძლო ხელს უწყობდა უცხოური კაპიტალის შემოჭრას კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან უცხოური კაპიტალის შემოჭრას ჩვენში ობიექტურად ხელს უწყობდა აგრეთვე სააქციო საზოგადოებათა დაწესებისა და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობის ახლად შემუშავებული მთელი „სისტემა“, რაც ცარიზმის ტრადიციულ ბიუროკრატიულ აპარატს შესაძლებლობას აძლევდა კონტროლი გაეწია და, რამდენადაც შეიძლებოდა, წარემართა მოქმედ სააქციო საზოგადოებათა და ფირმათა საქმიანობა. ამ დროს, როგორც ცნობილია, რუსეთის მთავრობის წრეებში თანდათან ისახებოდა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების გაგება. ამ განწყობილების ყველაზე თვალსაჩინო გამომხატველი, ფინანსთა მინისტრი ს. ი. ვიტე, რომელმაც თვითმპყრობელური რეჟიმის ძირეული ინტერესების გათვალისწინებით ბურჟუაზიულ გარდაქმნათა მთელი პროგრამა გაატარა, იმპერიის სამრეწველო-ეკონომიური ცხოვრების გასაძლიერებლად და ხაზინის ფისკალური ინტერესების უკეთ დასაკმაყოფილებლად. არ მოერიდა უცხოური კაპიტალის მოზღვავებას რუსეთში, აგრეთვე განაპირა მხარეებშიც.

ამგვარად, კოლონიურ მდგომარეობაში ჩაყენებულ ახალგაზრდა კაპიტალისტურ ქვეყანაში — საქართველოში — ადგილობრივი, ასევე მეტროპოლიის კაპიტალის შედარებითმა სიმცირემ და რუსეთის მთავრობის მიერ შემუშავებულმა, ზემოთ ხსენებულმა „სისტემამ“. გააადვილა ჩვენში უცხოური კაპიტალის შემოჭრა. უცხოელ კაპიტალისტებსაც ხალისით გადმოჰქონდათ თავიანთი კაპიტალები ჩვენში. ეარსებდნენ კომპანიებს ახალ საწარმოთა შესაქმნელად. „ისინი ხარბად ეტანებიან ახალგაზრდა ქვეყანას, სადაც მთავრობა ისე კეთილმოწყალე და მასიამოვნებელია კაპიტალისა, როგორც არსად“[3]. გასული საუკუნის დამლევიდან განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ფრანგული, ინგლისური და გერმანული კაპიტალის ექსპანსია ჭიათურის

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ს.-დ. პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება. თხზ... ტ. 4, გვ. 120.

მარგანეცის მრეწველობაში. უცხოური კაპიტალი საზოგადოდ მარგანეცის მრეწველობას თავდაპირველად, როგორც წესი, მადნის შემსყიდველად ეკლინებოდა, შემდეგ იწყებდა მარგანეცის მადნის საბადოთა იჯარით აღებასა და მათს სამრეწველო ექსპლოატაციას[9].

უცხოური ფირმებიდან ჭიათურაში ერთ-ერთი პირველნი გაჩნდნენ ფრანგები, რომლებიც, სხვა უცხოურ ფირმებთან ერთად, თავისი კანცელარიებით ფოთიდან და შორაპნიდან თანდათან გადმობარგდნენ სამრეწველო აუზში და შეუდგნენ საბადოთა შეძენას. ფრანგული ფირმა „მარგანეცის საბადოების ანონიმური საზოგადოება „დარკვეთი" (კავკასია)" და მეწარმე ლ. პანასიე თავიდანვე ფართო მასშტაბით ეწეოდნენ საბადოთა შეძენას, საბადოთა ექსპლოატაციისა და მადნის გამდიდრების რაციონალურად მოწყობას; ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს, 70 — 80 დესეტინა საბადო ადგილების ხელში ჩაგდებისთანავე, დაიწყეს ფართო მასშტაბის საექსპლოატაციო და მოსამზადებელი სამუშაოები[10]. ჭიათურაში საქმიანობის ფაქტიურად დაწყების შემდეგ 1900 წელს პარიზში ოფიციალურად გაფორმდა ფრანგული ფირმის „მარგანეცის საბადოების ანონიმური საზოგადოების — („Société des mines de Manganese de Darkveti (Caucasia)" ჩამოყალიბება. ამ სააქციო საზოგადოების დამაარსებლები იყვნენ ფრანგი კაპიტალისტები: პ. ბაიარი, ე. დე ბილლი, ა. დე ბუასსე, გლასაკი, გ. შალმეტონი, პ. შაპიური, ა. დამური, მ. დიუშანუა, მ. პიერონი[11]. წესდების თანახმად საზოგადოების მიზანი იყო „მარგანეცის საბადოთა ექსპლოატაცია შორაპნის მაზრაში"[12]. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 1 600 000 ფრანკს შეადგენდა, რაც მთლიანად ჭიათურაში ოპერაციებისათვის იყო განკუთვნილი. აქციების რიცხვი 6 400-ს შეადგენდა, ხოლო ერთი აქციის ღირებულება 250 ფრანკს. ამას გარდა, დაწესდა 1600 საპაიო, მათი ღირებულების წინასწარ განუსაზღვრელად. დასახელებული სააქციო საზოგადოება 134 წევრს ითვლიდა. მისი უმაღლესი ორგანო იყო აქციონერთა კრება, რომელიც ყოველწლიურად იწვეოდა, ხოლო მუდმივმოქმედი ორგანო — გამგეობა, რომელიც 6 წლის ვადით ირჩეოდა. გამგეობის

---

[9] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 5 об.

[10] იქვე, ფურც. 5—6.

[11] Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов. Сост. полным извлечением из материала отдела торговли, особенной канцелярии по кредитной части и департамента жел. дорог Министер. Финансов, Под общ. ред. В. А. Дмитриева-Мамонтова. СПБ, 1905, т. 2, зз. 1960.

[12] იქვე.

პირველი თავმჯდომარე იყო პ. ბაიარი, ვიცე-თავმჯდომარე კი ე. დე ბილლი. გამგეობაში 10 წევრი შედიოდა და მისი რეზიდენცია პარიზში იყო, ხოლო აგენტი გეიდემანი — თბილისში. სააქციო საზოგადოება დაარსდა 99 წლით. რუსეთში საქმიანობის გასაშლელად ის მთავრობამ დაუშვა 1901 წლის 24 თებერვალს, ხოლო ოფიციალურად ჭიათურაში საქმიანობას შეუდგა 1902 წლის 4 ოქტომბერს[13]. კრიზისის წლებში სააქციო საზოგადოებამ საბადოთა ექსპლოატაციისათვის სამზადისი და წარმოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა გააგრძელა, ხოლო ფართო საექსპლოატაციო სამუშაოები ვერ გაშალა. ამიტომ 1903—1904 წლებში მან არ გამოაქვეყნა თავისი მუშაობის ანგარიში[14]. 1903 წელს რუსეთის მთავრობამ ჭიათურის სამრეწველო რაიონში ოპერაციების საწარმოებლად დაუშვა ფრანგული სააქციო კომპანია: „ანონიმური სამრეწველო და კომერციული საზოგადოება („Société miniére Le-et commerciale"), რომლის მოქმედების ვადა განუსაზღვრელი იყო. დასახელებული საზოგადოების გამგეობა პარიზში იყო, ხოლო მისი აგენტი ნ. ი. ვოტრენი — ფოთში. საზოგადოების მიზანი იყო „მარგანეცის საბადოთა ექსპლოატაცია შორაპნის მაზრაში... ასევე მადნისა და ქვანახშირის საბადოთა ექსპლოატაცია ეკატერინოსლავის გუბერნიაში, აგრეთვე სამთამადნო მრეწველობის პროდუქციით ვაჭრობა"[15]. მან ფართოდ მიჰყო ხელი ჩვენებური მარგანეცის შესყიდვასა და ექსპორტს, ხოლო მეწარმეობას — უმნიშვნელო მასშტაბით.

ინგლისური სავაჭრო და სამრეწველო ფირმები „გარდნერი", „კიტტელი და კომპანია" „ფორვუდი და კომპანია", „ფორვუდი" გასული საუკუნის დამლევს ჩვენებური მარგანეცის მადნის დიდი რაოდენობით შესყიდვით შეუდგნენ საქმიანობას, შემდეგ შეიჭრნენ ჭიათურის აუზში და დაიწყეს საბადო ადგილების იჯარით აღება და შეძენა. ყველა ამ ფირმამ ხელთ იგდო დაახლოებით 60 დესეტინამდე საბადო ნაკვეთი[16]. 1900 წელს ინგლისში ჩამოყალიბდა მძლავრი სააქციო საზოგადოება სახელწოდებით: რუსეთის მარგანეცის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობით („The Russian manganese Company Limited"). მისი დამფუძნებლები იყვნენ: ვაჭარი ტ. ბ. კიტტელი, რომელსაც ამ დროისათვის უკვე ფეხი მოეკიდა ჭიათურის მრეწველობაში, ფოლადის ქარხნის მეპატრონე ბ. ა. ფერტი. ასევე საქმოსნები: ს. გ. ბრამლი, ფერტი, გ. სტერტი, ფ. ვეზეროლი,

---

[13] Указатель... გვ. 1960.

[14] იქვე.

[15] იქვე.

[16] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 6.

ვ. აპრონსი და ჩ. გ. მესონი. სააქციო საზოგადოების კაპიტალის ოდენობა არ იყო განსაზღვრული, ხოლო მისი აქციების რიცხვი იყო 30000, აქედან 4 500 პრივილეგირებული და 25 500 ჩვეულებრივი, — თითო გირვანქა სტერლინგის ღირებულებით. წესდების თანახმად საზოგადოების მიზანი იყო: ყოველგვარ საბადოთა შეძენა, იჯარით აღება ან გაცემა რუსეთის იმპერიაში... საბადოთა დამუშავება და ექსპლოატაცია... მარგანეცის საბადოთა აღება და ექსპლოატაცია შორაპნის მაზრაში, მარგანეცის მადნის საწყობის მიღება და ექსპლოატაცია დარკვეთში და სხვ.[17].

საზოგადოების არსებობის ვადა განუსაზღვრელი იყო. მის გამგეობაში შედიოდნენ საზოგადოების დამფუძნებლები, ხოლო განმკარგულებელი დირექტორი იყო ტ. ბ. კიტტელი. გამგეობის რეზიდენცია იყო ლონდონში, ხოლო წარმომადგენელი — ჭიათურაში. საზოგადოება 1901 წლის 24 თებერვლიდან იქნა დაშვებული ჩვენში ოპერაციების გასაშლელად[18]. ამ საზოგადოებას მიყიდა თავისი საბადოები ტ. ბ. კიტტელმა. ამასთანავე მან ს. და მ. ბარათაშვილებისაგან 190 000 ათას მანეთად აიღო საბადო ნაკვეთები დარკვეთში[19]. 1903 წელს ის შეუდგა საბადოთა საექსპლოატაციოდ მომზადებას და ადგილობრივ მრეწველთა მიერ მოპოვებული მადნის დიდი პარტიების შეძენას.

გერმანული სავაჭრო-სამრეწველო ფირმებიდან, რომლებიც გასული საუკუნის დამლევიდან ჩაებნენ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში, აღსანიშნავია სააქციო საზოგადოება „სამთო მექარხნეთა და საბადოების მფლობელთა შალკეს კავშირი", ასევე ო. გილლერტი და ჭიათურელ მრეწველთა გაერთიანება „შავი ქვის" პარტნიორი ბერლინის „მანგანსინდიკატი". „შალკემ" იჯარით აიღო 29 დესეტინა საბადო ნაკვეთები რგანში, ხოლო გილლერტმა 13 დესეტინა მღვიმევსა და ითხვისში[20]. ეს ფირმები „უმაღლესად" დამტკიცების გარეშე, კავკასიის სამთო სამმართველოს ნებართვით, ეწეოდნენ სამრეწველო და კომერციულ (მადნის შესყიდვა-ექსპორტი) საქმიანობას და 1900-იანი წლების დამდეგს თავისი სამრეწველო საქმიანობით მხარს ვერ უსწორებდნენ ფრანგულ, აგრეთვე ინგლისურ ფირმებსაც. ამავე დროს გერმანიის მძლავრი და მზარდი მეტალურგიული მრეწველობა, რომელიც მილიტარისტული ქვეყნის სამხედრო მრეწველო-

---

[17] ob. ЦГИАЛ, ф. 22, оп . 2, д. 2674, л. 1—21; Указатель действующих в империи акционерных предприятий.., СПБ, 1905, т. 2, გვ. 1896.

[18] Указатель действующих в империи акционерных предприятий, т. 2, გვ. 1896.

[19] ЦГИАЛ, ф. 22, оп. 2, д. 2676, л. 59.

[20] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 46.

ბის გაძლიერების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა, დიდად საჭიროებდა მარგანეცის მადნის მარაგს, მდიდარ საბადოებს, მით უმეტეს, რომ მისი მეტოქე ინგლისი უკვე ეუფლებოდა მარგანეცის მდიდარ საბადოებს ინდოეთში, ხოლო აშშ — ბრაზილიასა და კუბაზე. ასეთ ვითარებაში გერმანული კაპიტალი ემზადებოდა ჭიათურაში გადამწყვეტი პოზიციების მოსაპოვებლად და მიზნად ისახავდა მეტოქე ქვეყნების ფირმების გაძევებას ჭიათურის მრეწველობისა და მისი პროდუქციის ექსპორტის სფეროდან. ამ იმედით ჩამოყალიბდა ე. წ. ბერლინის „მანგანსინდიკატი", რომლის შენიღბულ მოქმედებას საქართველოს მარგანეცის მრეწველობაში გასაბატონებლად ქვემოთ გავეცნობით.

• • •

უცხოური კაპიტალის მოძალებისა და სამრეწველო კრიზისის მძიმე წლებში ჭიათურელი მეწარმენი, იმდროინდელი ქართული საზოგადოების მოწინავე მოღვაწეთა რჩევით, თავის შესაძლებლობათა გაერთიანებით ცდილობდნენ მრეწველობაში საკუთარი პოზიციების შენარჩუნებასა და განმტკიცებას. მათ კვლავაც ჩამოაყალიბეს რამდენიმე ამხანაგობა, სახელდობრ, 1901 წელს „ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ამხანაგობა", შემდეგ „შრომა" და „იმედი". მაგრამ, ეს არამყარი და არამძლავრი სამრეწველო ამხანაგობანი, კრიზისის სულშემხუთავ პირობებში, ვერ გამოვიდნენ საქმიანობის ფართო სარბიელზე. ქართველ მეწარმეთა დიდ ნაწილს ზღუდავდა საბრუნავი კაპიტალის სიმცირე, ხშირად მისი უქონლობაც. ამიტომ, მთავრობის მხარდაჭერასა და კრედიტს მოკლებულმა მეწარმეებმა 1901 წელსვე დააარსეს ურთიერთდამკრედიტებელი დაწესებულება „საურთიერთო ნდობის საზოგადოება", ანუ ბანკი. 1903 წელს ის 243 წევრს ითვლიდა. აქედან მეწარმე იყო 138, ვაჭარი — 56, მემამულე — 15, მოსამსახურე — 13 და სხვ. საზოგადოების გამგეობას თავმჯდომარეობდა კიტა აბაშიძე. ამ დაწესებულების ოპერაციების რამდენადმე საფუძვლიანად ამსახველი მასალები, თუკი ისინი საერთოდ არსებობენ, დღესაც მიუკვლეველია. ამიტომ იძულებული ვხდებით დავჯერდეთ ადრე ცნობილ, მაგრამ ჯეროვან დასაბუთებასმოკლებულ მოსაზრებას, რომ „საურთიერთო ნდობის საზოგადოების" ფინანსიური შესაძლებლობანი მეტად შეზღუდული იყო", რომ „მრეწველებს ის მნიშვნელოვან დახმარებას ვერ უწევდა"[21]. ამასთა-

[21] იხ. ვ. ლ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 235—236.

ნავე, ერთი წყაროს მოწმობით, საზოგადოების სალარო 1903 წელს გაძარცულ იქნა და იქიდან წაიღეს 35 000 მანეთი[22]. 1906 წელს ეს დაწესებულება უკვე არც არის მოხსენებული მარგანეცის მრეწველობასთან დაკავშირებულ საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის ანგარიშში[23]. მართალია, 1913 წელს ის კვლავ განაგრძობს არსებობას, თუმცა არ ჩანს, როგორი იყო მისი საკრედიტო ოპერაციების მასშტაბი[24]. ჭიათურის სამრეწველო რაიონში და აქედან მადნის გაზიდვა-ექსპორტის საქმეში აქტიურად იყვნენ ჩაბმული საკრედიტო დაწესებულებანი, თუმცა ისინი, იშვიათი შემთხვევების გარდა, მხოლოდ შედარებით მსხვილ მრეწველებს აკრედიტებდნენ. ასე მაგალითად, თბილისის კომერციული ბანკი ყველაზე ფართოდ ჩაება მარგანეცის ოპერაციებში ჯერ კიდევ 1896 წლიდან, როცა მან „კომისიონერობა" დააწესა ფოთში, ხოლო სააგენტოები ჭიათურისა და შორაპნის სადგურებზე, მაგრამ ის ჭიათურაში „ფოთის ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოებისაგან" მიღებულ ბაქნებზე მხოლოდ სამი ფირმისაგან იბარებდა მადანს და სესხის სახით აძლევდა ჩაბარებული მადნის ღირებულების 4/5-ს, ანუ ფუთში 5 კაპიკამდე[25]. განსხვავებულად მოქმედებდა „ქუთაისის ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოება", რომელიც ზოგჯერ მაღალპროცენტიან ავანსს აძლევდა წვრილ მრეწველებსაც. მაგრამ, ეს მისთვის გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან კლიენტებს ავანსის საგარანტიო მადნის მარაგი არ გააჩნდათ, თან მათ შორის ბევრს არ შეეძლო მადნის ჩაბარება რკინიგზის სადგურებზე, ხოლო საბადოებში მის მიღებას საკრედიტო დაწესებულება თავს არიდებდა. 1901 — 1905 წლების კრიზისის პერიოდში ამ საზოგადოებამ ძლიერ შეზღუდა თავისი ოპერაციები. მის მიერ ავანსირებული თანხის საგარანტიოდ ჭიათურის სადგურზე ჩაბარებული მადანი მალე შეიძინა ბერლინის „მანგანსინდიკატმა" 250 ათას მანეთად[26]. „ფოთის ურთიერთდამხმარე საზოგადოების საბრუნავი თანხები მცირე იყო. ის უპირატესად წვრილ ექსპორტიორებს აკრედიტებდა და მათგან, მაღალი პროცენტისა (12%) და საკომისიო ხარჯების (1 %) გარდა, ღებულობდა დამატებით თანხებს თავის თანამშრომელთა ხელფასის დასაფარავად. სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებაც გაურბოდა მრეწველთათვის კრედიტის

---

[22] ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, გ. ზდანოვიჩის არქივი, 6416, საბუთი 69, ფურც. 4.

[23] ЦГИАЛ, ф. 616, оп. 1, д. 549, 1906 г. л. 2—16.

[24] სსსა, ფონ. 415, საქ. 109, ფურც. 10.

[25] ი ქ ვ ე, ფურც. 6—9.

[26] ი ქ ვ ე, ფურც. 9.

მიცემას[27]. „სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკი“ ჭიათურაში 1898 წლიდან 1901 წლამდე ეწეოდა მარგანეცის ოპერაციებს, თუმცა მრეწველებს სესხს არ აძლევდა და თან მან მთლიანად გადაინაცვლა ფოთსა და ბათუმში, საიდანაც აკრედიტებდა მადნის ექსპორტს[28]. ჩამოთვლილი საკრედიტო დაწესებულებანი ქმედითად მხოლოდ მსხვილ საექსპორტო და სამრეწველო ფირმებს ემსახურებოდნენ. მსხვილ მრეწველ პ. წულუკიძესა და ამხანაგობა „კავშირს“ სესხს აძლევდა ქუთაისის ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოება, ხოლო გ. ემერიკს, ძმებს ოგანეზოვებს, ავგერინოს — თბილისის კომერციული ბანკი და სხვ.[29]. 1903 წელს ჭიათურის სადგურზე 89 მრეწველს გააჩნდა 16 321 500 ფუთი მადანი. მათ შორის ქუთაისის ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოებიდან სესხი ჰქონდა მიღებული 23 მრეწველს, ჭიათურის ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოებიდან — 11-ს, ფოთის ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოებიდან—26-ს, ხოლო თბილისის კომერციული ბანკიდან—29 მრეწველს[30].

* * *

კრედიტს საჭიროებდა და მოითხოვდა თითქმის ყოველი მრეწველი. მისი შოვნა კი ძნელი იყო. 1901 — 1904 წლებში მრეწველთა წარმომადგენლობითმა ორგანიზაციამ და მეწარმეთა ამხანაგობებმა მრავალი 'ოუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე და ითხოვდნენ ხაზინის მიერ ჭიათურაში მრეწველთა დამკრედიტებელი დაწესებულების დაარსებას, მაგრამ ამაოდ. ეს შუამდგომლობები რუსეთის გარკვეული საქმიანი წრეების მსჯელობის საგანიც კი გამხდარა: 1904 წელს გაზ. „Новое время“-ს ფურცლებზე დისკუსია გამართულა და მისი მსვლელობით მთავრობაც დაინტერესებულა[31]. დისკუსიის მონაწილეთა ერთი მხარე თავგამოდებით გამოვიდა ხაზინის მიერ ჭიათურაში მრეწველთა დამკრედიტებელი დაწესებულების დაარსების წინააღმდეგ. ეს მხარე დაუნდობლად აკრიტიკებდა იმათაც, ვინც მთავრობის მიერ ჭიათურელ მეწარმეთა დაკრედიტებას მოითხოვდა და თან გამომწვევად ეკითხებოდა: „რუსეთის ხაზინა რატომ უნდა ეწეოდეს ქველმოქმედებას თქვენი „ნახევრადველურების“ მიმართ (მხედველობა'შია ჭიათურელი ბრეწველები — გ. მ.), განა ცენტრში

---

27 სსსა, ფონ. 415, საქ. 109, ფურც. 10.

28 იქვე, ფურც. 11—12.

29 ЦГИАЛ, ф. 22, оп. 2, д. 1894, л. 163 — 166.

30 იქვე.

31 დისკუსიის მასალები: ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 190, д. 369, 1904 г.

ცოტაა მოთხოვნილება, რომ მან, ამ მრავალტანჯულმა ცენტრმა, ფული გაიღოს მარგანეცის მრეწველების დამკრედიტებელი ბანკის დასაარსებლად, რითაც მთელ მოგებას მხოლოდ „ნახევრადველურები“ მიიღებენ“[32]. კოლონიზატორული მისწრაფებებით გამსჭვალული მოხელენი და რუსული საქმიანი წრეები შეშფოთებას გამოთქვამდნენ ჭიათურელ მრეწველთათვის ხაზინის მიერ საკრედიტო ბანკის დაარსების წინააღმდეგ[33] და ის, ბუნებრივია, არ გახსნილა. კრედიტის ნაკლებობისა და უქონლობის შედეგად მეწარმენი იძულებული ხდებოდნენ იაფ ფასებში გაეყიდათ მადანი. მადნის ფასების დაწევით მაქსიმალურად სარგებლობდნენ უცხოელი შემსყიდველ-ექსპორტიორები, რომლებმაც კრიზისის წლებში კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიციები მადნის ადგილობრივ ბაზარზე.

* * *

შექმნილ ვითარებაში ერთპიროვნულად მოქმედი ადგილობრივი მრეწველების წინაშე მთელი აუცილებლობით წამოიჭრა შეთანხმებული მოქმედების საჭიროება. მათ გაერთიანებული ძალით უნდა ეზრუნათ საიმედო კრედიტორის საპოვნელად და მადნის უცხოელი შემსყიდველ-ექსპორტიორების ძალმომრეობის ასალაგმავად. ჭიათურის მრეწველობაში ჩაბმულ ქართველ მეწარმეთა ძლიერი გაერთიანების ჩამოყალიბება დროისა და ვითარების მოთხოვნილებად იქცა. ასეთი, მრავალრიცხოვანი, ერთი შეხედვით, ეფექტური გაერთიანება გახდა 1902 წელს დაარსებული საზოგადოება „შავი ქვა“, დაკავშირებული მძლავრ კრედიტორთან, გერმანულ ფირმა — ბერლინის „მანგანსინდიკატთან“.

საზოგადოება „შავი ქვა“, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მიზნად ისახავდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობისა და, ასევე მადნის გასაღების მონოპოლიზაციას, რაც მას არ ძალუძდა რომელიმე უცხოური ფირმის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. თავის მხრივ ბერლინის მანგანსინდიკატი, რომლის წევრებიც იყვნენ უძლიერესი გერმანული ფირმები და ბანკები (ა. ჰირში, მენდელსონი, გერმანიის „საერთაშორისო ცხვო საზოგადოება“ და სხვ.), მიზნად ისახავდა მოხერხებულად, შენიღბულად განეხორციელებინა ეკონომიური ექსპანსია ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში და მადნის ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზრებზე გასაბატონებლად. უკანასკნელის ვარაუდი ასეთი იყო:

---

[32] დისკუსიის მასალები, ფურც. 9; აგრეთვე „Новое время“, 1904, 29 ივლისი, № 9841.

[33] ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 190, д. 369, л. 9—10.

თუკი მომავალი საზოგადოება „შავი ქვა“ ადგილობრივ მეწარმეთა, ასევე მათ საკუთრებასა და მფლობელობაში არსებულ საბადოთა სრულ თავმოყრა-გაერთიანებას შეძლებდა და ამავე დროს რუსეთის მთავრობის მიერ დაშვებული და დამტკიცებული გაერთიანება იქნებოდა, ასეთ შემთხვევაში, მასთან შესაფერისი ხელშეკრულებით საიმედოდ შეკავშირებით, მანგანსინდიკატი, თავისი შედარებით სუსტი, კონტრაგენტის მიერ მოპოვებული უფლებებით შემოსილ-შენიღბული, რუსეთის მთავრობისათვის გვერდის ავლით, ფართო მასშტაბის ეკონომიურ ექსპანსიას განახორციელებდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში. როგორც ცნობილია, „გერმანული კაპიტალი ყოველთვის როდი გამოდიოდა თავისი სახელმწიფოს ალმით“[34].

როგორც ვხედავთ, შეკავშირებით ერთნაირად დაინტერესებული და ერთმანეთის „მოიმედე“ მომავალი კონტრაგენტები ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებულ და, რაც მთავარია, ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებს ისახავდნენ. მანგანსინდიკატი ესწრაფოდა საზოგადოება „შავი ქვის“ დაკაბალებას და მასთან ერთად უცხოური ფირმების განდევნას ჭიათურის მრეწველობიდან, ასევე ქართული მარგანეცის ექსპორტის მონოპოლიზებით ამერიკული „მანგანტრესტის“ დამარცხებას საერთაშორისო ასპარეზზე[35].

„შავი ქვის“ საზოგადოების დაარსების პერსონალურმა ინიციატორმა დ. ბაქრაძემ მომავალი მრეწველის, სტუდენტ ბ. პაპავას მეშვეობით, 1901 წლის მარტში ბერლინში მოლაპარაკება დაიწყო მანგანსინდიკატის კომისიონერ როზენბერგთან და კაპიტალისტ ა. ჰირშთან[36]. მოლაპარაკების პროცესში მოიხაზა ორ ფირმას შორის ურთიერთობის ძირითადი საფუძვლები და 1901 წლის 26 მარტს დ. ბაქრაძემ და პ. როზენბერგმა ხელი მოაწერეს წინასწარ ხელშეკრულებას[37]. ბერლინიდან დ. ბაქრაძის დაბრუნების შემდეგ, 1901 წლის მაისში, ქუთაისში მოწვეული ჭიათურელი მეწარმეები გაეცნენ ბერლინის მანგანსინდიკატის მიერ შემოთავაზებულ წინასწარ პირობებს. მრეწველთა კრებამ ეს პირობები მოიწონა და წამოწყებული საქმისათვის, ე. ი. საზოგადოება „შავი ქვის“ ჩამოსაყალიბებლად და ბერლინის მანგანსინდიკატთან შეკავშირების პირობების შესამუშავებელ-შესათანხმებლად, აირჩია საორგანიზაციო კომისია გ. ზდანოვიჩის (თავმჯდომარე), პ. თუმანიშვილის, დ. ბაქრაძის, ს. და ვ. წერეთლე-

---

[34] А. Ерусалимский, Германский империализм: история и современность. изд. Наука, М., 1964, გვ. 27.

[35] „ივერია“, 1901, 29 აგვისტო, № 186.

[36] ЦГИАЛ, ф. 22, оп. 2, д. 1894, 1902 г., л. 94—97.

[37] იქვე.

ბის, პ. წულუკიძის, კ. ბაქრაძის, ა. კრინიცკის, ი. ნიჟარაძის, გ. ჩუბინიძის, ი. კაკაბაძის და ს. ქვარიანის (მდივანი) შემადგენლობით. კომისიამ ბერლინის მანგანსინდიკატთან წინასწარი მოლაპარაკების შედეგების გათვალისწინებით შეიმუშავა მრეწველთა გაერთიანების, ასევე ბერლინის მანგანსინდიკატთან ურთიერთობის პირობები, რაც ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ ჭიათურაში იქნა განხილული მრეწველთა კრებებზე. პროექტმა მეწარმეთა მოწონება დაიმსახურა. მრეწველთა კრებამ საზოგადოების დაარსების შემდგომი ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად კვლავ ახალი კომისია აირჩია გ. ზდანოვიჩის (თავმჯდომარე), პ. თუმანიშვილის, ს. ქვარიანის, დ. ბაქრაძის, ს. გაჩეჩილაძის. პ. აბაშიძის, ი. ნიჟარაძის, შ. დადიანის, ს. და ვ. წერეთლების და სხვ. შემადგენლობით. ამასთანავე კრებამ მანგანსინდიკატთან ხელშეკრულების გასაფორმებლად ბერლინში მიავლინა რამდენიმე პირი, გ. ზდანოვიჩის ხელმძღვანელობით. თავის მხრივ, ბერლინის მანგანსინდიკატი ჩქარობდა და ქართველ მრეწველთა ბერლინში გამგზავრებამდე ქუთაისში ჩამოვიდნენ გერმანული ფირმის რწმუნებულები როზენბერგი და გოლდმანი[38].

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, 1901 წლის 2 აგვისტოს, მხარეები საბოლოოდ შეთანხმდნენ და ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება (კონტრაქტი), რომელიც ბერლინის მანგანსინდიკატის მიერ დამტკიცებისთანავე ძალაში შედიოდა. ხელშეკრულების პირობები ასეთი იყო: 1. ხელშეკრულების ვადა — 10 წელიწადი, 2. მანგანსინდიკატი ყოველწლიურად ჩაიბარებს და გაზიდავს 20 მილიონ ფუთ მადანს, 3. მრეწველი ჭიათურაში ჩაბარებულ ყოველ ფუთ მადანზე პირველ ექვს თვეში ავანსის სახით ღებულობს 6, 5 კაპიკს. ექვსი თვის შემდეგ კი დანარჩენ თანხას მსოფლიო ბაზარზე მადნის ღირებულებისდა მიხედვით, 4. მადნის დროულად გაუსაღებლობისას, მრეწველთა საზოგადოებას ავანსად ეძლევა 200 000 მანეთი, რაც უნდა დაიფაროს წმინდა მოგებიდან გარკვეული თანხის გადარიცხვით, 5. წარმოებასა და მადნის ექსპორტს აკრედიტებს ბერლინის სინდიკატი, რომელიც თავის ფულში (ე. ი. სესხში — გ. მ.) იღებს წლიურად 6%, 7. საკომისიო, საბანკო და მრეწველთა გაერთიანების საერთო გამგეობის, ასევე აგენტების ხარჯების დასაფარავად ყოველ ფუთზე წესდება 1 კაპიკიანი გამოსაღები და ეს თანხა იყოფა შუაზე კონტრაგენტებს შორის... 10. მადნის მოპოვება ეკისრება მრეწველთა გაერთიანებას, ხოლო მისი გასაღება — მანგანსინდიკატს, „რომელსაც არ შეუძლია ფასები დააწესოს და მადანი გაყიდოს მრეწ-

---

[38] „იბერია", 1901, 29 აგვისტო, № 186.

ველთა წარმომადგენლის დაუკითხავად და ნებადაურთველად", 11. მადნის რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა მოგებას პარტნიორები შუაზე იყოფენ[39].

ამავე პირობის თანახმად მთელი მოგება, რაც დაკავშირებული იქნებოდა მადნის მაღალკეთილხარისხოვნებასთან (50 %-ზე მეტი მეტალური შემცველობა), მთლიანად მრეწველებს ეკუთვნოდათ[40].

ამგვარად, ხელშეკრულების ძალით, ქართველ მრეწველთა გაერთიანებას აკრედიტებს მანგანსინდიკატი. მადნის მოპოვებასა და რკინიგზის შტოს ბაქნებამდე მიზიდვას ეწევა მრეწველთა გაერთიანება, ხოლო მადნის გადაზიდვასა და გასაღებას — მანგანსინდიკატი.

მრეწველთა საერთო კრებაზე არჩეული პირები მანგანსინდიკატის მიწვევით გ. ზდანოვიჩის ხელმძღვანელობით მალე გაემგზავრნენ ბერლინში, სადაც დამტკიცდა პარტნიორთა მიერ ადრე შემუშავებული ხელშეკრულება. ამასთანავე, მანგანსინდიკატმა ქართველ მრეწველთა გაერთიანებისათვის ავანსად გაიღო 200 000 მანეთი; ბერლინიდან ამ ცნობის მიღებისთანავე მრეწველთა ამხანაგობების გამაერთიანებელმა საორგანიზაციო კომისიამ მუშაობა გააჩაღა ცენტრალური გაერთიანების ანუ საზოგადოება „შავი ქვის" დაარსების პირობების შესამუშავებლად. მრეწველთა ამხანაგობების წარმომადგენლები მიწვეულ იქნენ ქუთაისში, სადაც გაიმართა კრებები, პ. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით.

მალე გ. ზდანოვიჩიც დაბრუნდა ბერლინიდან. მანგანსინდიკატისაგან მიღებული სესხი ჩაბარდა „საურთიერთო ნდობის სალაროს". „სამნიშვნელოა ის ფაქტი, — წერდა „ცნობის ფურცელი", — რომ როგორც კი სცენეს საქმის სრული დამთავრება და მეტადრე ფულის წამოსვლა ავანსად, იმისთანებმა მოისურვეს ამ საქმეში შემოსვლა, რომელნიც დღემდე სათოფეზე არ ეკარებონდენ და თითქმის მტრობდნენ მას"[41]. საქმის უშუალო აქტიური მონაწილე, ს. ქვარიანი წერდა „მოხდა კომისიისა და ვექილთა კრებანი, შეიქმნა დაუსრულებელი ბჭობა და კამათი ცენტრალური ამხანაგობის დაარსების და მისი პირობების შესახებ, ფულის განაწილების თაობაზე, ქვის ფუთობით განაწილებაზე. მადნების გადაცემის შესახებ და სხვ."[42].

მალე, 1902 წლის 9 თებერვალს, საბოლოოდ დამტკიცდა საზოგადოება „შავი ქვის" დაარსება. საზოგადოება, რომლის შემადგენ-

---

[39] „ივერია", 1901, 29 აგვისტო, № 186.

[40] ი ქ ვე.

[41] „ივერია", 1901, 26 ოქტომბერი, № 233; „ცნობის ფურცელი", 4 იანვარი, № 1688.

[42] „ცნობის ფურცელი", 1902, 1 იანვარი, № 1739.

ლობაში მრეწველები წინასწარ დაარსებულ ამხანაგობათა სახით, ჯგუფ-ჯგუფად, აგრეთვე, ზოგნიც ინდივიდუალურად შეეიდნენ, წევრთა საერთო კრების მიერ მოწონებული და დამტკიცებული ხელშეკრულების (და არა წესდების) საფუძველზე ჩამოყალიბდა. ხელშეკრულებაში ნათქვამია: „ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, მარგანეცის მრეწველთა სრული ამხანაგობანი, ფირმა „შრომა", „იმედი" და ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ამხანაგობანი... (თექვსმეტიეე ჩამოთვლილია — გ. მ.) ვადგენთ ურთიერთშეთანხმებით შეეკმნათ ერთი გაერთიანებული ამხანაგობა „შავი-ქვის" სახელწოდებით და ვდებთ ამ ხელშეკრულებას..."[43].

ხელშეკრულებაში განსაზღვრულია საზოგადოების მიზანდასახულება და მოქმედების ფარგლები: „1. საზოგადოების მიზანია, — ვკითხულობთ ხელშეკრულებაში, — მარგანეცის საქმის სწორი ორგანიზაცია, მადნის ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოების წევრთა კუთვნილი მარგანეცის მადნის ერთობლივი მიყიდვა რუსული და უცხოური ფირმებისათვის და ქარხნებისათვის და საერთოდ საზოგადოების წევრთა მადნის გასაღებისა და ექსპორტის ყველა ოპერაციების ერთობლივად წარმოება"[44].

საზოგადოება „შავი ქვის" ხელშეკრულებით წევრთა შორის ხმები ნაწილდებოდა მრეწველობაში მათი მონაწილეობისდა მიხედვით: მხედველობაში მიიღებოდა წევრის მიერ საზოგადოებაზე გადაცემული საბადოების ფართობის ოდენობა, მის მიერ მოპოვებული და ჩაბარებული მადნის რაოდენობა. საზოგადოების შეძლებულ წევრებს შეიძლებოდა ჰქონოდათ რამდენიმე ხმა. წლიური ანგარიშების დამტკიცების შემდეგ წმინდა მოგების განაწილება და გადარიცხვა ასე ხდებოდა:

სათადარიგო კაპიტალის ფონდში მოდიოდა 10%, საზოგადოების ადმინისტრაციის მომსახურეთა ხელფასისა — 2 %, ქართული პერიოდული პრესის დასახმარებლად — 3 %, ხოლო 85% საზოგადოების წევრებს უნაწილდებოდათ მათი საოპერაციო ანგარიშების პროპორციულად. ხელშეკრულების 41-ე მუხლში ნათქვამია: „საზოგადოების არსებობის ვადა განუსაზღვრელია და ის მთლიანად დამოკიდებულია წევრთა თანხმობაზე, მაგრამ არ შეიძლება იყოს იმ ვადაზე ნაკლები, რომლითაც საზოგადოება ხელშეკრულებით დაკავშირებული იქნება მადნის მყიდველებთან და თავის სხვა კონტრაგენტებთან"[45].

---

[43] Договор общества «Шави-Ква», К., 1902.

[44] იქვე.

[45] იქვე. მუხლი 41.

საზოგადოება „შავ ქვა“-ში გაერთიანებული 18 ამხანაგობის წევრთა (ე. ი. მეწარმეთა) საერთო რიცხვი 178 შეადგენდა. გარდა ამისა, საზოგადოებაში ინდივიდუალურად შევიდა 30-მდე მეწარმე*. ხელშეკრულების საბოლოოდ გაფორმების შემდეგ საზოგადოების საბჭომ, შემდგარმა მასში გაერთიანებულ ამხანაგობათა რწმუნებულებისაგან, გამგეობის დროებით წარმომადგენლად აირჩია გ. ზდანოვიჩი. ამასთანავე საბჭოს წევრებმა თავიანთი წრიდან აირჩიეს საზოგადოების დროებითი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: ფ. კიკნაძე, ს. გაჩეჩილაძე, ს. წერეთელი და ი. ნიჟარაძე. გამგეობა კი უნდა დაეწესებინათ მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოება დაიწყებდა მარგანეცის მადნის უშუალო გასაღებას[46]. საზოგადოება „შავი ქვის“ დროებითი ხელმძღვანელობის მუშაობა ბერლინის მანგანსინდიკატისაგან მიღებული სესხის განაწილებით დაიწყო. მანგანსინდიკატისათვის ჭიათურაში 1902 წელს 20 მილიონი ფუთი მადნის ჩაბარების პირობით მისგან მიღებული სესხიდან (200 000 მანეთი) მან კრიზისით შევიწროებულ მრეწველებს დაურიგა 100 000 მანეთი ანუ თითოეული ფუთის დამზადებაზე ნახევარი კაპიკი, ხოლო 100 000 მანეთი რჩებოდა საზოგადოების სალაროში სხვადასხვა ხარჯის დასაფარავად.

ამრიგად, მარგანეცის მრეწველთა ყრილობის, ასევე ცალკეულ მეწარმეთა ხანგრძლივი მეცადინეობით და კრიზისის შედეგად ძლიერ შევიწროებულ ქართველ მეწარმეთა თითქმის მთელი მასის მხარდაჭერით, 1902 წლის თებერვალში საბოლოოდ ჩამოყალიბდა საზოგადოება „შავი ქვა“. მისმა ჩამოყალიბებამ სამი საფეხური გაიარა: 1. მიღწეულ იქნა კონტრაგენტთან — ბერლინის მანგანსინდიკატთან — წინასწარი და საბოლოო შეთანხმება, 2. დაარსდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა მრავალი ამხანაგობა, რომლებთან ერთად საზოგადოება „შავ ქვაში“ გაერთიანება ისურვეს ადრე არსებულმა ამხანაგობებმა „შრომამ“, „იმედმა“, აგრეთვე ცალკეულმა მეწარმეებმა, 3. ყველა ეს ამხანაგობანი და ერთპიროვნულად მოქმედი შეწარმენი გაერთიანდნენ საზოგადოება „შავ ქვაში“. ამის შემდეგ საზოგადოების მთელი საქმეები და მისი მართვა-გამგეობა გაერთიანების წევრ ამხანაგობათა რწმუნებულების ხელში გადავიდა. „ასე, რომ ამიერიდან მანგანსინდიკატი იცნობს მხოლოდ ცენტრალურ გამგეობას (ე. ი. საზოგადოება „შავი ქვის“ გამგეობას — გ. მ.),

---

* ჩანს, „შავი ქვის“ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 1902 წელს მეწარმეებს მიჰყვეს ხელი საბადო ნაკვეთების მფლობელებმა, რომლებიც აქამდე არ ეწეოდნენ მადნის მოპოვებას.

[46] იხ. „ცნობის ფურცელი“, 1902, 1 მარტი, № 1739.

გამგეობას საქმე ექნება მხოლოდ წარმომადგენლებთან (ე. ი. ამხანაგობათა რწმუნებულებთან — გ. მ.), წარმომადგენელთ კი თვითონ ჯგუფების წევრებთან. მრეწველი პასუხს აგებს ჯგუფის (ე. ი. ამხანაგობის — გ. მ.) წინაშე, გამგეობა კი ბერლინის სინდიკატის წინაშე. აი, ის სისტემა, ის ნიადაგი, რომელზედაც არის აგებული ეს ახალი საქმე"[47].

ყოველივე აქედან ჩანს, რომ ეს მრავალსაფეხურიანი გაერთიანება, ანუ თავისებური კომბინაცია, მრავალი თავისებურებით ხასიათდება. საზოგადოება „შავი ქვა" წარმოადგენდა არა იმდენად სამრეწველო, არამედ, რაც მთავარია, სავაჭრო გაერთიანებას, შექმნილს, ერთი მხრივ, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ხელშძღვანელობისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მოპოვებული მადნის გასაღების ორგანიზაციის ცენტრალიზაციისათვის.

საზოგადოება თავის წევრთა სამრეწველო და მეტადრე სავაჭრო საქმიანობისა და ოპერაციების საკუთარ ხელში კონცენტრირებითა და ცენტრალიზაციით ცდილობდა ეხსნა თავი უცხოელ მეწარმეთა და ვაჭარ-ექსპორტიორთა მოძალებისაგან, მოეპოვებინა მონოპოლიური მდგომარეობა მრეწველობაში და ნაწარმის გასაღებაში.

საზოგადოება თავიდანვე ვარაუდობდა, რომ მოპოვებულ მადანს მთლიანად ჩააბარებდა მანგანსინდიკატს რკინიგზის სადგურზე, საიდანაც უკანასკნელი მას გაიტანდა საერთაშორისო ბაზრებზე გასასაღებლად.

ეკონომიური, აგრეთვე პოლიტიკური კრიზისითა და უცხოური კაპიტალის მოძალებით ძლიერ შევიწროებულ მრავალრიცხოვან ქართველ მეწარმეთა გაერთიანება — „შავი ქვა" ფორმით სინდიკატის ტიპის გაერთიანებას წარმოადგენდა, ხოლო საზოგადოება „შავი ქვისა" და მანგანსინდიკატის კავშირი შერეულ სინდიკატს ემსგავსებოდა[48].

სწორი არაა მოსაზრება, რომ თითქოს „თავისი საქმიანობის

---

[47] იხ. საზოგადოება „შავი ქვის" დაარსების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორის", — ს. ქვარიანის წერილი—„შავი ქვის მრეწველთა ჯგუფი", „იეერია", 1901, 26 ოქტომბერი, № 233.

[48] საზოგადოება „შავი ქვა" და ის კავშირი, რომელიც მან შეკრა ბერლინის სინდიკატთან, არ წარმოადგენდა ტრესტის მსგავს გაერთიანებას, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია. ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების იმდროინდელ პირობებში მონოპოლისტური ორგანიზაციების განვითარება მრეწველობაში საზოგადოდ არ გასცილებია სინდიკატებს, ხოლო უმაღლესი ტიპის მონოპოლისტური გაერთიანებანი, ტრესტები და კონცერნები მრავალ ქვეყანაში საიდუმლო ხასიათს რომ ატარებდნენ და შენიღბულად მოქმედებდნენ, ჩვენში, ყოველ შემთხვევაში, შარგანეცის მრეწველობაში, არ აღმოცენებულა.

მიხედვით დიდი ხნის წინათ შექმნილი და იმ დროსაც მოქმედი მრეწველთა გაერთიანებები: „იმერეთის ამხანაგობა“, „კავკასიის ამხანაგობა“, „იმედი“ და „სოიუზი“ თითქმის ანალოგიურნი იყვნენ „შავი ქვის“ საზოგადოებისა“, რადგან ყველა ჩამოთვლილი გაერთიანების მიზანი მოპოვებული მადნის გასაღების საქმის მოგვარება იყო“[49]. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოდასახელებული ამხანაგობანი ამ დროს უკვე არ მოქმედებენ. „შავი ქვის“ საზოგადოების დაარსების მთელი ისტორია, ისევე, როგორც ამ საზოგადოებასა და ბერლინის მანგანსინდიკატს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე დაკვირვება, აშკარად გვიდასტურებს, რომ მრეწველთა ამხანაგობების და ცალკეულ მრეწველთა მრავალრიცხოვანი გაერთიანება, შეკავშირებული ბერლინის მანგანსინდიკატთან, არსებითად განსხვავდებოდა ქართველ მეწარმეთა ყველა ადრინდელი ამხანაგობისაგან. ამას ამჩნევდნენ ჭიათურის მრეწველობის საქმეში კარგად ორიენტირებული მოღვაწენი და მათ შორის, „შავი ქვის“ საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი ს. ქვარიანი, რომელიც 1902 წელს წერდა: „ნედგა „შავი ქვის“ ვრცელი საზოგადოება, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჭიათურის მრეწველობის ისტორიას. მართალია, ჩაიყარა მაგარი და მტკიცე საძირკველი, მაგრამ არ ვიცით, როგორი იქნება კედლები და გუმბათი“[50].

ბერლინის მანგანსინდიკატმა „შავი ქვის“ საზოგადოებასთან მორიგებით (რუსეთის მთავრობისათვის გვერდის ავლით და პარტნიორის უფლებებით შენიღბვით) გაინაღდა ჭიათურის მრეწველობის პროდუქციის ადგილზევე შესყიდვა და მარგანეცის მადნის ექსპორტში გაბატონებული მდგომარეობის მოპოვების გარკვეული შესაძლებლობაც. მაგარმ პარტნიორთა საქმეები, მათი ურთიერთობა, ინტერესთა ურთიერთდაჯახების გამო, წინასწარი შეთანხმების ზუსტად დაცვის საფუძველზე არ წარმართულა. საქმე რომ ხელშეკრულებას გაყოლოდა მანგანსინდიკატს შესაძლებლობა ეძლეოდა თავისთვის მომგებიანი სესხებისა და ავანსების გაცემით, აგრეთვე მადნის შესყიდვისა და გასაღების ოპერაციების მოხერხებულად წარმოებით, კაბალურ მდგომარეობაში ჩაეყენებინა თავისი შედარებით სუსტი პარტნიორი.

შეკავშირებით ანუ კომბინაციით ერთნაირად დაინტერესებული და ერთნაანეთის ხარჯზე გაძლიერების მოიმედე პარტნიორები არსებითად ურთიერთსაპირისპირო მიზნებს ისახავდნენ. ამიტომ, მათ შორის და-

---

[49] ელ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 240.

[50] ი.ხ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წლის 1 მარტი, № 1739.

დებული ხელშეკრულებით შემუშავებულ კურსს არ ეწერა რამდენადმე თანმიმდევრული და, მით უმეტეს, სრული განხორციელება. ამის მიუხედავად. 1905 წლის დამდეგამდე საქმე, ძირითადად, ხელშეკრულებას ემყარებოდა:

„მანგანსინდიკატი" ავანსებსა და სესხებს იძლეოდა, „შავი ქვა" კი მას მადანს აბარებდა ჭიათურისა და ჭიქოურის სადგურებზე[51], ხოლო 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ჭიათურაში მრეწველთა და მთელი მათი გაერთიანების პოზიციები ძლიერ შეირყა, რამაც ბერლინის მანგანსინდიკატსაც მაქსიმალური სიფრთხილისაკენ უბიძგა. ასეთ ვითარებაში უკანასკნელმა საზოგადოება „შავ ქვასთან" კომერციული ურთიერთობა არსებითად თითქმის შეწყვიტა, თუმცა თავის მიზნებზე ხელი არ აუღია და მომავლის მოლოდინს მიეცა. საზოგადოება „შავი ქვის" ხელმძღვანელობამ კი სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში წამოაყენა და მანგანსინდიკატს შესთავაზა „მრეწველობის მთელი საქმის ხელში აღება", რითაც საფუძველი უნდა ჩაყროდა „მარგანეცის მონოპოლიას"; მაგრამ, ჩვენში რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობის პირობებში, მან ეს ვერ გაბედა. ამის გამო საზოგადოება „შავი ქვის" წარმომადგენელი, გ. ზდანოვიჩი, 1905 წლის 24 მარტს სწერდა ბერლინში: «Предложение, обращенное мной к вам из Кутаиса через г. Неимана*, взять в свои руки все марганцевое дело, пользуясь настоящим благоприятным моментом, и тем положить основание марганцевой монополии, было сделано мной в интересах не только промышленников, но и вас самых. Быть может, —განაგრძობს გ. ზდანოვიჩი, — даже ваши собственные интересы были затронуты здесь гораздо больше, чем какие либо другие. Но очевидно вы другого мнения на этот счет и почему вы легко пропустили первое самое удобное время для переговоров, пока еще продолжалась стачка рабочих»[52]. ორ ფირმას შორის მოლაპარაკება გახანგრძლივდა: საზოგადოება „შავი ქვა" მოითხოვდა პარტნიორებს შორის ურთიერთობის აგებას 1902 წელს დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე, ხოლო მანგანსინდიკატი კატეგორიულად, მბრძანებლური ტონით მოითხოვდა ამ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლის „გაუმჯობესებას", თავისი უფლებებისა და კონტრაგენტის მოვალეობის გაფართოებას, უამრავ გარანტიებს და მათ შორის გაცემულ სესხებზე და ავანსებზე გარანტიას აზოვ-დონის ბანკის მეშვეობით და სხვ.[66].

პარტნიორის დაკარგვის შემდეგ საზოგადოებას „შავი ქვა" მალე

---

[51] იხ. ქიემა, გ. ზდანოვიჩის ფონდი, 6416/73.

* ფ. ნეიმანი — ბერლინის მანგანსინდიკატის რწმუნებული ქუთაისში.

[52] იხ. ქიემა, ზდანოვიჩის ფონდი, 6416/104.

ჩამოსცილდა წევრთა უმრავლესობა. ის ფაქტიურად დაიშალა. როგორც მსხვილი გაერთიანება, თუმცა თორმეტი წევრით მაინც არსებობდა, ხოლო ბერლინის მანგანსინდიკატს, როგორც ქვემოთ (თავი IV) დავინახავთ, ჭიათურაში მალე შეენაცვლნენ სხვა უძლიერესი გერმანულივე ფირმები.

სინდიკატის ფორმის გაერთიანების დაარსება ჩვენში კაპიტალიზმის განვითარების გარკვეული დონის ნაყოფია: მისი დაარსება მოწმობს, რომ მრეწველობის მოცემულ დარგში XX საუკუნის დამდეგს თავს იჩენენ იმპერიალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი ცალკეული ნიშნები, რომელთა შორის სინდიკატური გაერთიანებების შექმნაცაა აღსანიშნავი. კრიზისმა მწვავე გარჩევა მოახდინა: გარიყა უფრო წვრილი საწარმოები და გამოიწვია წარმოების შემდგომი კონცენტრაცია. ეს ტენდენცია და მონოპოლიის შექმნისადმი მისწრაფება ჭიათურაში კიდევ უფრო გაძლიერდა პირველი მსოფლიო ომისწინანდელი სამრეწველო აღმავლობის პერიოდში.

§ 4. მუშათა მდგომარეობა და ბრძოლა სამრეწველო კრიზისისა და 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში

1901 — 1905 წლების სამრეწველო კრიზისისას მარგანეცის მრეწველობის დაცემასთან ერთად, გაუარესდა მუშათა მდგომარეობა. კრიზისის პირველ წელს წინა წელთან შედარებით სამთო მუშათა რიცხვი 53,3%-ით შემცირდა. უმუშევართა რიგებში მოექცა 1700-ზე მეტი სამთო მუშა[1]. ასევე თითქმის სანახევროდ შემცირდა მადნის გადამზიდველ მუშათა რიცხვი. სამუშაოს გარეშე დარჩენილი თავისუფალი მუშახელის დიდი რაოდენობით არსებობამ შესაძლებლობა მისცა მეწარმეებს შეემცირებინათ მუშის ხელფასი, აემაღლებინათ მშრომელთა ექსპლოატაციის დონე. მუშათა ხელფასის შემცირებისა და მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების შედეგად თანდათან გამწვავდა და უკიდურესად დაიძაბა მრეწველთა და მუშათა ურთიერთობა, მუშათა ცალკეული გამოსვლები და გაფიცვები, რაც კრიზისის წლებში წამოიწყო და გაღრმავდა, 1905 წლის რევოლუციის დაწყებისთანავე გადაიზარდა მუშათა მასობრივ-პოლიტიკურ, რევოლუციურ მოძრაობაში, რომელსაც 1903 წლიდან ხელმძღვანელობას უწევდა რსდმ პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. მალე

[1] შდრ: სამთო მუშათა რიცხვი 1900 და 1901 წლებში იხ. Статистика марганцевого дела, К., 1907, გვ. 37.

ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია — სამრეწველო რაიონის მუშათა ბრძოლის უშუალო ხელმძღვანელი.

* * *

სამრეწველო სტატისტიკა არ შეიცავს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში და მასთან დაკავშირებულ, დამხმარე საწარმოებში ჩაბმულ მუშათა საერთო რაოდენობის, ასევე მუდმივ და სეზონურ მუშათა რაოდენობის თანაფარდობის რამდენადმე ზუსტად დასადგენად აუცილებელ მონაცემებს. ის მხოლოდ სამთო მუშათა რიცხვს აღნუსხავდა. სამრეწველო სტატისტიკის ნაკლული მონაცემების თანახმად ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში სამთო მუშათა რიცხვი, განსახილველ პერიოდში ასე ცვალებადობდა:

წელი	მუშათა რიცხვი
1901	1 975
1902	2 212[2]
1903	3 193[3]
1904	2 995
1905	3 170[4]

მოტანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ კრიზისის პირველ წელთან შედარებით, მომდევნო წლებში სამთო მუშათა რიცხვი, 1904 წლის გამოკლებით, იზრდებოდა. 1901 — 1905 წლებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მადნის მოპოვების მასშტაბებში დიდი ცვლილებები არ მომხდარა: მადნის წლიური მოპოვება, 1902 წლის გამოკლებით, როცა მან 25 მილიონ ფუთს მიაღწია, 20—22 მილიონს შორის მერყეობდა. ამიტომ, ერთი შეხედვით, გაუგებარია სამთო მუშათა რიცხვის შედარებით დინამიურობა: მისი სიმცირე 1901 და 1904 წლებში და თვალსაჩინო სიდიდე 1902, 1903 და 1905 წლებში, რასაც ზემომოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ. ვფიქრობთ, საქმე იმაშია, რომ 1901 და 1904 წლებში სამრეწველო რაიონში „სიმშვიდე" სუფევდა, სამთო სამუშაოები სტაბილურად მიმდინარეობდა და მუშებიც ინტენსიურად მუშაობდნენ, ხოლო 1902, 1903 და, მეტადრე, 1905 წლებში მუშათა გაფიცვებისა და რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების შედეგად მადნის მოპოვება თვეების მანძილზე

[2] Статистика марганцевого дела, 1907, გვ. 37.
[3] Обзор Кутаисской губернии за 1903 год, К., 1905, გვ. 54.
[4] Статистика марганцевого дела, 1907, გვ. 37.

შეჩერდა, მუშათა მძლავრი გამოსვლების დროებით შეწყვეტისას კი მეწარმეები ცდილობდნენ, რამდენადაც შეიძლებოდა მეტი მუშახელი ჩაებათ საკუთარ საბადოთა ექსპლოატაციაში, რომ ამით აენაზღაურებინათ გაცდენილი თვეების დანაკარგი. სამრეწველო სტატისტიკაც, ვფიქრობთ, სამთო მუშათა რაოდენობას აღრიცხავდა სწორედ იმ თვეებში, როცა მადნის მოპოვება მიმდინარეობდა. ამაზე მეტყველებს ის. შეუსაბამობა, რაც მოცემულ პერიოდში არსებობს წლიური მოპოვების ოდენობასა და სამთო მუშათა რაოდენობას შორის. ამრიგად, თუ მადნის წლიური მოპოვების ოდენობის მაჩვენებლებს გავითვალისწინებთ, აშკარაა, რომ სამთო მუშათა რიცხვი 1901 — 1905 წლებში არ უნდა ხასიათდებოდეს დიდი მერყეობით, რადგან საწარმოო საქმიანობის მასშტაბში მსგავს ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

ყურადღებას იმსახურებს სამრეწველო რაიონის სამთო მუშათა განლაგება სხვადასხვა საწარმოში, რასაც უკვე შეეხეთ სხვადასხვა სამთო საწარმოთა საქმიანობის მასშტაბის დახასიათებისას (იხ. § 2). ზემოთ გავეცანით მარგანეცის მრეწველთა 1904 წლის სიას, სადაც ჩამოთვლილია მარგანეცის მრეწველები და იქვე დიფერენცირებულადაა ნაჩვენები თითოეული მათგანის საწარმოში დასაქმებულ სამთო მუშათა რიცხვი. სიის მონაცემების ანალიზი მოწმობს მუშათა თავმოყრას შედარებით მსხვილ საწარმოებში[5]. თითოეულ მრეწველზე საშუალოდ მოდიოდა: 1901 წელს — 11, 1902 წელს — 12, 1903 წელს —19, 1905 წელს —18 მუშა. ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ კრიზისის პერიოდში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში საგრძნობია მუშათა კონცენტრაცია, რაც წარმოების კონცენტრაციის მაჩვენებელიცაა. სხვანაირად შეუძლებელიც იქნებოდა, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, „ყოველგვარი კრიზისი — უფრო ხშირად ეკონომიური, მაგრამ არა მარტოოდენ ეკონომიური — თავის მხრივ მეტისმეტად აძლიერებს ტენდენციას კონცენტრაციისა და მონოპოლიისადმი“[6].

ზემოთ (§ 1) დავინახეთ, რომ 1901 — 1905 წლებში, ჭიათურის სამრეწველო რაიონში, მაღაროთა და შტოლნთა საერთო რიცხვი მცირდებოდა, ხოლო მათი საშუალო სიდიდე ანუ წარმადობა იზრდებოდა, რაც ხელსაყრელ პირობას ქმნიდა შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, „შრომის

---

[5] მრეწველთა სია იხ. ЦГИАЛ, ф. 37, оп. 58, д. 328, 1904—1905 гг., л. 189—192.

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 260,

ნაყოფიერება მატულობს მაღაროთა სიდიდის ზრდასთან ერთად, მატულობს მანქანების გამოუყენებლადაც კი"[7]. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს სამთო მუშათა საშუალო წლიური მწარმოებლურობის ზრდა განსახილველ პერიოდში, რაც 1901 — 1903 წლებში საგრძნობია სამრეწველო აღმავლობის წლებთან შედარებითაც კი. ასე მაგალითად, სტატისტიკის ცნობით, სამრეწველო აღმავლობის სარეკორდო (1900) წელს ერთი მუშის საშუალო წლიური მოპოვება შეადგენდა 10 903 ფუთს.

1901 წელს	— 11 595	ფუთს
1902 წელს	— 11 709	"

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სტატისტიკის ცნობით მუშის საშუალო წლიურმა წარმადობამ 1904 და 1905 წლებში იკლო და შეადგინა შესაბამისად 7 636 და 6 581 ფუთი[8]. 1905 წელს ეს დაკლება, ვფიქრობთ, სამრეწველო რაიონში მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებითა და სამთო საწარმოთა ხანგრძლივად შეჩერებით უნდა აიხსნებოდეს, ხოლო 1904 წელს დაკლება ჩვენთვის გაუგებარია. სამრეწველო კრიზისის პირველ სამ წელს მუშის საშუალო წლიური გამომუშავების ზრდა წარმოების, ასევე მუშათა კონცენტრაციის ზრდითა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებითაც აიხსნება.

სტატისტიკური კრებულები და სხვა წყაროები არ შეიცავენ ცნობებს სამრეწველო რაიონში მადნის გადაზიდვისა და მრეწველობის დამხმარე დარგებში ჩაბმული დაქირავებული მუშახელის რაოდენობის საჩვენებლად. ამასთანავე, სტატისტიკოსთა ზეპირი განცხადებით მეურმე-ჩალვადართა რიცხვი მოცემულ პერიოდში სამთო მუშათა რიცხვს უტოლდებოდა, ხოლო ყველა დამხმარე საწარმოთა და დაწესებულებათა რიცხვი, 1903 წელს ჭიათურაში ჩატარებული აღწერით, იყო 84[9]. ჭიათურის რკინიგზის შტოს სადგურებზე მადნის მტვირთავ მუშათა რიცხვიც საგრძნობი იყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საფუძველი გვაქვს ვერწმუნოთ ინჟ. ა. დ. მიხაილოვს, რომლის ცნობით, ჭიათურის სამრეწველო რაიონში 1905 წელს დაქირავებულ მუშათა რიცხვი 9 000-ს აღემატება[10]. კრიზისმა მუშახელზე მოთხოვნილება დასცა, თუმცა მუშათა დიდი

---

[7] ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ. ტ., 3. გვ. 583.

[8] Статистика марганцевого дела. К., 1907, გვ. 24—39; სარწმუნო საარქივო საბუთის მოწმობით მუშის საშუალო დღიური გამომუშავება 40, ან 50 ფუთს არ აღემატებოდა (ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, 1900—1903, л. 203).

[9] Статистика Чиатурского населения по переписи производственной... 18—20 января 1903 года. К., 1905, გვ. 4.

[10] Л. Д. Михайлов, Кавказская марганцевая руда, СПБ, 1906, გვ. 2.

ნაწილი სამრეწველო რაიონიდან არ წასულა. მუშახელის დენადობა უფრო საგრძნობი იყო მადნის გადამზიდველთა შორის, უფრო ზუსტად, ჩალვადარ-მეურმეთა გარდა, მოსული მუშახელი სამუდამოდ უკვე იშვიათად ეთხოვებოდა წარმოებას. კრიზისის წლებში გაძლიერდა სამთო მუშათა გადასვლა ერთი საბადოდან მეორეში, ერთი მრეწველიდან მეორის ხელში. საგრძნობი იყო მუშების გაცდენა. გ. ემერიკის მტკიცებით, სამთო მუშა წელიწადში მხოლოდ 150 დღეს მუშაობდა. განსახილველ პერიოდში, კრიზისის მიუხედავად, ფართოდ გაიშალა გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობა. შეიდი ფაბრიკის მშენებლობამ დიდძალი მუშახელი მიიზიდა. მუშათა რიგების შევსების წყაროს, ახლაც, როგორც ადრე, სოფლიდან მოსული გაღარიბებული გლეხობა, აგრეთვე მუშათა ოჯახები შეადგენდა. კადრის მუშათა ჩამოყალიბების პროცესს ამჯერადაც ანელებდა სამრეწველო რაიონში შრომისა და ყოფის უკიდურესად მძიმე პირობების არსებობა. ამის გამო მუშები შორეული კუთხეებიდან მარტო, ოჯახების გარეშე, მოდიოდნენ, ხშირად დიდი ხნითაც, თუმცა, ისინი პირველი შესაძლებლობისთანავე ტოვებდნენ სამუშაოს. ჭიათურაში მეტად თავისებური, სპეციფიკური მდგომარეობა გვაქვს: ჯერ ერთი, სამთო საწარმოები დიდ სივრცეზეა გაბნეული და საბადო ზეგნების მრავალი სოფლის, ასევე მახლობელი სოფლების ღარიბი გლეხობა დაქირავებული მუშახელის რიგების შევსების წყაროს წარმოადგენს. ის სამუდამოდ ებმება წარმოებაში, იქმნება ისეთი ვითარება, რომ სამრეწველო რაიონში, ან მის მახლობელ კუთხეებში მცხოვრები ღარიბი გლეხური მოსახლეობა, რომელმაც თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა წარმოებას, კადრის მუშების შევსების უმთავრესი წყარო ხდება. მუშის, მეტადრე სამთო მუშის, ხელობა მემკვიდრეობით პროფესიად იქცევა გლეხური ოჯახისათვის. ამასთანავე სამრეწველო რაიონში, ან მის მახლობლად ოდითგანვე მცხოვრები ასეთი ოჯახი წევრთა მთელი, მათ შორის ქალთა და არასრულასაკოვანთა, შემადგენლობით ცდილობს წარმოებაში ჩაბმას, რაზეც აშკარად მეტყველებს წყაროები, რომლებიც მრავლად შეიცავენ ცნობებს წარმოებაში ქალთა და ბავშვთა შრომის გამოყენებაზე. მეორეც, სამრეწველო რაიონის მკვიდრი გლეხური ოჯახიდან გამოსული მუშა უშუალო კავშირშია მიწასთან და ინტენსიური სოფლის მეურნეობის ქვეყანაში ეს კავშირი საზოგადოდ უფრო მტკიცე და მყარიცაა, თუმცა მუშის ოჯახის ბიუჯეტში თანდათან უფრო თვალსაჩინო ხდება წარმოებიდან ქირის სახით მიღებული შემოსავლის უპირატესი მნიშვნელობა მიწათმოქმედებისაგან მიღებული შემოსავლისგან განსხვავებით. ჭიათურის სამრეწველო რაიონის გლეხური მოსახლეო-

ბის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოებაში დაქირავებული მუშახელის სახით სამუდამოდ ჩაება. მართალია, ასეთ მუშათა უმრავლესობა მთლიანად და სამუდამოდ არ წყვეტდა კავშირს მიწასთან. ამის მიუხედავად, ისინი არ შეიძლება არ ჩაითვალონ კადრის. მუშებად, რადგან წარმოებაში სამუდამოდ არიან ჩაბმული, აქედან მიღებული შემოსავალი მათთვის არსებობის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამასთანავე ასეთი გენეალოგიის მუშათა მთელი ოჯახები, მეტ-ნაკლებად, მთელი შემადგენლობით უკავშირდებიან წარმოებას. ამგვარად, ისინი, მართალია, მიწასთან კავშირს, თუნდაც ძლიერ შესუსტებულს მეტწილად მაინც ინარჩუნებდნენ, ამის მიუხედავად, სამუდამოდ წყვეტენ კავშირს ძველ ტრადიციებთან და წოდებრიობასთან.

ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა, მათ შორის კადრის მუშათა, რიგები იზრდებოდა აგრეთვე შედარებით შორეული კუთხეებიდან მოსულ გლეხთა ხარჯზე. ამ პროცესის საილუსტრაციოდ წყაროები მხოლოდ დაბა ჭიათურის შესახებ ცნობებს შეიცავენ. ჭიათურაში 1897 წელს 907 მცხოვრები აღირიცხა, ხოლო 1903 წელს — 1847. აქედან იმავე 1903 წელს 1523 ანუ 82,45 % მამრობითი სქესის მოსახლეობაა. მამრობითი სქესის მოსახლეობის შედარებითი სიდიდე სამრეწველო მოსახლეობის საერთო რიცხვის სიჭარბით აიხსნება. ეს გარემოება იმასთანაც იყო დაკავშირებული, რომ სამრეწველო რაიონის ცენტრი ამ დროს არ იყო ისე მოწყობილი, რომ მას უზრუნველეყო აქ თავმოყრილი დაქირავებული მუშახელის ოჯახურად დასახლება. საყურადღებოა აგრეთვე, რომ 1903 წელს ჭიათურის მოსახლეობის საერთო რიცხვიდან 1313 ანუ 71,09 % გლეხური წარმოშობისაა. ყოველ 100 სულ მოსახლეზე წარმოშობით გლეხია 71. გლეხური წარმოშობის მოსახლეობის სიჭარბე, ბუნებრივია, კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნებოდა სამთო საწარმოთა ფარგლებში, სადაც მარტო მუშური მოსახლეობა ცხოვრობდა. თუ ყველა არაპრივილეგიური წოდების წარმომადგენლებს გავაერთიანებთ, გამოვა, რომ ჭიათურაში 1903 წელს ასეთია 1476 სული ანუ მთელი მოსახლეობის 80 %[11]. მეტად მრავალფეროვანი იყო ჭიათურის სამრეწველო რაიონის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1903 წლის აღწერის თანახმად ჭიათურაში 15 ეროვნების მოსახლეობაა: მათ შორის ქართველები 1399 სული ანუ 75,74 %, რუსები — 117 ანუ 6,33 %, ბერძნები — 112 ანუ 6,06 %, სომხები — 76 ანუ 4.11 %. არიან აგრეთვე: ებრაელები, ოსები, ინგუშები, ლეკები, ჩეჩ-

[11] Статистика Чиатурского населения по переписи произведенной 18—20 января 1903 года. К., 1905, зд. IV—VI.

ნები. ასევე უცხოელები: ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, სპარსელები, თურქები და სხვ.[12] მოტანილი ცნობები იმაზე გვანიშნებენ, რომ სამთო, მადნის გადამზიდველ, ასევე დამხმარე საწარმოთა და დაწესებულებათა მუშახელის კონტინგენტს უპირატესად კვლავ საქართველოს, მეტადრე დასავლეთ საქართველოს, სოფლიდან მოსული ღარიბი გლეხობა ავსებს, თუმცა მუშათა შორის არიან აგრეთვე რუსეთის შიდა გუბერნიებიდან და კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან მოსულნი: რუსები, სომხები, ოსები; გრძელდება სპარსეთიდან და თურქეთიდან მუშახელის მოსვლა. ამ ქვეყნებიდან წარმოებას მოაშურებენ არა მარტო სპარსელები და თათრები, არამედ სომხები და ბერძნებიც. სამთო მუშათა ძირითად მასას ამ პერიოდშიც ქართველები შეადგენენ, თუმცა ვხვდებით რუსებს, ოსებს, სომხებს. ამავე დროს, თუ გასული საუკუნის დამლევამდე სპარსელები და თურქები სამთო მუშათა შორის აქა-იქ გვხვდებოდნენ, ამჯერად ისინიც ებმებიან სამთო სამუშაოებში. მადნის საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით გადამზიდველთა დიდი ნაწილი ქართველებია, ნაწილიც სპარსელები და თურქები, რომლებიც აქ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით მოდიან. მრეწველობის დამხმარე საწარმოებში ქართველების გარდა არიან აგრეთვე რუსები, სომხები და ბერძნები, რომლებიც მისდევენ სამუშაო იარაღების კეთება-შეკეთებას, სამთო გამონამუშევრების გასამაგრებელი მასალის დამზადებას და სხვა.

1900-იანი წლებიდან გარკვეული ცვლილება შეინიშნება სამთო მუშათა პროფესიონალურ შემადგენლობაში. მართალია, ისინი, როგორც ადრე, ძირითადად კვლავ იყოფიან სამ კატეგორიად: მადნის მსგრეველებად, გამომზიდველებად და დამხარისხებლებად, მაგრამ ადრინდელისაგან განსხვავებით, სამთო მუშათა შორის აქა-იქ გამოჩნდნენ ე. წ. „დამმუხრუჭებლები," „მწმენდავები", ხოლო დიდი რაოდენობით „შავი მუშები"[13]. ასე მაგალითად, მაღაროებში 1891—1900 წლებში მომხდარი უბედური შემთხვევების უწყისში არ ვხვდებით „დამმუხრუჭებლებს", „მწმენდავებს" და „შავ მუშებს"[14], ხოლო 1900-იანი წლების დამდეგიდან უბედური შემთხვევების აღრიცხვისას ისინი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ 1901—1903 წლებში ჭიათურის მაღაროებში უბედური შემთხვევებისას დაშავებული 83 მუშიდან, გ. ზდანოვიჩის ცნობით, 39, ანუ 47 %,

---

[12] Статистика Чиатурского населения по переписи произведенной... 18—20 января 1903 года. К., 1905, გვ. 5—6.

[13] Труды VI съезда... გვ. 27.

[14] უწყისი იხ. ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 69, 1891—1900, л. 1—57.

„შავი მუშებია“[15]. ამიერიდან წყაროებში შავი მუშები მოიხსენიებიან მნგრეველთა, მადნის გამომზიდველთა და დამსარისხებელთა გვერდით. ჩვენი დაკვირვებით, ეს იმით აიხსნება, რომ წარმოების განვითარებისდაკვალად გაღრმავდა შრომის დანაწილება და სხვადასხვა საქმეში დაოსტატებულ მუშას წარმოების პროცესში დასჭირდა და კიდევაც შეეზიარა შავი მუშა. ტექნიკური სიახლეების დანერგვამ და, კერძოდ, სამთო გამონამუშევრებში რელსებიანი გზების შეყვანამ დააჩქარა მადნის გამოზიდვის ოპერაცია და მოითხოვა გამონამუშევრების წმენდითი სამუშაოების გაფართოება. საამისოდ მოწყობილი რელსებიანი გზით საბადოების სიღრმიდან მადნის გარდა გამოჰქონდათ აგრეთვე ფუჭი ქანები. ამას მოითხოვდა საბადოთა რაციონალური ექსპლოატაცია. საწარმოო პროცესში ეომხდარმა ძვრამ მოითხოვა საბადოთა ამწმენდ და მაღაროში მადნის ვაგონეტებში დამტვირთველ შავ მუშათა მონაწილეობა. ამ კატეგორიის მუშათა რიცხვი თვალსაჩინოდ გაიზარდა მრეწველობის განვითარების მომდევნო ეტაპზე, როცა ტექნიკური სიახლეების დანერგვით საბადოთა რაციონალური ექსპლოატაცია გაფართოვდა.

განსახილველ პერიოდში მუშათა რიგების შევსებაზე დაკვირვებისას შეიმჩნევა კრიზისის შედეგად წარმოებიდან განდევნილ წვრილ მეწარმეთა გადაქცევა დაქირავებულ მუშებად. მკაფიოდ შეინიშნება მრეწველთა მონაწილეობის ფორმის შეცვლა მარგანეცის წარმოებაში. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ „კაპიტალის სიდიდე განსაზღვრავს საწარმოში მეპატრონის პირადი მონაწილეობის ფორმას: არის თუ არა ის თვითონაც მუშა, როცა მისი კაპიტალი ჯერ კიდევ ძალიან მცირეა, თუ უარს ამბობს პირად მუშაობაზე და სპეციალდება კომერციულ — სამეწარმო ფუნქციებში“[16]. ვ. ი. ლენინს მოჰყავს შემდეგი დებულება და მაგალითი (მოსკოვის გუბერნიის საწარმოთა აღწერიდან: „შეიძლება... მეპატრონის მდგომარეობა დავუკავშიროთ, მისი მუშების რიცხვს“... „2—3 მომუშავე იმდენად ცოტა ნამეტს აძლევს მეპატრონეს, რომ ის თვითონ მათ გვერდით მუშაობს... 5 მომუშავე კი უკვე იმდენს აძლევს მეპატრონეს, რომ ის რამდენადმე ითავისუფლებს თავს ხელით მუშაობისაგან...“ „როგორც კი დაქირავებული მუშების რიცხვი აღწევს 10-ს ან გადაამეტებს ამ ციფრს მეპატრონე არა თუ სწყვეტს ხელით მუშაობას, არამედ თითქმის თავსაც კი ანებებს მუშებზე პირადად ზედამხედველობას. ის ნიშნავს მთავარ ოსტატს, რომელიც თვალყურს ადევნებს მომუშავეებს...

---

[15] იხ. Труды VI съезда... марганцепромышленников. К.. 1906. გვ. 26.

[16] ვ. ი. ლენინი, თხზ.. ტ. 3, გვ. 415.

აქ ის უკვე იქცევა პატარა კაპიტალისტად, ნამდვილ მკვიდრ „მეპატრონედ“[17]. მართალია, აქ ვ. ი. ლენინი ეხება კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციას, ამის მიუხედავად, საწარმოში მეპატრონის პირადი მონაწილეობის ფორმის ეს განსაზღვრა, ვფიქრობთ, შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც გასაღები და ამოსავალი პუნქტი ჭიათურის სამთო საწარმოებში მეპატრონეთა პირადი მონაწილეობის ფორმის დასახასიათებლად. ზემოთ (I და II თავებში) გავეცანით სხვადასხვა მასშტაბის სამთო საწარმოთა მუშების რიცხვს და მოვიტანეთ საარქივო წყაროების ცნობები იმის შესახებ, რომ წვრილი მეწარმენი ხშირად თვითონ მუშების გვერდით მუშაობდნენ. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ წარმოების განვითარების ადრინდელ პერიოდებში მსხვილ მრეწველთა და აგრეთვე საშუალო მრეწველთა მცირე ნაწილის გარდა, საბადოთა მეპატრონეები, უკლებლივ, თვითონ განაგებდნენ საწარმოს და მუშებზე ზედამხედველობას. შედარებით შეძლებულმა მრეწველებმა კი თითქმის თავიდანვე დაიქირავეს საბადოთა ექსპლოატაციის განმგებელ-ზედამხედველები. ასე, მაგალითად, 1891 — 1900 წლებში გ. ჩუბინიძის „მაღაროს გამგეა“ ი. ხარაძე, ს. ჩაჩანიძის „საქმის მწარმოებელია“ ს. ასარტიანცი, ს. წერეთლის „საბადოთა ექსპლოატატორია“ ა. ვაკოლოპოლო, ნ. ღოღობერიძის „რწმუნებულია“ ს. ყიფშიძე, გ. ემერიკის „მაღაროს გამგეა“ ი. ლისოვსკი, ი. გამყრელიძისა — მ. გუბკე და სხვ.[18] 1903 — 1904 წლებში კი საბადოების ექსპლოატაციას „ზედამხედველის“ მეშვეობით 49 მრეწველი ეწევა[19]. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ 1900 წლამდე მხოლოდ 20—30 მეწარმე ეწეოდა საბადოთა ექსპლოატაციას პირადი ზედამხედველობის გარეშე.

ადრე, 1893 წლის დამდეგამდე, მეწარმეთა საერთო რიცხვის 83 %. უშუალოდ ხელმძღვანელობდა ოავის კუთვნილ საბადოს ექსპლოატაციას, ხოლო შემდეგ, როცა ჭიათურაზე სამთო ზედამხედველობა გავრცელდა, სამთო უწყებამ მარგანეცის მრეწველებს საბადოთა ექსპლოატაციის პასუხისმგებელი პირების დანიშვნა მოსთხოვა, თუმცა ნება მისცა რამდენიმე მრეწველს ერთი პასუხისმგებელი ჰყოლოდა[20]. ამიტომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა 5 მაღაროს ერთი გამგე ჰყავდა[21]. მაგრამ, ამ მხრივ მოცემულ პერიოდში მომხდარ ცვლილებათა შორის ყველაზე მთავარია, ერთი მხრივ, იმ

---

[17] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 3, გვ. 415—416.
[18] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 69, 1891—1900 гг., л. 1—57.
[19] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. II-а, 1903 — 1904, л. 7—42.
[20] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, л. 21.
[21] ი ქ ვ ე.

მეწარმეთა რიცხვის ზრდა, რომლებიც საბადოთა ექსპლოატაციას დაქირავებულ ზედამხედველ-განმგებელთა მეშვეობით ეწეოდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, იმ მეწარმეთა რიცხვის შემცირება, რომლებიც არა მარტო საკუთრივ განაგებდნენ თავის საბადოთა ექსპლოატაციას, არამედ ხშირად დაქირავებული მუშახელის გვერდით მუშის როლშიც გამოდიოდნენ.

* * *

1901 — 1905 წლების კრიზისმა ძლიერ დაამძიმა ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა მდგომარეობა, გამოიწვია უმუშევრობა. მუშის მოწყობა სამუშაოზე მის მიერ „საამისო გასამრჯელოს“ გაღების გარეშე, რაც მას მეტწილად არ გააჩნდა, თითქმის შეუძლებელი იყო. ამავე დროს მას ყოველგვარი საბაბით აკარგვინებდნენ სამუშაოს. ეს გარემოება აღელვებდა „კვალის“ შორაპნელ კორესპონდენტს, როცა წერდა: „ძლიერ ცუდად ეპყრობიან მუშებს უფროსი ზედამხედველები, რომელთა ხელშია მუშების მიღება და დათხოვნა, რადგან სამუშაოში ჩარიცხვა გაძნელდა (მუშახელი იაფია — ბევრია, მოთხოვნილება — ნაკლები) „უფეშქეშოთ“, ამიტომ დაედვა მას ფასი, გაძლიერდა მისი მოთხოვნილება, დოქითა და ჩაფით ღვინის ზიდვა, ან ქათმის თუ სხვ... ფულის მიღების დროს საერთო დაპატიჟება და პატივისცემა. აი. „ფეშქეში“[22].

მძიმე იყო მუშის შრომის პირობები. საბადოთა ექსპლოატაციის პროცესში სამთო გამონამუშევრები უფრო და უფრო დიდ 60 — 100 საჟენის სიღრმეში იჭრებოდა[23]. საქმე მოითხოვდა მიწისქვეშა სამუშაოების უფრო რაციონალურად წარმოებას, ურომლისოდაც შეუძლებელი ხდებოდა საბადოთა ექსპლოატაციის რიგიანად დაყენება და გამონამუშევრებში რელსებიანი გზების შეყვანა. საამისოდ და შრომის უსაფრთხოების ტექნიკის დასაცავად ცოტა რამ კეთდებოდა, ისიც მხოლოდ მსხვილ სამთო საწარმოებში. გვირაბების ჭერის სიდაბლე და, რაც მთავარია, სუსტი გამაგრება ან გაუმაგრებლობა შრომას აძნელებდა და იწვევდა „ჭერის“ ჩამოშლა-ჩამონგრევას, უბედურ შემთხვევებს, რისი მსხვერპლიც მუშები ხდებოდნენ[24]. მარგანეცის მრეწველთა აღიარებით, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, მაღაროებში უბედურ შემთხვევებს იწვევდა: ჯერ ერთი, სამთო გამონამუშევრების გაუმაგრებლობა ან კიდევ სუსტად გამაგრება,

---

[22] „კვალი“, 1902, № 5, გვ. 81.
[23] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 283, л. 7.
[24] იქვე, ფურც. 19.

მეორე, მუშაობის ტექნიკურად დაუშვებელი მეთოდები, მესამე, უსაფრთხოების წესების დაუცველობა და სამთო ზედამხედველობის უზრუნველობა და, ბოლოს, მეოთხე, მუშის გამოუცდელობა.[25] რუსეთის ფინანსთა სამინისტროში 1903 წლის ოქტომბერში „ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობის“ განსახილველად მოწვეულ საუწყებათაშორისო თათბირზე „განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მარგანეცის მადნის უკიდურესად არასრულყოფილი საშუალებით მოპოვებას“[26]. ეხებოდა რა თათბირზე გამოაშკარავებულ მდგომარეობას, ფინანსთა მინისტრი აცნობებდა მიწათმოქმედების მინისტრს: მაღაროთა გამაგრება ცუდად მიმდინარეობს. ეს ხშირად იწვევს ფენების ჩამონგრევას და მუშათა დასახიჩრებას. ამის გამო ჭიათურის საწარმოებში ამ უკანასკნელ ხანს უბედურ შემთხვევათა ზრდა შეიმჩნევა.[27] უბედურ შემთხვევათა აღრიცხვა მხოლოდ იშვიათ, საგანგებო შემთხვევებში ხდებოდა, რადგან მეწარმენი ცდილობდნენ მათ დამალვას. ამის მიუხედავად, ასეთი შემთხვევების აღრიცხვის მეტად ნაკლული მონაცემებიც კი გვიჩვენებენ უბედურ შემთხვევათა ზრდას. მაღაროებში უბედური შემთხვევები აღირიცხა:

1901 წელს	— 13	1904	— 34
1902 „	— 17	1905	— 40[29]
1903	— 53[28]		

მრეწველთა ყრილობის მასალების თანახმად 1901 — 1902 წლებში უბედურ შემთხვევათა საერთო რიცხვიდან სასიკვდილო იყო 2, 1903 წელს — 7, 1904 წელს — 8. ასევე ხელოვნურად შემცირებული ჩანს უბედურ შემთხვევათა შედეგად დაშვებულ მუშათა რიცხვი გ. ზდანოვიჩის მიერ 1904 წელს მრეწველთა VI ყრილობისათვის მიცემულ ცნობაში, რომლის მიხედვით 1901—1903 წლებში მომხდარი 83 უბედური შემთხვევისას მხოლოდ 83 მუშა დაშავდა. ამ ცნობის მოწმობით, დაშავებული 83 მუშიდან დაიღუპა 9 ანუ 10,8%, დაინვალიდდა 58 ანუ 63,2%, სულ განიკურნა 16 ანუ 26%. გ. ზდანოვიჩი ვითარების შესარბილებლად შედარებასაც მიმართავდა: 1901 წელს ჭიათურის მაღაროებში ყოველ 1000 მუშაზე უბედური შემთხვევის შედეგად დაშავდა მხოლოდ 6,5 ანუ 0,65 %, ხოლო დონეცკის აუზის ქვანახშირის საწარმოებში — 10,4 %. იგი აქ არ ითვალისწინებს

[25] Труды съезда... марганцепромышленников, К., 1906. გვ. 254.

[26] ЦГИАЛ. ф. 37. оп. 55, д. 609, л. 6.

[27] იქვე, მეორე გვერდი.

[28] Труды VI съезда... марганцепромышленников, К., 1904, часть II, გვ. 24.

[29] Труды VIII съезда... марганцепромышленников, К., 1906, გვ. 254.

უბედურ შემთხვევათა აღრიცხვის განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობას ჩვენში და იმასაც, რომ (დონეცკში) ქვანახშირის საბადოებში ბუნებრივიც იქნებოდა უბედურ შემთხვევათა განსაკუთრებული სიხშირე წარმოების მოცემული ღარგის სპეციფიკის გამო. გ. ზდანოვიჩის მოწმობით, ჭიათურის საბადოებში 83 უბედური შემთხვევიდან 53, ანუ 65 %, გამოიწვია მაღნისა და ქანების ჩამონგრევამ[30]. მრეწველობის წინარე პერიოდში, კერძოდ, 1891—1900 წლებში, აღრიცხული უბედური შემთხვევების უწყისიდან კი ჩანს, რომ 43 ასეთი შემთხვევიდან 41 ანუ 95% სამთო გამონამუშევრებში ზევიდან ფენების ჩამონგრევის შედეგი იყო, ხოლო 49 დაშავებული მუშიდან მადნის მნგრეველები იყვნენ 47 ანუ 96 %[31]. გ. ზდანოვიჩის გაანგარიშებით 1901 — 1903 წლებში უბედურ შემთხვევათა შედეგად დაშავებული 83 მუშიდან „შავი მუშა" იყო 39 ანუ 47 %. მადნის მნგრეველი — 28 ანუ 34 %, მადნის გამომზიდველი 12 ანუ 15 %, დამმუხრუჭებელი — 1, მწმენდავი — 1[32].

საყურადღებოა აგრეთვე სამი გარემოება: ჯერ ერთი, რომ აღრიცხული უბედური შემთხვევებიდან 1902 წელს კვირა დღეს მოხდა — 4, ხოლო 1903 წელს — 2, რაც იმას გვიდასტურებს, რომ ამჯერადაც, როგორც ადრე, მუშების ნაწილს დასვენების დღეებშიც უხდებოდა მუშაობა[33]. მეორე, უბედური შემთხვევები ხდებოდა მსხვილ სამთო საწარმოებშიც, სადაც მუშაობის უსაფრთხოება უკვე უნდა ყოფილიყო დაცული: მაგალითად, გ. ემერიკის საწარმოებში დარკვეთში 1901 — 1903 წლებში 4 უბედური შემთხვევა მოხდა[34]. მესამე, სამთო მუშათა დაზღვევის საქმე, რასაც დეტალურად ნაშრომის VII თავში გავეცნობით, იმდენად მოუწესრიგებელი იყო, რომ 1901 — 1903 წლებში უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული 83 მუშიდან 1904 წლამდე „დახმარება მიიღო მხოლოდ 37-მა, ხოლო 46 უყურადღებოდ იყო მიტოვებული"[35]. გ. ზდანოვიჩი საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე დაშავებულ მუშათა ასაკობრივ

---

[30] Труды VI съезда... марганцепромышленников. გვ. 26.

[31] ჩვენს გამოთვლას შდრ: Сведения о несчастных случаях с рабочими на рудниках... Чиатура... 1891—1900 гг. (იხ. ЦГИАЛ. ф. 37. оп. 75. д. 69. л. 1—57.

[32] Труды VI съезда... გვ. 27.

[33] იქვე. გვ. 26.

[34] იქვე. გვ. 74—75.

[35] იქვე. გვ. 27.

შემადგენლობაზე: მისი მოწმობით, 83 მუშიდან 20-მდე წლის იყო 20 ანუ 24,1%.

21 — 25	წლის	იყო	19 ანუ 23.7%	41 — 45	წლის	იყო	— —
26 — 30			18 21.7%	46 — 50	„	„	2 ანუ 2,4%
31 — 35			8 9.6%	ასაკი			9 10.8%
36 — 40			7 8.4%				

როგორც ვხედავთ, დაშავებულ სამთო მუშათა უმრავლესობა მხოლოდ 35 წელს მიღწეულია, ხოლო გ. ზდანოვიჩის პირდაპირი განცხადებით 50 წლის ზევით არ ყოფილა არც ერთი დაზარალებული მუშა, მათ შორის, როგორც ჩანს, ის 9, რომელთა ასაკი ზუსტად არ იყო ცნობილი[36]. ეს ცნობა მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის, რომ მუშათა ასაკობრივ შემადგენლობაზე წყაროები შესაფერის ცნობებს არ შეიცავენ. მრეწველობის განვითარების მოცემულ ეტაპზე, როცა საბადოთა ექსპლოატაციამ მაღაროთა სიღრმეში გადაინაცვლა, სამთო მუშათა ძირითად კონტინგენტს უფრო ახალგაზრდები, აგრეთვე შუახნის მუშები შეადგენდნენ, ხოლო ძლიერ ხანდაზმულნი მათ შორის თითქმის არ გვხვდებიან.

რაც შეეხება უბედურ შემთხვევათა ზრდის ტენდენციას, ამას გვიჩვენებს თუნდაც იგივე გ. ზდანოვიჩი, რომლის გამოთვლით, 1901 — 1903 წლებში მომხდარი უბედური შემთხვევების საერთო რიცხვიდან 1901 წელზე მოდის 15,7 %, 1902 წელზე — 20,5 %, ხოლო 1903 წელზე — 53,8 %. ის ამასთანავე დაასკვნის: „უეჭველია, რომ თუ მაღაროთა მოწყობა ისეთსავე სავალალო მდგომარეობაში დარჩება, როგორშიც ის ამჟამადაა, თუკი მრეწველების მიერ ზომები არ იქნება მიღებული საკუთარი წარმოების ტექნიკის გასაუმჯობესებლად, ასეთ პირობებში უბედურ შემთხვევათა რიცხვი მაღაროებში მოპოვებითი სამუშაოების გაღრმავებისდაკვალად შესამჩნევად უნდა გაიზარდოს“[37]. ამგვარად, ვხედავთ, რომ სამთო მუშათა შრომის პირობები, თვით მრეწველთა აღიარებითაც ძალიან ცუდი იყო, რაც უბედურ შემთხვევებს იწვევდა.

სამთო მუშათა შრომას აძნელებდა გამონამუშევრებში ვენტილაციის მოწყობილობა, სუსტი განათება და სხვ. შრომის მძიმე პირობებში მით უფრო აუტანელი იყო სამუშაო დროის მეტისმეტი ხანგრძლივობა. რუსეთში და, კერძოდ, პეტერბურგში გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში მუშათა საგაფიცვო მოძრაობით „შე-

---

[36] Труды VI съезда... გვ. 27.

[37] იქვე, გვ. 26.

შინებული მეფის მთავრობა იძულებული იყო 1897 წლის კანონმდებლობით შეემცირებინა სამუშაო დღე თერთმეტნახევარ საათამდე"[38], ჭიათურის მარგანეცის საწარმოებში კი მუშა დღეში 13 — 14 საათს მუშაობდა, რასაც აპირობებდა დაქირავების სანარდო სისტემის ბატონობა. ჭიათურაში სამთო და მადნის გადამზიდველ მუშათა დღიურ და თვიურ დაქირავებას ადგილი არ ჰქონია. მრეწველი აიძულებდა მუშას გარიგებოდა მადნის მოპოვებაში საჟენობით (მეტწილად მაშინ, როცა უკანასკნელს მადანი საბადოშივე უნდა ჩაებარებინა) და ფუთობით (საბადოში, აგრეთვე რკინიგზის შტოს ბაქნებზე მადნის ჩაბარებისას). საჟენობით ჩაბარებისასაც ხშირად ფუთობით ხდებოდა გაანგარიშება (საჟენი 1500 — 1800 ფუთად ითვლებოდა). სამრეწველო კრიზისის შედეგად მადნის ფასები ადგილზე, ისევე როგორც საერთაშორისო ბაზრებზე, დაეცა, მადნის შემსყიდველებმა თუ ექსპორტიორებმა მრეწველებისაგან ჭიათურის შტოს ბაქნებზე ნაწარმის ჩაბარებისას ძლიერ გაზარდეს ე. წ. „სკიდკის" ოდენობა: მადნის სინოტივისა თუ დაბალხარისხოვნების საბაბით წონაში ჩვეულებრივ 25 — 30 %-ს უკლებდნენ. მადანზე მოთხოვნილება დიდი არ იყო და მეწარმენი იძულებული იყვნენ მთელი დღეები გაეტარებინათ მყიდველთა სასწორებთან, თვალყური ედევნებინათ მწონავთა „ფოკუსებისათვის" და ასე გაესაღებინათ მადანი შემსყიდველის მიერ შემოთავაზებულ პირობებში.[39]. სამაგიეროდ მრეწველებმა გამოსავალი იპოვეს: ისინი მუშებს ანგარიშს უსწორებდნენ უკვე არა საბადოში ჩაბარებული მადნის ზომისა თუ წონის მიხედვით, არამედ ბაქნებზე მწონავთა მიერ ჩაბარებული წონის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით ინჟ. ფიტინგოვი ჭიათურაში 1903 წლის ივლისის გაფიცვის აქტიურ მონაწილეთა სასამართლო პროცესზე აღნიშნავდა:... „როდესაც საზღვარგარეთ ფასები დაეცა, მადნის შემსყიდველებმა... აუწიეს ჩამოკლების (სკიდკის) პროცენტი და ნელ-ნელა აიყვანეს იგი 20 — 25 %-მდე. ამასთანავე ამბობდნენ, რომ მოხერხებული მოწინავე იღებს ზოგჯერ 40%-მდე. ამგვარად, შემსყიდველები მრეწველებს უფასოდ ართმევდნენ დაახლოებით 25 — 30%-ს. აშკარაა, — განაგრძობს ინჟ. ფიტინგოვი, — რომ მრეწველები, რომლებსაც არ უნდათ თავის ქონების დაკარგვა, ცდილობენ აინაზღაურონ ეს დანაკლისი იქ, სადაც ეს უფრო მოხერხებულია, ე.ი. მუშებიდან. უკანასკნელ დღემდე მრეწველებს და მუშებს შორის ანგარიშები წარმოებდა მუშების მიერ დადგმუ-

---

[38] სკკპ ისტორია, 1961, გვ. 73.

[39] ЦГИАЛ, ф. 95. оп. 18, д. 110, л. 42.

ლი მადნის გროვის აზომვის თანახმად, ასაზომად შემოღებული იყო არშინი. არშინი პირველად 16 ვერშოკს უდრიდა, ხოლო შემდეგ ჩამოკლების (სკიდკის) გადიდებისას „არშინიც გადიდდა და თანდათან ავიდა 18—20—22 ვერშოკამდე", როდესაც ჩამოკლება ავიდა 25 — 30%-მდე, მრეწველებმა უფრო ხელსაყრელად სცნეს მუშებთან ანგარიში გაესწორებინათ ექსპორტიორთა ნოქრების მიერ წონით ჩაბარებული მადნის ოდენობის მიხედვით და არა მოცულობის მიხედვით, როგორც ეს ადრე ხდებოდა. როგორც არ უნდა ყოფილიყო ხელფასის გასწორების წესი, ბოლოს და ბოლოს მძიმე ტვირთი აწვებოდა მუშას"[40].

შრომის ნაყოფიერების ზრდის მიუხედავად მუშის ხელფასი ჩვეულებრივ არა თუ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა.[41] 1905 წლის მარტამდე მნგრეველი მუშის დღიური ხელფასი არ აღემატებოდა 1 მანეთს,[42] მადნის გამომზიდველისა — 80 კაპიკს, მაღაროში მომუშავე შავი მუშისა და საბადოს ზედაპირზე მადნის დამხარისხებლისა — 60—70 კაპიკს, ხოლო ბავშვისა და ქალისა —10—40 კაპიკს.[43]. ბავშვთა და ქალთა შრომა განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა წვრილ საწარმოებში[44], სადაც ხშირად ოჯახის მთელი შემადგენლობა (ბავშვიან-ქალიანად) საკუთრივ ეწეოდა თავის ან სხვის საბადოს ექსპლოატაციას. მაგალითად, 1899 წელს მთელი ოჯახის წევრთა შრომას ემყარებოდა 13 საწარმო, 1903 წელს კი ასეთ საწარმოდ 9 ითვლებოდა. მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებამ მრეწველთა დიდი ნაწილი აიძულა მნიშვნელოვნად გაედიდებინათ მუშის ხელფასი, თუმცა სწორი არ იყვნენ მარგანეცის მრეწველები, როცა პეტერბურგში აცნობებდნენ, რომ თითქოსდა მუშებს შეიათურაში ხელფასი ჯერ კიდევ 1903 წელს გაუდიდდათ „უფრო მეტად, ვიდრე 100%-ით (80 კაპიკიდან 2 მანეთამდე)"[45]. სინამდვილეში 1903 წლისათვის ხელფასის მომატებას მხოლოდ რამდენიმე მსხვილ საწარმოში ჰქონდა ადგილი, ხოლო 1905 წლის მარტიდან მნგრეველი მუშის დღიური ხელფასი გახდა 1 მან და 60 კაპ., გამომზიდველისა — 1 მან. და 40 კაპ., მაღაროში მომუშავე შავი მუშისა და

---

[40] ქს. კვანტრე. საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, 1926, გვ. 41.

[41] ХФЦГИАУ. ფონ. 843, საქ. 90, ფურც. 7.

[42] იქვე.

[43] ХФЦГИАУ, ფონ. 843, საქ. 90, ფურც. 10.

[44] Статистика марганцевого дела, К., 1902. გვ. 38.

[45] ЦГИАЛ, ф. 22. оп. 2, д. 1894, 1903 г., л. 203.

საბადოს ზედაპირზე მადნის დამხარისხებლისა — 1 მანეთი და 10 კაპ.[46]

1905 წლის მარტიდან ხელფასი თითქმის ყველა სხვა კატეგორიის მუშებზე მეტად გაუდიდდათ ჭიათურის შტოს სადგურებზე მადნის მტვირთავ მუშებს: ისინი ადრე დღეში ღებულობდნენ მხოლოდ 60—90 კაპიკს, ხოლო მომატების შემდეგ 1 მან 10 კაპიკიდან 1 მან და 70 კაპიკამდე.[47] ჩალვადრები და მეურმეები საბადოებიდან რკინიგზის შტოს სადგურებამდე ფუთი მადნის გადაზიდვაში იღებდნენ 2,5 კაპიკიდან სამ კაპიკამდე, იშვიათად 3,5 კაპიკამდე. დღიური გამომუშავება აღწევდა 2 — 3 მანეთს. მაგრამ, როგორც ინ. ჩერნევსკის მოხსენებაშია ნაჩვენები, საჭაპანო და სასაპალნე პირუტყვის გამოკვება ძვირი ჯდებოდა. თივა შორიდან მიჰქონდათ, და ღირდა ფუთი 40 — 50 კაპ., ხოლო ქერი და სიმინდი 70 — 80 კაპიკი[48]. კრიზისის პერიოდში მადანზე მოთხოვნილებამ და მისმა ფასმა იკლო, შემცირდა გადაზიდვის ქირაც[49].

სამრეწველო რაიონის ყველა კატეგორიის მუშები გაუგონარ ექსპლოატაციას განიცდიდნენ. ეს აღიარებულ იქნა 1903 წელს პეტერბურგში ჭიათურის მრეწველობის მდგომარეობის გამო მოწვეულ საუწყებათაშორისო თათბირზე, რომლის ოქმში ვკითხულობთ: „მუშათა ექსპლოატაცია არსად არ აღწევს ისეთ უკიდურეს საზღვარს, როგორც მარგანეცის მრეწველებთან. კანონი (მუხლი — მუშათა წიგნაკებზე, მუშების საცხოვრებლით უზუნველყოფაზე და სხვ.) სრულებით არ ხორციელდება“ [50], ცოტა რამ გაკეთდა მუშათა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად და ისიც მხოლოდ მსხვილ საწარმოებში, სადაც დაიწყო საცხოვრებელი სახლების, ყაზარმებისა და ქოხმახების მშენებლობა. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა იყო სააქციო საზოგადოება „დარკვეთის“ მაღაროებში, რის გამო კავკასიის სამთო სამმართველო 1901 წლის ანგარიშში აღნიშნავდა: „დარკვეთის მარგანეცის საბადოებში აშენებულია ქვიტკირის ყაზარმები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის“[51]. ხის ყაზარმები აიგო გ. ემერიკის, პ. მოსეშვილის, გ. ჩუბინიძის, პ. წულუკიძის, ნ. ღოღობერიძის, ძმ. ოგანეზოვებისა და ზოგ სხვა საწარმოებში, ხოლო მუშათა საცხოვრებელი ქოხმახები — რამდენიმე ათეული მეწარმის საბადოებში. ამიტომ,

---

[46] ХФЦГИЛУ, ფონ. 843, საქ. 17, ფურც. 11.
[47] იქვე, ფურც. 10.
[48] ЦГИАЛ, ф. 95, оп. 18, д. 1010, 1903 г., л. 42.
[49] იქვე.
[50] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, л. 40.
[51] ЦГИАЛ ф. 37, оп. 75, д. 348, л. 278.

არ ვიზიარებთ მტკიცებას, რომ თითქოს „XX საუკუნის პირველ ათწლეულში სამთამადნო მრეწველობის მუშათა საბინაო პირობებში რაიმე გაუმჯობესება არ მომხდარა“[52]. ერთგვარი გაუმჯობესების ცდების მიუხედავად, მუშათა საყოფაცხოვრებო და საარსებო პირობები ჭიათურის სამრეწველო რაიონში კვლავ ცუდი იყო. ამ მდგომარეობის გამო შეშფოთებული ფ. მახარაძე 1902 წელს წერდა: „როცა ხედავთ, ერთის მხრით, ასეთ უყურადღებობას და, მეორეს მხრით, მომუშავეთა აუტანელ მდგომარეობას, გული გიკვდება. შეიძლებოდა კი რომ ჩვენშიც, როგორც სხვაგან, არსებულიყო სხვადასხვა ორგანიზაცია ამათ სასარგებლოდ, როგორც, მაგალითად, სხვადასხვა დამხმარებელი საზოგადოებანი, სკოლები, კითხვები, იაფფასიანი სასადილოები და უმეტესად კი ბინები. რომ იცოდეთ, სად ატარებენ ღამეებს ჭიათურელი მუშები, ან როგორ იკვებებიან ისინი, რამდენ საათს მუშაობენ დღე და ღამეში, გაოცდებით. მაგრამ თქვენთვის წარმოუდგენელია ის ბნელი, ნესტიანი, მიწური ქოხმახები, რომლებიც ყველაფერს გვანან გარდა ადამიანის სადგომისა. როცა უყურებ აქ ცხოვრებასა, ძალაუნებურად გაიფიქრებ, რომ ადამიანის პიროვნებას ასე მდაბლად არსად არ უნდა აფასებდნენ, როგორც ჭიათურაში. სკოლა რა ხილია აქ არ იციან, თუმცა მცირეწლოვან მომუშავეთა რიცხვი საკმარისად დიდია... წერა-კითხვის მცოდნეს აქ სანთლით ვერ მოძებნი. მაგრამ მადნებში მომუშავეთა კიდევ უფრო უარეს ყოფაში ჩალანდრებია, ე.ი. ისინი, ვისაც ხარკამეჩით თუ ცხენით მადანი რკინიგზის ბაქანზე ჩამოაქვთ... ერთი სიტყვით საკვირველი არსებაა ეს შავი ქვის მუშა!“[53].

ჭიათურის სამრეწველო რაიონში მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების დახასიათებისას, არც თუ ისე აჭარბებდა „კვალის“ კორესპონდენტიც, როცა ის წერდა: „არა მგონია სადმე ასეთ არასასურველ მდგომარეობაში იმყოფებოდეს შრომის წარმომადგენელი, როგორც ჭიათურაში... მუშების მეტი ნაწილი ზაფხულში გარეთ, ცისქვეშ ათენებენ, ხოლო ზამთრობით — შიგ მაღაროებში, რაც კანონით სასტიკად აკრძალულია და დიდათაც მავნებელია მათი ჯანმრთელობისათვის“[54].

სამრეწველო რაიონის მუშათა მძიმე მდგომარეობას აღიარებდნენ თვითონ მეწარმენი და სამთო საქმის სპეციალისტები. მარგანეცის

---

[52] ვ. ჯიქია, საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშათა მდგომარეობა..., „მაცნე“, 1965, № 4, გვ. 33.

[53] „კვალი“, № 50 — 1902. გვ. 800. იგივე სტატია, იხ. ფ. მახარაძე, თხზ., ტ. II, 1925, გვ. 5—6.

[54] „კვალი“, 1902, № 42, გვ. 410.

მრეწველი, ინჟ. ჩერნევსკი თავის ერთ მოხსენებაში (ფინანსთა სამინისტროსადმი) 1903 წელს მუშათა მდგომარეობის აღწერისას დასძენდა: „ამგვარად წვალობენ ყველა: მუშები მაღაროებში, რაც ცუდად ვენტილირებულ და მბოლავი ლამპით მკრთალადაა განათებული; მადნის გამომზიდველები, რომლებიც მთელი დღე მოარბენინებენ წინა და უკან ტაჭკებსა და ვაგონეტებს... და ცელაში მხოლოდ 400 ფუთის გაზიდვას ახერხებენ; ჩალვადრები, რომლებიც ჭუჭყსა და ტალახში უკან მიჰყვებიან თავის დავარდნილ და დასახიჩრებულ ცხენებს და წყვილით ძლივს გადააქვთ ცელაში 80 ფუთი მადანი“[55]. მუშათა მდგომარეობა იმდენად სავალალო იყო, რომ ამაზე სპეციალურად შეჩერდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, რომელიც გუბერნიის 1903 წლის „მიმოხილვაში“ წერდა: „საერთოდ. საწარმოებში მუშები ცუდ მდგომარეობაშია როგორც საცხოვრებლის, ისე კვების მხრივ. ეს არანორმალური მდგომარეობა რომ შეიცვალოს, აუცილებელია მარგანეცის ყველა საწარმო უკლებლივ დაეუქვემდებაროთ სამრეწველო კანონმდებლობას. მაშინ შესაძლებელი გახდება ყველასათვის სავალდებულო დადგენილების გატარება, რაც აიძულებს მრეწველებს გაუმჯობესონ სამრეწველო მუშათა ყოფა-ცხოვრება და მდგომარეობა“.[56]

კრიზისმა ძლიერი გამარეევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა მუშებზე. წარმოების შეკვეცასთან ერთად მრეწველები ამცირებდნენ მუშათა რიცხვს. გახშირდა უმუშევრობა. ხელფასის შემცირებამ, მასობრივმა დათხოვნებმა გააუარესა მუშათა მდგომარეობა. კრიზისს მოყვა რევოლუციური მოძრაობის ჩასახვა და მძლავრი განვითარება. მუშათა გამოსვლები თანდათან რევოლუციურ ხასიათს იღებდა. პოლიტიკური აგიტაცია გაძლიერდა და ის ნოყიერ ნიადაგს და ცოცხალ გამოხმაურებას პოულობდა მუშათა მასებში. ჭიათურაში მუშათა მოძრაობის ჩასახვა-განვითარებას ხელი შეუწყო ამ რაიონის უშუალო სარკინიგზო კავშირმა და ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებამ იმჟამინდელ დასავლეთ საქართველოსა და მთელი კავკასიის ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრთან — ბათუმთან. ბათუმელი მუშების გავლენით „ჭიათურელ მუშებს შორის, 1901 წლიდან დაწყებული, თანდათან ფართოვდებოდა სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა“[57]. 1903 წლის ზაფხულში რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შექმნის შემდეგ ჭიათურაში მუშათა შორის სააგიტაციო — პოლიტიკური მუშაობა თანდათან

---

[55] ЦГИАЛ. ф. 95. оп. 18. д. 1010. 1903. д. 42.

[56] Обзор Кутаисской губернии за 1903 год. гз. 56.

[57] ელ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 251.

გაცხოველდა. საქართველოში მუშათა მოძრაობის განვითარებაზე ძლიერი გავლენა იქონია რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებამ. მუშათა მოძრაობა ჩვენში სულ უფრო შეგნებული კლასობრივი ბრძოლის ხასიათს იღებდა.[58]

მართალია, ჭიათურის სამრეწველო რაიონი დიდ სივრცეზე იყო გადაჭიმული, სამთო საწარმოები და მათი მუშებიც ასევე დაცილებული იყვნენ ერთმანეთისაგან, ამასთანავე მუშათა ძირითადი მასა სოფელთან კავშირს ინარჩუნებდა და დასვენების დღეებში იძულებული ხდებოდა სახლისთვის მიეშურებია, რის შედეგადაც მუშათა შორის ცხოველი ურთიერთობისათვის შედარებით მოუხერხებელი პირობები იქმნებოდა, ამის მიუხედავად, აქ მალე ჩაეყარა საფუძველი მუშათა შეკავშირებას და რევოლუციურ მოძრაობას. ჭიათურაში მეწარმეთა წინააღმდეგ მუშათა პირველი სპორადული გამოსვლები, ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, გასული საუკუნის მიწურულიდან დაიწყო. მრეწველი დავით ბაქრაძე, რომელიც გ. ემერიკს ედავება „მარგანეცის სინდიკატის“ დაარსების თაობაზე, 1901 წლის 18 ივლისს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ აღნიშნავს, რომ ზოგიერთ მრეწველს არაერთგზის ქვებით ცემეს მუშებმა, რომლებიც თავის დროზე ვერ ღებულობდნენ გამომუშავებულ მცირედ ხელფასს[59]. იმავე გაზეთში 1901 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული სტატიიდან ვგებულობთ, რომ ბევრმა მრეწველმა დაკეტა მაღაროები და დევნილნი არიან მუშებისა და ჩალადრებისაგან, რადგან მათთვის ხელფასი არ მიუციათ[60]. მეწარმეთა წინააღმდეგ მუშათა ეკონომიური ხასიათის გამოსვლები უფრო ხელფასთან იყო დაკავშირებული. ამასთანავე მუშათა უკმაყოფილების ზრდას, მათ გამოსვლებს და ამ გამოსვლების მუშათა საგაფიცვო მოძრაობაში გადაზრდას მრეწველთა მიერ მუშათა სასტიკ ექსპლოატაციასთან ერთად ერთგვარ ბიძგს აძლევდა სამრეწველო აუზში შექმნილი მძიმე ატმოსფერო და ცარიზმის კოლონიური სატარიფო პოლიტიკა: ქუთაისის გუბერნატორი 1902 წლის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ჭიათურის შტოზე დაწესებული ტარიფით შევიწროებული მეწარმენი მუშებს ხელფასს უმცირებენ, რაც მუშათა მხრივ უკმაყოფილებას და მათ გამოსვლებს იწვევს. გუბერნატორი წერდა: «Исключительный тариф Чиатурской ветви, лишая марганцепромышленников обычной прибыли, вынуждает их уменьшать заработную плату рабочих, чем, очевидно, создает источник недовольства трудящегося люда, кото-

---

[58] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1957, გვ. 75.

[59] «Новое обозрение», 1901, 18 июля, № 5764.

[60] «Новое обозрение», 1901, 5 ноября, № 5869.

рое и выразилось, между прочим, в беспорядках, имевших место в Чиатурах в июле настоящего года»[61]. ამჯერად მუშათა საგაფიცვო მოძრაობას მხოლოდ იმდენად შევეხებით, რამდენადაც ეს გვესაჭიროება მუშათა კლასის ჩამოყალიბებაზე დაკვირვებისათვის: ამის მიუხედავად საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ საკითხის ქართულ და რუსულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ჭიათურაში საგაფიცვო მოძრაობის საწყისად მუშათა 1903 წლის 17—28 ივლისის გაფიცვაა მიჩნეული[62]. გავრცელებულია მოსაზრება, რომ „1903 წლის ივლისში ჭიათურის მუშებმა პირველად აიმაღლეს ხმა ექსპლოატატორების წინააღმდეგ“[63]. სინამდვილეში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს უფრო ადრე მოხდა, ხოლო 1902 წლის ივლისში ჭიათურის სამრეწველო რაიონში 4 დღის მანძილზე გაფიცვაში 1300 მუშა მონაწილეობდა. აჯანყებულებმა მოითხოვეს სამუშაო დროის შემცირება, ხელფასის მომატება, მაღაროს მუშებისათვის საცხოვრებლების მშენებლობა, მუშათა სასადილოებისა და ფარდულების მოწყობა, უფასო სამედიცინო მომსახურება და სხვ. როდესაც ხელმწიფე გაეცნო გუბერნატორის „უქვეშევრდომილესი“ მოხსენების იმ ნაწილს, სადაც ჭიათურელ მუშათა 1902 წლის გაფიცვა იყო დახასიათებული, და მის გამომწვევ მიზეზთა შორის ჭიათურის შტოზე ტარიფის სიდიდეც იყო დასახელებული, მან გვერდის არშიაზე მიაწერა: „ფინანსთა მინისტრმა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება“[64]. ეს გახდა საბაბი მთავრობის ორგანოებში ტარიფის შემცირების საკითხის განხილვისაც.

ჭიათურაში მუშათა მძლავრმა გაფიცვამ, მეორედ 1903 წლის 17 ივლისს იფეთქა რკინიგზის შტოს სადგურების (ჭიათურა, ჭიქოური, დარკვეთი) მტვირთავ მუშათა შორის, რაც მალე სამთო და მადნის გადამზიდველ მუშებსაც მოედო. გაფიცვაში 18 — 19 ივლისს უკვე 2—3 ათასამდე მუშა მონაწილეობდა. მათ წითელი დროშა აღმართეს

---

[61] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 2734, л. 48—49.

[62] ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრ., გვ. 40—41; ზ. გეგეშიძე, 1905 წელი ჭიათურაში (იხ. კრებული: 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955, გვ. 252); საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, 1957, გვ. 80, И. П. Лященко, История народного хозяйства СССР, Т. II, М. 1956, გვ. 240; ვ. ჯიჯეიშვილი, ჭიათურის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან. 1901 — 1921 წწ. (იხ. „მაცნე“, 1965, № 5, გვ. 124); ვ. ჯიქია, საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშათა მდგომარეობა და საგაფიცვო მოძრაობა 1900—1917 წწ. (იხ. „მაცნე“, 1965, № 4, გვ. 43).

[63] ზ. თ. გეგეშიძე, 1905 წელი ჭიათურაში (იხ. კრებული 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში. ი. ხუციშვილის (მთ. რედაქტორი). ი. კაკარავას, ი. მელქაძის, პ. რატიანის, ა. სურგულაძის რედაქციით, 1955, გვ. 252.

[64] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5734, л. 49.

ლოზუნგით: „გაუმარჯოს თავისუფლებას“. მასობრივი მიტინგი მოეწყო ჭიათურაში, აგრეთვე ჭიქოურში. აჯანყების დასაშოშმინებლად და ჩასახშობად ჭიათურაში ჯარით გამოცხადდა ქუთაისის გუბერნატორი. ამასთან დაკავშირებით 1903 წლის 18 ივლისს გამოცემულ და გაფიცულთა შორის გავრცელებულ პროკლამაციაში „შავი ქვის მუშათა მოთხოვნილება ჭიათურაში“ ნათქვამი იყო: „ბაქოში, თბილისში, მიხაილოვში, შორაპანში და ყვირილაში მომხდარმა ამბებმა, ჩვენივე მოძმეების გმირულმა და ერთობლივმა მოქმედებამ 17 ივლისს ჩვენც ერთად შეგვყარა, შეგვაერთა, ერთი სული ჩაგვიდგა და ჩვენს მძარცველ-მგლეჯელებზე იერიში მიგვატანინა. ყველაზე უფრო ჩვენ გვაღელვებს და ზიზღს გვგვრის მთავრობის ურცხვი ჩარევა ამ საქმეში. ფიცხლად ამობრძანდა გუბერნატორი სმიაგინი ჯარებით, ალბათ სურს დაგვაფრთხოს, შეგვაშინოს, ძველებურად მონურად ქედი მოგვახრევინოს და ყოველივე ჩვენი მოთხოვნილება უკანვე წაგვაღებინოს. არა!... ვერ შეგვაშინებს მხეცი მთავრობა თავისი ხიშტიანი თოფებით, რომლითაც დაღვარეს სისხლი ჩვენი მოძმეებისა მიხაილოვოში, ვერ გვაშინებს ეს ურცხვი მთავრობა და ამიტომ ჩვენ, მუშებმა, გადავწყვიტეთ შევუერთდეთ ჩვენს შეგნებულ, დღეს გაფიცულ ამხანაგებს კავკასიაში, რათა საერთო ძალით დავსცეთ თავზარი ჩვენს მძარცველებს და მთავრობას“[65].

პროკლამაცია საგანგებო ყურადღებას იმსახურებს სამრეწველო რაიონში მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესისა და მუშათა თვითშეგნების დონის ამაღლების საილუსტრაციოდ. გაფიცულ მუშათა მიერ წამოყენებული 19 მოთხოვნა გარკვევით მოწმობს, რომ ჭიათურა საქართველოში რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი კერა ხდება, რომ სამრეწველო რაიონის მუშები მხარს უსწორებენ ეპოქის გამათავისუფლებელ რევოლუციურ მოძრაობას. ამ მოთხოვნებიდან აღსანიშნავია: რვასაათიანი სამუშაო დღე, ნარდი მუშაობის და დაქვითვის მოსპობა, ხელფასის მომატება, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ბავშვთა შრომის აკრძალვა და სხვ. პროკლამაცია მთავრდებოდა მოწოდებით: „ძირს ჩვენი სისხლის მსმელი კაპიტალისტები“, „ძირს თვითმპყრობელური მეფე!“, „გაუმარჯოს სოციალიზმს და მომავალ დემოკრატიულ რესპუბლიკას!“[66]. ამ ლოზუნგით ჭიათურელ მუშათა მძლავრ გამოსვლას მაღალი შეფასება მისცა ლენინურმა „ისკრამ“, რომელიც იტყობინებოდა: „დაახლოე-

---

[65] იხ. ზ. თ. გ ე გ ე შ ი ძ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 252 — 253; აგრეთვე სკკპ ცკ არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 33. საქ. 533.

[66] ზ. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 253;

ბით 18 ივლისს გაფიცვა დაიწყო ჭიათურის სამთამადნო ოლქში. როგორც გვიამბობენ, მუშები დადიოდნენ იქ გამანადგურებელ ტალღად, ყველაფერს ანგრევდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ... ჩანს, რომ ჭიათურელი მუშების გულში დიდი სიმწარე და სიძულვილი დაგროვებულა"[67]. მუშათა ამ მძლავრმა გაფიცვამ აიძულა მეწარმენი დროებით დათმობაზე წასულიყვნენ, ამას ურჩევდა მათ გუბერნიის ადმინისტრაციაც[68]. ზოგიერთ საწარმოში ხელფასის მომატებამ გაფიცვის დამთავრებამდე გასტანა. აღსანიშნავია, რომ გაფიცვის დღეებში 72-მა მეწარმემ გასცა მუშებზე ის ხელფასი, რაც მათ წინა კვირეების ანგარიშით ერგებოდათ[69]. გაფიცვა 1903 წლის 29 ივლისამდე, ე. ი. 12 დღე, გაგრძელდა. დამარცხების მიუხედავად მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურელ მუშათა რევოლუციური თვითშეგნების ასამაღლებლად, მათი ინტერნაციონალური სოლიდარობის და ერთიანობის სულისკვეთების აღსაზრდელად.

გაფიცვის ჩაქრობისთანავე პასუხისგებაში მიცემული 34 მუშა გაასამართლა ქუთაისის საოლქო სასამართლომ[70]. სამრეწველო რაიონში მუშათა საგაფიცვო მოძრაობის განვითარებას დიდი ყურადღებით ეკიდებოდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელმაც საამისოდ ჭიათურაში მუდმივად მიავლინა თავისი პროპაგანდისტი. აქ შეიქმნა მუშათა წრეები, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ჭიათურაში მოხსენებებით გამოდიოდნენ გამოჩენილი რევოლუციონერები ა. წულუკიძე, ა. ჯაფარიძე და სხვ.

1904 წლის 3 მაისს ჭიათურაში მოეწყო 800 ჩალვადრის გაფიცვა. იმავე წელს ჭიათურაში მუშათა შორის საქმიანობის გასაშლელად გაგზავნილ იქნენ რევოლუციონერი პროპაგანდისტები ვანო (სტეპკო) ინწკირველი, ვალიკო ბაქრაძე და ვანო ლომთათიძე, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე ი. ბ. სტალინი[71].

ჭიათურის სამრეწველო რაიონში 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში მიმდინარე მუშათა საგაფიცვო მოძრაობაზე დაკვირვება მოწმობს, რომ მოცემულ პერიოდში აქ კადრის მუშათა ძირითადი ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულია „კლასად თავისათვის", სოციალიზმი შეერთებულია მუშათა მოძრაობასთან.

---

[67] «Искра», 1903, 1 სექტემბერი, № 47.

[68] ХФЦГИАУ, ფონ. 835, საქ. 109, ფურც. 18.

[69] იქვე, ფურც. 19.

[70] 1903 წლის ივლისის გაფიცვა იხ. ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრ., გვ. 40 — 41, ელ. ჭანიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 251—253; მ. ჯიჯეიშვილი, ჭიათურის მუშათა რევ. მოძრაობა... („მაცნე", 1965, № 5); ვ. ჯიქია, საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშათა... საგაფიცვო მოძრაობა („მაცნე", 1965, № 43); ზ. გეგეშიძე. 1905 წელი ჭიათურაში, „1905 — 1917 წლების რევოლუცია საქართველოში", 1955.

[71] დაწვრ. იხ. ზ. გეგეშიძის დასახ. ნაშრ., გვ. 255.

ჭიათურის სამრეწველო რაიონში 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ფართო გაქანება პოვა[72]. 9 იანვრის „სისხლიანი კვირის“ ამბების საპასუხოდ ჭიათურელი მუშები 26 იანვარს გაიფიცნენ. მოეწყო დემონსტრაცია. 2000 — 22 000-მა დემონსტრანტმა დროშებით, ლოზუნგებით და რევოლუციური სიმღერებით გაიარა ჭიათურაში. გაიმართა მიტინგები, სადაც მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდნენ ორატორები, მათ შორის სტეპკო ინწკირველი. გავრცელდა პროკლამაციები. ჩამოყალიბდა საგაფიცვო კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა მუშათა მოთხოვნები. მუშები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, ბინებით უზრუნველყოფას, სამთო გამონამუშევრების გამაგრებას, სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ასე, რომ რევოლუციური მოძრაობა თავიდანვე მძლავრად წამოიწყო. ეს ბუნებრივიც იყო, რადგანაც ჭიათურა მთელ დასავლეთ საქართველოს უმსხვილეს სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით 1905 წლის ივნისში მართებულად შენიშნავდა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის კორესპონდენტი: „ჩვენი კომიტეტის მთელ რაიონში, — წერდა ის, — ჭიათურა წარმოადგენს ყველაზე მსხვილ სამრეწველო ცენტრს... ადგილობრივი პროლეტარიატი უკვე ორი წლის წინათ დაადგა ეკონომიური ბრძოლის გზას, მაგრამ ეს ბრძოლა მოკლებული იყო ორგანიზებულ ხელმძღვანელობას... ახლა კი ჭიათურის მუშები ჩაბმული არიან სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, გამოდიან როგორც შეკავშირებული, დარაზმული ერთიანი რევოლუციური ძალა, რომელიც მზად არის პირველი მოწოდებისთანავე ბარიკადებზე დადგეს“[73].

მთავრობამ ჭიათურაში აჯანყებულთა მიმართ თავიდანვე ტერორს მიმართა. 24 თებერვალს, ჯალათმა მოკლა მოწინავე მებრძოლი მუშა შ. გიუნაშვილი. ამან უფრო გაამწვავა ვითარება. ჯალათზე მუშებმა შური იძიეს, საპოლიციო პუნქტებიც დაარბიეს. დაღუპული მებრძოლის დაკრძალვა მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

---

[72] იხ. ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრ.; ი. ხუციშვილი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955; ლ. ებანოიძე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში, 1958; ზ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ.; თ. ყღენტი, რევოლუციური მოძრაობა შორაპნის მაზრაში, 1927; ი. მელქაძე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, 1960; მ. ჯიჯეიშვილი, ჭიათურის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან (იხ. „მაცნე“, 1965, № 1) და სხვ.

[73] გაზ. „პროლეტარი“, 1905, 13 ივნისი, № 5.

რევოლუციურ მოძრაობაში უფრო მასობრივი მასშტაბით ჩაება მთელი შორაპნის მაზრის მოსახლეობა — მუშები და გლეხები. საქართველოს ამ კუთხეში რევოლუციურ მოძრაობას განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, ამ კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, გამოჩენილი რევოლუციონერები და პროპაგანდისტები ხშირად მოდიოდნენ ჭიათურაში რევოლუციის ბობოქარ დღეებში.

1905 წელს ჭიათურელმა მუშებმა პირველად იდღესასწაულეს პირველი მაისი. სამრეწველო რაიონში ბევრგან მოეწყო მიტინგები. რევოლუციური მოძრაობა თანდათან ღრმავდებოდა. მასების დასარაზმავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის არალეგალური სტამბის საქმიანობას, რომელიც 1905 წლის ივნისში დაარსდა და მუშათა შორის გასავრცელებლად ბეჭდავდა პროკლამაციებს, მოწოდებებს, ინფორმაციებს, ბიულეტენებს და სხვ. ბოლშევიკური ორგანიზაციის მრავალფეროვანი მუშაობის შედეგად ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშებმა თავიდანვე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებს. ჭიათურელ მუშათა რევოლუციური თვითშეგნება მაღლდებოდა. ამაზე მეტყველებს მთელი მათი მოთხოვნები და მოქმედება, კერძოდ, მათ მიერ ბათუმელ, ფოთელ და შორაპნელ მუშებთან კავშირურთიერთობის დამყარება, სოლიდარობა, მხარდაჭერა. ასე მაგალითად, 1905 წლის ივნისის დამლევს, როცა შორაპნის სადგურის რკინიგზის მტვირთავი მუშები გაიფიცნენ და მათ პოლიცია დაემუქრა, ჭიათურის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მუშათა კრება მოიწვია; გადაწყდა, რომ ჭიათურელი მუშები მხარს დაუჭერდნენ შორაპნელებს, თვითონაც გაიფიცებოდნენ. „შორაპნელი ამხანაგები, — გვაუწყებს გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა", —სიხარულით მიეგებნენ ჭიათურელების წინადადებას და გაფიცვა გააგრძელეს... მოვიდა ჭიათურის ორგანიზაციის ფურცლები შორაპნელი მუშებისადმი, სადაც ის იწვევს მათ გააგრძელონ გაფიცვა... ამგვარად... გაფიცულებმა წელი მოიმაგრეს. ჭიათურამ მუშაობა შეაჩერა და მოითხოვა შორაპნელების დაკმაყოფილება".[74] ეს ფაქტი საყურადღებოა პირველ რიგში მუშათა სოლიდარული ბრძოლის სულისკვეთებით აღზრდის თვალსაზრისით. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ჭიათურელ მუშათა 1905 წლის 1 სექტემბრის გაფიცვა, რომელიც მოეწყო მთავრობის მიერ 29 აგვისტოს თბილისის საქალაქო თვითმმართველობის დარბაზში მშრომელთა მიტინგის დახვრეტის

---

[74] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა", 1905, 15 ივნისი, № 10.

საპასუხოდ. მუშებს შეუერთდნენ მახლობელი სოფლების გლეხები და ადგილობრივი ნოქრები. გაფიცული ხალხი წითელი დროშებით, რევოლუციური სიმღერებით გაემართა რკინიგზის სადგურისკენ. აქ გაემართა მიტინგი. აჯანყებულმა ხალხმა აიძულა სადგურის ადმინისტრაცია შეეწყვიტა მუშაობა. ჭიათურელი მუშები საქართველოს მებრძოლი პროლეტარიატის წინა რიგებში იდგნენ. ისინი ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით პირველი მოწოდებისთანავე შეუდგნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის სამზადისს. კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია, სადაც მოუწოდებდა მუშებს შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „როდესაც საკმაოდ შეეიარაღდებით... სოციალ-დემოკრატიული აზრით თავში, რევოლუციონური ცეცხლით გულში და მჭექარე თოფით ხელში, ვეკვეთებით მეფის დამპალ ტახტს და გადავქელავთ თვითმპყრობელობას, დავამყარებთ რა რესპუბლიკას, ძლევამოსილნი გავემართებით სოციალიზმისაკენ! გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!“[75]. ბოლშევიკური პარტიის მოწოდების საპასუხოდ ჭიათურელი მუშები ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის, ყალიბდებოდა მებრძოლი რაზმები ბურჟუაზიისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1905 წლის ოქტომბერში სრულიად რუსეთის გაფიცვის გავლენით საქართველოს, და, კერძოდ, ჭიათურის, პროლეტარიატი გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. 15 ოქტომბერს გაიფიცნენ სამთო მუშები, მადნის მტვირთავები. რკინიგზის ჭიათურის შტოზე მოძრაობა შეწყდა. იმავე დღეს გაფიცვაში ჩაებნენ შორაპნელი და ფოთელი მტვირთავი მუშებიც. საგაფიცვო ბრძოლის გაძლიერებას ხელი შეუწყო მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შესახებ ცნობის მიღებამ. ჭიათურის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ 21 ოქტომბერს გამოსცა პროკლამაცია „ამხანაგებო! ჩვენც ზიზღი და დაცინვა შევუთვალოთ ნიკოლოზს... და თვალყური მივაპყროთ მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლაში გამწვევს ხმას. ვეცადოთ ჩვენც რაც შეიძლება ჩქარა ჩავერიოთ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. იარაღს ხელი, წინ!“..., — ასე მოუწოდებდა მუშებს ჭიათურის ბოლშევიკური ორგანიზაცია. მუშათა შეიარაღებულმა რაზმებმა ბევრგან განაიარაღეს პოლიცია და ხელთ იგდეს იარაღი (ჭიათურაში, ჩხარში). იარაღის შესაკეთებლად გამოყენებული იყო ჭიათურის ელექტროსადგურის საზეინკლო სახელოსნო. შეიარაღებული ხალხი

---

[75] სკკპ ცკ არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტიული არქივი, ფონ. 33, საქ. 546.

თანდათან ხდებოდა სამრეწველო რაიონში მდგომარეობის დროებითი ბატონ-პატრონი.

9 დეკემბერს მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების დაწყების შემდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლა კვლავაც გაძლიერდა მთელ საქართველოში, მათ შორის შორაპნის მაზრასა და ჭიათურის სამრეწველო რაიონში. ჭიათურელთა მებრძოლმა რაზმებმა განაიარაღეს საპოლიციო დაწესებულებები, მონაწილეობა მიიღეს მაზრის სამმართველოსა და სხვა დაწესებულებათა დარბევაში. აგრეთვე მთავრობის ჯარის ნაწილებთან უშუალო შეჯახებებში. 1906 წლის იანვარში მოვიდა ცნობა რუსეთში შეიარაღებული აჯანყების დამარცხებაზე. ვითარება შეიცვალა. ამავე წლის იანვრის პირველ რიცხვებში შორაპნის მაზრას და, კერძოდ, ჭიათურის სამრეწველო რაიონს დამსჯელი ჯარის სახით ულმობელი და მრისხანე ძალა მოევლინა. ჯარმა დაუნდობლად ააოხრა და ააწიოკა ყოველი „შემჩნეული" ოჯახი, ყოველი სოფელი. კაზაკები ნადირობდნენ, როგორც თვითონ ამბობდნენ, „ცილინდრიანებზე" (რევოლუციონერ-პროპაგანდისტებზე) და „ყაბალახიანებზე" (რევოლუციონერ მუშებზე, რომლებმაც ტერორს ტერორითვე უპასუხეს). ისინი მუშებს ასე მიმართავდნენ: „შესდექ, ჩემო ლუკმავ!" ჭიათურელ მუშებს ხელი არ აუღიათ ბრძოლაზე. 1906 წლის 1 მაისს გაიფიცნენ. იმავე წლის ივნისში ჭიათურელმა მუშებმა კვლავ მოაწყვეს მასობრივი მასშტაბის გაფიცვა. 8 ივნისს დაიწყო სამთო მუშათა გაფიცვა, მათ შეუერთდნენ მადნის მზიდავები და მტვირთავები. ჭიათურელ მუშებს მხარი დაუჭირეს და თანაგრძნობა გაუწიეს შორაპნელმა და ფოთელმა მტვირთავმა მუშებმა, რომლებიც 9 ივნისს გაიფიცნენ. მუშები მოითხოვდნენ: 8-საათიან სამუშაო დღეს, კვირაობით მუშაობის აკრძალვას, უქმე დღეების წინ 7-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, მუშებისათვის დღიურ ქირად 2 მანეთისა და 50 კაპიკის დანიშვნას, იაფფასიანი სასადილოების მოწყობას, ბავშვთა შრომის აღკვეთას, უფასო საექიმო მომსახურებას, მაღაროების უკეთ განათებას, მათ უკეთ გამაგრებას და სხვ. ამ გაფიცვაში თვალსაჩინო როლი შეასრულა მუშათა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, რომელიც რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში იშვა. მდგომარეობამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ საქმეში ჩარევა მოუხდა ქუთაისის გუბერნატორს, რომელიც 9 ივნისს უკვე ჭიათურაში იყო. მან სამხედრო ძალის გამოყენებაზე ხელი აიღო და მრეწველებს ურჩია გაფიცულებთან მორიგება. მრეწველებისა და მუშათა წარმომადგენლობის ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ 20 ივნისს ჭიათურელ, შორაპნელ და ფოთელ მუშებს მოთხოვნილების დაკმაყოფილება აღუთქვეს და აჯანყებაც შეწყდა.

ამრიგად, მუშებმა ნაწილობრივ გამარჯვებას მიაღწიეს, მეწარმენი დათანხმდნენ მუშებისათვის ხელფასის გადიდებაზე, თუმცა ეს წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა.

* * *

რევოლუცია დამარცხდა. რეაქციამ გაიმარჯვა. რევოლუციური ძალები არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდნენ.

რევოლუციური მოძრაობა ჭიათურაში ეპოქის განმათავისუფლებელი მოძრაობისდაკვალად ვითარდებოდა. თუმცა მას თავისი შინაგანი ლოგიკა და სპეციფიკა გააჩნდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუშათა სპორადული გამოსვლები ჭიათურაში მათ მიერ მეწარმეთა დეკნით დაიწყო, სამრეწველო კრიზისის ვითარებაში კი ეს გამოსვლები ფართო ხასიათის მოძრაობაში გადაიზარდა. ცალკეული გამოსვლები თავდაპირველად მუშათა ხელფასის გაუსტუმრებლობასთან იყო დაკავშირებული, შემდეგში დაიწყო მუშათა ეკონომიური გაფიცვები, რაც 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში მასობრივ რევოლუციურ საგაფიცვო მოძრაობაში გადაიზარდა, ხოლო 1905 წლის რევოლუციის დაწყების შემდეგ (იანვრიდან) მუშათა კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს ფორმაში — შეიარაღებულ აჯანყებაში. ამაღლდა მუშათა თვითშეგნება, განმტკიცდა მათი კავშირურთიერთობა და საბრძოლო სოლიდარობა მეზობელი სამრეწველო რაიონების მებრძოლ მუშებთან, მაზრის მშრომელ გლეხობასთან და სხვ.

რევოლუციას, დამარცხების მიუხედავად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რევოლუციის პერიოდში ჭიათურაში მძლავრად გაშლილი მუშათა მასობრივი პოლიტიკური მოძრაობა იყო ის დიდი სკოლა, რომელმაც შემდეგში ხელი შეუწყო საქართველოს მუშათა კლასის ერთ-ერთი მოწინავე რაზმის — ჭიათურელ მუშათა მრავალათასიანი და მრავალეროვანი რაზმის — თანდათან გადაქცევას მთელ დასავლეთ საქართველოს მებრძოლი პროლეტარიატის ავანგარდად. თუ ადრე, 1905 წლის შემოდგომამდე, ჭიათურის სამრეწველო რაიონში მუშათა მოძრაობა პირველ რიგში ბათუმელ მუშათა რევოლუციური ბრძოლის გავლენით ვითარდებოდა, მომდევნო პერიოდში ჭიათურა, როგორც ამას გუბერნიის ადმინისტრაციის მოხელენიც აღიარებდნენ, ავანგარდულ როლს ასრულებდა და ტონს აძლევდა მუშათა მოძრაობას მთელ დასავლეთ საქართველოს სამრეწველო ცენტრებში, სახელდობრ, ბათუმში, ფოთში, ტყიბულში.

§ 5. წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ახალი ცდები და მის ხასიათში მომახდარი ძვრები

მიუხედავად კრიზისისა, 1901 — 1905 წლები ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში აღინიშნა სამრეწველო გადატრიალების პროცესის შემდგომი გაღრმავებით, თუმცა ის შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ისიც უფრო მსხვილ საწარმოებში. განსაკუთრებით საგრძნობი მასშტაბით მიმდინარეობდა მაღაროდან ზედაპირზე მადნის ზიდვის საშუალებათა გაუმჯობესება: 1901 — 1904 წლებში 42 მაღაროში ხორციელდებოდა რელსებიანი გზების დაგება. მაღაროს შიდა რელსებიან გზაზე ნახევარი და ერთი ტონის ტევადობის ვაგონეტებით მადნის ზიდვა დეენიდა ურიკებითა და ხელურმებით მადნის ზიდვას, (თუმცა ვაგონეტებს მეტწილად კვლავ მუშები ამოძრავებდნენ). ამ სიახლეს თან ახლდა სამთო გამონამუშევრების გაყვანისა და მადნის მოპოვების მეთოდების გაუმჯობესება. მაღაროდან მადნის გამოზიდვის საშუალებათა სრულყოფა ხელს უწყობდა საბადოთა რაციონალურად ათვისებას, აადვილებდა შრომას, ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას, აიაფებდა მადნის ზედაპირზე გამოზიდვას. მარგანეცის მრეწველობაში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის შესახებ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1903 წელს საგანგებოდ შენიშნავდა: «В отношении улучшения способов разработки месторождений отчетный год можно отметить некоторым прогрессом... месторождения вырабатывались силом без остатков. Кроме того в некоторых даже крестьянских рудниках уложены рельсовые пути для откатки руды в вагонетках, вместо ручных тачек; эта замена помогло того, что облегчила труд рабочего, сделала его более производительным и вместе с тем удешевила доставку руды из рудников на поверхность»[1].

მადნის მონგრევა კვლავ ხელით წარმოებდა, თუმცა რამდენადმე სრულყოფილ იქნა წერაქვი და სოლი. ეს საშუალებები იმდენად კონსერვატიული აღმოჩნდა, რომ მათი შეცვლა ტექნიკურად სრულყოფილი საშუალებებით 1930-იანი წლების დამლევამდე არ განხორციელებულა[2]. საბადოთა საექსპლოატაციო სამუშაოების სრულყოფა, რასაც სამთო გამონამუშევრების დიდ სიღრმეში შეჭრაც მოითხოვდა, გრძელდებოდა და მადნიანი ფენების დამუშავება ბევრგან უკეთესად ხორციელდებოდა. „მადნის სირბილისა და ფუჭი ქანების სიმაგრის წყალობით მოპოვება მეტწილად მიმდინარეობდა ფეთქებადი მასალის გამოუყენებლად და გამონამუშევრების სუსტად გამაგრებით“[3].

---

[1] Обзор Кутаисской губернии за 1903 г.. К., 1904, გვ. 54.

[2] ვლ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 541.

[3] ЦГИАЛ, 37, оп. 55, д. 609, 1903 г., л. 44. об.

გარკვეული ძვრები შეიმჩნეოდა მაღაროში მონგრეული მადნის დატვირთვაში, აგრეთვე გამონამუშევრებში დაგროვილი ფუჭი ქანების გაზიდვაში. მადანს ტვირთავდნენ ხელით, ნიჩბით. ამ საქმეში გვიან 1920-იანი წლების მიწურულს დაიწყო ტექნიკური სიახლეების დანერგვა. მადნის ხელით დატვირთვა გარკვეული მასშტაბით „დღემდე გრძელდება".[4] მონგრეული მადნის დატვირთვასა და გამონამუშევრის აწმენდაში 1900-იანი წლების დამდეგიდან, როგორც ვთქვით, „შავი მუშა" ჩაება. იგი გახდა შრომის პროცესის ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი. ამ კატეგორიის მუშის გამოჩენა მაღაროში წმენდითი სამუშაოების გარკვეულ სრულყოფასა და საბადოს უკეთ ათვისებას მოასწავებდა.

მაღაროებიდან რკინიგზამდე მადნის გასაზიდად საჰაერო-საბაგირო გზების და სხვა ტიპის მექანიკური ჩამოსაშვებების მშენებლობა დაიწყო 7 ადგილას, ამავე დროს იზრდებოდა ადრინდელი საბაგირო გზების გამტარუნარიანობა, აღსანიშნავია ფრანგული სააქციო საზოგადოება „დარკვეთის" საბაგირო გზისა და გ. მ. ემერიკის მექანიკური ჩამოსაშვების უკეთ მოწყობა. კრიზისის პერიოდში მწყობრში ვერ ჩადგა ვერც ერთი ახალი საჰაერო-საბაგირო გზა და სხვა ტიპის მექანიკური ჩამოსაშვები. ეხებოდა რა საბადოებიდან რკინიგზის შტოს სადგურებამდე მადნის გადაზიდვის საშუალებათა გაუმჯობესების ცდებს, ქუთაისის გუბერნატორი 1903 წელს შენიშნავდა: „განაგრძობს მოქმედებას ყველაზე არამწარმოებლური, არაეკონომიური საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტი"[5].

ერთგვარი წინსვლა შეიმჩნეოდა მოპოვებული მადნის გაუხვება-გამდიდრებაში. ეს პროცესი მეტწილად „მშრალად", ხელით გარჩევით, გაცხრილვით, აგრეთვე ღარების მეშვეობით გარეცხვით ხდებოდა. ტექნიკურად სრულყოფილი, ორთქლის ძალით მოქმედი გამამდიდრებული ფაბრიკების რიცხვი და ხვედრითი მონაწილეობაც გაიზარდა. საზოგადოება „დარკვეთის" გამამდიდრებელი ფაბრიკა 8 საათში 125 ტონა მადანს ამდიდრებდა. 1901—1903 წლებში მწყობრში ჩადგა ინჟ. ჩერნევსკის, საზოგადოება „კავკასიის შავი ქვის" და ლუი პანასიეს გამამდიდრებელი ფაბრიკები, რომლებიც ორთქლის ძალით მოქმედებდნენ და 8—9 საათში 70-დან 150 ტონამდე მადანს ამდიდრებდნენ[6]. გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობა წამოიწყო ჩო-

---

[4] ელ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 543.

[5] Обзор Кутаисской губернии за 1903, გვ. 54.

[6] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 58, д. 328, 1905 г., л. 143.

მახიძის ამხანაგობამ და ო. გილერტმა. მოქმედი ფაბრიკები მხოლოდ მფლობელებს ემსახურებოდა, ხოლო სხვა მეწარმენი მადნის გაუხვევებას კვლავ „მშრალად“ ან ღარების მეშვეობით ეწეოდნენ. ასეთი იყო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების პრაქტიკული ცდები 1901—1905 წლებში. ამ მიმართულებით მრეწველობის პროგრესი კრიზისმა დააბრკოლა. ის, რაც გაკეთდა, ვერ აკმაყოფილებდა კრიზისის შედეგად შემცირებულ მოთხოვნილებასაც. ამავე დროს, კონკურენტი ქვეყნების მარგანეცის მრეწველობის განვითარებამ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა საბადოთა სრულყოფილი, რაციონალური დამუშავების, საექსპლოატაციო სამუშაოების, მადნის რკინიგზამდე გადაზიდვის მექანიზაციისა და მადნის ფაბრიკულ-ქარხნულად გამდიდრების აუცილებლობის წინაშე დააყენა. საქმე ახლებურად უნდა მოწყობილიყო. მეწარმეთა აზრით, „ჭიათურის მრეწველობის ახლებურმა ორგანიზაციამ, მადნის გადაზიდვისა და გამდიდრების უფრო სრულყოფილ საშუალებათა გამოყენებამ უნდა გააიაფოს მადნის მოპოვება-გადაზიდვა, გააუმჯობესოს მადნის ხარისხი“[7]. მრეწველთა ყრილობამაც გადაწყვიტა საერთო სარგებლობის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა. ასევე საერთო სარგებლობის მექანიკურ დასაშვებთა მოწყობა, რაც მოგვიანებით განხორციელდა. ის სწავლობდა სამრეწველო რაიონში შექმნილ ვითარებას და ცდილობდა თვითონ ან მთავრობის დახმარებით საქმის უკეთ მოწყობას. გამოირკვა განსხვავება მსხვილ, საშუალო და წვრილ სამთო საწარმოებს შორის. მსხვილ საწარმოებში სამთო გამონამუშევრების სიგრძე ბევრგან 180 საჟენს აღწევდა და საექსპლოატაციო სამუშაოებიც უკეთ მიმდინარეობდა, ზედაპირზე მადნის გამოსაზიდად რელსებიანი გზები გაიმართა, წამოიწყო საბადო ზეგნებიდან მადნის გაზიდვის მექანიზაცია, აიგო რამდენიმე გამამდიდრებელი ფაბრიკა: საშუალო საწარმოებში სამთო გამონამუშევრის სიგრძე 50—70 საჟენს არ აღემატებოდა.. აქ ზოგან შეუვანილ იქნა რელსებიანი გზები და სხვ. სამთო გამონამუშევრების ხელოვნურად გამაგრება საშუალო და მსხვილ სამთო საწარმოებში ჯეროვნად არ ხდებოდა, რაც ხშირად იწვევდა უბედურ შემთხვევებს.

იმის გამო, რომ შედარებით მცირე მასშტაბით მადნის მოპოვება დიდ სიძნელეებთან არ იყო დაკავშირებული, მას მისდევდნენ უამრავი წვრილი მრეწველებიც. ჭიათურის მრეწველობის თაობაზე 1903 წლის სექტემბერში პეტერბურგში გამართული თათბირის ოქმში

---

[7] ЦГИАЛ, ф. 95, оп. 18, д. 1010, 1903 г., л. 44 об.

ვკითხულობთ: „წვრილი მრეწველები მცირედი ხარჯის გაწევით მადნის დიდი რაოდენობით მოსაპოვებლად სამთო სამუშაოებს ეწევიან უამრავ, ერთმანეთის მახლობელ შტოლნებში, სადაც სულ 3 საჟენის სიღრმეში შეჭრის შემდეგ, შტოლნის ორივე გვერდზე აწარმოებენ მოპოვებას. სამუშაოს მეტწილად ეწევიან გამონამუშევრების საიმედოდ გამაგრების გარეშე, რაც ხშირად საფრთხეს უქმნის მუშებს[8]. წვრილი მეწარმე საბადოს ექსპლოატაციას განაგრძობდა მანამ, სანამ გამონამუშევრიდან მადნის გამოზიდვა იოლი იყო, ამავე დროს ის მიყვებოდა მდიდარ ფენას და „ნატეხ" მადანს იღებდა, რაც გამდიდრებას არ მოითხოვდა, ხოლო „მარცვლოვანი" მადანი ხელუხლებელი რჩებოდა[9]. მრეწველთა ყრილობის საბჭოს აზრით, „ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს, რომელიც ხელს უშლიდა მარგანეცის საქმის სწორად განვითარებას, წარმოადგენდა საბადო ნაკვეთების მეტისმეტი დაქუცმაცებულობა[10]. ასეთ ნაკვეთზე შეუძლებელი ხდებოდა მოწინავე ტექნიკის დანერგვა. მრეწველთა ყრილობის საბჭო ჩიოდა, რომ წვრილ ნაკვეთებზე მომუშავე მეწარმეებს არ გააჩნიათ თანხები გამონამუშევრების გასამაგრებლად, რელსებიანი გზების გასაკეთებლად, სწორი ზედამხედველობის მოსაწყობად, რის გამო მათ არ შეუძლიათ საბადოს რამდენადმე სრულად ათვისება და მადნის ნახევარი იკარგება მრეწველისა და ქვეყნის საერთო ეკონომიკისათვის უსარგებლოდ[11]. ასეთი ექსპლოატაცია უფრო მტაცებლურ ხასიათს ატარებდა, როცა წვრილი მეწარმე (ნაკვეთის მფლობელი თუ მოიჯარადრე) მას ხანმოკლე ვადით ეწეოდა[12].

კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსის რუგაჩოვის აღიარებით საბადოთა სწორი გეგმების არარსებობის გამო ხშირი იყო მეზობელი ნაკვეთების წიაღში ურთიერთგადასვლა, რითაც ირღვეოდა მესაკუთრისა თუ მფლობელის უფლებები[13]. ფინანსთა სამინისტროში 1903 წელს მოწყობილ თათბირზე გაირკვა, რომ საბადოს ამგვარი, მძარცველური ექსპლოატაცია ყოველ ქცევაზე (900 კვ. საჟ.) დაახლოებით 10 000 ფუთი მადნის (ანუ 30%) დანაკარგს იწვევს. თათბირმა დაადგინა: „ასეთი მდგომარეობა, რაც მხარის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრის სწრაფ ამოწურვას იწვევს, აუცილებ-

---

[8] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, 1903 г., л. 9 об.
[9] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, 1903, л. 6.
[10] იქვე, ფურც. 39.
[11] იქვე.
[12] იქვე.
[13] იქვე, ფურც. 19.

ლად უნდა აღიკვეთოს განსაკუთრებული, ენერგიული ზომების მიღებით[14]. მრეწველთა ყრილობის საბჭოს მიერ ფინანსთა და მიწათმოქმედების სამინისტროებში წარდგენილ და თათბირზე განხილულ შუამდგომლობის თანახმად „საბადოთა მძარცველური ექსპლოატაციის“ ანუ, სხვანაირად, წვრილ სამთო საწარმოთა არსებობის აღკვეთა, შეიძლებოდა მეწარმეობისათვის საბადოს ფართობის მინიმუმის დაწესებით. მრეწველთა ყრილობის საბჭოს აზრით, მეწარმეობის უფლება უნდა მინიჭებოდა მხოლოდ იმ საქმოსნებს, რომელთაც გააჩნდათ 6 ქცევა საბადო ფართობი (2 დესეტინა და 600 კვ. საჟ.), ფინანსთა სამინისტროს აზრით, 10 ქცევა (3 დესეტინა და 1800 კვ. საჟ). ხოლო კავკასიის სამთო სამმართველოსი — 5 დესეტინა[15]. ეს ერთნაირად უნდა შესებოდა მოიჯარადრე, ასევე საბადოს მესაკუთრე მრეწველებს. თათბირზე საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო მრეწველმა ბ. წულუკიძემ, რომელმაც მხარი დაუჭირა საბადოს მინიმუმად 10 ქცევის დაწესებას. თათბირზე ამ აზრს მიემხრნენ ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საბჭოს სხვა წარმომადგენლები, რომლებმაც მოითხოვეს, რომ ნორმის დაკანონების შემდეგ, ის გავრცელებულიყო იმ მრეწველებზეც, ვისზედაც ადრე გაიცა საბადოს ექსპლოატაციის ნებართვა. მთავრობის ორგანოებმა იმის გამო, რომ კანონს უკუმოქმედების ძალა არ შეიძლებოდა ჰქონოდა, შეუძლებლად ჩათვალეს მრეწველთა ყრილობის საბჭოს ამგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება[16]. საქმე ჩაიშალა.

1903—1904 წლებში ჭიათურის სამრეწველო რაიონში მწვავედ დაისვა მაღაროთა გასამაგრებელი ხე-ტყით მომარაგების საკითხი, რაც გზების საკითხს უკავშირდებოდა. სამთო გამონამუშევრების გამაგრება ძვირი ჯდებოდა, რადგან ადგილობრივი ხე-ტყის მასივებისაკენ საამისო გზები არ იყო გაყვანილი და მასალა შორიდან მოდიოდა. საბადოთა მახლობლად იყო ტყეები, მაგრამ მაღაროთა გასამაგრებლად გამოსაყენებელი მუხნარი საჩხერის ტყეების გარდა თითქმის არსად იყო. სამრეწველო რაიონში ტყეებისაკენ გზებიც არ იყო. ამიტომ მთელი ხე-ტყე მოდიოდა აჯამეთის სადგურიდან, რაც შორაპნიდან 25 ვერსზე იყო, ხოლო ჭიათურიდან (რკინიგზით) 63 ვერსზე[17]. საბადოებიდან ყველაზე მახლობელ მეჩხეტურა-ბეთის ტყემდე მანძილი 18 ვერსი იყო. ხოლო საბადოები, რომ ყველა მახლობელ ტყეებთან დაეკავშირებინათ, საჭირო იყო 40 ვერსის სიგრძის გზის გაყ-

---

[14] ЦГИАЛ, ф. 37. оп. 55. д. 609, 1903, ფურც. 6.

[15] იქვე, ფურც. 27.

[16] იქვე, ფურც. 27—28, გვ. 77.

[17] იქვე, ფურც. 11, 29.

ვანა; წინასწარი გაანგარიშებით ვერსი გზის გაკეთება უნდა დამჯდარიყო 5 000 მანეთი, სულ კი — 200 000 მანეთი[18]. წამოწყება ჩაიშალა. ამას ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამაც: მრეწველმა გ. წერეთელმა ჯერ კიდევ 1898 წელს კონცესიით აიღო ჭიათურის სამრეწველო რაიონის შიდა გზების მშენებლობა. მან ვერაფერი გააწყო და სხვასაც არ მისცა გასაქანი. შიდა გზების ჯეროვნად მოუწყობლობა ძლიერ აძუხრუჭებდა მრეწველობას. სადგურ ჭიათურიდან მაღაროებამდე ხის ერთი სვეტის მიტანა 30—40 კაპ. ჯდებოდა.

საჰაერო-საბაგირო გზებისა და სხვა ტიპის მექანიკური ჩამოსაშვებების მშენებლობა მხოლოდ აქა-იქ დამთავრდა. ისიც მხოლოდ თითო-ოროლა მსხვილი ფირმების სარგებლობაში იმყოფებოდა. მოპოვებული მადნის დიდი ნაწილი საბადოებიდან რკინიგზის შტოს ბაქნებამდე (დაქანებული კლდოვანი ბილიკებით) სასაპალნე ტრანსპორტით ჩამოჰქონდათ და ფუთის ზიდვა მანძილის შესაბამისად 1,5 კაპიკიდან 4 კაპიკამდე ჯდებოდა. ამ საშუალებით ფხვიერი მადნის ზიდვა შეუძლებელი ხდებოდა. ფინანსთა სამინისტროს 1903 წ. თათბირზე კვლავ განხილულ იქნა საბადოებიდან რკინიგზამდე მადნის გადასაზიდი გზების უკეთ მოწყობის საკითხი. შემუშავდა აზრი, რომ მადნის ზიდვის სწორი ორგანიზაცია 3 საშუალებით უნდა მოწყობილიყო: 1) საბადო ზეგნებზე უნდა გაყვანილიყო რელსებიანი გზები, 2) ზეგნებიდან ღელეების ხეობებამდე უნდა გაყვანილიყო მექანიკური დასაშვებები, თვით იმ ადგილებამდე, სადაც აშენდა, შენდებოდა ან მომავალში აშენდებოდა მადნის გამაუხვებელი ფაბრიკები, 3) ქვევით გამამდიდრებელი ფაბრიკებიდან რკინიგზის შტოს სადგურებამდე მადნის გასაშვებად უნდა მოწყობილიყო ე. წ. „საესტოკადო გზები“[19]. წინასწარი გაანგარიშებით მთელი ეს გზები (საბადო ზეგნებზე გასაყვანი „საფაბრიკო-საქარხნო ტიპის რელსებიანი გზების“, 10 მცირე დასაშვებისა და ქვევით შესაფერისი სიგრძის სხვა გზების ჩათვლით) არ უნდა დამჯდარიყო 1 370 000 მანეთზე მეტი, ხოლო ამ საშუალებებით თითო ფუთი მადნის რკინიგზამდე ზიდვის ღირებულება არა უმეტეს 0,78—1,5 კაპიკისა, მაშინ, როცა სასაპალნე ტრანსპორტით ფუთის გადაზიდვა ჯდება საშუალოდ 2,75 კაპ. ეს კი ხელს შეუწყობდა მრეწველობის შემდგომ განვითარებას და ჭიათურის მარგანეცის საკონკურენციო ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებასაც[20].

თათბირზე და მთავრობის ორგანოებში შემდგომი განხილვისას

---

[18] ЦГИАЛ, ф. 37. оп. 55, д. 609, 1903, ფურც. 30.

[19] იქვე, ფურც. 11—12.

[20] იქვე.

გზების შშენებლობის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ეს გზები უნდა მოაწყონ თვით მრეწველებმა. მეორენი აცხადებდნენ, რომ ეს საქმე უნდა იტვირთოს გზათა სამინისტრომ, მესამენი მიიჩნევდნენ, რომ გზათა სამინისტროს მხოლოდ მასალების მიწოდება შეიძლება დაევალოს. მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი კი მოითხოვდა, რომ საქმე გადასცემოდა პეტერბურგში საამისოდ უკვე შექმნილ სააქციო გაერთიანებას — „მარგანეცის ელევატორებისა და მექანიკურ მოწყობილობათა საზოგადოებას“, ოღონდ იმ პირობით, რომ მარგანეცის მრეწველთა დამოუკიდებლობა არ შეზღუდულიყო დასახელებული გაერთიანებისათვის მონოპოლიური უფლების მინიჭებით[21]. პ. წულუკიძის მოსაზრებით, კი ჭიათურაში უკვე მოქმედ მსხვილ ფირმებსა და საერთოდ ადგილობრივ მრეწველებს უნდა შეექმნათ სააქციო საზოგადოება, რომელიც მიზნად დაისახავდა გზების მოწყობას[22]. საქმის გადაწყვეტა შეაფერხა გ. წერეთლის უნაყოფო კონცესიამაც.

როგორც ვხედავთ, 1901—1905 წლებში წარმოების მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღების პრობლემები თითქმის განუწყვეტლივ იხილებოდა მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობით ორგანიზაციაში და მთავრობის ორგანოებში. თუმცა, მას იმთავითვე არ მოჰყვა ტექნიკურ მოწყობილობათა და სიახლეების ფართოდ დანერგვა, რაც მხოლოდ ერთპიროვნულად მოქმედ მრეწველთა მეცადინეობით ხორციელდებოდა.

მოცემულ ეტაპზე მადნის ღირებულება არ ხასიათდებოდა სტაბილურობით. ამასთანავე სხვადასხვა ხარისხის მადანი რკინიგზის შტოს სხვადასხვა სადგურზე ერთნაირად არ ფასობდა. ფასის სხვადასხვაობა ასეთი იყო:

ცხრილი 5

მადნის ხარისხი	1 ფუთი მადნის ფასი ბაქანზე (კაპიკობით)	
	ჭიათურაში	ჭიკოურში
„ბ ე ლ ტ ი“	7—7,5	6—6,5
საცხრილი	5,5—6	4,5—5
წვრილი ჩვეულებრივი	9—10	8—9
წვრილი მაღალხარისხოვანი	10—11	9—10
„პ ლ ა ს ტ ი“	18—20	17—19
მარცვლოვანი	7—7,5	6—6,5
„წ ი თ ე ლ ი“	8,5—9,9	7,5—8,5

[21] ЦГИАЛ. ф. 37. оп. 55. д. 609. 1903. ფურც. 12. 31.

[22] იქვე, ფურც. 31.

მადნის ფასი ძლიერ მერყეობდა ხარისხისა და ჩაბარების ადგილისდა მიხედვით. მრეწველობის განვითარების მოცემულ ეტაპზე, კერძოდ, 1903 წელს ჭიათურის სადგურზე (სასწორზე) 1 ფუთი მარგანეცის მადნის საშუალო ფასი, ასე დგებოდა:[23]

საიჯარო გადასახადი	— 1,00 კაპ.
მოპოვება და გადმოზიდვა	— 2,25
გაწმენდა და დახარისხება	— 0,75
ჭიათურამდე გადაზიდვა	— 2,75 „
„მრეწველის სარგებელი“	— 0,25 „
	სულ — 7 კაპ.

როგორც ეხედავთ, მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მადნის ადგილობრივ სატრანსპორტო საშუალებათა მოუწყობლობა ადიდებდა მადნის თვითღირებულებას. როგორც ცნობილია, მრეწველობისათვის (სრულყოფილი, მანქანური საწარმოო ტექნიკის გარდა) დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსპორტის სრულყოფილ ტექნიკას — ორთქლის რკინიგზას. რკინიგზის შტომ გააადვილა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ინდუსტრიულად გარდაქმნა. ამიტომ რკინიგზის შტოს საჩხერემდე გაყვანა, რკინიგზის სადგურებზე ახალი ბაქნებისა და შტოსკენ მისასვლელი რელსებიანი გზების მშენებლობა, რაც 1901—1905 წლებში განხორციელდა[24], მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მოვლენა იყო მრეწველობის მოცემული დარგის ინდუსტრიულად გარდაქმნისათვის.

მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლა, რაც სრულ ტექნიკურ გადატრიალებას მოასწავებს, მომდევნო პერიოდში, 1906 — 1914 წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა. მას თან მოყვა სამრეწველო ბურჟუაზიისა და სამრეწველო პროლეტარიატის საბოლოო ჩამოყალიბება, კლასობრივი ბრძოლის შემდგომი გამწვავება და ჭიათურის რაიონის სამრეწველო პროლეტარიატის გადაქცევა დასავლეთ საქართველოს პროლეტარიატის ყველაზე მრავალრიცხოვან და მოწინავე მებრძოლ რაზმად.

[23] ЦГИАЛ, ф. 95, оп. 18, д. 1010, л. 42 об.
[24] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 12, д. 262. л. 10.

თავი IV

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა 1906—1914 წლებში

§ 1. მარგანეცის მადნის მოპოვება

1901 — 1905 წლების კრიზისის შემდეგ ჭიათურის მრეწველობამ ჯერ ხანმოკლე აღმავლობა განიცადა, მერე, კვლავ კრიზისი, ხოლო I მსოფლიო ომის წინა წლებში მძლავრი აღმავლობა. ამ პროცესმა თავისი გამოხატულება პოვა მაღაროთა და შტოლნთა რიცხვის. აგრეთვე მათი საშუალო წლიური წარმადობის მკვეთრ ცვალებადობაში, რაც თვალში გვეცემა, თუ გავიხსენებთ, რომ 1905 წელს მაღაროთა რიცხვია მხოლოდ 202, შტოლნთა კი 349, ხოლო მათი წლიური წარმადობა შესაბამისად 103 348 და 60 864 ფუთი, ეს მაშინ, როცა 1906—1914 წლებში მაღაროთა და შტოლნთა რიცხვი, აგრეთვე მათი საშუალო წლიური წარმადობა ასე იცვლებოდა:

ცხრილი 1[1]

წლები	მოქმედი მაღაროები და შტოლნები		შტოლნთა რიცხვი თითოეულ მაღაროში (საშუალოდ)	მადნის საშუალო მოპოვება (ფუთობით)	
	მაღაროები	შტოლნები		ერთ მაღაროში	ერთ შტოლნში
1906	443	688	1,58	113 215	72 921
1907	395	551	1,39	103 374	74 107
1908	114	160	1,40	61 008	43 468
1909	268	332	1,24	135 216	109 957
1910	191	230	1,20	176 989	146 978
1911	150	174	1,16	190 900	164 500
1912	206	281	1,36	171 480	125 711
1913	303	437	1,44	159 339	135 797
1914	192	226	1,77	210 656	178 964

[1] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 67, д. 253, л. 13—14, Статистика марганцевого дела. К., 1914, таблица № 12; Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг, К., 1918, табл. № 13.

ასევე მერყეობს მადნის მოპოვების მასშტაბი. თუ 1901—1905 წლებში მადნის წლიური მოპოვება 20, 22, 25 მილიონ ფუთს არ აღემატებოდა, მომდევნო პერიოდში ის ასე ცვალებადობდა[2]:

წელი	მადნის მოპოვება (ათას ფუთობით)	წელი	მადნის მოპოვება (ათას ფუთობით)
1906	50 170	1911	28 635
1907	40 833	1912	35 325
1908	6 955	1913	59 188
1909	36 505	1914	40 446
1910	33 805		

ამგვარად, განსახილველ პერიოდში მადნის მოპოვების მასშტაბი დიდი მერყეობით ხასიათდება. ერთი მხრივ, ის კოლოსალურად იზრდება 1906 და 1913 წლებში, მეორე მხრივ, განსაკუთრებით მკვეთრად მცირდება 1908 წელს.

ყოველივე ამას გააჩნია თავისი განმსაზღვრელი ობიექტური მიზეზები. 1906 წელს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას ფრთები შეასხა კრიზისიდან გამოსული მსოფლიო მეტალურგიის ახალმა მძლავრმა აღმავლობამ, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მარგანეცის მადანზე მოთხოვნილების გაზრდა. მაგრამ, ეს აღმავლობა ხანმოკლე აღმოჩნდა და 1907 წლის მეორე ნახევრიდან 1908 წლის დამლევამდე მკვეთრი დაღმავლობით შეიცვალა[3].

მარგანეცის მრეწველობაში კრიზისი, როგორც წესი, თავდაპირველად მადანზე ფასის დაცემით იწყებოდა, შემდეგ მცირდებოდა მისი გასაღების მასშტაბი, რაც იმთავითვე იწვევდა მადნის მოპოვების ოდენობის შესაბამის შემცირებას. 1907 წლის დამლევისათვის მარგანეცის მადნის ფასი მკვეთრად დაეცა, ხოლო მასზე მოთხოვნილება თითქმის არ არსებობდა. კრიზისამდე, როცა მარგანეცის მადნის ფასი შედარებით მაღალი იყო, ჭიათურის მარგანეცი გადამწყვეტ პოზიციებს ფლობდა გერმანიის ბაზარზე, გარკვეულ მნიშვნელობას ინარჩუნებდა დიდ ბრიტანეთში, ხოლო მისი ექსპორტი აშშ-ში 1907 წელს შეწყდა[4]. 1908 წლის 1 იანვრისათვის ჭიათურის სამრეწველო

---

[2] В. Л. Тухолка, Железные и марганцевые руды (Богатства СССР... М. Л., 1925, გვ. 67); ბ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, 1941, გვ. 262.

[3] Статистика марганцевого дела, К., 1908. გვ. IX.

[4] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138. 1909. л. 30. об.

რაიონში მოპოვებული მადნის მარაგი (94 591 000 ფუთი) სარეკორდო იყო ადრინდელ, ასევე მერმინდელ წლებთან შედარებით[5].

ჭიათურის მრეწველობის თაობაზე 1908 წელს პეტერბურგში მოწყობილ საუწყებათაშორისო თათბირზე აღინიშნა, რომ „ადრე კრიზისი გამოიხატებოდა ფასის დაცემით, ამჟამად შეინიშნება მადანზე მოთხოვნილების სრული შეწყვეტა. 1907 წლის დამლევისათვის მარგანეცის მადნის ფასი დაეცა 45,57% და ეს არცაა გასაკვირი, რაკიგან ყველა სახელმწიფოში (ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში, ბელგიაში, საფრანგეთში) ბრძმედების მოქმედება 50%-ით შემცირდა[6]. ჭიათურიდან მადნის ექსპორტის შეწყვეტასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, რომელიც ამით შემოსავლის წყაროს კარგავდა, 1908 წელს მიმართა რუსეთის საკონსულოებს უცხოეთში, რათა მათ ეცნობებიათ „კავკასიიდან მადნის გაზიდვის შემცირების ნამდვილი მიზეზები“. პასუხი მოსულა 8 საკონსულოდან. აქედან 6 (როტერდამის, ტრიესტის, ჰამბურგის, შტეტინის, ფლიტვუდის, ფილადელფიის) მადნის ექსპორტის შემცირებას ხსნიდა „საერთო ფულადი და მეტალურგიული კრიზისით...“[7]. 1909 წლიდან მსოფლიო მეტალურგიამ კრიზისს თანდათან დააღწია თავი, ხოლო 1912 — 1913 წლებში მისი განვითარება მანამდე არნახული ტემპით წარიმართა — მსოფლიო ომისათვის მძლავრი იმპერიალისტური ქვეყნების გამალებულ სამზადისთან დაკავშირებით, რამაც მარგანეცის მადანზე მოთხოვნილების განუხრელი ზრდა გამოიწვია. 1914 წლის მეორე ნახევრიდან, მსოფლიო ომის დაწყების შედეგად, ჭიათურის მრეწველობის მდგომარეობა გაუარესდა. ამასთან დაკავშირებით კავკასიის სამთო სამმართველო 1914 წლის დამლევს აცნობებდა პეტერბურგში: „კავკასიის მარგანეცის მრეწველობა უპირატესად საგარეო ბაზარს ემსახურება, ამიტომ მრეწველობის წარმატება მჭიდროდაა დაკავშირებული საგარეო ბაზრის საერთო კონიუნქტურაზე. თავისთავად იგულისხმება, რომ კავკასიის მარგანეცის მრეწველობის ასეთმა დამოკიდებულებამ უცხოური ბაზრებისაგან უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ეს დარგი 1914 წლის მეორე ნახევრიდან, როცა ომის დაწყებისა და სრუტეების დაკეტვის შედეგად მარგანეცის ექსპორტი შეწყდა“[8].

ომის დაწყების დროიდან, როცა მსოფლიო ბაზარზე ჭიათურის მარგანეცის ექსპორტი სავსებით, ისიც დიდი ხნით, შეწყდა, ის მხო-

---

[5] Статистика марганцевого дела за 1913 год, К., 1914, გვ. 33.

[6] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 37.

[7] იქვე, ფურც. 37, მეორე გვერდი.

[8] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 40.

ლოდ შინაგანი (რუსეთის) ბაზრის ანაბარა დარჩა. ამავე დროს რუსეთის მეტალურგიის მოთხოვნილება მარგანეცზე შედარებით მცირე იყო და იმასაც მეტწილად ნიკოპოლი და ურალი აკმაყოფილებდა.

* * *

მართალია, I მსოფლიოომამდელ ხუთწლედში ჭიათურის მრეწველობის განვითარება სწორხაზობრივად არ წარიმართა, მაგრამ მადნის საშუალო მოპოვება, წინანდელ ხუთწლედთან შედარებით მაინც გაიზარდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ განსახილველ პერიოდში, ისევე როგორც ადრე, ერთგვარ ცვლილებას განიცდიდა სხვადასხვა საბადო ზეგნის ხვედრითი წილი მადნის საერთო მოპოვებაში. მაგალითად, 1912 წელს მადნის მოპოვების სიდიდით დარკვეთის ზეგანი მეორე ადგილზე იყო, ხოლო მომდევნო წელს უკვე მეხუთე ადგილზეა. 1913 წელს მღვიმევზე მოდის საერთო მოპოვების 39,07%, მეორე ადგილზეა ზედა რგანი (16,45%), მესამეზე პერევისა (14,03%), მეოთხეზე შუქრუთი (10,24%), მეექვსეზე რგანი, რომელსაც მოსდევს თაბაგრები, სარქველეთუბანი და ითხვისი. დასახელებული ზეგნების მონაწილეობა ძირითადად ასეთივე თანაფარდობით ხასიათდება პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგაც, როცა ჭიათურის მრეწველობამ სწრაფი დაცემა განიცადა. ეს პირველ რიგში გამოიხატა მადნის მოპოვების მასშტაბის ძლიერ შემცირებაში, რაც ასეთ სურათს იძლევა[9]:

წელი	მადნის მოპოვება (ათას ფუთობით)
1915	15 738
1916	14 678
1917	12 488
1918	7 583
1919	3 442
1920	5 610

უნდა გავიხსენოთ, რომ 1915 წელს 1914 წელთან შედარებით მადნის მოპოვება შემცირებულია 24 709 ათასი ფუთით, ანუ 61,09%-ით, ხოლო მომდევნო პერიოდში, მსოფლიო ომის, რევოლუციისა და საქართველოში მენშევიკების ხანმოკლე ბატონობის წლებში, მადნის

[9] ვ. ტუხოლკა, დასახ. ნაშრომი, გვ. 67

მოპოვება (და საერთოდ სამრეწველო საქმიანობა) ჭიათურაში მანამდე თითქმის არსახული ტემპით ეცემა, ხოლო 1921 წელს მთლიანად წყდება.

§ 2. სამრეწველო ბურჟუაზიის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები

განსახილველ პერიოდში დაჩქარდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღება. როგორც ქვემოთ (§ 5) დავინახავთ, სამრეწველო გადატრიალების გაღრმავების შედეგად მრეწველობის მოცემული დარგი განვითარების ინდუსტრიულ (ქარხნულ) სტადიებზე გადავიდა. ცვლილებამ თავი იჩინა სამრეწველო ბურჟუაზიის შემადგენლობასა და განლაგებაში. სამრეწველო გადატრიალების პროცესში და მის შედეგად მსხვილი ბურჟუაზია წარმოებაში გადამწყვეტ პოზიციებს დაეუფლა. სამრეწველო რაიონში მრავალი მსხვილი ტექნიკურად კარგად აღჭურვილი სამთო საწარმოების გვერდით ტექნიკურად შეუიარაღებელი, შედარებით წვრილი (გლეხური) თუ საშუალო სიდიდის (მანუფაქტურული) საწარმოებიც მრავლად არსებობდა, თუმცა მათი ხვედრითი წონა მრეწველობაში წლიდან-წლამდე განუხრელად მცირდებოდა. ასე. რომ განვითარების ინდუსტრიულ სტადიაზე ჭიათურაში კაპიტალისტური მრეწველობის სამივე ფორმა თანაარსებობდა. წვრილი და მანუფაქტურული ფორმის საწარმოთა ამგვარი გამძლეობა, მარგანეცის მადნის საბადო ნაკვეთების მფლობელთა დიდი სიმრავლით, საქმოსანთა მიერ ამ ნაკვეთთა იჯარით აღებისა და, რაც მთავარია, საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის სიძვლილითაც აიხსნებოდა.

სამრეწველო სტატისტიკა არ შეიცავს საკმაოდ ზუსტ მონაცემებს სხვადასხვა სიდიდის სამთო საწარმოთა და, მაშასადამე, სხვადასხვა კატეგორიის მრეწველთა თანაფარდობის დასადგენად. საწარმოთა აღწერები ჭიათურაში აღებულ პერიოდში მხოლოდ 1913, 1914, 1915 წლებში ჩატარდა.

სამრეწველო სტატისტიკა ასე წარმოგვიდგენს სხვადასხვა კატეგორიის მრეწველთა რიცხობრივი თანაფარდობისა და მადნის საერთო მოპოვებაში მათი ხვედრითი მონაწილეობის ცვალებადობას განსახილველ პერიოდში:

ცხრილი 2[1]

წლები	მარგანეცის მრეწველთა საერთო რიცხვი	I. წერილი მრეწველები (100 ათას ფუთამდე მადნის მოპოვებით)			II. საშუალო მრეწველები (100-დან 500 ათას ფუთამდე მადნის მოპოვებით)			III. მსხვილი მრეწველები (500 ათას ფუთზე მეტი მადნის მოპოვებით)		
		მრეწველთა რიცხვი	% საერთო რიცხვის მიმართ	% მადნის საერთო მოპოვებაში	მრეწველთა რიცხვი	% საერთო რიცხვის მიმართ	% მადნის საერთო მოპოვებაში	მრეწველთა რიცხვი	% საერთო რიცხვის მიმართ	% მადნის საერთო მოპოვებაში
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1906	376	221	49,75	28,65	148	39,36	57,03	7	1,86	14,32
1907	348	225	64,65	36,35	117	33,62	45,74	6	1,73	17,91
1908	96	90	93,76	25,34	3	3,12	7,76	3	3,12	66,90
1909	222	73	32,88	8,87	142	63,97	64,67	7	3 15	26,46
1910	165	77	46,67	15,02	77	46,67	44,13	11	6,66	40,85
1911	140	73	52,14	14,09	57	40,71	46,21	10	7,14	39,68
1912	164	68	41,48	9,43	87	53,04	55,38	9	5,48	35,19
1913	260	113	43,46	10,30	126	48,46	47,09	21	8,08	42,61
1914	183	96	54,86	15,86	69	39,92	38,92	10	5,72	45,78

აქ თვალში გვეცემა მრეწველთა რიცხვის მკვეთრი ცვალებადობა და შემცირების ტენდენცია. თუმცა ის 1913 წელს 1912 წელთან შედარებით გაიზარდა 96-ით, ანუ 58,53%-ით. ამავე დროს 1906 წელს 1913 წელთან შედარებით მრეწველთა რიცხვი მეტია 114-ით, ანუ 30,48%-ით. მეორე მხრივ, 1914 წელს 1913 წელთან შედარებით მრეწველთა რიცხვი შემცირდა 85-ით, ანუ 32,69%-ით. ეს დაკლება ომთან არ იყო დაკავშირებული, რადგან ცხრილში მოტანილი მონაცემი 1914 წლის პირველ ნახევარს განეკუთვნება[2]. განსახილველ პერიოდში ფირმათა საშუალო წლიური რიცხვია 213, ხოლო უკანასკნელი ათწლედის პირველ ხუთ წელიწადში მათი საშუალო რიცხვია 230, მეორე ხუთ წელიწადში კი მხოლოდ 190, ამგვარად, მრეწველთა საერთო რიცხვი მცირდება, ხოლო მადნის საშუალო წლიური მოპოვება, როგორც ზემოთ დავინახეთ, იზრდება.

მრეწველთა რიცხვის შემცირების სტატისტიკოსები კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევდნენ, რადგან, მათი განმარტებით, «С усложнением работ по добыче, с увеличением ответственности за рабочих и т. п. условии промышленной жизни, требующих от про-

[1] Статистика марганцевого дела за 1914 — 1917 гг., К., 1918, табл. II.

[2] Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., К., 1918, зг. XI.

мышленника, чтобы он был во всяком случае более состоятельным, менее состоятельный промышленник выбывается из ряда производителей»[3].

ზემომოყვანილი ცხრილი ერთგვარ წარმოდგენას იძლევა სხვადასხვა კატეგორიის მეწარმეთა აბსოლუტური და შეფარდებითი რაოდენობის, ასევე მადნის მოპოვებაში მათი ხვედრითი წონის ცვალებადობაზე. ჯერ ერთი, ჩანს, რომ წვრილ მრეწველთა აბსოლუტური და შეფარდებითი რაოდენობა არ იყო სტაბილური. ის შემცირების ტენდენციას ამჟღავნებდა. მთავარი კი ისაა, რომ მათი მონაწილეობა მადნის საერთო მოპოვებაში თითქმის განუხრელად მცირდებოდა. მეორე, მცირდებოდა ე. წ. საშუალო მრეწველთა აბსოლუტური და შეფარდებითი რაოდენობა, ასევე მათი ხვედრითი მონაწილეობა მადნის საერთო მოპოვებაში. მესამე, სტატისტიკოსები, რომლებიც მხოლოდ უმსხვილეს ფირმებს თვლიდნენ მსხვილ მრეწველებად, გვიჩვენებენ, რომ ამ კატეგორიის მრეწველთა რიცხვი და ხვედრითი წილი ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში იზრდება. ამავე დროს სტატისტიკოსები, მრეწველთა კატეგორიებად დაყოფის საკუთარი პრინციპის მიხედვით, მსხვილ მრეწველთა რიცხვს არასრულად წარმოგვიდგენენ. ცხრილის მიხედვით 1912 წელს მსხვილი მრეწველი არის მხოლოდ 10, ხოლო სამთო უწყების ცნობით — 12[4]. 1914 წელს კი პირველის ცნობით ასეთია 10, ხოლო მეორისა — 23[5]. მთავარი ისაა, რომ სამრეწველო სტატისტიკა სანახევროდაც ვერ ასახავს მრეწველობის კონცენტრაციის პროცესს ჭიათურაში. ეს პროცესი მძლავრად მიმდინარეობდა, რაც ყველაზე წვრილ (გლეხურ) სარეწავთა თანდათანი, ადრინდელთან შედარებით, მკვეთრი შემცირებით ხასიათდებოდა. ამაზე ერთგვარ წარმოდგენას იძლევა თვით სტატისტიკოსთა მიერ შედგენილი ცხრილი. იხ. მე-3 ცხრილი, გვ. 248.

ცხრილიდან ჩანს, რომ განსახილველ პერიოდში, ადრინდელი ხანისაგან განსხვავებით, არ გვხვდება ისეთი წვრილი მრეწველი, რომელიც მხოლოდ 1 ათას ფუთამდე მადანს პოულობს წელიწადში. ამასთანავე მრეწველთა დიდი ნაწილი თანდათან უფრო მეტი ოდენობით ეწევა მადნის მოპოვებას. ამასვე გვიდასტურებს ჩვენთვის საინტერესო ხანის სამრეწველო სტატისტიკის ცნობა საშუალოდ თითოეული მრეწველის მიერ დაქირავებულ მუშათა რიცხვისა და მოპოვებული მადნის ოდენობის ერთგვარი ზრდის შესახებ. (იხ. მე-4 ცხრილი, გვ. 248).

---

[3] Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., К. 1918, გვ. XII.

[4] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 45, д. 974, л. 7.

[5] იქვე.

ცხრილი 3[6]

წელი	მრეწველები, რომელიც მაც მოიპოვეს მადანი								
	1 ათას ფუთამდე	1-დან 10 ათას ფუთამდე	10-დან 50 ათას ფუთამდე	50-დან 100 ათას ფუთამდე	100-დან 200 ათას ფუთამდე	200-დან 500 ათას ფუთამდე	500 ათასიდან 1 მილიონამდე	1 მილიონ ფუთზე მეტი	სულ
1906	—	4	71	146	104	44	4	3	376
1907	—	1	85	138	8	19	4	2	348
1908	—	41	44	5	3	—	1	2	6
1909	—	—	37	36	105	37	5	2	222
1910	—	—	18	37	65	34	5	6	165
1911	—	4	30	19	38	37	9	3	140
1912	—	5	34	15	47	52	6	5	164
1913	—	12	54	47	71	55	14	7	260
1914	—	1	42	53	40	29	5	5	175

ცხრილი 4[7]

წელი	საშუალოდ თითოეულ მრეწველზე მოდიოდა	
	დაქირავებული მუშები	მოპოვებული მადანი (ფუთობი)
1906	13,57	133,430
1907	11,50	117,336
1908	6,98	72,447
1909	14,06	164,441
1910	19,12	204,878
1911	14,00	204,535
1912	14,51	215,396
1913	13,37	227,646
1914	17,63	231,120

როგორც ვხედავთ, საშუალოდ თითოეული მრეწველის მიერ დაქირავებულ მუშათა რიცხვი, ასევე სამრეწველო საქმიანობის მასშტაბი მოცემულ პერიოდში თითქმის განუწყვეტელი ზრდა-შემცირე-

[6] Статистика марганцевого дела за 1914 — 1917 гг., К., табл. № 10. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ცხრილში 1914 წელს მხოლოდ 175 მრეწველია ნაჩვენები, რაც შეცდომაა, იხ. კრებული, გვ. 95. ცხრილი № 11, სადაც 183-ია ნაჩვენები.

[7] Статистика марганцевого дела, К., 1914, табл. № 19; Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., К., 1918 г., табл № 9,18.

ბით ხასიათდება. ზრდის ერთგვარი ტენდენცია მაინც შეინიშნება. გაცილებით უფრო სისტემატური და თანმიმდევრულია საშუალოდ თითოეული მრეწველის მიერ მოპოვებული მადნის ოდენობის ზრდა, რაც განსახილველ პერიოდში მსხვილ საწარმოთა ხვედრითი მონაწილეობის ზრდითაც აიხსნება.

სხვადასხვა კატეგორიის მრეწველთა თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებების დასადგენად ზემომოტანილი სტატისტიკური ცნობები არაზუსტია. ისინი, სამწუხაროდ, საშუალებას არ იძლევიან რამდენადმე სრულად წარმოვადგინოთ წარმოებისა და მუშათა კონცენტრაციის პროცესის მიმდინარეობა. სინამდვილეში ეს პროცესი უფრო მძლავრი იყო, ვიდრე ამას სამრეწველო სტატისტიკა გვიჩვენებს, ეს ჩანს შემდეგიდან: ჯერ ერთი, სამრეწველო დაწესებულებათა 1913 და 1915 წლების აღწერები გვიჩვენებს, რომ ჭიათურის სამრეწველო რაიონში I მსოფლიო ომის დაწყების დროისათვის უამრავ რელსებიან გზებთან, ტექნიკურად მოწყობილ მექანიკურ ჩამოსაშვებებთან (ბრემსბერგები და საჰაერო-საბაგირო გზები) ერთად უკვე მადნის 25—31 გამამდიდრებელი ფაბრიკაა[8]. მათი მფლობელებია ადგილობრივი მრეწველები ან მრეწველთა გაერთიანებები, აგრეთვე უცხოური ფირმები. ამასთანავე არ არის არც ერთი შემთხვევა, რომ ერთ მრეწველს თუ ფირმას ერთდროულად ორი ფაბრიკა ეკუთვნოდეს. ფაბრიკები ტექნიკურად მოწყობილია და მექანიკური ძალის გამოყენებას ემყარებიან. ამასთანავე ჩვეულებრივ მეტ-ნაკლები სიდიდის თითოეულ ფაბრიკაში დასაქმებულია 22-დან 244 მუშამდე[9]. ყველა ფაბრიკის მეპატრონე მარგანეცის მრეწველია, ზოგიერთი მათგანი კი მადნის ექსპორტიორიც. ამდენად ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ფაბრიკების 25—31 მეპატრონე მსხვილი მრეწველია, ეს მაშინ, როცა, სამრეწველო სტატისტიკის ცნობით, 1914 წელს მსხვილი მრეწველია მხოლოდ 10, ხოლო სამთო უწყების ცნობით, მარტო 23. მეორეც, თუ მსხვილ მრეწველთა რიცხვის განსაზღვრისას პირობით ნიშნად ავიღებთ მათ მიერ დასაქმებულ სამთო მუშათა რიცხვს (25 მუშის ზევით), მივიღებთ, რომ 1913 წელს ასეთები იყო 44. ამ წელს ჩატარებული აღწერის თანახმად შედარებით მსხვილ მრეწველთა საწარმოებში სამთო მუშათა რიცხვი ასეთი იყო[10].

---

[8] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 691, л. 28—29, 165—201; ССССР, фонд. 415, сад. 109, фурц. 67; Отчет Кавказского горного управления за 1913 год. 1914, гр. 95.

[9] ССССР, фонд. 415, сад. 109, фурц. 67; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 691, л. 165—201.

[10] ССССР, фонд. 415, сад. 109, фурц. 67.

მრეწველები და სამრეწველო ფირმები	სამთო მუშათა რიცხვი
1. ფორვუდი და სელااري	371
2. კავკასიის საბადოთა ამხანაგობა	280
3. ძმ. ოგანეზოვები	165
4. ვ. კაპანაძე	135
5. მღვიმევის ქალთა მონასტერი	109
6. ვ. ჩხეიძე	86
7. ს. გაფრინდაშვილი	86
8. ლ. პანასიე	88
9. ა. მიულსი	81
10. ა. ჯაუელი	83
11. რ. ანჯაფარიძე და კომპ.	96
12. ძმ. ჩილინგარიანები	82
13. ბ. სამყურაშვილი	90
14. ი. წერეთელი და კომპ.	57
15. ტ. ჩომახიძე და გ. სამხარაძე	63
16. ვ. ღუღუნიშვილი	63
17. დ. აბაშიძე	61
18. ი. რატიანი და კომპ.	56
19. დ. ღუღუნიშვილი	65
20. ა. გეგენავა და ი. ჯიქია	50
21. ს. გეიდემანი	62
22. გელზენკირხენის სააქც. საზ.	26
23. ა. მადატოვა	56
24. ო. გილერტი	42
25. ო. ჩაჩანიძის მემკვ-ნი	48
26. გ. ფარულავა	42
27. გ. ზდანოვიჩი	43
28. ი. ბარათაშვილი	40
29. ი. მეძმარიაშვილი	53
30. ი. ბერიძე	50
31. დ. ეორეოლიანი და კომპ.	52
32. კ. გამყრელიძე	29
33. ზ. ეორეოლიანი	26
34. ჯიმშელიშვილი-მეძმარიშვილი	29
35. ა. კეკელიძე	30
36. ფ. კაკაბაძე	28
37. გ. კერნერი	47
38. ე. კორნოზილოსი	37
39. ძმ. არუსიები	34
40 ხ. მანულოპულო	44
41. გ. არუსია	40
42. ი. სულაბერიძე	25
43. ა. ამაღლობელი	30
44. ი. ქაჯაია	51

უნდა შევნიშნოთ, რომ სამთო საწარმოებში მუშათა აღრიცხვა, როგორც წესი, ყოველთვის არასრული იყო, რადგან მეწარმენი შეგნებულად ნაკლებს უჩვენებდნენ სამთო უწყებას[11].

სავარაუდოა, რომ აღწერისას გამოტოვებულია ზოგიერთი მსხვილი მრეწველი. მაგალითად, ჩვენთვის ადრე ცნობილი და 1915 წლის აღწერაში დასახელებული[12] შედარებით მსხვილი მრეწველები რ. ჯაეახიშვილი, ნ. წერეთელი, ს. წერეთელი, ა. სარჯველაძე, ნ. კაკაბაძე, ნ. და ა. ავგერინოები, ს. თაბაგარი და სხვები მრეწველთა 1913 წლის სიაში გამოტოვებულია. ამის მიუხედავად, მოტანილ სიაში 44 მსხვილი ფირმა თუ მეწარმეა დასახელებული. აქედან ქართველებია 30, სომხები (ადგილობრივი კაპიტალის წარმომადგენლები) — 3, ბერძნები — 3, გერმანელები—5, ფრანგი—1, ინგლისელი—1. რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს მონაცემები დაედვას საფუძვლად ჭიათურაში ეროვნული და უცხოური კაპიტალის თანაფარდობის დადგენას, რადგან, როგორც დავინახავთ, ზოგიერთი უცხოური, კერძოდ, გერმანული ფირმები, თავისი ძლიერებით სამრეწველო რაიონში სწორუპოვრად წარმოგვიდგებიან. მოტანილი მონაცემები მხოლოდ იმას გვიდასტურებს, რომ შედარებით მსხვილ მეწარმეთა საერთო რიცხვი საგრძნობია, რაც წარმოებისა და მუშათა კონცენტრაციაზე მეტყველებს და რომ მათი უმრავლესობა ქართველებია. თუ მოცემული ნიშნის მიხედვით, ე. ი. მუშათა რაოდენობის გათვალისწინებით განვსაზღვრავთ მსხვილ საწარმოთა რიცხვს, მივიღებთ, რომ 1914 წლის მაისისათვის ჭიათურაში უკვე 51 მსხვილი სამთო საწარმოა, სადაც 25-დან 472-მდე მუშაა დასაქმებული[13].

ყოველივე ამის შემდეგ ცხადი ხდება, რომ სამრეწველო სტატისტიკა წარმოებისა და მუშათა კონცენტრაციის რეალურ სურათს არ იძლევა.

მარგანეცის მრეწველთა 1913 წლის სიაში მხოლოდ შედარებით მსხვილი საწარმოებია შეტანილი, რის გამო ის არ იძლევა მეწარმეთა ეროვნული შემადგენლობის დადგენის საშუალებას, სამაგიეროდ 1914 წლის მაისში შედგენილი სრული სიიდან, ჩანს, რომ მოცემულ წელს 183 მრეწველიდან ქართველია 161, გერმანელია 7, ბერძენი — 5, ადგილობრივი სომეხი — 4, ებრაელი — 3, რუსი — 1, ფრანგი — 1,

---

[11] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 691, л. 164.

[12] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 691., л. 161—201.

[13] ХФЦГИАУ, ф. 834, оп. 1, д. 90, л. 28—37.

ბელგიელი—1[14]. ქართველ მეწარმეთა სოციალური წარმოშობა, ჩვენი დაკვირვებით, დაახლოებით ასეთია: 161 მეწარმიდან წარმოშობით გლეხია 81, თავადი — 18, აზნაური — 61, სასულიერო წოდებიდან კი—1[15].

* * *

ამრიგად, მოცემულ პერიოდში მარგანეცის მრეწველთა შემადგენლობაში თვალსაჩინო რიცხობრივი და თვისობრივი ცვლილებები მოხდა: წინანდელ, ე. ი. კრიზისის წლებთან შედარებით, 1906 წელს მეწარმეთა რიცხვი ძლიერ გაიზარდა, მარგამ შემდეგში, განსაკუთრებით 1908 წელს, შემცირდა. I მსოფლიო ომის წინა წლებში, 1913 წლამდე მეწარმეთა შემადგენლობა კვლავ იზრდებოდა, ხოლო 1914 წლის პირველ ნახევარში მკვეთრად შემცირდა. მეწარმეთა რიცხვის ზრდა მრეწველობის აღმავლობის წლებშიც კი უმნიშვნელო იყო წარმოების მასშტაბის გაფართოებასთან შედარებით. მრეწველთა ერთი ნაწილი ჩამოსცილდა წარმოებას, სამაგიეროდ მათი ადგილი დაიკავა ზოგიერთმა ახლადმოსულმა საქმოსანმა. მაგრამ, ნიშანდობლივი ის არის, რომ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში წვრილ (გლეხურ) სამთო სარეწავთა რიცხვი და ხვედრითი წონა ძლიერ მცირდებოდა[16], საშუალო მრეწველთა რიცხვი და ხვედრითი მონაწილეობაც კლებულობდა. ხოლო მსხვილი სამრეწველო კაპიტალი აფართოებდა თავისი მოქმედების ასპარეზს. ეს ბუნებრივიც იყო.

---

[14] იქვე. ბელგიურ ფირმად იწოდება „რუსეთ-ბელგიის მეტალურგიული საზოგადოება", რომელიც ჭიათურის მრეწველობაში 1906 წლიდან ჩაება ფერომარგანეცის წარმოების დაფუძნების განზრახვით (იხ. Н. Николадзе, Кавказское марганцевое самоуправление. СПБ. 1910 გვ. 30).

[15] ХФЦГИАУ. ф. 834. оп. 90. л. 28—37

[16] ამ ფაქტის აღნიშვნისას ისიც უნდა შეინიშნოს, რომ წარმოებაში ამ პერიოდში კვლავ გეხვდებიან წვრილი მეწარმენი (თუმცა ნაკლებად, ვიდრე ადრე!). 1911 წლის ერთი საბუთი ვრცლად ახასიათებს ჭიათურაში მოქმედ წვრილ „არაპროფესიონალურ სამთო მრეწველთა" საქმიანობას, მიუთითებს, რომ ისინი არ არიან საბადოთა ფაქტიური მფლობელები, ან კიდევ მოიჯარადრეები, არამედ უფრო მუშებია, „მადნის შემთხვევითი მომპოვებლებია". ესენია «лица, не несущие, по свойству деятельности, какой-либо ответственности за последствия своих действий, возлагаемый законом на отполовладельцев» ისინი ისეთივე მეწარმეები, როგორიცაა «золотничники» на золотых промыслах». მათ შორის ერთ და იმავე ნაკვეთზე რამდენიმე ეწევა მადნის მოპოვებას უნებართვოდ (ЦГИАЛ, Ф. 37, оп. 72, д. 138, л. 53).

მრეწველობა განვითარების ინდუსტრიულ სტადიაზე გადავიდა. სამ-ხო გამონამუშევრების დიდ სიღრმეში შეჭრამ გაართულა საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაცია, რაც მეწარმისაგან უკვე შედარებით დიდ კაპიტალდაბანდებას მოითხოვდა და სხვ. მრეწველობის მოცემულ დარგში მომხდარ ძირფესვიან გარდატეხას კარგად ამჩნევდნენ თანამედროვენი, — შემთხვევითი როდია 1906—1909 წლების აღიარება „ახალ ხანად ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში"[17]. ახასიათებდა რა „ახალ ხანას" მარგანეცის მრეწველი ი. ვარაზაშვილი წერდა: „1905 წლიდან გაუქმდა მუშაობის ძველი წესი და დამყარდა დღიური ხელფასი და 8 საათის სამუშაო დღე. ამას გარდა გამოიცა ახალი კანონები მუშების დაზღვევის შესახებ. მოითხოვეს სამადნოების გაფართოება და გამაგრება. თვით მაღაროებიც ძალიან დიდ მანძილზეა და მუშაობა უფრო გაძნელდა. ყველა ამის მიხედვით მრეწველობის დაწყება აუცილებლად კაპიტალს, თანხას თხოულობს, რომელიც ცალკე მრეწველს ბევრს არ გააჩნია... რაც დღე მიდის, მით უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ მალე მოეღება ბოლო ძველს წესებს და ეხლანდელი წვრილი მრეწველებიც გაჰქრებიან"[18]. ეს დახასიათება ანგარიშგასაწევია, რადგან ის არსებითად სწორად მიუთითებს მრეწველობაში მომხდარ კარდინალურ გარდატეხაზე და, კერძოდ, წარმოებიდან წვრილ მრეწველთა თანდათან განდევნაზე.

ჭიათურის მრეწველობის განვითარების მოცემულ ეტაპზე უცხოური, კერძოდ, გერმანული კაპიტალი ენერგიულად მოქმედებს სამრეწველო რაიონში მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად, ხოლო ადგილობრივი კაპიტალი თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად კვლავ ცდილობს გაერთიანებების ჩამოყალიბებას, წარმოების ერთპიროვნული ფორმიდან კოლექტიურზე გადასვლას.

§ 8. ადგილობრივი სამრეწველო ბურჟუაზიის გაერთიანების ცდები

ქართველ მეწარმეთა ადრინდელი გაერთიანებანი ჭიათურაში უდღეური აღმოჩნდა. მათ შორის ყველაზე მსხვილი გაერთიანება „შავი ქვა", რომელსაც გ. ზდანოვიჩი თაოსნობდა, კრიზისს განიცდიდა: მან დაკარგა პარტნიორი (ბერლინის მანგანსინდიკატი), მეწარმეთა დიდი უმრავლესობა გავიდა საზოგადოებიდან, რომელიც თავის წევ-

---

[17] გაზ. „დროება", 1909, 21 იანვარი, № 15.

[18] „ქვე.

რთა მიერ ერთპიროვნულად მოპოვებული მადნის ადგილობრივ ბაზარზე კოლექტიურად გასაღებასაც ძლივს ახერხებდა, ხოლო უცხოურ ბაზრებზე გასვლას მხოლოდ ამაოდ ესწრაფოდა. წარმოებაში უცხოური კაპიტალის ექსპანსიისა და მადნის უცხოური საექსპორტო ფირმების მოძალების გაძლიერების შედეგად ადგილობრივი მეწარმენი 1906—1914 წლებშიც ცდილობდნენ თავის შესაძლებლობათა გაერთიანებას—მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებათა ჩამოყალიბებას. მოცემულ პერიოდში რამდენიმე გაერთიანება შეიქმნა. მათ შორის აღსანიშნავია თ. ჩაჩანიძის, ფ. დარჩიას, ჯ. აბაშიძისა და ბ. დუდუჩავას მიერ 1906 წელს ჩამოყალიბებული „მარგანეცის მრეწველთა ჭიათურის ასოციაცია"[1]. მისი მიზანია „ადგილობრივ მარგანეცის მრეწველობის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა, ასევე კავკასიის მარგანეცის ადგილობრივ ბაზარზე და, რამდენადაც შესაძლებელია, საერთაშორისო ბაზრებზე მტკიცე და მომგებიანი ფასების დაწესება და შენარჩუნება"[2]. წესდებით ასოციაციაში მიიღებოდა ყველა მრეწველი, რომლებიც სამთო უწყების ნებართვით ეწეოდნენ მადნის მოპოვებას. მის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა წევრთა საერთო კრება, ხოლო აღმასრულებელს—ბიურო, შემდგარი საერთო კრების მიერ არჩეული დირექტორის, 6 წევრისა და 4 კანდიდატისაგან. ასოციაციის ძირითადი კაპიტალი დგებოდა მის მონაწილეთა საწევრო გადასახადისაგან. გაერთიანების წევრები მოპოვებულ მადანს ასოციაციას ჭიათურის რკინიგზის შტოს სადგურებზე აბარებენ გასასაღებლად. ისინი ასოციაციას საწევრო გადასახადს უხდიდნენ მისთვის ჩაბარებული მადნის ოდენობის შესაბამისად: ყოველ 1000 ფუთში—25 კაპიკს. 1907 წელს ასოციაცია 26 წევრს ითვლიდა[3]. მათ უმრავლესობას შედარებით წვრილი მეწარმენი შეადგენდნენ. ასოციაცია ცდილობდა თავის წევრთა სამრეწველო საქმიანობისათვის ხელშეწყობას და მადნის ერთობლივი გასაღების ორგანიზაციას. ის მეცადინეობდა კრედიტორის საპოვნელად. ამ მიზნით მან რამდენიმე საკრედიტო დაწესებულებას მიმართა[4] და საამისოდ ნ. ნიკოლაძესაც სთხოვდა ჰხარდაჰერას[5]. ასოციაციამ ვერ იპოვა საიმე-

---

[1] იხ. Устав Чиатурской ассоциации марганцепромышленников, К., 1906.

[2] იქვე. გვ. 2.

[3] ХФЦГИАУ, ф. 83, д. 91, л. 7.

[4] იქვე. ფურც. 9.

[5] იხ. ვლ. ჯანიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 268; "საქ. საჯარო ბიბლიოთეკა. ნ. ნიკოლაძის არქივი. საბ. 51/21, 51/22.

დო კრედიტორი. ამის მიუხედავად, ის განაგრძობდა არსებობას და წევრთა მიერ ჩაბარებული მადნის გასაღებას ჭიათურის შტოს სადგურებზე, ზოგჯერაც ფოთში.

1909 წელს ჩამოყალიბდა ქართველ მრეწველთა გაერთიანება „მარგანეცის სამრეწველო სრული ამხანაგობა „ჭიათურა". მისი დამაარსებლები იყვნენ: ი. ვარაზაშვილი, ი. ჯაფარიძე, ი. ჩაჩანიძე, ყ. ჩაჩანიძე, ა. მოსეშვილი, ი. კაკაბაძე. წესდებით „ამხანაგობა" მიზნად ისახავდა: „წევრთა მტკიცედ შეკავშირებას მარგანეცის ოპერაციებისათვის... მადნის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ამხანაგობის საბადოებში მადნის მოპოვების საშუალებათა სრულყოფისათვის, ასევე მადნის გასაღებისა და ექსპორტის საქმის უფრო გონიერულად ორგანიზებისათვის"[6].

ამხანაგობა აერთიანებდა თავის წევრთა მთელ სამრეწველო საშუალებებს, ეწეოდა მოპოვებული მადნის ადგილზე გაყიდვას, აგრეთვე ის ექსპორტის საქმის მოგვარებასაც ცდილობდა. ამგვარად, ამხანაგობა სამრეწველო და იმავდროულად სავაჭრო გაერთიანებაა. მისი უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება, ხოლო ყოველდღიური ხელმძღვანელი — კრების მიერ არჩეული რწმუნებული, რომელიც აკომპლექტებს ამხანაგობის კანტორისა და განყოფილების შემადგენლობას. კანტორა ჭიათურაში მოეწყო, ხოლო განყოფილება — ფოთში.

ამხანაგობა არ იყო მსხვილი სამრეწველო გაერთიანება. მას თბილისის კომერციული ბანკი აკრედიტებდა[7]. ეს გაერთიანება, როგორც ჩანს, 1914 წელს ან არ არსებობდა ან უმნიშვნელო მასშტაბით ეწეოდა საქმიანობას. ამის მაჩვენებელი უნდა იყოს დასახელებული ფირმის შეუტანლობა მეწარმეთა 1914 წლის სიაში.

განსახილველი ხანის ჭიათურის მრეწველობაში ჩამოყალიბებულ გაერთიანებებს შორის თავისი მიზანდასახულობით ყველაზე სოლიდური იყო ჩვენთვის უკვე ცნობილი მრეწველის გედეონ ჩუბინიძის მიერ დაარსებული სააქციო გაერთიანება „ჭიათურის საბადოების მფლობელთა საზოგადოება"[8]. წესდების თანახმად საზოგადოება „ყალიბდებოდა „გ. ზ. ჩუბინიძის კუთვნილი და მის მიერ იჯარით აღებული მარგანეცის მადნის საბადოების საექსპლოატაციოდ, ასევე მარგანეცის მადნის შესაძენად, გადასამუშავებლად და გასასაღებლად"[9].

---

6 სსსა, ფონ. 417. ანაწ. 1. საქ. 25, ფურც. 62.

7 ЦГИАЛ, ф. 23, оп. 13, д. 140, л. 3.

8 ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 17, д. 120, 1910 г., л. 142.

9 Устав общества Чиатурских залежевладельцев, К., 1910, § 1.

დასახელებული საზოგადოების დაარსების თაობაზე ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მიერ მინისტრთა საბჭოში წარდგენილ შუამდგომლობაში ვკითხულობთ, რომ გ. ჩუბინიძე თავის „დაწესებულებას, მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონებით, ასევე კონტრაქტებით, პირობებითა და უფლება-მოვალეობებით გადასცემს სააქციო საზოგადოების მფლობელებს“[10]. საწარმოსთან ერთად გ. ზ. ჩუბინიძეს საკუთრების ან საიჯარო უფლებით ეკუთვნოდა სულ დაახლობით 164 დესეტინა საბადო ფართობი[11]. საზოგადოებას უფლება ენიჭებოდა შეეძინა ან იჯარით აეღო მარგანეცის მადნის საბადოები, ასევე მოეწყო, შეეძინა ან იჯარით აეღო (საზოგადოების მიზანდასახულობის 'ესაბამისად) სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებები, საწყობები, ბაქნები და სხვა ნაგებობანი. აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონების შეძენასთან ერთად, საზოგადოებას მთავრობის ნებართვით შეეძლო მოეწყო კერძო მოხმარების რელსებიანი გზები. ამასთანავე „საზოგადოებას თავისი ტვირთის გადასაზიდად შეიძლება გააჩნდეს საკუთარი ფლოტილია და ბარჟები, ასევე სხვა სატრანსპორტო საშუალებანი, მათ შორის რკინიგზის ვაგონები“[12]. ამრიგად, ვხედავთ, რომ „ჭიათურის საბადოების მფლობელთა სააქციო საზოგადოება“ წარმოადგენდა ფართო დანიშნულების სამრეწველო და სავაჭრო გაერთიანებას, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაცია, მისი ტექნიკურად აღჭურვა, საკუთარი, ასევე სხვისგან შეძენილი მადნის უცხოეთის ბაზრებზე გასაზიდად რკინიგზის ვაგონების, აგრეთვე ფლოტილიის შეძენა და სხვ.

საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 500 000 მანეთს შეადგენდა. ის იყოფოდა 2000 (თითო 250 მანეთის ღირებულების) სახელობით აქციად. ყოველ აქციონერს წესდების გამოქვეყნების დღიდან პირველ 6 თვეში უნდა შეეტანა 125 მანეთი, ხოლო 125 არა უგვიანეს ორი წლისა საზოგადოების მიერ მუშაობის დაწყებიდან[13]. წესდების ძალით „საზოგადოების და მისი ადმინისტრაციის შემადგენლობაში დაიშვებიან მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომნი, არაებრაული წარმოშობისა“[14].

ამგვარად, გ. ჩუბინიძის მიერ დაარსებული სააქციო საზოგადოე-

---

[10] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 17, д. 120, л. 142.

[11] იქვე.

[12] იქვე, ფურც. 142, მეორე გვერდი.

[13] იქვე, იხ. აგრეთვე устав общества ч. — залежевладельцев, § 3.

[14] იქვე.

ბა ადგილობრივ მრეწველთა გაერთიანებას წარმოადგენდა. მისი დაარსება „უმაღლესად“ დამტკიცდა 1910 წლის 8 აპრილს[15].

დასახელებულმა სააქციო საზოგადოებამ, რომელიც ამგვარ გაერთიანებათა სტანდარტული პროექტის საფუძველზე იყო ორგანიზებული (კრება, გამგეობა, სამი დირექტორი და სხვ.), მართალია, წამოიწყო საქმიანობა, მაგრამ მალე შეწყვიტა არსებობა, რადგან ადგილობრივ მრეწველთა შორის ცოტა აღმოჩნდა საზოგადოებაში შესვლის მსურველი და ამასთანავე გერმანულმა მსხვილმა სამრეწველო ფირმებმა, რომლებმაც ამ დროისათვის ჭიათურაში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი, მთელი თავისი შესაძლებლობის გამოყენებით გააჩაღეს ბრძოლა მისი მომძლავრების თავიდან ასაცილებლად.

1913 წელს შეიქმნა მრეწველთა ახალი ამხანაგობა „კავშირი“, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ი. ვარაზაშვილი, ი. კაკაბაძე და სხვ.[16], რომელმაც ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მხოლოდ წამოიწყო საქმიანობა, ისიც მცირე მასშტაბით.

ასეთი წარუმატებელი აღმოჩნდა ადგილობრივ მრეწველთა გაერთიანების ცდები ჭიათურაში 1906—1914 წლებში. მოცემულ პერიოდში რუსული სამრეწველო კაპიტალი, მეტროპოლიის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის გააქტიურებისდაკვალად, დიდ ინტერესს ამჟღავნებდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების, მათ შორის მარგანეცის საბადოთა. ათვისებისადმი.

§ 4. მეტროპოლიის შოვინისტურ-კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის დახასიათებისათვის

XX ს. დამდეგიდან, მეტადრე 1905—1907 წლების რევოლუციის შემდეგ, ცარიზმი და რუსეთის საქმიანი წრეები ახალი ძალით ცდილობენ ეპოქის განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად ჩაბმული განაპირა მხარეების, მათ შორის საქართველოსა და კავკასიის „სრულ ეკონომიურ დაპყრობასა“ და მოსახლეობის ასიმილაციას. რუსეთის ბმართველი წრეების ეკონომიური შოვინიზმი, რაც ჯერ კიდევ XIX ს. 80-იანი წლების პოლიტიკური რეაქციის ხანიდან გაძლიერდა, რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო მახინჯ ფორმებში გამოვლინდა. რუსი კაპიტალისტები, ერთი მხრივ, მეტი ენერგიუ-

---

[15] იხ. Устав общества... გვ. 1.

[16] იხ. ელ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 290.

ლობით, თუმცა ხშირად წარუმატებლად, ესწრაფვოდნენ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა ეკონომიურ ათვისებას, ხოლო, მეორე მხრივ, მთავრობისგან მოითხოვდნენ საგანგებო ზრუნვასა და უფრო ეფექტურ მოქმედებას მეტროპოლიის მიერ ამ სიმდიდრეთა საექსპლოატაციოდ. რუსეთის საქმიანი წრეების გავლენიანმა წარმომადგენლებმა XIX ს. მიწურულსა და XX ს. დამდეგს უამრავი მოხსენებაშუამდგომლობით მიმართეს მთავრობას, რომლისგანაც მოითხოვდნენ საქართველოსა და კავკასიის სრული ეკონომიური დაპყრობის დაჩქარებას — კოლონიის სიმდიდრეთა სამრეწველო ათვისების საქმეში მეტროპოლიის კაპიტალისათვის აქტიური მხარდაჭერის მეშვეობით. ამგვარი მოთხოვნების დასახასიათებლად საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ცნობილი საქმოსნისა და სპეციალისტის ნ. კოშნიცკის მიერ 1897 წელს მთავრობაში წარდგენილი მოხსენება, სადაც ვკითხულობთ: მთავრობამ ქმედითი ღონისძიებანი უნდა გაატაროს კავკასიის ასათვისებლად. „მართალია, კავკასია რუსეთის ერთ-ერთი უშორესი განაპირა ხმარეა, მაგრამ იქ მრეწველობის განვითარება დიდად სასარგებლო იქნება არა მარტო წმინდა ეკონომიური, არამედ საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. კავკასიაში, რომელიც ჩვენი ავანპოსტია ცენტრალურ აზიაში, მრეწველობის მშვიდობიანი განვითარებისა და აყვავებისათვის ხელშეწყობა უეჭველია უდიდეს სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყანას"[1]. ასეთი მისწრაფება რუსეთის საქმიან წრეებში კიდევ უფრო გაძლიერდა იმპერიაში მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის გაფართოებასთან დაკავშირებით. ამაზე გარკვევით მეტყველებს პეტერბურგელი მრეწველებისა და ფინანსისტების მრავალრიცხოვანი ჯგუფის მიერ 1908 წელს მინისტრთა საბჭოში წარდგენილი და მოწონებული მოხსენება, სადაც ხაზგასმულია კავკასიაში მთამადნეულის დაუშრეტელი წყაროების არსებობა, ასევე მხარის სიახლოვე საზღვაო გზებთან და გამოთქმულია სინანული და შეშფოთება იმის გამო, რომ ეს სიმდიდრე რუსი კაპიტალისტების უმოქმედობის გამო ხელუხლებელია.

მოხსენებაში ნათქვამია: «Все эти сокровища лежат нетронутыми в вековом Status quo ante, охраняемые косностью и непробудной спячкой русских капиталистов и предпринимателей»[2].

რუსეთის საქმიანი წრეების გავლენიანი წარმომადგენლები კოლო-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 24, д. 265, 1895—1906, л. 222.

[2] იხ. Доклад о необходимости учреждения акционерного общества для горных разведок на Кавказе, СПБ, 1908, зз. 1.

ნიის სამრეწველო აუთვისებლობითა და გაღარიბებული მოსახლეობის დაუსაქმებლობით ხსნიდნენ 1905—1907 წლების რევოლუციის სიმძლავრეს კავკასიაში და მომავალში მსგავსი ამბების განმეორებას თავიდან აცილების საშუალებად მხარის სამრეწველო ათვისებასა და ასიმილაციას მიიჩნევდნენ. მათი შეხედულებით „უკანასკნელი წლების სამწუხარო ამბები მოწმობენ, რომ კავკასია ძველებურად უცხოა და შორს დგას რუსეთისაგან, ეს მხარე არაა რუსეთთან შერწყმული და ისევე მტრულად ეკიდება ყოველგვარ რუსულს, როგორც 50 წლის წინ... გონივრული მოქმედებით შეიძლებოდა კავკასიის მოსახლეობისათვის შთაგვენერგა არა ანარქიული იდეები, არამედ სულ სხვა პრინციპები, სასურველი მიმართულება მიგვეცა მხარის ცხოვრებისათვის. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სიმშვიდე დამკვიდრდეს ამ უმდიდრეს განაპირა მხარეში, ათვისებულ იქნეს ეს სიმდიდრე, შეწყდეს ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა, ნახევრადველურები გადაიქცნენ მშვიდობიან მოქალაქეებად? პასუხი მარტივია: მიეცით მთიელებს ნიჩაბი და ძალაყინი, ამით განაიარაღებთ მათ“[3]. ამასთანავე მეტროპოლიის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა თვალსაზრისით საქართველოსა და კავკასიის ყველაზე უმდიდრეს საბადოთა ექსპლოატაცია უნდა განხორციელებულიყო სამთო სახარმოთა ინდუსტრიულად მოწყობისა და მინერალების ქარხნული დამუშავების გარეშე. პეტერბურგელი მრეწველები და ფინანსისტები შთააგონებდნენ მთავრობას, რომ აუცილებელია „მხოლოდ უმდიდრეს საბადოთა ექსპლოატაცია, ისიც მარტო უმარტივესი საწარმოო საშუალებებით, იაფად. სრულებით არაა მიზანშეწონილი მინერალების ქარხნული დამუშავება, საჭიროა ნედლეულით ვაჭრობა, მისი ექსპორტი ან რუსეთში გასაღება“[4]. მეტროპოლიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, დაჟინებით მოითხოვდნენ რა ძალთა დარაზმვას კოლონიური განაპირა მხარის გასარუსებლად, მთავრობას მოაგონებდნენ 1905—1907 წლების ბობოქარ დღეებს კავკასიაში და საგანგებოდ აფრთხილებდნენ, რომ: «Завоевать какую угодно страну силой оружия— можно, но удержать ее можно только путем ассимиляции ея с метрополией, с неменьшей, чем на войне энергией, побеждая население превосходством культуры и сковывая прочнейшие из

---

[3] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 24, д. 265, л. 320.

[4] Доклад о необходимости учреждения а-го о-ва для горных разведок на Кавказе, СПБ, 1908, зз. 2.

цепей-золотой, т. е. полной экономической связанностью с господствующей народностью»[5].

ცარიზმმა და რუსეთის ბურჟუაზიამ ხანგრძლივი და ინტენსიური მეცადინეობის მიუხედავად, ვერ მიაღწია ამ, ე. წ. „ოქროს ჯაჭვის" ბოლომდე გამოჭედვას, მხარის სრულ ეკონომიურ დაპყრობასა და ასიმილაციას. ისინი მხოლოდ ვიწროდ გაგებული კოლონიური პოლიტიკის თვალსაზრისით უდგებოდნენ საქართველოს მრეწველობას, კერძოდ, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას, რომლის ინდუსტრიულ ყაიდაზე მოწყობას მთავრობა რიგ შემთხვევებში შეგნებულად აბრკოლებდა, ჭიათურიდან მადნის დაუმუშავებლად ექსპორტირების შედარებით წამგებიანობას ანგარიშს არ უწევდა, საქართველოში ფერომარგანეცის წარმოების დაფუძნებით დაინტერესებულ ფირმებს გასაქანს არ აძლევდა მაშინ, როცა მარგანეცის მადნის მსოფლიოში ცნობილი ექსპორტიორი, რუსეთი, ფეროშენადნობთა იმპორტს განუწყვეტლივ ეწეოდა.

ცარიზმი ტრადიციული, ბარბაროსული კოლონიური მეთოდებით განაგრძობდა ჩვენი ქვეყნის ძარცვასა და ხალხის ჩაგვრას. ამაში ვლინდებოდა მეტროპოლიის შედარებითი ეკონომიური ჩამორჩენილობა, მისი ბურჟუაზიის სისუსტე. ამგვარი ვითარებით სარგებლობდა უცხოური კაპიტალი, კერძოდ, გერმანული კაპიტალი, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი ბრძოლას ჭიათურაში მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად.

§ 6. გერმანული კაპიტალის შემოჭრა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში

ა. პირველი ნაბიჯები ჭიათურაში დასამკვიდრებლად

გერმანული კაპიტალი ჭიათურაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მარგანეცის მრეწველობის გარიჟრაჟზევე გამოჩნდა, მაგრამ აქ მოქმედ ფრანგულ, აგრეთვე ინგლისურ ფირმებს მხარს ვერ უსწორებდა. ამავე დროს გერმანიის მძლავრი და მზარდი მეტალურგიული მრეწველობა, რომელიც მილიტარისტული სახელმწიფოს სამხედრო მრეწველობის გაძლიერების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა, დიდად საჭიროებდა მაღალხარისხოვანი მარგანეცის მდიდარ საბადოებს (რაც მას არ გააჩნდა). ასეთ ვითარებაში გერმანულმა კაპი-

---

[5] Доклад о необходимости учреждения а-го о-ва для горных разведок на Кавказе, გვ. 3, СПБ, 1908, გვ. 2.

ტალმა მიზნად დაისახა მეტოქე ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი) გაძევება ჭიათურის მრეწველობისა და მისი პროდუქციის ექსპორტის სფეროდან. მან სცადა მოხერხებულად გამოეყენებინა 1900—1903 წლების მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დროს აქ ინგლისური და ფრანგული ფირმების პოზიციების შესუსტება, აგრეთვე ქართველ მეწარმეთა კრიტიკული მდგომარეობა ჭიათურაში. კრიზისით შევიწროებულ ქართველ მრეწველთა გაერთიანებას „შაკი ქვა" მჭიდროდ, და თითქოს საიმედოდაც, დაუკავშირდა, ბერლინის „მანგანსინდიკატი". უკანასკნელმა, როგორც დავინახეთ, ვერ შეძლო თავისი პარტნიორის დაკაბალება-შეპყრობა. მანგანსინდიკატის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა — „ბერლინის ბანკმა"—დამოუკიდებლად დაიწყო მოქმედება ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში საკუთარი პოზიციების მოსაპოვებლად. სამთო უწყების მესვეურთა შეფასებით ბერლინის ბანკის ანუ „სააღრიცხვო საზოგადოების" მოქმედებას ამ შემთხვევაში საფუძვლად ედო იმის გათვალისწინება და შიში, რომ „ინგლისთან ურთიერთობის გართულება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა გერმანიის მეტალურგიას მარგანეცის მადნით მომარაგების მხრივ"[1].

ბერლინის „სააღრიცხვო საზოგადოების დირექცია" („Direction der Disconto Gesellschaft") და რუსეთში უკვე დაშვებული სააქციო საზოგადოება „არტურ კოპელი" ჭიათურაში დასაფუძნებლად ერთობლივ მეცადინეობას 1905 წელს შეუდგნენ. ისინი მოქმედებდნენ აზნაურ პ. კ. ნარიშკინის მეშვეობით. უკანასკნელმა მთავრობას სათანადო საბუთები წარუდგინა და სთხოვა „ჭიათურის მარგანეცის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების" დაარსების ნებართვა. დასამტკიცებლად წარდგენილი საზოგადოების წესდების პროექტით მისი ძირითადი კაპიტალი 500 ათას მანეთს შეადგენდა[2]. 1906 წლის დამდეგს პ. ნარიშკინმა მეორედ მიმართა მთავრობას და ითხოვა მისთვის ნება დაერთოთ არა ადრინდელი, არამედ ახალი სახელწოდების — „ჭიათურის მარგანეცის ადგილობრივი სატრანსპორტო გზების საზოგადოების" დაარსებაზე, რომლის ძირითადი კაპიტალი იქნებოდა 2 499 337 მანეთი[3]. დაბოლოს, იმავე 1906 წელს, ის მესამედ მიმართავს მთავრობას უფრო ფართო დანიშნულების საზოგადოების, — „მარგანეცის ელევატორებისა და მექანიკურ ნაგებობათა ჭიათურის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების" — დამტკიცების თაობაზე. სა-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 47.

[2] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 12, д. 9, 1905—1911, л. 4.

[3] იქვე, ფურც. 19—20; ЦГИАЛ, ф. 22, оп. 5, д. 249, 1905, л. 3, 73.

ზოგადოების წესდების პროექტში, რომელიც მის ძირითად კაპიტალს 3 მილიონი მანეთით განსაზღვრავს, ეკითხულობთ, რომ ფირმა არსდება: „საბადოს რელსებიანი, საესტოკადო და საჰაერო-საბაგირო გზების გასამართავად, ელევატორების, მარგანეცის მადნის გასაზიდ. საწმენდ, სარეცხ, დასახარისხებელ, საბრიკეტო და სხვ. მექანიკურ საშუალებათა მოსაწყობად"[4]. დასახელებული საზოგადოების დაარსება, „უმაღლესად" დამტკიცდა 1906 წლის 18 ოქტომბერს[5]. ამის შემდეგ პ. ნარიშკინს სურს, რომ მთავრობამ საზოგადოების მეორე დამფუძნებლად სცნოს ინჟ. ს. ი. მაკარევიჩი[6], ხოლო 1907 წლის 30 ოქტომბერს სააქციო საზოგადოების ორივე დამფუძნებელი მიმართავს მთავრობას, რომ საზოგადოების დამფუძნებლად დაემტკიცებინა ბერლინის „სააღრიცხვო საზოგადოების დირექციის" წარმომადგენელი, დოქტორი პ. რ. ფუსი, ხოლო პ. ნარიშკინი ეცნო საზოგადოების დამფუძნებელთა შემადგენლობიდან გასულად[7]. მთავრობამ ეს თხოვნა დააკმაყოფილა. 1908 წელს შედგა დასახელებული საზოგადოების პირველი საერთო კრება, რომელსაც დაესწრნენ აქციონერები: „ბერლინის სააღრიცხვო საზოგადოების" წარმომადგენელი რ. ფუსი, სააქციო საზოგადოება „არტურ კოპელის" წარმომადგენელი ბარონი გ. ვაგნერი, დოქტორი ა. სოლომონსონი, ლ. ბოტასი და სხვ., სულ 14 აქციონერი, რომელთა შორის ბერლინის „სააღრიცხვო საზოგადოებას" ეკუთვნოდა 2 238 750 მანეთის ღირებულების 11940 აქცია, ხოლო „არტურ კოპელს" — 722 812 მანეთის 3 855 აქცია[8]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოების ყველა წევრი, გარდა ერთისა (გოლუბკოვი 6 აქციით), გერმანელები იყვნენ. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება „არტურ კოპელისა" და ს. მაკარევიჩის მიერ ჭიათურაში ნაგებობათა გასამართავად სხვადასხვა პირისაგან იჯარით აღებული მიწების, შეძენილი საბადოების მიღების, აგრეთვე ადრინდელ მფლობელთა უფლება-მოვალეობის თავის-თავზე აღების შესახებ. ყოველივე ამისათვის საზოგადოებას უნდა გადაეხადა 238 ათასი მანეთი. საზოგადოების კრების გადაწყვეტილებით შეძენილ იქნა გზების, ელევატორებისა და მექანიკურ მოწყობილობათა და საჰაერო-საბაგირო გზების გამართვის პროექტები—165 000 მანეთად, ხოლო მოცემული გეგმის მიხედვით ნაგებობისა და გზების მშენებლობა დაეკისრა საზოგადოება „არტურ კოპელს"—2 915 ათას მანეთად. კრებამ განიხილა, ერ-

---

[4] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 1369, 1906 г., л. 1—11.
[5] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 12, д. 9, 1905—1911 гг., л. 94.
[6] იქვე, ფურც. 93.
[7] იქვე, ფურც. 122.
[8] იქვე, ფურც. 134.

თი მხრივ, „სააღრიცხვო-საზოგადოების“ დირექციასა და „არტურ კოპელს“, ხოლო, მეორე მხრივ, „ფრანკფურტის რკინის მადნის საზოგადოებას“ შორის დადებული წინასწარი შეთანხმება, რომლის მიხედვით უკანასკნელმა თავს იდო ჭიათურიდან გაზიდული მადნის რეალიზაცია. კრებამ კონტრაგენტთან დამატებითი შეთანხმებების გაფორმება დააკისრა საზოგადოების მომავალ გამგეობას. მან აირჩია გამგეობა, რომლის მუშაობა უნდა წარემართა ხუთ განმკარგულებელ დირექტორს[9].

დასახელებულმა საზოგადოებამ 1908 წლის ოქტომბერში მთავრობას წარუდგინა მოწმობა სახელმწიფო ბანკის პეტერბურგის კანტორაში პირველი შესატანის 1 მილიონ 200 ათასი მანეთის ჩარიცხვის შესახებ. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. საზოგადოება ჯერ კიდევ 1907 წელს შეუდგა სამზადისს ჭიათურაში საქმიანობის გასაშლელად. მას იმთავითვე დაუპირისპირა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობა. ყრილობა წუხდა, რომ საზოგადოება, რომელიც საერთო სარგებლობის ადგილობრივ სატრანსპორტო გზებს აკეთებდა და მართავდა, საბადოდან რკინიგზის შტომდე ფუთი მადნის გადაზიდვაზე 4-კაპიკიან ტარიფს აწესებდა. ეს მაშინ, როცა საურმე გზით მადნის გადაზიდვა ნაკლები ჯდებოდა. ყრილობა ამასთანავე ამტკიცებდა: «Общество, будучи монополистом дела и пользуясь назначить плату... до указанного предела, несомненно, будет держать промышленников в полной зависимости и на долю последних останется столь же малые барыши»[10]. გერმანული სააქციო საზოგადოების დაშვების წინააღმდეგ მთავრობის წინაშე საჩივარი აღძრა აგრეთვე გ. დ. წერეთელმა. მან ჯერ კიდევ 1898 წელს აიღო ნება სამრეწველო რაიონში ვიწროლიანდაგია-

---

[9] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 12, д. 9, 1905—1911 гг., л. 137.

[10] იქვე, ЦГИАЛ, ф. 1157, оп. 1, д. 1, л. 1—8.; ამგვარ შიშს იზიარებდა მიწათმოქმედების მინისტრი, რომლის აზრით, სააქციო საზოგადოება გზების გამართვის შემთხვევაში უთუოდ შეავიწროებდა მარგანეცის მრეწველებს «...в пользовании существующими промысловыми и грунтовыми путями и явилось бы таким образом, монопольным перевозчиком марганцевой руды, склонным по возможности повысить тариф» (ЦГИАЛ. ф. 22, оп. 5, д. 242, 1905. г. л. 10). სახელმწიფო კონტროლიორი ასევე დაასკვნიდა. «В силу тех прав, которые предоставляются названному обществу, последнее окажется монопольным хозяином марганцевой промышленности... Общество,—განაგრძობს ის,—обладая усовершенствованными средствами промывки, сортировки, брикетирования, хранения и доставки руды на Чиатурскую ветвь Закавказской магистрали, очевидно, сосредоточит в своих руках все дело по добыче и сбыту Шорапанского марганца (ЦГИАЛ, ф. 95, оп. 18, д. 1010, л. 30, об.).

ნი გზების გაყვანისა. კონცესიის თანახმად მას ეს გზები თავის ხარჯზე, მთავრობის მხრივ სესხისა და შეღავათების მიცემის გარეშე უნდა გაეყვანა. მთავრობა კონცენსიონერს უნდა დახმარებოდა მხოლოდ გზების გასაყვანად აუცილებელი კერძო მიწების იძულებით გასხვისებაში[11]. კონცესიის ვადად 81 წელი დაწესდა. ამ ვადის გასვლის შემდეგ გ. წერეთლის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები, მოძრავ შემადგენლობასა და სხვა მოწყობილობასთან ერთად, უსასყიდლოდ გადაეცემოდა ხაზინას. გზების მშენებლობის პროექტის შემუშავების შემდეგ კონცესიონერი მოვალე იყო სამ წელიწადში გაეყვანა 1) ვიწროლიანდაგიანი გზა წირქვალიდან სადგ. ჭიათურამდე (27 ვერსზე). 2) პერევისიდან (შუქრუთისა და ითხვისის გავლით) სადგ. ჭიათურამდე (15 ვერსზე), ხოლო 3) პერევისიდან (ადგ. ჭალას გავლით) საჩხერის სადგურამდე (18 ვერსზე) ხაზინის მიერ ჭიათურიდან საჩხერემდე რკინიგზის გაყვანის დამთავრების დროისათვის, ანუ 1904 წლის 1 იანვრისათვის[12].

გ. წერეთელმა მოცემულ ვადებში მშენებლობა ვერ განახორციელა, თუმცა მასზე ზრუნვას განაგრძობდა. ამიტომ თუ „მარგანეცის ელევატორებისა და ნაგებობათა ჭიათურის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება“ თავის განზრახვას განახორციელებდა და საბადოებიდან რკინიგზის ჭიათურის შტოს სადგურებამდე ტექნიკურად სრულყოფილ სატრანსპორტო საშუალებებს (საჰაერო-საბაგირო, ვიწროლიანდაგიანი გზები და ბრემსბერგი) გამართავდა, გ. წერეთლის წამოწყება ყოველგვარ მნიშვნელობას დაკარგავდა. ასეთ ვითარებაში გ. წერეთელმა, ასევე მრეწველთა ყრილობის საბჭომ მთავრობას სთხოვა დასახელებული გერმანული ფირმა არ დაეშვა ჭიათურის სამრეწველო რაიონში[13]. თავის მხრივ გერმანულმა სააქციო საზოგადოებამაც აღძრა საქმე გ. წერეთლისათვის ადრე მიცემული კონცესიის გაუქმების შესახებ. საზოგადოება მთავრობის ორგანოებში წარდგენილ შუამდგომლობაში აღნიშნავდა: 1. მის მიერ წამოწყებული საქმე უკვე განხორციელების პროცესშია და საამისოდ მნიშვნელოვანი კაპიტალი უკვე დაბანდებულია; 2. დასახული მიზნისათვის მას არ სჭირდება მთავრობის უშუალო დახმარება (სუფსიდია, მთავრობის გარანტია, მიწების იძულებითი გასხვისების უფლების მინიჭება და სხვ.); 3. მის მიერ დაგეგმილი ღონისძიების კანხორციელების შემთხვევაში თავად გ. წერეთლის მიერ აღებული კონცესია, რასაც ის ისედაც ვერ განახორ-

---

[11] ЦГИАЛ, ф. 18, д. 1276, оп, 19, д. 87, л. 63.

[12] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 12, д. 9, л. 162, 262.

[13] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 63—73; ЦГИАЛ, оп. 65, д. 1369, л. 63—64.

ციელებს, ზედმეტია. დაბოლოს საზოგადოება სთხოვდა მთავრობას ქალაში დაეტოვებინა მისთვის უკვე „უმაღლესად“ მინიჭებული უფლება, ხოლო გ. წერეთლის შუამდგომლობა არ დაეკმაყოფილებინა[14]. ჭიათურის სამრეწველო რაიონის ფარგლებში მადნის სატრანსპორტო საშუალებათა გამართვის პრეტენდენტთა შუამდგომლობის განხილვა მთავრობის ორგანოებში (ვაჭრობისა და მრეწველობისა, ფინანსთა, გზათა სამინისტროებში, მინისტრთა საბჭოში) გახანგრძლივდა (1907—1909 წწ.).[15] დაბოლოს, მთავრობამ გაითვალისწინა ის, რომ გ. წერეთელს „ჩრდილოეთის ბანკი“ პირდებოდა კრედიტს და თან მას მხარს უჭერდა მარგანეცის მრეწველთა ყრილობა. ამიტომ მან სამრეწველო რაიონში საერთო მოხმარების სატრანსპორტო საშუალებათა მოწყობისა და ექსპლოატაციის უფლება კვლავაც გ. წერეთელს მიანიჭა[16], ხოლო გერმანულ სააქციო საზოგადოებას — მარტო საკუთარი სარგებლობის სატრანსპორტო გზების მშენებლობის უფლება. უკანასკნელმა გამოსავალი იპოვა: გადაწყვიტა სიმძიმის ცენტრის გადატანა უშუალოდ საბადოთა აღება-ექსპლოატაციაზე და ამასთანავე მიზნად დაისახა საჰაერო-საბაგირო გზის გაყვანა (თავისი საბადოებიდან) წირქვალიდან სად. ყვირილამდე (ზესტაფონამდე), სადაც სურდა გაემართა მარგანეცის მადნის საწმენდი, დამხარისხებელი და სარეცხი ქარხანა[17]. გერმანულმა სააქციო საზოგადოებამ იმთავითვე დაიწყო საამისოდ სამზადისი, მაგრამ აქაც ორგვარმა სიძნელემ იჩინა თავი: ჯერ ერთი, საზოგადოების „უმაღლესად დამტკიცებულ“ წესდებაში წირქვალიდან ყვირილამდე საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა არ იყო გათვალისწინებული, მეორეც, მას კვლავ წინ აღუდგა კონცესიონერი გ. წერეთელი, რომელსაც მიაჩნდა, რომ დასახელებული გზის გაყვანის შემთხვევაში სააქციო საზოგადოება მას კონკურენციას გაუწევდა და სხვადასხვა მრეწველთა ტვირთის მალულად გადაზიდვასაც დაიწყებდა, რითაც წლიურად საშუალოდ 15 მილიონ ფუთ გადასაზიდ მადანს ჩამოაშორებდა კონცესიით გამართულ ვიწროლი-

---

[14] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 12, д. 9, л. 135.

[15] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 63—73; ЦГИАЛ, ф. 23, оп. 12, д. 9, л. 100— 150.

[16] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 12, д. 9, л. 156; ф. 95, оп. 18, д. 1010, л. 5—39; ф. 37, оп. 65, д. 1363, л. 13.

[17] ი ბ ე ვ ე, ფურც. 193—195.

ანდაგიან რკინიგზას[18]. მეფისნაცვალი კავკასიაში თავდაპირველად მხარს უჭერდა გერმანულ ფირმას, რადგან მიაჩნდა, რომ უკანასკნელი ტექნიკურად სრულყოფილი გზებისა და ქარხნების მშენებლობით ხელს შეუწყობდა მრეწველობის მოცემული დარგის დაწინაურებას[19].

მაგრამ, პეტერბურგში, კერძოდ, გზათა სამინისტროში მალე მიხვდნენ, რომ გერმანული ფირმა, წირქვალიდან ყვირილამდე საჰაერო-საბაგირო გზის გამართვისა და ექსპლოატაციისას 15 მილიონ ფუთ ტვირთს ჩამოაშორებდა არა მარტო კონცესიონერ გ. წერეთლის და მრეწველთა ყრილობის მიერ დაპროექტებულ ადგილობრივ სატრანსპორტო გზებს, არამედ ჭიათურის სახაზინო რკინიგზასაც[20]. ამიტომ, მთავრობამ გერმანულ ფირმას უარი უთხრა წირქვალი-ყვირილას საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობაზე და ნება მისცა ასეთი გზა გაეკეთებინა წირქვალიდან ჭიათურის რკინიგზის შტოს სადგურამდე. ამაზე გერმანულმა ფირმამ უპასუხა, რომ მისთვის სადგური ყვირილა უფრო მოხერხებულია, ვიდრე სადგური ჭიათურა, რადგან იქ შედარებით ოოლია და იაფი ჯდება დამხმარე მასალების (ქვანახშირი, ნავთი, ინსტრუმენტები და სხვ.) და მანქანების მიზიდვა, რომ წირქვალსა და ყვირილას შორის დასახელებული გზის გასაყვანად საჭირო მიწის ნაკვეთები უკვე შეიძინა და მას განზრახული აქვს სად. ყვირილას მახლობლად სხვადასხვა მოწყობილობისა და ქარხნის გამართვა-აგება და ამიტომ არ შეუძლია საბადოებში მოპოვებული მადანი მიზიდოს: 1. ჯერ ჭიათურის შტომდე; 2. შემდეგ იქვე მადანი დატვირთოს და გადაზიდოს ჭიათურის შტოზე სადგურ შორაპნამდე; 3. აქ მადანი გადმოტვირთოს და გადაზიდოს სადგ. ყვირილამდე: 4. სადგურზე გადმოტვირთოს და ასაშენებლად გათვალისწინებულ ქარხნებში მიიტანოს, რომ აქედან მადანი კვლავ მიიტანოს სადგურში დანიშნულებისამებრ გასაგზავნად.

ფირმის ხელმძღვანელები წერდნენ: „ყველა ამ რთული ოპერაციების ნაცვლად საზოგადოებას განზრახული აქვს ჭიათურაში მოპოვებული მადანი გაზიდოს კერძო მოხმარების საჰაერო-საბაგირო გზით უშუალოდ თავის ქარხნებში. ამ გზის გამართვას წინ ვერავინ აღუდგება, რადგან საზოგადოებას ვერავინ აუკრძალავდა მადნის ურმებით გადაზიდვას, რომ მას ეს მოესურვებია“[21].

---

[18] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 12. д. 9, л. 143.

[19] იქვე, ფურც. 193—195.

[20] იქვე, ფურც. 200.

[21] იქვე, ფურც. 160, მეორე გვერდი.

მთავრობამ გაითვალისწინა, რომ წირქვალ-ყვირილას საბაგირო გზის სახით ჭიათურის სახაზინო რკინიგზას სერიოზული კონკურენტი უჩნდებოდა და ამიტომ მისი მშენებლობის ნებართვაზე უარი უთხრა გერმანულ სააქციო საზოგადოებას, რომელმაც უამპირობოდ მუშაობის გაგრძელება არ ისურვა და 1911 წლის 15 ნოემბერს შეწყვიტა არსებობა[22]. დასახელებული სააქციო საზოგადოების ფაქტიური ბატონ-პატრონი, ერთი შეხედვით, იოლად წავიდა საზოგადოების ლიკვიდაციაზე, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არა იმიტომ, რომ მან ხელი აიღო ამ საქმეზე, არამედ იმიტომ, რომ 1909 წელს (და იქნებ უფრო ადრეც) ის გახდა ჭიათურაში ოპერაციების საწარმოებლად დაშვებული მძლავრი გერმანული ფირმის „გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების" ერთ-ერთი მთავარი აქციონერი[23].

ბ. „გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების" („Celsencirchener Bergwerks Aktion-Gasellschaft")

საქმიანობა ჭიათურაში

ბერლინის ერთ-ერთი უძლიერესი ბანკის (Disconto — Gesellschaft) თაოსნობით ჩამოყალიბებული და „უმაღლესად" დამტკიცებული სააქციო გაერთიანების „მარგანეცის ელევატორებისა და მექანიკურ ნაგებობათა ჭიათურის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების" ლიკვიდაცია, როგორც აღვნიშნეთ, არ მოასწავებდა გერმანული კაპიტალის ექსპანსიის შესუსტებას ჭიათურის სამრეწველო რაიონში. პირიქით, ჭიათურაში გერმანული კაპიტალის პოზიციებს ქმნიდნენ, აფართოებდნენ და განამტკიცებდნენ მძლავრი ფირმები: „გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო სააქციო საზოგადოება". „სამთომრეწველთა საზოგადოება დოიჩერ კაიზერი" და „კავკასიის საბადოთა ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობით". თვალი გავადევნოთ მათ მოქმედებას ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად.

ჩვენ მიერ გამოვლინებული საარქივო საბუთები მკაფიოდ მეტყველებს, რომ „გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო სააქციო საზოგა-

---

[22] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 12, д. 9, л. 200.

[23] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, 1914—1915, л. 7.

დოებამ“ (ქვემოთ დავასახელებთ შემოკლებით „გელზენკირხენი“) რუსეთის მთავრობის მიერ ჭიათურაში ოპერაციების საწარმოებლად დაშვებამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო შენიღბულად და ეფექტურად მოქმედება: მან, 1903—1909 წლებში, ჭიათურის მრეწველობაში ჩაბმული გერმანელი საქმოსნის ო. გილერტის მეშვეობით შეიძინა 76 დესეტინაზე მეტი საბადო ადგილები ითხვისსა და მღვიმევში, რაშიც გადაიხადა 596 000 მარკა, ანუ მაშინდელი კურსით 229 648 მანეთი[1]. ამის შემდეგ „გელზენკირხენმა“ მიმართა რუსეთის მთავრობას, რომელმაც ის „უმაღლესი“ ნებართვით, 1909 წლის 23 იანვარს, დაუშვა ჭიათურაში სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის გასაშლელად. ამასთან დაკავშირებით რუსეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ვკითხულობთ: სააქციო საზოგადოება „გელზენკირხენი“ „დაშვებულია სამთო მექარხნეთა და საბადოთა მფლობელთა შალკეს კავშირის“ გერმანული სააქციო საზოგადოების კუთვნილი საწარმოების შესაძენად და ექსპლოატაციის გასაგრძელებლად. შორაპნის მაზრაში... მარგანეცის მადნის და სხვა მეტალების (გარდა ოქროს, პლატინისა და ვერცხლისა) საბადოების საექსპლოატაციოდ სხვა ადგილებში“[2].

„გელზენკირხენი“ რუსეთში ოპერაციების საწარმოებლად ნებართვის აღებისას ჩვეულებრივი სიმძლავრის ფირმად წარუდგა რუსეთის მთავრობას, სინამდვილეში კი თავისი პოტენციური შესაძლებლობითა და ჭიათურაში გაშლილი საქმიანობის მასშტაბით უძლიერესი იყო რევოლუციამდელ ხანაში აქ მოქმედ ყველა, ადგილობრივ და უცხოურ ფირმებს შორის. ამაზე წარმოდგენას იძლევა დასახელებული ფირმის აქციონერთა სიაზე დაკვირვება. სააქციო საზოგადოება „გელზენკირხენის“ 68 აქციონერიდან დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს, მათ შორის გერმანიის ფინანსური და სამრეწველო კაპიტალის მაგნატებს, რომელთა შორის აქციები და ხმები ასე იყო განაწილებული:

---

[1] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, 1914—1917, л. 282.

[2] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, 1914—1915, л. 46; ф. 23, оп. 28, д. 514, л. 259 об.

აქციონერი	აქციონერის ადგილსამყოფელი	შეძენილი აქციების ღირებ. (მარკებში)	ხმების რიოდენობა
ადოლფ კირდოფი	აახენი	6 037 800	60 378
გერმანული ბანკი	ბერლინი	25 48 600	254 826
სააღრიცხვო ბანკის დირექცია		18 799 800	187 998
დრეზდენის ბანკი	„	9 216 000	92 160
სავაჭრო-სამრეწველო ბანკი	„	4 645 000	46 458
ეშვაილერის ბანკი	ეშვაილერი	386 400	3 864
გერმანიის ეროვნული ბანკი	ბერლინი	690 000	6 900
შაფჰაუზენის საბანკო კავშირი	„	4 526 400	45 264
საერთაშორისო ბანკი	ლუქსემბურგი	623 400	6 234
ბარონი ალფრედ ანციონი	ლიუტიჰი	1 222 800	12 228
ფაბრიკის მეპატრონე ჰ. გრინბერგი	ბოჰუმი	3 079 800	30 798
მორიც მაგერი	ნამური	1 299 000	12 990
ა. შოელერი	დიურენი	1 623 600	16 236
გუგო სტინესი	მიულჰაიმი-რური	98 400	984
პაულ პიდბეფი	დიუსელდორფი	2 060 400	20 604
ერნესტ კრამერი	დუისბურგი	1 000 200	10 032
გრაფი ჟიულ ანციონი	ლიუტიჰი	142 800	1 428
დოქტორი გ. გოეში	დიურენი	1 055 400	10 554
ქ-ნი დორზე	ბრიუსელი	12 000	120
ემილ კირდორფი	მიულჰაიმი-რური	150 000	1 500
ე. გენროი	სიმაგრე გერტ	295 000	2 952
ფ. შულენბერგი	ვისბადენი	44 400	444
ჩ. სიმონსი	ლუქსემბურგი	39 600	396
ს. ოპენგეიმი, უმცრ. და კომპ.	კელნი	2 264 400	22 644
ბ. სიმონსი და კომპ.	დიუსელდორფი	1 000 800	10 008
ვ. ერდმანი	გელზენკირხენი	39 600	396
დეიხმანი და კომპ.	კელნი	546 000	5 460
ვინერი, ლეეი და კომპ.	ბერლინი	1 206 600	12 066
კ. ენგელსი	დიუსელდორფი	62 400	624

„გელზენკირხენის“ სააქციო გაერთიანების წევრებიდან აქ ჩამოთვლილია მხოლოდ ის საბანკო, აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო ფირმები და პერსონები, რომელთა დიდმა ნაწილმა საზოგადოების ერთი თაობის სიცოცხლეში ორჯერ არსებითად გადამწყვეტი როლი შეასრულა (ჯერ კაიზერული, მერე ჰიტლერული) გერმანიის შეიარაღებასა და საერთო მომზადებაში პირველი და მეორე მსოფლიო ომებისათვის; ხოლო ზოგიერთი მათგანი ამჟამადაც მონაწილეობს გერმა-

[3] აქციონერთა სრული სია, ასევე საზოგადოების გამგეობისა და გენერალურ, აგრეთვე, რიგით დირექტორთა სია იხ. ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 7—12.

ნიის ფედერაციული რესპუბლიკის რემილიტარიზაციასა და რევანშისტული ომისათვის მომზადებაში. საგულისხმოა ისიც, რომ არაერთი შედარებით ანგარიშგასაწევი წყაროს მოწმობით „გელზენკირხენის“ აქციონერი იყო თვითონ გერმანიის კაიზერი ვილჰელმი[4]. ამის გამო რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრო, 1914 წლის 24 ოქტომბერს, აცნობებდა ი. ლ. გორემიკინს: „გელზენკირხენის ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერია გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი“[5]. ხოლო რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო იმავე წლის 27 ოქტომბერს ირწმუნებოდა, რომ „ცნობები გელზენკირხენის ოპერაციებში გერმანიის იმპერატორის მონაწილეობის შესახებ სამთო დეპარტამენტს გააჩნდა საომარი მოქმედების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე“[6]. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი 1915 წლის 2 ივნისს თბილისიდან დეპეშით ასევე ატყობინებდა ფინანსთა მინისტრს: „ორსებული კერძო ცნობებით გელზენკირხენის მთავარი აქციონერია გერმანიის იმპერატორი. რომლის აქციები შეტანილია საზოგადოების ყოფილი დირექტორის ტისსენის სახელზე“[7].

კაიზერთან დაახლოებული მსხვილი მაგნატი ტისსენი 1912 წლიდან იყო, „გელზენკირხენის“ ერთ-ერთი განმკარგულებელი დირექტორი, თუმცა ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე ცნობა მის მიერ შესყიდულ აქციათა და, მაშასადამე, მის სახელზე კაიზერის მიერ შეღებულ აქციათა ოდენობაზე.

საზოგადოების აქციონერები იყვნენ: ბანკები და ბანკირები, ქარხნები და მექარხნეები, რანტიენი, მრეწველები და ვაჭრები, სახელმწიფო აპარატის უმაღლესი რანგის მოხელენი და გენერლები, გერმანიის თითქმის ყველა მსხვილი სამრეწველო რაიონისა და ქალაქის უმდიდრესი საქმოსნები, აგრეთვე ბელგიელი და ლუქსემბურგელი მაგნატები[8]. საზოგადოების აქციების წარდგენა შეიძლებოდა მის მთავარ სალაროში („რაინ ელბა“), ბერლინის, ბრემენის, კელნის, დიუსელდორფის, ესენის-რურის, მაინის-ფრანკფურტის, ჰამბურგის, ჰანოვერის, ლაიპციგის, მიულჰაიმის, ბრიუსელის, ლუტიჰის და ლუქსემბურგის ბანკებში.

„გელზენკირხენის“ მიერ 1909 წელს გაცემულ აქციათა საერთო

---

[4] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 20; ф. 1276, оп. 19 д. 1221, л. 18; ф. 23, оп. 28, д. 514, л. 38.

[5] ЦГИАЛ, 23, оп. 14, д. 507, л. 20.

[6] იქვე, ფურც. 22.

[7] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 38.

[8] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 7, об. 10.

ღირებულება შეადგენდა 94 077 000 მარკას,[9] ანუ 54 108 400 მანეთს[10], ხოლო აქციონერთა ხმების საერთო რაოდენობა 940 770. ფირმას 1909 წელს გააჩნდა გამგეობა (28 წევრით), ჰყავდა ორი გენერალური დირექტორი (ე. კირდორფი და პ. რანდერბრიკი) და ექვსი დირექტორი (ფ. ფუნკე, ე. კლეინე, რ. ზეიდელი, ლ. რაშე, გ. გელინგი, გ. რუსელი).

„გელზენკირხენის" მთელი კაპიტალი. რომელიც მარტო რუსეთისათვის არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, იზრდებოდა და 1914 წელს 117 627 000 მარკა შეადგინა[11]. ჰიათურის მარგანეცის მრეწველობაში თავისი ექსპანსიის რამდენადმე შესანიღბავად და ამით რუსეთის მთავრობის შესაფერისი ორგანოების სიფრთხილის მოსადუნებლად, გერმანულმა სააქციო საზოგადოებამ თავისი წესდებით ჰიათურაში ოპერაციებისათვის განკუთვნილი ძირითადი კაპიტალი განსაზღვრა მხოლოდ 255 000 მარკის, ანუ დაახლოებით 118 065 მანეთის რაოდენობით[12]. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როცა „ანტანტისა" და „ცენტრალური სახელმწიფოების" ბლოკებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა, მეფის მთავრობამ ბუნებრივია, გადაწყვიტა რუსეთის წინააღმდეგ მეომარი ქვეყნების ფირმების საქმიანობის აღკვეთა იმპერიაში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლონდონიდან ჯერ კიდევ 1914 წლის 3 დეკემბერს მიიღო დასმენა, სადაც ნათქვამია: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ცნობის მონაცემები, თუკი ისინი უცნობია თქვენი აღმატებულებისათვის, სასარგებლო იქნებოდა, რადგან რუსეთში მოქმედი გერმანული ფირმების კუთვნილი კაპიტალის ბედის განსაზღვრისას გაითვალისწინებთ, რომ გელზენკირხენის კომპანია არის ძალზე მსხვილი სამრეწველო დაწესებულება და ამ მხრივ ის საგანგებო ინტერესს იმსახურებს. ფირმას ყავს მსხვილი კონტრაგენტები, რომლებთანაც 10—12 წლითაა დაკავშირებული. კონტრაგენტთა ურთიერთობა დროებით შეწყვეტილია საომარი ოპერაციების მიმდინარეობის პერიოდში"[13]. ჰიათურაში მოქმედი გერმანული ფირმების სალიკვიდაციოდაც შეიქმნა საგანგებო კომისია ანუ „განსაკუთრებული სალიკვიდაციო სამმართველო" („Особое управление для ликвидации «Гельзенкирхенского горнопромышленного общества» и «Кавказского руд-

---

[9] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 12, об. 13. 10.

[10] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28. д. 514, л. 75.

[11] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 507, л. 7 10. 11—12. 46.

[12] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 260.

[13] ЦГИАЛ, ф. 23. оп. 28. д. 510. л. 3. об.

ничного товарищества»)[14]. მან ადგილზევე საფუძვლიანად შეისწავლა ჭიათურაში მოქმედი გერმანული ფირმების მთელი საქმიანობა, რამაც ცხადყო, რომ აქ „გელზენკირხენს", როგორც ქვემოთ დავინახავთ, სულ მცირე 25—30-ჯერ მეტი კაპიტალი ჰქონდა დაბანდებული, ვიდრე ამას მის მიერ წარდგენილი და „უმაღლესად" დამტკიცებული წესდება ითვალისწინებდა. ეს 1914 წელს უკვე იცოდა რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ, რომელსაც აცნობეს: «Хотя для операции в России из общего капиталла достигающего 117 600 000 марок отделено лишь 255 000 марок, однако, общество работало, очевидно, и за счет заграничных средств»[15].

---

[14] ეს „სამმართველო" შეიქმნა რუსეთის მინისტრთა საბჭოს 1916 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით და მის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა კავკასიის სამეფისნაცვლოსა და რუსეთის იმპერიის შესაფერის სამინისტროთა წარმომადგენლები. „სამმართველოში" შედიოდნენ: მეფისნაცვლის საბჭოს წევრი ი. ნ. პროტასიევი (თავმჯდომარე), კავკასიის სამეფისნაცვლოდან — ბ. დ. კოვალენსკი, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსაგან, კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსი ი. ეკი, ფინანსთა სამინისტროსაგან — ქუთაისის სახაზინო პალატის მმართველი ა. ს. სობრიევსკი, იუსტიციის სამინისტროსაგან — ქუთაისის საოკრუგო სასამართლოს წევრი, თავადი ს. გ. მიქელაძე. მიწათმოქმედების სამინისტროსაგან — მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის სამმართველოს უფროსი ი. კ. მულინი, სახელმწიფო კონტროლიდან — თბილისის სახაზინო პალატის უფროსი რევიზორი ი. ა. გრიგორიანცი (ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 60). მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა გერმანული ფირმების ლიკვიდაციის „წესები" (правила), რაც გადაეცა „სამმართველოს" სახელმძღვანელოდ (იქვე, ფ. 20—21). პრესაში გამოქვეყნდა განცხადება, სადაც ვკითხულობთ «Согласно упомянутым правилам, на особое управление возлагается хозяйственное заведывание последними впредь до их продажи, составление описи и оценки, публикация о продаже, собирание сведений о желающих приобрести их, а равно приведение в исполнение решения Совета Министров о продаже предприятий, каковое воспоследует по рассмотрении Советом Министров всех данных, собранных особым управлением по ликвидации и заключения Наместника по сему делу» (იქვე, ფურც. 71). აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ შემუშავებული „წესების" მიხედვით სალიკვიდაციო ფირმების უძრავ-მოძრავი ქონების შეფასება უნდა მომხდარიყო ამ ქონების თვითღირებულების მიხედვით: «Не по действительной цене, а по себестоимости» (იხ. ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 279 об—291), რომ ამით თავიდან ყოფილიყო აცილებული „გაზვიადებული შეფასება" (ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 43, об). სალიკვიდაციო სამმართველო ჭიათურაში მუშაობას შეუდგა 1916 წლის 7 ივნისს, 1917 წლის 2 თებერვალს მან დაამთავრა ორივე გერმანული ფირმის უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა-შეფასება და მთელი ამ ქონების მიღება საკუთარ გამგებლობაში (ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л, 201—202), ხოლო 1917 წლის 26 მარტს პრესაში გამოქვეყნდა „სამმართველოს" განცხადება ფირმების ქონების გაყიდვის თაობაზე (იქვე, ფურც. 228).

[15] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 46.

იმავე 1914 წლის 3 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლონდონიდან მიიღო დამატებითი დასმენა იმის შესახებ, რომ „გელზენკირხენს" კავკასიაში ოპერაციებისათვის დიდძალი კაპიტალი აქვს ასიგნებული, რომ ამ კომპანიის კაპიტალი 9 000 000 შეადგენს და კრუპის ფირმის კაპიტალს უტოლდება. კომპანია ნედლეულით ამარაგებს კრუპის ფირმას". მართლაც, საარქივო საბუთებიდან აშკარაა, რომ „გელზენკირხენი" ჩვენებურ მადანს ეზიდებოდა არა საერთაშორისო ბაზრებზე, არამედ უშუალოდ გერმანიაში. რუსეთის მთავრობის ხელთ არსებული სხვადასხვა ცნობითაც ირკვევა, რომ „გელზენკირხენს" „ძარგანეცის მადანი ეჭირონდა გერმანიაში კრუპის ქარხნებისათვის"[16]. 1914 წლის დეკემბერში რუსეთის მთავრობამ ჭიათურიდანაც მიიღო შედარებით სარწმუნო ცნობა, რომ გერმანული ფირმები ეზიდებიან მადანს გერმანიის სამხედრო ქარხნებისათვის, მათ ‘ორის კრუპის ქარხნებისათვის, რომლებიც ამზადებენ ფოლადს, ქვემეხებს, ტყვიამფრქვეევებს, ჯავშანს და სხვა სამხედრო შეიარაღებას[17]. ძრავალი სხვა ცხობაც მეტყველებს, რომ „გელზენკირხენი" ამ მხრივ იყო გერმანიის მეტალურგიული მრეწველობის მთავარი მომმარაგებელი[18]. ახასიათებდა რა ჩვენთვის უკვე ცნობილი ორი გერმანული ფირმის მიერ ჭიათურაში გაჩაღებულ საქმიანობასა და მის შედეგებს, მეფისნაცვალი (კავკასიაში) აღნიშნავდა, რომ თუ ჩვენებური მადნის ექსპორტი გერმანიაში 1905 წელს შეადგენდა 5,8%, საბაგიეროდ გერმანულმა ფირმებმა ის 1914 წელს გაზარდეს 35,4%-მდე. მეფისნაცვალი პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებაში დასძენდა: „გერმანული ფირმები ერთდროულად ეწეოდნენ მარგანეცის მოპოვებას და გაზიდვას. ისინი იყვნენ გერმანიის უმსხვილესი რკინისმკეთებელი ქარხნების წარმომადგენლები და მიზნად ისახავდნენ იაფად შეძენილი მადნის ექსპორტს არა მსოფლიო ბაზარზე, არამედ თავისი ქარხნებისათვის"[19].

გერმანულ ფირმას ჩვენში საქმე ასე ჰქონდა ორგანიზებული: მისი პასუხისმგებელი აგენტი და მთავარი ადმინისტრაცია ჭიათურაში იყო მოკალათებული, ფირმას ადმინისტრაცია გააჩნდა ფოთშიც, ანტორები ჰქონდა გახსნილი რგანში, მღვიმევში, ითხვისში, პერევისაში; ჭიათურაშივე იყო თავმოყრილი საზოგადოების მიერ რუსეთში წარმოებული ოპერაციების ანგარიშსწორება, ხოლო ფოთში — გერმანიაში

---

[16] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 46.
[17] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 30 об.
[18] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 46.
[19] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 1221, л. 26.

გასაზიდი მადნის გემებზე დატვირთვისა და აღრიცხვის ორგანიზაცია. წარმოების მთელი ტექნიკური აპარატი ჭიათურაში მხოლოდ გერმანელი სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული, რის შესახებაც მეფისნაცვალი 1916 წელს აცნობებდა რუსეთის მინისტრთა საბჭოს: „გერმანული ფირმების მოღვაწეობის უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს რუსული ტექნიკური ძალების იგნორირებაც. მათ მთელი მომსახურე პერსონალი გერმანიიდან მოიყვანეს“[20].

ასეთი ორგანიზაციით გერმანული ფირმა იმთავითვე შემოიჭრა ჭიათურის მრეწველობაში და მრავალი ოპერაცია ფართო მასშტაბით წამოიწყო. ჯერ ერთი, ის იმთავითვე შეუდგა ადგილობრივ მეწარმეთა დაკაბალება-დაქვემდებარებას მათზე სესხებისა და ავანსების გაცემით (მათგან მადნის დიდი რაოდენობით შესყიდვას და ექსპორტს); მეორე, მარგანეცის მადნის საუკეთესო საბადოთა აღებას ხანგრძლივი იჯარით და მათ შესყიდვას; მესამე, მაღაროთა ექსპლოატაციის რაციონალურად, ტექნიკურად მოწყობას, საბადოებიდან რკინიგზის ჭიათურის შტომდე მადნის ტრანსპორტირების მექანიზაციას, რგანში მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობას; მეოთხე, ფირმა ზრუნავდა სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციების გასაფართოებლად და ქობულეთში საკუთარი ნავსადგურის მოსაწყობად და ბოლოს, ფირმა რამდენადმე მოგვიანებით შეუდგა საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციას.

გავეცნოთ „გელზენკირხენის“ ოპერაციებს ჩამოთვლილი თანმიმდევრობით.

ადგილობრივ მრეწველთა დაკაბალება და მათგან მადნის შესყიდვა. „გელზენკირხენმა“, რომლის სახელთანაა დაკავშირებული გერმანული კაპიტალის მძლავრი პოზიციების შექმნა ჭიათურაში, მარგანეცის მადნის საუკეთესო საბადოთა ხელში ჩაგდებასთან ერთად, გასსაკუთრებული გულმოდგინებით გაშალა ოპერაციები ადგილობრივ მრეწველთაგან მადნის დიდი რაოდენობით შესაძენად[1]. ამან თავისი ნაყოფიც გამოიღო: „გელზენკირხენმა“ ხუთნახევარ წელიწადში (1909 წლიდან 1914 წლის ივნისამდე) ჭიათურიდან გერმანიაში გაზიდა 60 მილიონამდე ფუთი მადანი, აქედან მხოლოდ 1914 წლის პირველ ნახევარში 12 მილიონ ფუთზე მეტი,[2] რაც ამ ნახევარი წლის მანძილზე ჭიათურიდან საერთოდ გაზიდული მად-

---

[20] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 6, об.

[1] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 6.

[2] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 504, л. 17—18.

ნის (38,5 მილიონი ფუთი) თითქმის მესამედს შეადგენდა[3]. დასახელებული გერმანული ფირმა, რომელიც ჭიათურაში საკუთარ საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციას შეგნებულად აყოვნებდა, ხოლო შესყიდული მადნის ექსპორტს პროგრესულად აძლიერებდა, საამისოდ ძოხერხებულად და მაქსიმალურად სარგებლობდა ქართველ მრეწველთა ერთი ნაწილის უსახსრობით, მათ სესხს ან ავანსს აძლევდა — აკაბალებდა, მათგან დაბალ ფასებში შეძენილი მადნის გაზიდვას ძლივს აუდიოდა. „გელზენკირხენისა" და ადგილობრივ მრეწველთა ურთიერთობა კონკრეტულად ასეთი იყო: გერმანული ფირმა დიდძალი კაპიტალით შემოვიდა და დამკვიდრდა ჭიათურაში, მან განიზრახა მთელი, ადგილობრივ მრეწველთა მიერ მოპოვებული მადნის შეძენა, ცხადია, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, შეღავათიან ფასებში. მაგრამ, მადნის ადგილზევე შესყიდვას ეწეოდნენ მრავალი სხვა უცხოური, საკმაოდ ძლიერი საექსპორტო ფირმებიც, რომელთა მეტოქეობის აღკვეთას გერმანული ფირმა ვერ შეძლებდა, თუ რაიმე ქმედით ზომებს არ მიმართავდა. უკანასკნელმა სწორედ ასეთ ზომად ჩათვალა ადგილობრივ მრეწველებზე გრძელვადიანი, უპროცენტო სესხებისა და ავანსების სახით, მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების გაცემა, რასაც სხვა საექსპორტო ფირმები მხოლოდ იშვიათად და შედარებით უმნიშვნელო მასშტაბით ეწეოდნენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „გელზენკირხენი" საკუთრივ თავისი კონტრაგენტების — გერმანიის მეტალურგიული ქარხნებისაგან ასეთივე სესხებისა და ავანსების სახით, „მიმდინარე ანგარიშებით" (თბილისის კომერციული ბანკის მეშვეობით), დიდძალ კაპიტალს ღებულობდა[4]. ჭიათურელი მრეწველები, რომელთა დიდი ნაწილი საბრუნავი კაპიტალის ნაკლებობას განიცდიდა და მუდამ კრედიტორს ეძებდა, დაეწაფნენ გერმანული ფირმისაგან სესხებისა და ავანსების მიღებას. კრედიტორსა და დებიტორებს შორის ურთიერთობის პირობები ასეთი იყო: გერმანული ფირმა უხვად იძლეოდა თანხებს, მაგრამ, როგორც წესი, მის მიმღებ მრეწველს სესხისა თუ ავანსის დაბრუნების საგარანტიოდ, კრედიტორისათვის უნდა მიეცა ნოტარიალურად შემოწმებული, ხელწერილი, მისთვისვე ჩაებარებინა შესაფერისი თამასუქები, ყველა ის საბუთი, რომელთა ძალით დებიტორს (საკუთრებისა თუ დროებით სარგებლობის უფლებით) გააჩნდა საბადოები; ამასთანავე უკანასკნელი ვალდებულებას იღებდა კრედიტორთან დაგირავებულ სა-

[3] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 260 об.

[4] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 260.

ბადოში მოპოვებული მადანი, ან მისი (შეთანხმებით წინასწარ განსაზღვრული) ნაწილი ყოველწლიურად ჩაებარებინა გერმანული ფირმისათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დებიტორი მრეწველები მეტწილად მოიჯარადრეები იყვნენ და მათ საიჯარო ხელშეკრულებებით (რომლებიც კრედიტორს ბარდებოდა) საბადოები აღებული ჰქონდათ 3, 4, 9, 10, 12, 15, 18 წლის და იშვიათად 24 და 30 წლის ვადითაც[5]. მოიჯარადრე მრეწველ-დებიტორებს მთელი ამ ვადის განმავლობაში უნდა ჩაებარებინათ მოპოვებული მადანი კრედიტორისათვის, არსებულ საბაზრო ფასებში. გარდა ამისა, დებიტორი მოვალე იყო კრედიტორისათვის გზა მიეცა საკუთრივ მოპოვებული თუ სხვისგან შეძენილი მადნის გასაზიდად, ხშირად ევალებოდა პირველს უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობის უფლებით, დაეთმო მეორისთვის მადნის საწყობი ადგილები, მათ ნორის ბაქნები. კრედიტორს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა დებიტორისაგან მადნის ჩაბარებაზე და ასეთ შემთხვევაში უკანასკნელს შეეძლო მადანი სხვისთვის მიეყიდა. დებიტორი კრედიტორს ანგარიშს მადნის საბაზრო ფასებში ჩაბარებით უსწორებდა. ამგვარად, პირველს მეორე აკაბალებდა და ართმევდა ზემოთ დასახელებულ საბუთებს „в качестве эквивалента за исполнение обязательств"[6]. ვალის დაფარვისას კრედიტორი დებიტორს უბრუნებდა ყველა ჩაბარებულ საბუთს, ხოლო თუ უკანასკნელი დადგენილ ვადებში მადნის ჩაბარებით, ვალებს არ დაფარავდა, კრედიტორი ხდებოდა ჩაბარებული საბუთების სრულუფლებიანი მფლობელი. მთელი ამ, გარკვეული გაგებით, საიდუმლოებით მოცული ოპერაციების ხასიათი გამოაშკარავდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როცა ჭიათურაში გერმანული ფირმების სალიკვიდაციოდ მთავრობის მიერ შექმნილმა განსაკუთრებულმა სამმართველომ ადგილზეკე შეისწავლა საქმის ვითარება.

სააქციო საზოგადოებასა და საბადოთა მფლობელ-მეწარმეებს შორის ამგვარი ოპერაციების დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ სალიკვიდაციო სამმართველო აღნიშნავდა: „ამ ოპერაციების წყალობით, რომლითაც ძლიერ გართულდა საზოგადოებისა და მარგანეცის საბადო ნაკვეთების მფლობელთა ურთიერთობა, ფირმამ გაინაღდა გერმანიის ქარხნებისათვის საჭირო რაოდენობის მადნის მიღება"[7].

ამ ოპერაციების გამორკვევის მასალებს შორის, რომელთაც ლენინგრადის საისტორიო არქივში მივაკვლიეთ, განსაკუთრებით საყუ-

---

[5] ЦГИАЛ. ф. 23, оп. 28, д. 515, л. 129—139.

[6] იქვე, ფურც. 42.

[7] იქვე.

რადღებოა: «Ведомость договоров, переданных по надписям Гельзенкирхенскому горнопромышленному обществу разными лицами в обеспечение исполнения сделок по поставке марганцевой руды»[8]. სწორედ ამ უწყისშია ჩამოთვლილი ის ხელშეკრულებები, რომლებიც „გელზენკირხენმა“ ჩაიბარა დავალიანებული ადგილობრივი მრეწველებისაგან, მათზე გაცემული სესხების დაბრუნების (გირაოს სახით), ასევე მათგან მადნის ჩაბარების საგარანტიოდ. სალიკვიდაციო სამმართველომ შეისწავლა ეს უწყისი და დაადგინა, რომ გელზენკირხენის ხელშია 36 ხელშეკრულება, რაც მას გადასცეს სხვადასხვა პირებმა მადნის ჩაბარების პირობის შესრულების საგარანტიოდ. ფირმის სალიკვიდაციო სამმართველოს დასკვნით ხელშეკრულებათა წარმოშობა ასეთია: „იმისათვის, რომ უზრუნველეყო თავისი მოთხოვნილება საჭირო რაოდენობისა და ხარისხის მარგანეცის მადანზე „გელზენკირხენის საზოგადოება“ სესხს აძლევდა ადგილობრივ მრეწველებს, რომელთაც ეს თანხები სჭირდებოდათ საბადო ნაკვეთების შესაძენად, საწარმოთა ტექნიკური შეიარაღებისა და გაფართოებისათვის. ამავე დროს მეწარმენი, რომლებიც „საზოგადოებისაგან“ სესხს ღებულობდნენ, ვალდებული იყვნენ მთელი მოპოვებული მადანი ჩაებარებინათ (მიეყიდათ) კრედიტორისათვის. დაწესებული იყო ჩასაბარებელი მადნის მინიმალური ოდენობა მისი მოპოვების მოცულობაზე. ამ პირობის შესრულების საგარანტიოდ „გელზენკირხენი“ დებიტორ მრეწველებს ართმევდა საბუთებსა და ხელწერილებს“[9]. როგორც ვხედავთ, გერმანული ფირმა თავისთვის მეტად ხელსაყრელ პირობებში აძლევდა ავანსს და სესხს ადგილობრივ მრეწველებს. საბადოთა იჯარით ასაღებად, სამრეწველო საქმიანობის გასაგრძელებლად და სხვ. მაგრამ, სააქციო საზოგადოება არ სჯერდებოდა ზემოჩამოთვლილ პირობებს; „საზოგადოებას უფლება ენიჭებოდა არა მარტო დებიტორებისაგან მადნის ჩაბარებისა, არამედ მის მიღებაზე უარის თქმისა, თუკი კრედიტორს არ სურდა მადნის მიღება. დებიტორს უფლება ეძლეოდა ის სხვისთვის მიეყიდა. დებიტორი მრეწველები კრედიტორის წინაშე სხვა ვალდებულებებსაც კისრულობდნენ, კერძოდ, უსასყიდლოდ უთმობდნენ მადნის დასაწყობ ადგილებს, ნებას აძლევდნენ მადნის გასაზიდად გამოეყენებია მათი კუთვნილი ნაკვეთები და სხვ.“[10].

---

[8] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 515, л. 129—139.: აგრეთვე უწყისი «Ведомость договоров, переданных греческо-подданному И. С. Персиаки в обеспечение сделок по поставке марганцевой руды», სადაც ჩამოთვლილია 36 ასეთი ხელშეკრულება (ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 508, л. 3—4).

[9] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 269 об; Ф. 23, оп. 28, д. 515, л. 141.

[10] იქვე. ფურც. 270.

სესხისა და ავანსის მიღების პირობებზე ასევე ნათელ წარმოდგენას იძლევა დავალიანებულ მრეწველთა მრავალრიცხოვანი განცხადება და საჩივრები, რომლითაც მათ გერმანული ფირმის ლიკვიდაციის შესახებ ცნობის მიღებისთანავე მიმართეს მეფისნაცვალს კავკასიაში და რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს. ასე მაგალითად, მრეწველების ს. გაფრინდაშვილისა და პ. თოფურიას მიერ 1914 წლის 14 ნოემბერს ზემომოხსენიებულ ინსტანციებში წარდგენილ განცხადებაში ვკითხულობთ: „ჩვენ ვსაჭიროებდით ფულს და მივმართეთ გელზენკირხენის საქმეთა მმართველს ჭიათურაში... რომ მას ჩვენთვის ესესხებინა საჭირო თანხა, იმ პირობით, რომ სესხის საგარანტიოდ ჩვენ, გირაოს სახით, ჩავაბარებდით საბადო ნაკვეთებს... პერსინაკი* დაგვთანხმდა იმ პირობით, რომ ამ ნაკვეთების იჯარით აღების საბუთებს ჩვენ მას ჩავაბარებდით სესხის გადახდის საგარანტიოდ. შევთანხმდით და მივიღეთ სესხი 20 ათასი მანეთი, რაც ჩვენ დაეფარეთ ამავე ნაკვეთებში მოპოვებული მადნის ჩაბარებით. პერსინაკთანაა ჩვენი სამი საიჯარო ხელშეკრულება, აგრეთვე ნასყიდობის ორი საბუთი... გთხოვთ დაგვეხმაროთ ამ საბუთების მიღებაში“[11].

1914 წლის 18 ნოემბერს იმავე ორგანოების წინაშე ასეთივე საჩივარი აღძრეს „გელზენკირხენის“ მიერ დაკაბალებულმა მრეწველებმა: კ. ყიფიანმა, ი. ბერიძემ, პ. თოფურიამ, კ. მასხარაშვილმა, კ. მეძმარიაშვილმა. ისინი წერდნენ:

„საზოგადოება „შავი ქვა“-ს თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩისგან შევიძინეთ მარგანეცის მადნის საბადო ნაკვეთი—14 ქცევა (მღვიმეევში), 27 ათას მანეთად... ეს თანხა ვისესხეთ ჭიათურაში მოქმედი გერმანული ფირმისგან („გელზენკირხენისგან“). უკანასკნელის საქმეთა მმართველ პერსინაკს გადავეცით თამასუქები... პირობის თანახმად ვალდებულება ვიკისრეთ მთელი მოპოვებული მადანი ჩაგვებარებია კრედიტორისათვის (არსებულ ფასებში). პერსინაკი არ დასჯერდა თამასუქების მიღებას, გაცემული სესხის გადახდის საგარანტიოდ ჩვენგან მოითხოვა, რომ მისთვის ჩაგვებარებია საბადო ნაკვეთის შეძენასთან დაკავშირებული საბუთები“[12].

ამრიგად, ადგილობრივი მრეწველები სესხებისა და ავანსების მიღებისას საბადოებს აგირავებდნენ, მოპოვებულ მადანს კრედიტორს აბარებდნენ ხანგრძლივი დროის მანძილზე, მასვე აძლევდნენ გზას მადნის გასაზიდად, ასევე მადნის საწყობ ადგილებსა და ბაქნებსაც უფასო სარგებლობაში.

---

* ი. პერსინაკი — გელზენკირხენის რწმუნებული ჭიათურაში.

[11] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, 1914—1915 гг., л. 26.

[12] იქვე, ფურც. 25.

ასე დააკაბალა და დაიქვემდებარა გელზენკირხენმა მრავალი ადგილობრივი მრეწველი. დაკაბალებულ ადგილობრივ მრეწველებს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დამკრედიტებელი ფირმის ლიკვიდაციის დროისათვის არ შეეძლოთ ვალებიდან ამოსვლა. უამისოდ კი მთელი მათი საბუთები სალიკვიდაციო ფირმის ხელში რჩებოდა. ასეთ ვითარებაში მათ, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როცა ჩვენში გერმანული ფირმების, მათ შორის „გელზენკირხენის", საქმიანობა შეწყდა, ადგილობრივმა დაკაბალებულმა მრეწველებმა მთელი თავისი იმედები რუსეთის მთავრობაზე დაამყარეს. მათ მთავრობას მიმართეს და განუცხადეს, რომ სურთ ვალების დაფარვა უკვე დამზადებული მადნის ჩაბარებით და მოითხოვეს, რომ ფირმის ქონების კონფისკაციის ან სხვაზე გადაცემისას მთავრობა არ შეხებოდა მათ საკუთრებასა თუ დროებით სარგებლობაში არსებულ საბადოებს, რომლებიც დაგირავებული ჰქონდათ გერმანული ფირმისაგან მიღებული თანხების გადახდის საგარანტიოდ[13]. ბევრი მათგანი მოითხოვდა აგრეთვე კრედიტორისათვის გადაცემული საბუთების დაბრუნებას. მთავრობის ორგანოებმა ეს განცხადებები გადასცეს სალიკვიდაციო სამმართველოს. სალიკვიდაციო სამმართველო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ დაკაბალებული ადგილობრივი მეწარმენი „ძლიერ არიან დაინტერესებული დაიბრუნონ საიჯარო ხელშეკრულებები, თამასუქები და სხვ. სამმართველოს არ შეუძლია არ სცნოს ამ მოთხოვნის სამართლიანობა..."[14].

სამმართველო საფუძვლიანად გაეცნო საქმის რეალურ ვითარებას. აღმოჩნდა, რომ სალიკვიდაციო ფირმის მიერ დაკაბალებულ მრეწველებს არ შეუძლიათ ვალების დაფარვა. გარდა ამისა, ნოტარიალურად გაფორმებული პირობების თანახმად, დებიტორ-მრეწველებს, რომელთაც კრედიტორებისათვის ჩაებარებიათ საჭირო ხელშეკრულებები, ვალების დაფარვასთან ერთად ეევალებოდათ მოპოვებული მადნის კრედიტორისთვის ჩაბარება იჯარით აღებულ საბადოთა ექსპლოატაციის მთელ მანძილზე. ამის გამო გერმანული ფირმის სალიკვიდაციო სამმართველო შენიშნავდა: «Необходимо обратить внимание на то, что помимо погашения денежных обязательств, на них лежит обязанность поставлять обществу, если оно пожелает, руду из заорендованных участков, впредь до их полного истощения; контрагенты обязаны также предоставить обществу право прохода и проезда по поверхности участков и штольням. Кроме того, надо иметь в виду, что на принадлежа-

---

[13] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, 1914—1915 гг., л. 26.

[14] იქვე, ანაწ. 28, საქ. 514, ფურც. 270, მეორე გვერდი.

щих указанным марганцепромышленникам платформах сложена руда, составляющая собственность общества»[15]. ყოველივე ამის გამო სალიკვიდაციო სამმართველომ მრეწველთა ძოთხოვნა არ დააკმაყოფილა და 36 ხელშეკრულება სალიკვიდაციო ფირმას დაუტოვა. გელზენკირხენის ოპერაციების შესწავლისას სალიკვიდაციო სამმართველომ განიხილა აგრეთვე ფირმის მიერ დებიტორი მრეწველებისაგან სესხის დაბრუნების საგარანტიოდ მიღებული სხვა ხელშეკრულებები. ზემოხსენებულ ხელშეკრულებათა გარდა „გელზენკირხენს“ მრავალი სხვა მრეწველისაგან ჩაუბარებია საბუთები, მათ შორის 5 ხელშეკრულება ჩაუბარებია მრეწველთა ჯგუფისაგან, რომელმაც მისგან მიიღო სესხი—14000 მანეთი და სხვ.[16]. მრეწველთა ამ ჯგუფის ზრუნვამ დასახელებულ ხელშეკრულებათა მისაღებად უშედეგოდ ჩაიარა, რადგან, როგორც სალიკვიდაციო სამმართველომ დაადგინა, მათ დიდი ვალები ემართათ, ხოლო დაფარვა არ ძალუძდათ. დებიტორთა „უწყისების“ შესწავლისას სალიკვიდაციო სამმართველომ დაადგინა აგრეთვე, რომ გერმანულ ფირმას მრეწველთა ერთი ჯგუფისათვის ავანსად მიუცია 14[illegible]00 მანეთი[17]. ავანსის, ასევე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა პირობების შესრულების საგარანტიოდ გერმანულ ფირმას მრეწველთა ჯგუფისაგან (ამხანაგობა „შავი ქვა“) ჩაუბარებია საიჯარო ხელშეკრულება, რომლის ძალით ამ ჯგუფს, 1909 წელს იჯარით (24 წლით) აუღია საბადო ნაკვეთები მღვიმევში. მრეწველთა მეორე ჯგუფს „გელზენკირხენისათვის“ ჩაუბარებია საიჯარო ხელშეკრულებები, რომელთა ძალით ამ ჯგუფს, 1902 წელს (30 წლით) აუღია საბადოები მღვიმევში. მრეწველთა მესამე ჯგუფს კი ჩაუბარებია 1903 წელს (9 წლით) დადებული საიჯარო ხელშეკრულება. „გელზენკირხენს“ მრეწველთა მეოთხე ჯგუფისაგან მიუღია 1904 წელს (30 წლით) დადებული საიჯარო ხელშეკრულება, რომლის ძალით ამ ჯგუფს აუღია საბადოები არმაისაში, ხოლო მეხუთე ჯგუფისაგან ასევე 1904 წელს (23 წლით) დადებული ხელშეკრულება, რომლითაც გაფრინდაშვილებს არმაისაში იჯარით აუღიათ არა საბადო, არამედ ზედაპირი. „გელზენკირხენის“ მიერ დებიტორებისგან ჩაბარებული საიჯარო ხელშეკრულებებით მოიჯარადრე მრეწველებს სხვადასხვა ვადით აღებული ჰქონდათ სულ დაახლოებით 99 დესეტინა[18]. მრეწველთა დასახელებული ჯგუფები, ისევე როგორც მრავალი ათეული სხვა დებიტორები, ფირმის სალიკ-

---

[15] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 270, об.

[16] იქვე.

[17] იქვე.

[18] იქვე, საქ. 508, ფურც. 4.

ვიდაციო სამმართველოს განუწყვეტლივ მიმართავდნენ განცხადებებით. ისინი აცხადებდნენ, რომ ვალების დასაფარავად მათ უკვე დაამზადეს მადანი და მოითხოვდნენ ანგარიშის გასწორებას და საგარანტიოდ გადაცემული საბუთების (ხელშეკრულებები, ხელწერილები, თამასუქები) დაბრუნებას[19]. სალიკვიდაციო სამმართველო სწავლობდა საქმის ვითარებას. ირკვეოდა, რომ დებიტორებს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი (ვალის გასტუმრება, მადნის მიწოდება იჯარით აღებულ საბადოს მარაგის სრულ ამოწურვამდე და სხვ.) არ ჰქონდათ შესრულებული. აღმოჩნდა, რომ დებიტორებს არ შეეძლოთ ვალის გადახდა თუნდაც მადნის ჩაბარებით, რადგან მათ საამისოდ საკმაო მარაგი არ გააჩნდათ. სალიკვიდაციო სამმართველო უარს ეუბნებოდა დებიტორებს საბუთების დაბრუნებაზე, რადგან მან დაადგინა, რომ „გელზენკირხენის" დებიტორ მრეწველთა ერთ ჯგუფს ემართა 4 969 მანეთი, ამ ჯგუფის წევრებს ცალ-ცალკეც ემართათ საზოგადოების ვალები, სახელდობრ, ბერიძეს — 653 მან., რატიანს — 247 მან., ნიკარაძეს — 673 მან., ქაცარავასა და ყიფიანს ერთად — 1 296 მანეთი[20].

მრეწველთა მეორე ჯგუფი (ს. გაფრინდაშვილი, ა. თოფურია, ა. ჯაყელი და კ. სერგანიდისი) მადნის ჩაბარების ხარჯზე ვალის დაფარვასთან ერთად ვალდებული იყო იჯარით (სამი წლის ვადით), აღებული საბადოების საიჯარო ვადა (თუ ამას გერმანული ფირმა მოისურვებდა) 9 წლით გაეგრძელებინა და კრედიტორისათვის უფლება მიეცა ეს ნაკვეთები (წიაღი — შტოლნები და ზედაპირი) მადნის გასაზიდ გზად გამოეყენებინა[21]. გარდა ამისა, პ. თოფურიას ხელშეკრულებით გერმანული ფირმისათვის უნდა გადაეცა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსგან (ჭიკოურში) იჯარით აღებული ბაქანი (ზაროკილის ჩიხი). გერმანულ ფირმას ეს ბაქანი თოფურიასთვის უნდა დაებრუნებინა მაშინ, როცა ის და დებიტორ მრეწველთა მოცემული ჯგუფი კრედიტორის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებდნენ. გერმანულმა ფირმამ სალიკვიდაციო სამმართველოს წარუდგინა საბუთები, რომლებიც მეტყველებდნენ, რომ თოფურიას „გელზენკირხენისათვის" არ გადაუცია ბაქანი და ხელშეკრულების (პირობის) დარღვევისათვის უნდა გადაეხადა ჯარიმა 20 000 მანეთი. ასეთსავე მდგომარეობაში იყო ჩაყენებული მეწარმე გაფრინდაშვილი, რომელსაც ხელშეკრულების შეუსრულებლობისა-

---

[19] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 515, л. 141.

[20] იქვე.

[21] იქვე, ფურც. 142.

თვის უნდა გადაეხადა 25 000 მანეთი. ამას გარდა პ. თოფურიასა და ს. გაფრინდაშვილს „გელზენკირხენისა“ ემართათ 890 მანეთი, ა. ჯაყელსა და კ. სერგანიდისს—6 550 მანეთი, ხოლო ა. ჯაყელს ცალკე — 2 583 მანეთი. გერმანული ფირმის რწმუნებული სალიკვიდაციო სამმართველოს მოახსენებდა, რომ მზადაა დებიტორებს დაუბრუნოს სესხის საგარანტიოდ ჩაბარებული საბუთები თუკი ისინი ვალებს დაფარავდნენ. ეს კი დებიტორებმა ვერ შეძლეს[22].

მრეწველთა მესამე ჯგუფს (ა. ჯაყელი, ფ. დარჩია, ს. კილაძე) კრედიტორისათვის ჩაუბარებია ოთხი წლის ვადით დადებული საიჯარო ხელშეკრულება. მას, მადნის ჩაბარების ხარჯზე ვალის გასტუმრების გარდა, ოთხი წლის შემდეგ იჯარის ვადა კიდევ ოთხი წლით უნდა გაეგრძელებია, რომ ეს, იჯარით აღებული ნაკვეთები (ზედაპირი და წიაღი), კრედიტორს გამოეყენებინა საკუთრივ მოპოვებული თუ სხვისგან შეძენილი მადნის გასაზიდ გზად, ასევე მადნის დასაწყობად. ამასთანავე მრეწველთა დასახელებულ ჯგუფს კრედიტორისა ემართა 1845 მანეთი[23]. მრეწველთა მეოთხე ჯგუფს (გ. დუმბაძე, ა. გამრეკელი და მ. ჭანიშვილი) გერმანულ ფირმასთან დაუდვია ხელშეკრულება, რომლის ძალით უკანასკნელმა ვალდებულება აიღო მიეცა პირველისათვის 25 000 მანეთი ბრემსბერგის, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობისა და საბადოთა ექსპლოატაციისათვის. სამაგიეროდ მრეწველთა ჯგუფმა მადნის ჩაბარებით ვალის დაფარვის საგარანტიოდ გადასცა 8 საიჯარო ხელშეკრულება. გერმანული ფირმის სალიკვიდაციო სამმართველომ გამოარკვია, რომ დასახელებულ მრეწველებს კრედიტორისა მართებთ 8164 მანეთი.

მრეწველ მ. მებუკეს (1913 წელს) გერმანული ფირმისაგან სესხი მიუღია და ვალდებულება უკისრია — მთელი მოპოვებული მადანი ჩაებარებია და ამასთანავე კრედიტორისათვის გადაეცა საკუთარი ბაქნები. ფირმის ლიკვიდაციის დროისათვის დებიტორს ემართა 7 411 მანეთი. ანალოგიურ პირობებში აუღია სესხი მრეწველ კ. მასჩარაშვილს, რომელსაც ფირმის ლიკვიდაციის დროს ემართა 3 304 მანეთი. ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მრეწველები ს. ბრეგვაძე, ი. მეძმარიაშვილი და ო. ჟორჟოლიანი, რომელთაც (ერთად) ემართათ 1 735 მანეთი, ხოლო ა. ხაბულიანს — 4 306 მანეთი, ა. ამაღლობელს — 363, ს. კვებულაძეს — 1048 მანეთი და სხვ[24]. ადგილობრივ (დებიტორ) მრეწველებს 1914 წლის ივლისისათვის „გელ-

---

[22] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 515, л. 42—43.

[23] იქვე, ფურც. 143, მეორე გვერდი.

[24] იქვე, ფურც. 144—145.

ზენკირხენისა“ ემართათ სულ 104 787 მანეთი, რომელიც მათ 1916 წელსაც ვერ დაფარეს[25]. ამიტომ, დებიტორ მეწარმეთა ხანგრძლივი მეცადინეობა „გელზენკირხენისათვის“ გადაცემული საბუთების დასაბრუნებლად, უშედეგოდ დამთავრდა. სალიკვიდაციო საბმართველომ მათი მოთხოვნა-შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა[26].

„გელზენკირხენის“ მიერ ადგილობრივ მრეწველებზე სესხებისა და ავანსების გაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ჩვენ მართებულ შეფასებას ვერ მივცემთ, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ფირმა სესხებისა და ავანსების გაცემით ცდილობდა სამრეწველო რაიონში გასასაღებლად განკუთვნილი მადნის შესყიდვაში მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვებას, რითაც მას სურდა შედარებით იოლად გაეკაფა გზა მრეწველობის მოცემული დარგის მონოპოლიზირებისაკენ. მართლაც, ფირმამ სოლიდური კაპიტალები დააბანოა, დებიტორები დააკაბალა და მათგან საბაზრო ფასებში მადნის შეძენა გაინაღდა. ასეთ პირობებში გერმანული ფირმის წინაშე დაისვა მადნის საბაზრო ფასების, რამდენადაც შეიძლება, შემცირების ამოცანა. მართლაც, ის მალე გახდა ადგილობრივ ბაზარზე მადნის ფასის დამწესებელ-განმკარგულებელი. ფირმამ მადნის დიდი რაოდენობით შესყიდვის წყალობით, მისი ექსპორტის გაზრდასთან ერთად, შეძლო ჭიათურის აუზშივე შეექმნა შეძენილი მადნის კოლოსალური მარაგი, რომ ამით ზემოქმედება მოეხდინა და ხელოვნურად დაეწია მისი ფასები ადგილობრივ ბაზარზე. „გელზენკირხენმა“ მადნის შესასყიდად „კანტორები“ გამართა, საწყობები, ასევე ბაქნები გაიჩინა და მადნის დიდი მარაგი შექმნა ჭიათურაში, მღვიმევში, რგანში, პერევისაში, შუქრუთში, საბადოთა აუზის სხვა უბნებსა და რკინიგზის ჭიათურის შტოს თითქმის ყველა სადგურის ბაქნებზე, აგრეთვე ფოთში. მადნის შესყიდვის, მარაგის შექმნისა და გაზიდვის მთავარ ოპერაციებს ჭიათურისა და ფოთის კანტორები აწარმოებდნენ[27]. ფირმამ ჩვენში მადნის დიდი მარაგი გაიჩინა, ბევრიც გაზიდა გერმანიაში. ასე მაგალითად, 1914 წლის პირველ ნახევარში მან 12 მილიონი ფუთი გაზიდა[28], ამის მიუხედავად იმავე წლის დამლევს მას ჭიათურაში გააჩნდა 2 040 498 ფუთი ჩვეულებრივი და 122 000 ფუთზე მეტი გაუხვებული მადანი, მღვიმევში 882 000 ფუთზე მეტი, მეჩხერაში—319 000 ფუთი, რგანში—871000, ჭიათურიდან ერთ ვერსზე — 675 000, 2 ვერსზე — 3,489 493 ფუთი, ხოლო 4 ვერსზე — 1 124 170

---

[25] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 228.

[26] იქვე, საქ. 508, ფურც. 4.

[27] იქვე.

[28] იქვე, ფურც. 278.

ფუთი და სხვ., სულ სამრეწველო რაიონში 9 524 950 ფუთი[29], ხოლო ფოთში 853 151 ფუთი ჩვეულებრივი და 253 890 ფუთი გაუხვეებული მადანი ანუ სულ აქ გააჩნდა 1 107 041 ფუთი[30]. ამრიგად, სამრეწველო რაიონსა და ფოთში 1914 წლის დამლევს ეს მარაგი 10 731 991 ფუთს შეადგენდა. მარაგის დიდ ნაწილს შეადგენდა არა ფირმის მიერ საკუთრივ მოპოვებული, არამედ სხვისგან შეძენილი მადანი. ასე მაგალითად, 1914 წელს ჭიათურაში შექმნილი მარაგის საერთო ოდენობიდან ნაყიდი იყო 6 100 000 ფუთი, ხოლო ფირმის მიერ მოპოვებული მხოლოდ 1 642 746 ფუთი[31]. სამრეწველო აუზში, აგრეთვე ფოთში ესოდენ დიდი მარაგის შექმნით ფირმამ შეძლო მადნის ფასების საგრძნობი დაქვეითება: თუ 1909 წელს (სარკინიგზო ტარიფის შემცირების შემდეგ) ფუთი მადანი საბადოებში საშუალოდ საღდებოდა 4,5 კაპიკად, ჭიათურაში—8, ხოლო ფოთში — 19,6 კაპიკად[32], 1913—1914 წლებში, როცა მადანზე მოთხოვნილება გაზრდილი იყო, მისი ფასი დაეცა საბადოებში 2.27 კაპიკამდე, ჭიათურაში — 6 8. ხოლო ფოთში — 15,34 კაპიკამდე[33]. ამასთან დაკავშირებით მეფისნაცვალი 1916 წლის იანვარში აცნობებდა მინისტრთა საბჭოს: „უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე მარგანეცის მადნის ფასები იაბალია, ამ საქმეში ბრალი მიუძღვით გერმანულ ფირმეას, რომელთაც სამრეწველო რაიონში გამზადებული მადნის დიდი მარაგი შექმნეს. ამით ისინი ძალდატანებით ზემოქმედებენ ადგილობრივ ბაზარზე"[34]. ჭიათურის მრეწველობაში უცხოური ფირმებისა და, კერძოდ, „გელზენკირხენის" როლის გაზრდის შედეგების დახასიათებისას კავკასიის სამთო უწყება 1915 წელს წერდა: „მათ დააკაბალეს ჭიათურის მრეწველობა, შეძლეს მადნის ფასების ძლიერ შემცირება, მადნის მოპოვებისა და გასაღების თავისებური რეგულირება"[35]. და ბოლოს, კავკასიის ადმინისტრაცია არსებითად რეალისტურად აღწერდა ჭიათურაში გერმანული ფირმების, და, კერძოდ, „გელზენკირხენის" მოქმედების შედეგებს, როცა წერდა: «Широко скупая марганцевые залежи и вместе с тем откладывая... их разработку, немецкие фирмы лишь накопляли запасы руды для будущего, пока же, держа в своих руках значительную часть вывоза, диктовали цены мелким промышленникам... планомерно преследуя цель истощения

---

[29] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 511, л. 16—36.
[30] იქვე, ფურც. 40.
[31] იქვე, ფურც. 42. დანარჩენ მარაგზე ცნობა არ მოგვეპოვება.
[32] იქვე, ფონ. 37, ანაწ. 72, საქ. 138, ფურც. 74.
[33] იქვე, ფონ. 23, ანაწ. 28, საქ. 511, ფურც. 43.
[34] იქვე, ფონ. 23, ანაწ. 28, საქ. 514, ფურც. 6.
[35] იქვე, ფონ. 1276, ანაწ. 19, საქ. 1221, ფურც. 25.

чужих залежей и повышения тем в будущем цены своих рудных запасов»[36]. ადგილობრივ მრეწველთა დაკაბალებით, მადნის ადგილობრივ ბაზარზე თითქმის გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებით, მადნის ფასის ხელოვნურად დაქვეითებით „გელზენკირხენი" ძლიერ ავიწროებდა ადგილობრივ მრეწველთა უმრავლესობას. მძლავრ გერმანულ ფირმას ადგილობრივნი ვერ უწევდნენ კონკურენციას. გერმანული ფირმები ქმნიდნენ ამინდს ჭიათურაში, რის გამო ადგილობრივი მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ძმ. ოგანეზოვები" 1914 წლის დამლევს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში გაგზავნილ განცხადებაში წერდა: „გერმანულ ფირმებს იმდენად მსხვილი საბრუნავი თანხები გააჩნიათ, რომ ჩვენ, ადგილობრივ მრეწველებს, სრულებით არ ძალგვიძს მათ კონკურენცია გაეუწიოთ და ამის გამო ისინი არიან მდგომარეობის სრული ბატონპატრონი, გვკარნახობენ ფასებს მადანზე, მარგანეცის საბადოებზე, ამცირებენ მას მინიმუმამდე. არც გასაღების ბაზრებზე მადნის ფასების გაზრდა, არც საზღვაო ფრახტის შემცირება, არც თვით სარკინიგზო ტარიფის შემცირება, არასდროს გამოხატულა ჭიათურაში მადნის ფასის ამაღლებაში, რადგან ყველა ამ შეღავათებით მხოლოდ უცხოელები სარგებლობდნენ"[37]. ძმ. ოგანეზოვები ამასთანავე ჩიოდნენ: «Соблазняясь ссудами и авансами, выдаваемыми иностранцами, местные промышленники и залежевладельцы продают им руду за безценок, равным образом за бесценок отдают в долгосрочную аренду и продают свои рудные залежи»[38].

ყოველივე ამას სიცხადით გვიჩვენებს „გელზენკირხენის" მთელ საქმიანობაზე და, კერძოდ, მის მიერ ჭიათურის მარგანეცის საბადოთა ხელში ჩასაგდებად წარმოებულ ოპერაციებზე დაკვირვებაც.

„გ ე ლ ზ ე ნ კ ი რ ხ ე ნ ი ს" მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ჭ ი ა თ უ რ ი ს ს ა ბ ა დ ო თ ა ხ ე ლ ში ჩ ა ს ა გ დ ე ბ ად. ჭიათურის მრეწველობაში გასაბატონებლად მებრძოლი ფირმა დასახული მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მარგანეცის მადნის უმდიდრეს საბადოთა მთლიანად და დიდი ხნით ხელში ჩაგდებას მიიჩნევდა. ამ მიმართულებით მოქმედებას ის ჯერ კიდევ ჭიათურაში ოპერაციების ოფიციალურად დაწყებამდე შეუდგა, სოლიდური კაპიტალი დაებანდა. 1903—1909 წლებში „გელზენკირხენმა" გერმანელი მრეწველის ო. გილერტისაგან ჩაიბარა 76 დეს. მეტი ფართობის იჯარით აღებუ-

---

[36] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 1221, л. 26.

[37] ი ბ ი ვ ე, ფონ. 23, ანაწ. 14, საქ. 507, ფურც. 48.

[38] ი ბ ი ვ ე.

ლი საბადოები მღვიმევსა და ითხვისში, „უმაღლესად“ დამტკიცებისთანავე გერმანულმა ფირმამ „შალკე“-საგან 83 800 მანეთად იმემკვიდრა 27 დესეტინა იჯარით აღებული საბადოები რგანში. „გელზენკირხენი“ 1909—1914 წლებში ინტენსიურად განაგრძობდა საბადოებისა და „უმადნო“ მიწების, მათ შორის ყანების, ტყეების, ასევე ბაქნების იჯარით აღებას და შესყიდვას რგანში, მღვიმევში, პერევისაში, ითხვისში, აგრეთვე ჭიათურის სახაზინო რკინიგზის შტოს სადგურების მახლობლად. ამ ოპერაციების „უწყისი“ დაცულია ლენინგრადის სახელმწიფო საისტორიო არქივში. ამ ვრცელ საბუთში აღბეჭდილია შესაფერის საიჯარო ხელშეკრულებათა და ნასყიდობის მოწმობათა ნომრები, დასახელებულია იჯარით გაცემული მიწების მფლობელები, ნაკვეთების სახელწოდება და ფართობი, საიჯარო ხელშეკრულებათა დადების დრო და ვადები, მოიჯარადრის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობა, მის მიერ უკვე გასტუმრებული და მომავალში გადასახდელი თანხის ოდენობა[1]. არქივში ინახება აგრეთვე საიჯარო ხელშეკრულებათა და ნასყიდობის მოწმობათა ასლები, რომლებიც მთელი სისავსით წარმოგვიდგენენ საბადოთა მფლობელებისა და მოიჯარადრე გერმანული ფირმის ურთიერთობას, იჯარის პირობებს და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა დოკუმენტი: «Ведомость земельных участков, приобретенных Гельзенкирхенским горнопромышленным акционерным обществом»[2].

უწყისი გვიჩვენებს, რომ ო. გილერტისა და „შალკე“-საგან მიღებულ საიჯარო ხელშეკრულებათა ჩაუთვლელად „გელზენკირხენმა“ 1909 წელს ჭიათურის სამრეწველო რაიონში მიწის მფლობელებთან დადო 35 საიჯარო ხელშეკრულება, 1910 წელს—27, 1911 წელს—40, 1912 წელს—72, 1913 წელს — 70, ხოლო 1914 წლის პირველ ნახევარში —71[3]. როგორც ვხედავთ, „გელზენკირხენი“ უფრო და უფრო აქტიურად მოქმედებდა მარგანეცის საბადოთა ხელში ჩასაგდებად. ამ ოპერაციებზე მან ხელი აიღო მხოლოდ 1914 წლის ივნისიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა მსოფლიო ომის მოახლოება. აქვე აღსანიშნავია, რომ ფირმა მიწების იჯარით აღებას დაეწაფა მადნის ყველაზე უმდიდრეს საბადო ზეგნებზე—მღვიმევში, რგანში, ითხვისში, პერევისაში, შუქრუთში და უნდა ვიფიქროთ, რომ მას შეეძლო რამდენიმე წელიწადში ხელთ ეგდო საბადოთა მთელი აუზი, პირველი მსოფლიო ომი რომ არ დაწყებულიყო. ამაზე მეტყველებს მთელი

---

[1] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 515, д. 1—126; ф. 23, оп. 28, д. 514, л. 265 об.

[2] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 515, л. 1—121.

[3] იქვე, ფურც. 1—121.

მისი მოქმედება 1909—1914 წლებში. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1914 წლის ივლისში „გელზენკირხენის“ პორთფელში აღმოჩნდა სულ 411 საიჯარო ხელშეკრულება და ნასყიდობის მოწმობა[4], რომელთა ძალით მან, უპირატესად იჯარით აიღო მიწები 625 პირისაგან[5]. «Все договоры совершены домашним, нотариальным, явочным и крепостным порядком, имеются два запродажные записи...»[6]

ეს ხელშეკრულებები ერთმანეთისაგან განსხვავდება გაფორმებით, მოქმედების ვადით. დიდი ნაწილი შეეხებოდა საბადოთა წიაღს და არა ზედაპირს, ნაწილიც თვით „მიწის ზედაპირს“, ცალკეულ შემთხვევაში „ტყეს“[7], ანუ სხვანაირად მადნიან ან უმადნო მიწებს.

411 ხელშეკრულებიდან 295 ხელშეკრულებით „გელზენკირხენს“ აუღია მადნიანი, ანუ საბადო ნაკვეთები. აქედან მას რგანში საბადოები აუღია 98 საიჯარო ხელშეკრულებით, პერევისაში—127, ითხვისში—42, ხოლო მღვიმევში—28 ხელშეკრულებით.

დასახელებულ ფირმას 116 ხელშეკრულებით აუღია უმადნო მიწები (გზების, ნაგებობების, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის გასამართავად), აქედან პერევისაში—33, შუქრუთში—9, მღვიმევში—10, ხოლო რგანში—64 ხელშეკრულებით[8].

ამ ხელშეკრულებებით „გელზენკირხენმა“ მიიღო საბადოები პერევისაში — 182 დესეტინა 398 836 მანეთად და 1914 წლისთვის უკვე გადახდილი ჰქონდა 382 750 მანეთი, ითხვისში — 76 დესეტინა 144 155 მანეთად და უკვე გადაიხადა 144 304 მანეთი, მღვიმევში— 62,5 დესეტინა 229 103 მანეთად, გადახდილი კი იყო 266 601 მანეთი, ხოლო რგანში—68,3 დესეტინა 162 184 მანეთად, გადახდილი კი ჰქონდა 190 210 მანეთი. „გელზენკირხენმა“ მოხერხებულად და მაქსიმალურად გამოიყენა მარგანეცის საბადოთა მფლობელი ღარიბი მოსახლეობის სიდუხჭირე და დიდძალი კაპიტალდაბანდებით ზემოთ დასახელებული ოთხი საბადო ზეგნის ტერიტორიაზე 295 ხელშეკრულებით ხელთ იგდო 388 დესეტინა საერთო ფართობის 852 ნაკვეთი — 988 515 მანეთად.

გარდა ამისა, 116 ხელშეკრულებით „გელზენკირხენმა“ ხელთ იგდო „უმადნო“ მიწები: პერევისაში—25,5 დესეტინა, რაშიც ყოველწლიურად იხდიდა 3 012 მანეთს, შუქრუთში—2 დესეტინა, რაშიც წლი-

---

[4] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 264.

[5] იქვე, ფონ. 1276, ანაწ. 19. საქ. 1221, ფურც. 29.

[6] იქვე, ფონ. 23, ანაწ. 28, საქ. 514, ფურც. 567, მეორე გვერდი.

[7] იქვე, საქ. 508, ფურც. 7, ანაწ. 17, ფონ. 23, ანაწ. 28, საქ. 515. ფურც. 3 — 3.

[8] იქვე. საქ. 515, ფურც. 1—121.

ურად იხდიდა 450 მანეთს, მღვიმევში — 7 დესეტინა, წლიურად იხ-
დიდა — 917 მანეთს, ხოლო რგანში — 28 დესეტინა, წლიურად იხდი-
და 3 139 მანეთს. ამრიგად, ფირმამ, ჩამოთვლილ ზეგნებზე 116 ხელ-
შეკრულებით მიიღო 63 დესეტინა საერთო ფართობის 190 ნაკვეთი,
რაშიც წლიურად იხდიდა 7472 მანეთს, ფაქტიურად 1916 წლამდე
გადაიხადა 46 768 მანეთი, რაშიც შედიოდა ფირმის მიერ საიჯარო
გადასახადის სახით წინასწარ გასტუმრებული თანხა — 17 697 მანე-
თი[9]. მას ხაზინისაგან იჯარით ჰქონდა აღებული ჭიათურის რკინიგზის
საგზურების ბაქნები და საწყობები, რაშიც 1916 წლამდე გადაუხდია
7 148 მანეთი[10], ხოლო ინგლისური ფირმისაგან „ძმ. ფორვუდები და
სელაარი" გერმანულ ფირმას 1912 წელს შეუძენია „რკინიგზის ჩი-
ხი" დიდ ჭიკოურში[11]. მთელი უმადნო მიწები და რკინიგზის საგზუ-
რებზე აღებული ადგილები ფირმას დაუჯდა 60 515 მანეთი.

როგორც ვხედავთ, „გელზენკირხენის" საბადოები და უმადნო
მიწები, ხელშეკრულებათა ძალით სულ დაჯდა (988 515+60 515)
1 048 030 მანეთი. აქედან გადახდილი ჰქონდა 982 956 მანეთი, ხო-
ლო მომავალში უნდა გაესტუმრებინა 65 991 მანეთი[12]. ფაქტიურად
(საორგანიზაციო ხარჯებისა და სხვადასხვა გამოსაღებთა ჩათვლით)
მთელი ეს ოპერაციები ფირმას დაუჯდა სულ 1 339 425 მანეთი[13].

ამგვარად, „გელზენკირხენის" (ისევე როგორც მეორე გერმანუ-
ლი ფირმის — „კავკასიის საბადოთა ამხანაგობის") საქმიანობაში
მოექცა ჭიათურის მარგანეცის მადნის უმდიდრესი საბადოების ნაწი-
ნელოვანი ნაწილი. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია კავ-
კასიის ადმინისტარციას, რომლის მესვეური, რამდენადმე მოგვიანე-
ბით (1916 წელს) აცნობებდა იმპერიის მინისტრთა საბჭოს: „დაიწყეს
რა საქმიანობა დამზადებული მადნის შესყიდვით, გერმანული ფირ-
მები გადავიდნენ მარგანეცის მადნის საბადოთა სისტემატურ შეს-
ყიდვაზე. კონკურენტის უყოლობის გამო ორმა გერმანულმა საკა-
ციო ფირმამ უკანასკნელ ათ წელიწადში შეძლო შეეძინა, უმთავ-
რესად საიჯარო უფლებით, 700 დესეტინაზე მეტი, საიდანაც 500
დესეტინაზე მეტი საუკეთესო საბადოებია ჭიათურის რაიონში"[14]. ამა-
ვე დროს გერმანული ფირმა ცდილობდა მიწების აღება ისე ეწარმოე-

---

[9] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 515, Л. 35. 55, 61, 90, 122.

[10] იქვე, საქ. 514, ფურც. 262.

[11] იქვე, ფურც. 449, მეორე გვერდი.

[12] იხ. ცხრილი, რომლის მონაცემებს ამ შემთხვევაში ვემყარებით (ЦГИАЛ, Ф. 23. оп. 28, д. 514, л. 280—281).

[13] იქვე, ფურც. 281, მეორე გვერდი.

[14] იქვე, ფურც. 1276, ანაწ. 19, საქ. 1221, 1916 წ. ფურც. 26; ფონ. 23, ანაწ. 28, საქ. 514, ფურც. 6.

ბინა. რომ საუკეთესო საბადოების ხელში ჩაგდებასთან ერთად უზრუნველეყო ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვადასხვა უცხოური ფირმების საკუთრებასა თუ სარგებლობაში დარჩენილი მიწის ნაკვეთების გარშემორტყმა. ამ ნაკვეთების ირგვლივ „გელზენკირხენი" ხშირად ისეთ უმადნო მიწებსაც იღებდა, რომლებიც მას უმთავრესად მხოლოდ სხვა, ადგილობრივ თუ უცხოელ მეწარმეთა საბადოებიღან მადნის გასაზიდი გზების ჩასაკეტად გამოადგებოდა. ამგვარ „ალყაში" მოაქცია მან ინგლისური და ფრანგული ფირმების საბადოები რგანსა და მღვიმევში. ამასთანავე საბადოების აღებისას ის გაურბოდა განაპირა ნაკვეთების აღებას, იმ ვარაუდით, რომ სხვა მეწარმე მათ ხელს არ მოკიდებდა და მომავალში თვითონვე დაისაკუთრებდა. გერმანული ფირმების, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა „გელზენკირხენის" ამგვარი მოქმედების დახასიათებისას მეფისნაცვალი 1916 წელს ასევე აღნიშნავდა: „თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საუკეთესო საბადოების ფართობი არც თუ ისე დიდია და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, ადრე უსისტემო მუშაობის შედეგად, გამოუსადეგარია სწორი ექსპლოატაციისათვის, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ გერმანულმა ფირმებმა დაიპყრეს ყველაზე საუკეთესო საბადოები დიდი ნაკვეთების სახით. დარჩენილი მიწები მცირე, უცხოელთა მიერ შეძენილი საბადოების განაპირა ნაკვეთებია, ან შეიცავენ მადნის მეტისმეტად ღარიბ და უხარისხო ფენებს, რომელთა ექსპლოატაცია არცაა მომგებიანი"[15].

„გელზენკირხენი" სოლიდური კაპიტალის დაბანდებით საუკეთესო საბადოთა მნიშვნელოვან ნაწილს დაეპატრონა. მან მტკიცედ გაიდგა ფესვები ყველაზე საუკეთესო საბადო ზეგნებზე და იმთავითვე შეუდგა საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის რაციონალურად მოწყობას. წარმოების აღჭურვას მოწინავე ტექნიკის ფართოდ დანერგვისა და გამოყენების საფუძველზე.

„გ ე ლ ზ ე ნ კ ი რ ხ ე ნ ი ს" ს ა წ ა რ მ ო თ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ-ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ბ ა ზ ი ს შ ე ქ მ ნ ა (ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი მ ო წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა, ნ ა გ ე ბ ო ბ ა ნ ი, ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი). გერმანიის საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენელთა სააქციო გაერთიანებას, ბუნებრივია, არ გაუჭირდა თავის საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა და აუცილებელ ნაგებობათა გამართვა ჭიათურის სამრეწველო რაიონში, რომელიც 1909—1914 წლებში „გელზენკირხენის" საწარმოთა და ნაგებობათა ფართო ქსელით დაიფარა. ფირმამ

[15] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 6.

სარგებლობისა თუ საკუთრების უფლებით შეძენილ მიწებზე გამართა ხაგებობანი და ტექნიკური მოწყობილობა: ჭიათურაში აგო ორი ორსართულიანი ქვიტკირის სახლი ადმინისტრაციისა და კანტორისათვის, ერთი ძერეული ტიპის სახლი, შეიძინა ბეგთაბეგოვის ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, გაძართა დამხმარე ხაგებობანი, გაიჩიხა ბაქხები და მადნის საწყობები; რგანში აგო ძლავრი გამაძდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც საჰაერო-საბაგირო გზით, ბრემსბერგით და რელსებიანი გზით დაუკავშირა რგანისავე საბადოებს, აქვე გაძართა მან ორსართულიანი სახლი მოსამსახურეებისათვის, სახლი — სახელოსნო-საძჭედლო, რკინის ძასალისა და იხვეიტარის, ასევე დენთის საწყობები, ქვიტკირისა და ხის საცხოვრებელი სახლები, ხავარძეთში — ორი სახლი და აუზი; მღვიმევში, პერევისაში და ითხვისში — კახტორის, მოსამსახურეთა, ბუ'ძათა, აგოეთვე სახელოსნო-საძჭედლოებისა და მადნის დასაწყობად გახკუთვნილი ქვიტკირისა და ხის სახლები. ფირმამ მოაწყო ლაბორატორია, ტექნიკური გაწყოფილება, ტექნიკურად მოწყობილი გზები გაძართა რგაესა და ითხვის'ი, 17 ადგილას დადგა სასწორები, მოზიდა სხვადასხვა სახისა და დანიშნულების აურაცხელი ძასალა (რელსები, რკისის ვაგონეტები, საბაგირო გზისა და ბრემსბერგის მოწყობილობა და სხვ.), საძუ'ძაო იარაღები და ინვენტარი, საცხოვრებელი სახლების მოწყობილობა (ავეჯი) და სხვ. ფიოდას ფოთძიც ჰყოლდა რამდენიმე სახლი, დამხმარე ხაგებობა, ბაქნები და საწყობები. ძთელი ეს უძოავ-მოძრავი ქონება ჭიათურასა და ფოთში დეტალურად აღწერა და თვითღირებულების მიხედვით ბეაფასა მთავრობის მიერ გერმანული ფირძების სალიკვიდაციოდ შექმნილმა საძმართველომ. აღწერა-შეფასების უწყისები ორ ტომს ბ'ეადგენს[1]. ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ფირმას 3 ორსართულიანი სახლი და დამხმარე ნაგებობანი ჭიათურაში დაუჯდა 104 309 მანეთი, ხოლო სალიკვიდაციო სამმართველომ შეაფასა 94 833 მანეთად[2], ბეგთაბეგოვის ყოფილი სახლი კი 5763 მანეთად[3].

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ინდუსტრიულად გარდაქმნის საილუსტრაციოდ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს „გელზენკირხენის" მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც, სპეცი-

---

[1] პირველია: «Сводная ведомость по оценке построек и сооружений Гельзенкирхенского горнопромышленного предприятия» (იხ. ЦГИАЛ, ф. 23, оп. 82, д. 509, л. 2—62 об.); მეორეა: «Гельзенкирхенское общество. Опись и оценка инвентаря и материалов (იხ. ЦГИАЛ, ф. 23. оп. 28, д. 512, л. 1—73).

[2] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 509, л. 4—8.

[3] იქვე. ფურც. 10.

ალისტების ალიარებით, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აშენდა და 1913 წელს შევიდა ექსპლოატაციაში[4]. ქვიტკირის ხუთსართულიან, რკინით გადახურულ სახლში მოთავსებულ ფაბრიკაში, როგორც ამას მოწმობს მისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დეტალური აღწერის აქტი, მთელი საწარმოო პროცესი (საბადოდან მადნის მიღება, დანაყვა-დამსხვრევა, დახარისხება, გარეცხვა, გაშრობა და რკინიგზის შტოს სადგურზე გადაზიდვა) მექანიზებული იყო. ფაბრიკის მანქანების სისტემა „საერთო ძრავას" („მთავარ მოტორს") მოჰყავდა მოქმედებაში[5]. მას ამოძრავებდა: 1. ასცხენისძალიანი ნავთობის ძრავა (ჰორიზონტალური, კერტინგისა, მთელი თავისი მოწყობილობით, მქნევარათი, რომელიც წუთში 180 ბრუნს აკეთებდა); 2, დინამომანქანა (მუდმივი დენისა 230 ვოლტ., 143 ამპერისა, წუთში 1400 ბრუნით), რომელსაც გააჩნდა გამანაწილებელი დაფა მთელი თავისი მოწყობილობით; 3. ელექტროძრავა (220 ვოლტ-98 ამპ., რეოსტატით, წუთში 2300—2600 ბრუნით)[6]. ფაბრიკას გააჩნდა: 1. ორი ერთნაირი ხის აუზი, გარსშემოკრული მოთუთიებული რკინით, რომელიც განკუთვნილი იყო გამამდიდრებელი ფაბრიკის მექანიზმების მუშაობასთან დაკავშირებით საჭირო წყლისათვის; 2. გასამდიდრებელი მადნის მიმღები, 800 ფუთის ტევადობის ბეღელი, რომელიც შიგნით ამოპერანგებული იყო რკინის სქელი ფურცლებით; 3. ცილინდრული დოლი რკინისა (4 მეტრის სიგრძისა და 1,5 მეტრის დიამეტრისა), რომელთანაც იყო მიმაგრებული კონუსური დოლი (1,5 მეტრის სიგრძისა და 1,25 მეტრის დიამეტრისა, 30 მილ. მეტრიანი ნახვრეტებით). დოლი მოძრაობაში მოდიოდა მთავარი ძრავასაგან კბილანა გადაცემის სისტემით, 4. კონუსური გამყოფი დოლი რკინისა (4,25 მეტრის სიგრძისა, 1,75 მეტრისა და 1,25 მეტრის დიამეტრისა, 30-მილიმეტრიანი დიამეტრის ნახვრეტებით). გარე დოლი (2,5 მეტრის სიგრძისა, 3,5 მილიმეტრის დიამეტრის ნახვრეტებით), რაც მოძრაობაში მოდის მთავარი ძრავას ძალით; 5. ორი ერთნაირი კონუსური დამყოფი დოლი რკინისა (სიგრძით თითო 3 მეტრისა, დიამეტრით 1,25 და 1 მეტრისა, 6 და 1,8 მილიმეტრიანი ნახვრეტებით, სადგარის სიგრძე იყო 1,5 მეტრი, სიგანე 1,9 მეტრი, წონა 223 ფუთი...) 7. რკინის მოძრავი საკვალთი, ეკოცენტრით, რკინის გორგოლაჭზე, რომელიც მისაღები ბეღლიდან მადანს აწვდიდა დიდ დოლს და მოძ-

---

[4] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 509, л. 11—14; სსსა. ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 325, ფურც. 69.

[5] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 509, л. 14.

[6] იქვე.

რაობაში მოდიოდა (განსაკუთრებული მოწყობილობით) ფაბრიკის მთავარი ძრავას ძალით; 8. სალექი ცხრილი სამი განყოფილებით, დგუშით და საცერით, მთელი თავისი მოწყობილობით... 9. რკინის ძაბრები; 10. რკინის ამწე (ელევატორი) შიდა პირდაპირი ნიჩბებით, — გაუხვეველი მადნის ასაღებად საერთო წყალსაგროვიდან და წყლისაგან მადნის გასათავისუფლებლად (მადნის გაშრობა). ეს მექანიზმიც საერთო ძრავას ძალით მოქმედებდა. 11. ხის ბეღელი ფუჭი ქანების დასაყერად 15. ცენტრიდანული ტუმბო... 17. დგუშიანი ტუმბო... 18 ტრანსმისიანი რკინის ლილვი და მისი საკისარები... 20. გასაერთიანებელი ქურო... 21. ხახუნა ქურო გადასაბმელი მოწყობილობით, მთავარი ტრანსმისიის ასამოძრავებლად... 23. მამოძრავებელი ღვედები ერთი ჩვეულებრივი ტყავისა, მეორე აქლემისა, მესამე „დიკა-ბალასტისა"... 25. მილები, ერთი თუჯისა, მეორე რკინისა და სხვ.[7]. ქარხანა უზრუნველყოფილი იყო ელექტროგანათებითა და ცენტრალური გათბობით, აუზებითა და სხვადასხვა რეზერვუარით, წყლის საქაჩავი ტუმბოებითა და სხვ.

ფაბრიკის შენობისა და დამხმარე ნაგებობების მშენებლობა გერმანულ ფირმას 72 651 მანეთი დაუჯდა; ხოლო ფაბრიკის მოწყობილობა, მანქანები და მექანიზმები — 73 403 მანეთი[8]. სალიკვიდაციო სამმართველომ ის შეაფასა 146 055 მანეთად[9]. როგორც აღვნიშნავდით, გამამდიდრებელი ფაბრიკა მადნის მექანიკური გადასაზიდი ხაზებით ერთი მხრივ დაკავშირებული იყო საბადოსთან, ხოლო მეორე მხრივ რკინიგზის შტოსთან. ფირმის მაღაროებიდან მადნის მიწისქვეშა ზიდვა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით ხდებოდა. ეს გზა უშუალოდ უკავშირდებოდა როგორც საჰაერო-საბაგირო, ისე ბრემსბერგის ზედა სადგურის ბაქნებს, საიდანაც დასახელებული გზებით მადანი მიემართებოდა გამამდიდრებელი ფაბრიკისაკენ, კერძოდ, საჰაერო-საბაგირო გზით მადანი მიემართებოდა ფაბრიკის „ძაბრში", რომლის ქვეშ მოთავსებული რეგულატორი მადანს თანაბარი ზომით აწვდიდა სარეცხ დოლს, სადაც მადანი წყლის უძლიერესი ნაკადის მეშვეობით თავისუფლდებოდა ფუჭი ქანისა და ლამისაგან. ლამი გადადიოდა საცერში, ხოლო მადანი გადმოდიოდა დოლიდან. რეცხვის დროს ლამთან ერთად გაყოლილი მადანი კვლავ ირეცხებოდა — ირჩეოდა, დანაკარგი გამორიცხული იყო[10].

ფირმის მიერ რგანის საბადოებიდან ფაბრიკამდე გაყვანილი ტექ-

---

[7] ЦГИАЛ, ф, 23, оп. 28, д. 509, ფურც. 11—14.

[8] იქვე, ფურც. 14—17.

[9] იქვე, ფურც. 17.

[10] Отчет Кавказского горного управления за 1913 год. 1914, გვ. 91.

ნიკურად მოწყობილი უსასრულო ტიპის საჰაერო-საბაგირო გზის სიგრძე 620 საჟენს შეადგენდა და მასზე მოძრაობდა თითო 26 ფუთის ტევადობის რკინის 28 დაკიდული ვაგონეტი[11]. გზას გააჩნდა ყოველგვარი მოწყობილობა და ორი სადგური. მისი მშენებლობა ფირმას 74 404 მანეთი დაუჯდა[12]. „გელზენკირხენმა" მოაწყო ტექნიკურად საუცხოოდ გამართული ბრემსბერგი 57 საჟ. სიგრძის, 90 ფუთის ტევადობის ორი ვაგონეტითა და სატვირთო ბაქნით[13]. ბრემსბერგის ზედა სადგური უშუალოდ, რელსებიანი გზით, იყო დაკავშირებული მაღაროსთან. რელსებიანი გზის სიგრძე 194 საჟენს შეადგენდა და მასზე მოძრაობდა 35—40 ფუთის ტევადობის რკინის 14 ვაგონეტი. მთელი ამ გზების გამართვა ფირმას დაუჯდა 5 499 მანეთი.

რგანში გამამდიდრებელი ფაბრიკიდან საბადოებამდე გამართული საჰაერო-საბაგირო გზის ზედა ბაქნიდან უშუალოდ მაღაროში იყო შეყვანილი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რკინის 31 ვაგონეტით. მისი მოწყობილობა ფირმას დაუჯდა 8 044 მანეთი. ფირმამ მღვიმევშიც გამართა ასეთი გზა, 564 საჟ. სიგრძისა, 7 ვაგონეტით, რაც დაუჯდა 3 538 მანეთი, ხოლო ჭიათურაში 162 საჟ. სიგრძის რკინიგზის ჩიხი—5 760 მანეთი.

გამამდიდრებელი ფაბრიკის ირგვლივ აშენებული ქვიტკირისა და ხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სახელოსნო-სამჭედლოს და საწყობების მშენებლობა ფირმას 19 326 მანეთი დაუჯდა[14]. ფაბრიკის მახლობლად, მდ. ყვირილას მარჯვენა მხარეზე, ფირმამ ააგო ქვიტკირისა და ხის (თუნუქითა და ყავრით გადახურული) დამხმარე ნაგებობები, რაც დაუჯდა 4 187 მანეთი. რგანში აგებული

---

[11] დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ამ გზაზე «Подвесные вагонетки двигаются (с автоматическими, патентованными) зажимами (Блейхарта) подвижным автоматическим смазывающим прибором (патентованным) и телеграфною сигнализацией. На нагрузочной при рудниках станции установлены на бетонном фундаменте тормозное и натяжное устройства, каменные на цементе, фундаменты на протяжении 56 пог. саж. для 23 железных рам, склепанных из углового и желебчатого железа. Здесь же имеются весы для взвешивания груженных вагонов на приемной станции каменной на цементе и бетонный фундамент и тяжелые противовесы для выравнивания провесов канатов, длина станции 25,40 метра; станция крыта железом. Канаты стальные: ведущий грузовой 32 мм, ведущий порожный 23 мм, тянущий 18 мм» (ЦГИАЛ. ф. 23. оп. 28. д. 509, л. 18—19).

[12] ЦГИАЛ. ф. 23. оп. 28. д. 509. л. 19.)

[13] იქვე. ფურც. 46. საბუთში ვკითხულობთ, რომ «При бремсберге нагрузочная платформа с площадкою протяжением 15 саж». (იქვე, ფურც. 46—47).

[14] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 509, л. 47, 51, 57, 58, 22—23.

საცხოვრებელი სახლებისა და მუშათა ყაზარმების, სახელოსნოსა და ინვენტარ-მოწყობილობის საწყობების მშენებლობაზე დაიხარჯა 25 258 მანეთი. ამგვარივე ნაგებობის მშენებლობა მღვიმევში ფირმას დაუჯდა 1 046 მან. მეჩხერაში—325 მან, ითხვისში—4 215 მანეთი და სხვ. „გელზენკირხენის“ მთელი ეს ტექნიკური მოწყობილობა და ნაგებობანი ფირმის სალიკვიდაციო სამმართველომ შეაფასა (რამდენადმე შემცირებული თვითღირებულების მიხედვით) 388 220 მანეთად[15]. ხოლო მისი კუთვნილი სამრეწველო-სამეურნეო ინვენტარი, მოწყობილობა-მასალები და ავეჯი, რაც ფირმას 71 645 მანეთი დაუჯდა, შეფასდა 52 925 მანეთად.

სალიკვიდაციო სამმართველომ ერთგვარი გაოცებაც კი გამოთქვა ფირმის საწყობებში შენახული რელსების, საბაგირო გზების სამშენებლო, ასევე სხვა ტექნიკურ მოწყობილობათა და მასალების მარაგის სიდიდის გამო. ფირმის საწყობებში არსებული უზარმაზარი მარაგი, უამრავი „გეგმები და ნახაზები“ თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რამდენ ფართო მასშტაბის სამუშაოები ჰქონდა განზრახული „გელზენკირხენს“ თავის საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღებ-ს გასაძლიერებლად[16]. ამრიგად, დავინახეთ. რომ „გელზენკირხენმა“ რამდენიმე წელიწადში შეძლო ჭიათურის აუზში დასაკუთრებულ საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის ინდუსტრიულად მოწყობა და ის ამ მიმართულებით (1914 წლის ივლისამდე) განაგრძობდა და აძლიერებდა საქმიანობას იმდროინდელი ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გამოყენების ბაზაზე.

„გ ე ლ ზ ე ნ კ ი რ ხ ე ნ ი ს“ ზ რ უ ნ ვ ა ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი ს გ ა ს ა ფ ა რ თ ო ე ბ ლ ა დ დ ა ქ ო ბ უ ლ ე თ შ ი ს ა კ უ თ ა რ ი ნ ა ვ ს ა დ გ უ რ ი ს მ ო ს ა წ ყ ო ბ ა დ. ფირმის ოპერაციები თავისი მასშტაბითა და ხასიათით ვერ თავსდებოდა „უმაღლესად“ დამტკიცებული წესდების ფარგლებში. ამიტომ მან განიზრახა უფრო ფართო ოპერაციების წარმოების უფლების მოპოვება. ამ მიზნით „საზოგადოებამ“ 1912 წლის 30 მარტს ბერლინში მოიწვია აქციონერთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, „იშუამდგომლოს რუსეთის უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა მან უფლება მისცეს ს აქციო საზოგადოებას გააფართოოს თავისი საქმიანობა შემდეგი ოპერაციებით: 1. ნედლი და დამუშავებული მადნის, რკინის, ფოლადის, ქვანახშირის, კოქსის, ყოველგვარი სასუქების, ცემენტის, მარცვლეულის, პურის და სხვა პროდუქტების გაზიდვა-შემოზიდვით და ამ

[15] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 509, Л. 26—27, 20, 34, 38, 39.

[16] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 512, л. 73, 60.

პროდუქტებით ვაჭრობით, როგორც თავისთვის, ისე სხვისი დავალებით და 2. ელევატორების და სატრანსპორტო საქონლის დატვირთვა-გადატვირთვის სხვადასხვა საშუალებათა მშენებლობით როგორც საკუთარ, ისე იჯარით აღებულ მიწებზე...". ყველა ამ ოპერაციისათვის განკუთვნილი იყო 600 000 მარკა. ზემოთ დასახელებული შუამდგომლობა პეტერბურგში და თბილისში განხილვის სტადიაში იყო, როცა „გელზენკირხენმა" 1912 წლის აგვისტოში რუსეთის მთავრობას და კავკასიის ადმინისტრაციას მიმართა მეორე შუამდგომლობით, რომლითაც თხოულობდა ნება დაერთოთ აეშენებინა მარგანეცის მადნისა და სხვადასხვა საქონლის დასატვირთი საექსპორტო ნავსადგური ქობულეთის მახლობლად (შავი ზღვის სანაპიროზე)[1]. მეფისნაცვალი კავკასიაში, ისევე როგორც რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, გერმანული ფირმის შუამდგომლობას თავდაპირველად თანაგრძნობით მოეკიდა, მაგრამ მალე საქმეში ჩაერია, ერთი მხრივ, რუსეთის სამხედრო სამინისტრო, ხოლო, მეორე მხრივ, მეფისნაცვლის თანაშემწე სამხედრო ნაწილში. უკანასკნელმა აცნობა პეტერბურგში, რომ „გელზენკირხენის" შუამდგომლობა სამხედრო უწყების ინტერესების თვალსაზრისით განიხილა „კავკასიის სამხედრო ოკრუგის შტაბმა", რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ «В случае войны Кавказским войскам предстоит серьезная задача оборонить беззащитный Потийский порт от опасности высадки осадных орудий, направленных против Батумской крепости, а потому тем более не следовало бы осложнять эту задачу другою, еще более трудною, а именно — необходимостью оборонять от такой же опасности Кобулетский порт, еще более близкий к Батумской крепости, сооруженный и эксплоатируемый германской фирмой и представлящий для Батума такую же опасность, какую угрожал Порт-Артуру порт Дальний». მეფისნაცვლის თანაშემწემ სამხედრო ნაწილში, გენერალმა შატილოვმა, 1913 წლის მარტში აცნობა სამხედრო სამინისტროს, რომ „მობილიზების მოტივითა და ოპერატიული მოსაზრებებით ასეთი ნავსადგურის მოწყობა ციხე-სიმაგრესთან ესოდენ ახლო-მეზობლად უდავოდ დაუშვებელია". გერმანული ფირმის მიერ ნავსადგურის მოწყობის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა სამხედრო სამინისტრომაც, ხოლო ფირმის შუამდგომლობას სხვა ოპერაციების გაფართოების უფლების მოსაპოვებლად მთავრობის ორგანოები თანაგრძნობით მოეკიდნენ. რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, რომელიც მხა-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, Д. 507, л. 14—15, 2—2, об.

რის ეკონომიური გაძლიერების მოტივით თავიდანვე მისაღებად თვლიდა ქობულეთში ნავსადგურის მშენებლობასაც კი, მხარს უჭერდა „გელზენკირხენის“ შუამდგომლობას[2]. უკანასკნელს მაინც უარი ეთქვა ნავსადგურის მშენებლობაზე, ხოლო სხვა ოპერაციებზე ნებართვის მიცემამდე მსოფლიო ომი დაიწყო.

რუსეთის მთავრობამ ომის დაწყებისთანავე გაამახვილა ყურადღება „გელზენკირხენის“ ცდებზე ქობულეთში ნავსადგურის ასაგებად. ამასთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრი, 1914 წლის 26 ოქტომბერს აცნობებდა ი. გორემიკინს: «Одно время Вильгельмовское предприятие задалось целью создания специальной гавани в широком масштабе в м. Кобулетах, в 20 верстах от Батума. Какие коммерческие цели преследовали чуждые нам немецкие предприниматели в создании плана оборудования широкого порта многомиллионной стоимости при громадных естественных и технических трудностях рядом с прекрасно устроенным Батумским портом — не трудно догадаться. Устроители, безусловно имели в виду открытие морских дверей и легкого доступа к Батумской крепости»[3]. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ მოსაზრებასა და გერმანული ფირმის ნამდვილ განზრახვას შორის კავშირი არსებულიყო. უნდა შევნიშნოთ, რომ „გელზენკირხენს“, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანულ სავაჭრო-სამრეწველო-სატრანსპორტო ფირმა დეიჩერ კაიზერთან“ და ინგლისურ „სატრანსპორტო კომპანია — ვოტანთან“, შავი ზღვის აუზში საკუთარი ნავსადგურის შესაქმნელად ზრუნვა, როგორც ჩანს, მხოლოდ 1912 წელს არ დაუწყია. სავარაუდოა, რომ 1914 წელს, ომის დაწყების შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ინგლისიდან მიღებული ცნობა „გელზენკირხენის“ კომპანიის მიერ (დეიჩერ კაიზერთან ერთად) ნიკოლაევში ფართო დანიშნულების ელევატორის აშენების შესახებ[4], არ იყოს საფუძველს მოკლებული.

საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყება. ზემოთ გავეცანით იმის მიზეზებს, თუ რატომ არ ჩქარობდა და შეგნებულად აყოვნებდა „გელზენკირხენი“ თავის საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციას ჭიათურის აუზში. მან პირველად 1910

---

[2] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 507, Л., 4, 11, 16—39.

[3] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 21.

[4] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 510, л. 3.

წელს წამოიწყო მადნის მოპოვება რგანში, მომავალი გამამდიდრებელი ფაბრიკის მახლობლად.

ჩვენ არ გაგვაჩნია ზუსტი ცნობა ფირმის მიერ მოპოვებული მადნის რაოდენობაზე. სამაგიეროდ ვიცით, რომ რგანში ყველა შტოლნის საერთო სიგრძე 1002 საჟენს უდრიდა, მათი საშუალო სიგანე 1 საჟენს. ხოლო საბადოს წიაღში მადნის უკვე დამუშავებული ფენების ფართობი 1 002 კვ. საჟენს, გაწეული წმენდითი სამუშაოებისა — 1245 კვ. საჟენს, სამთო გამონამუშევრების მთელი ფართობი კი სულ 2 247 კვ. საჟენს შეადგენდა.

1910 წლის მიწურულს გერმანულმა ფირმამ დაზვერვითი და მოსამზადებელი სამუშაოები აწარმოვა მღვიმევში დასაკუთრებულ საბადოთა საექსპლოატაციოდ. სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის დროისათვის აქ სამთო გამონამუშევრების საერთო სიღრმე 875 საჟენს არ აღემატებოდა, მათი სიგანე კი ერთ საჟენს. წმენდით სამუშაოს აქ ადგილი არ ჰქონია. მადანი გამოღებული იყო 875 კვ. საჟ. ფართობზე. ფირმამ ითხვისში უმთავრესად დაზვერვითი სამთო სამუშაოები აწარმოვა[1]. სალიკვიდაციო სამმართველომ ფირმის საბადოთა საერთო ფართობი მღვიმევში, რგანსა და ითხვისში, — უკვე დამუშავებული ფენების საერთო ფართობის შესაბამისად,—შემცირებულად ჩათვალა[2]. მოტანილი, არაპირდაპირი ცნობები გვიჩვენებენ, რომ ფირმა უკვე ფართოდ შეუდგა საბადოთა სამრეწველო ათვისებას, ცნობები მიგვითითებენ იმაზე, რომ 1914 წელს, სამრეწველო რაიონიდან 12 მილიონი ფუთის გაზიდვის მიუხედავად, მას მარაგის სახით მარტო ჭიათურაში გააჩნდა 1 642 746 ფუთი საკუთრივ მოპოვებული მადანი[3].

* * *

გავეცანით მძლავრი გერმანული ფირმის „გელზენკირხენის" მიერ ჩვენში გაჩაღებულ კომერციულ და სამრეწველო საქმიანობას, დავინახეთ, რომ ის ენერგიულად განახორციელებდა ფართო ეკონომიურ ექსპანსიას, წარმატებით იკაფავდა გზას ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში მონოპოლიური ბატონობისაკენ. მაგრამ ამ გზაზე ის შეაჩერა პირველმა მსოფლიო ომმა, რომლის დაწყების შემდეგ რუსეთის მთავრობამ გააუქმა ჭიათურაში მოქმედი გერმანული ფირმები.

---

[1] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 509, л. 50—51, 56—57, 58.

[2] იქვე, ფურც. 51, 57, 58.

[3] ЦГИАЛ, 23, оп. 28, д. 511, л. 42, об.

საამისოდ შექმნილმა სალიკვიდაციო სამმართველომ „გელზენკირხენის“ მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ჭიათურაში (თვითღირებულების მიხედვით, სალიკვიდაციოდ ხარჯების გამოკლებითა და თვითღირებულების რამდენადმე შემცირებითაც) ასე შეაფასა[4]: ფირმის საკუთრებასა და დროებით სარგებლობაში არსებული მიწები და ბაქნები — 1 354 760 მანეთად, ნაგებობანი და მოწყობილობა — 388 320 მან., მადნის მარაგი — 777 564 მან., ინვენტარი — 52 926 მან., სალარო — 501 მან., დებიტორებზე ირიცხებოდა — 104 787 მან, სულ — 2 678 858 მანეთი.

ახლა გავეცნოთ სხვა გერმანული ფირმის მოქმედებას ჭიათურის მრეწველობასა და მისი ნაწარმის შესყიდვა-ექსპორტის სფეროში.

ბ. „კავკასიის საბადოთა ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობით“

(„Caucasischen Crubenverein, Gesellschaft mit beschränkter Naftung“)

გერმანული კაპიტალის პოზიციებს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში, პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში („გელზენკირხენის“ პარალელურად) განამტკიცებდა მეორე მსხვილი ფირმა „კავკასიის საბადოთა ამხანაგობა“, რომელიც რუსეთში ოპერაციებისათვის დაშვებულ იქნა 1911 წლის სექტემბერში, „უმაღლესად“ დამტკიცებული წესდების საფუძველზე[1]. წესდების თანახმად სააქციო საზოგადოებას ნება დაერთო ეწარმოებინა მარგანეცის. ასევე სხვა (ოქროს, ვერცხლისა და პლატინის გარდა) მეტალების საბადოთა შეძენა, იჯარით აღება და ექსპლოატაცია კავკასიასა და იმპერიის სხვა მხარეებში, აგრეთვე მადნეულობის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები.

ფირმის დამაარსებლები და განმკარგულებელი დირექტორები იყვნენ: ჰამბურგელი ვაჭრები: ზ. ბერენდტი, ი. ბოდენგეიმერი და მ. როზენბაუმი, აგრეთვე ქართველი სამთო ინჟინერი ბარნაბ პაპავა, რომელიც პარტნიორთა შუამდგომლობითა და „უმაღლესად“ დამტკიცებული „პირობების“ ძალით, გახდა ფირმის პასუხისმგებელი გამგე ჭიათურაში[2].

---

[4] ЦГИАЛ. ф. 23, оп. 28, д. 514. л. 228. 285.

[1] ЦГИАЛ. ф. 23, оп. 14, д. 507, 1914—1915 гг., л. 40, об.

[2] ЦГИАЛ. ф. 23, оп. 28, д. 514, 1914—1916 гг., л. 262, об.

სააქციო საზოგადოების დამფუძნებლებს შორის 1910 წლის 27 აპრილს ჰამბურგში დადებული ხელშეკრულების მე-5 მუხლიდან ჩანს, რომ „ძირითადი კაპიტალის“ შესადგენად ზ. ბერენდტმა და ი. ბოდენგეიმერმა გაიღო თითო 28 200 მარკა, მ. როზენბაუმმა — 18 600, ხოლო ბ. პაპავამ 25 000 მარკა[3]. აქედან პირველმა სამმა ფული გაიღო, ხოლო უკანასკნელმა ფულთან ერთად ჭიათურაში უკვე აღებული საბადო ნაკვეთებიც. ასე რომ ფირმის ძირითადი კაპიტალი 100 000 მარკას, ანუ 46 300 მანეთს შეადგენდა[4]. აქციონერთა მონაწილეობა ფირმის ძირითადი კაპიტალის შედგენაში და, მაშასადამე, წარმოებაში პროცენტულად ასეთია ზ. ბერენდტისა და ი. ბოდენგეიმერისა თითო 28,2%, მ. როზენბაუმისა—18,6%, ხოლო ბ. პაპავასი — 25%. პარტნიორებს შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის ძალით „წმინდა მოგება“ წევრებს შორის ასე ნაწილდებოდა: პაპავას 1/3, ხოლო 2/3-ს სხვები ასე ინაწილებდნენ: ზ. ბერენდტსა და ი. ბოდენგეიმერს ეძლეოდა თითოს 37,5%, ხოლო მ. როზენბაუმს კი 25%, სხვანაირად წმინდა მოგებიდან პაპავას ეძლეოდა 33,5%, ზ. ბერენდტსა და ი. ბოდენგეიმერს თითოს 25%, ხოლო მ. როზენბაუმს 16,5%.

ირკვევა, რომ ფირმას ამოფარებოდა და ამძლავრებდა გერმანიის სამრეწველო და ფინანსიური კაპიტალის უგვირგვინო მეფე კრუპი. ამაზე ერთმანეთს აცნობეს მთავრობის ორგანოებმა. ასე მაგალითად, კავკასიის ადმინისტრაცია 1914 წლის დამლევს აცნობებდა იმპერიის ფინანსთა სამინისტროს: „პერიოდული პრესის ცნობით „კავკასიის საბადოთა ამხანაგობის“ აქციონერია გერმანელი მექარხნე კრუპი. თავის მხრივ ფინანსთა სამინისტრო ატყობინებდა მინისტრთა კომიტეტს: სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ ამხანაგობა გერმანიის სამხედრო ქარხნების მთავარი მომმარაგებელია, კრუპის ქარხნებისათვის მარგანეცის მადნის მთავარი მიმწოდებელია“[5].

„კავკასიის საბადოთა ამხანაგობის“ ერთ-ერთმა წევრმა, ბ. პაპავამ, ჯერ კიდევ 1909 წელს იჯარით აიღო 9 დესეტინა ფართობის საბადო ნაკვეთები ჭიათურაში. 1911 წლის დამლევს ფირმამ დაიწყო და გააგრძელა საბადოთა შეძენა და იჯარით აღება, მადნის შესყიდვა და ექსპორტი. ის იმთავითვე შეუდგა სამუშაოებს წარმოებისათვის აუცილებელ ნაგებობათა, ტექნიკურ მოწყობილობათა და, კერძოდ, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ასაშენებლად.

---

[3] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, 1914 — 1916 гг., л. 262, об.

[4] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 46.

[5] ЦГИАЛ, ф. 23 оп. 14, д. 507, л. 47, 50, 49.

ფირმამ დიდძალი კაპიტალი დაებანდა ჭიათურის მარგანეცის საბადოთა აუზის სხვადასხვა ზეგანზე საუკეთესო მადნიანი ნაკვეთების ხელში ჩასაგდებად, რომ ამით დიდი ხნით უზრუნველეყო საკუთარი სამრეწველო წარმოება, თავისი მომავალი გამამდიდრებელი ფაბრიკის, ასევე სხვა საწარმოო და სატრანსპორტო-ტექნიკურ მოწყობილობათა სრული დატვირთვა.

• • •

საბადო ნაკვეთებს ბ. პაპავა იძენდა და იჯარით იღებდა (ნოტარიალურად შემოწმებული ხელშეკრულებების გაფორმებით), ხოლო შემდეგ თავის უფლება-მოვალეობას (სათანადო აქტით) გადასცემდა ფირმას ზ. ბერენდტის სახელზე. უკანასკნელი ამ შემთხვევაში იურიდიულად მთელი სააქციო საზოგადოების (მათ შორის ბ. პაპავას) უფლებებსაც განასახიერებდა.

საბადოთა მფლობელებსა და ბ. პაპავას შორის დადებულ საიჯარო ხელშეკრულებათა და ნასყიდობის აქტები შედარებით სრულადაა დაცული ლენინგრადის საისტორიო არქივში. ამ საბუთებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ფირმა საბადოთა მეპატრონეებს მეტწილად ხელშეკრულებებისა და აქტების გაფორმებისთანავე უსწორდებოდა, იშვიათადაც გარკვეული ვადები წესდებოდა საიჯარო ქირის დასაფარავად[6]. საბუთები საინტერესო ცნობებს შეიცავს ჭიათურაში საბადოთა გაყიდვისა და იჯარით გაცემის პირობების დასახასიათებლად. საიჯარო ხელშეკრულებები იდებოდა 30 წლით და ამ ვადის გასვლის შემდეგ კვლავ ამდენივე ხნით გაგრძელების პირობით ან იჯარით გაცემულ „საბადოს მარაგის სრულ ამოწურვამდე"[7]. საიჯარო გადასახადის განსაზღვრისას, საბადოს კეთილხარისხოვნებასთან ერთად, ანგარიში ეწეოდა იჯარის ვადასაც. თუმცა, ჩანს, მადნის მარაგის სრული ამოწურვის უფლებით გაცემულ საუკეთესო საბადოს საიჯარო ფასი ბევრად არ აღემატებოდა 30-წლის ვადით გაცემული იმავე ფართობის ნაკვეთისას. ბ. პაპავა, „გელზენკირხენისგან" განსხვავებით, მეტწილად უმდიდრეს საბადოებს იღებდა, რაც უფრო ძვირიც უჯდებოდა. თუ იშვიათ შემთხვევებს მხედველობაში არ მივიღებთ, 1

---

[6] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, фурц. 263.

[7] იხ. «Копии договоров на земельные участки, приобретенные инженером Папава на свое имя»(ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 2912, л. 6—17).

დესეტინა საუკეთესო საბადო ნაკვეთი, მადნის სრული ამოწურვის უფლებით, მას დაახლოებით 2800—3000 მანეთი უჯდებოდა. აეე მაგალითად, ბ. პაპავამ 1911 წელს გლეხების—ფხალაძეების 5 ოჯახისაგან ასეთი უფლებით აიღო 11 დესეტინამდე საბადო ნაკვეთები პერევისაში 27 277 მანეთად და მან (საორგანიზაციო ხარჯების ჩათვლით) გადაიხადა 28 951 მანეთი. ასეთივე პირობით პაპავამ იმავე წელს ბ. და გ. ჩაჩანიძეებისაგან აიღო 2,3 დესეტინა ფართობის 7 ნაკვეთი 5 058 მანეთად და ამ თანხიდან იმთავითვე გადაიხადა 3 529 მანეთი. მოიჯარადრემ ანა კურცოვასაგან ასევე „მადნის მარაგის სრული ამოწურვის უფლებით“ აიღო 5 დესეტინა 15 ათას მანეთად, რაშიც ფაქტიურად გადაიხადა 16 185 მანეთი. იშვიათი არ იყო შემთხვევები, როცა იჯარით გაცემულ საბადოს ექსპლოატაციის უფლებას იტოვებდა მისი მესაკუთრე. ასე მაგალითად, 1911 წელს ბ. პაპავამ გლეხებისაგან—ფხალაძეებისაგან (10 ოჯახი) და შაქარაძეებისაგან (2 ოჯახი) იჯარით აიღო 16 დესეტინა ფართობის ნაკვეთები პერევისაში. ხელშეკრულების ძალით ამ ნაკვეთების ექსპლოატაციას პაპავასთან ერთად მათი მეპატრონეებიც აგრძელებდნენ მადნის მარაგის სრულ ამოწურვამდე[8]. პაპავას გზებითა და წყლებით უსასყიდლო სარგებლობის უფლება მიენიჭა. მასვე შეეძლო შეუზღუდველად ესარგებლა მაღაროთა ქვემოთ მდებარე ადგილებით ფუჭი ქანების გადასაყრელად, მადნის დასახარისხებლად, დასაწყობად, გასასვლელად. ტვირთის გადასაზიდად, მუშათა საცხოვრებლებისა და სხვა ნაგებობათა ასაშენებლად. ასევე ტექნიკურ მოწყობილობათა გასამართავად. მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული მიზნით არ დაეკავებია მიწის ზედაპირი, რომელიც მაღაროდან 15 საჟენზე უფრო მეტი მანძილით იქნება მოცილებული. მოიჯარადრე მრეწველს შეუძლია მაღაროთა ქვემოთ მდებარე ადგილების გამოყენება, მაგრამ ვალდებულია საბადო ნაკვეთის მეპატრონეს ყოველ კვადრატულ საჟენში ერთდროულად გადაუხადოს თითო მანეთი ან იხადოს ყოველწლიურად. იჯარით აღებული მიწის დანარჩენი ზედაპირით მოიჯარადრე მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით სარგებლობს“. თუ მოიჯარადრის მიერ წარმოებული მიწისქვეშა სამუშაოები გამოიწვევდა მიწის „დასხდომას“ და სასმელი წყლის გაქრობას, მოიჯარადრეს ევალებოდა თავის ხარჯზე გაეყვანა წყალსადენი არხი მოსახლეობის წყლით მოსამარაგებლად, ხოლო მიწის მესაკუთრეებს—თავის მიწებზე წყალსადენი არხის უსასყიდლოდ გატარება. საბადოთა მეპატრონეებს პაპავამ ხელშეკრულების დადებისთანავე გადაუხადა 27 700 მანეთი[9].

---

[8] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 2912, л. 6, 7, 35.
[9] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 2912, л. 36, 37.

გერმანულმა ფირმამ იჯარით აღებული ზოგიერთი ნაკვეთის ზედაპირით სარგებლობის უფლებაც მოიპოვა, რაც ხშირად მაშინ ხდებოდა, როცა ეს ნაკვეთი სახნავ-სათესს ან ვენახს არ წარმოადგენდა. ასეთი უფლებით გლეხებმა ფ. ა. და ს. თაბაგრებმა პაპავას იჯარით მისცეს 820 კვ. საჟ. ფართობი ზედა რგანში. მოიჯარადრე 30 წლის მანძილზე ყოველწლიურად იხდიდა 21 მანეთს, სულ კი 630 მანეთს. რაც ნაკვეთის მეპატრონეებმა იმთავითვე მიიღეს. ნაკვეთის ზედაპირით მოიჯარადრე შეუზღუდველად სარგებლობდა. ასეთი პირობით გაცემული მიწის საიჯარო ქირა ყოველთვის უფრო მაღალი იყო. ასე მაგალითად, სასულიერო პირებმა ი. და ბ. ვაშაძეებმა 1914 წელს 30 წლის ვადით მისცეს პაპავას 1 დესეტინა და 210 კვ. საჟ. მიწის ნაკვეთი. წლიური საიჯარო გადასახადი შეადგენდა 240 მანეთს ანუ 30 წლის მანძილზე სულ 7200 მანეთს. 30 წლის შემდეგ მოიჯარადრე, თუ მოისურვებდა, უფლებამოსილი იყო კვლავაც ამდენივე ხნით გაეგრძელებინა ვადა, იმავე პირობით, ყოველწლიური საიჯარო ფასის ყოველგვარი მომატების გარეშე[10]. ერთ დესეტინაზე უმნიშვნელოდ მეტ ფართობში ესოდენ მაღალი საიჯარო ფასის გადახდა იმით აიხსნება, რომ მოიჯარადრის სარგებლობაში მოექცა არა მარტო წიაღისეული სიმდიდრე, არამედ აღებული ნაკვეთის ზედაპირიც, რის შესახებაც ხელშეკრულებაში ვკითხულობთ: „მოიჯარადრე ბ. პაპავას უფლება ენიჭება საიჯარო ვადის მთელ მანძილზე იჯარით აღებულ ნაკვეთებზე თავისი სურვილისამებრ გაიყვანოს გზატკეცილი, რკინიგზა, ბრემსბერგი, საჰაერო-საბაგირო გზა, ააშენოს სხვადასხვა ნაგებობა, მათ შორის ფაბრიკა-ქარხნები, მოიპოვოს სამშენებლო მასალა. ერთი სიტყვით, მოიჯარადრეს უფლება აქვს თავისი ნებასურვილისამებრ, მეპატრონის მხრივ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს იჯარით აღებული მიწის ზედაპირი"[11].

მაგრამ, მოიჯარადრის მიერ საბადოს ზედაპირი ესოდენ შეუზღუდველი სარგებლობის უფლების მოპოვება, ასევე ესოდენ მაღალი საიჯარო ქირის გადახდა, არც თუ ისე ხშირი იყო ჭიათურის აუზში. მოიჯარადრენი უპირატესად მხოლოდ წიაღისეული სიმდიდრით სარგებლობის უფლებას ღებულობდნენ, ხოლო საბადოს ზედაპირით იშვიათად სარგებლობდნენ.

დასახელებული გერმანული ფირმის მიერ დადებული საიჯარო ხელშეკრულებები ხასიათდება საერთო და ერთმანეთისაგან განსხვა-

---

[10] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 2912, ფურც. 19—20.

[11] იქვე, ფურც. 20. ანალოგიური ხელშეკრულებები იხ. იქვე, ფურც. 29—27. მეორე გვერდი.

ვებული ნიშნებით. მათი უმრავლესობა 30 წლით და ამდენივე ხნით გაგრძელების უფლებით ფორმდებოდა. ნაკვეთების მეპატრონენი ვალდებული იყვნენ მოიჯარადრე დაეცვათ მოდავისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ხელშეკრულების ძალით ევალებოდათ დავასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურება და ჯარიმის გადახდა მოიჯარადრის სასარგებლოდ. ნაკვეთის მეპატრონეს ევალებოდა მიწისმფლობელობასთან დაკავშირებული გადასახადის გადახდა, ხოლო მოიჯარადრეს მეწარმეობასთან დაკავშირებულისა.

გერმანულ ფირმას ყოველი ნაყიდი დესეტინა საბადო ნაკვეთი, რაოდენ დაბალხარისხოვანიც არ უნდა ყოფილიყო, თითქმის ყოველთვის უჯდებოდა 4 ათას მანეთზე მეტი, ზოგჯერ 7 ათასამდეც.

გერმანულმა ფირმამ, ბ. პაპავას მეშვეობით, სხვადასხვა ხელშეკრულებით და აქტების ძალით სხვადასხვა ვადით (30+30 წ., „საბადოს მარაგის სრულ ამოწურვამდე", „სამუდამო საკუთრების უფლებით") ხელთ იგდო დიდძალი ფართობი ჭიათურის მარგანეცის საბადოთა აუზის ზეგნებზე: პერევისაში, შუქრუთში, რგანში (თაბაგრები). მის სარგებლობაში გადავიდა სულ 503 ნაკვეთი[12].

ფირმას ლიკვიდაციისას აღმოაჩნდა 106 საიჯარო ხელშეკრულება. მას 74 ხელშეკრულებით საბადოები აუღია, ხოლო 6-ით „უმადნო" ადგილები (პერევისაში), 24 ხელშეკრულებით საბადო ნაკვეთები აუღია თაბაგრებში, ხოლო 2-ით — „უმადნო" ადგილები შუქრუთში. ფირმას რგანში (სოფ. თაბაგრებში) 24 საიჯარო ხელშეკრულებით აუღია სულ 181 ნაკვეთი, ხოლო 25 ნაკვეთი — საკუთრების უფლებით[13]. გარდა ამისა ფირმას აღმოაჩნდა 13 საიჯარო ხელშეკრულება, რომელთა ძალით პაპავამ ასევე საბადო ნაკვეთები აიღო, თუმცა მათი გადაცემა ფირმისათვის (საქანადო აქტით) ვერ მოესწრო.

ყველა სახის ხელშეკრულებებითა და აქტებით ფირმის სარგებლობასა თუ სამუდამო საკუთრებაში გადავიდა სულ 180 დესეტინა მადნიანი და 10 დესეტინა უმადნო მიწის ნაკვეთები. ამაში არ შედიოდა 3 დესეტინა ფართობის 6 ნაკვეთი, რომელთა საიჯარო ქირას ფირმა იხდიდა იქ მოპოვებული მადნის რაოდენობის (ფუთი გარეცხილი მადანი ნახევარი კაპიკი) მიხედვით. იჯარით აღებული საბადო ნაკვეთები ფირმას, ხელშეკრულებების ძალით უჯდებოდა 381 091 მანეთი, ფაქტიურად (გაფორმებისა და საორგანიზაციო ხარჯების ჩათვლით) 1914 წლის ივლისამდე გადაუხდია 487137 მანეთი, უმადნო ადგილებისათვის გაცემული ჰქონდა 661 მანეთი. მომავალში

---

[12] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28. д. 514, л. 271 об.

[13] იქვე, ფურც. 273.

კი წლიურად უნდა ეხადა 574 მანეთი[14]. ამრიგად, მადნიანი და უმადნო მიწების იჯარით აღება და შეძენა ფირმას 1914 წლის ივლისისათვის სულ დაუჯდა 487 798 მანეთი.

* * *

„კავკასიის საბადოთა ამხანაგობის“ ბალანსის აქტივში, საბადოთა შემდეგ პირველი ადგილი ეკავა მის მიერ ითხვისის ხეობაში აგებული მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკისა და დამხმარე ნაგებობათა, აგრეთვე მუშათა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ხარჯებს[15]. ფირმამ 1911 წლის დამლევს დაიწყო[16] და 1913 წელს დაამთავრა ტექნიკურად საუცხოოდ მოწყობილი მძლავრი გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა, კავკასიის სამთო სამმართველო თავის 1911 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ „კავკასიის საბადოთა ამხანაგობის გამამდიდრებელი ფაბრიკის მთელი მოწყობილობა, მანქანები და მექანიზმები გერმანიიდანაა მოტანილი“[17]. დასახელებული ფირმის ფაბრიკის ტექნიკური აღჭურვილობა და მისი ღირებულება ასეთი იყო: ფაბრიკა-სამანქანე განყოფილებით ორსართულიან ქვიტკირის სახლში იყო მოთავსებული. ამ სახლის აგება დაჯდა 38000 მანეთი, ცალკე აგებული ქვიტკირის სახლისა 150-ძალიანი „დეტალ-მოტორისათვის“ — 10 000 მანეთი, 500 კუბ. საჟ. ტევადობის რკინაბეტონის აუზი — 20 000 მანეთი, ფაბრიკის წყალსადენი მილი და არხი — 7 200 მანეთი, სხვა დამხმარე ნაგებობანი — 2 800 მანეთი. ფაბრიკის აღჭურვილობა: 27 სარეცხი დაზგა გადამცემი ცხრილებით, მადნის დასაშლელად განკუთვნილი ფოლადის 3 დიდი ბარაბანი და მოცულობის მიხედვით მადნის დამხარისხებელი 9 ბარაბანი, გამრჩევი მბრუნავი დაზგები, ტუმბო, ელევატორი, სამსხვრეველა და სხვა მოწყობილობა, — საბაჟო გადასახადისა და უცხოეთიდან შემოზიდვის ხარჯების ჩათვლით დაჯდა

---

[14] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л.265. სხვა ცნობით, რაც ჩვენ სათუოდ მიგვაჩნია, ფირმას მადნიან ადგილებში ფაქტიურად გადახდილი ჰქონდა 478.225 მანეთი (იქვე, ფურც. 283). ასევე არასწორია ცნობა, რომლის თანახმად ფირმას 1915 წლისათვის გააჩნდა 225 დესეტინა, მათ შორის 75 დესეტინა საკუთრივ პაპავას (იხ. ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14, д. 507, л. 44).

[15] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 263—264.

[16] Отчет Кавказского горного управления за 1911 г. тиф., 1912, გვ. 118. სხვა წყაროს არაზუსტი ჩვენებით ამ ფაბრიკის მშენებლობა 1912 წელს დაიწყო (ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 263).

[17] Отчет Кавказского горного управления за 1911 год, 1912, გვ. 118

150 000 მანეთი, მანქანების მონტაჟი და გაწყობა — 15 000 მანეთი, გამამდიდრებელი ფაბრიკის ცენტრალური გათბობა—10 000 მანეთი. ძრავები: სამი, — თითო 150-ძალიანი — „მოტორი" დაუენებით დაჯდა 70 000 მანეთი, ელექტროგანათებისათვის განკუთვნილი ორი დინამო, — ერთი 25-ძალიანი, ხოლო მეორე 150-იანი, თავისი სათადარიგო ნაწილებით — 10 000 მანეთი, ოთხი ელექტრომოტორი, რომელთა შორის ერთი განკუთვნილი იყო ყვირილადან ფაბრიკამდე (ცენტრიდანული ტუმბოთი) წყლის საქაჩავად, ხოლო სამი მადნის მექანიკურ დასაშვებთა ასამოქმედებლად, ასევე დგუშიანი ტუმბო, რომელიც ქარხნის აუზიდან ყოველ წუთში 500 ლიტრ წყალს აწოდებდა საბადოს ცენტრალურ სადგურს, დაჯდა 20 000 მანეთი. ასე, რომ ყველა სახის ძრავები სულ დაჯდა 82 200 მანეთი, მუშათა და მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები კი 12 000 მანეთი. ფაბრიკა მთელი თავისი აღჭურვილობით, სათადარიგო ნაწილებითა და დამხმარე ნაგებობებით ფირმას სულ დაუჯდა 472 646 მანეთი[18]. ამ ფაბრიკის მწყობრში ჩადგომასთან დაკავშირებით კავკასიის სამთო სამმართველო თავის 1913 წლის ანგარიშში წერდა: «В отчетном году окончена сооружением обширная и образцово оборудованная обогатительная фабрика».

საბადოდან მადანი მექანიკური დასაშვებით მიემართებოდა უშუალოდ ფაბრიკის „ძაბრში". ფაბრიკა შიდაწვის ძრავთა ძალით მუშაობდა. მთელი საწარმოო პროცესი, აგრეთვე გამდიდრებული მადნის გადატანა ფაბრიკიდან რკინიგზის ჩიხამდე მთლიანად მექანიზებული იყო. ფაბრიკის გამოუშავება დღე-ღამეში უდრიდა 20 000 ფუთ „სუფთა მადანს", ეს მაშინ, როცა, ჩვენთვის უკვე ცნობილი, „გელზენკირხენის" ფაბრიკის წარმადობა დღე-ღამეში მხოლოდ 12 000 ფუთს შეადგენდა[19]. გერმანული ფირმების მიერ გამართული, ტექნიკურად სრულყოფილი გამამდიდრებელი ფაბრიკების სამრეწველო საქმიანობის მასშტაბის წარმოსადგენად საყურადღებოა ისიც, რომ, მაგალითად, 1913 წელს „კავკასიის საბადოთა ამხანაგობის" ფაბრიკაში 244 მუშა მუშაობდა, ხოლო „გელზენკირხენისა" — მხოლოდ 170[20].

„კავკასიის საბადოთა ამხანაგობის" გამამდიდრებელი ფაბრიკის

---

[18] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 77, д. 1489, л. 5—11.

[19] Отчет Кавказского горного управления за 1913 год. Тиф. 1914, გვ. 69—70.

[20] სსსა, ფონ. 415, საქ. 109, ფურც. 6—7.

ღირებულება ფირმის მიერ 1916 წლისათვის შედგენილი ბალანსით მისი მთელი აქტივის 1/5 შეადგენდა, ხოლო სალიკვიდაციო სამმართველომ ის (თვითღირებულებით) შეაფასა 438 546 მანეთად[21]. სამაგალითოდ მოწყობილი გამამდიდრებელი ფაბრიკა ბრემსბერგით, საჰაერო-საბაგირო გზითა და მადნის დასაშვები არხით დაკავშირებული იყო უშუალოდ ფირმის კუთვნილ საბადოებთან, მეორე მხრივ, ასევე ტექნიკურად მოწყობილი სატრანსპორტო (რელსებიანი) გზით იყო შეერთებული რკინიგზის ჭიათურა-დარკვეთის ხაზზე ფირმის მიერ მოწყობილ ჩიხთან და მადნის დასატვირთ ბაქნებთან, სადაც მადნის აწონვა და რკინიგზის ვაგონებში დატვირთვა მექანიზებული იყო[22]. ფირმას გააჩნდა თავისი ელსადგური, სხვადასხვა ტიპის ძრავები და ელექტრომოტორები, „მცირე" ორთქლმავლები. მან ჭიათურაში პირველმა გამოიყენა ავტომანქანები მაღაროდან საბადოს ზედაპირზე მადნის გადმოსაზიდად და სხვ. ახასიათებდა რა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღების გაუმჯობესების მდგომარეობას, კავკასიის სამთო სამმართველო, თავის 1913 წლის ანგარიშში მიუთითებდა: „საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ საწარმოებში პირველად დაიწყეს ავტომანქანების გამოყენება მაღაროდან საბადოს ზედაპირზე მადნის გამოსაზიდად. სახელდობრ, კავკასიის საბადოთა ამხანაგობას ამ საქმისათვის გააჩნია 2 ავტომანქანა"[23]. დასახელებულ ფირმას ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანა-იარაღებისა და ნაგებობების გარდა გააჩნდა ორი სახლი მუშათა საცხოვრებლად, კანტორის სახლი, მატერიალურ-ტექნიკური მოწყობილობისა და სათადარიგო ნაწილების საწყობი, „ორთქლმავლების დეპო", ცენტრალური დასატვირთი სადგური რკინაბეტონის საძირკვლითა და თუნუქის სახურავით, სადგურისკენ გასასვლელი (თუთიით გადახურული) და სხვ. ჩამოთვლილ ნაგებობათა ღირებულება 21 ათას მანეთს შეადგენდა: ფირმის საწარმოები სანიმუშოდ იყო მოწყობილი. მათ გააჩნდათ საუცხოოდ გამართული ბრემსბერგი და საჰაერო-საბაგირო გზა. მოწყობილობა და მისი ღირებულება ასეთი იყო[24]:

---

[21] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 264.

[22] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 77, д. 1489, л. 5—9; Отчет Кавказского горного управления за 1911 г., 1912, გვ. 118.

[23] Отчет Кавказского горного управления за 1913 г., 1914, გვ. 98.

[24] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 77, д. 1489, л. 8—11.

მოწყობილობა	ღირებულება
1. რელსები	37 000 მან.
2. რკინის 480 ვაგონეტი	52 800 „
3. ორი „მოტოროვოზი“	10 000 „
მიწიაქვეშა რელსებიანი გზის მთავარი ხაზის მოწყობილობა, 12-ძალიანი ნავთო-მოტორით	12 000 „
4. საბადოს ცენტრალური ელსადგური	3 000 „
5. საბადოს ზედაპირზე გაყვანილი ერთვერსიანი რელსებიანი გზა	25 000 „
6. საბადოდან გამამდიდრებელ ფაბრიკამდე გაყვანილი ბრემსბერგი:	
ა) ზედა სადგური	2 000 „
ბ) ბრემსბერგის ხაზი	12 000 „
გ) რელსები სამაგრებით	2 500 „
დ) მუხის შპალები	600 „

უნდა შევნიშნოთ, რომ ბრემსბერგის სრული ღირებულება (მისი გამართვის ხარჯების ჩათვლით) 22 600 მანეთს შეადგენდა. მიწისქვეშა რელსებიანი გზები, ასევე სამთო გამონამუშევრებში გაყვანილი სხვა გზები (1500 საჟენი სიგრძისა) ფირმას 60 000 მანეთი დაუჯდა. ხოლო გამაუხვეველი ფაბრიკიდან რკინიგზამდე გაყვანილი 165 საჟ. რელსებიანი გზა — 29 700 მანეთი, საბადოებიდან ფაბრიკამდე გადაჭიმული საჰაერო-საბაგირო გზა კი — 8000 მანეთი და სხვ.[25] მადნის დასატვირთი ჩიხი და ბაქნები, საწყობებით, სასწორებით, მადნის მექანიკური დასატვირთით, ფირმას დაუჯდა 27 456 მანეთი. ამას გარდა ფირმას გააჩნდა სხვა ნაგებობანი და მოწყობილობა: წყალსაცავი ყვირილაში, რომელიც მილით იყო დაკავშირებული ფაბრიკასთან, მადნის (წყალთან ერთად) ჩამოსაშვები არხი მაღაროს ცენტრალური სადგურიდან გამამდიდრებელ ფაბრიკამდე. ფაბრიკასთან არსებული დამატებითი აუზი და სხვ. სულ 15 000 მანეთის ღირებულებისა. მასვე გააჩნდა საწარმოო დანიშნულების ინსტრუმენტებისა და იარაღების დიდი მარაგი, მათ შორის ლომები (414), ძალაყინები (2500), ნიჩბები (620), ელექტროფარნების სათადარიგო ნაწილები (35 000) და სხვ. სულ 20 000 მანეთი ღირებულებისა[26].

გერმანულმა ფირმამ 1916 წელს სალიკვიდაციო სამმართველოს წარუდგინა ბალანსი, რომლის „აქტივის“ მუხლები და ჯამი ასეთი იყო: ნაგებობანი და ტექნიკური მოწყობილობა 695 771 მანეთი, ინვენტარი — 57 158 მან.

საბადოებისა და სხვა მიწების აღება-შეძენა — 478 225 მან. წარმოების საორგანიზაციო ხარჯები (მისი შენახვის ხარჯების ჩათვლით) —

---

[25] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 77, д. 1489, л. 11.

[26] იქვე, ფურც. 9, 10, 11.

321 228 მან, უცხოეთიდან მიღებული სესხების პროცენტის დარიცხვა და საკომისიო ხარჯები—472 657 მან. ფირმის დებიტორები (ადგილობრივ მრეწველებზე გაცემული სესხები და ავანსები) — 52 157 მან. სალარო — 1 150 მან. ფირმის მთელი უძრავი ქონება შეფასდა, 1 272 112 მანეთად, ხოლო მთელი აქტივის ჯამი 2 226 211 მანეთს შეადგენდა. ამასთანავე ლიკვიდაციის დროისათვის ფირმას, იმის მიუხედავად, რომ მან 1914 წელს 4 800 ათასი ფუთი მადნის გაზიდვა მოასწრო, საბადოებში, ჰარბელის (ფაბრიკის) ბაქნებზე და ბათუმში აღმოაჩნდა მოპოვებული მადნის დიდი მარაგი—2 806 325 ფუთი, რაც სალიკვიდაციო სამმართველომ 133 080 მანეთად შეაფასა[27]. დასახელებულმა სამმართველომ სალიკვიდაციო ფირმის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება შეაფასა (თვითღირებულების მიხედვით). შეფასებისას გაითვალისწინა ის, რომ ფირმა რამდენიმე წლის მანძილზე ფართოდ ეწეოდა თავის საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციას. საკმარისია ითქვას, რომ, მაგალითად, 1913 წელს ფირმა 280 სამთო მუშით ეწეოდა მადნის მოპოვებას[28]. სამმართველომ დაადგინა, რომ სალიკვიდაციო ფირმას უკვე მოპოვებული ჰქონდა მადანი დაახლოებით 7 193 კუბ. საჟენის ოდენობით, რაც ფულად 8 632 მანეთს შეადგენდა. მან ეს თანხა გამოაკლო ფირმის საბადოთა თვითღირებულების ჯამს.

სალიკვიდაციო სამმართველომ დეტალურად აღწერა და შეაფასა წარმოების უძრავ-მოძრავი ქონება, განიხილა მის მიერ წარმოდგენილი ბალანსის ყოველი მუხლი. მან გერმანული ფირმის მთელი ნაგებობანი და ტექნიკური მოწყობილობა შეაფასა 659 417 მანეთად, ინვენტარი 71 585 მანეთად, მიწების (მათ შორის ბაქნების) იჯარით აღებასა და შეძენასთან, ასევე წარმოების დაფუძნებასთან დაკავშირებული ხარჯები — 1 263 480 მანეთად, ხოლო მთელი უძრავ-მოძრავი ქონება—2 181 281 მანეთად[29].

* * *

ამრიგად, გერმანიის ფოლადჩამომსხმელმა მრეწველობამ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო მაღალხარისხოვანი შარგანეცის უმდიდრეს საბადოებს ჭიათურაში. მართალია, მარგანეცის მომხმარებელ სახელმწიფოებს შორის გერმანია მადნის საკუთა-

[27] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 263—283, 279, 286.
[28] იქვე.
[29] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 283—286.

რი მოპოვების მხრივ (რუსეთისა და აშშ-ს შემდეგ) მესამე ადგილზე იდგა[30], მაგრამ, ის მთელი საკუთარი მოპოვების თითქმის მესამედს (მადნის დაბალხარისხოვნების გამო) უცხოეთში, უმთავრესად ავსტრია-უნგრეთში ასაღებდა. ასეთ ვითარებაში გერმანული კაპიტალი ცდილობდა დაუფლებოდა მარგანეცის მადნის უმდიდრეს საბადოებს სხვა ქვეყნებში. მან დიდი გულმოდგინება და ენერგიულობა გამოიჩინა საქართველოს მარგანეცის მრეწველობაში გასაბატონებლად. გერმანულმა ფირმებმა „გელზენკირხენმა" და „კავკასიის საბადოთა ამხანაგობამ" ინტენსიურად გაშალეს ოპერაციები მარგანეცის მადნის საუკეთესო საბადოთა ხელში ჩასაგდებად, რის შედეგადაც ისინი, ჭიათურის აუზში, დაეპატრონენ 567 დესეტინა ფართობის საბადოებს და 71 დესეტინა უმადნო მიწებს. მათი საქმიანობა შეაფერხა I მსოფლიო ომის დაწყებამ. ამ დროისათვის უცხოელთა ხელში იყო 2488 ქცევა (აქედან გერმანელთა სარგებლობაში იყო დაახლოებით 1850 ქცევა), ადგილობრივ მრეწველთა ხელში კი 2500 ქცევა, ხოლო 1463 ქცევა საბადო ფართობი არ იყო შესული ექსპლოატაციაში[31]. გერმანულმა ფირმებმა მილიონები დააბანდეს და უახლესი ტექნიკით აღჭურვეს თავისი საწარმოები. ამასთანავე მათ სხვადასხვაგვარი სესხებითა და ავანსებით დააკაბალეს ადგილობრივ მრეწველთა უმრავლესობა და მათგან მადნის შეღავათიან ფასებში დიდი რაოდენობით შეძენაც გაინაღდეს. ყოველივე ამის შედეგად I მსოფლიო ომის წინა პერიოდში ჭიათურაში მოპოვებული მადნის დიდი ნაწილი გერმანიაში ძიემართებოდა. ის ჩვენებური მადნის ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელი გახდა. საქართველოდან გაზიდულ მადანს გერმანია მთლიანად საკუთრივ ამუშავებდა. ამით მთელ თავის მოთხოვნილებას 60%-ით აკმაყოფილებდა და ფეროშენადნობებს ხშირად რუსეთშიც ასაღებდა. ასე რომ მას რუსეთის იმპერიიდან გაჰქონდა ნედლი მადანი, ხოლო რუსეთშივე შემოჰქონდა ფეროშენადნობები. მართალია, ფერომარგანეცის წარმოება ურალში (ნიჟნი ტაგილი) ჯერ კიდევ 1876 წელს დაიწყო, მაგრამ ის მხოლოდ ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა და რუსეთის ყველა სხვა მხარის მეტალურგიული მრეწველობა სარგებლობდა უცხოეთიდან შემოზიდული ფეროშენადნობებით. მიმდინარე საუკუნის დამდეგს, 1902 წელს, დონეცკ-

---

[30] ЦГИАЛ, ф.. 23, оп. 28, д. 514, л. 283—286.

[31] ეს მონაცემები 1917 წლისაა, თუმცა 1914—1917 წლებში საბადოთა მფლობელობაში ცვლილება არ მომხდარა (იხ. ს. წერეთელი, „მარგანეცი და მისი მრეწველობის განვითარების ისტორია საქართველოში", გაზ. „საქართველო", 1920, 12 თებერვალი, № 31).

იურიევის ქარხანამ შედარებით ფართო მასშტაბით დაიწყო ფეროშენადნობის დამზადება, მაგრამ ის რაოდენობრივად და ხარისხობრივად ვერ პასუხობდა მოთხოვნილებას[32]. რუსეთს ომის წინა პერიოდში (წლიურად) 1 მილიონამდე ფუთი ფეროშენადნობები შემოჰქონდა სხვა ქვეყნებიდან[33] (უპირატესად გერმანიიდან). საქმემ იმდენად კურიოზული ხასიათი მიიღო, რომ პირველი მსოფლიო ომის წლებში, როცა ჭიათურის მარგანეცი მხოლოდ რუსეთში იგზავნებოდა, მის მთავარ მიმწოდებელს, მრეწველსა და ვაჭარს, რ. ს. ჯავახიშვილს, სამხრეთ რუსეთის მექარხნეები გაოცებით ეკითხებოდნენ:

„საიდან მოიტანეთ გერმანული პიროლიუზიტი: ჩვენ მას ყოველთვის გერმანიიდან ვღებულობდით“[34].

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში უცხოური, კერძოდ, გერმანული კაპიტალის ექსპანსიის შედეგების შეფასებისას მეფისნაცვალი კავკასიაში 1916 წელს არც თუ უსაფუძვლოდ ამტკიცებდა, რომ «Отрицательное, и даже опасное, с точки зрения русской государственности, влияние иностранной предприимчивости особенно резко сказалось в выработке и массовом экспорте тех необходимых для мирового рынка продуктов, которые, вообще, имеются в ограниченном количестве. Для организации добычи таких продуктов в России и для вывоза их за границу иностранные предприниматели-экспортеры не останавливались перед затратой громадных капиталов и широко организуют свои предприятия нередко при содействии своих правительств»[35].

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ დახასიათებული ფირმები კაიზერული გერმანიის მმართველი წრეების მხარდაჭერით ისარგებლებდნენ და ჭიათურის მარგანეცის მიწოდებით დიდად შეუწყობდნენ ხელს გერმანიის მეტალურგიული მრეწველობის მომზადებას პირველი მსოფლიო ომისათვის.

§ 6. მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნა — სამრეწველო გადატრიალების გაღრმავება

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა XIX საუკუნის მიწურულიდან მტკიცედ „დაადგა პროგრესის გზას“. მრეწველები ცდილობდნენ თავიანთ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას, მეც-

---

[32] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 7.

[33] სსსა, ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 9.

[34] П. Соловьев, Марганцевая промышленность Грузии, 1922, გვ. 3.

[35] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 2.

ნიერების, ტექნიკისა და პრაქტიკის უახლეს მიღწევათა გამოყენებას[1]. ამ დროიდან, მეტადრე 1909—1914 წლებში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ტექნიკური გადატრიალება, რამაც ყველაზე მკაფიო გამოხატულება პოვა საბადოთა რაციონალურ ექსპლოატაციასა და მოპოვებული მადნის რკინიგზამდე გაზიდვის მექანიზაციაში, ასევე მადნის გაუხვება-გამდიდრების სრულყოფილი ტექნიკის გამოყენებაში. ყოველივე ეს ხორციელდებოდა გიდრავლური, ორთქლისა და ნავთის ძრავთა, ასევე ელექტროენერგიის უფრო და უფრო ფართო მასშტაბით გამოყენებით. მიმდინარეობდა რელსებიანი გზების მშენებლობა მაღაროთა სიღრმეში და საბადოთა ზედაპირზე, ასევე „ბრემსბერგის“ ტიპის მექანიკურ ჩამოსაშვებთა და საჰაერო-საბაგირო გზების მშენებლობა. ეს გზები გაიმართა საბადოებიდან მდ. ყვირილას ხეობაში აშენებულ გამამდიდრებელ ფაბრიკებამდე, ან რკინიგზის შტოს სადგურებამდე. სამრეწველო რაიონში მძლავრად გაიშალა გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობა, ჰტკიცედ ინერგებოდა გამდიდრებული მადნის რკინიგზამდე გადაზიდვის მექანიზაცია და სხვ.[2]. ახასიათებდა რა საბადოთა ექსპლოატაციისა და მაღაროებიდან მადნის გადაზიდვის სრულყოფილი საშუალებების დანერგვის განმსაზღვრელ ფაქტორებს, კავკასიის სამთო სამმართველო თავის 1911 წლის ანგარიშში მიუთითებდა: ჭიათურის მარგანეცი დაბალ ფასებში საღდება. მრეწველები ცდილობენ მადნის თვითღირებულების შემცირებას. საამისოდ სრულყოფენ საბადოთა საექსპლოატაციო საშუშაოებს, ასევე მაღაროდან და საბადოს ზედაპირზე მადნის გადაზიდვის საშუალებებს, ეს უკანასკნელი „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საბადოდან რკინიგზამდე მადნის გადაზიდვა წარმოადგენს გასასაღებელი მადნის ზედნადები ხარჯებისა და თვითღირებულების ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს“[3].

მართლაც, წარმოებაში ტექნიკური სიახლეების დანერგვა, მისი ინდუსტრიულ ყაიდაზე მოწყობა ნაკარნახევი იყო მადნის თვითღირებულების შემცირების ინტერესებითაც, თუმცა ამას მოითხოვდა მარგანეცის მრეწველობის გაფართოებისა და საერთაშორისო ბაზრებზე გაჩაღებულ საკონკურენციო ბრძოლაში ჭიათურის მარგანეცის პოზიციების შენარჩუნება-განმტკიცებისადმი მისწრაფება. საბადოთა ექსპლოატაციის გაძლიერებისა და სრულყოფის, მოპოვებული მადნის

---

[1] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, л. 954, л. 45, об.

[2] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 691, л. 4—10: Отчет Кавказского горного управления за 1911 год, 1912, გვ. 118.

[3] Отчет Кавказского горного управления за 1911 год, 1912, გვ. 120.

დიდი რაოდენობით გაზიდვის, აგრეთვე გადაზიდვის ხარჯების შესამცირებლად საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა სამთო გამონამუშევრებიდან, ასევე საბადოს ზედაპირზე მადნის გაზიდვის მექანიზაციას. ამიტომ მრეწველებმა გააჩაღეს სამუშაოები მაღაროებში რელსებიანი გზების გასაყვანად. მიწისქვეშა და საბადოს ზედაპირზე დაგებული რელსებიანი გზების საერთო სიგრძე ჭიათურის საბადოებში 1915 წლის დამლევისათვის ასეთი იყო:

ცხრილი 64

ზეგანი, სადაც რელსებიანი გზაა	მაღაროთა რიცხვი	რელსებიანი გზის სიგრძე (საჟენობით)		მათ შორის აიგო 1915 წ. (საჟენობით)		ლიანდაგის სიგანე	ვაგონეტების რაოდენობა		ტვირთზიდვის ინტენსიურობა	ტვირთის გადაადგილების საშუალება	
		მაღაროში მიწის ქვეშ	საბადოში ზედაპირზე	მაღაროში მიწის ქვეშ	საბადოში ზედაპირზე	დიუიმებით	ხისა	ლითონისა	ფუთობით	ხელით	ცხენით ან ძალებ. ძალით
რგანი	5	1292	1480	82	80	16—24	34	60	33—70	2	3
ზედა რგანი	23	3795	1087	445	188	19—20	—	68	45—60	13	5
სარქველეფუბანი	4	1510	760	155	35	18—22	—	32	50—70	2	2
მღვიმევი	52	135	1941	260	220	17—24	1	391	25—60	17	25
თაბაგრები	3	150	210	150	210	22	—	12	40	2	1
დარკვეთი	9	1797	795	65	30	24	—	61	50	6	3
პერევისა	16	3955	955	70	15	19—25	—	416	45—50	3	2
შუქრუთი	28	2855	654	130	10	10—24	16	60	20—80	24	2
ითხვისი	1	30	—	—	—		—	—	40	1	—
სულ	140	24519	8722	1667	788	16—25	52	1100	20—80	69	43

ცხრილზე დაკვირვებისას უნდა გავიხსენოთ, რომ 1914 წელს სამრეწველო რაიონში 192 მოქმედი მაღაროა, რომელთა შორის 126 უზრუნველყოფილია რელსებიანი გზებით, ხოლო 1915 წელს რელსებიანი გზები გააჩნდა 140 მაღაროს, რომელთა შორის მხოლოდ 95 არის ექსპლოატაციაში. 1915 წელს რელსებიანი გზა გაიმართა 14 მაღაროში და ასეთი გზის საერთო სიგრძე სამთო გამონამუშევრებში 1914 წელთან შედარებით გაიზარდა 1667 საჟენით, ხოლო საბადოს

[4] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 691, 1915, л. 20, об. (Отчет о состоянии и производительности горных заводов, рудников и промыслов 1-го Кавказского горного округа за 1915 г). ცხრილის დასაზუსტებლად გამოვიყენეთ: «Отчет Кавказского горного управления за 1913 год», Тб. 1914, зз. 97. ითხვისი მხოლოდ უკანასკნელშია გათვალისწინებული.

ზედაპირზე 788 საჟენით, ანუ სულ 2 455 საჟენით. ცხრილიდან ჩანს აგრეთვე ხის ვაგონეტების ძლიერ შემცირება და ლითონის ვაგონეტების რიცხვის ზრდა. სამთო უწყება ვაგონეტების გადაადგილებაში „მექანიკური საშუალების" გამოყენებას სისტემატურად მხოლოდ 1914—1915 წლებში აღნუსხავს[5], სინამდვილეში ის უფრო ადრეც გამოიყენებოდა, მაგალითად, გერმანული ფირმის „კავკასიის საბადოთა ამხანაგობის" საწარმოებში. ამ ფირმას 1913 წლისათვის მაღაროებში გააჩნდა „მცირე ორთქლმავლების დეპო".

ამრიგად, ჭიათურის აუზში მაღაროებიდან საბადოს ზედაპირზე მადნის გამოსაზიდად რელსებიანი გზების მშენებლობა 1910—1914 წლებში ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა, ასეთი გზების ქსელით დაიფარა გამონამუშევრები და საბადო ზეგნების ზედაპირი, მაღაროდან ზედაპირზე მადნის გადმოზიდვაში ხელურმების ადგილი ჯერ ხის ვაგონეტებმა დაიკავა, ხოლო უკანასკნელი თანდათან შეცვალა ლითონის ვაგონებმა. მათი მოძრაობა რელსებზე ჯერ მუშის ძალით ხდებოდა, შემდეგ ცხენის ძალის, ხოლო ბოლოს მექანიკური ძალის გამოყენებით. ასეთივე დიდი ცვლილებები მოხდა საბადოებიდან გამამდიდრებელ ფაბრიკებამდე და რკინიგზის ჭიათურის შტოს სატვირთო ბაქნებამდე მადნის მექანიკურ ზიდვაში, რის მოწყობასაც თითქმის ყოველი მრეწველი ცდილობდა. კავკასიის სამთო სამმართველო არსებითად სწორად აფასებდა მარგანეცის მრეწველთა საქმიანობას წარმოებაში ტექნიკური სიახლეების დასანერგად, როცა 1913 წელს წერდა: «Не только крупные марганцепромышленники, но и мелкие постоянно, в борьбе за свое существование, стремятся к замене дорогого человеческого труда животною силою, а последнюю вытесняют механическою; на многих промыслах тачечная откатка руды из рудников на поверхность заменена рельсовыми путями, по которым руды вывозятся лошадьми; равным образом традиционныя «арбы-волокушки» и «плетенные карзины» для вьючной перевозки руды с рудников к складам-платформам жел. дор. начинают вытесняться механическими спусками, бремсбергами; местами же применяется живая сила воды, специально нагнетаемой снизу вверх, на рудники, для спуска руды по желобам и трубам»[6].

გაძლიერდა საბადო ზეგნებიდან ყვირილას ხეობაში მადნის მექანიკური ჩამოსაშვებების, „ბრემსბერგებისა" და საჰაერო-საბაგირო

---

[5] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 691, л. 20, об (таблица).

[6] Отчет Кавказского горного управления за 1913 год, 1914, გვ. 96.

გზების მშენებლობა; საერთო თუ კერძო სარგებლობის ბრემსბერგის ტიპის მექანიკური ჩამოსაშვებები 1914 წელს მოქმედებდნენ:

ცხრილი 7[7]

ზეგანი, სადაც მექანიკური ჩამოსაშვებია	მაღაროთა რიცხვი	მექანიკ. ჩამოსაშვების სიგრძე (საერთ. ნობით)	სიგანე (დიუმ. ობით)	დახრილობის კუთხე	საბადოს მავთულის დიამეტრი (დიუმ. ობით)	ვაგონეტები რიცხვი	ტვირთზიდ. ულარობა	„ტიპი“ (სისტემა) ნასარეული საბადოთა	ბოლოიანი ბადეთა
რგანი	1	57	27,5	34°	7/8	2	120	1	—
მღვიმევი	1	360	27,5	90°—30°	1/2—3/4	4	35	1	—
ზედა რგანი	2	187	27,5	15 —36°	3/8—5/8	9	50—60	2	—
პერეისა	1	130	27,5	32°	3/4	—	—	1	—
მექანიკური გაზიდვა მაღაროში პერეი აში	1	200	24	—	1/2	20	35	—	1
ადგ. ჯარბელა	1	175	24	—	1/2	20	35	—	1
	7	1109	24—27		1/2—3/4	55	35—50 120	5	2

აქედან ჩანს, რომ მთავარი საბადო ზეგნები ბრემსბერგით უკავშირდება ბდ. ყვირილას ხეობას, სადაც გამამდიდრებელი ფაბრიკებია განლაგებული და რკინიგზის შტოა გაყვანილი. დასახელებული მექანიკური ჩამოსაშვებებიდან 1909 წლამდე მოეწყო 4, ხოლო 1911—1914 წლებში —3. საუცხოოდ იყო მოწყობილი ფრანგული ფირმის „დარკვეთის“ ბრემსბერგი, რომელიც წელიწადში 2 მილიონ ფუთ მადანს ატარებდა, ხოლო ინგლისური ფირმის „ფორვუდისა“, ასევე „ძმ. ოგანეზოვებისა“ თითო 3 მილიონ ფუთს და სხვ. რკინიგზამდე მადნის ბრემსბერგით ჩამოშვება მხოლოდ 0,5 ან 0,6 კაპიკი ჯდებოდა. ბრემსბერგი, ერთი მხრივ, საბადოს რელსებიან გზებს უკავშირდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, გამამდიდრებელ ფაბრიკებს ან რკინიგზას. ბრემსბერგის ხაზზე მოძრაობდა 90—120 ფუთის ტევადობის რკი-

[7] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 691, л. 21.

ნის ორი ვაგონეტი. ზედა ბაქანზე ჩატვირთული მადანი ხეობისკენ მიემართებოდა[8].

საბადო ზეგნების სხვადასხვა უბნიდან ყვირილას ხეობამდე გაყვანილ იქნა აგრეთვე 9 ე. წ. „მცირე ბრემსბერგი", რომელთა სიგრძე 40-დან 75 საჟენამდე აღწევდა. მათ შორის 3 გაყვანილ იქნა 1909 წლამდე, ხოლო 6—1910—1914 წლებში. ეს გზები არ იყო დაკავშირებული საბადოს რელსებიან გზებთან, და არც აღწევდა რკინიგზის შტომდე. ამიტომ „მცირე ბრემსბერგის" ზედა ბაქნამდე, ასევე მის ქვედა ბაქნებიდან რკინიგზამდე მადანს საჭაპანო ან სასაპალნე ტრანსპორტით ეზიდებოდნენ. ამგვარი მექანიკური ჩამოსაშვების საერთო წლიური გამტარუნარიანობა 4—6 მილიონ ფუთს არ აღემატებოდა, თანაც საბადოებიდან რკინიგზამდე ზემოთ აღწერილი საშუალებით ფუთი მადნის გადაზიდვა 1,7-დან 2 კაპიკამდე ჯდებოდა.

ბრემსბერგით მადნის ზიდვა თანდათან გაძლიერდა, მაგალითად, 1909 წელს საბადოებიდან რკინიგზის შტომდე 12 მილიონი ფუთი მადანი ბრემსბერგით იქნა მიწოდებული, ხოლო 25 მილიონი სხვა საშუალებით (საჰაერო-საბაგირო გზით, ასევე საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით)[9]. 1913 წელს 18 მილიონი ფუთი ბრემსბერგით იქნა მიწოდებული, ხოლო 29 მილიონი ფუთი — სხვა საშუალებით[10], 1914 წელს კი ბრემსბერგით 19 მილიონი ფუთი იქნა დაშვებული[11].

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საჰაერო-საბაგირო გზებს, რომელთა მოწყობილობა, ისევე როგორც ბრემსბერგისა, უცხოეთიდან მოდიოდა. ისინი ელექტროენერგიის ძალით მოქმედი ტექნიკურად სრულყოფილი გზები იყო. ამ გზების ზედა, ასევე ქვედა სადგურებზე მადნის ვაგონეტებში დატვირთვა-გადმოტვირთვა მექანიზებული იყო. საჰაერო-საბაგირო გზები, გარდა სამისა, კერძო მფლობელთა სარგებლობაში იყო; საერთო სარგებლობაში კი იყო მარგანეცის მრეწველთა ყრილობის ორი საჰაერო-

---

[8] ჩვენ ხელთა გვაქვს რამდენიმე ბრემსბერგის აღწერილობა,, მათ შორის გერმანული ფირმის „გელზენკირხენისა" აქ ვკითხულობთ: «Двухдействующий—трехрельсовый бремсберг длиною 57 саж. двумя постоянными железными вагонетками, емкостью 90 пудов подвешенными на гибком (мягком) стальном канате, диам. $^3/_4$, длиною 110 саж. с чугунным барабаном на стальной оси. с ленточным тормозом... При бремсберге погрузочная платформа с площадкою протяжением 15 саж.» ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 509, л. 46—47.

[9] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, Д. 43, 1910, л. 154.

[10] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 73, д. 1001, 1914, л. 73.

[11] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 509, л. 51.

საბაგირო გზა, რომელიც მღვიმევის მონასტრის ახლო უბნიდან რკინიგზის შტოს სადგურ ჭიქოურამდე იყო გადაჭიმული, ასევე

ცხრილი 8[12]

ზეგნები და ფირმები, რომელიც გაიჩნდათ საჰაერო-საბაგირო გზები	გზის სისტემა		ბაგირის დიამეტრი		გზის სიგრძე	წარმადობა საათში
	ბოლოდანი ბაგირი	უსასრულო ბაგირი	წამყვანი ბაგირი	გამწევი ბაგირი	საფენობით	ფუთობით
რ გ ა ნ ი						
გელზენკირხენის სამთო სამრეწველო საზოგადოება	—	1	32	14	657	1.500
ლ. ჰ. პანასიე	1	—	22	12	90	1000
ზ ე დ ა რ გ ა ნ ი						
ლ. ჰ. პანასიე	—	1	28	14	500	1200
იგივე	1	—	32	13	110	1000
მ ღ ვ ი მ ე ვ ი						
მრეწველთა საბჭო	—	1	28	18	160	4.000
იგივე დასატვირთ ბაქნებიან	—	1	33	14	52	
ნ. ჭ. წერეთელი და მისი თანამონაწილენი	—	1	32	16	300	2000
ძმ. ჩილინგარიანები	1	—	30	11	160	1.500
დ ა რ კ ვ ე თ ი						
ე. თ. მიულსი	1	—	35	13	175	2000
შ უ ქ რ უ თ ი						
ე. კ. ზაროკილი	1	—	22	12	88	1200
ი. და ზ. ოგანეზოვები	1	—	38	19	260	2000
ს უ ლ	6	5	22—38	11—19	3—820	1000—4000

ს. გეიდემანის მიერ დარკვეთის ხეობაში გაწყობილი ანალოგიური გზა, რომელიც 1907 წლიდან ძმ. ჩილინგარიანებს ეკუთვნოდა.

საჰაერო-საბაგირო გზების მშენებლობა განსაკუთრებით ფართოდ 1906—1914 წლებში გაიშალა. მათი ქსელით დაიფარა სამრეწველო რაიონის უმთავრესი უბნები.

[12] ცხრილის შედგენისას ვისარგებლეთ: ЦГИАЛ, Ф. 37, оп. 75, д. 691, 1915, л. 21, об.; Ф. 23, оп. 28, д. 509, л. 50—52.

მაგალითად, 1914 წელს ექსპლოატაციაში იყო შემდეგი საჰაერო-საბაგირო გზები (იხ. ცხრილი 8, გვ. 316).

მოქმედი საჰაერო-საბაგირო გზები უმსხვილეს სამრეწველო ფირმებს ეკუთვნოდა. ამ გზების საერთო სიგრძე და გამტარუნარიანობაც დიდი იყო. აღსანიშნავია, რომ ამ გზებით 1913 წელს საბადოებიდან გაიზიდა 21 მილიონი ფუთი მადანი და თითო ფუთის გადაზიდვა (საბადოდან გამამდიდრებელ ფაბრიკამდე, ან რკინიგზის შტოს ბაქნებამდე) 0,11-დან 1 კაპიკამდე ჯდებოდა[13].

1904 — 1914 წლებში მოეწყო მადნის 7 ჩამოსაშვები — „ღარი" საამისოდ მსხვილმა ფირმებმა (მდ. ყვირილადან საბადოებამდე) გამართეს წყლის საქაჩავები.

ყოველივე ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ 1913—1914 წლებისათვის მაღაროებიდან გამამდიდრებელ ფაბრიკებამდე და რკინიგზის შტოს სადგურებამდე მადნის გადაზიდვაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ბრემსბერგმა და საჰაერო-საბაგირო გზამ დაიკავა, ხოლო საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტის როლი ამ საქმეში უკვე უმნიშვნელოა. მადნის ზიდვის მექანიზაციასა და ინდუსტრიულ ყაიდაზე მოწყობაში ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა სამრეწველო გადატრიალების გაღრმავება ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში. საბადო ზეგნებიდან მდ. ყვირილასა და მისი შენაკადების ხეობებისაკენ მადანი მიემართებოდა მექანიკური დასაშვებებით, ზოგანაც საამისოდ მოწყობილი ღარებით, ხეობაში მადნის მისაღებ უბნებში მოეწყო გამაუხეებელი ფაბრიკები. მათი მშენებლობა 1909--1914 წლებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. 1908 წლამდე სამრეწველო რაიონში მხოლოდ 8 ფაბრიკა ამუშავდა, ხოლო 3 მშენებლობაში შევიდა, 1909 წელს უკვე 11 ფაბრიკა მოქმედებდა. 1912 წელს -- 17, 1913 წელს — 25, 1914 წელს 29 ფაბრიკა მუშაობდა, ხოლო 2 მშენებლობის პროცესში იყო.

გავეცნოთ სამრეწველო რაიონში არსებული ფაბრიკების განლაგებას, ასევე მათ მფლობელებს[14]:

---

[13] ЦГИАЛ ф. 37, оп. 72, д. 1910—1913 гг., л. 200.

[14] მეფაბრიკეებისა და საკუთრივ ფაბრიკების სიის შედგენა-დაზუსტებისას დავემყარეთ: ЦГИАЛ, Ф. 37, оп. 75, д. 691, л. 28—29, 165. შესაბამისად ზოგიერთი ცნობა მოვიტანეთ: ससस, ფონ. 415, საქ. 109, ფურც. 67; დ. წერეთელი, შავი ქვა, თბ., 1930 გვ. 130. ზოგიერთი სხვა წყაროები კი შედარებით უზუსტო და წინააღმდეგობრივ მონაცემებს შეიცავენ. ასე მაგალითად., ერთის ცნობით 1913 წელს სამრეწველო რაიონში 26 გამაუხეებელი ფაბრიკაა.

ფაბრიკის მფლობელი	ხეობა, სადაც ფაბრიკა
1. ლ. ჰ. პანასიე	რგანის ხეობა
2. გ. ჭ. ჩომახიძე და გ. ს. სამხარაძე	„ „
3. ი. ზ. სვანიშვილი, შ. ა. მაჰარაძე, ე. პ. ხვედელიძე	
4. გ. გ. ჩომახიძე (მოიჯარადრეა ფ. დ. ტაბურიო)	
5. ა. ზ. მადათოვი	
6. ი. მ. ბარათაშვილი	
7. დ. თ. აბულაძე	„
8. გ. და ა. ქაეთარაძეები	„
9. ძმ. ოგანეზოვები	„ „
10. გ. ლ. რადოვიჩი	წირქვალის ხეობაში (ღელის მარცხენა მხარეზე)
11. ი. დ. ბერიძე, ა. ა. ჯაყელი, მ. ა. ბუაძე, ნ. ნ. ქადაგიძე	„ „
12. ნ. ზ. წერეთელი და კომპ.	„ „
13. ზ. მერბეკი და ძმ. ქაცარავეები	„ „
14. ი. ს. მელია	„
15. საეკლო სახლი რ. ე. ჯავახიშვილი და ამხანაგობა	„ „
16. გ. ნ. მანოლოპულო	„ „
17. მარგანეცისა და რკინის მადნის ამხანაგობა	„ „
18. ვ. პ. აეგერინო	„
19. ბ. ა. ჯაყელი და ი. ვარაზაშვილი	„
20. ი. ხ. აბაშიძე, ი. დ. ბრეგაძე, ა. ა ჯაყელი, კ. პ. სარგინიდისი კ. გ. მასხარაშვილი. ი. პ. გავრილიდი	„ „
21. მ. ს მანუილ-დისი	თბაგრების ხეობაში
22. ხ. გ, მანოლოპულო	„ „
23. მ. და დ. ბუაძეები	
24. გ. გ. ღეღუნიშვილი ე. ვ. ღეღუნიშვილი ა. ა. ღეღუნიშვილი ვ. კ. ბაკრაძე	დარკვეთის ხეობაში
25. ო. ფ. გილერტი	„
26. ძმ. მიულსები	„
27. ნასთობაეა (ღეღუნიშვილისეული)	„ „
28. ა. ა. სარჯველაძე ნ. ა. ათაბაგი	ითხვისის ხეობაში
29. კავკასიის საბადოთა ამხანაგობა	შუქრუთის ხეობაში
30. გელზენკირხენის სამთოსამრეწველო საზოგადოება	მდ. ყვირილას მარჯვენა მხარეზე(რგანის ხეობაში)
31. ძმ. ჩილინგარიანები	„

ქართველ მეწარმეებს ეკუთვნოდათ 16 ფაბრიკა (აქედან 5 მეწარმე ერთპიროვნულად ფლობდა, ხოლო 28 მეწარმისგან შემდგარი ამხანაგობანი 11 ფაბრიკის მეპატრონეა), გერმანელებს — 4, ბერძნებს — 4, სომხებს — 3, ფრანგებს — 2, რუსებს — 1, ბელგიელებს — 1.

მეპატრონეთა მიერ ფაბრიკის გაყიდვისა თუ იჯარით გაცემის

ოთხი შემთხვევაა ჩვენთვის ცნობილი. ფაბრიკები თავისი აღჭურვილობით და საწარმოო სიმძლავრით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სხვადასხვა სიმძლავრის ფაბრიკები დღე-ღამეში უშვებდნენ დაახლოებით 2 ათასიდან 20 ათას ფუთამდე „სუფთა მადანს“[15]. სხვა, ჩვენი დაკვირვებით, სათუო ცნობით კი ისინი ყოველ 8 საათში უშვებდნენ 2 ათასიდან 18 ათას ფუთამდე გაწმენდილ მადანს[16].

ტექნიკურად მეტ-ნაკლებად სრულყოფილი გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობა და საერთოდ ჰიათურის მარგანეცის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა ფართო მასშტაბით პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში განხორციელდა. ამასთან დაკავშირებით კავკასიის სამთო სამმართველო თავის 1913 წლის ანგარიშში აღნიშნავდა: „მრეწველები განწყობილნი არიან ფაბრიკების მშენებლობისათვის, რითაც მათ სურთ დააკმაყოფილონ ბაზრის მოთხოვნა მარგანეცის მადანზე. შორაპნის საწარმოებში ახალი ფაბრიკების მშენებლობასთან ერთად, შეინიშნება ახალი, უფრო სრულყოფილი მექანიზმებისა და მოწყობილობის დანერგვის შეუნელებელი ტისწრაფება, რაც მიზნად ისახავს მადნის ხარისხის გაუმჯობესებას, მადნის გაიაფებას“[17]. მაგალითად, ძმ. ოგანეზოვების ფაბრიკასთან მოეწყო ახალი დიდი სამსხვრეველა და 8 დიუმიანი ცენტრიდანული ტუმბო[18]. კეთილმოწყობილი იყო ფრანგული „ანონიმური სამთო-სამრეწველო საქციო საზოგადოების“ გამამდიდრებელი ფაბრიკა. ის მოქმედებაში მოჰყავდა ნავთძრავა „ატლანტს“, განსაკუთრებული კონსტრუქციის მექანიზმი იყო გამოყენებული მარცვლოვანი მადნის დასანაყად და ფუჭი შენარევებისაგან გასაწმენდად. ფაბრიკა 1200-მეტრიანი საჰაეროსაბაგირო გზებით უშუალოდ უკავშირდებოდა მაღაროებს[19]. ტექნიკურად კარგად იყო აღჭურვილი სხვა გამაუხვებელი ფაბრიკებიც. მაგალითად, გ. მანუილიდისის ფაბრიკა ქვიტკირის ორსართულიან შენობაში იყო მოთავსებული. მას ამოქმედებდა ჰორიზონტალური სისტემის ნავთძრავა „პეტორი“, 45 ცხ. ძალისა; ფაბრიკას ყველა სხვა მექანიკურ მოწყობილობასთან ერთად, გააჩნდა მექანიზებული სამსხვრეველა, საზეინკლო სახელოსნო. აქ გაყვანილი იყო 20 საჟ. სიგრძის რკინიგზა, სადაც 60 ფუთის ტევადობის ვაგონები მოძრაობდნენ. ფაბრიკა 8 საათში 3 000 ფუთ გაუხვებულ მადანს უშვებდა. ასევე იყო მოწ-

---

[15] ЦГИАЛ, ф. 23. оп. д. 514, л. 264; Отчет Кавказского горного управления за 1913 год. Тиф., 1914, გვ. 60—70.

[16] დ. წერეთელი, შავი ქვა, გვ. 130.

[17] Отчет Кавказского горного управления за 1913 год. 1914 გვ. 95.

[18] იქვე

[19] იქვე

ყობილი გ. რადოვიჩის გამამდიდრებელი ფაბრიკა. ისიც ქვიტკირის ორსართულიან სახლში იყო გამართული. ფაბრიკას ამოქმედებდა 32 ცხ. ძალის ნავთძრავა „პეტორი". ტექნიკურად სრულყოფილ ფაბრიკას გააჩნდა 80 საჟენის საერთო სიგრძის ქვიტკირის არხი და ხის ღარები, რითაც მადანი მაღაროდან გამამდიდრებელი ფაბრიკისკენ მიემართებოდა. აქვე იყო გაყვანილი 30 საჟ. სიგრძის რელსებიანი გზა, 25 საჟ. სიგრძის „საესტოკადო გზა" — 4 ვაგონით. ფაბრიკა 8 საათში 4000 ფუთ გამდიდრებულ მადანს უშვებდა. აქაც, ისევე როგორც სხვა ფაბრიკებთან, აშენებული იყო ორსართულიანი სახლი მუშებისათვის. ამგვარადვე იყო მოწყობილი ძმების გ. და ა. ქავთარაძეების, ასევე ბუაძეების გამამდიდრებელი ფაბრიკა. უკანასკნელის ფაბრიკაში მაღაროდან მადანი მიემართებოდა ჯერ ე. წ. „წყლის დასაშვებით" (ღარით), ხოლო შემდეგ 100 საჟენის სიგრძისა და 15° დახრილობის ორმხრივი ბრემსბერგით. ბაგირი ფოლადისა იყო, ხოლო თითო 60 ფუთის ტევადობის ვაგონეტები — რკინისა. ფაბრიკის წარმადობა 8 საათში 3 000 ფუთს უდრიდა[20];

ფაბრიკებში საწარმოო პროცესი მექანიზებული იყო და ისინი „საერთო ძრავას" ძალით მოქმედებდნენ. ბევრგან მექანიზებული იყო მაღაროებიდან ფაბრიკაში მადნის მიწოდება და გაუხვეებული მადნის რკინიგზის სატვირთო ბაქნებამდე გადაზიდვა. ფაბრიკების ტერიტორიაზე გაყვანილი იყო რელსებიანი გზები. აშენდა მუშათა საცხოვრებლები, გაიმართა დამხმარე საწარმოები და საზეინკლო სახელოსნოები. 1914 წელს 29 მოქმედ გამაუხვეებელ ფაბრიკაში არასრული ცნობით დაახლოებით 1800 მუშა ითვლებოდა[21]. ყველა მოქმედმა გამაუხვეებელმა ფაბრიკამ 1913 წელს გამოუშვა 22 125 737 ფუთი გამდიდრებული მადანი[22]. მარგანეცის მრეწველთა სტატისტიკური კრებულის მოწმობით ყველა გამამდიდრებელ ფაბრიკას, ინტენსიური მუშაობის შემთხვევაში 1913 წელს შეეძლო გაემდიდრებინა 72 მილიონი ფუთი მადანი[23]. გამდიდრებისას „იკარგებოდა" ფაბრიკებში მიზიდული მადნის საერთო წონის ერთი მესამედი — 33%[24], ზოგიერთ სხვა წყაროს მოწმობით კი 35,17%, ზოგჯერაც 44—45%[25]. სამაგიეროდ გაწმენდილი მადანი შედარებით კარგად ფასობდა. სამრეწველო

---

[20] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 691, л. 17, 18—19.

[21] ХФЦГИАУ, ф. 834, д. 141, л. 44.

[22] Статистика марганцевого дела, К., 1914, зз. XI.

[23] Статистика марг. дела, К., 1914, зз. XI.

[24] Статистика марганцевого дела, К., 1914, зз. XIII.

[25] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 70.

სტატისტიკის ცნობით, 1914 წელს ჭიათურაში ფუთი ჩვეულებრივი, გაუმდიდრებელი მადანი 6½—7 კაპიკი ფასობდა. ხოლო გამდიდრებული — 9—13 კაპ.[26].

• • •

ასეთი იყო სამრეწველო გადატრიალების მიმდინარეობა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში, ასე გარდაიქმნა ის ინდუსტრიულ ყაიდაზე. ეს პროცესი მექანიკური ენერგიის უფრო და უფრო ინტენსიურ და დიდი მასშტაბით გამოყენების ბაზაზე განხორციელდა. ჭიათურის სამრეწველო რაიონში გიდრავლური, ორთქლის, ნავთის — „გაზომოტორებისა" და „ელექტრომოტორების" ძალის გამოყენება განსაკუთრებით ფართოდ 1906—1914 წლებში დაინერგა.

ინდუსტრიულ საფუძველზე გარდაიქმნა ჭიათურის რკინიგზის სადგურებზე მადნის ვაგონებში დატვირთვის პროცესიც. საბადო ზეგნები უშუალოდ, მადნის მექანიკური დასაშვებებით (ბრემსბერგითა და საჰაერო-საბაგირო გზით) დაუკავშირდა რკინიგზის ბაქნებს. გამამდიდრებელი ფაბრიკებიდან მადანი ასევე მეტწილად რელსებიანი ან საბაგირო გზით მიემართებოდა რკინიგზის სატვირთო ბაქნებისაკენ. უკეთ მოეწყო მადნის საწყობი და დასატვირთი ბაქნებიც. მადნის დატვირთვა ვაგონებში რკინიგზის ჭიათურის შტოს სამ სადგურზე წარმოებდა: 1. სადგ. ჭიათურაში, რომლის ბაქნების სიგრძე 17 000 კვ საჟენს აღწევდა; 2. სადგ. დარკვეთში, რომელსაც მადნის საწყობად გააჩნდა 2 400 კვ. საჟ. ფართობი და 3. ჭიათურა-დარკვეთის გზაზე (6 ვერსის სიგრძეზე), სადაც ბევრგან რკინიგზის ხაზიდან რამდენადმე მოშორებით მრეწველებს მადნის კერძო საწყობები ჰქონდათ. ჭიათურის რკინიგზის შტოს მოცემულ უბანზე მადნის საწყობი და სატვირთო ბაქნების საერთო ფართობი 27 000 კვ საჟენს აღწევდა. მადნით რკინიგზის ვაგონების დატვირთვისათვის განკუთვნილი უბნები დიდ სიგრძეზე იყო გადაჭიმული, რის წყალობითაც რკინიგზის შტოს დასახელებულ სადგურებზე ერთდროულად 100 ვაგონის დატვირთვა შეიძლებოდა[27].

ჭიათურის აუზში სამრეწველო ცხოვრების განვითარებამ ერთგვარი ბიძგი მისცა საკრედიტო დაწესებულებების ქსელის გაფართოებას მთელ მაზრაში. მათ შორის აღსანიშნავია: 1. ყვირილას საკრედიტო ამხანაგობა; 2. შორაპნის საკრედიტო ამხანაგობა; 3. სასოფლო-

---

[26] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514. л. 71.

[27] В. Л. Тухолка, Назв. соч., გვ. 68; დ. წერეთელი, შავი ქვა, 1930, გვ. 135.

სამეურნეო კრედიტის ყვირილას ურთიერთდამხმარე საზოგადოება: 4. დილიკაურ-ბოსლეევის საკრედიტო ამხანაგობა; 5. ბელაგორის საკრედიტო ამხანაგობა; 6. კორბოულის საკრედიტო ამხანაგობა; 7. ჭიათურის ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოება; 8. მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საბჭოს თანამშრომელთა გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა; 9. ჩხარის საკრედიტო ამხანაგობა, თერჯოლის საკრედიტო ამხანაგობა. ჭიათურის სამრეწველო რაიონში ოპერაციებს ახორციელებდნენ თბილისის საკომერციო ბანკი, აზოვ-დონის ბანკი, რუსეთ-აზიის ბანკი[28], რომელთა წარმომადგენლები სესხებს აძლევდნენ მრეწველებსა და მადნის ექსპორტიორებს.

სამრეწველო გადატრიალებამ თვალსაჩინო ცვლილებები შეიტანა საწარმოო პროცესში, შრომის დანაწილებასა და მუშახელის განლაგებაში, რასაც თან ახლდა ასეთივე ცვლილება მადნის თვითღირებულებაში, მისი შემადგენელი მუხლების თანაფარდობაში[29].

გავეცანით მარგანეცის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების — ტექნიკური გადატრიალების გაღრმავების — პროცესის მიმდინარეობას. მისი ჯეროვნად შეფასება, ვფიქრობთ, სრულ საფუძველს გვაძლევს გადავსინჯოთ საკითხის ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმად მოცემული დარგი 1879—1921 წლებში, ძირითადად „წვრილი სასაქონლო და კუსტარული წარმოების ფორმისაა". სინამდვილეში ცხადზე უცხადესია, რომ აქ პირველ მსოფლიო ომის წინა წლებში საქმე გვაქვს მრეწველობის განვითარების ქარხნულ-ინდუსტრიულ სტადიასთან.

მაღაროებში რელსებიანი გზების დაგებამ და ექსპლოატაციამ გაადვილა და გააუმჯობესა საბადოთა რაციონალურად ათვისება. მაღაროდან საბადოს ზედაპირზე მადნის ზიდვის ტექნიკის გაუმჯობესებამ, ასევე საბადო ზეგნებიდან გამამდიდრებელ ფაბრიკებამდე და რკინიგზის ჭიათურის შტომდე მადნის ტრანსპორტირების მექანიზაციამ დიდად დააწინაურა მარგანეცის მრეწველობა: გაიზარდა მადნის მოპოვების მასშტაბი, შემცირდა მისი თვითღირებულება. ტექნიკურად საუცხოოდ აღჭურვილი ფაბრიკები დიდძალ მადანს ამდიდრებდნენ. მრეწველობის მოცემულ დარგში ტექნიკური გადატრიალება ხასიათდება გიდრავლიკური, ორთქლის, ნავთობის — გაზომოტორული და ელექტრომოტორული ძალის უფრო და უფრო ფართოდ გამოყენებით.

---

[28] სსსა, ფონ. 415, საქ. 109, 1913 წ., ფურც. 10.

[29] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, 1910—1913 гг., л. 190—200.

§ 7. მუშათა რიგების შემდგომი შევსება-ჩამოუალიბება. მუშათა მდგომარეობა და მოძრაობა რევოლუციური აღმავლობის წლებში

ჭიათურის სამრეწველო რაიონში მუშათა რიგების შემდგომი შევსების მთავარ წყაროს განსახილველ პერიოდში, როგორც ადრე, ადგილობრივი გალატაკებული გლეხობა წარმოადგენდა. იზრდებოდა მუშათა ოჯახების წევრთა (ქალნა, მოზარდთა) მონაწილეობა წარმოებაში, მათი რიცხვი მუშათა საერთო მასაში[1]. დაქირავებულ მუშათა კონტინგენტი ივსებოდა მოსულთა — რუსების, სომხების, სპარსელების, ბერძნებისა და სხვათა ხარჯზე[2].

სტატისტიკის ზოგადი ცნობით სამრეწველო რაიონში სამთო მუშათა რიცხვი ასე ცვალებადობდა[3]:

წელი	სამთო მუშათა რიცხვი	წელი	სამთო მუშათა რიცხვი
1906	5 085	1911	2 073
1907	4 994	1912	2 380
1908	671	1913	3 477
1909	3 123	1914	3 095
1910	3 213		

მოტანილი ცნობები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მეტისმეტად არასრულია. სამრეწველო სტატისტიკის ცნობით 1905 წელს მხოლოდ 3 172 სამთო მუშაა ჭიათურაში, 1906 წელს — მათი რიცხვი გაზრდილა 49,91 %-ით.

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ მუშათა რიცხვის მკვეთრ შემცირებას 1908 წლის კრიზისის პერიოდში; 1909—1910 წლებში მუშათა რიცხვი კვლავ საგრძნობლად გაზრდილია, მომდევნო 2 წლის მანძილზე კი მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირებულია, ხოლო 1913—1914 წლებში სამთო მუშათა რიცხვი კვლავ იზრდება წინა ორ წელთან შედარებით. ზრდის ეს მაჩვენებლები, ისევე როგორც ზემომოტანილი მონაცემები, არასრულია. ასე მაგალითად, სტატისტიკის ცნობით 1909 წელს ჭიათურაში მხოლოდ 3 123 სამთო მუშაა, ხოლო მკვლევარ ვ. ტუხოლკას ცნობით 4531[4]. სტატისტიკის ერთი ცნობით 1914 წელს 3 095 სამთო მუშაა, ხოლო მეორე ცნობით, რასაც მკვლევარებიც (ვ. ტუხოლკა, ფ. ბუბლეინიკოვი და ნ. ლესინგი) ეთანხმე-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 565, оп. 7. д. 26907, 1910—1911 гг., л. 10

[2] იქვე.

[3] Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., К., 1918; таблица 17.

[4] В. Л. Тухолка, Указ. соч. (Богатства СССР, под ред. А. Ф. Арского, М.-Л., 1927, зд. 67.)

ბიან, სამთო მუშებია 5 000, რკინიგზის შტომდე მადნის გადამზიდველი მუშები კი 500[5]. ჩვენ მოგვეპოვება შედარებით უფრო სარწმუნო წყარო, რომელიც დამაჯერებლად გვიდასტურებს სამრეწველო სტატისტიკის ცნობების უზუსტობას და გვიჩვენებს სამთო მუშათა რიცხვის თვალსაჩინო სიდიდეს. მხედველობაში გვაქვს სამრეწველო უბნის ბოქაულის, მესხის მიერ 1913 წელს შედგენილი „ცნობები ჭიათურის სამრეწველო უბნის ქარხნებისა და მაღაროების მუშებზე"[6]. აქ პერსონალურადაა ჩამოთვლილი მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკები, მათი მფლობელები და იქვე ცალ-ცალკეა მითითებული სხვადასხვა მსხვილ საწარმოთა მუშების რიცხვი, ხოლო შემდეგ წარმოდგენილია ჯამური მონაცემები ე. წ. „წვრილ" საწარმოებში ჩაბმული მუშების რიცხვის დასახელებით. თუ ამ ცნობების განხილვისას მსხვილ სამთო საწარმოთა ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობით ნიშნად მუშათა რიცხვს (25 მუშის ზევით) ჩათვლით, მაშინ აღმოჩნდება, რომ ჭიათურის სამრეწველო რაიონში 1913 წელს 44 მსხვილი სამთო საწარმოა და ისინი სულ 3 110 სამთო მუშას ითვლიან. უწყისში სამწუხაროდ, ცალ-ცალკე არაა ჩამოთვლილი საშუალო (10—25-მუშიანი) და წვრილი (1—10-მუშიანი) სამთო საწარმოები. სამაგიეროდ მითითებულია ორივე კატეგორიის საწარმოთა მუშების საერთო რიცხვი (16+17+16+3842)—3891[7]. ასე რომ 1913 წელს ჭიათურის სამრეწველო რაიონში სულ 7 001 სამთო მუშაა, მაშინ, როცა სამრეწველო სტატისტიკის ცნობით ამ წელს ჭიათურაში მხოლოდ 3 477 სამთო მუშაა. ბოქაულ მესხის მიერ შედგენილი ცნობების თანახმად იმავე 1 913 წელს სამრეწველო რაიონში მოქმედი მადნის 15 გამამდიდრებელ ფაბრიკაში 1 098 მუშაა[8]. სინამდვილეში ამ წელს, როგორც სარწმუნო წყაროები გვიჩვენებენ, აქ 25 გამამდიდრებელი ფაბრიკა მუშაობს: ბოქაულს მხოლოდ 15 აღუწერია და ამდენად მისი მონაცემები არასრულია.

---

[5] შდრ. Статистика марганцевого дела за 1914 — 1917 годы, К., 1918, გვ. XVIII — XIX; В. Л. Тухолка, Указ, соч., გვ. 67: ф. Бубленников, Н. Лессинг, Марганцевая промышленность СССР, М.-Л., 1925, გვ. 9.

[6] სსსა, ფონ. 415, საქ. 109, ფურც. 6—7.

[7] ამ შემთხვევაში საბუთის მონაცემებს ჩვენ ვაჯამებთ არა სამრეწველო სტატისტიკის მიერ შემოთავაზებული პრინციპის მიხედვით, არამედ სხვადასხვა კატეგორიის საწარმოთა იმ პირობითი ნიშნის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენ შემოვიღეთ. ამრიგად, გამოდის, რომ 1913 წელს, როცა სულ 260 სამთო საწარმო ითვლებოდა, 217 საშუალო და წვრილ მრეწველს სულ 3891 მუშა ჰყავდა დასაქმებული.

[8] სსსა, ფონ. 415, საქ. 109, ფურც. 6.

ბოქაულის ცნობით, 1913 წელს ჭიათურის სამრეწველო რაიონში მაღაროებიდან და გამამდიდრებელი ფაბრიკებიდან რკინიგზამდე მადნის გადამზიდველი მუშებია 1809, ხოლო რკინიგზის ჭიათურის შტოს სადგურებზე მადნის მტვირთავები—638[9]. იმავე წყაროს ჩვენებით 1913 წელს სამრეწველო რაიონში მოქმედებენ აგრეთვე შემდეგი სარეწავები[10]:

კამფეტის 1 „ფაბრიკა“		— 6	მუშით
ცეცხლგამძლე თიხის 1 „ქარხანა“		— 3	მუშით
აგურისა 33	„	— 141	„
თონეები 5	„	— 50	„
კრამიტის 61	„	— 244	„
ლიმონათის 3	„	— 17	„
კირისა 7	„	— 118	„

დასახელებულ სარეწებში სულ 795 მუშაა.

ამგვარად, ბოქაულის აღწერით, რაც, ჩვენი დაკვირვებით, სრული არ უნდა იყოს, 1913 წელს ჭიათურის სამრეწველო რაიონში სამთო მუშებია 7001, გამამდიდრებელი ფაბრიკისა—1 098, მადნის გადამზიდველნი — 1809, მადნის მტვირთავები — 638, ხოლო სხვადასხვა, დამხმარე სარეწავებისა—795, ანუ სულ 11 341 მუშა. როგორც ვხედავთ, 1913 წლისათვის სამრეწველო რაიონში დიდძალი მუშახელია თავმოყრილი. ამაზევე გვანიშნებს წინანდელი წლის დამდეგის მონაცემებიც[11]: ჭიათურის სამრეწველო უბანში 1912 წლის 1 იანვრისათვის აღურიცხავთ 11 128 სული (ორივე სქესისა); საყურადღებოა, რომ აქედან სამრეწველო უბნის მკვიდრი მხოლოდ 173 სულია[12]. ჩანს, რომ სტატისტიკური აღწერისას მკვიდრთა რიცხვს არ აკუთვნებდნენ სამრეწველო რაიონის მახლობელი სოფლებიდან მოსულებსაც. ამასთანავე 1912 წლის იანვრის სტატისტიკური აღწერა საგულისხმო ცნობებს შეიცავს მუშათა ეროვნული შემადგენლობის დასადგენად: ამ დროისათვის მაღაროებსა და ქარხნებში „ტუზემცებია“ (ვფიქრობთ, ძირითადად ქართველები უნდა ვიგულისხმოთ) 10 014, რუსები — 125, სხვა ეროვნებისა — 499[13].

ცხადია, რომ მუშათა ძირითად მასას ქართველები შეადგენდნენ. უცხოეთის ქვეშევრდომი მუშები ჭიათურაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოების ჩასახვიდანვე გამოჩნდნენ, თუმცა მათი რიცხვი

---

[9] სსსა, ფონ. 415, საქ. 109, ფურც. 7.

[10] იქვე, ფურც. 8.

[11] იხ. Статистические сведения по Чиатурскому промысловому участку Шорапанского уезда (სსსა, ფონ. 415, საქ. 110, ფურც. 2).

[12] სსსა, ფონ. 415, საქ. 110, ფურც. 2.

[13] იქვე.

აქ შედარებით უმნიშვნელო იყო. აღსანიშნავია, რომ 1913 წელს ბოქაულის მიერ აღრიცხული სამთო, მადნის მზიდველ და მტვირთავ, აგრეთვე გამამდიდრებელი ფაბრიკების მუშებს შორის უცხოეთის ქვეშევრდომია მხოლოდ 219[14].

ზემომოტანილი ცნობები სრულ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მოცემულ პერიოდში, როგორც ადრე, ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა დაახლოებით 85—90%-ს ქართველები შეადგენენ.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სამრეწველო რაიონის მუშათა ასაკობრივი შემადგენლობა. 1907 წლის სტატისტიკური ცნობით ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის დამხმარე სარეწავების 1382 მუშიდან 387 მოზარდია, ხოლო მადნის გადამზიდველთა შორის 1 392 მუშიდან — 205[15]. სამრეწველო სტატისტიკის ცნობით 1911 წელს 6 საბადო ზეგნის მაღაროებში (მიწისქვეშ) მუშაობს 1 386 მუშა, აქედან არასრულასაკოვანია 69, ხოლო მაღაროს ზედაპირზე — 686 მუშა, აქედან არასრულასაკოვანია 82, მცირეწლოვანი კი 17; 1912 წელს იმავე ზეგნების მაღაროებში (მიწის ქვეშ) მუშაობს 907 მუშა, ხოლო ზედაპირზე—1473, აქედან არასრულასაკოვანია 156, მცირეწლოვანი კი 116, 1913 წელს 9 საბადო ზეგანზე სტატისტიკამ აღრიცხა მაღაროში (მიწის ქვეშ) მომუშავენი 1680, აქედან არასრულასაკოვანია 70, ხოლო საბადოს ზედაპირზე მომუშავენი — 1793, აქედან არასრულასაკოვანი — 217 და 4 მცირეწლოვანი; 1914 წელს სტატისტიკამ 8 საბადო ზეგანზე აღრიცხა: მაღაროებში (მიწის ქვეშ) მომუშავენი 1884, ზედაპირზე მომუშავენი კი 1211, აქედან 42 არასრულასაკოვანია, ხოლო 12 მცირეწლოვანი[16]. ამრიგად, წარმოებაში არასრულასაკოვანთა და მცირეწლოვანთა შრომა განსახილველ პერიოდშიც საგრძნობლად გამოიყენებოდა, უპირატესად საბადოს ზედაპირზე გამოზიდული მადნის გარჩევა დახარისხებასა და მრეწველობის დამხმარე დარგებში, ამასთანავე არასრულასაკოვანთა გამოყენება იშვიათად შეინიშნება აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებშიც.

უნდა ვიფიქროთ, რომ არასრულასაკოვანთა შრომის გამოყენებას სტატისტიკა სასურველი სისრულით არ ასახავდა, რადგან, როგორც აღვნიშნავდით, სამრეწველო კანონმდებლობა კრძალავდა არასრულასაკოვანთა, ქალთა და მითუმეტეს მცირეწლოვანთა შრომას სამთამადნო მრეწველობაში და ამდენად მეწარმენი დაინტერესებული იქ-

---

[14] სსსა, ფონ. 415, საქ. 109, ფურც 7.

[15] Статистика марганцевого дела за 1907 год., К., 1908.

[16] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 389, л. 4—13.

ნებოდნენ სამთო ზედამხედველობისათვის დაემალათ ამგვარი ფაქტები. მათი შრომის გამოყენება ყოველგვარ ეჭვს გარეშეა მითუმეტეს, რომ სამრეწველო აუზის გლეხური მოსახლეობის სახმარი მიწების ნაწილი მრეწველთა ხელში გადადიოდა და შეუნელებლივ მიმდინარეობდა ამ რაიონის სოფლის მოსახლეობის სამრეწველო მოსახლეობად გარდაქმნა. ეს გარემოება მთელი სიცხადით ვლინდებოდა წარმოების მიერ განცდილი პერიოდული კრიზისებისას, მაგალითად, 1908 წლის სამრეწველო კრიზისის დროს, როცა წარმოების ძლიერ დაქვეითების შედეგად, სახნავ-სათესი ფართობის მწვავე ნაკლებობის პირობებში, სამრეწველო აუზის მკვიდრი მოსახლეობა აუტანელ შიმშილობას განიცდიდა. ამ დროს იქ შექმნილ ვითარებას ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესაც. ამ მხრივ ნიშანდობლივია გაზ. „აზრის" კორესპონდენტის მიერ (ბ. გამწარდაშვილის ფსევდონიმით) 1908 წელს გამოქვეყნებული წერილი, სადაც ასეა აღწერილი ზედა რგანის მოსახლეობის მდგომარეობა: „ბურჟუა-ექსპლოატატორებმა საიჯაროთ აღებულ მამულებში ადგილობრივი მკვიდრნი დღიურ მოქირავნეებათ აიყვანეს და ამის გამო ზედა რგანელებმა მიატოვეს თავისი მეურნეობა და ყოველგვარი საოჯახო საქმე, და ყველამ: დიდმა, პატარამ, კაცმა და ქალმა მიყვეს ხელი შავი ქვის ჩიჩქნას. დღეს მკვიდრნი შავი ქვისგან ვერას შოულობენ, აღარც აქვთ სახნავ-სათესი მიწები, რომ ცოტაოდენი ჭირნახული მაინც მოეყვანათ და უკიდურეს გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი. წარმოება დაცემულია ჭიათურაში; სამუშევარი არ არის, სიმინდი არ მოდის და არც აქვთ; უკანასკნელ სამუშაო იარაღს ყიდიან და დღე და დღე ყიდულობენ სადილ-ვახშამს ჭიათურაში"[17]. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა დაღმავლობას განიცდიდა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე მუშების ჯარში გაწვევამ, — მარგანეცის მრეწველობაში ჩაბმული მუშების საერთო მასიდან მთავრობამ მხოლოდ 10% დატოვა ადგილზე, ხოლო 90% ჯარში გაწვევას ექვემდებარებოდა[18]. ომმა იმთავითვე „ღრმა კვალი დააჩნია" მრეწველობის მრავალ დარგს[19]. და მითუმეტს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას, რომელიც მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებისაგან იყო დამოკიდებული.

პირველი მსოფლიო ომის წლებში მკვეთრად მცირდებოდა კვალიფიციურ მუშათა რიცხვი. ქალთა და ბავშვთა შრომის გამოყენების მასშტაბი კი იზრდებოდა. სხვადასხვა კატეგორიის მუშათა რიცხვი სტატისტიკის ცნობით ასე შემცირდა:

---

[17] გაზ. „აზრი", 1908, 15 თებერვალი, № 15.
[18] სსსა, ფონ. 275, საქ. 341, 1915 წ., ფურც. 1.
[19] გაზ. „ახალი აზრი", 1914, 3 ოქტომბერი, № 10.

ცხრილი 9°

წელი	სამთო მუშები	გამამდიდრებელი ფაბრიკების მუშები	მადნის გადამზიდველი მუშები
1915	1 222	170	200
1916	1 059	417	15
1917	9 86	222	38

1906—1914 წლებში მსხვილმა კაპიტალისტურმა მრეწველობამ გაიმარჯვა, გაძლიერდა სამრეწველო პროლეტარიატის კონსოლიდაცია მსხვილ, ინდუსტრიულად მოწყობილ საწარმოებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწრაფი ტემპით წარიმართა მუშათა კონცენტრაცია მსხვილ სამთო საწარმოებსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში. სამრეწველო რაიონის მუშათა ძირითად მასას კვლავ სამთო მუშები შეადგენდნენ, დიდძალი მუშახელი მიაწყდა გამამდიდრებელ ფაბრიკებს, ადრინდელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა მადნის საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით გადამზიდველი მუშახელის რიცხვი, გაიზარდა რკინიგზის ბაქნებზე მადნის მტვირთავთა, აგრეთვე მრეწველობის დამხმარე საწარმოთა მუშების რიცხვი. სამთო მუშები იყოფოდნენ: მნგრეველებად, მენიჩბე-მტვირთავებად, მაღაროდან მადნის (რელსებიან გზაზე ან ჩვეულებრივ) გამომზიდველებად, დამხარისხებლად. პირველი სამი კატეგორიის მუშები მაღაროებში (მიწის ქვეშ) ეწეოდნენ საქმიანობას, ხოლო უკანასკნელისა — საბადოს ზედაპირზე.

სამთო მუშათა საშუალო წლიური წარმადობა იზრდებოდა და თუ ადრე ერთი სამთო მუშა საშუალოდ დღეში 35—50 ფუთ მადანს პოულობდა, 1913 წლისათვის ის 65 ფუთს ამზადებდა[21]. შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოების პროცესში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა წარმოადგენდა.

სამთო მუშათა შრომის პირობები ერთგვარად გაუმჯობესდა, თუმცა კვლავაც ხშირი იყო შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობა, რაც უბედურ შემთხვევებს იწვევდა. ამას გვიდასტურებს „უბე-

[20] Статистика марганцевого дела за 1914—1917 годы, К., 1918, вып. 24, ч. 1, табл. № 17, ч. 2, табл. № 17, ч. 3, табл. № 17.

[21] Статистика марганцевого дела за 1913 год, К., 1914, табл. № 20.

დური შემთხვევების აღრიცვის უწყისი", რომელიც არასრულია, რადგან სამთო ზედამხედველობას ფაქტიურად მხოლოდ შედარებით მსხვილი სამთო საწარმოები ექვემდებარებოდნენ[22]. უწყისების მონაცემების ურთიერთშეწყობა-შეჯერებით ჩვენ მიერ შედგენილი ცხრილი ასეთ სურათს წარმოგვიდგენს.

ცხრილი 10[23]

წელი	უბედურ შემთხვევათა საერთო რიცხვი	დაშავდა ან დაიღუპა მუშები		სულ	
		არასრულასაკოვანნი	სრულასაკოვანნი	დაშავდა	დაიღუპა
1906	48	1	47	38	10
1907	120	2	118	113	7
1908	89	1	88	85	4
1909	105	—	—	—	10
1910	164	14	150	156	8
1911	161	15	146	163	8
1912	359	20	339	348	11
1913	450	32	433	433	17
1914	379	35	349	365	14
სულ	1911	120	1670	1701	89

როგორც ვხედავთ, უბედურ შემთხვევათა რიცხვის ზრდა განსაკუთრებით საგრძნობია 1910 წლიდან. კავკასიის სამთო სამმართველო 1910—1912 წლებში მომხდარი უბედური შემთხვევების უწყისების მონაცემების შეფასებისას შენიშნავდა: „სამმართველოს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ უწყისის ცნობებით 1910—1911 წლებთან შედარებით 1912 წელს უბედურ შემთხვევათა რიცხვი შორაპნის მაზრაში გაცილებით დიდია. ეს იმით აიხსნება, რომ წინა წლებში სამთო საწარმოები, მათი სიმრავლისა და დაქუცმაცებულობის გამო, სრულად არ იყო აღრიცხული. მრავალი საწარმოს მეპატრონე თვითონ წარმოადგენდა მუშას და სამთო უწყებას არ აწვდიდა ცნობებს მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ. 1912 წელს კი მოხერხდა უბედურ შემთხვევათა შედარებით სრულად აღრიცხვა"[24].

უბედური შემთხვევები ხშირად, ჩანს, ღამით მუშაობისას ან სამ-

---

[22] შდრ. ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 225, 1904—1912, л. 2—41.

[23] ცხრილის შედგენისას ჩვენ დავეყრდენით; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 225, 1904—1912 гг., л. 2—41; ХФЦГИАУ, ф. 834, оп. 1, д. 91, л. 7—17.

[24] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 225, л. 14.

თო გამონამუშევრებში მუშების ღამისსათევად დარჩენისას ხდებოდა. ამაზე მეტყველებს 1912 წლის უწყისი, საიდანაც ჩანს, რომ 359 შემთხვევიდან დღისით მოხდა 296, ხოლო ღამით—63[25]. უბედურ შემთხვევებს იწვევდა სამთო გამონამუშევრების გაუმაგრებლობა, უსაფრთხოების წესების დაუცველობა.

ამრიგად, განსახილველ პერიოდში უბედური შემთხვევების მსხვერპლი ხდებოდა მრავალი ასეული მუშა.

მართალია, მეწარმეებს ჯერ კიდევ 1906 წლიდან დაევალათ მუშებისათვის „საანგარიშო წიგნაკების“ დარიგება, მაგრამ ისინი არ ასრულებდნენ კანონის მითითებას. გამამდიდრებელი ფაბრიკის მეპატრონე ო. გილერტი 30 მუშას ამუშავებდა უწიგნაკოდ, ნ. ვოტრენი 15-ს და სხვ. საკრებულომ (თითოეულ უწიგნაკო მუშაზე 5 მანეთი) ჯარიმა დააწესა და მისი გადახდა დაავალა კანონის დამრღვევ მეწარმეებს[26].

განსახილველ პერიოდში მუშათა მდგომარეობას აუარესებდა უმუშევრობა, რაც განსაკუთრებით 1907—1908 წლებში გაიზარდა. 1908 წელს უმუშევართა რიცხვმა 3000-ს გადააჭარბა. მრეწველი ამ დროს აშკარად უცხადებდა უმუშევრობით წელში გატეხილ მუშას: „გეყო რაც ვიზრუნე შენზე, ახლა დროა უკანვე წავიღოთ ის, რაც „ქარტეხილის ხანაში“ ძალაუნებურად დაგითმეთო[27]. 1908 წლის კრიზისის დროს მრეწველთა ერთი ნაწილი წავიდა ჭიათურიდან, „ბევრ მათგანს მუშებისათვის ხვედრი ფულიც არ მიუცია, მუშები შიმშილს განიცდიდნენ“[28]. სამთო, გამამდიდრებელი ფაბრიკებისა და მადნის გადამზიდველ მუშებთან ერთად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ რკინიგზის სადგურებზე მადნის მტვირთავი მუშები—467 კაცი. მათ, ისევე როგორც სამთო მუშებმა, შექმნეს უმუშევართა ბიურო, რომელმაც გადაწყვიტა: „ვინაიდან მუშაობა 467 კაცს არ ყოფნის, გაიყოს 3 პარტიად — იმუშაონ მორიგეობით თითო თვე; ვინც ორშაბათს გააცდენს, მას გაუცდება მთელი კვირა. იმ ადგილზე კი უმუშევართა ბიუროს გაგზავნილი კაცი იმუშავებს“[29]. მეწარმენი უფრო და უფრო აუარესებდნენ მუშათა მდგომარეობას. „აქაური კაპიტალისტები დღე და ღამე იმას ცდილობენ, რომ სამუშაო პირობები აუტანელი გახადონ

---

[25] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 225, л. 15—23.

[26] ქსსა, ფონ. 39, საქ. 15, ფურც. 12—17.

[27] „ჩვენი კვალი“ 1908, 25 მაისი, № 1.

[28] „ცხოვრების სარკე“, 1908, 2 მაისი, № 9.

[29] „ცისკარი“, 1908, 22 იანვარი, № 10.

მუშებისათვის, დაუკლონ სამუშაო ქირა, გაადიდონ სამუშაო დღე, წაართვან ბრძოლით მოპოვებული უფლებები და სხვ.“[30].

მეწარმეთა უმრავლესობამ მუშათა დიდი ნაწილი დაითხოვა. მაგალითად, ინგლისურმა ფირმამ ფორვუდმა და კომპანიამ 1908 წლის თებერვალში 207 მუშა დაითხოვა. ამხედრებულმა მუშებმა „გადაწყვიტეს ერთხმად ბოიკოტი გამოცხადებოდა ფორვუდს“[31]. ფირმა იძულებული გახდა დათხოვნილი მუშებიდან 93 კაცი დაებრუნებინა სამუშაოზე, შემოეღო 8-სათიანი სამუშაო დღე, უცვლელად დაეტოვებინა ადრე დაწესებული ხელფასი, უზრუნველეყო მუშები ბინით, იაფფასიანი სასადილოთი და სხვ.[32]. მაგრამ დასახელებული ფირმის მუშათა გაფიცვის ჩასაქრობად ქუთაისიდან ჩამოსულმა ჟანდარმებმა ადგილობრივ პოლიციასთან ერთად, გაჩხრიკეს და ააწიოკეს მუშები[33], მათ დააპატიმრეს ოთხი მუშა: ლ. კილაძე, ნ. შავლაყაძე, ა. გენძეხაძე, ა. კაკაბაძე[34]. მუშები ირაზმებოდნენ წინააღმდეგობის გასაწევად, სამუშაოს მისაღებად. „ჭიათურის უმუშევარ მუშათა ბიურო“, რომელიც „მარგანეცის მუშათა პროფესიულ კავშირთან“ კონტაქტში მოქმედებდა, მრეწველთა ყრილობას მიმართავდა მოთხოვნით, რომ წარმოებიდან დროებით წასულ მუშათა ადგილზე მიღებულიყვნენ უმუშევრები[35]. 1908 წელს ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა უმწეო მდგომარეობა არ შეცვლილა. უმუშევრად იყო ათასობით მუშა. სამუშაოს ძებნისას მუშები ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. მაგალითად, სოფ. ხრეითელ უმუშევართა შორის კ. ჟღენტმა, ტ. ჩაფიძემ, ე. მიქაცაძემ და თ. მოდებაძემ აგიტაცია გასწიეს და შეადგინეს ორგანიზაცია, რომელშიც 300 უმუშევარი გაერთიანდა. ეს ხალხი ერთად წავიდა ჭიათურაში, სადაც წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ ბეგრელი, გურული, ოსი და სხვ. მოსული მუშებისათვის, რომელთაც სამუშაოს წართმევაში ადანაშაულებდნენ[36]. ამ ღონისძიების მოთავეებს სამართლიანად აკრიტიკებდა იმდროინდელი სოციალ-დემოკრატიული მიმართულების პრესა, რომელიც გულისტკივილით აღნიშნავდა კრიზისისა და უმუშევრობის უარყოფით გავლენას სამრეწველო რაიონის მუშათა საბრძოლო სოლიდარობაზე[37].

---

[30] „მერცხალი“, 1908, 5 აპრილი, № 2.

[31] „აზრი“, 1908, 17 თებერვალი, № 17.

[32] ი ბ ე ე.

[33] ი ბ ე ე, 6 თებერვალი, № 7.

[34] ი ბ ე ე, 17 თებერვალი, № 17.

[35] ი ბ ე ე, 15 თებერვალი, № 15.

[36] „ცისკარი“, 1908, 22 იანვარი, № 10.

[37] „ეკალი“, 1908, 17 სექტემბერი, № 14.

1908 წელი მძიმე აღმოჩნდა სამრეწველო რაიონის მუშათა მრავალათასიანი რაზმისათვის; ე. წ. „მენარდეებმა“ კიდევ უფრო გააძლიერეს მუშათა ძარცვა და შევიწროება[38], უმუშევართა დიდი ნაწილი უთავშესაფაროდ დარჩა და სამუშაოს მოლოდინში ღამეს რკინიგზის სადგურზებზე ათენებდა[39]. სამრეწველო რაიონს გადამდები დაავადებანი და შიმშილობა მოედო. „პერევისა, შუქრუთი, ითხვისი, ჭალაურთა და სხვა ჭიათურის ახლომახლო სოფლები შიმშილს განიცდიან“[40]. 1909 წლიდან სამრეწველო აღმავლობა წამოიწყო და მუშები სამუშაოს დაუბრუნდნენ.

* * *

განსახილველ პერიოდში მაღაროების დიდი ნაწილი ელექტროგანათებაზე გადავიდა, სამთო გამონამუშევრებიდან მადანი რელსებიანი გზით გამოჰქონდათ, საბადოებსა და გამამდიდრებელი ფაბრიკების უბნებში მოეწყო მუშათა საცხოვრებლები, მუშათა სასადილოები და ფარდულები. ერთგვარად გაუმჯობესდა მუშათა სანიტარულ-ჰიგიენური და სამედიცინო, აგრეთვე კულტურული მომსახურება. რამდენადმე შეიცვალა შრომის ანაზღაურების ფორმები.

წვრილი მეწარმენი, აგრეთვე საშუალო მეწარმეთა ის ნაწილი, რომელმაც რკინიგზამდე მადნის ზიდვის მექანიზაცია ვერ შეძლო, მუშებს მეტწილად ნარდად, ფუთობით ურიგდებოდნენ. „მეფუთე“ მუშა ყოველ მოპოვებულ, გაწმენდილ და რკინიგზის შტოს სადგურამდე მიტანილ ფუთ მადანში 2—3—5 კაპიკს ღებულობდა. ამ კატეგორიის მუშათა დღიური ხელფასი 80 კაპიკიდან 1 მანეთამდე აღწევდა[41]. მსხვილ სამთო საწარმოებში მუშებმა ბრძოლით მოიპოვეს დღიური დაქირავების სისტემის დამკვიდრება.

სამრეწველო რაიონის მუშათა ხელფასის დონე არ ხასიათდებოდა ერთფეროვნებითა და სტაბილურობით. მუშებს შორის ბევრი სოფელთან იყო დაკავშირებული, იყვნენ დროებით (სეზონურად) მომუშავენიც, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების პერიოდში წარმოებიდან მიდიოდნენ, რის გამო ზაფხულობით მრეწველობაში მუშათა რიცხვი მცირდებოდა, ხოლო ხელფასი მატულობდა[42]. ამასთანავე,

---

[38] „კვალი“, 1908, 17 სექტემბერი, № 14.

[39] „ჩვენი კვალი“, 1908, 25 მაისი, № 1.

[40] „აზრი“, 1908, 6 თებერვალი, № 7.

[41] А. Тухолка, Железные и марганцевые руды, გვ. 67.

[42] ЦГИАЛ, ф. 565, оп. 7, д. 26907, 1910—1911 гг., л. 16.

მეწარმენი მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისას (ვთქვათ 1905 — 1907, აგრეთვე 1913 წელს) იძულებული ხდებოდნენ დათანხმებოდნენ ხელფასის მომატებას, ხოლო „სიმშვიდისას" მას იმთავითვე ამცირებდნენ. ხელფასი სხვადასხვანაირი იყო მსხვილ და წვრილ საწარმოებში.

ჭიათურის სამრეწველო რაიონში მუშათა საშუალო დღიური ხელფასი (ქუთაისის გუბერნიის საფაბრიკო და სამთო-საქარხნო საქმეთა საკრებულოს განსაზღვრით) ასე ცვალებადობდა:

ცხრილი 11[43]

წელი	მუშის ხელფასი											
	სრულასაკოვანისა				არასრულასაკოვნისა				მცირეწლოვანისა			
	მამრობითი სქესისა		მდედრობითი სქესისა		მამრობითი სქესისა		მდედრობითი სქესისა		მამრობითი სქესისა		მდედრობითი სქესისა	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1907—1909	1	20		80		90		60		55		40
1910—1914	1	80		80		70		50		40		4

მოტანილი ცნობების თანახმად 1910—1914 წლებში მოზრდილთა ხელფასი ადრინდელთან შედარებით გაიზარდა, ხოლო არასრულასაკოვანთა და მცირეწლოვანთა შემცირდა. კვლავაც თვალსაჩინოა მამრობითი და მდედრობითი სქესის მუშათა ხელფასის სხვაობა.

ხელფასის ზრდა-შემცირება მეტი დინამიურობითა და მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. მაგალითად, 1905 წელს მომატებული ხელფასის დონე მეწარმეებმა 1906 წლის დამდეგს კვლავ შეამცირეს რევოლუციამდელ დონემდე. 1906 წლის ივლისის გაფიცვის შედეგად მუშებმა 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესებასა და ხელფასის მომატებას მიაღწიეს. მნგრეველი მუშის დღიური ხელფასი 1 მანეთიდან 1 მან. და 80 კაპიკამდე გაიზარდა, მადნის გამომზიდველისა — 80 კაპიკიდან 1 მან. და 50 კაპიკამდე, დამხარისხებლისა — 60 კაპიკიდან 1 მან. და 20 კაპიკამდე[44], არასრულასაკოვანთა ხელფასმა კი 50 — 60 კაპიკს მიაღწია[45], მტვირთავი მუშები ადრე ერთი ვაგონის და-

[43] ჭსსა, ფონ. 39, საქ. 16, ფურც. 1—3, 5.

[44] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 38.

[45] Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., табл. № 21.

ტვირთვაში 75 კაპიკს იღებდნენ, ხოლო გაფიცვის შემდეგ — 1 მანეთსა და 20 კაპიკს[46]. მაგრამ, 1907 წლის დამლევს მეწარმეებმა გააუქმეს ხელფასის მომატებაზე 1906 წლის ივლისში მიღებული გადაწყვეტილება და მუშებს მხოლოდ ადრინდელი ხელფასი დაუტოვეს, რაც უცვლელი დარჩა მუშათა 1913 წლის ივლისის გაფიცვამდე. ამ გაფიცვამ მეწარმენი კვლავ აიძულა გაეზარდათ მუშათა ხელფასი. ამ დროიდან მუშები დღეში იღებდნენ:[47].

1. მნგრეველი	— 1	მან.	და	70 კაპ
2. მელაფათქე	— 1	„		50
3. გამოქზიდველი	— 1	„	„	40
4. დამხარისხებელი	— 1	„	„	40

ნარდად მომუშავე ერთ ფუთში იღებდა 2 კაპიკიდან 2,23 კაპიკამდე. მტვირთავი მუშები ვაგონის დატვირთვაში ადრე იღებდნენ 1 მანეთსა და 40 კაპიკს, ახლა კი 2 მან. და 25 კაპიკს[48] .ამასთან დაკავშირებით სტატისტიკური კრებული შენიშნავდა: „ივნისის თვეში ჭიათურელი მუშები გაიფიცნენ, მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას. მათ მიემხრო არა მარტო ჭიათურის სამრეწველო რაიონის სხვა საწარმოთა მუშები, არამედ ფოთელი და ბათუმელი მუშებიც. გაფიცვას შედეგად მოყვა ხელფასის მომატება და, რაც მთავარია, ხელფასის ერთნაირი დონის დაწესება ყველა კატეგორიის მუშისათვის"[49].

დიდი სხვაობა არსებობდა სამთო მუშის მაქსიმალურ, საშუალო და მინიმალურ ხელფასს შორის — 1 მან. და 20 კაპიკიდან 1 მან. და 70 კაპიკამდე მერყეობდა. მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში ნაკლებად ებმებოდნენ მაღაროებიდან რკინიგზამდე მადნის მზიდველი მეურმე-ჩალვადრები, ამიტომ მათი ხელფასი ნაკლებად მატულობდა; 1 ფუთის გადაზიდვაში ისინი იღებდნენ 2 — 3,5 კაპიკს. მუშის დღიური გამომუშავება ერთი ცხენით 1 მან. 50 კაპიკიდან 2 მანეთამდე აღწევდა[50].

სტატისტიკოსთა გაანგარიშებით 1913 წელს, როცა 59 188 ათასი

---

[46] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 38; Статистика марганцевого дела за 1913 г. გვ. XI, табл. 22.

[47] შდრ: Статистика марганцевого дела за 1913 г., табл. 22; Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., табл. 21.

[48] Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., გვ. XIX.

[49] Статистика марганцевого дела за 1913 год. გვ. XI.

[50] ЦГИАЛ, ф. 565, оп. 7, д. 26907, л. 19.

ფუთი მადანი იქნა მოპოვებული, მუშების საშუალო წლიური ხელფასი უნდა ყოფილიყო:[51]

1. მნგრეველისა	— 442	მან.
2. მელაფათქისა	— 390	
3. გამომზიდველისა	— 364	„
4. დამხარისხებლისა	— 312	„
5. მტვირთავისა	— 368	„

ხელფასის შედარებით სიმცირესთან ერთად საგრძნობი იყო პირველი მოთხოვნილების საარსებო პროდუქტების სიძვირე. ასე მაგალითად, 1913 წელს შორაპანში და საერთოდ მაზრაში ფასები ასეთი იყო.[52]: გირვანქა პირველი ხარისხის გამომცხვარი პური ღირდა 5 კაპიკი, მეორე ხარისხისა — 4 კაპ., 1 გირვანქა ხორცი — 18 კაპ. 10 კვერცხი — 30 კაპ., 1 გირვანქა მარილი — 1 კაპ. 1 ლიტრი რძე — 20 კაპ., 1 ფუთი კარტოფილი — 1 მან და 20 კაპ., 1 გირვანქა კარაქი — 60—70 კაპ.

საარსებო პროდუქტების სიძვირე კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვა ჩალეადრებს, ძვირი იყო სასაპალნე პირუტყვი, ასევე ფურაჟი. ცხენი ფასობდა 120 მანეთიდან 300 მანეთამდე, ფუთი თივა — 80 კაპიკიდან 1 მანეთამდე, ფუთი ქერი — 1 მანეთიდან 1 მან და 20 კაპიკამდე, ასი კონა ჩალა კი 5 მანეთიდან 6 მანეთამდე[53].

შრომისა და ყოფა-ცხოვრების მძიმე პირობები, სამუშაო დღის ხანგრძლიობა, ხელფასის სიმცირე, პირველადი მოთხოვნილების საარსებო პროდუქტების სიძვირე-ნაკლებობა, მუშის სრული უუფლებობა მეტყველებს სამრეწველო რაიონის მუშათა აბსოლუტურ და შეფარდებით გაღატაკებაზე. ყოველივე ეს სამრეწველო რაიონის მშრომელ მასებს ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის გაძლიერებისკენ უბიძგებდა.

---

[51] Статистика марганцевого дела за 1913 год. გვ. XI. ეს ხელფასი სტატისტიკოსთა მიერ არის გაანგარიშებული და ამიტომ, საფიქრებელია, რამდენადმე გაზეიადებულიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ის შედარებით მაღალი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, მაგალითად, რომ რუსეთში ერთი მუშის წლიური ხელფასი საფაბრიკო ინსპექციის ცნობით 1907 წელს შეადგენს 257 მანეთს, 1908 წელს — 244, 1909 წელს — 238, 1910 წელს — 243, ხოლო 1911 წელს — 251 მანეთს (იხ. „Своды отчетов фабричных инспекторов"). უკრაინაში კი სურათი ასეთია: ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასია: 1907 წელს — 212 მანეთი, 1908 წელს — 224, 1909 წელს — 216, 1910 წელს — 218, 1911 წელს კი 230 მანეთი, თუმცა სამთო მუშათა ხელფასი უკრაინაშიც, ბუნებრივია, მეტი იყო. ასე მაგალითად, 1906 წელს ის იყო 357 მანეთი, 1907 წელს — 354 და 1908 წელს — 351 მანეთი (იხ. Свод статистических сведений о несчастных случаях на горных и горнозаводских предприятия Юга России, გვ. IX—X).

[52] სსსა, ფონ. 415, საქ. 109, ფურც. 15.

[53] იქვე, ფურც. 16.

რევოლუციის მომდევნო წლებში, სახელდობრ, 1907 წლის ივლისიდან 1909 წლის დამდეგამდე, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა მძიმე კრიზისმა მოიცვა. სამრეწველო რაიონში პოლიტიკური რეაქცია მძვინვარებდა. პოლიცია რეპრესიებს მიმართავდა ჭიათურის ბოლშევიკური ორგანიზაციისა და მოწინავე მუშების წინააღმდეგ. 1909 — 1913 წლების სამრეწველო აღმავლობამ (რაც ერთგვარი რყევითაც ხასიათდებოდა) ხელსაყრელი პირობები შექმნა მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისათვის. ვერც სტოლიპინის რეაქციამ, ვერც პოლიტიკურმა რეპრესიებმა, ვერ შემუსრა მებრძოლი ძალები. 1912 წლიდან კიდევ უფრო განმტკიცდა ჭიათურის ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელმაც გააძლიერა და გააფართოვა პოლიტიკური მუშაობა სამრეწველო რაიონის მუშებს შორის.

მუშათა მასობრივმა მოძრაობამ ჭიათურაში XX საუკუნის დამდეგს დასაბამი მისცა სამრეწველო რაიონის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას.

„მუშათა მოძრაობა, — გვასწავლის ვ.ი. ლენინი, — მხოლოდ მაშინ გასცილდება ხოლმე ჩანასახობრივი მდგომარეობისა და ბავშვობის სტადიას, მხოლოდ მაშინ ხდება კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ მოძრაობად, როცა პოლიტიკურ ბრძოლაზე გადადის“[54]. ეს გარდაქმნა მკაფიოდ შეინიშნება ჭიათურის მაგალითზე. აქ XIX — XX საუკუნეთა მიჯნაზე სამრეწველო „მუშათა მასა“ თანდათან ჩამოყალიბდა „კლასად თავისთავად“, ხოლო მომდევნო პერიოდში, როცა მარგანეცის მრეწველობა ინდუსტრიულ სტადიაზე გადავიდა და მუშათა მოძრაობა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სოციალიზმთან შეერთდა და მძლავრ კლასობრივ-პოლიტიკურ მოძრაობად გარდაიქმნა, სამრეწველო რაიონის პროლეტარიატი ჩამოყალიბდა „კლასად თავისთვის“.

მარგანეცის მრეწველობის ინდუსტრიულ სტადიაზე გადასვლამ, სამრეწველო პროლეტარიატის შემადგენლობაში, მდგომარეობასა და ფსიქოლოგიაში მომხდარმა ცვლილებებმა თავისი გამოხატულება პოვა მუშათა მოძრაობის მასშტაბსა და ხასიათში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან „მხოლოდ მსხვილი მანქანური წარმოება აღვიძებს მუშებს, ანათლებს და რაზმავს მათ, ო ბ ი ე ქ ტ უ რ პირობებს ქმნის მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოძრაობისათვის“[55]. მხოლოდ ის ქმნის მატერიალურ პირობებსა და სოციალურ ძალებს სოციალზმისათვის საბრძოლველად.

1902 — 1903 წლიდან სამრეწველო რაიონის მუშები თანდათან დაადგნენ მასობრივი, ორგანიზებული ბრძოლის გზას, სოციალ-დე-

---

[54] ი. ვ. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 349.

[55] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 455.

მოკრატიის ხელმძღვანელობით. შემდეგში, განსაკუთრებით 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში მუშათა კლასის ბრძოლა მძლავრი აღმავლობითა და სოლიდარობით ხასიათდება. რევოლუციის შემდეგ მან 1913 წელს კვლავ მიაღწია განვითარების მაღალ დონეს.

ბრძოლის პროცესში მუშები, პირველ რიგში მათი ავანგარდი, ამჟღავნებდა საკუთარი ღირსების გრძნობას, დამოუკიდებელ მოქმედებას, სიმტკიცეს, გამბედაობასა და სოლიდარობას. ირკვევა, რომ მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში 1907 — 1914 წლებში ისეთი ვითარება არ შექმნილა, რომ ეს ხანა ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ პერიოდად (რეაქციის პერიოდი: 1907—1910 წწ., რევოლუციური აღმავლობის პერიოდი: 1910—1914 წწ.) დავყოთ, როგორც ეს პარტიულ და საისტორიო ლიტერატურაშია შემოღებული. ამიტომ მთლიანად ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ «Период 1907—1914 гг. представляет собой нечто единое с точки зрения формирования пролетариата и поступательного развития рабочего движения, с одной стороны, и экономического развития страны и внутренней политики царизма, с другой»[56].

* * *

რევოლუციის უკანდახევისა და პოლიტიკური რეაქციის მძვინვარებისას პოლიციამ გააძლიერა რეპრესიები ჭიათურის ბოლშევიკური ორგანიზაციის, მისი არალეგალური სტამბის ასევე პროფკავშირული ორგანიზაციების გასანადგურებლად, მოწინავე რევოლუციონერების შესაპყრობად და გადასასახლებლად. ბოლშევიკური ორგანიზაციის განადგურებას მან ვერ მიაღწია, არალეგალურ სტამბას ვერ მიაგნო. ამავე დროს პოლიციამ რეპრესიები ფართოდ აწარმოვა. 1907 — 1908 წლებში პოლიციამ დააპატიმრა და სამრეწველო რაიონიდან გაასახლა 98 მუშა-რევოლუციონერი[57]. მან მეწარმეთა დახმარებით 1908 წელს დაარბია სამთო მუშათა მღვიმევისა და პერეეისის, აგრეთვე „შავი ქვის მწარმოებელთა“ პროფკავშირული ორგანიზაციები. შექმნილ ვითარებაში მეწარმეებმა უარი თქვეს ადრე, რევოლუციის დღეებში გაფიცულთა დასამშვიდებლად გაკეთებულ დათმობებზე. ასეთი დათმობა მათ 1906 წელს გამოიყენეს არა მარტო ყველა კატეგორიის მუშების, არამედ გაფიცული დაქირავებული

---

[56] П. В. Волобуев, А. М. Володарская, Г. М. Дерешковский, Ю. И. Кирьянов, Ю. З. Полевой, Ю. Н. Шебалдин, О периодизации рабочего движения в России (იხ. კრებული: Рабочий класс и рабочее движение в России, М., «Наука», 1966, გვ. 36).

[57] ХФЦГИАУ ф. 834, д. 315, л. 9—10.

„ნოქრების“ დასამშვიდებლადაც[58]. 1908 წელს მეწარმეებმა ფორ-ეუდმა, შალკემ და სხვებმა „ნოქრები“ დაითხოვეს, პოლიციამ კი მაოი პროფკავშირული ორგანიზაცია დახურა, მისი აქტიური წევრები დააპატიმრა და გადაასახლა „ცივ ქვეყნებში“[59]. იმავე წლის 9 თებერვალს ჭიათურაში მეწარმეთა მიერ მუშათა დათხოვნის გამო მაღაროელთა გაფიცვა მოეწყო. გაფიცულებმა მეწარმეებს ეკონომიურთან ერთად პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებიც წაუყენეს. გუბერნიის ადმინისტრაციამ ჭიათურაში მიავლინა ყაზახთა ასეული, რომელიც ადგილობრივ პოლიციასთან ერთად დათარეშობდა სამრეწველო რაიონში, თვით ჭიათურის ქუჩებში სროლას, მუშების დაპატიმრებასა და მათრახით ცემასაც არ ერიდებოდა, რათა გაფიცვა იმთავითვე ჩაექრო. ყოველივე ამან საზოგადოებაში დიდი შეშფოთება გამოიწვია, ჭიათურის სასწავლებლების მოწაფეებმაც კი თანაგრძნობა გამოუცხადეს გაფიცულებს, — მათ შეწყვიტეს სკოლაში სიარული და მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება, ჭიათურიდან ჯარის გაყვანა და მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილება. მოსწავლეთა გაფიცვასაც რეპრესიებით უპასუხეს. დააპატიმრეს აქტიური, მოზრდილი მოწაფეები და შეუდგნენ მაოი საქმის გამოძიებას[60]. კაზაკებმა და პოლიციამ 16 თებერვლისათვის ჩააქრო გაფიცვა, მისი მოთავე შეიპყრო და პასუხისგებაში მისცა[61]. ამის შემდეგ, 1913 წლამდე, ჭიათურის სამრეწველო რაიონში რამდენადმე მასობრივ საგაფიცვო მოძრაობას ადგილი არ ჰქონია.

* * *

ლენის მუშათა გაფიცვამ და დახვრეტამ, როგორც ცნობილია, მთელი რუსეთი შეაზანზარა, — ფართოდ გაიშალა საგაფიცვო მოძრაობა. საქართველოს და, კერძოდ, ჭიათურის სამრეწველო პროლეტარიატი აქტიურად ჩაება საგაფიცვო მოძრაობაში.

---

[58] 1906 წელს „ნოქრებიც“ ჩაებნენ მუშათა საგაფიცვო მოძრაობაში. ისინი გაერთიანდნენ პროფესიონალურ კავშირში. მეწარმენი იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ ნოქრების შემდეგი მოთხოვნები: 1) 8-საათიანი სამუშაო დღე. 2) ჯამაგირის მომატება, 3) წელიწადში 1 თვის შვებულება ჯამაგირის შენახვით, 4) მიღება-დათხოვნა ნოქრების უფლებაა, 5) დათხოვნილებისათვის 4 თვის ჯამაგირის მიცემა, 6) ჰიგიენურად მოწყობილი ბინა, 7) ადამიანური მოპყრობა, 8) უფასო მკურნალობა 4 თვის ჯამაგირის შენახვით, 9) გაფიცვის დღეების ჯამაგირის უკლებლივ გასტუმრება და სხვ. (იხ. გაზ. „ცისკარი“, 1908, 12 იანვარი, № 2).

[59] „ცისკარი“, 1908, 12 იანვარი, № 2.

[60] იხ. პროფ. ი. ტალახაძის მოგონება („სახალხო განათლება“, 1949, № 49).

[61] ХФЦГИАУ, ф. 834, д. 316, л. 5—7.

ჭიათურაში 1913 წლის 5 ივნისს დაწყებული მოძრაობა იმდენად მძლავრი იყო, რომ მან გავლენა მოახდინა არა მარტო ამიერკავკასიაზე, არამედ თვით შიდა რუსეთში საგაფიცვო მოძრაობის განვითარებაზეც[62].

გაფიცვის დაწყებამდე 3 დღით ადრე (2 ივლისს) მუშებმა, ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შექმნეს საგაფიცვო ბიურო — 11 კაცის შემადგენლობით (ბ. გელაზონია, გ. ვაშაძე, ი. ვარაზაშვილი, ა. ხაბულიანი, ვ. შერვაშიძე და სხვ.)[63]. ოხრანკის ცნობით ბიუროს წევრთა უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები იყო[64]. ბიუროს განკარგულებაში გადავიდა ჭიათურის არალეგალური სტამბა*. უახლესი გამოკვლევებით დასტურდება, რომ საგაფიცვო ბიუროს მიერ გავრცელებული, სტამბური წესით გამოცემული პროკლამაციების ნაწილი დაბეჭდილი იყო ჭიათურის არალეგალურ სტამბაში, ნაწილიც ფარულად ქუთაისისა და ბათუმის ლეგალურ სტამბებში[65].

საგაფიცვო ბიურომ 2 ივლისს შეიმუშავა მუშათა მოთხოვნები. გაფიცულნი მოითხოვდნენ: 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, ხელფასის მომატებას, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბავშვთა შრომის აკრძალვას და სხვ.[66] ეს მოთხოვნები 4 ივნისს საღამოს გადაეცა მეწარმეთა უმრავლესობას. ამავე საღამოს დაიწყო საგაფიცვო ბიუროს (რუსულ და ქართულ ენებზე დაბეჭდილი) „მოწოდების" გავრცელება ჭიათურაში, ხოლო მეორე დღეს — ფოთში და ბათუმში. ბიურო მოუწოდებდა მუშებს 5 ივნისს ერთდროულად დარაზმულად და სოლიდარულად დაეწყოთ გაფიცვა. მოწოდებაში ვკითხულობთ: „რუსი მუშა უკვე ფეხზე დადგა და დაიწყო დიადი ბრძოლა შრომის გასათავისუფლებლად. ჩვენსავით

---

[62] Г. А. Арутюнов, 56-дневная стачка Чиатурских рабочих в 1913 году (იხ. «Исторические записки», № 58, 1956, გვ. 330--331). ამ გაფიცვას მაღალი შეფასება ეძლევა აგრეთვე გამოკვლევებში: იხ. П. В. Волобуев и др., О Периодизации рабочего движения в России (Рабочий класс и рабочее движение в России, М., 1966, გვ. 43).

[63] ЦГИАМ, ф. ДП, ОО, 1913, д. 341, ч. I, л. 19.

[64] იქვე, ფურც. 40—41.

* ამ სტამბის ნაწილები 1965 წელს აღმოაჩინა საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ მღვიმევის სახტარას გამოქვაბულში და მას მკვლევარმა ზ. გეგეშიძემ უძღვნა სპეციალური სტატია: „რევოლუციური წარსულის შესანიშნავი რელიქვია" (იხ კრებული: „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები", № 14, 1966., გვ. 211—214).

[65] იხ. ზ. გეგეშიძის დასახ. ნაშრ., გვ. 211.

[66] ЦГИАМ, ф. ДП. ОО. 1913, д. 141, л. 35.

ჩაგრულმა ჩვენმა ძმებმა, ამხანაგებმა გამოიღეიძეს და მათ დარაზმულად მიაქვთ მტერზე იერიში. მათი თავგანწირულების მაგალითმა ჩვენ უნდა აღგვაფრთოვანოს... ბიურო დღეს მოგიწოდებთ თქვენ, მარგანეცის მუშებო, გაფიცვისაკენ, თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გაუმაძღარმა კაპიტალისტებმა გამოგტაცათ თქვენ ყოველივე ის, რაც 7 წლის უკან მოგიპოვებიათ. შავი რეაქცია კაპიტალისტებისათვის ზეიმი იყო, ჩვენთვის, მუშებისათვის კი უბედურება, რომელმაც შიმშილი და ცრემლები, ციხე და სახრჩობელები მოგვიტანა. ჩვენი დამარცხება მდიდრების გამარჯვებაა, ისინი წინანდებურად უკონტროლოდ გვძარცვავენ და ჩვენი ოფლითა და სისხლით სუქდებიან. 1905 — 1906 წლებში ჩვენ გვთვლიდნენ ხალხად. შედარებით კარგი ხელფასი გვქონდა, ვმუშაობდით 8 საათს დღეში და მეწარმენიც ანგარიშს გვიწევდნენ... ეს იმიტომ, რომ ჩვენ გაერთიანებული ვიყავით; მაგრამ რეაქციამ დაანგრია და გააცამტვერა ჩვენი კავშირები, დაქსაქსა ჩვენი ძალები და „საუკეთესო დღენი წავიდნენ". ბიუროს მოწოდება მთავრდებოდა სიტყვებით: „ყველამ ერთბაშად შევწყვიტოთ მუშაობა და მაშინ ვნახავთ, რომ ყველა ეს პერსინაკები, ფორვუდები, პაპავები და ძმანი მათნი, რომლებიც ახლა ჩვენ ზიზღით გვიმზერენ, მუშათა გაერთიანებული ძალის წინაშე ცახცახს დაიწყებენ"[67]. მოწოდებას თან ერთვოდა გაფიცულთა მოთხოვნები[68]. ამ მოწოდებით 5 ივნისს დაირაზმა და გაიფიცა ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა დიდი უმრავლესობა. გაფიცვაში ჩაება სამრეწველო რაიონის ყველა კატეგორიის მუშათა საერთო რიცხვის 91 %. მან საყოველთაო ხასიათი მიიღო[69]. რუსეთში რევოლუციური აღმავლობისას ჭიათურაში დაწყებული გაფიცვა მალე გასცდა სამრეწველო რაიონის ფარგლებს. ეს გასაგებიცაა: „მასობრივ გაფიცვებს. — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — რევოლუციურ ეპოქაში თავისი ობიექტური ლოგიკა აქვთ. ისინი ასეული ათასობით და მილიონობით ნაპერწკალს ყრიან ყოველი მხრისკენ, — ირგვლივ კი ფიცხი მასალაა უკიდურესი გაბოროტების, შიმშილით უმაგალითო წამების, უსაზღვრო თვითნებობის, „ლატაკის", „ტეტიას" „უსირცხვილოდ და ციინიკურად აბუჩად აგდების სახით"[70]. ასეთი ვითარება იყო შექმნილი საქართველოში. ამიტომ, ბუნებრივია, ჭიათურის მუშათა საყოველთაო გაფიცვას 5 — 6 ივნისს გაფიცვით უპასუხეს შორაპნელმა[71], ბათუ-

---

[67] იქვე, ფურც. 9—10; იხ. აგრეთვე ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრ., გვ. 134.
[68] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 846, 1913, л. 14.
[69] იქვე.
[70] ვ. ი. ლენინი. „რევოლუციური აღმავლობა", თხზ., ტ. 18, გვ. 117.
[71] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 846, л. 14.

მელმა[72]. ფოთელმა[73] და ტყიბულელმა[74] მუშებმა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1905 წლის შემდეგ დასავლეთ საქართველოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა ბათუმიდან ჭიათურაში გადმოინაცვლა. ამ დებულების სისწორეს მთელი დამაჯერებლობით გვიდასტურებს ჭიათურის მუშათა 1913 წლის ივნის-ივლისის გაფიცვის გავლენა დასავლეთ საქართველოს სამრეწველო ცენტრებში და, კერძოდ, ბათუმში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობაზე. ეს კარგად ესმოდათ მთავრობის ორგანოებს ბათუმში, სადაც მათ 1913 წელსაც ყოველნაირად სცადეს თავიდან აეცდინათ ჭიათურის მუშათა გაფიცვის გავრცელება ბათუმზე. ამ მხრივ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ბათუმის ნავსადგურის უფროსის მიერ 1913 წლის 6 ივნისს პეტერბურგში (სავაჭრო ნავსადგურების განყოფილებაში) გაგზავნილი ტელეგრამა, რითაც იტყობინებოდა ჭიათურის გაფიცვაზე და იქვე დასძენდა: „იმისათვის რომ ჭიათურის გაფიცვა ბათუმის ნავსადგურს არ მოედოს, ზომებს ვღებულობთ"[75]. მეორე დღეს იგივე მოხელე დამატებით ატყობინებდა პეტერბურგში: ჭიათურაში გაფიცვის დაწყებაზე ცნობის მიღებისთანავე მივმართეთ სასწრაფო ზომებს იმისათვის, რომ გაფიცვა ბათუმის ნავსადგურს არ მოედოს: გავაძლიერეთ პოლიციის რაზმი ნავსადგურში, სამუშაო უბნებზე დავაყენეთ სამძებრო განყოფილების აგენტები, ამასთანავე იმის გამო, რომ ნავსადგურში მტვირთავ მუშათა უმრავლესობა თურქეთის ქვეშევრდომებია, მათ შორის გავავრცელეთ ხმა, რომ ადმინისტრაციულ ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სასწრაფოდ გაასახლოს თურქეთში არა მარტო გაფიცული მუშები, არამედ ისინიც, ვინც მუქარის გავლენით, პოლიციის დაცვის ქვეშ არ შეუდგება მუშაობას[76].

ნავსადგურის ადმინისტრაციამ პოლიციისა და ჟანდარმერიის აქტიური მხარდაჭერითაც ვერ შეძლო გაფიცვის თავიდან აცილება ბათუმში, სადაც 7 ივნისს გაიფიცნენ მტვირთავი მუშები.

ფოთში მტვირთავ მუშათა გაფიცვა ასევე ჭიათურელ მუშათა გაფიცვის გავლენით დაიწყო 5 ივნისს. ამის გამო ნავსადგურის უფროსმა რამდენიმე დღის შემდეგ აცნობა პეტერბურგში:

„გაფიცვა ეკონომიურ საფუძველზე მიმდინარეობდა და ის წარმო-

---

[72] ЦГИАЛ, ф. 95, оп. 18, д. 1060, 1913 г. л. 1—3; Статистика марганцевого дела за 1913 год, К., 1914, გვ. XIV.

[73] ЦГИАЛ, ф. 95, оп. 7, д. 841, 1913, л. 10.

[74] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 937, 1913, л. 21—23.

[75] ЦГИАЛ, ф. 95, оп. 18, д. 826, л. 1.

[76] იქვე, ფურც. 2.

ადგენდა ჭიათურის რაიონის მაღაროელი და გამამდიდრებელი ფაბრიკების მუშათა გაფიცვის გამოძახილს"[77].

განვაგრძოთ დაკვირვება ჭიათურაში გაფიცვის მიმდინარეობაზე. აქვე წინდაწინ შევნიშნოთ აგრეთვე, რომ დასახელებული გაფიცვის მონაწილე მუშათა რიცხვის განსაზღვრისას წყაროებსა და საისტორიო ლიტერატურაში წინააღმდეგობრივი მონაცემებია წარმოდგენილი. მაგალითად, სამთო უწყების ერთი ცნობით ჭიათურის რაიონსა და შორაპანში გაიფიცა 5000-დან 6000-მდე მუშა, მეორე ცნობით კი 5000[78], ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოსი კი 10 000[79], ხოლო მაზრის პოლიციის ცნობით, მადნის მზიდველი მუშების ჩათვლით, გაიფიცა 15 000[80]. სტატისტიკოსთა ცნობით გაფიცულები იყო ჭიათურაში — 4500—5000, ფოთში — 550, ბათუმში — 150, სულ 5500—6000[81] მუშა.

მკვლევარ ო. ვარენცოვას მტკიცებით გაიფიცა 20 000 მუშა[82], მკვლევარების გ. რ. არუთინოვისა და ვ. ჭანიშვილისა — 10 000[83].

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, 1913 წლის არასრული აღწერის მონაცემებით ჭიათურის მრეწველობაში ყველა საწარმოთა მუშების რიცხვი 12 000-მდე აღწევდა, ხოლო გაფიცვაში თავიდანვე თითქმის ყველა ჩაება, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაფიცულთა რიცხვი 12 000-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი 1913 წლის 5 ივნისსვე აცნობებდა პოლიციის დეპარტამენტს, რომ დღესვე მიემგზავრება ჭიათურაში. მასთან ერთად წავიდა ქუთაისის გუბერნატორი გენ. სლავოჩინსკი რამდენიმე ასეული ჯარისკაცის თანხლებით.

გუბერნატორმა ჯერ მრეწველობის თათბირი მოაწყო, ხოლო შემდეგ მუშათა წარმომადგენლებისა. მეწარმეებს გადაეწყვიტათ რიგი დათმობების გაკეთება, რაც გუბერნატორმა არ დაანება[84]. უკანასკნელი თავდაპირველად ძალის გამოუყენებლად და მრეწველთა მხრივ

---

[77] ЦГИАЛ, ф. 95, оп. 7, д. 841, л. 10; ნავსადგურის უფროსი ყოველდღიურად აწოდებდა ცნობას პეტერბურგში: აღწერდა გაფიცვის მიმდინარეობას (იქვე, ფურც. 10—13).

[78] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 846, л. 14.

[79] ЦГИАМ, ф. ДП, ОО, 1913 г .д. 341, ч. I, л. 18.

[80] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 846, л. 14.

[81] Статистика марганцевого дела за 1913 год. გვ. XIV.

[82] О. Варенцова, Стачки и демонстрации 1912—1915 гг., М., 1933, გვ. 136.

[83] იხ. Г. Арютюнов, Указ, труд, გვ. 328; ვ. ჭანიშვილი, დასახ ნაშრ., გვ. 305.

[84] Газ. «Правда», 1913, 12 июня, № 133.

დათმობების გარეშე იმედოვნებდა გაფიცვის იმთავითვე აღკვეთას, რაც მან ვერ შეძლო.

6 ივნისს მეწარმენი შეიკრიბნენ და დათანხმდნენ 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, გაფიცულების დაუსჯელობას, ბავშვთა შრომის აკრძალვას. საგაფიცვო ბიურომ არ მიიღო მეწარმეთა ნაწილობრივი დათმობები და მოწოდებით მიმართა გაფიცულებს. მოწოდებაში ვკითხულობთ:

„ამხანაგებო! ჩვენ მივმართეთ იმ ერთადერთ საშუალებას, რომლითაც მუშა-ხალხს შეუძლია აჩვენოს ყველას, თუ რას წარმოადგენს ის, როგორც კლასი დღევანდელი საზოგადოებისა; ჩვენ მივმართეთ გაფიცვას, რომ მუშაობაზე ხელის აღებით ვამცნოთ ქვეყნიერებას ჩ ვ ე ნ ი ძ ა ლ ა დ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა... მაშ ძალა ამხანაგებო, თვით ჩვენშია, ჩვენს შეგნებაში და ჩვენს სოლიდარობაში.

...ამიტომ გვმართებს ბრძოლა ერთსულოვანი, ბრძოლა სოლიდარული, ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის, აი როგორ უნდა დავიტანჯოთ. ჩვენ კაპიტალის უღელქვეშ ვიტანჯებით არა ერთი რომელიმე ეროვნების ხალხი, არამედ ყველა განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა... ჩვენ მივმართავთ ყველა ეროვნების მუშებს და მოვუწოდებთ მათ სოლიდარულად იყვნენ ერთმანეთში და გადაიქცნენ ერთ მებრძოლ რაზმად, ახსოვდეს ყველას, რომ შედეგი ბრძოლისა, კარგი იქნება ეს თუ ცუდი, თანასწორად შეეხება ყველა ეროვნების მუშას და ამიტომ ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ, რომ გავიმარჯვოთ და მით ყველასათვის გავაუმჯობესოთ შრომის აუტანელი პირობები[85]“. ამით უპასუხა საგაფიცვო ბიურომ ხელისუფალთა და მეწარმეთა ერთობლივ მოქმედებას, რაც მიზნად ისახავდა გაფიცულთა შორის ეროვნული შუღლის ჩამოგდებას. პოლიციამ და ჟანდარმერიამ გაფიცულთა მიმართ 7 ივნისიდან აშკარა ძალადობასაც მიმართა: დაიწყო მუშათა დაპატიმრება, ცემა-ტყეპა, გადასახლება[86]. ეს ამბავი საგაფიცვო ბიურომ ტელეგრამით აცნობა IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომლის 31 წევრმა 1913 წლის 12 ივნისს ფორმალურად აღძრა საქმე „ჭიათურაში ადგილობრივი პოლიციის მიერ გაფიცვის მონაწილეთა მიმართ ძალადობის შესახებ“[87]. ამასთან დაკავშირებით შეკითხვა გაეგზავნა მეფისნაცვალს, რომელმაც თავის მხრივ მიმართა ქუთაისის გუბერნატორს. უკანასკნელმა კი უპასუხა, რომ გაფიცვა ჭიათურაში ყოველგვარი ძალდატანების გამოვლინების გარეშე მიმდინარეობს ეკონომიურ ნიადაგზე და ის სრულებით

---

[85] სსსა, ფონ. 94, საქ. 606², ფურც. 112.

[86] ЦГИАМ, ф. ДП,ОО, 1913 г., д. 341, ч. 1, л. 6.

[87] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 846, л. 2.

არ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს, რომ „ადგილობრივი პოლიციის მოღვაწეობა მხოლოდ გულმოდგინე მეთვალყურეობაში გამოიხატება“[88].

გუბერნატორი ამასთანავე ირწმუნებოდა, რომ თითქოსდა პოლიციას არ დაუპატიმრებია არც ერთი გაფიცული და რომ პოლიცია სრულებით არ არჩევს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ეროვნების მუშებს და არ ერევა მათ ურთიერთობაში[89]. სახელმწიფო სათათბირომაც უშედეგოდ დატოვა საგაფიცვო ბიუროს საჩივარი, თუმცა მის ფორმალურ განხილვას მაინც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა, რადგან ამან ერთგვარად შეუწყო ხელი გაფიცვის პოპულარობას რუსეთში.

გუბერნიის ადმინისტრაცია კვლავაც განაგრძობდა გაფიცვის ჩასახშობად მოქმედებას. ამასთანავე სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის შუღლის ჩამოსაგდებად მან ბათუმიდან 1 000 სომეხი, ბერძენი და თურქი მუშა მოიყვანა ჭიათურაში გაფიცულ მუშათა მაგიერ სამუშაოდ. ისინი მუშაობას არ შეუდგნენ, გაფიცულებს წარმატება უსურვეს, ხოლო თვითონ გაბრუნდნენ სამრეწველო რაიონიდან[90]. ამის გამო საგაფიცვო ბიუროს მიერ გავრცელებულ პროკლამაციაში ნათქვამი იყო:

„ამხანაგებო!“ აგერ ორი კვირაა, რაც ჩვენ გაფიცული ვართ და შიშის ზარს ვცემთ ხაზეინებს. უკვე ორი კვირა გადის, რაც იერიში იერიშზე მოაქვთ ხაზეინთა და პოლიციის შეერთებულ ძალას. რა ღონე არ იხმარეს ჩვენს გასატეხად: მუქარა, მათრახებით, მუქარა ციხით. ხიშტით, ტყვიით, ციმბირით; ნაციონალური შუღლის თესვა — პროვოკაციების მოწყობა, ჭიათურაში ცხოვრების აკრძალვა და სხვადასხვა. მაგრამ ამაოდ: ჩვენი გაფიცვა დღესაც ისე მტკიცე და შეურყეველია, როგორც დასაწყისში იყო. ამაოდ ეცადნენ ხაზეინები თათარ-სომეხ-ბერძენთა გაბრიყვებას; ამაოდ ეცადა პოლიციაც მათ შეშინებით დათანხმებას. თათარ-სომეხ-ბერძნებმა გამოიჩინეს საოცარი სიმტკიცე მუშათა სოლიდარობისა. მათ მედგრად გადაიტანეს ყველა ის იერიშები. ბოლოს შეურიგდნენ ჭიათურიდან გადასახლებასაც და მუშაობა არ დაიწყეს. ასე მოიქცნენ არა მარტო გაფიცულნი, არამედ შორიდან მოსულნიც. ბათუმიდან მოტყუებით მოყვანილმა თათარ-სომხებმა, გაიგეს თუ არა, რომ ისინი მოყვანილია გაფიცულების ადგილზე, ძმურად გადაჰკოცნეს გაფიცულები, ხმამაღლა უსურვეს გამარჯვება გაფიცვას და წავიდნენ უკან“[91]. გაფიცულებს ინტერნაციონალური ერთიანობის სულისკვეთებას უნერგავდა საგაფიცვო ბიუროს მომდევნო პროკლამაცია, სადაც განმარტავდა: „ბორკილებში იტანჯებიან ყველა

---

[88] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 846, л. 7.

[89] იქვე, ფურც. 7—8.

[90] ЦГИАМ, ф. ДП, ОО, 1913 г., д. 341, ч. I, л. 66.

[91] სსსა, ფონ. 94, საქ. 605², ფურც. 118.

ეროვნებისა და სარწმუნოების მუშები. კაპიტალი ერთნაირად ჩაგრავს ქართველებს, სომხებს, ოსებს, თათრებს. მისთვის არ არსებობს არც ეროვნება, არც რელიგია"[92].

ჭიათურის მუშათა გაფიცვას თავიდანვე გულისყურით მოეკიდა ბოლშევიკური „პრავდა", რომელიც განუწყვეტლივ იძლეოდა ინფორმაციას მის მიმდინარეობაზე[93]. კორესპონდენციაში „გაფიცულთა სოლიდარობა", ის ამცნობდა მკითხველებს, რომ „ჭიათურის მარგანეცის მაღაროების ზოგიერთი მსხვილი ფირმა დათანხმდა მუშათა ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაგრამ მუშები უარს ამბობენ განაახლონ მუშაობა მანამდე, სანამ დანარჩენი ფირმებიც არ წავლენ დათმობაზე. მართლაც, საგაფიცვო ბიურო, ითვალისწინებდა რა იმას, თუ რაოდენ მძიმე იყო მუშებისათვის ხანგრძლივი უმუშევრობა, დაიწყო მეწარმეებთან მოლაპარაკება, — ჯერ შუტცთან და ციმერმანთან, მერე სავაჭრო სახლ „ძმ. ოგანეზოვებთან", სავაჭრო სახლ „ჯავახიშვილი და კომპ."-თან, ნ. წერეთელთან, მონოლოპულოსთან, ჯ. აბაშიძესთან და სხვ.[94].

შეთანხმების პირობებს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ერთად იმუშავებდნენ ე. წ. მუშათა „ექსპერტები" და საბადოთა, ასევე ფაბრიკების მეპატრონეები, ხოლო შეთანხმების შედეგებს საგაფიცვო ბიურო ასევე ცალ-ცალკე აცხადებდა[95]. 20—25 იელისისათვის მუშაობა დაიწყო თითქმის ყველგან: რკინიგზის სადგურებზე, მაღაროებში და გამამდიდრებელ ფაბრიკებში. შეთანხმებაზე ყველაზე გვიან წავიდნენ ფირმა „გელზენკირხენი" და მეფაბრიკე მიულსი, პირველი — 31 იელისს, მეორე —1 აგვისტოს[96]. ამ დროიდან შეთანხმება მიღწეული იყო, თუმცა ზოგან ფაქტიურად ნორმალური მუშაობა მხოლოდ 15 აგვისტოს დაიწყო, რადგან ზოგიერთი მუშა ჭიათურის რაიონში სამუშაოდ მხოლოდ ამ დროისათვის დაბრუნდა[97].

ქუთაისის გუბერნატორისაგან მიღებული დეტალური ცნობების საფუძველზე მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის მიერ შედგენილი მოხსენების მოწმობით მეწარმეებმა დააკმაყოფილეს გაფიცულ მუშათა შემდეგი მოთხოვნები: 1) რვასაათიანი სამუშაო დღე (გარდა ვაგონების დატვირთვისა), ხოლო დღესასწაულების წინ ექვსსაათიანი; 2) კვირა-

---

[92] ЦГИАМ, ф. ДП, ОО, 1913 г., д. 341, ч. I, л. 70.

[93] Газ. „Правда", 1913 г. 12/VI, № 133, 13/VI, № 134, 22/VI, № 141, 23/VI, № 142, 25/VI, № 143, 26/VI, № 144.

[94] ЦГИАЛ, ф. 1267, оп. 19. д. 846; ЦГИАМ, ф. ДП, ОО, 1913г., л. 126—127.

[95] ЦГИАЛ, ф. 1267, оп. 19, д. 846, л. 15.

[96] იქვე.

[97] იქვე.

ობით და დღესასწაულებისას მუშაობის აკრძალვა, გარდა საგანგებო შემთხვევებისა, როცა მუშა მიიღებს სანახევროდ გადიდებულ ხელფასს; 3) ბავშვთა შრომის აკრძალვა (15 წლის ასაკამდე); 5) მუშებისათვის ხელფასის დარიგება მხოლოდ სამუშაო დღეს (შაბათს), ისიც სამუშაო ადგილზე; 6) მუშებისადმი თავაზიანი დამოკიდებულება: 7) ყველა პროფესიის მუშების უზრუნველყოფა ჰიგიენურად მოწყობილი საცხოვრებლით; 8) ზაფხულში სამუშაოს 6 საათიდან დაწყება. ხოლო ზამთარში —7 საათიდან (4 საათამდე); პირველ შემთხვევაში ორსაათიანი შესვენებით, ხოლო მეორისას ერთსაათიანი; 9) ყველა ფირმისათვის ერთი საერთო საყვირის შემოღება; 10) მუშათა კომისიების დაწესება ყველა საწარმოში; 11) გაფიცულების დაუსჯელობის გარანტირება; 12) ხელფასის მომატება: ა) ფაბრიკებისა და მექანიკურ ჩამოსაშვებთა მუშებს: 20% იმათ, ვინც იღებდა 1 მან. და 20 კაპიკამდე, 15% იმათ, ვინც 1 მან. და 50 კაპ. იღებდა, 10% იმათ, ვინც 1 მან. და 50 კაპ. იღებდა და 10% იმათ, ვინც 1 მან 50 კაპ. იღებდა: ბ) მაღაროელ მუშებს; მნგრეველს — 1 მან. 70 კაპ., მენიჩბეს — 1 მან. 50 კაპ., გამომზიდველს — 1 მან. 40 კაპ., მწმენდავს — 1 მან., გ) მტვირთავ მუშებს ჭიათურა-ჭიქოურ-დარკვეთში — 2 მან. და 70 კაპიკი ყოველი ვაგონის დატვირთვაზე (თუ ტვირთი ვაგონიდან მხოლოდ 7 საჟენითაა დაცილებული) და მეტიც, დ) მტვირთავებს ფოთში რკინიგზის ყოველი ვაგონის დატვირთვასა და გადმოტვირთვაში — 2 მან. და 50 კაპ., ხოლო გემის დატვირთვისას პირველი ლიანდაგიდან 3 მან. და 50 კაპ., მეორედან კი 3 მან. და 70 კაპ., 13) მენარდეების დათხოვნა ჭიათურისა და ფოთის სატვირთო უბნებზე და სამუშაოს გადაცემა მუშათა წარმომადგენლებისათვის; 14—15) ჭიათურისა და ფოთის სადგურებზე ღამით მუშაობის აკრძალვა; 16) ფაბრიკების მექანიკურ დასაშვებთა მუშების უფასო მომარაგება ფეხსაცმლით, წამოსასხამითა (პლაშით) და ხელთათმანებით; 17) მაღაროებში მენარდეთა მონაწილეობით ნარდად მუშაობის აკრძალვა; 18) მდუღარე წყლის უფასოდ მიწოდება; 19) ფოთელი მუშების უზრუნველყოფა უფასო მკურნალობითა და აბანოთი[98].

მუშათა მოთხოვნებიდან მეწარმეებმა და ექსპორტიორებმა უარყვეს შემდეგი მოთხოვნები: რვასაათიანი სამუშაო დღის დაწესება ვაგონების მტვირთავი მუშებისათვის, მუშების მიღება და დათხოვნა მათივე გადაწყვეტილებისამებრ. მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი 1914 წლის 27 იანვარს პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა: «В настоящее время условия соглашения между

[98] ЦГИАЛ, ф. 1267, оп. 19, 848, л. 15—16.

хозяевами и рабочими виполняются в Чиатурском районе почти полностью. Лишь в отдельных предприятиях рабочим не выданы разсчетные книги (пункт 4-й), за сим у большинства работодателей жилища рабочих неудовлетворительны (пункт 7-й), общего гудка для начала и окончания работ не установлено (пункт— 9-й), а равно невыполняется и условие об учреждении рабочих комиссий (пункт 10-й)»[99].

გაფიცვის შემდეგ ნორმალური მუშაობა მხოლოდ 15 აგვისტოდან დაიწყო. რამდენიმე მეწარმემ აგვისტოს პირველ ნახევარშივე დაიწყო პირობების (ხელშეკრულების) დარღვევა. საგაფიცვო ბიურო, რომელიც 29 აგვისტომდე განაგრძობდა არსებობას, 16 აგვისტოს მუშათა შორის გავრცელებულ პროკლამაციაში აღნიშნავდა: „...ბიურო დროებით განაგრძობს არსებობას და დაიშლება მხოლოდ მაშინ, როცა დავრწმუნდებით, რომ ხაზეინებმა დაჰყარეს იარაღი და ასრულებენ იმას, რაზედაც ხელი მოაწერეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სურვილის წინააღმდეგ იძულებული ვიქნებით ბრძოლა განვაახლოთ... ჩვენ ენერგიულად მოვუწოდებთ ყველა მუშას: მტკიცედ იდექით თავიდანვე არჩეულ ტაქტიკაზე, ერიდეთ პროვოკაციულ მახეებს, ერიდეთ ანარქისტულ მოქმედებას. გახსოვდეთ, რომ ჩვენი ძალა მხოლოდ ორგანიზებულ გამოსვლებსა და ჩვენს სოლიდარობაშია"[100]. მეწარმენი იძულებული ხდებოდნენ შეესრულებინათ გაფიცულთათვის მიცემული პირობა, თუმცა მათ შორის ზოგიერთი მაინც არღვევდა მას.

ამრიგად, ჭიათურის სამრეწველო რაიონის 56-დღიანი გაფიცვა გამარჯვებით დაგვირგვინდა. კარგად ორგანიზებულმა გაფიცვამ გამოავლინა მუშათა ერთიანობისა და სოლიდარობის ძალა, რითაც შიშის ზარი დასცა მეწარმეებსა და გუბერნიის ადმინისტრაციას. ამას აღიარებდა ქუთაისის გუბერნატორი, როცა ზემდგომ ორგანოებს შეშფოთებით აცნობებდა: „ჭიათურის გაფიცვა, რომელიც მუშებმა მაღალი ორგანიზებულობით დარაზმულად ჩაატარეს და რომელმაც მნიშვნელოვანი შედეგიც მოუტანა, სანიმუშო მაგალითი გახდა მუშებისათვის, დაარწმუნა ისინი საკუთარ ძალაში. არ შეიძლება წინასწარვე არ განვჭვრიტოთ გაფიცვის ხელახლა აღმოცენების შესაძლებლობა..."[101]. გაფიცვის მიმდინარეობა, მუშათა შორის გავრცელებულ მოწოდება-პროკლამაციებისა და ლოზუნგების გათვალისწინება, თვალნათლივ მოწმობს, რომ მუშათა რევოლუციურ ბრძოლას სათავეში ედგა ჭიათუ-

---

[99] ЦГИАЛ, ф. 1267, оп. 19, д. 848, л. 16—17.

[100] სსსა, ფონ. 94, საქ. 605², ფურც. 192, 194.

[101] სსსა, ფონ. 2, საქ. 5209, ფურც. 13.

რის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ამ ფაქტს საგანგებოდ აღნიშნავდა მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც 1914 წლის 26 მარტს პეტერბურგში გაგზავნილ ბარათში წერდა:

„ჭიათურის რაიონში გაფიცვა არ ატარებდა წმინდა ეკონომიურ ხასიათს და უეჭველია გამოცხადდა და მიმდინარეობდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მითითებათა შესაბამისად“[102].

გაფიცვამ ცხადყო საქართველოს სამრეწველო პროლეტარიატის ამ მრავალათასიანი რაზმის მაღალი შეგნებულობა და საბრძოლო განწყობილება შრომის გასათავისუფლებლად, თვითმპყრობელობის დასამხობად.

---

[102] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 937. л 31.

თავი V

მარგანეცის მადნის გაზიდვა-ექსპორტი, მისი მომხმარებლები

§ 1. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ხვედრითი წონა მადნის მსოფლიო მოპოვებაში

ჭიათურის მრეწველობას თვალსაჩინო ადგილი ეკავა მარგანეცის მადნის მსოფლიო მოპოვებაში, რაზეც მეტყველებს შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 1[1]

წელი	ჭიათურის მონაწილეობა მარგანეცის მადნის მსოფლიო მოპოვებაში (%-ში)	წელი	ჭიათურის მონ წილეობა მარგანეცის მადნის მსოფლიო მოპოვებაში (%-ში)
1892	38,45	1904	30,31
1893	35,65	1905	26,23
1894	36,17	1906	38,81
1895	27,36	1907	26,42
1896	29,62	1908	8,16
1897	28,72	1909	31,21
1898	31,12	1910	27,63
1899	56,01	1911	24,27
1900	45,02	1912	36,64
1901	30,35	1913	39,61
1902	34,43	1914	36,72

როგორც ვხედავთ, ჭიათურის მონაწილეობა მარგანეცის მსოფლიო მოპოვებაში მერყეობდა. მისი ხვედრი განსაკუთრებით თვალსაჩინოა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს, ასევე პირველი მსოფლიოომამდელი სამრეწველო აღმავლობის წლებში. სხვადასხვა ქვეყნის შეფარდებითი მონაწილეობა მარგანეცის მადნის მსოფლიო მოპოვებაში დროის სხვადასხვა პერიოდში ასეთ სურათს იძლევა: 1892—

[1] მონაცემების დაზუსტებისას ვემყარებით: ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 139, л. 21; ф. 37, оп. 67, д. 954, л. 45; Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., К., 1918, табл. 57.

1901 წლებში მადნის მსოფლიო მოპოვებამ შეადგინა 7 871 876 ტონა. ამ ოდენობიდან მადნის მომხმარებელმა ქვეყნებმა (ინგლისი, აშშ, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ავსტრია-უნგრეთი, შვეცია) მოიპოვეს სულ 1 627 990 ტონა, ანუ მსოფლიო მოპოვების 20,68%, იმ ქვეყნებმა კი, რომელნიც არ მოიხმარდნენ მადანს (ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, ბრიტანეთის ინდოეთი, იაპონია, ბრაზილია, ჩილი, კუბა, კოლუმბია და სხვ.) — 2 807 086 ტონა, ანუ მსოფლიო მოპოვების 35,64%, ხოლო რუსეთის იმპერიამ — 3 437 800 ტონა ანუ მსოფლიო მოპოვების 43,68%, აქედან ჭიათურის წილად მოდიოდა 2 811 261 ტონა, ანუ მსოფლიო მოპოვების 35,72%[2]. როგორც ვხედავთ, მოცემულ პერიოდში მოპოვების ოდენობის მხრივ ჭიათურა მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო. სხვა (მარგანეცის მომპოვებელი) ქვეყნები მოსდევდნენ შემდეგი თანმიმდევრობით: ესპანეთი (9,34%), სამხრეთ რუსეთი ურალით (7,96%), ბრიტანეთის ინდოეთი (7,60%), გერმანია (6,09%), აშშ (5,16%), ჩილი (4,32%), ბრაზილია (4,30%), საფრანგეთი (4,28%), თურქეთი (3,62%), ბელგია (2,48%), იაპონია (1,95%), ავსტრია-უნგრეთი (1,62%), საბერძნეთი (1,60%), კუბა (2,17%), კოლუმბია (0,61%), შვეცია (0,44%), იტალია (0,30%), ინგლისი (0,29%), პორტუგალია (0,24%), სხვა ქვეყნებზე (პერუ, კანადა, იავა, ავსტრალია ჰოლანდია, ბოსნია და ჰერცოგოვინა) ერთად მოდიოდა მსოფლიო მოპოვების 0,91%[3].

სტატისტიკის ცნობით 1898—1904 წლებში მარგანეცის მსოფლიო მოპოვებამ შეადგინა 14 348 506 ტონა, აქედან ჭიათურაზე მოდიოდა 4 751 846 ტონა, ანუ 33,12%[4].

1904—1914 წლებში მთელ მსოფლიოში მოპოვებულ იქნა სულ 18 573 468 ტონა: მადნის მომხმარებელმა ქვეყნებმა მოიპოვეს 2 847 165 ტონა, იმათ, რომელნიც არ მოიხმარდნენ მადანს — 8 555 446 ტონა, რუსეთის იმპერიამ—7 170 857 ტონა ანუ მსოფლიო მოპოვების 38,61%, აქედან ჭიათურაზე მოდიოდა 5 333 701 ტონა ანუ მსოფლიო მოპოვების 28,72%[5]. ჩვენი მიახლოებითი გაანგარიშებით 1879—1914 წლებში ჭიათურის მარგანეცის შეფარდებითი მონაწილეობა მადნის მსოფლიო მოპოვებაში 36,13%-ს შეადგენდა[6].

---

[2] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. III (Таблица).

[3] იქვე, გვ. 117.

[4] Статистика Марганцевого дела за 1914—1917 гг, К., 1918, табл. 56.

[5] იქვე, გვ. 50.

[6] ასეთ შედეგს გვაძლევს მოცემულ პერიოდში ჭიათურაში მოპოვებული მადნის ოდენობის შედარება მსოფლიო მოპოვებასთან.

• • •

ზემოთ მოტანილი მონაცემები გვიდასტურებენ, რომ რუსეთის იმპერია 1879—1914 წლებში მარტო ჭიათურის მრეწველობითაც (ნიკოპოლისა და ურალის ჩაუთვლელად) პირველობდა მარგანეცის მადნის მსოფლიო მოპოვებაში. მაგრამ რევოლუციამდელი რუსეთი მარგანეცის მადანს მცირე რაოდენობით მოიხმარდა, ყოველ შემთხვევაში, მოპოვებასთან შედარებით. ჭიათურის მადანი მეტწილად უცხოეთში იგზავნებოდა და მხოლოდ მცირე რაოდენობით მიდიოდა სამხრეთ რუსეთში გადასამუშავებლად. ფერომარგანეცის წარმოება რუსეთში მცირე მასშტაბით ხასიათდებოდა, ისიც უმთავრესად ნიკოპოლისა და ურალის მარგანეცის ხარჯზე. ჭიათურაში მოპოვებული მადნის საერთო ოდენობის ძხოლოდ 6—8 პროცენტი მუშავდებოდა სამხრეთ რუსეთის ქარხნებში.

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციამდელი რუსეთი მარგანეცის მადნის მსოფლიო ექსპორტში თითქმის მუდამ პირველ ადგილზეა, მას უცხოეთიდან საშუალოდ ყოველწლიურად შემოჰქონდა დაახლოებით 1 მილიონი ფუთი ფერომარგანეცი. მართალია, ფერომარგანეცის წარმოება რუსეთში 1878 წლიდან ჩაისახა ნიჟნი ტაგილში (ურალი), მაგრამ მას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა და რუსეთის ქარხნები ფოლადის საწარმოებლად დიდხანს იყენებდნენ შემოტანილ ფერომარგანეცს. 1902 წელს დონეცკ-იურიევის ქარხანამ შედარებით ფართო მასშტაბით პირველმა დაიწყო ფერომარგანეცის წარმოება, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ მას ხელი მიჰყო სამხრეთ რუსეთის ზოგიერთმა სხვა ქარხანამაც[7]. ადგილობრივი ქარხნები ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას ფეროშენადნობებზე. ასე, რომ ამ ნაწარმის ექსპორტზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, მით უმეტეს, რომ ფეროშენადნობთა წარმოება რუსეთში ძვირი ჯდებოდა და მისი ექსპორტი, პროდუქციის მაღალი თვითღირებულების გამო გამორიცხული იყო.

აღნიშნული გარემოებებით იყო გაპირობებული რევოლუციამდელ ხანაში ჭიათურის მარგანეცის ათვისების თავისებური ხასიათი, მთელი აქ მოპოვებული მადნის ოდენობის 92—94%-ის ექსპორტი, დაუმუშავებლად, მადნის სახით. უძვირფასესი სიმდიდრის ამგვარი ათვისება, ბუნებრივია, დიდად საზარალო იყო ქვეყნის ეკონომიკისათვის. სამაგიეროდ ის მომგებიანი გახდა მადნის უცხოელი ექსპორტიორებისა და მისი მომხმარებელი სახელმწიფოებისათვის.

---

[7] В. А. Тухолка, Железные и марганцевые руды (сборник: Богатства СССР, М.-Л., 1925, зз. 72).

§ 2. ჭიათურის მარგანეცის მადნის ექსპორტიორები

მადნის გასაღებასა და ექსპორტში ჩაბმული საქმოსნები და ფირმები თავისი ოპერაციების მიხედვით სამ ჯგუფად წარმოგვიდგებიან: პირველი იყვნენ ისინი, რომელთაც საკუთრივ მოპოვებული ან ჭიათურაში, აგრეთვე გომსა და ზესტაფონში სხვისაგან შეძენილი მადანი მიჰქონდათ ნავსადგურებამდე (ფოთი, ბათუმი) ან გაჰქონდათ უცხოეთში თუ სამხრეთ რუსეთში, მეორე — ფოთში ან ბათუმში მადნის შემსყიდველები და საერთაშორისო ბაზრებზე მადნის გამტან-გამსაღებლები, მესამე — მადნის მყიდველ-გადამყიდველი აგენტები, რომელთაც ჭიათურის აუზში შეძენილი მადანი გასაყიდად მიჰქონდათ ფოთსა და ბათუმში, უფრო ხშირად ექსპორტიორთა დაკვეთით[1]. მეორე და მესამე კატეგორიის საქმოსნები მეტწილად მადნის „გადამყიდველები" იყვნენ[2]. ახასიათებდა რა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობასთან მხოლოდ სავაჭრო ოპერაციებით დაკავშირებულ პირთა და ფირმათა საქმიანობას ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს კერძო სამთო საწარმოთა განყოფილების უფროსი ვ. ა. ტუხოლკა შენიშნავდა: ექსპორტიორები ჭიათურაში მადანს იძენდნენ სხვა მრეწველებისაგან, რომელთა შორის ბევრს უჭირდა და მადანს ძალზე დაბალ ფასებში იძლეოდა. ამის გამო მადნის შეძენა იაფი უჯდებოდათ და არ ფიქრობდნენ საგარეო ბაზარზე ინდოეთისა და ბრაზილიის მარგანეცის ექსპორტიორებისათვის კონკურენციის გაწევაზე. ჭიათურის მარგანეცის ექსპორტიორები მხოლოდ ერთმანეთს უწევდნენ მეტოქეობას, რითაც თვითონვე აქვეითებდნენ აქაური მადნის ფასს.[3]

ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის საქმე მოუწესრიგებლობით ხასიათდებოდა. მარგანეცის მრეწველთა უმრავლესობა ექსპორტიორებმა დაიქვემდებარეს. პირველს უკანასკნელთათვის გვერდის ავლით არ ძალუძლად მადნის შორს გაზიდვა-გასაღება. ამით მაქსიმალურად სარგებლობდნენ ექსპორტიორები — „მარგანეცის ოპერაციებისაგან" მოგების ნორმის გასადიდებლად. ასეთი ვითარება დამახასიათებელია მთელი რევოლუციამდელი ხანის ჭიათურის მრეწველობისათვის, რასაც გულისტკივილით აღნიშნავდა იმჟამინდელი ქართული პრესა, მათ შორის გაზ. „დროება", რომელიც 1909 წელს წერდა: „დღემდე ბატონობს წესი: ქვის დამმუშავებელნი, მრეწველნი თავიანთ ნაწარმოებს კი

---

[1] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 54; ф. 565, оп. 7, д. 26907, л. 19.

[2] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 58; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 64.

[3] В. А. Тухолка, Железные и марганцевые руды (Богатства СССР, М.-Л. 1925, გვ. 73).

არა ჰყიდიან მომხმარებელ მექარხნეებზე, არამედ ადგილობრივ, ჭიათურაშივე აბარებენ უცხოელ კაპიტალისტებს, რომლებიც ეზიდებიან მადანს საზღვარგარეთ... მრეწველები მათ ხელში იყვნენ და არიან, ფასები მათზე იყო (და არის) დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ჭიათურის ბატონ-პატრონად ისინი ითვლებიან... შავი ქვის მრეწველთა სული ექსპორტიორთა ხელშია[4].

მართლაც, მეწარმეთა დიდი უმრავლესობა მადანს ადგილზევე ასაღებდა და აბარებდა გადამყიდველებს, ექსპორტიორებს. ეს გარემოება იმითაც იყო გაპირობებული, რომ ჭიათურის რკინიგზის შტოს სადგურებზე მადნის საწყობების (ბაქნების) შოვნა ძნელი იყო, აქედან რკინიგზით მადნის გაგზავნა (ფოთამდე და ბათუმამდე) რიგში დგომას, ასევე რკინიგზის ხაზზე და ნავსადგურში რამდენჯერმე გადატვირთ-გადმოტვირთვას მოითხოვდა, კიდევ უფრო ხანგრძლივ მოლოდინთან და ხარჯებთან იყო დაკავშირებული მადნის გატანა საერთაშორისო ბაზრებზე. ამიტომ, მადნის გასაღებასა და ექსპორტს მნიშვნელოვანწილად „გადამყიდველნი" და მეტადრე უცხოური სავაჭრო-სამრეწველო ფირმები, აგრეთვე ორი-სამი ადგილობრივი ბანკი დაეპატრონა[5]. ისინი მუდამ იქვემდებარებდნენ და ავიწროებდნენ წვრილ მრეწველებს, აგრეთვე საშუალო მრეწველთა ნაწილს და მადანს შეღავათიან ფასებში იძენდნენ.

ჭიათურის მარგანეცის ექსპორტიორთა აღრიცხვა მხოლოდ 1900-იან წლებში მოწესრიგდა. ადრინდელი არასრული ცნობები ასეთია:

ცხრილი 2[6]

წელი	ექსპორტიორები			მადნის რუსეთში გამზიდველნი
	მსხვილები: 1 მილიონ ფუთზე მეტის გ.-მზ.	წვრილები: 1 მილ. ფუთზე ნაკლების გ.-მზ.	სულ	
1895	4	10	14	2
1899	6	5	11	2
1900	11	10	21	3

როგორც ვხედავთ, ექსპორტიორთა რიცხვი მცირეა და ის მხოლოდ 1900 წელს იზრდება. 1899 წელს ექსპორტიორები იყვნენ:

[4] გაზ. «დროება», 1909, 21 იანვარი, № 15, Н. Николадзе, Полукопеечный сбор, Поти 1908, გვ. 5.

[5] Н. Николадзе, Полукопеечный сбор, 1908, გვ. 5.

[6] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 60—61; Статистика марганцевого дела, К., 1909, табл. 35—38.

1. ავგერინო
2. ვაგსტაფი და ბლეი
3. გროტე
4. მატიევიჩი
5. ლუი პანასიე
6. გ. პილიდი
7. სავაჭრო სახლი სამანჯი
8. ძმ. ფორვუდი და კომპ.
9. შუტცი და ციმერმანი
10. გ. ემერიკო
11. სამხრეთ რუსეთის ბანკი[7]
12. ძმ. ოგანეზოვები[8]

მათ შორის შუტცი და ციმერმანი, ასევე სამხრეთ რუსეთის ბანკი, მადანს ეზიდებოდნენ არა მარტო უცხოეთში, არამედ რუსეთშიც. 1900 წლამდე ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია ლუი პანასიე, ხოლო ამ წელს ვაგსტაფი და ბლეი[9]. ირკვევა, რომ 1899 წლისათვის მადნის ექსპორტზე ხელი აუღიათ გ. ჩუბინიძესა და ნ. ღოღობერიძეს, რომლებიც ადრე მას მისდევდნენ[10]. ექსპორტიორებს შორის არც ერთი ქართველი საქმოსანი აღარ გვხვდება.

ჩანს, ამ დროისათვის, ისევე როგორც შემდეგში, მსხვილი ქართველი საქმოსნები მადანს გასასაღებლად მარტო ფოთამდე და ბათუმამდე ეზიდებოდნენ.

ცხრილი 3[11]

წელი	მადნის გამზიდველი ჭიათურიდან	მადნის გამზიდველი ფოთიდან და ბათუმიდან	მადნის გამზიდველნი, რომელთაც უშუალო კავშირი არ ჰქონდათ ჭიათურასთან
1900	25	21	10
1901	21	17	4
1902	21	25	11
1903	20	25	11
1004	21	27	10
1905	20	23	5
1906	28	28	11
1907	29	25	10
1908	28	18	6
1909	39	21	7
1910	35	20	4
1911	33	17	4
1912	22	17	3
1913	26	21	5
1914	23	18	5

[7] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 60.

[8] Труды III съезда... марганцепромышленников. გვ. 127. ძმ. ოგანეზოვები ექსპორტიორთა 1899 წლის სიაში გამოუტოვებიათ, ეს მაშინ, როცა ამ წელს ფირმამ გასასაღებლად გაზიდა 4443 955 ფუთი მადანი (იქვე).

[9] იქვე. გვ. 61.

[10] იხ. საისტორიო მოამბე. 1957, № 9, გვ. 153.

[11] ЦГИАЛ. ф. 37. оп. 67, д. 253, л. 22; Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., К., 1918, Табл. 32—34.

სამრეწველო სტატისტიკა 1900—1914 წლებში ისევე, როგორც მანამდე, ცალ-ცალკე აღრიცხავდა ე. წ. მადნის ექსპორტიორთა სამ კატეგორიას (იხ. ცხრილი 3).

უნდა შევნიშნოთ, რომ ჭიათურიდან მადნის გამზიდველთ სამრეწველო სტატისტიკა მხოლოდ პირობით თვლიდა ექსპორტიორებად, რადგან მათი უმრავლესობა მადანს, ისიც მეტწილად სხვისგან შეძენილს, მხოლოდ ადგილობრივ ნავსადგურებამდე აგზავნიდა გასასაღებლად. ჩანს, რომ აქ იგულისხმებიან არა მარტო მეწარმენი, არამედ მადნის გადამყიდველები, რომლებიც მადანს იძენდნენ ჭიათურაში, შემდეგ რკინიგზით აგზავნიდნენ ნავსადგურებამდე, იშვიათად ზესტაფონამდე, სადაც ექსპორტიორებს აბარებდნენ და სავაჭრო მოგების სახით შედარებით დიდ თანხებს იღებდნენ. ამგვარი ოპერაციების დახასიათებისას ს. ქვარიანი 1900 წელს მარგანეცის მრეწველთა III ყრილობაზე აღნიშნავდა: ჭიათურაში გასულ წელს ფუთი მადანი 7 კაპიკი ფასობდა. თუ მხედველობაში მივიღებთ „სკიდკას" (20%), მყიდველს ფუთი ფაქტიურად მხოლოდ 5,5 კაპიკი უჯდებოდა. ამავე დროს ფოთში ფუთი მარგანეცი 23 კაპ. ღირდა. ჭიათურიდან ფოთამდე მაღნის გადაზიდვის ხარჯები ფუთზე 11 კაპიკს შეადგენდა. ამდენად, ფოთში ერთი ფუთის თვითღირებულება 17 კაპიკს არ აღემატებოდა. ასე, რომ ფოთში გადამყიდველები და ექსპორტიორები ფუთზე 6 კაპიკს იგებდნენ. გასულ წელს — განაგრძობს ს. ქვარიანი, — გატანილ 30 მილიონ ფუთ მადანში მათ მოიგეს 2 მილიონი მანეთი. ამ მოგებას ინაწილებს 11 ექსპორტიორი და 30—40 გადამყიდველი. თითოეულზე საშუალოდ მოდის 40 ათასი მანეთი[12].

მრეწველთა III ყრილობის ინფორმაციით შუამავლები (მრეწველებსა, ექსპორტიორებსა და მომხმარებლებს შორის) ადგილობრივ ნავსადგურში მოგების სახით იღებდნენ ფუთზე 7,59-დან 11,37 კაპიკამდე. ამასვე გვიდასტურებს საარქივო წყაროები, საიდანაც ჩანს, რომ, მაგალითად, 1913 წელს ვაჭარი ჭიათურაში შეძენილ და ფოთში გაყიდულ ყოველ ფუთ მადანში მოგების სახით იღებდა 5—6 კაპიკს[13].

ზემომოტანილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ ექსპორტიორთა რიცხვი წლების მანძილზე ზრდა-შემცირებით ხასიათდება, თუმცა, ამ ცვალებადობაში უფრო შემცირება შეინიშნება. ირკვევა, რომ ექსპორტიორთა უმრავლესობა თანდათან, უშუალოდ უკავშირდება საკუთრივ წარმოებას.

---

[12] Труды III съезда... марганцепромышленников, გვ. 112—115.

[13] Труды III съезда... марганцепромышленников, გვ. 123; ЦГИАЛ, ф. 37. оп. 72, д. 138. л. 43—44; «ცვალი», 1900. № 39, გვ. 62; № 9, 1899. გვ. 138; ЦГИАЛ. ф. 37. оп. 72. д. 139. л. 17.

სხვადასხვა კატეგორიის (მსხვილი და წვრილი) ექსპორტიორების რიცხვისა და მათ მიერ გაზიდული მადნის ოდენობის შედარებითი თანაფარდობა 1900—1914 წლებში ასეთია:

ცხრილი 4[14]

წლები	წვრილი ექსპორტიორები (1 მილიონ ფუთზე ნ.ალ. ექსპორტით)		მსხვილი ექსპორტიორები (1 მილიონ ფუთზე მეტი ექსპორტით)		„ექსპორტიორები", რომლებიც მადანს ეზიდებიან სამხრეთ რუსეთში	
	ექსპორტიორთა რიცხვი	% ხვედრი მადნის საერთო ექსპორტ.	ექსპორტიორთა რიცხვი	% ხვედრი მადნის საერთო ექსპორტში	ექსპორტიორთა რიცხვი	% ხვედრი მადნის საერთო ექსპორტში
1900	11	11,45	10	82,55	3	5
1901	9	11,02	8	80,88	4	6
1902	16	18,81	9	79,19	6	4
1903	16	19,31	9	74,69	8	6
1904	18	19,07	9	71,63	6	7
1905	16	20,37	7	74,63	6	5
1906	15	11,23	13	85,79	13	4
1907	16	17,04	9	78,96	11	4
1908	14	17,10	4	80,90	5	2
1909	14	12,70	7	81,30	6	6
1910	11	7,78	9	85,22	2	7
1911	6	11,98	11	81,02	3	7
1912	6	2,11	11	90,89	3	7
1913	8	1,16	13	90,84	4	8
1914	9	2,48	9	90,54	5	7

წვრილ ექსპორტიორთა რიცხვი და განსაკუთრებით მათი ხვედრითი წილი მადნის ექსპორტში მცირდება, მსხვილ ექსპორტიორთა კი, პირიქით, თვალსაჩინოდ იზრდება. ცხადი ხდება, რომ ჭიათურიდან გაზიდული მადნის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მიდის სამხრეთ რუსეთში. გასული საუკუნის მიწურულიდან 1914 წლამდე ერთგვარი ცვლილება მოხდა ექსპორტიორთა პერსონალურ შემადგენლობაშიც. მათი რიგები შეივსო მსხვილი უცხოური ფირმებით, ადგილობრივი მსხვილი მეწარმეებით, აგრეთვე ბანკების მონაწილეობით.

საბაჟოთა მონაცემებით 1913 წელს მადნის ექსპორტს მისდევდნენ შემდეგი ფირმები და დაწესებულებები:[15]

---

[14] ცხრილის შედგენისას გამოვიყენეთ: ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 253, л. 23; Статистика марганцевого дела, К., 1909, табл, 35—38; Статистика марганцевого дела за 1914 — 1917 гг., 1918, табл, 32, 34, 40.

[15] Отчет Кавказского горного управления за 1913 г., 1914, зз. 143.

1. აზოვ-დონის ბანკი
2. ავგერინო
3. ვარნეკე
4. ვართანიანი
5. გელზენკირხენი
6. ი. გილერტი
7. კავკასიის საბადოთა ამხანაგობა
8. კარნარო
9. ხ. მანოლოპულო
10. მ. მანუილიდისი
11. ე. შატიევიჩი
12. ძმ. ოგანეზოვები
13. პაკე და კომპ.
14. ლ. პანასიე
15. რუსეთ-აზოვის ბანკი
16. რუსეთის საზოგადოება (ბანკი)
17. სკრიკუნასი
18. თბილისის კომერციული ბანკი
19. ფორვუდი და სელარი
20. ძმ. ჩილინგარიანები
21. შუტცი და ციმერმანი

ამრიგად, ექსპორტიორთა რიცხვი გაიზარდა ჩვენთვის უკვე ცნობილი გერმანული სამრეწველო-სავაჭრო ფირმების, აგრეთვე ადგილობრივი საქმოსნების (ვართანიანი, ძმ. ჩილინგარიანები და სხვ.) ხარჯზე. ზემოთ დასახელებული ბანკები ადრე ექსპორტიორთა დამკრედიტებელნი იყვნენ, ხოლო I მსოფლიო ომის წინა წლებში უშუალოდ ექსპორტს დაეწაფნენ. როგორც აღვნიშნავდით, ბერძენი საქმოსნები 1900-იან წლებამდე „მარგანეცის ოპერაციებს" უმთავრესად მხოლოდ ადგილობრივი საკრედიტო ორგანიზაციებისაგან მიღებული თანხებით ეწეოდნენ და მადანს მეტწილად ფოთსა და ბათუმში ასაღებდნენ. მომდევნო პერიოდში (1914 წლის ჩათვლით), ისინი თანდათან უკავშირდებოდნენ მადნის მომხმარებელ უცხოელ მექარხნეებს; „ისინი მადანს ასაღებდნენ უკვე ყველგან, სადაც კი მასზე მოთხოვნილებაა"[16]. ამ საქმოსნებმა მოიკალათეს მადნის საერთაშორისო ბაზრებზე, იქ დამკვიდრდნენ, ხოლო ფოთსა და ჭიათურაში მადნის შესაძენად დააყენეს „პრიკაზჩიკები", რომელთა მეშვეობით გააჩაღეს ოპერაციები[17]. ბერძენი საქმოსნები იმდენად წარმატებით უწევდნენ კონკურენციას ბევრ სხვა საექსპორტო ფირმებს, რომ უკანასკნელნი მთავრობის ორგანოებშიც კი ჩიოდნენ, — ბერძნებს ადანაშაულებდნენ საერთაშორისო ბაზრებზე ჩვენებური მადნის „რენომეს" გაფუჭებაში და მოითხოვდნენ მათ განდევნას მადნის ექსპორტის სფეროდან[18].

მადნის ექსპორტიორები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ არა მარტო სადაურობით, ან ოპერაციების მასშტაბით, არამედ საქმიანობის მეთოდებითაც. მსხვილი ექსპორტიორების მცირე ნაწილი სხვის-

[16] ЦГИАЛ, 37, оп. 72, д. 43, 1910, л. 35.
[17] იქვე, ფურც. 36.
[18] იქვე.

გან მადნის შეძენას არ ჯერდებოდა და თავადაც ეწეოდა მის მოპოვებას. მათ საამისოდ დიდძალი კაპიტალი გააჩნდათ (გელზენკირხენი, ძმ. ოგანეზოვები და სხვ.), ამავე დროს მადნის შემკვეთი უცხოური სამრეწველო ფირმების ასიგნაციებითაც სარგებლობდნენ („კავკასიის საბადოთა ამხანაგობა", ფორვუდი და სხვ.). ბანკები მარტო ექსპორტს მისდევდნენ. შედარებით წვრილი ექსპორტიორები (ვარნეკე, კარნარო, ე. მატიევიჩი, პაკე და კომ., ასევე ბერძენი საქმოსნების უმრავლესობა) მარგანეცის მომხმარებელი უცხოური ფირმებისაგან მიღებული კრედიტით მოქმედებდნენ.

მადნის ექსპორტის მასშტაბით 1913 წელს რამდენიმე ფირმა გამოირჩეოდა. ამ წელს ექსპორტირებულ იქნა 65 827 266 ფუთი მადანი, რაც შეფასებულ იქნა 11 303 963 მანეთად; აქედან გელზენკირხენს ეკუთვნოდა 14 228 806 ფუთი, ძმ. ჩილინგარიანებს — 9 362 469, თბილისის კომერციულ ბანკს — 7 702 135, ფორვუდს — 6 859 314, ფ. მანუილიდისს — 5 204 327, „კავკასიის საბადოთა ამხანაგობას" — 4 776 256 ფუთი[19].

I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როცა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები ჩაიკეტა, ჭიათურის მარგანეცი რუსეთში იგზავნებოდა. ამ დროიდან გერმანული ფირმები ჩამოშორდნენ ექსპორტის საქმეს, სამაგიეროდ მადნის რუსეთში გამზიდველთა რიგები გაიზარდა ამ საქმეში ადგილობრივ მრეწველთა ჩაბმის ხარჯზე. 1916 წელს ჭიათურის მარგანეცს რუსეთში ეზიდებოდა 31 ფირმა, მათ შორის იყვნენ ცნობილი ქართველი მეწარმენი: ალ. ჯაყელი, ჯავახიშვილი და კომპანია, ი. კაკაბაძე, აკ. სვანიშვილი და სხვ.[20].

* * *

როგორც აღვნიშნეთ, მადნის ექსპორტიორი ფირმებიდან მხოლოდ რამდენიმე ეწეოდა მეწარმეობას, უმრავლესობა კი მადნის გასაღებას მისდევდა და დიდ სავაჭრო მოგებას იღებდა. თვით ის ვაჭრები თუ „გადამყიდველები", რომლებიც ჭიათურაში შეძენილ მადანს ადგილობრივ ნავსადგურებში ასაღებდნენ 1899—1913 წლებში სავაჭრო მოგების სახით ფუთზე 6—7 კაპიკს იღებდნენ. დავადგინოთ მოგების ის ნორმა, რასაც იღებდნენ მადნის ადგილობრივ ნავსადგურებში შემძენი და ევროპის ქვეყნებში გამსაღებელი საექსპორტო ფირმები. ისინი 1899—1900 წლებში ფოთში ფუთ მადანს იძენდნენ საშუალოდ დაახლოებით 23 კაპიკად, ხოლო მისი გადაზიდვა, ვთქვათ, ინგლისის ნავ-

[19] Отчет Кавказского горного управления за 1913 г., 1914, გვ. 144—145.
[20] Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг, К., 1918, табл 43.

სადგურებამდე (ფრახტი) უჯდებოდათ საშუალოდ 11 კაპიკი, საკომისიო და ზედნადები ხარჯები კი 1 კაპიკი. ამრიგად, ექსპორტიორს ინგლისის ბაზრებზე გატანილი ფუთი მადანი უჯდებოდა სულ დაახლოებით 35 კაპიკი. მოცემულ წლებში ფუთი მადანი ინგლისში ფასობდა საშუალოდ 41—42 კაპიკი. ამგვარად, ექსპორტიორის მოგების ნორმა ფუთზე 6—7 კაპიკს შეადგენდა[21].

მოგების ნორმამ მომდევნო პერიოდში, მეტადრე I მსოფლიო ომის წინა წლებში მოიმატა. ასე მაგალითად, 1913 წელს ფოთში ფუთი მადნის თვითღირებულება შეადგენდა დაახლოებით 17,35 კაპიკს[22]. ის საღდებოდა 22—26 კაპიკად[23]. ფოთიდან ინგლისის ნავსადგურებამდე ფუთი მადნის გადაზიდვა (ფრახტი) ჯდებოდა 8—9 კაპიკი[24], საკომისიო და ზედნადები ხარჯები ფუთზე 1—2 კაპ. ამავე დროს ინგლისში ფუთი მადანი საშუალოდ ფასობდა 44—45 კაპიკი. ამრიგად, ექსპორტიორი ფუთ მადანზე მოგების სახით იღებდა დაახლოებით 6—7 კაპიკიდან 13 კაპიკამდე[25]. როგორც ვხედავთ, ჩვენებური მადნის გასაღება დიდად მომგებიანი იყო ექსპორტიორებისათვის, რომელთა უმრავლესობას უცხოელები შეადგენდნენ.

§ 8. მარგანეცის მადნის გაზიდვა-ექსპორტი და მისი მოძახმარეებლები

ჭიათურის მარგანეცი, როგორც აღვნიშნავდით, თითქმის მთლიანად მსოფლიო ბაზრისათვის იყო განკუთვნილი. ის იგზავნებოდა რკინიგზით ფოთამდე ან ბათუმამდე, ხოლო იქიდან ზღვით — უცხოეთში, ცოტა — სამხრეთ რუსეთში. ფოთის ნავსადგური უფრო მოხერხებული იყო ერთდროულად რამდენიმე გემის დასატვირთად და ამიტომ მადანი მეტწილად ამ ნავსადგურიდან იგზავნებოდა*. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში დასახელებულ ნავსადგურებამდე მადნის გაზიდვის მაჩვენებლები ასეთია:

---

[21] გაანგარიშებისას ვისარგებლეთ: Труды III съезда... марганцепромышленников. К., 1901, გვ. 112—115, 123; ЦГИАЛ. ф. 37. оп. 72. д. 139, л. 17, 18; Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 71; В. А. Адамчук, указ труд, გვ. 62.

[22] Ф. Бублейников и Н. Лессинг, Марганцевая промышленность СССР. М. — Л., 1925, გვ. 17.

[23] ЦГИАЛ, ф. 37. оп. 72, д. 138, Л. 199—200.

[24] Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., табл. 45—46.

[25] გაანგარიშებისას მონაცემები გადმოვიღეთ; Статистика марганцевого дела за 1914 — 1917 гг., табл. 45—46; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 43, 199—200.

* ფოთის ნავსადგური 80-იან წლებამდე მოუწყობელი იყო: დიდი გემები ვერ შემოდიოდნენ, გემები 2—3 კვირა უცდიდა დატვირთვას, რაც საზღვაო ფრახტის

ცხრილი 51

წლები	გაიზიდა ჭიათურიდან (რკინიგზით) ფოთ. მდე და ბათუმამდე		
	სულ (ფუთობით)	პროცენტულად	
		ფოთამდე	ბათუმამდე
1879	51000	—	—
1880	254000	—	—
1881	520 000	—	—
1882	545 000	—	—
1883	920 000	—	—
1884	1 276 000	—	—
1885	2 756 005	—	—
1886	3 825 000	65,99	34,01
1887	4 780 000	83,38	16,62
1888	1 867 000	85,74	14,26
1889	3 947 000	79,72	20,28
1890	8 010 000	92,33	7,67
1891	5 616 000	93,67	6,33
1892	9 086 000	94,49	5,51
1893	8 833 000	93,40	6,60
1894	8 618 000	95,52	4,48
1895	10 609 000	96,79	3,21
1896	11 938 000	97,36	2,64
1897	12 135 000	98,02	1,98
1898	17 295 000	95.41	4,58
1899	30 223 000	94,38	5,62
1900	32 037 000	92,37	7,63
1901	21 625 000	95,57	4,43
1902	30 397 000	83,37	16,62
1903	30 852 360	87,28	12,72
1904	33 899 000	94,86	5,14
1905	23 806 750	95,34	4,66
1906	33 521 250	96,36	3,64
1907	35 672 250	93,19	5,81
1908	23 981 275	94,98	5,02
1909	38 271 972	94,48	5,52
1910	39 706 650	93,28	6.72
1911	39 453 496	77,97	22,03
1912	59 436 403	70,26	29,74
1913	69 194 937	59,32	40,68
1914 წ. პირველ ნახევარში	43 622 250	62,05	37,95
სულ	698 580 593	92%	8%

ამაღლებას იწვევდა. 80-იანი წლების შუა ხანებიდან თანდათან განხორციელდა ნავსადგურის გადაკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები. 1908 წლისათვის ამ სამუშაოების ჩასატარებლად უკვე 17 მილიონი მანეთი იყო გახარჯული (იხ. Н. Николадзе, Полукопеечный сбор, Поти, 1908, გვ. 9). ნავსადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები გაფართოვდა გასაზიდ ტვირთზე ფოთის სასარგებლოდ

ამრიგად, ჭიათურიდან სულ გაიგზავნა 698 580 593 ფუთი მადანი, აქედან მადნის საერთო ოდენობის 92 %. ფოთის, ხოლო 8 % ბათუმის გავლით. ეხედავთ, რომ 1890 წლამდე ბათუმის მონაწილეობა მადნის ექსპორტში შედარებით თვალსაჩინოა, მომდევნო ხანაში (1901 — 1903 წლების გამოკლებით) — 1909 წლამდე, ანუ ფოთიდან გასაზიდ ყოველგვარ ტვირთზე ნახევარკაპიკიანი საფუთო გამოსაღების დაწესებამდე,* მადანი უმთავრესად ამ ნავსადგურიდან იგზავნებოდა, შემდეგში კი რამდენადმე გაიზარდა ბათუმის მონაწილეობა ამ საქმეში, რადგან მადნის ექსპორტიორთა ერთი ნაწილი გაურბოდა ფოთის სასარგებლოდ გამოსაღების გადახდას და მადანს ბათუმში აგზავნიდა.

* * *

ფოთიდან და ბათუმიდან უცხოეთში, აგრეთვე სამხრეთ რუსეთში მადანი საზღვაო ტრანსპორტით იგზავნებოდა. მადნის ექსპორტიორთა უმრავლესობა ხელშეკრულებებით იყო დაკავშირებული უცხოურ სახომალდო კომპანიებთან, ზოგსაც საკუთრივ გააჩნდა ფლოტილია, თუმცა ადგილობრივი სამრეწველო-სავაჭრო ფირმებიდან მხოლოდ „ძმ. ოგანეზოვებს" გააჩნდა საკუთარი ფლოტილია.[2]

1899 წლამდე ჩვენებური მადანი ევროპისა და ამერიკის ქვეყნების 14-მდე ნავსადგურში იგზავნებოდა: როტერდამი, ბალტიმორა, ფლიტვუდი, მიდლსბორო, ფილადელფია, გარსტონი, ნიუპორტი, ანტვერპენი, ნიუ-იორკი, შტეტინი, მარსელი, ჰამბურგი, ლიეერპული, მოსტინ-კაი და სხვ. პირველი 5 ღებულობდა საქართველოდან გაზიდული მადნის 80,1 %, ხოლო დანარჩენები 19,9 %. ექსპორტირებული მადნის თითქმის ნახევარს იღებდა ორი ნავსადგური: ჰოლანდიისა — როტერდამი (მთლიანად გერმანიისათვის), აშშ-სა — ბალტი-

---

საფუთო გამოსაღების დაწესების შემდეგ, როცა იქ ელევატორიც მოეწყო გემების მექანიკურად დასატვირთად და სხვ.

[1] მადნის ზიდვის მაჩვენებლები გადმოვიღეთ: Статистика марганцевого дела, К. 1902, стр. 50; Статистика марганцевого дела, К. 1909, табл. 25; Статистика марганцевого дела за 1914 — 1917 гг., К., 1918, Табл. 26. ფოთსა და ბათუმში მადნის გაზიდვის პროცენტული თანაფარდობის დასადგენად დავემყარეთ: Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., табл. 41.

* ფოთიდან გასაზიდ ყოველგვარ ტვირთზე ნახევარკაპიკიანი საფუთო გამოსაღები დაწესდა 1909 წლის 24 მაისის კანონით. ამ თანხის 4/5 ნავსადგურის საჭიროებისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო 1/5 ქალაქისა (ЦГИАЛ, ф. 565, оп. 7, д. 26907, л. 19).

[2] ЦГИАЛ, ф, 23, оп. 28, д. 514, л. 273.

მორა[3]. ინგლისის ნავსადგურებს შორის ჭიათურის მარგანეცს ყველაზე დიდი რაოდენობით იღებდა ფლიტვუდი.

სამხრეთ რუსეთში გაგზავნილ მადანს 1899 წლამდე იღებდნენ როსტოვი და ოდესა, ხოლო შემდეგ მარიუპოლი, ნიკოლაევი, გვიანაც ნოვოროსისკი[4], აგრეთვე ტაგანროგი[5].

ინგლისი ჩვენებურ მადანს ღებულობდა 6 ნავსადგურში — აშშ — 2 — 3 ნავსადგურში, ხოლო გერმანია თავის ნავსადგურებში — ჰამბურგსა და შტეტინში, აგრეთვე ჰოლანდიის ნავსადგურებში — როტერდამსა და ამსტერდამში, საიდანაც მადანი (ტრანზიტით) მთლიანად გერმანიაში იგზავნებოდა[6].

ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის ზრდისდაკვალად გამრავლდა მადნის მიმღები უცხოური ნავსადგურების რიცხვი; 1905 — 1914 წლებში ის უცხოეთის 42 ნავსადგურში მიემართებოდა[7].

გასასაღებლად გაგზავნილი მადნის თვითღირებულების უმთავრეს მუხლს გადაზიდვის ხარჯები შეადგენდა. როგორც აღვნიშნეთ, მადნის გაზიდვა ჭიათურის საბადოებიდან რკინიგზამდე და მეტადრე სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით უცხოეთში უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე მისი კონკურენტი ქვეყნებიდან. ქვემოთ (თავი VI, § 2) დავინახავთ, რომ ცარიზმის კოლონიური სატარიფო პოლიტიკა (რკინიგზის ჭიათურის შტოზე უმაგალითოდ მაღალი ტარიფის დაწესება) დიდად ზრდიდა ჩვენებური მადნის თვითღირებულებას, მეტოქე ქვეყნების (ინდოეთისა და ბრაზილიის) მარგანეცის თვითღირებულებასთან შედარებით. ამას ემატებოდა ჭიათურიდან მადნის გაზიდვასთან დაკავშირებული ზედნადები ხარჯების სიდიდე, რკინიგზის ჭიათურის შტოს არასაკმაო გამტარუნარიანობა, მადნის სატრანსპორტო ნავსადგურების — ფოთის და ბათუმის ჯეროვნად მოუწყობლობა. გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ ფოთში ყოველდღე 18 — 20 გემი მოდიოდა მადნის წასაღებად. ისინი საშუალოდ თხოულობდნენ 600 ვაგონამდე ტვირთს, რკინიგზა კი ყოველდღიურად მხოლოდ 120 — 130 ვაგონს აწვდიდა[8]. ამასთანავე ფოთში მხოლოდ 1912 წლის დამლევიდან ამუშავდა ელევატორი და ის მხოლოდ სანახევროდ აუდიოდა გემების მექანიკურ დატვირთვას. მტვირთავ მუშა-

---

[3] Труды III съезда... марганцепромышленников, გვ. 16—17.

[4] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 66—68.

[5] Статистика марганцевого дела за 1914—1917 годы, табл. 41. რუსეთში მადანს მოიხმარდნენ იუზისა და სამხრეთ რუსეთ-დნეპრის ქარხნები.

[6] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 69.

[7] Статистика марганцевого дела за 1914—1917 годы, табл. 41.

[8] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 49.

თა შრომის გამოყენება კვლავ გრძელდებოდა. ყოველივე ეს გემების ტვირთვის გაჭიანურებას, მათ დიდხანს დგომასა და გაცდენას იწვევდა. ეს გარემოება, ისევე როგორც ნავსადგურში არამწარმოებლური ხარჯების სიდიდე, იწვევდა საზღვაო ფრახტის ოდენობის ზრდას. ფრახტი ფოთიდან ლონდონამდე და როტერდამამდე (3 760 მილი) შესაბამის სიშორეზე გაცილებით მეტი ჯდებოდა, ვიდრე ინდოეთის ნავსადგურებიდან ლონდონამდე და როტერდამამდე (დაახლოებით 7 960 მილი), სახელდობრ ბომბეიდან ლონდონამდე ფრახტი იყო 16 შილინგი ტონაზე, ხოლო ფოთიდან იმავე ნავსადგურამდე 12 შილინგი[9]. ყველა ამ არახელსაყრელი პირობის გამო ლონდონის ბაზარზე თითოეული ტონა ჩვენებური მადნის თვითღირებულება ინდოეთისას აღემატებოდა 2 — 2,5 მანეთით[10].

სტატისტიკოსთა ცნობით პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში 1 ტონა ჭიათურის მარგანეცის თვითღირებულება შეადგენდა 11,17 მანეთს, ინდოეთისა — 8,07, ხოლო ბრაზილიისა — 9,9 მანეთს. ოფიციალური მონაცემების მოწმობით ფოთიდან ევროპის ქვეყნების ნავსადგურებამდე საზღვაო ფრახტი ყოველ ფუთზე ასე მერყეობდა:

ცხრილი 6[11]

წელი	ფრახტი (კაპიკობით)	წელი	ფრახტი (კაპიკობით)
1899	10,2/3	1904	7,97
1900	13,7/8	1905	7,63
1901	10	1906	8,02
1902	9,16	1913—1914	8,9
1903	8,52		

როგორც ვხედავთ, ფრახტი გასული საუკუნის 90-იან წლებამდე მეტი იყო, ვიდრე მომდევნო პერიოდში, რაც ჭიათურის მარგანეცის ზიდვით დაინტერესებული სანაოსნო კომპანიების მომრავლებასთანაა დაკავშირებული. ამის მიუხედავად ის, მკვლევართა აზრით, მაინც

[9] შილინგი 12 პენსია, პენსი დაახლოებით 4 კაპიკია (იმდროინდელი კურსით). 20 შილინგი კი შეადგენს გირვანქა სტერლინგს ანუ იმჟამინდელი კურსით 19 მან. 45 კაპიკს.

[10] В. А. Тухолка, Железные и марганцевые руды. Богатства СССР, М. Л. 1925, გვ. 69.

[11] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 71; Статистика марганцецевого дела, К., 1907, გვ. 74—75; Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг. К. 1918, табл. 45—46.

შედარებით დიდი იყო, რაც მადნის თვითღირებულების ზრდას და მაშასადამე, მისი საკონკურენციო ბრძოლისუნარიანობის ერთგვარ შესუსტებას იწვევდა.

რაც შეეხება ფრახტს ფოთიდან და ბათუმიდან სამხრეთ რუსეთის ნავსადგურებამდე, ის I მსოფლიო ომის წინა წლებში ფუთზე 1,9 კაპიკს შეადგენდა[12].

ჭიათურის ხვედრი მადნის მსოფლიო ექსპორტში თვალსაჩინო იყო. 1892 წლისათვის რუსეთზე (უმთავრესად ჭიათურის ხარჯზე) მოდიოდა მადნის მსოფლიო ექსპორტის 52 % .და პირველი ადგილი ეჭირა. ჭიათურის მარგანეცის მომავალი საშიში კონკურენტები: ბრიტანეთის ინდოეთი ამ დროისათვის ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იყო, ხოლო ბრაზილია საერთოდ არც გამოჩენილა მადნის საერთაშორისო ბაზრებზე[13]. მომდევნო ხანებში ვითარება ასეთია: 1892 — 1901 წლებში მადნის მსოფლიო გაზიდვა (ექსპორტი) შეადგენდა სულ 5 213 452 ტონას. აქედან მადნის მომხმარებელმა სახელმწიფოებმა სხვა ქვეყნებში გაიტანეს და გაასაღეს 195 059 ტონა, ანუ დასახელებული მადნის მსოფლიო ექსპორტის 3,74 %, მადნის არამომხმარებელმა ქვეყნებმა — 2 764 931 ტონა, ანუ 53,03 %, რუსეთმა — 2 253 466 ტონა, ანუ 43,23 %, აქედან ჭიათურის წილად მოდიოდა 2 198 365 ტონა, ანუ მსოფლიო ექსპორტის 42,17 %.

სხვა ქვეყნებში მადნის გადაზიდვა ოდენობის მხრივ რუსეთსა და, კერძოდ, ჭიათურას მოსდევდა ესპანეთი და პორტუგალია (14,49 %), ბრიტანეთის ინდოეთი (11.12 %), საბერძნეთი და თურქეთი (7.74 %), ბრაზილია (6,48 %), ჩილი (6.45 %), იაპონია (2,68 %), საფრანგეთი (2,04 %), კუბა (1,78 %), გერმანია (0,98 %), კოლუმბია (0,91 %), შვეცია (0,34 %), ავსტრია-უნგრეთი (0,29 %), იტალია (0,09 %), სხვა ქვეყნები (1,38 %)[14]. მართალია, 1892 წელთან შედარებით 1901 წელს ჩვენში მარგანეცის მოპოვება, ასევე ექსპორტი (მსოფლიო ეკონომიური კრიზისის უარყოფითი გავლენის მიუხედავად) ორჯერ გაიზარდა და ჭიათურა ამ საქმეში კვლავაც პირველობდა, მაგრამ მისი შეფარდებითი ხვედრი მადნის მოსფლიო ექსპორტში შესამჩნევად შემცირდა. 1901 წელს ჭიათურაზე მოდიოდა მადნის მსოფლიო ექსპორტის მხოლოდ 38 %, ბრიტანეთის ინდოეთზე — 16 %, ბრაზილიაზე კი 13 %.[15].

---

[12] Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., табл. 45—46.

[13] В. А. Тухолка, назв. труд. გვ. 73.

[14] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 119 табл.

[15] В. А. Тухолка, назв. труд., გვ. 73.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დამლევიდან 1913 წლამდე მარგანეცის მადნის მსოფლიო ექსპორტში სხვადასხვა ქვეყნის ხვედრითი წონა ცვალებადობით ხასიათდება[16], კერძოდ, ჰიათურის მარგანეცის მრეწველობას ამ მხრივ ფეხდაფეხ მისდევს და 1907 წლისათვის თითქოს კიდეც ეწევა მეტოქე — ბრიტანეთის ინდოეთი, მაგრამ I მსოფლიოომამდელი სამრეწველო აღმავლობის პერიოდში ჰიათურამ კვლავ ძლიერი ტემპები აიღო და მადნის მსოფლიო ექსპორტშიც პირველი ადგილი უცილობლად შეინარჩუნა. 1900 — 1913 წლებში ჩვენი, ასევე სხვა ქვეყნების ხვედრითი მონაწილეობა მარგანეცის მადნის მსოფლიო ექსპორტში აბსოლუტურად და შეფარდებით ასეთია:

ცხრილი 7[17]

ქვეყნები	გაიზიდა მადანი (ათას ტონობით)	%-ული შეფარდება მსოფლიო ექსპორტთან
რუსეთი (ექსპორტის 96% ჰიათურიდან)	8 584	34,7%
ინდოეთი	5 633	22,9%
ბრაზილია	2 426	9,8%
ყველა სხვა ქვეყანა	7 961	32,6%
	სულ 24,614	100%

ჰიათურის ხვედრი მარგანეცის მსოფლიო ექსპორტში განსაკუთრებით თვალსაჩინოა 1906—1913 წლებში[18]:

---

[16] ასე მაგალითად, 1898—1907 წლებში მადნის მსოფლიო ექსპორტმა შეადგინა 9 947414 ტონა. აქედან მადნის მომხმარებელი ქვეყნებიდან ექსპორტირებულ იქნა სულ 16551 ტონა, ანუ ექსპორტის საერთო ოდენობის 1,67%; მადნის არამომხმარებელი ქვეყნებიდან — 5818733 ტონა, ანუ 58,31%; რუსეთიდან 4128681 ტონა, ანუ 41,51%, საიდანაც ჰიათურის წილად მოდიოდა 3872868 ტონა, ანუ 39,10% (იხ. Статистика марганцевого дела, К. 1909, გვ. 52—59).

1904—1913 წლებში სულ გაიზარდა 879 556 490 ფუთი, აქედან მადნის მომხმარებელი ქვეყნებიდან — 10 100 668 ანუ 1,15%; არამომხმარებელი ქვეყნებიდან 488 358 376, ანუ 55,52%; რუსეთიდან კი 391 198 114 ფუთი ანუ 44,48%, საიდანაც ჰიათურაზე მოდიოდა 354 917 616 ფუთი ანუ მსოფლიო ექსპორტის 40, 35%. (იხ. Статистика марганцевого дела за 1914 — 1917 гг., табл. 59).

[17] გაანგარიშებისას ცნობები გადმოვიღეთ: Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., табл. 59.

[18] Статистика марганцевого дела за 1914 — 1917 гг., табл. 59.

წელი	ჩვენი ქვეყნის (%-ული) მონაწილეობა მარგანეცის მადნის მსოფლიო ექსპორტში
1906	36,49
1909	40,09
1910	39,29
1911	40,90
1912	40,27
1913	53,26

მოცემულ პერიოდში ჭიათურამ მადნის მსოფლიო ექსპორტში ძლიერ გაუსწრო ყველა მეტოქეს. ვითარება შეიცვალა I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე. საქართველოდან მადნის ექსპორტი შეწყდა, ხოლო ინდოეთსა და ბრაზილიის მარგანეცის ექსპორტი კოლოსალურად გაიზარდა.[19]

მარგანეცის მადნის იმპორტიორი და მომხმარებელი ქვეყნები ჩვენთვის საინტერესო ხანაში სულ შვიდია, სახელდობრ: ინგლისი, გერმანია, აშშ, ბელგია, საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი. მადნის მსოფლიო მოხმარებაში 1892 — 1901 წლებში პირველ ადგილზეა აშშ, რომელზეც მოდის მსოფლიო მოხმარების 25,40%, მეორეზე გერმანია (23,31%), მესამეზე ინგლისი (16,63%), მეოთხეზე ბელგია (12,21%), შემდეგ საფრანგეთი (10,48%), რუსეთი (9,84%), ავსტრია-უნგრეთი (1,62%)[20]. 1901—1907 წლებში მდგომარეობა ძირფესვიანად არ შეცვლილა, თუმცა გერმანია თითქმის ეწევა აშშ-ს[21]. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში გერმანია უკვე პირველ ადგილზეა მარგანეცის მადნის მსოფლიო იმპორტში, აშშ და ინგლისი მეორე ადგილს იყოფენ, მათ მოსდევს ბელგია და სხვ.[22] მარგანეცის მომპოვებელი ქვეყნებიდან მადანი მნიშვნელოვანწილად მთავარ მომხმარებელ სახელმწიფოებში — ინგლისში, გერმანიაში, აშშ-ში იგზავნება. ეს სამი სახელმწიფოა ჭიათურის მარგანეცის მთავარი მომხმარებლები. 1885 — 1899 წლებში ჩვენებური მადნის მომხმარებლებს შორის პირველ ადგილზეა ინგლისი, მეორეზე გერმანია[23]. საზოგადოდ მადნის მსოფლიო იმპორტში 1892 — 1901 წლებში პირველ ადგილზეა ინგლისი, რომელმაც შეზიდა 1 677 894

---

[19] В. А. Тухолка, назв. труд, გვ. 73—74.

[20] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 140 — 141.

[21] Статистика марганцевого дела, К., 1909, табл. 54.

[22] Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., табл. 62.

[23] Статистика марганцевого дела, К., 1902, გვ. 15; Статистика марганцевого дела, К., 1909, табл. 56.

ტონა ანუ მსოფლიო იმპორტის 30,22%, მეორეზე გერმანია (19,68%), მესამეზე აშშ (18,96%), მეოთხეს იყოფენ საფრანგეთი (13,12%) და ბელგია (13,13%). მათ მოსდევს რუსეთი (4,02%) და ავსტრია-უნგრეთი (0,88%). მომდევნო ხანაში ვითარება რამდენადმე იცვლება. ასე მაგალითად, 1898 — 1907 წლებში ინგლისზე მოდის მადნის მსოფლიო იმპორტის 25,59%, გერმანიაზე უკვე 23,65%, აშშ-ზე — 19,15%, ბელგიაზე — 14,19%, საფრანგეთზე — 10,92%, რუსეთზე — 5,05%[24]. ცვლილება უფრო თვალსაჩინო ხდება 1904 — 1913 წლების მდგომარეობით, როცა მარგანეცის მადნის მსოფლიო იპორტში პირველ ადგილზეა გერმანია (27.62%), მეორეზე ინგლისი (25,72%), მესამეზე აშშ (16,21%), შემდეგია ბელგია (12,63%), საფრანგეთი (12,12%) და სხვა.[25]

ჭიათურის მარგანეციც დაახლოებით ასეთივე თანმიმდევრობით ნაწილდება დასახელებულ ქვეყნებს შორის. ასე მაგალითად, მკვლევარ ადამჩუკის გამოთვლით, რაც სტატისტიკური ცნობების შედარებით ზუსტ დაჯამებას ემყარება, 1886 — 1914 წლებში ჭიათურის მარგანეცის გაზიდვა სხვადასხვა (მომხმარებელ) ქვეყანაში ასეთ სურათს იძლევა:

ცხრილი 8[26]

სახელმწიფოები	გაზიდვა ტონობით	% მთელი გაზიდვის მიმართ
ჰოლანდია	3 692 587	34,17
დიდი ბრიტანეთი	2 855 234	26,43
ბელგია	1 259 100	11,65
აშშ	816 045	7,55
გერმანია	539 577	5,00
საფრანგეთი	514 764	4,76
სხვა ქვეყნები	385 283	3,56
სულ	10 062 591	93,12%

ჰოლანდია სრულებით არ ხმარობდა მარგანეცის მადანს და იქ შეზიდული მადანი მთლიანად მიემართებოდა გერმანიაში[27]. ამრიგად, ჩვენგან გაზიდული მადნის 39,17% გერმანიაში მიდიოდა და ის იყო

[24] Статистика марганцевого дела. К.. 1909 табл. 56.

[25] Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., табл. 60.

[26] В. Адамчук. Марганец СССР в мировой марганцевой промышленности. М.-Л. 1932. зз. 15—16.

[27] Ф. Бублейников и Н. Лессинг. Марганцевая промышленность СССР. М.-Л. 19125, зз. 14—15.

მისი მთავარი მომხმარებელი, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ინგლისი, ხოლო აშშ მეტწილად ბრაზილიურ მარგანეცს იყენებდა.

გერმანია ჭიათურის მარგანეცს განსაკუთრებით I მსოფლიო ომის წინა ხანებში დაეწაფა. ასე მაგალითად, 1913 წელს გერმანიამ უშუალოდ და ჰოლანდიის ნავსადგურებიდან შეზიდა ჩვენებური მადნის მთელი ექსპორტის 39,25%, ხოლო ინგლისმა — 22,93%, ბელგიამ — 16,95%. საფრანგეთმა — 5,11%, აშშ-მა 12,78%, სხვა ქვეყნებმა —3,04%, რუსეთმა კი მხოლოდ — 0,94%. ეს გარემოება უფრო გასაგები იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ გერმანია მსოფლიო ომის „მთავარი გამჩაღებელი" იყო და ომისათვის სამზადისში ჩაბმული ქვეყნის მძლავრი მეტალურგიის მოთხოვნილება მადანზე განუხრელად იზრდებოდა, თანაც ის მადნის მარაგსაც იქმნიდა.

მარგანეცის მადნის მსოფლიო მოხმარებისა და მისი ფასების ცვალებადობის მთელი პირველი მსოფლიოომამდელი ისტორია სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად ორ პერიოდად იყოფა: პირველი მოიცავს დროის მონაკვეთს მარგანეცის მადნის გამოყენების დაწყებიდან 1865 წლამდე, ანუ მეტალურგიაში მის ფართო მოხმარებამდე, მეორე კი 1865 — 1914 წლებს.[28] პირველ პერიოდში მარგანეცის მადნის ფასები ძალზე მაღალია. მადანი მაშინ მეტად შეზღუდულ ფარგლებში გამოიყენებოდა, უპირატესად კერამიკულ და მინის წარმოებაში, მედიცინასა და ქიმიურ მრეწველობაში. იმ დროს მადანზე მოთხოვნილების ერთადერთი დამაკმაყოფილებელია ინგლისი (დევრონშირი). ერთი ტონა (70%-იანი მეტალ. შემცველობის) მადანი ღირდა 8 გირვ. სტ. ანუ 80 მანეთი[29], უფრო მდიდარ საბადოთა აღმოჩენის შემდეგ (ესპანეთი) მარგანეცის მადნის ფასი 1865 წლისათვის დაეცა 3 გირვ. სტერლინგამდე.

მეორე პერიოდს დასაბამი მისცა ფოლადის დასამზადებლად ფერომარგანეცის გამოყენებამ, რის შემდეგაც მარგანეცის მადანზე მოთხოვნილება ძლიერ გაიზარდა და მადნის ფასმა (ექსპლოატაციაში შესულ საბადოთა სიმცირის გამოც) კვლავ აიწია: ტონა 8 გირვ. სტერლინგად იყიდებოდა; ჭიათურის მარგანეცის გამოჩენამ მადნის მსოფლიო ბაზარზე (1879 წ.) ფასის 3 გირვ. სტერლინგამდე დაცემა გამოიწვია.

90-იან წლებში მსოფლიო ბაზარზე გამოჩნდა ინდოეთისა და

---

[28] В. А. Адамчук, Марганец СССР в мировой марганцевой промышленности. М.-А., 1932, გვ. 61.

[29] იქვე, გვ. 61—62.

ბრაზილიის მარგანეცი. ამის შემდეგ მადნის ფასი, ზოგიერთი წლის გამოკლებით, რამდენადმე უფრო სტაბილური გახდა, მადნის ფასები ევროპის ქვეყნებში ძირითადად ერთნაირი იყო. ინგლისში მარგანეცის მადანი ფასობდა:

ცხრილი 90

წელი	სარეალიზაციო ფასი (მეტალ. შემადგენლობისდა მიხედვით) პენსობით			ერთი ფუთ ს საშუალო სარეალიზაციო ფასი (კაპიკებით)
	50%-ზე	47—50%-ნი	40—47%-ნი	
1890	18—20	16—17	14—15	50—80
1891	15—17	12—14	12—14	48—68
1892	14—16	12—14	9—12	36—56
1893	14—15	13—14	9—12	36—50
1894	11,5—12	9,5—11	8—10	32—48
1895	10,5—11,5	9—10	8—9	32—47
1896	11—13	10—12	9—11	36—52
1897	11—13,5	10—12	8—11	32—55
1898	9—12	8,5—11	7,5—10,5	29—48
1899	10—12,5	9—11	7,5—10,5	29—55
1900	13,15	12—13	10—12	42
1901	12—14	11—12	10—11	30
1902	9,5—10,5	9—9,5	8—9	27,2
1903	10—10,5	8,5—9	7,5—8,5	26,8
1904	9—9,5	8—9	6—8	26,50
1905	9—9,5	7,5—8,5	6—8	29,75
1906	11—12	9—10,5	7—9	47
1907	15—16	14—15	13—14	44,7
1908	10,5	9,5	8,5	27,5
1909	8—16	8—15	6—14	26—49
1910	9—17	9—14	8—13	28—51
1911	„	„	„	„
1912	8—18	9—17	8—14	30—56
1913	10—19	10—17	8—15	32—57
1914 წ. პირველ ნახევრში	11—19	10—18	9—15	32—58

მადნის ფასის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო მისი ხარისხოვნება ანუ მეტალური შემცველობა; ამასთანავე ფასი დროის მსვლელობაში ისედაც იცვლებოდა. ცხრილიდან ჩანს მადნის ფასის შედარებითი სიდიდე 90-იანი წლების დამდეგს. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ამ დროს მადნის მომპოვებელი ქვეყნების რიცხვი ცოტაა, თანაც მოპოვება მცირე მასშტაბით წარმოებს და ამდენად მსოფლიო ბაზარზე ის მოთხოვნილებას სრულად ვერ აკმაყოფილებს.

[30] ცხრილის შედგენისას ერთმანეთს შევაჯერეთ სხვადასხვა ცნობა, რომლებიც ამოვიღეთ: В. А. Адамчук, Марганец СССР в мировой марганцевой промышленности, М.-Л. 1932, გვ. 62; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 43, 199—200; Статистика марганцевого дела за 1914—1917 гг., табл. 52.

90-იანი წლების შუა ხანებიდან მადნის მოპოვებას მრავალი ქვეყანა ეწევა შედარებით დიდი რაოდენობით. ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების სამრეწველო აღმავლობის ხანაში მსოფლიო მეტალურგიის მოთხოვნილება მარგანეცზე ძლიერ გაიზარდა, მადნის ფასმა გარკვეული დაცემა განიცადა. ეს, ვფიქრობთ, მსოფლიო ბაზარზე გასასაღებელი მადნის მოზღვავებით უნდა აიხსნებოდეს.

პირველ მსოფლიოომამდელი სამრეწველო აღმავლობა მადნის ფასის თანდათანი და თვალსაჩინო ამაღლებით ხასიათდება, რაც საკვლებით კანონზომიერია, რადგან ომის სამზადისში ჩაბმული ევროპის მძლავრი კაპიტალისტური ქვეყნების მეტალურგიის მოთხოვნილება მარგანეცზე უფრო და უფრო იზრდებოდა. თანაც ეს სახელმწიფოები (განსაკუთრებით გერმანია) მადნის მარაგსაც იქმნიდნენ.

ამერიკის ბაზარზე 1889 — 1913 წლებში ერთი ტონა მარგანეცის მადნის საშუალო ფასი 9,3 დოლარს შეადგენდა: 1895 წელს ის ღირდა 7,5 დოლარი, 1909 წელს — 13, ხოლო 1913 წელს — 12 — 12,5 დოლარი[31]. ამშ თავის მოთხოვნილებას უმთავრესად ბრაზილიური მარგანეცის, აგრეთვე საკუთარი მოპოვების ხარჯზე იკმაყოფილებდა. მადნის ფასი აქაც, როგორც ევროპის ბაზრებზე, გარკვეული ცვალებადობით ხასიათდებოდა. მარგანეცის მადნის საერთაშორისო ბაზრებზე ფასის ამ ცვლილებას საფუძვლად ედო და პირობებდა მარგანეცის მსოფლიო მრეწველობასა და მეტალურგიაში ჰომხდარი კარდინალური ძვრები. ბევრი რამ იყო დამოკიდებული მარგანეცის მადნის მომპოვებელ და მომხმარებელ ქვეყნებში შექმნილ ეკონომიურ კონიუნქტურაზე, ასევე პოლიტიკურ სიტუაციაზე. ასე მაგალითად, 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში ჩვენგან მადნის ექსპორტის შენელებამ, ასევე I მსოფლიო ომის წლებში მისი ექსპორტის შეწყვეტამ, მძლავრი ბიძგი მისცა მარგანეცის მრეწველობის განვითარებას ინდოეთში, აგრეთვე ბრაზილიაში, ხელი შეუწყო მადნის ფასების ამაღლებას საერთაშორისო ბაზრებზე. ბაზრის კონიუნქტურაზე ძლიერ ზემოქმედებდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მარგანეცის მადნის ახალი საბადოების აღმოჩენა და ექსპლოატაციაში შესვლა, მადნის მომხმარებელი ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ძირეული ცვლილებები. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს I მსოფლიო ომის წინა წლების მაგალითი, როცა პირველი რანგის კაპიტალისტური სახელმწიფოების სამზადისმა მსოფლიოს გადანაწილებისათვის, მძლავრი ბიძგი მისცა მარგანეცის მრეწველობის განვითარებას მთელ მსოფლიოში, გამოიწვია მარგანეცის მადნის ფასების განუხრელი ამაღლება საერთაშორისო ბაზრებზე.

---

[31] В. А. Адамчук, назв. труд, ق. 63.

ᲧᲐᲛᲐᲯᲔᲑᲐ

თავი VI

ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა და ცარიზმის კოლონიური სატარიფო პოლიტიკა

ზემოთ (თავი II, § 3) მოკლედ დავახასიათეთ ის მძიმე ვითარება, რომელსაც უგზოობა და ურკინიგზობა ქმნიდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში, ასევე ჭიათურის რკინიგზის შტოს მნიშვნელობა მრეწველობის მოცემული დარგისათვის. ახლა გავეცნოთ რკინიგზის შტოს მშენებლობის ირგვლივ წარმოებულ ბრძოლას, გზის მშენებლობას და ცარიზმის კოლონიურ სატარიფო პოლიტიკას.

§ 1. ბრძოლა ჭიათურის რკინიგზის გასაყვანად. გზის მშენებლობა და მწყობრში ჩადგომა (1882—1891—1894 წწ.)

დასახელებული გზის გაყვანამდე ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მეტოქენი უცხოეთში ხელაღებით უარყოფდნენ მის აწმყოს და შესაძლებელ მომავალს: „ურიგოდ იხსენიებდნენ ჩვენს შავ ქვას, მთელ ჩვენს მხარეს და, სხვათაშორის, ამტკიცებდნენ, რომ მთვარიდან უფრო ადვილი გამოსატანი იქნება მარგანეცი, ვიდრე კავკასიიდანო".[1]

ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ მაგისტრალთან ჭიათურის სამრეწველო რაიონის უშუალოდ, ეფექტური სატრანსპორტო გზით დაკავშირების იდეა 1880 წელს წარმოაყენა აკაკი წერეთელმა.[2]

---

[1] იხ. აკაკი, შავი ქვის ამბავი, „ივერია", 1893, 8 დეკემბერი, № 265.

[2] აქვეა აღსანიშნავი იმ მოსაზრების უსაფუძვლობა, რომ თითქოს ჭიათურის რკინიგზის გაყვანის ინიციატორი რუსეთის მთავრობა იყო (იხ. ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 4914, 1891—1892 гг., л. 224), რომ ვითომ ამ გზის გაყვანის იდეა, ისევე როგორც მისი განხორციელება, დაკავშირებულია ადგილობრივ მრეწველთა ჯგუფის სახელთან, რომ ეს „დიდი საქმე გაკეთდა ამ მცირე ჯგუფის ინიციატივისა და დაუღალავი მუშაობის წყალობით" (იხ. ს. წერეთელი, მარგანეცი და მისი მრეწველობა დასავლეთ საქართველოში. გაზ. „საქართველო"; 1920, 25 იანვარი, № 18).

ამ იდეის რეალური განხორციელებისათვის ხანგრძლივი და ენერგიული ბრძოლა აწარმოვა ნიკო ნიკოლაძემ, აგრეთვე გიორგი წერელეთმა. გზის გასაყვანად ზრუნვისას მათ წარმატებით მოიგერიეს არაერთი ქართველი ინტელიგენტის და რუს მოხელეთა, ასევე სპეციალისტთა ერთი ნაწილის გააფთრებული შემოტევა და გადალახეს მრავალი დაბრკოლება. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა გულმოდგინება ჭიათურის რკინიგზის გასაყვანად ქართულ პრესაში ცხარე დისკუსიის საგნად იქცა და ზოგიერთი პუბლიცისტი მწარედ დასცინოდა გამოჩენილ მოღვაწეებს[3].

რუსეთის ადმინისტრაციის გავლენიანი წრეების წარმომადგენელთა ნაწილი როგორც თბილისში, ისე პეტერბურგში სრულიად უგულებელყოფდა ჩვენში მარგანეცის მრეწველობის განვითარების მნიშვნელობას და ამიტომაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ჭიათურის რკინიგზის გაყვანას. ამ წრეების ტიპიური წარმომადგენელი იყო კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსი, სპეციალობით პალეონტოლოგი, პროფ. ვ. მელერი, რომელიც უკიდურეს სკეპტიციზმს ამჟღავნებდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობისადმი. ასე მაგალითად, 1885 წელს მთავარმმართველის მითითებით თბილისში ჭიათურის რკინიგზის თაობაზე მოწყობილ თათბირზე მელერი დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ „ომი კი არა რამდენადმე სერიოზული პოლიტიკური გართულებაც კი, ან კიდევ მარგანეცის მადნის გაძლიერებული მოპოვება ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში თუ უცხოეთში, იმთავითვე გამოიწვევს ჭიათურის მრეწველობის ჩახშობას“. მოხელე ამასთანავე დასძენდა: მარგანეცის მადანი მეტად მცირე რაოდენობითაა მოხმარებაში... ჭიათურამდე რკინიგზის გაყვანა ძვირი დაჯდება, თან მოსახლეობა დაკარგავს შემოსავალს, რასაც ის ამჟამად იღებს ურმებითა და ცხენებით მადნის გადაზიდვიდანო. მელერის დასკვნით «Едва ли следует особенно заботиться о возможно большом развитии марганцевого промысла в Шорапанском уезде»[4].

1888 წელს, როცა ჭიათურის მრეწველობამ ხანმოკლე, მაგრამ მწვავე კრიზისი განიცადა და საზოგადოებრივმა წრეებმა მის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ურკინიგზობა მიიჩნიეს,[5] ვ. მელერი მათ პასუხობდა: „შორაპნის საწარმოებამდე რკინიგზის გაყვანას შესაძლებელია რამდენიმე ხნით გადაედო კრიზისის მოახლოვება. ამავე დროს რკინიგზა გამოიწვევდა საწარმოთა საქმიანობის გაძლიერებას, რის გამო კრიზისის

---

[3] „დროება“, 1884, № 229, გვ. 3.

[4] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 4914 л, 60—61.

[5] «Новое обозрение», 1887, 29/XII, № 1390, 1888, 12/I, № 1402.

შედეგი კიდევ უფრო საშინელი აღმოჩნდებოდა, გაცილებით უფრო დიდი კაპიტალი დაიკარგებოდა უნაყოფოდ"[6]. მელერი ამჯერადაც ირწმუნებოდა: „მარგანეცის მრეწველობას არ უნდა მოეეკიდოთ გატაცებით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მრეწველობის ბუნებრივ ზრდას თავისი საზღვრები გააჩნია".[7]

ჭიათურის რკინიგზის გაყვანის მოწინააღმდეგეთა შორის იყვნენ აგრეთვე ზოგიერთი ცნობილი ქართველი და რუსი სამთო სპეციალისტები, რომლებიც ჩვენში მარგანეცის მრეწველობის განვითარების დიდ პერსპექტიულობას თვითონ ქადაგებდნენ, მაგრამ დაბეჯითებით ვარაუდობდნენ, რომ რკინიგზა შემოსავლის წყაროს დაუკარგავდა ჭიათურიდან რკინიგზის მთავარ მაგისტრალამდე ურმებითა და ცხენებით მადნის გადამზიდველ — ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ეს გზა ხელს შეუწყობდა უცხოური კაპიტალის მოძალებას ჭიათურაში[8].

მთავრობის ორგანოებში, საზოგადოებრივ წრეებში, სპეციალისტთა და საქმოსანთა შორის დასახელებული გზის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა და ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა. ერთნი უმჯობესად თვლიდნენ შარაგზის გაყვანას (კავკასიის სამთო სამმართველო), მეორენი ამჯობინებდნენ რკინიგზას — ცხენის წევით (ი. ფურმანი და სხვ.), მესამენი ვიწროლიანდაგიან რკინიგზას ორთქლმავლებით (ინჟინრები: ციმერმანი, ვეისგოფენი, პიო, მეისნერი, იალოვეცკი), მეოთხენი საჰაერო-საბაგირო გზას (ი. მირზოევი), მეხუთენი საჰაერო რკინიგზის გაყვანას ჭიათურიდან ტყიბულამდე მარგანეცის გადასაზიდად (გერმახული ანონიმური კომპანია) და სხვ.[9].

ხანგრძლივი დავა მიმდინარეობდა მთავრობის ორგანოებსა და საზოგადოებრივ წრეებში იმაზეც, თუ ვის, — ხაზინას თუ კერძო ფირმას, — უნდა გადასცემოდა ჭიათურის რკინიგზის მშენებლობა. საქმეს აბრკოლებდა გზის მშენებლობის პროექტების განხილვის გაჭიანურება მთავრობის ორგანოებში, ასევე გზის მშენებლობით დაინტერესებულ ადგილობრივ, რუსულ და უცხოურ ფირმათა მეტოქეობა, აგრეთვე მთავრობის ზოგიერთ მოხელეთა, სამთო საქმის ზოგიერთ სპეციალისტთა და მაზრის მოსახლეობის გამოსვლა ჭიათურის რკინიგზის მშენებლობის წინააღმდეგ. ამასთანავე დასახელებული გზის გაყვანით და-

---

[6] «Кавказ», 1888, 3/I № 2; «Новое обозрение», 1888, 14—15/I, № 1404, 1405.

[7] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 4914, л. 61.

[8] „ივერია", 1893, № 260, გვ. 2.

[9] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 4914, 1891—1892 гг., л. 520—524; ЦГИАЛ, ф. 1157, оп. 1, д. 52, 1894, л. 244—245; „ივერია", 1876, 30 იანვარი, № 23; იხ. აგრეთვე ელ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

ინტერესებულ მრეწველებს საამისოდ მხოლოდ სურვილები აღმოაჩნდათ.

ჭიათურაში რკინიგზის გასაყვანად ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი ჯერ კიდევ 1882 წლიდან შეუდგნენ ენერგიულ მოქმედებას ადგილობრივ მსხვილ მრეწველთა მხარდაჭერითა და უშუალო ძონაწილეობით. საამისოდ მათ ხანგრძლივი მოლაპარაკება აწარმოეს მთავრობასთან, ამიერკავკასიის რკინიგზის კომპანიასთან, სხვადასხვა ფირმასთან, ცალკეულ კაპიტალისტებთან.

ჭიათურის რკინიგზის მშენებლობის ხელში ჩასაგდებად არაერთი ადგილობრივი, რუსი თუ უცხოელი კაპიტალისტი თუ ფირმა ზრუნავდა. გზის მშენებლობით დაინტერესებული კაპიტალისტები, ბუნებრივია, ცდილობდნენ, რამდენადაც შეიძლებოდა, მომგებიან პირობებში აეღოთ მისი მშენებლობა და, რაც მთავარია, იმთავითვე მოეპოვებინათ იმის გარანტია, რომ გზის ექსპლოატაციის წინასწარ დამტკიცებული პირობების შესაბამისად, მრავალი ათეული წლების მანძილზე მიეღოთ მაქსიმალური მოგება. მათი უმრავლესობა ლამობდა მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვებას მომავალი გზის ექსპლოატაციაში. ამ ცდებმა მთავრობის ადგილობრივი ორგანოების მხრივ წინააღმდეგობის შედეგადაც, ნაყოფი ვერ გამოიღო.

დასახული მიზნისათვის ხანგრძლივ ზრუნვაში ნ. ნიკოლაძე დარწმუნდა, რომ ჭიათურის რკინიგზის მშენებლობა შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ კავკასიის ადმინისტრაციის მხარდაჭერით და ისიც მარტო ხაზინის ხარჯზე. ამიტომ მან 1885 წელს უშუალოდ კავკავკასიის მთავარმართებელს დონდუკოვ-კორსაკოვს მიმართა და სთხოვა ეთავა შტოს მშენებლობის ინიციატივა[10]. უკანასკნელმა საკითხისადმი გარკვეული ინტერესი გამოიჩინა და ის კავკასიის ადმინისტრაციის შესაფერისი ორგანოების (კავკასიის სამთო სამმართველო, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაცია და სხვ.) წარმომადგენელთა კოლეგიალური მსჯელობის საგნად იქცა. განხილვის პროცესში, როცა ქუთაისის გუბერნატორი, კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსის ზეგავლენით, შარაგზის გაყვანას ემხრობოდა, ხოლო „კავკასიის რკინიგზის საზოგადოების“ ხელმძღვანელობა რკინიგზის გაყვანის საჭიროებას ასაბუთებდა, დონდუკოვ-კორსაკოვი, უეჭველია ნ. ნიკოლაძის მეცადინეობის შედეგადაც, საფუძვლიანად დარწმუნდა ხაზინის მიერ ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის საჭიროება-მომგებიანობაში. მთავარმართებლის დავალებით შედგენილი სპეციალური მოხსენება, სადაც მიმოხილული და დახასი-

---

[10] Н. Николадзе, К истории грузинской марганцепромышленности... გვ. 6.

ათებული იყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები, სათანადო შუამდგომლობის დართვით პეტერბურგში გაიგზავნა.[11] მაგრამ იქ, სამთო დეპარტამენტი საქმის ფორმალურად განხილვას დასჯერდა და ჭიათურის რკინიგზის გაყვანის წინააღმდეგ წავიდა.

მოწინავე ქართველი მოღვაწენი, მათ შორის დიდი ილია, ფარხმალს არ ყრიდნენ, კვლავაც იღვწოდნენ ჭიათურის რკინიგზის გაყვანისათვის და სამრეწველო რაიონში გზების გასაუმჯობესებლად. ილია კვლავაც დაბეჯითებით თხოვდა დონდუკოვ-კორსაკოვს: „წინათაც გთხოვდით და ახლაც გთხოვთ... აღმოგვიჩინოთ შემწეობა მადნებიდან შავი ქვის გადაზიდვაში; გზები ძალიან წამხდარია და ამისათვის ქვის გადაზიდვის ქირამ ძალიან აიწია. გთხოვთ იშუამდგომლოთ სადაც საჭიროა, რკინიგზა გაიყვანონ ს. ჭიათურამდის“[12]. სამთო დეპარტამენტის უარყოფითი გადაწყვეტილების მიუხედავად დონდუკოვ-კორსაკოვმა კვლავ აღძრა ხსენებული საკითხი ცენტრალური ხელისუფლების წინაშე და ის ამჯერად განიხილა სამთო კომიტეტისა და სამთო-სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებულმა საკრებულომ, რომელმაც ხელაღებით უგულებელყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მნიშვნელობა და გამოვიდა ჭიათურის რკინიგზის, ასევე შარაგზის გასაყვანად ხაზინის მიერ ხარჯების გაღების წინააღმდეგ. ამავე დროს საკრებულო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ რომელიმე კერძო ფირმა ან საზოგადოება გამოთქვამდა სურვილს, მთავრობის მიერ რაიმე ხარჯების გაწევის გარეშე, ჭიათურის რკინიგზის გაყვანაზე, ასეთ შემთხვევაში ძთაკოოაას მართებდა ამ საქმისათვის მხარდაჭერა-ხელშეწყობა. საკრებულოს აზრით, მთავრობას უნდა ეზრუნა მარტო საბადოთა მტაცებლური ექსპლოატაციის აღსაკვეთად, ტექნიკური ზედამხედველობის გასაძლიერებლად და ისიც მხოლოდ ადგილობრივ მრეწველთა ხარჯზე.

რუსეთის ცენტრალური მთავრობისა და კავკასიის ადმინისტრაციის შესაფერის ორგანოებში ჭიათურის რკინიგზის გაყვანის ირგვლივ გაჩაღებული დავა მოწმობს, რომ საქართველოში რუსეთის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის განსაზღვრისას XIX საუკუნის 80-იან წლებში კვლავ გრძელდება აზრთა სხვადასხვაობა კავკასიის ადმინისტრაციასა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს შორის, ხშირად თვით ამ ორგანოებშიც. მათი მიზანი ამჟამადაც, როგორც ადრე და შემდეგაც, სავსებით ადექვატურია: ეს არის პოლიტიკურად დაპყრობილი მხარის სრული ეკონომიური დაპყრობა. დასახული მიზნის მიღწევას ცარიზმი ცდილობდა ჩვენი ქვეყნის, როგორც რუსეთის გა-

[11] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 21, д. 918, л. 7.

[12] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VIII, 1956, გვ. 247—248.

ნაპირა მხარის, სოციალურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის კონსერვირებით. მას სურდა აგრეთვე მეტროპოლიის მრეწველობის დაზღვევა კოლონიის მხრივ კონკურენციისაგან. ამაზე სწორად შენიშნავს პროფ. პ. ლიაშჩენკო: «Отсталость социально-экономического строя закавказских национальных окраин не только сознательно поддерживалась царским правительством, но еще и усиливалась...»[13]. რაც შეეხება კერძოდ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას, «Царское правительство и русский капитализм во избежание конкуренции чиатурского марганца с криворожским тормозили развитие дела»[14]. ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ეკონომიური ათვისების პრობლემების განხილვისას, რუსეთის მთავრობის ცენტრალური ორგანოებისა და კავკასიის ადმინისტრაციის მიდგომაში განსხვავება მხოლოდ დასახული მიზნის მისაღწევად მეთოდების შემუშავებაში ელინდებოდა. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს საამისოდ საჭიროდ არ მიაჩნდათ ხაზინის მხრივ ზრუნვა და მით უფრო დიდი ხარჯების გაღება მხარის სამრეწველო-ეკონომიური განვითარებისათვის, ხოლო კავკასიის ადმინისტრაცია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისი ზოგიერთი წარმომადგენლის პოზიციას, მოცემულ პერიოდში, ისევე როგორც ადრე, საქართველოს სიმდიდრეთა კოლონიურ ათვისებას მხარის სამრეწველო-ეკონომიური წინსვლისათვის უშუალო ხელშეწყობით ვარაუდობდა. ამითაც აიხსნება ის, რომ დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც ცნობდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარების მნიშვნელობას ხაზინის ინტერესების თვალსაზრისით, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების ხანგრძლივი და სერიოზული წინააღმდეგობის მიუხედავად, განაგრძობდა ზრუნვას ჭიათურის სამრეწველო რაიონში რკინიგზის შტოს შესაყვანად. მისი შუამდგომლობით და „ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების“ მეცადინეობით ჭიათურის რკინიგზის საქმემ 1886 წელს კვლავ მოიარა რუსეთის გზათა, ასევე მიწათმოქმედების სამინისტრო; ამას შედეგად მოჰყვა მეფის ნებართვა „ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების“ მიერ ხსენებული ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გასაყვანად საჭირო, წინასწარი, სადაზვერვო სამუშაოების ჩასატარებლად და საამისო პროექტის შესამუშავებლად. შედგა პროექტი, რაც ამიერკავკასიის რკინიგზის ინსპექციამ დასკვნისათვის გადასცა კავკასიის სამთო სამმართველოს. პარალელურად ეს პროექტი შესასწავლად გადაეცა მიწათმოქმედების

---

[13] П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, том II, Капитализм, 1956, გვ. 550.

[14] იქვე, გვ. 559.

სამინისტროში შექმნილ კომისიას, რომელიც კავკასიის სამთო სამმართველოს მესვეურ — მელერთან ერთად კვლავ გამოვიდა ჭიათურის რკინიგზის გაყვანის წინააღმდეგ[15]. მთავარმართებლის ზრუნვამ, ისევე, როგორც ამ გზის მშენებლობის აღებით დაინტერესებულ ადგილობრივ, რუს და უცხოელ კაპიტალისტთა მოქმედებამ, და ნ. ნიკოლაძის ხანგრძლივმა ბრძოლამ ჭიათურის რკინიგზის გაყვანისათვის კარგა ხანს უშედეგოდ ჩაიარა. მაგრამ, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მსოფლიო მნიშვნელობა თანდათან უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. ასეთ ვითარებაში ჭიათურის რკინიგზის მშენებლობის საკითხი მთელი აუცილებლობით ისმებოდა. დაბოლოს, როგორც იქნა, მთავრობის ცენტრალურ ორგანოებშიც აღმოჩნდნენ ისეთი მოხელენი, რომლებმაც შეიგნეს ჭიათურის რკინიგზის მშენებლობის მნიშვნელობა და, რაც მთავარია, ამ გზის ექსპლოატაციის მომგებიანობა ხაზინის ფისკალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ჭიათურის რკინიგზის მშენებლობის დასაწყებად ხელსაყრელი პირობებიც შეიქმნა: ჯერ ერთი, ჭიათურის მაღალხარისხოვანი მარგანეცის მადანზე მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილება იზრდებოდა, მეორეც, ხაზინის მიერ ამიერკავკასიის რკინიგზის გამოსყიდვის შემდეგ მთავრობისათვის თანდათან უფრო აშკარა გახდა მომავალი რკინიგზის შტოს ექსპლოატაციის მომგებიანობა, მესამეც, სურამის (წიფის) გვირაბის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ჭიათურისკენ მიედინებოდა დიდძალი უსაქმოდ დარჩენილი, იაფი მუშახელი[16] და სხვ. ყოველივე ამის გამო მთავრობა დაინტერესდა ჭიათურის რკინიგზის მშენებლობით, დაიწყო მის დაპროექტებასთან დაკავშირებული საკვლევაძიებო სამუშაოები.[17] რუსეთის იმპერიის გზათა სამინისტრომ და სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტმა, სათანადო განხილვის შემდეგ, სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის პროექტი, შედგენილი ინჟინერ ფ. რიძეესკის მიერ. სახელმწიფო საბჭომ პროექტი მოიწონა და დაამტკიცა რკინიგზის მშენებლობის საერთო ხარჯები 1 087 000 მანეთის რაოდენობით, ხოლო საბოლოო გაანგარიშებით 1 520 533 მანეთი[18].

ყოველი ვერსი ჯდებოდა 32 000 მანეთი.[19] სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება უმაღლესად დამტკიცდა 1891 წლის მაისში.[20] ამავე წლის სექტემბრის ბოლოს დაიწყო ჭიათურა-შორაპნის გზის მშენებ-

---

[15] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 21, д. 920, л. 13.

[16] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 4914, 1891—1892 гг., л. 525.

[17] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 4914, л. 224, об.

[18] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 21, д. 920, л. 209.

[19] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5192, 1895 г., л. 257. 262 об.

[20] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 21, д. 920, л. 210.

ლობა,[21] რასაც ხელმძღვანელობდა ჯერ ინჟ. ფ. რიძევსკი, ხოლო შემდეგ ინჟ. კ. სიმბერგი.[22] მშენებლობის პროექტით გზაზე ეწყობოდა ექვსი სადგური: შორაპნის, მარტოთუბნის, ბოსლევის, რკვიას, სალიეთისა და ჭიათურის. მშენებლობა დაკავშირებული იყო გარკვეულ სიძნელეებთან, რადგან გზის გასაყვანად საჭირო გახდა 74 000 კუბ. საჟენის მიწის სამუშაოები, ანუ ვერსზე 1934 კუბ. საჟენისა. გზის გასამაგრებლად აუცილებელი იყო 600 კუბ. საჟენი საყრდენი ნაგებობა და 500 კუბ. საჟ. ქვის ნაგებობა.[23] გზაზე ასაგები იყო სხვადასხვა ტიპის 135 ხიდი, სულ კი 730 მეტრის სიგრძის სხვადასხვა სახის ნაგებობა, ასევე გასაყვანი გახდა სამი გვირაბი, რომელთა საერთო სიგრძე 95 — 96 მეტრს უდრიდა[24]. მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 18 თვეში, მაგრამ გაგრძელდა 26 თვეს. საქმის ასეთი გაჭიანურება გამოუწვევია ხოლერის ეპიდემიას. რაც სამშენებლო უბნების მშრომელ მოსახლეობას მოსდებია. 1893 წლის ივნისიდან (ე. ი. მშენებლობის დაწყებიდან 16 თვის შემდეგ) გზაზე დროებითი მოძრაობა დაიწყო 20 ვერსზე, მომდევნო თვეში — 30 ვერსზე, ხოლო იმავე წლის დეკემბრიდან მთელი ხაზი მწყობრში ჩადგა, — ჭიათურიდან რკინიგზით მადნის გადაზიდვაც დაიწყო. მშენებლობა საბოლოოდ დამთავრდა 1894 წლის 1 მაისისათვის და ის ამავე თვეში შეამოწმა და მიიღო მთავრობის სპეციალურმა კომისიამ. გზის ოფიციალური გახსნა და რეგულარული, ნორმალური მოძრაობა მხოლოდ 1895 წლის 4 თებერვლიდან დაიწყო. მალე წამოიწყო სამუშაოები ჭიათურიდან დარკვეთამდე რკინიგზის შტოს გასაგრძელებლად. ამ უბანზე განუწყვეტელი მოძრაობა დაიწყო 1898 წლის 18 ივლისიდან.

ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ხაზის სამშენებლო ღირებულებამ შეადგინა 1 513 271 მანეთი. მის მოძრავ შემადგენლობას თავდაპირველად შეადგენდა სურამის გვირაბის მშენებლობის დამთავრების შემდეგ დარჩენილი 4 ორთქლმავალი და 385 ვაგონი.[25] ჭიათურის რკინიგზა უმთავრესად ტვირთზიდვას ემსახურებოდა, თუმცა 1895 წლიდან ამ გზაზე სატვირთო მოძრავ შემადგენლობას თან ახლდა რამდენიმე ე. წ. „სახალხო ვაგონიც“.

ჭიათურის რკინიგზა თავდაპირველად არ იყო ტექნიკურად საკმაოდ სრულყოფილი და მოძრავი შემადგენლობით სრულად უზრუნ-

---

[21] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5192, л. 256.

[22] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 21, д. 920, л. 217.

[23] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5192, л. 263

[24] იხ. ვლ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 164; სსსა, ფონ. 279. ანაწ.. 1, საქ. 6000, ფურც. 51.

[25] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2. 2, д. 5192, л. 258—259, 256, 260.

ველყოფილი. მისი ექსპლოატაციის პირველ წლებში ხშირი იყო მოძრავი ნაწილების მწყობრიდან გამოსვლის და შეჩერების, ასევე ავარიის შემთხვევები.[26]

რკინიგზა ვერ აკმაყოფილებდა მადნის გადაზიდვის მზარდ მოთხოვნილებას. საგრძნობი იყო აგრეთვე ბაქნების (მადნის საწყობების) უკმარობა რკინიგზის შტოს სადგურებზე. ამიტომ გზაზე მოძრაობის დაწყებისთანავე შეიქმნა ვაგონებისა და ბაქნების გამანაწილებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ რკინიგზის ადმინისტრაციის, სამთო ზედამხედველობისა და მრეწველთა წარმომადგენლები. რკინიგზის შტოს ადმინისტრაციამ და, კერძოდ, მისმა ხელმძღვანელმა სიმბერგმა თავიდანვე მოხერხებულად გამოიყენა გზაზე მოძრავი შემადგენლობისა და ბაქნების უკმარობა, დაიწყო მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და გამომძალველობა.[27] მდგომარეობამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ სიმბერგის დანაშაულებრივი მოქმედების გამოსარკვევად კონტროლიორ სკომაროვსკის მიერ ადგილზე ჩატარებული გამოძიების შედეგების ამსახველი მოხსენება განხილულ იქნა მინისტრთა კომიტეტში, სადაც სახელმწიფო კონტროლიორმა ჭიათურის რკინიგზის ადმინისტრაცია დაადანაშაულა „ბოროტმოქმედებაში", „გამომძალველობაში". ამის საპასუხოდ გზათა მინისტრმა მხოლოდ იმის თქმა შეძლო, რომ „მსგავსი განცხადებები საეჭვოა საფუძველს იძლეოდეს იმისათვის, რომ სახელმწიფო სამსახურში ჩაბმულ სახელგაუტეხელ პირს წავუყენოთ ისეთი მძიმე და საძარცხვინო ბრალდება, როგორიცაა გამოძძალველობა".[28]

ვაგონებისა და ბაქნებისათვის ბრძოლა წვრილ და მსხვილ მრეწველებს შორის, თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა. დაბოლოს, ეს საკითხი განიხილა ჭიათურის მრეწველთა მესამე ყრილობამ (1900 წ.). აქ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სხვადასხვა კატეგორიის მრეწველები და მადნის შემსყიდველ-ექსპორტიორები.[29]

ბაქნებისა და ვაგონების განაწილების პროექტი, რაც მრეწველთა მესამე ყრილობამ მიიღო, მთავრობის ორგანოებში საფუძვლიანად შესწორდა მსხვილ მრეწველთა და ექსპორტიორთა ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო შემდეგ სახელმძღვანელოდ გადაეცა სპეციალურ „გამნაწილებელ კომიტეტს". ამ კომიტეტში, მთავრობის შესაბამისი ორგანოების მოხელეებთან ერთად, იშვიათი შემთხვევების გარდა, მხოლოდ მსხვილი მეწარმეები და ექსპორტიორები იყვნენ მოკალათე-

---

[26] «Новое обозрение», 1895 20/X, № 4057.

[27] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5192, л. л. 286—287.

[28] იქვე, ფურც. 289.

[29] იხ. Отчет о деятельности Совета съезда избр. на III съезде... გვ. 66.

ბული. ამიტომ მსხვილ მრეწველთა და ექსპორტიორთა შემზღუდველი და წვრილ მრეწველთათვის შედარებით მისაღები წესი ბაქნებისა და ვაგონების განაწილებისა, მარგანეცის მრეწველობისა და მადნის ექსპორტის ზრდის ვითარებაში, განუწყვეტლივ ირღვეოდა და განაწილების გარშემო ბრძოლა და სპეკულაციები ინტენსიურად მიმდინარეობდა. ბაქნებისა და ვაგონების ნაკლებობა სულ მუდამ იგრძნობოდა. ჭიათურის შტო ვერ აუდიოდა გადაზიდვის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ვფიქრობთ, ამითაც აიხსნება ის, ერთი შეხედვით, დაუჯერებელი ფაქტი, რომ ჭიათურიდან რკინიგზის მთავარ მაგისტრალამდე მადნის გაზიდვაში რკინიგზის შტოს ერთგვარ კონკურენციას უწევდა, ყოველ შემთხვევაში ეზიარებოდა, საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტი. ასე მაგალითად, 1890—1914 წლებში სამრეწველო რაიონებიდან ამიერკავკასიის მაგისტრალური რკინიგზის სადგურებამდე, გაზიდულ იქნა მადანი (ფუთობით):

ცხრილი [30]

წელი	რკინიგზის ჭიათურის შტოთი	საურმე გზით
1890	—	8 010 000
1891	—	5 616 000
1892	—	9 086 000
1893	—	8 833 000
1894	—	8 618 000
1895	9 270 000	1 582 000
1896	9 297 000	2 641 000
1897	10 664 000	1 471 000
1898	15 543 000	1 752 000
1899	24 926 000	1 336 000
1900	30 526 473	1 500 527
1901	21 448 355	176 645
1902	30 124 170	272 917
1903	30 739 980	118 380
1904	33 765 000	134 000
1905	21 652 750	154 000
1906	32 669 250	852 000
1907	34 316 250	1 356 000
1908	22 230 000	1 751 000
1909	37 221 000	1 051 972
1910	39 606 750	99 900
1911	39 291 150	162 346
1912	59 368 450	67 953
1913	69 076 367	118 570
1914	43 622 250	—
სულ	617 352 195	56 761 485

[30] მოცემული ცხრილის შედგენისას გამოვიყენეთ:: Статистика марганцевого

ცხრილი გვიჩვენებს, რომ მოცემულ მანძილზე მადნის გადაზიდვაში საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტი ინტენსიურად მონაწილეობდა. ეს მონაწილეობა შედარებით უმნიშვნელო იყო 1901--1903 წლების კრიზისისა და 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში და, პირიქით, უფრო საგრძნობი კი მრეწველობის აღმავლობისა და ჭიათურის აუზიდან მადნის გადაზიდვის მასშტაბის გადიდების პერიოდში, ანუ გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში, ასევე 1906—1909 წლებში. 1910—1913 წლებში, როცა რკინიგზის ჭიათურის შტო მოძრავი შემადგენლობით შეივსო და ტარიფიც კვლავ შემცირდა, რკინიგზა უკეთესად პასუხობდა მადნის გადაზიდვის მზარდ მოთხოვნილებას, რის შედეგადაც საურმე გზით მისი გადაზიდვა ძლიერ შემცირდა, ხოლო 1913 წლის დამლევიდან სრულიად შეწყდა.

1895—1913 წლებში სამრეწველო რაიონიდან გაგზავნილი მადნის საერთო ოდენობის 2,6% საურმე გზით გავიდა, ხოლო 97,4%. რკინიგზამ გაზიდა.

განსახილველ ხანაში სამრეწველო რაიონიდან საურმე გზით მადნის გადაზიდვის გაგრძელება რკინიგზის ჭიათურის შტოს ერთგვარი მოუწყობლობითაც აიხსნება. უკანასკნელის მნიშვნელობას რამდენადმე ზღუდავდა მოძრავი შემადგენლობის (ორთქლმავლებისა და ვაგონების) სიმცირე-ნაკლებობა. თავდაპირველად რკინიგზას მადნის გასაზიდად ყოველდღიურად მხოლოდ 50 ვაგონი გამოჰყავდა. 1900 წელს რკინიგზაზე მოძრაობდა 8 ორთქლმავალი და 150 ვაგონი. მაგრამ, მრეწველობის აღმავლობის პირობებში ჭიათურის რკინიგზა მაინც ვერ აკმაყოფილებდა გადაზიდვის მზარდ მოთხოვნილებას. ამასთანავე რკინიგზის ბაქნებზე მადანი ღია საწყობებში ინახებოდა და ღია ვაგონებით იგზავნებოდა; მადანი სველდებოდა, რის გამოც ადგილზე თუ უცხოეთში აწონვისას გამყიდველს შემსყიდველი მადნის ფაქტიური წონის 8%-ს „სკიდის" სახით უქვითავდა. ამიტომ მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია (ყრილობა) და „სპეციალური კომიტეტი" კვლავ მოითხოვდნენ რკინიგზის ბაქნებზე მადნის საწყობების გაფართოებასა და გადახურვას, მოძრავი შემადგენლობის შევსებას. 1902 წლის დამდეგს ხაზზე მოძრაობდა 18 ორთქლმავალი და 330 ვაგონი. ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. რკინიგზის შტოს მოძრავი შემად-

---

дела, К., 1907, გვ. 45.; Статистика марганцевого дела за 1910 год. К. 1911. Табл. 23; Статистика марганцевого дела за 1913 год., К., 1914; Табл. 24, Статистика марганцевого дела за 1914—1917 годы; К. 1918, Табл. 23. 1890—1894 წლების მონაცემები მოგვაქვს რკინიგზის გაყვანამდე საურმე გზით მადნის გადაზიდვის მასშტაბის საჩვენებლად და მომდევნო პერიოდთან შესადარებლად.

გენლობა შეივსო და 1914 წლისათვის სატვირთო ვაგონთა რიცხვმა 500-ს მიაღწია[13]. ირკვევა, რომ საურმე გზით მადნის გადაზიდვის 1913 წლამდე გაგრძელება რკინიგზის შტოს გამტარუნარიანობის უკმარობასთან ერთად, აიხსნებოდა აგრეთვე იმით, რომ ყველა მრეწველს არ გააჩნდა მადნის საწყობები (ბაქნები), თანაც ისინი ხშირად ვერ იტევდნენ გასაგზავნად მიზიდულ მადანს. რკინიგზაზე დიდი რიგი იმართებოდა და მადნის გადაზიდვა ყოვნდებოდა.

ჭიათურის რკინიგზას მადნის გადაზიდვაში საჭაპანო და საწაპალნე ტრანსპორტი ეზიარებოდა მეტისმეტად მაღალი სარკინიგზო ტარიფის წყალობითაც. ამ გარემოებას ხაზს უსვამდნენ მთავრობის მოხელენიც[32]

ამრიგად, დავინახეთ, რომ ჭიათურის რკინიგზის მნიშვნელობას ძლიერ ზღუდავდა გზის ჯეროვნად მოუწყობლობა, მოძრავი შემადგენლობის ნაკლებობა, რკინიგზის ადმინისტრაციის ბოროტმოქმედება და, რაც მთავარია, მთავრობის კოლონიური სატარიფო პოლიტიკა.

§ 2. ცარიზმის კოლონიური და პროტექციონისტული სატარიფო პოლიტიკა (1894—1914 წწ.)

ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის შემდეგ რუსეთის მთავრობა ძლიერ დაინტერესდა მარგანეცის მრეწველობით. სახელმწიფო საბჭომ 1893 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ჭიათურა-შორაპნის რკინიგზაზე მოძრაობის დაწყების დღიდან ნახევარკაპიკიანი გამოსაღებით დაბეგრა მოცემულ მანძილზე რკინიგზით გასაზიდი ვაგონში ჩატვირთული ყოველი ფუთი მადანი[1]. საფუთო გამოსაღების სახით შემოსული თანხის ნაწილი გათვალისწინებული იყო სამრეწველო რაიონში სამთო ზედამხედველობის, პოლიციისა და საგზაო ნაწილის შესანახად. დაწესდა 1 მარკშეიდერისა და 6 შტეიგერის თანამდებობა. საპოლიციო საქმისათვის სამრეწველო რაიონში შეიქმნა განსაკუთრებული საბოქაულო, დაწესდა ბოქაულისა და 10 „სტრაჟნიკის“ თანამდებობა. მოცემულ პერიოდში ამ ღონისძიებით ამოიწურა მთავრობის ზრუნვა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის „კეთილმოსაწყობად“[2].

---

[31] ს. წერეთელი, დასახ. ნარკვევი (იხ. გაზ. „საქართველო“, 1920, 29 იანვარი, № 20).

[32] ЦГИАЛ, ф. 37., оп. 66, д. 2305, 1895 г., л. 33; ЦГИАЛ, ф. 37., оп. 65, д. 2766, 1898 — 1899 гг., л. 57.

[1] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, 1892—1913 гг., л. 28.

[2] იქვე; იხ. აგრეთვე ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, 1900—1903 гг., л. 45; Отчет о представительской деятельности Совета съезда марганцепромышленников за 1908 и 1909 годы, К., 1910, გვ. 25—29.

სამედიცინო და საგზაო საქმის მოგვარება გადადებულ იქნა, რადგან საფუთო გამოსაღების აღება ყოვნდებოდა და ეს თანხა საკმარისი არ იყო ნავარაუდევი ღონისძიების დასაფინანსებლად. საფუთო გამოსაღების აკრება ჯეროვნად მხოლოდ 1895 წლის თებერვლიდან მოწესრიგდა და აქედან წლიურად შემოდიოდა 34—35 ათასი მანეთი, რაც სამთო ზედამხედველობისა და ადგილობრივი პოლიციის ხარჯების დასაფარავადაც მიდიოდა. 1896 წელს მთავრობამ გადაწყვიტა ჭიათურაში ექვსსაწოლიანი საავადმყოფოს და აფთიაქის მოწყობა, რასაც უნდა მომსახურებოდა ერთი ექიმი და ორი ფერშალი.

სამთო ზედამხედველობა მრეწველობისადმი უზრუნველობას იჩენდა. ამასთან დაკავშირებით „კვალი" 1897 წელს სწორად შენიშნავდა: „მეტად ცუდი წარმოებაა მადნებში. თუმცა არიან მთავრობიდან დაყენებული შტეიგერები, მაგრამ ესენი თავის წესს ვერ იცავენ და ყურადღებაც ნაკლებად არის ამათგან მიქცეული მადნის მუშაობაზე"[3]. ამაზევე მიუთითა 1903 წელს ფინანსთა სამინისტროში მოწვეულმა საუწყებათაშორისო თათბირმა, რომელმაც დაასკვნა, რომ „მარგანეცის საბადოთა ექსპლოატაციის მძარცველურად წარმოება, რაც მთელი აუცილებლობითაა დაკავშირებული უბედურ შემთხვევებთან, მეტწილად გაპირობებულია სამთო ზედამხედველობის არარსებობით. წარმოების მოწესრიგება შეიძლება სამთო უწყების მიერ შესაფერისი ღონისძიების გატარებით"[4].

სამთო ზედამხედველობის მოუწესრიგებლობა, ისევე როგორც სამედიცინო მომსახურებისა და საგზაო საქმის მოუწყობლობა, თან დაყვა ჭიათურის მრეწველობას მთელ რევოლუციამდელ ხანაში.

მეფის მთავრობას ჭიათურის მრეწველობა მხოლოდ ვიწროდ გაკებული ფისკალური თვალსაზრისით აინტერესებდა. მთავრობამ მხოლოდ ამგვარი პოლიტიკის მიზნებითა და მეტროპოლიის მარგანეცის მრეწველობისათვის მფარველობის გაწევის ინტერესებით იხელმძღვანელა ჭიათურის რკინიგზაზე ტარიფის დაწესებისას. მან ჯერ კიდევ შტოს მშენებლობის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე დააპროექტა უმაგალითო სიდიდის სარკინიგზო ტარიფი, რომლის მიხედვით ჭიათურიდან შორაპანამდე (38 ვერსზე) ფუთი მადნის გადაზიდვის ფასად დაწესდა 10 კაპიკი. ეს, მომავალი ტარიფი მეტისმეტად მაღალი ეჩვენებოდათ თვითონ მთავრობის ზოგიერთ ადგილობრივ მოხელეებსაც. თაკის 1891 წლის ანგარიშში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, — ასეთი „მაღალი ტარიფის შესახებ", — წერდა: „... საბადოებამდე რკი-

---

[3] „კვალი", 1897, № 37, გვ. 671.

[4] ЦГИАЛ. ф. 37, оп. 55, д. 609, 1903 г., л. 7.

ნიგზის გაყვანის შემდეგ ადგილობრივი მადანი მაღალხარისხოვნებითა და ფასით გაუძლებს უცხოური მადნის ძლიერ კონკურენციას. მიუხედავად ამისა, ჭიათურიდან შორაპნამდე მადნის გადაზიდვისათვის დაწესებული ტარიფი... 10 კაპიკი ფუთზე, არ შეიძლება არ ჩაითვალოს ნეტისშეტად მაღალ ტარიფად"[5].

მთავრობამ არ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოება და ჭიათურა-შორაპნის რკინიგზაზე დაპროექტებული. შეუსაბამოდ მაღალი ტარიფი დაამტკიცა[6]. ამ გზაზე სხვა ტვირთის გადაზიდვის ფასი ასეთი იყო: რკინიგზით ჭიათურაში შემოსაზიდ ყოველ ფუთ პურზე, ფურაჟზე, სამშენებლო ხე-ტყეზე, რკინაზე და თუჯზე დაწესდა 2-კაპიკიანი ტარიფი, ნავთსე 4-კაპიკიანი, ხოლო თუ ასეთი ტვირთი ჭიათურიდან უკან იგზავნებოდა ტარიფი ფუთზე 10 კაპიკს შეადგენდა[7].

ჭიათურის რკინიგზის შტოს დაძთავრებასთან დაკავშირებით 1894 წელს აქ ჩამოვიდა მიწათმოქმედების მინისტრი ა. ერმოლოვი, რომელსაც მოახსენეს, რომ რკინიგზის შტოს მწყობრში ჩადგომის მიუხედავად, შტოზე დაწესებული მაღალი ტარიფის წყალობით სამრეწველო რაიონიდან შორაპნამდე მადნის საურმე გზით გადაზიდვა კვლავ გრძელდება, ამ მდგომარეობის აღსაკვეთად ა. ერმოლოვმა წამოაყენა მოსაზრება, რომლის თანახმად ხაზინას ჭიათურის რკინიგზის შტოზე და შორაპნიდან ადგილობრივ ნავსადგურებამდე მაგისტრალურ რკინიგზაზე მადნის გადაზიდვისათვის დაწესებული ტარიფის გამთლიანება-გაერთიანება უნდა მოეხდინა[8].

ჭიათურის შტოზე დაწესებული ტარიფი განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვა სამრეწველო რაიონის მშრომელებს. ამიტომ მის შემცირებას მოითხოვდნენ არა მარტო მრეწველები და ექსპორტიორები, არამედ მშრომელი ხალხის მხარდამჭერი იმდროინდელი პროგრესული საზოგადოებრიობა. ჟურნ. „მოამბე" წერდა: „ეს ტარიფი საშინელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნორმალური ტარიფის კვალობაზე გამოანგარიშებით ჭიათურიდან შორაპნამდე უნდა გამოერთმიათ ფუთზე მხოლოდ 1/2 კაპიკი", სინამდვილეში კი რკინიგზა იღებს 20-ჯერ მეტ ფასს, ვიდრე ნორმალური ტარიფი თხოულობს[9]. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე" აღნიშნავდა: „შეუდარებლად მაღალი, თითქმის ამკრძალავი ტარიფი, რაც ამიერკავკასიის რკინიგზის ჭიათურის შტოზე დაწესდა, აუტანელ ტვირთად აწვება მარგანეცის მრეწველობას, რომელიც უდიდეს როლს

---

[5] სსსა, ფონ. 12, ანაწ. 1, საქ. 1005, ფურც. 9—10, 11.

[6] ЦГИАЛ.ф. 37, оп. 65, д. 2766, л 14.

[7] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 55, д. 609, л. 28 об.

[8] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 66, д. 2305, 1895, л. 33.

[9] „მოამბე". 1900, № 8, გვ. 82.

ასრულებს ქუთაისია გუბერნიის ეკონომიურ ცხოვრებაში... მარგანეცის მრეწველობის განვითარება და მისი სარგებლიანობა განსაკუთრებით არის დამოკიდებული ჭიათურის რკინიგზაზე ამჟამად დაწესებული ტარიფის დაკლებაზე"[10]. ჭიათურის შტოზე დაწესებული ტარიფის წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავედ და ხშირად გამოდიოდა „ქვალი", რომელიც სწორად მიუთითებდა, რომ „ასეთი დიდი ტარიფი ასე პატარა მანძილზე... პირველი მაგალითია მთელ იმპერიაში და... მთელ ქვეყანაზეც"[11]. ამ ფაქტს აღიარებდნენ მთავრობის მოხელენიც. ჭიათურის შტოზე დაწესებულ ტარიფს ფინანსთა სამინისტროში არაერთი მოხელე აფასებდა როგორც „სამართლიანი გადასახადის სახეს"[12]. მიწათმოქმედების მინისტრი ა. ერმოლოვი 1898 წელს კვლავ მიუთითებდა დასახელებული ტარიფის უმაგალითო სიდიდეზე და ამტკიცებდა: „დაწესებული ტარიფი არ არის ძარტო ტარიფი, არამედ ის მეტწილად წარმოადგენს გადასახადს, რომელსაც იღებს რკინიგზა"[13]. ამიერკავკასიის რკინიგზის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ლ. ზვერევი 1901 წელს ასევე წერდა: „ტარიფი, რომელიც ჭიათურის რკინიგზით მადნის გადაზიდვაზეა დაწესებული, მაღალია. ეს ტარიფი განხილული უნდა იქნეს როგორც გადაზიდვის ფასი და სპეციალური გადასახადი, თუმცა გასაზიდი მადანი, ამას გარდა დაბეგრილია პირდაპირი ბაჟით — ფუთი 1 კაპიკით"[14]. ჭიათურელი მარგანეცის მრეწველები დასახელებულ შტოზე მადნის გადაზიდვის დაწესებულ ფასს სამართლიანად აფასებდნენ, როგორც „აატარიფო რეპრესიას"[15]. მართლაც, ჭიათურის შტოზე სარკინიგზო ტარიფის არნახულ სიდიდეზე წარმოდგენას იძლევა ასეთი შედარება: შტოზე ფუთი — ვერსი 1/4 კაპ. ფასობდა, მაშინ როცა რუსეთის რკინიგზაზე. საერთოდ, ერთ ვერსზე ფუთი რკინის მადნის გადაზიდვა ჯდებოდა 1/64 კაპიკი, ანუ 16-ჯერ ნაკლები[16]. ბაქოდან ფუთი მაზუთის გადაზიდვა 842 ვერსზე ღირდა 5,80 კაპ, ხოლო ჭიათურიდან 38 ვერსზე—10 კაპიკი[17]. ეს მაშინ, როცა ყვირილიდან (ზესტაფონიდან) ფოთამდე 126

---

[10] «Новое обозрение», 1903, 15 апреля. № 6365; «Новое обозрение», 1902. 25 августа, № 6146.

[11] „ქვალი", 1900, № 40, გვ. 631.

[12] ЦГИАЛ, ф. 35, оп. 14, д. 117, 1897 г., л. 18.

[13] ЦГИАЛ, ф. 376, оп. 65, д. 27, л. 5.

[14] Л. Зверев, Краткие очерки по истории сооружения и условий эксплоатации Закавказских ж. д., Тифлис, 1901, гг. 69—70.

[15] ЦГИАЛ, ф. оп. 65, д. 2766, л. 14, об.

[16] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, л. 5.

[17] ЦГИАЛ. ф. 37, оп. 72, д. 138, л. 45.

ვერსზე ფუთი მადნის გადაზიდვა ღირდა 2,27 კაპიკი. ამგვარად. სადგურ ჭიათურიდან ნავსადგურ ფოთამდე 164 ვერსზე რკინიგზით ფუთი მადნის გადაზიდვა ღირდა (10+2,27 კაპ.) 12,27 კაპიკი. ეს მაშინ, როცა საერთაშორისო ბაზრებზე ჭიათურის მარგანეცის საშიში კონკურენტის, ბრაზილიური მადნის საბადოებიდან რიოდე-ჟანეირომდე (500—465 კილომეტრზე) ვიწროლიანდაგიანი (12—13 კმ) და სრულლიანდაგიანი (488—452 კმ) რკინიგზით ერთი ფუთი მარგანეცის მადნის გადაზიდვა 1895—1896 წლებში ღირდა 10,5 კაპიკიდან 11 კაპიკამდე, ხოლო ტარიფის შემცირების შემდეგ (1897 წლიდან) მხოლოდ 4,6 კაპიკი[18]. სხვანაირად, ტარიფის შემცირებამდე ჭიათურის მარგანეცის რკინიგზით გადაზიდვის ფასი $2^1/_2$-ჯერ აღემატებოდა ბრაზილიურს, ხოლო თუ ორივე შემთხვევაში რკინიგზების შესაბამის მანძილს გავითვალისწინებთ, გამოვა, რომ თანაბარ მანძილზე მადნის გადაზიდვის ფასი ჩვენს რკინიგზაზე $7^1/_2$-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ბრაზილიაში[19]. რკინიგზის საქმეებში კარგად ორიენტირებული პირის არღუტინსკი-დოლგორუკოვის გაანგარიშებით შტოზე ფუთი მადნის გადაზიდვაზე უნდა დაწესებულიყო არაუმეტეს 0,75 კაპიკისა[20]. მაგრამ, ხაზინა საქმეს ასე არ მიუდგა და თავისი ფისკალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად უპრეცედენტო, მაღალი ტარიფი დააწესა. მთავრობა აცხადებდა, რომ მას სურს აინაზღაუროს რკინიგზის მშენებლობაზე გაწეული ხარჯები, რომ თითქოს, ჭიათურის მარგანეცს საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტი არა ჰყავს და ამიტომ ის აიტანს დაწესებულ ტარიფს. სინამდვილეში ხაზინამ, როგორც დავინახავთ, ჭიათურის რკინიგზის ექსპლოატაციის პირველ წლებშივე ჭარბად აინაზღაურა დანახარჯი და ეს გზა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ გაიხადა. ჭიათურის შტოზე ტარიფის სიდიდეს, მისი ექსპლოატაციიდან ხაზინის შემოსავლის ოდენობას, ასევე ამ შემოსავლის შემადგენელ მუხლებს მკაფიოდ წარმოგვიდგენს 1895—1900 წლების შემდეგი უწყისი.

---

[18] Г. Деканозов, Очерк марганцевой промышленности Бразилии... გვ. 15; Отчет о деятельности совета съезда изб. на III съезде марганцепромышленников, გვ. 114; აგრეთვე ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 87. л. 5

[19] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 5—6.

[20] Аргутинский-Долгоруков, История сооружения и эксплуатации Закавказской железной дороги... გვ. 594.

ცხრილი 21

წელი	მადნის გადაზიდვის ფასი (მანეთებში)	აწონვა	სადგურის ხარჯები	ს უ ლ
1895	927 000	9 270	37 080	973 350
1896	929 700	9 297	37 188	976 185
1897	1 066 400	10 664	42 656	1 119 720
18 8	1 551 300	15 543	62 172	1 632 015
1899	1 744 820	24 926	99 704	1 869 450
1900	2 136 820	30 526	122 104	2 289 450
ს უ ლ	8 359 040	100 226	400 904	8 860 170

როგორც ვხედავთ, ჭიათურის რკინიგზა დიდ შემოსავალს აძლევდა ხაზინას. შემოსავლის მთავარ მუხლს მადნის გადაზიდვის ფასი შეადგენდა. ძვირი ჯდებოდა ტვირთის აწონვა, ასევე სადგურის ხარჯები. მდგომარეობას ართულებდა და მადნის თვითღირებულებას თავის მხრივ ზრდიდა გასაზიდი მადნის რამდენჯერმე აწონვა, ასევე დატვირთვა-გადმოტვირთვა: ჭიათურაში, შორაპანსა და ნავსადგურში (ფოთი, ბათუმი) აწონვა და დატვირთვა-გადმოტვირთვა, რის შედეგადაც, გ. ზდანოვიჩის ცნობით, ვიწროლიანდაგიან გზაზე 10-კაპიკიანი ტარიფის დროს, ჭიათურიდან ფოთის ნავსადგურამდე ფუთი მადნის გადაზიდვის მთელი ხარჯების ჯამი 14 კაპიკს აღწევდა[22]. ტარიფისა და ზედნადები ხარჯების სიდიდე მით უფრო აუტანელი იყო ჭიათურის მრეწველობისათვის, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სხვა ქვეყნებში მარგანეცის მრეწველობის ჩასახვა-განვითარების შედეგად. მან მადნის საერთაშორისო ბაზრებზე მონოპოლიური ფასის დაწესების შესაძლებლობა დაკარგა.

ტარიფის შესამცირებლად ბრძოლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და 1914 წლამდე გაგრძელდა.

---

[21] Отчет о деятельности Совета съезда.. избран. на III съезде марганц. промышленников, გვ. 125.

[22] «Новое обозрение», 1895, № 4047, 4060, 4061, 4063, 4096. ჭიათურაში მარგანეცს რკინიგზა იღებდა არა პირდაპირ ფოთში გასაგზავნად, არამედ მხოლოდ შორაპნამდე. ამ სადგურზე გამგზავნს უნდა მიეღო თავისი ტვირთი, გადმოეტვირთა ის რკინიგზის პლატფორმაზე — საკუთარ ხარჯზე, მასვე ევალებოდა ტვირთის დაცვა და დატვირთვა მაგისტრალური ხაზის ვაგონებში, შემდეგ მადანი იგზავნებოდა ფოთში, გადაიტვირთებოდა საწყობებში (ვიდრე გემი მოვიდოდა), ხელახლა უნდა ჩატვირთულიყო ვაგონში, გაგზავნილიყო ნავსადგურში და გადაზიდული გემში (Аргутинский-Долгоруков, История сооружения и эксплоатации Закавказской железной дороги, 1896, გვ. 593).

ამ ბრძოლაში თავიდანვე ენერგიულად ჩაებნენ მრეწველები და ექსპორტიორები, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაცია, რომლის მიერ საამისოდ შედგენილმა და მთავრობის ორგანოებში წარდგენილმა უთვალავმა მოხსენება-შუამდგომლობამ მრავალი ტომი შეადგინა. ამ შუამდგომლობათა მხარდაჭერის მიზნით ქართულ, აგრეთვე რუსულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა მრავალი წერილი და ნარკვევი. ეს ბრძოლა, როგორც დავინახავთ, ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა და ტარიფის თანდათანი დაკლებით მთავრდებოდა. ტარიფის შემცირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ის ერთგვარ სტიმულს აძლევდა მარგანეცის მრეწველობის განვითარებას, მადნის ექსპორტის გადიდებას, ხელს უწყობდა ჭიათურის მარგანეცის საკონკურენციო ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებას მადნის მსოფლიო ბაზრებზე. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან წამოიჭრა მადნის თვითღირებულების და კერძოდ მისი მთავარი მუხლის — სარკინიგზო ტარიფის — შემცირების მკაცრი აუცილებლობა. მსოფლიო მეტალურგიის მხრივ მარგანეცის მადანზე მოთხოვნილების გადიდების შედეგად, მოცემული ხანიდან თითქმის ყველა ქვეყანაში დაიწყო საიეგო სამუშაოები მარგანეცის მადნის საბადოთა აღმოსაჩენად, ბევრ ქვეყანაში ეს დამთავრდა მარგანეცის მრეწველობის ჩასახვა-განვითარებით[23]. ჭიათურის მარგანეცს საერთაშორისო ბაზრებზე საშიში კონკურენტები გაუჩნდა. საქმეს ვერ შველიდა აქაური მადნის შეუდარებელი მაღალხარისხოვნება და მოპოვების შედარებითი სიადვილე[24]. აქაური მადნის თვითღირებულებას განსაკუთრებით ამაღლებდა სარკინიგზო ტარიფის სიდიდე. ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია და მოწინავე ქართველი მოღვაწენი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მთავრობა მრეწველობის მოცემული დარგის მძიმე მდგომარეობაში, „რაც ვიწრო ფისკალური თვალსაზრისითაც არაა მისასალმებელი“. მათი მტკიცებით ვითარების შემსუბუქება შეეძლო სარკინიგზო ტარიფის შემცირებას. მრეწველთა ყრილობა მოაგონებდა მთავრობას, რომ „მკურნალობა აუცილებელია ავადმყოფობის დასაწყისში და არა მის ბოლოს“, რომ „იოლია საერთაშორისო ბაზრების დაკარგვა და ძნელია მათი ხელახლა მოპოვება[25].

ჭიათურის შტოზე ტარიფის შემცირებას მხარს უჭერდა ქუთაისის გუბერნიისა და კავკასიის ადმინისტრაცია. გუბერნატორი 1891 — 1899 წლებში თხოვდა ხელმწიფეს ჭიათურის შტოზე დაპროექტებული და დაწესებული შეუსაბამოდ მაღალი ტარიფის შემცირებას. ურომ-

---

[23] „ქვალი“, 1897, № 41, გვ. 734.

[24] «Новое обозрение», 1897, 21 мая, № 4599.

[25] ЦГИАЛ, ф. 350, оп. 14, д. 117, л. 14—15.

ლისოდაც შეუძლებელი იყო წარმოების ნორმალური განვითარება და „კავკასიური მარგანეცის საკონკურენციო უნარიანობის განმტკიცება მადნის საერთაშორისო ბაზარზე"[26]. გუბერნატორი თავის 1893 წლის „უქვეშევრდომელს" მოხსენებაში მხარს უჭერდა მოთხოვნას ტარიფის შემცირებაზე და ამის აუცილებლობას ის ასაბუთებდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის საერთო საიმპერიო მნიშვნელობით. მოხსენების წაკითხვისას იმპერატორმა წითელი ხაზი ჩამოუსვა იმ გვერდის არშიაზე, სადაც ტარიფის შემცირებაზე იყო მსჯელობა და იქვე მიაწერა: „Да!". ეს იმას ნიშნავდა, რომ საკითხი განიხილებოდა. 1895 წლის მანძილზე მის განხილვაში მონაწილეობდნენ საიმპერიო ხელისუფლების ორგანოები (მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა, ასევე ფინანსთა და გზათა სამინისტროები) და საქმე იმით დასრულდა, რომ მინისტრთა კომიტეტმა არ დააკმაყოფილა ე. წ. «...Домогательства о понижении тарифа на перевозку марганцевой руды по Чиатурской ветви»[27]. მარგანეცის მრეწველთა ყრილობას მომდევნო, სამი წლის მანძილზე კვლავ მხარს უჭერდა ქუთაისის გუბერნატორი და ბოლოს სამხრეთ რუსეთის (ნიკოპოლის) მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლების საწინააღმდეგო მოქმედების მიუხედავად*. შედეგი გამოიღო: 1898 წლის 21 აგვისტოს სატარიფო კომიტეტის სხდომაზე ჭიათურის რკინიგზაზე ტარიფის მეტ-ნაკლებად შემცირებას თითქმის ყველა დათანხმდა, მაგრამ ხმები გაიყო. სამი წევრი ხმას აძლევდა ტარიფის 5 კაპიკით შემცირებას, სამიც — 4 კაპიკით შემცირებას. სამხრეთ რუსეთის, კერძოდ, ნიკოპოლის მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლები კი ცდილობდნენ, რომ ტარიფი არ შემცირებულიყო, ყოველ შემთხვევაში, 1½ კაპიკ-

---

[26] სსსა. ფონ. 12. ანაწ. 1, საქ. 1005, ფურც. 9—10 ЦГИАЛ. Ф. 1263. о/оп., д. 5189. л. 201; ЦГИАЛ. ф. 1263. оп. 89. алф. д. 5412. л. 421.

[27] ЦГИАЛ. ф. 1263. о/оп., д. 5189. л. 201.

* ნიკოპოლში მარგანეცის მადნის საბადო აღმოჩენილ იქნა 1883 წელს, მისი სამრეწველო ექსპლოატაცია კი 1886 წელს დაიწყო. 1891 წელს უფრო მდიდარი საბადო აღმოჩნდა მდ. ტიმაკოვსკის სანაპიროზე, სადაც სამრეწველო საქმიანობას შეუდგა „სამხრეთ რუსეთის დნეპრის მეტალურგიული საზოგადოება". 1904 წელს სამრეწველო რაიონში გაყვანილ იქნა რკინიგზის მაგისტრალი, რომლითაც კრივოიროგის ლაზი დაუკავშირდა დონბასს. ნიკოპოლში მოქმედებდა 1 მსხვილი და რამდენიმე წვრილი საწარმო, რომლებიც თავის ნაწარმს მსხვილ მეწარმეებს აბარებდნენ. მადნის გამდიდრება-გაუხვება 1907 წლამდე „მშრალად" ხდებოდა, ხოლო შემდეგში „სველი გამდიდრება" (გამამდიდრებელი ფაბრიკა) დაიწყო, ისიც მხოლოო 2 საწარმოში. ნიკოპოლში მარგანეცის მრეწველობის განვითარებამ რევოლუციამდელ ხანაში 1913 წელს მიაღწია კულმინაციურ წერტილს (იხ. 50 лет Никополь-марганцевого бассейна Сборник статей, рассказов, очерков и стихотворений. Днепропетровск. 1936. გვ. 6—18).

ზე მეტად. ცარიზმმა გაითვალისწინა თავისი პროტექციონისტული ინტერესები და ის ჭიათურის მიმართ მხოლოდ ნაწილობრივ დათმობაზე წავიდა. 1898 წლის დეკემბერში მთავრობამ, როგორც იქნა, ჭიათურის შტოზე ტარიფი (ფუთზე 10 კაპიკი) შეამცირა 3 კაპიკით[28]. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 1899 წლის თებერვლიდან.

ჭიათურის შტოზე 7-კაპიკიანი ტარიფიც მაღალი აღმოჩნდა. მარგანეცის მრეწველთა შუამდგომლობებს ტარიფის მეორედ შემცირებაზე კვლავ მხარს უჭერდა ქუთაისის გუბერნატორი. უკანასკნელმა ეს საკითხი აღძრა თავის 1901 წლის „უქვეშევრდომილეს" მოხსენებაში, სადაც ასაბუთებდა, რომ „რუსეთის ბრძოლა მეტოქე ქვეყნებთან მარგანეცის მადნის საერთაშორისო ბაზრებზე უპირატესობისათვის ძხარდაჭერას და ტარიფის დაკლებას მოითხოვს". მოხსენების ამ ადგილს იმპერატორმა იქვე მიაწერა: „Что предлагается сделать?" საკითხი კვლავ მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს გადაეცა განსახილველად. მთავრობამ შეუძლებლად ჩათვალა ტარიფის შემცირება[29]. ქუთაისის გუბერნატორმა თავის 1902 წლის „უქვეშევრდომილეს" მოხსენებაში კვლავ აღძრა ჭიათურის შტოზე ტარიფის შემცირების შუამდგომლობა. ის აღნიშნავდა, რომ დაკლებული ტარიფი ორჯერ აღემატება უცხოეთში მოქმედ ტარიფს, რომ ეს ტარიფი ძლიერ ამუხრუჭებს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას, ავიწროებს მრეწველებს, ექსპორტიორებსა და მუშებს. მისი აზრით, მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა შტოზე მადნის გადაზიდვის ნორმალური ტარიფის შემოღებით. გუბერნატორმა აქვე მიუთითა, რომ ჭიათურაში შექმნილმა მძიმე ვითარებამ უკვე გამოიწვია მუშათა უკმაყოფილება და „უწესრიგობა"[30]. იმპერატორმა „უქვეშევრდომილესი" მოხსენების ეოტახილ ადგილას მიაწერა: „ფინანსთა მინისტრმა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება". საკითხი კვლავ აღიძრა და 1904 წელს უმედეგოდ დამთავრდა[31]. გუბერნიის ადმინისტრაცია ჭიათურის სამრეწველო რაიონში მუშათა აუტანელ მდგომარეობას და მუშათა მძლავრ გამოსვლებს 1902 წელს, მთავრობის სატარიფო პოლიტიკის სიმძიმესაც უკავშირებდა, მაგრამ ეს ანგარიშში არ ჩააგდო რუსეთის მთავრობამ. 1905 წელს ჭიათურაში მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ მძლავრ გაქანებას მიაღწია. ამავე დროს, ჯერ კიდევ 1901 წლიდან დაიწყო ჭიათუ-

---

[28] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 89, алф., д. 5442, л. 421; ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 6.

[29] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5519, л. 165; ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5734, л. 663.

[30] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5734, л. 47.

[31] იქვე, ფურც. 48.

რის მარგანეცის პოზიციების შესუსტება მადნის მსოფლიო ბაზრებზე. სამრეწველო რაიონში შექმნილი ვითარებით იმთავითვე დაინტერესდა მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი. მან (1907 წელს) მინისტრთა საბჭოს წინაშე იშუამდგომლა ჭიათურის შტოზე სარკინიგზო ტარიფის ზემდგომი შემცირების შესახებ. საქმე გადაეცა ფინანსთა სამინისტროს, რომელმაც მის განსახილველად 1908 წლის ოქტომბერში საუწყებათშორისო თათბირი მოიწვია[32]. მას ესწრებოდნენ სატარიფო კომიტეტის, ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლის, სამთო დეპარტამენტის. გზათა სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, ნიკოპოლისა და ჭიათურის მარგანეცის მადნის მრეწველთა წარმომადგენლები. ამ თათბირზე სამთო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ი. ურბანოვიჩმა თავის გამოსვლაში არ დამალა ცარიზმის სატარიფო პოლიტიკის კოლონიურ-პროტექციონისტული მიზანდასახულობა, როცა წინასწარ გაფრთხილებას იძლეოდა: „არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ ჭიათურის რკინიგზაზე 7-კაპიკიანი ტარიფის შემცირების შემთხვევაში ნიკოპოლის მარგანეცი საგარეო ბაზარს დაკარგავს და მხოლოდ შინაგანი ბაზრის ანაბარა დარჩება, ამავე დროს შინაგან ბაზარზე ნიკოპოლის მარგანეცს კონკურენციას უწევს ჭიათურის მარგანეცი". ი. ურბანოვიჩმა პირდაპირ მოუწოდა თათბირის მონაწილეებს, რომ ჭიათურის შტოზე ტარიფის დაკლებით „ძლიერ არ დაზარალებულიყო ნიკოპოლის მარგანეცის მრეწველობა, რომელიც სწორედ ჭიათურის გზაზე დაწესებული ტარიფის მეშვეობით ვი-

---

[32] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, 1908. л. 49: აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1906 წლიდან მადნის მოპოვებისა და ექსპორტის ზრდის გამო, მრეწველთა ყრილობამ იმავე წელს აღძრა შუამდგომლობა ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი გზის ფართოლიანდაგიან გზად გადაკეთებაზე. ეს მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული (Отчет о деятельности Совета съезда марганцепромышленников за 1907 г., К., 1909, გვ. 20). ამის შემდეგ ყრილობის საბჭომ იშუამდგომლა, რომ დასახელებულ გზას დამატებოდა მესამე რელსი, რის შედეგადაც ის ერთდროულად იქნებოდა ფართო და ვიწროლიანდაგიანი. მთავრობამ უარი თქვა ამ მოთხოვნაზეც (იხ. Труды XI съезда марганцепромышленников, К., 1909, გვ. 27). როცა ეს შუამდგომლობები და ტარიფის შემცირების მოთხოვნა ხაზინამ არ დააკმაყოფილა, შექმნილა აზრი, რომ ჭიათურის მოსაზღვრე საბადოების მოპირდაპირე (სამხრეთის) ქედიდან, სადაც მდიდარ საბადოთა დამუშავება არ მიმდინარეობდა უგზოობის გამო, გაკეთებულიყო საპაერო-საბაგირო ეზა მდინარე ძირულას ხეობის გასწვრივ სადგურ ძირულამდე. ამ გზის მშენებლობა უნდა დამჯდარიყო 2 მილიონი მანეთი. მისი წლიური გამტარუნარიანობა უნდა ყოფილიყო 10 მილიონი ფუთი, ხოლო ფუთი მადნის გადაზიდვის ღირებულება 1—2 კაპიკი (იხ. ს. ს. საჯარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, საქ. № 51/43). ეს გზა, რა თქმა უნდა, ძლერ მეტოქეობას გაუწევდა სახაზინო რკინიგზას, მაგრამ ეს იდეა არ განხორციელებულა.

თარდება"[33]. დასახელებული მოხელე შტოზე ტარიფის შემცირების წინააღმდეგ წავიდა.

ამ თათბირმა გამოააშკარავა, რომ მთავრობამ ჭიათურის შტოზე მაღალი ტარიფი დააწესა არა მარტო თავისი ფისკალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად, არამედ სამხრეთ-რუსეთის (ნიკოპოლის) მარგანეცის მრეწველობისათვის მფარველობის გაწევის მიზნითაც. თათბირზე გამოვიდა ნიკოპოლელ მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენელი გ. კოლბერგი. მან კატეგორიულად განაცხადა, რომ „ჭიათურის შტოზე ტარიფის დასაკლებად საკმაო მოტივები არ არსებობს"[34]. თათბირზე ნიკოპოლის სამრეწველო რაიონის წარმომადგენლები, ისევე როგორც სახაზინო რკინიგზის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ამტკიცებდნენ, რომ კავკასიიდან მადნის გაზიდვის შემცირება დამოკიდებულია არა ტარიფის სიდიდისაგან, არამედ უმთავრესად მარგანეცის მადანზე მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებისაგან". ისინი გამოვიდნენ ჭიათურის შტოზე ტარიფის შემცირების წინააღმდეგ და აცხადებდნენ: ჯერ ერთი, რომ კავკასიაში, მადნის თვითღირებულების შემცირება უნდა მოხდეს არა სარკინიგზო ტარიფის შემცირებით, არამედ წარმოების გაიაფებით: საბადოებიდან რკინიგზამდე მადნის გადაზიდვის ხარჯების შემცირებით (მექანიკური დასაშვებებით), ასევე მადნის მეტალური შემცველობის გადიდებით (მადნის გამდიდრება-დახარისხება და გარეცხვა)[35]. მეორე, ნიკოპოლის სამრეწველო რაიონსა და შავი ზღვის ნავსადგურებს შორის რკინიგზა არაა გაყვანილი, რის შედეგადაც ეს რაიონი უფრო მძიმე მდგომარეობაშია, ვიდრე ჭიათურა[36]. მესამე, ტარიფით არ შეიძლება გაუმჯობესდეს კავკასიის მრეწველობის მდგომარეობა, რადგან არსებობს ნიკოპოლის მარგანეცის მრეწველობა, რომელიც შეიძლება დაზარალდეს, თუ ჭიათურის შტოზე ტარიფი შემცირდება"[37]. დონეცკელი მრეწველები, რომლებიც საკუთრივ მოპოვებული კოქსვადი ქვანახშირისა და ჭიათურიდან მიზიდული მარგანეცის მადნის ბაზაზე ფერომარგანეცის წარმოების გახსნაზე ოცნებობდნენ, მოითხოვდნენ ჭიათურის შტოზე დაწესებული 7-კაპიკიანი ტარიფის შემცირებას მხოლოდ რუსეთში გასაზიდ მარგა-

---

[33] Отчет о совещании по пересмотру тарифов на перевозку марганцевой руды по Чиатурской ветви (სსრ საჯარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, საქ 51/105); ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72. д. 138, л. 46.

[34] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, 1908, л. 49, об.

[35] იქვე, ფურც. 75.

[36] იქვე, ფურც. 49.

[37] იქვე, ფურც. 48, მეორე გვერდი.

ნეცზე.[38] სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველთა ერთ-ერთი წარმომადგენელი, ფ. ენაკოვი შენიშნავდა, რომ ჭიათურის შტოზე ტარიფის შემცირება საზიანო იქნება ნიკოპოლისა და კრივოიროგისათვის. ამასთანავე მოითხოვდა, რომ ჭიათურის შტოზე ტარიფის შემცირების შემთხვევაში ასევე შემცირებულიყო ტარიფი შიდა გუბერნიებში მარგანეცის გადაზიდვაზე.[39] თათბირზე რამდენჯერმე გამოვიდა სიტყვით ჭიათურის მარგანეცის მრეწლეეთა ყრილობის წარმომადგენელი გ. ზდანოვიჩი. მან შენიშნა, რომ ჭიათურის შტოზე სარკინიგზო ტარიფის შემცირებას ყოველთვის ეწინააღმდეგებიან ნიკოპოლის სამრეწველო რაიონის წარმომადგენლები, რომლებიც მიუთითებენ «На грозящие этому району бедствия в случае понижения чиатурского тарифа»[40]. გ. ზდანოვიჩი განაგრძობდა: „კავკასიის მარგანეცი 14 წელია განსაკუთრებულ პირობებშია და დროა ის გათავისუფლდეს ასეთი მდგომარეობისაგან. ვინაიდან ამან გამოიწვია ის, რომ სხვა ქვეყნებმა, რომლებიც მარგანეცის ექსპორტს ეწევიან, დაიწყეს მისი გასწორება. დაიწყეს აყვავება ჭიათურის სარკინიგზო ტარიფის მფარველობით"[41]. მან აქვე დასძინა, რომ ჭიათურაში «Русское государственное казначейство различными налогами и сборами отчуждает в свою пользу не менее 25% производительного народного труда»[42]. გ. ზდანოვიჩმა კვლავაც გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ „ეს მსოფლიოში არსადნახული ტარიფი სასარგებლო აღმოჩნდა იმ ქვეყნებისათვისაც, რომელთაც გააჩნიათ მარგანეცის საბადოები და, რომლებიც, ჭიათურის ტარიფის გარეშე, უეჭველია, მალე როდი გამოჩნდებოდნენ სცენაზე"[43] თათბირზე გამოვიდა სამთო უწყების წარმომადგენელი ა. ივანოვი, რომლის აზრით, „ჭიათურის შტოზე ტარიფის შემცირება არ დაამბრკოლებს ნიკოპოლის მრეწველობის განვითარებას — ექსპორტის მხრივ, რადგან ის საკმაოდაა გაძლიერებული და საშინაო სამომხმარებლო ბაზრის მიმართ გაცილებით უფრო უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე კავკასია".

რკინიგზელთა სათათბირო კანტორის წარმომადგენელმა ნ. ნორპემ აღნიშნა, რომ რკინიგზის ჭიათურის შტომ უკვე თორმეტჯერ გამოისყიდა თავისი თავი, რომ ტარიფის სიდიდე და შტოს არადამაკმაყოფი-

---

[38] ЦГИАЛ. ф. 37, оп. 65, д. 2766, л. 71.

[39] ЦГИАЛ. ф. 37, оп. 72, д. 138. д. 34.

[40] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766. л. 49.

[41] იქვე.

[42] იქვე. ფურც. 46, მეორე გვერდი.

[43] იქვე, ფურც. 44, მეორე გვერდი.

ლებელი მოწყობა აბრკოლებს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარებას და ხელს უწყობს მარგანეცის მრეწველობის განვითარებას ინდოეთსა და ბრაზილიაში, რომელთაც არაფერი აბრკოლებდათ და საპატიო ადგილიც დაიმკვიდრეს საერთაშორისო ბაზრებზე.[44] მაგრამ. **თათბირის მონაწილე სამინისტროთა წარმომადგენლების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ნიკოპოლის სამრეწველო რაიონის წარმომადგენლებს და ამ რაიონისათვის მფარველობის გაწევის მიზნით ჭიათურის შტოზე ტარიფის შემცირება შეუძლებლად იქნა მიჩნეული.** მალე, 1909 წლის თებერვალში მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის ენერგიული ჩარევით, საკითხი კვლავ განიხილა რუსეთის მთავრობამ და ამავე წლის მაისიდან, როგორც იქნა, ტარიფი შემცირდა 1,5 კაპიკით,[45] ე. ი. 5,5 კაპიკამდე. ამის მიუხედავად 1909—1910 წლებში ჭიათურის მარგანეცს, მისი მაღალი თვითღირებულების წყალობით, უჭირდა საგარეო ბაზრებზე საკონკურენციო ბრძოლაში გამარჯვება. ამაზე მიუთითებდა მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც 1910 წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი გაგზავნილ სპეციალურ მოხსენებით ბარათში საფუძვლიანად ასაბუთებდა ჭიათურის მრეწველობისათვის მხარდაჭერის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. მან სცადა დაემტკიცებინა აქაური მადნის თვითღირებულების მეტისმეტი სიდიდე სხვა ქვეყნებთან შედარებით. ბარათში მოტანილი შედარებით სარწმუნო ცნობის თანახმად ჭიათურის, ინდოეთისა და ბრაზილიის მარგანეცის მადნის თვითღირებულება ადგილობრივ ნავსადგურებში (ფუთი — კაპიკობით) ასეთი თანაფარდობით ხასიათდებოდა:[46]

	საქართველო	ინდოეთი	ბრაზილია
მოპოვება	4,5	1,09	6,16
რკინიგზამდე გადაზიდვა	3	3,09	0,86
რკინიგზით გადაზიდვა	9,89		4,79
	(8,39)*	7,35	
სანავსადგურო ხარჯები	1,46	1,61	2,75
სხვადასხვა გამოსაღები	0,75	—	1,34
სულ—	19,60 (18,10)	13,14	16,10

[44] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, л. 38, 39. об.

[45] იქვე, ფურც. 74; ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 3—13.

[46] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, 1910, л. 74.

* 1909 წლის მაისიდან ტარიფის 1,5 კაპ. შემცირების შემდეგ.

როგორც ვხედავთ, მადნის თვითღირებულება შედარებით დაბალია ინდოეთში, მერმე ბრაზილიაში, საქართველოში კი ყველაზე მაღალია. რაც შეეხება საზღვაო ფრახტს, ის ინდოეთიდან გაზიდულ ყოველ ფუთ მადანზე (ჩვენებურ და ბრაზილიურთან შედარებით) მეტი ჯდებოდა 4.5 კაპიკით. საბოლოო ჯამში ინდოეთისა და ბრაზილიის მარგანეცის თვითღირებულება საერთაშორისო ბაზარზე, ჭიათურის მარგანეცთან შედარებით, დაბალი იყო და ამის წყალობით დასახელებულ ქვეყნებს უადვილდებოდათ ქართული მარგანეცისათვის კონკურენციის გაწევა. ფოთის ნავსადგურში მარგანეცის მადნის თვითღირებულების შემადგენელი მუხლების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ მოცემული თანხის მთავარ ნაწილს — 9,89 (8,39) კაპიკს ფუთზე შეადგენდა სარკინიგზო ხარჯები, რაც იქმნებოდა ვიწროლიანდაგიან რკინიგზაზე — ჭიათურიდან შორაპნამდე (38 ვერსზე) გადაზიდვის ფასიდან —7 (5,5) კაპიკიდან, და მაგისტრალურ რკინიგზაზე შორაპნიდან ფოთამდე (123 ვერსზე) გადაზიდვის ფასიდან (1,63 კაპიკი), ასევე მადნის გადატვირთვ-გადმოტვირთვისა და ზედნადები ხარჯებიდან (1,26 კაპიკი)[47], თუ შევადარებთ ერთმანეთს ჩვენში, ინდოეთსა და ბრაზილიაში რკინიგზაზე მადნის გადაზიდვის ხარჯებს 1909—1910 წლებში, ასეთ სურათს მივიღებთ[48]:

რკინიგზაზე ფუთი მადნის გადაზიდვა ჯდებოდა:

საქართველოში 161	ვერსზე	9,89 (8,39) კაპ.
ინდოეთში 741	„	7,35 „
ბრაზილიაში 526		4,7 „

ამ მონაცემებს თუ ფუთი-ვერსებით გავიანგარიშებთ, მიკიღებთ, რომ ჩვენში ტარიფი 6-ჯერ აღემატებოდა ინდოეთისა და ბრაზილიისას, ხოლო თუ შევადარებთ გადაზიდვის ფასს მხოლოდ ჭიათურის შტოზე 7-კაპიკიანი ტარიფისას, ეს ტარიფი 18-ჯერ მეტია, ვიდრე ინდოეთისა და ბრაზილიისა და 13-ჯერ მეტი, ვიდრე საერთო-სარუსეთო ტარიფი. რომლითაც სამხრეთ რუსეთის მარგანეცის მრეწველობა სარგებლობდა. ეს ციფრობრივი მონაცემები სარწმუნო პასუხს გვაძლევენ იმაზე, თუ რა მიზეზების გამო სუსტდებოდა ჭიათურის მარგანეცის მადნის პოზიციები საერთაშორისო ბაზრებზე და რამ შეუწყო ხელი ინდოეთისა და ბრაზილიის მარგანეცის პოზიციების განმტკიცებას მადნის მსოფლიო ბაზრებზე. ამასთან დაკავშირებით ვორონცოვ-დაშკოვი დაასკვნიდა: „ამგვარად, უეჭველია, რომ ბრაზილიისა და ინდოეთის მარგანეცის მრეწველობა ვითარდებოდა ჭიათურის შტოზე დაწესებული მაღალი

---

[47] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 74, об.

[48] იქვე.

და, სიმართლე უნდა ითქვას, ქვეყანაზე არსადგაგონილი ტარიფის წყალობით".[49]

ვორონცოვ-დაშკოვი მკაცრად აკრიტიკებდა სამხრეთ რუსეთის მარგანეცის მრეწველ კომპანიებს და მთავრობის იმ მოხელეებს, რომლებიც მუდამ თავგამოდებით იბრძოდნენ ჭიათურის შტოზე სარკინიგზო ტარიფის შემცირების წინააღმდეგ და წინაზრახულად, ფარისეველურად აცხადებდნენ, რომ საქართველოში მარგანეცის მადნის თვითღირებულების შემცირება მხოლოდ წარმოების უკეთ მოწყობით უნდა განხორციელდესო. არ უარყოფდა რა წარმოების მოწესრიგების მნიშვნელობას, ვორონცოვ-დაშკოვი შენიშნავდა: შეუძლებელია იგნორირებულ იქნეს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს მარგანეცის წარმოების მიერ განცდილი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მაინც უმაგალითო, მაღალი სარკინიგზო ტარიფია[50]. ვორონცოვ- დაშკოვი შეეხო აგრეთვე ერთ არგუმენტს, რასაც სამხრეთ რუსეთის მარგანეცის მრეწველები აყენებდნენ ჭიათურის შტოზე ტარიფის შემცირების წინააღმდეგ, სახელდობრ, მოსაზრებას, რომ ჭიათურის შტოზე ტარიფის ეს შემცირება თითქოსდა აუცილებლად „მოკლავს ნიკოპოლის მარგანეცის მრეწველობას".[51] ვორონცოვ-დაშკოვი, როგორც გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწე, შეშფოთებას გამოთქვამდა ნიკოპოლის მარგანეცის მრეწველობისათვის მფარველობის გაწევის მიზნით კავკასიის მრეწველობის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დარგის — ჭიათურის მრეწველობის განვითარების ხელოვნურად დამუხრუჭების გამო. იგი მართებულად დასკვნიდა: «Как было выше указано, южнорусский марганец... может находить целиком сбыт в русском производстве и хотя действительно, под влиянием покровительственного для него высокого Чиатурского тарифа, вывозов его за границу сильно повысился, **но жертвовать ради выгод четырех компаний нуждами такого обширного марганцевого района, как Кавказский, едва ли согласуется с задачами государственного хозяйства страны. И невольно возникает мысль об основательности упреков, что это покровительство основано не на государственной потребности, а на желании оказать подержку лицам, заинтересованным в этих предприятиях»**[52]. ვორონცოვ-დაშკოვი ასევე

---

[49] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72. д. 138. л. 74. об.

[50] იქვე, ფურც. 75.

[51] იქვე.

[52] იქვე, ხაზგასმა ჩვენია.

სწორი, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა. როცა თავს ესხმოდა მთავრობის ზოგიერთ ცენტრალურ დაწესებულებას, რომლებიც სხვადასხვა საბაბით გამოდიოდნენ ჭიათურის შტოზე მაღალი ტარიფის შესანარჩუნებლად. მეფისნაცვალი მოაგონებდა მათ, რომ კავკასიის ადმინისტრაცია და ზოგიერთი დაინტერესებული დაწესებულება უკვე 20 წელია მხარს უჭერენ და შუამდგომლობენ ჭიათურის შტოზე ტარიფის შემცირებას, რომ შტო დაჯდა 1,5 მილიონი მანეთი, მაგრამ ხაზინამ აქედან 1907 წლამდე მიიღო 24 მილიონი მანეთი, რაც 16-ჯერ აღემატება ამ შტოს ღირებულებას. ვორონცოვ-დაშკოვი საყვედურობს სატარიფო დაწესებულებებს, რომლებიც დასახელებულ შტოზე მაღალი ტარიფის შენარჩუნებას აღრე ამართლებდნენ გზის მშენებლობის სიძვირით, ახლა კი სახაზინო რკინიგზის შემოსავლის შემცირების საფრთხით და სხვ.[53].

ამრიგად, ვორონცოვ-დაშკოვმა 1910 წელს მინისტრთა საბჭოში წარდგენილ მოხსენებაში აღიარა, ჯერ ერთი, რომ ჭიათურის რკინიგზაზე მაღალი ტარიფის არსებობას საფუძვლად ედო ხაზინის ვიწროდგაგებული ფისკალური ინტერესები და მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა მეტროპოლიის მარგანეცის მრეწველობისათვის მფარველობის გაწევას, მეორეც, რომ ასეთი სატარიფო პოლიტიკა მთელი თავისი არსებით ზიანს აყენებდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ძირს უთხრიდა მრეწველობის მსოფლიო მნიშვნელობის დარგს — ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას და იწვევდა „ქვეყნის სავაჭრო ბალანსის დარღვევას"[54]. მთავრობამ ჭიათურის მტოზე ტვირთის (მადნის, სურსათის, ფურაჟის, ხე-ტყის, ინსტრუმენტების, მგზავრთა და სხვ.) გადაზიდვისგან მსოფლიო ომის დაწყებამდე სულ მიიღო 45,6 მილიონი მანეთი.

ამრიგად, ჭიათურის რკინიგზის მშენებლობაზე და მთავრობის სატარიფო პოლიტიკაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ მარგანეცის მრეწველობას საქართველოში, მის აწმყო-მომავალს ცარიზმი მხოლოდ ვიწროდ გაგებული ფისკალური თვალსაზრისით უდგებოდა. ამის უტყუარ მოწმობას და ჩვენში ცარიზმის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა ჭიათურის რკინიგზის მშენებლობის ირგვლივ წარმოებული 10-წლიანი დავა და შემდეგში კი ამ გზაზე უმაგალითოდ მაღალი პროტექციონისტული ტარიფის დაწესება. დავინახეთ ისიც, რომ რკინიგზის შტოს მეპატრონე, მთავრობა, ჭიათურის მრეწველობის მრისხანე და დაუდეგარი ექსპლოატატორიც იყო.

---

[53] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 75. об.

[54] იქვე, ფურც. 75.

ღასახელებულ შტოზე არნახული, მაღალი, სარკინიგზო ტარიფის შემოღებით, მისი გარკვეული შემცირების მიუხედავად, ცარიზმმა მფარველობა გაუწია სამხერთ რუსეთის (ნიკოპოლის) მარგანეცის მრეწველობას და ვიწროლიანდაგიანი გზის ექსპლოატაციის მეშვეობით ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა შემოსავლის თვალსაჩინო წყაროდ გაიხადა. ყოველივე ამის მიუხედავად, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა ჩვენში მარგანეცის მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. ეს გზა 62 წლის განმავლობაში ემსახურებოდა მარგანეცის მრეწველობას. 1956—1957 წლებში ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ნაცვლად მწყობრში ჩადგა ჭიათურა-ზესტაფონის ფართოლიანდაგიანი ელექტროფიცირებული რკინიგზა.

თავი VII

მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის (ურილობის) დაარსება და მისი საქმიანობა

§ 1. ურილობის დაარსება, მის წევრთა დაჯგუფებები

ადგილობრივი და უცხოური სამრეწველო თუ სავაჭრო კაპიტალის მეტოქეობა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში და მადნის ადგილობრივ ბაზარზე უფრო გამწვავდა სამრეწველო აუზში რკინიგზის შტოს შეყვანის შედეგად, რადგან ამ გზას „მოჰყვა თან უცხოელებისა და მათი კაპიტალის შემოჭრა ჭიათურის რაიონში"[1]. ამ დროისათვის უცხოური სავაჭრო კაპიტალი თითქმის მონოპოლიურად ფლობდა მარგანეცის მადნის ადგილობრივ ბაზარს და მრეწველობის დასახელებულ დარგში გაბატონებასაც ჩემულობდა. ადგილობრივი სამრეწველო კაპიტალი ჭიათურის მრეწველობაში თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად წარმატებით იბრძოდა ჭიათურის რკინიგზ~ს მწყობრში ჩადგომამდე, — უცხოური სამრეწველო კაპიტალის ეპიზოდურ მოძალებას იოლად იგერიებდა. სამრეწველო რაიონში რკინიგზის შეყვანის შემდეგ უცხოური კაპიტალი გააქტიურდა და ინტენსიურად იბრძოდა წარმოებაში მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად. ადგილობრივი სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენლები ადრე, 17 წლის მანძილზე, უფრო ერთპიროვნულად მოქმედებდნენ, თუმცა, როგორც დავინახეთ, გაერთიანებულად, კოლექტიურად მოქმედებასაც ცდილობდნენ; მაგრამ მათი ეს გაერთიანებანი მეტწილად უდღეური აღმოჩნდნენ.

ადგილობრივ მრეწველთა გაერთიანების, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციის (თვითმმართველობის) ჩამოყალიბების აუცილებ-

---

[1] ს. წერეთელი, დასახ. ნარკვევი, იხ. გაზ. „საქართველო", 1920, 21 იანვარი, №14.

ლობა წამოჭრა უცხოური კაპიტალის მოძალების გაძლიერებამ, მარგანეცის მრეწველობის გაფართოების, საბადოთა ექსპლოატაციის პირობებისა და მადნის გადაზიდვის საშუალებათა გაუმჯობესების, ასევე სამრეწველო რაიონის კეთილმოწყობის საჭიროებამ. ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბება მით უფრო აუცილებელი იყო, რომ მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაცია სამრეწველო რაიონში არსებითად მხოლოდ პოლიციურ ფუნქციას ასრულებდა და სამთო ზედამხედველობას მარტო ფორმალურად ახორციელებდა. ის სრულებით არ ზრუნავდა სამრეწველო რაიონის კეთილმოსაწყობად. ამას გარდა, სხვა ქვეყნებში მარგანეცის მრეწველობის განვითარებამ და მადნის საერთაშორისო ბაზრებზე საკონკურენციო ბრძოლის გაძლიერებამ ჭიათურელ მრეწველთა წინაშე დააყენა მადნის მსოფლიო ბაზრისა და მეტოქე ქვეყნების მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობის შესწავლის საკითხი, რის მოგვარებასაც შეეძლო ხელი შეეწყო საერთაშორისო ბაზრებზე ჩვენებური მარგანეცის მადნის პოზიციების გაფართოება-განმტკიცებისათვის. ადგილობრივი მრეწველები თავისი ნაწარმით მარგანეცის მადნის მსოფლიო ბაზარზე უშუალოდ, უცხოური სავაჭრო კომპანიის უმეშვეოდ, გასვლაზე და იქ დამკვიდრებაზე ოცნებობდნენ, თუმცა მათ ეს, გაერთიანებული ძალით მოქმედების გარეშე (2—3 მეწარმის გამოკლებით), არ ძალუძდათ. მრეწველობის მძლავრი წინსვლა შეუძლებელი ხდებოდა მასზე საერთო მზრუნველობისა და საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების გარეშე. მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაცია საამისოდ არ ზრუნავდა. წარმოებისა და მადნის გასაღებაში სიძნელემ იჩინა თავი. ასეთ ვითარებაში დაქსაქსულად მოქმედ ქართველ მეწარმეთა შორის ჩაისახა და თანდათან განმტკიცდა აზრი ჭიათურაში ფართო წარმომადგენლობითი-თვითმმართველი ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა[2].

ადგილობრივ მრეწველთა საერთო სურვილისამებრ, ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენელთა მხარდაჭერითა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის გ. ზდანოვიჩის ზრუნვით 1894 წელს შუამდგომლობა აღიძრა[3], ხოლო 1896 წელს მიღებულ იქნა მთავრობის ნებართვა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის დაარსებაზე. მომავალი ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად საჭირო დოკუმენტების შემუშავებისა და მათი წინასწარი განხილვის შემდეგ იმავე 1896 წლის 15 აპრილს ქ. ქუთაისში შედგა „შორაპნის

---

[2] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 181—182.

[3] ს. წერეთელი, დასახ. ნარკვ. იხ. გაზ. „საქართველო", 1920, 21 იანვარი, № 14.

მაზრის მარგანეცის მრეწველთა პირველი (დამფუძნებელი) ყრილობა".

ყრილობამ მრავალი საკითხი განიხილა, მათ შორის, სამთო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული საერთო დებულების გათვალისწინებით გ. ზდანოვიჩის მიერ შედგენილი და წინასწარ სპეციალურ თათბირზე განხილული დებულების პროექტი «Положение о съезде марганцепромышленников Шорапанского уезда»[4].

ამ „დებულების" თანახმად მრეწველთა ყრილობა აერთიანებდა მარგანეცის მადნის მრეწველებსა და ექსპორტიორებს და ის მოწოდებული იყო მარგანეცის მადნის მოპოვებისა და ექსპორტის საქმის გასაუმჯობესებლად. ყრილობის წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო ყველა მრეწველი, ვინც მთავრობის ნებართვით ეწეოდა მადნის მოპოვებას. წარმომადგენლობით ორგანიზაციაში ხმის უფლებით სარგებლობდა ყოველი მრეწველი, რომელიც წელიწადში 100.000 ფუთ მადანს მაინც პოულობდა, ასევე ყოველი ექსპორტიორი, რომელსაც წელიწადში გაჰქონდა არა ნაკლებ 300 000 ფუთი მადნისა. მადნის მოპოვებისა და ექსპორტის ოდენობის შესაბამისად ყრილობის წევრს შეიძლებოდა ჰქონოდა 1 — 5 ხმა. „დებულებით" ყრილობაზე სათათბირო ხმის უფლებით დასწრების უფლება ენიჭებოდა იმ მრეწველებსაც, რომლებიც უმნიშვნელო მასშტაბით ეწეოდნენ მადნის მოპოვებას; ამავე დროს უფლება ენიჭებოდათ გაერთიანებულიყვნენ და მადნის საერთო მოპოვების ოდენობის შესაბამისად, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, ესარგებლათ ყრილობაზე ხმის უფლებით. ყრილობას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლებოდა დასწრებოდა ყოველი დაინტერესებული პირი და ორგანიზაცია. ის იკრიბებოდა ყოველწლიურად, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ნებართვით. თავმჯდომარესაც ფაქტიურად მინისტრი ნიშნავდა. წარმომადგენლობითი ორგანიზაციის მუდმივ მოქმედ აღმასრულებელ ორგანოს — ყრილობის საბჭოს — ევალებოდა ყრილობის შეკრებამდე ორი თვით ადრე წარედგინა თავისი ხარჯთაღრიცხვის „ანგარიში" და ახსნა-განმარტებითი ბარათი კავკასიის სამთო სამმართველოში. იმ შემთხვევაში, თუკი ყრილობის საბჭო მიუღებლად ჩათვლიდა სამთო სამმართველოს შესაძლებელ შენიშვნებსა და მითითებებს, საკითხი საბოლოო გადაწყვეტისათვის გადაეცემოდა მიწათმოქმედების მინისტრს. ყრილობის საბჭოს, იშვია-

---

[4] სსსა, ფონ. 264, საქ. 3601, ფურც. 3—13.

თი, საგანგებო შემთხვევების გარდა, მინისტრისათვის შეიძლებოდა მიემართა მხოლოდ სამთო სამმართველოს მეშვეობით.[5]

ყრილობა იხილავდა მრეწველობისა და მადნის ექსპორტის საჭირბოროტო საკითხებს. ის უფლებამოსილი იყო წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად ეშუამდგომლა მთავრობის წინაშე. ყრილობის ოფიციალური ენა მხოლოდ რუსული იყო. ამ ენის არმცოდნეს თავისი აზრის გამოთქმა შეეძლო დაეკავალებინა რუსულის მცოდნე წევრისათვის. ყრილობის საბჭო ირჩეოდა ფარული კენჭისყრით. ის შედგებოდა თავმჯდომარის, ოთხი წევრისა და სამი კანდიდატისაგან. თავმჯდომარე ირჩეოდა 3 წლით. მისი არჩევა ძალაში შედიოდა მინისტრის მიერ დამტკიცების შემდეგ.

საბჭოს ევალებოდა: ყრილობის მითითებებისა და დადგენილებების შესრულება, მრეწველობის საჭირბოროტო საკითხების იმთავითვე განხილვა, რისთვისაც საბჭოს სხდომები ყოველთვიურად ეწყობოდა. ის ადგენდა ყრილობების დღის წესრიგს, აღძრავდა შუამდგომლობას რიგგარეშე ყრილობის მოსაწვევად, მიმართავდა მთავრობას მრეწველობის საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად, გამოსცემდა ყრილობის მასალებს („შრომები") და სხვ. ყრილობა ირჩევდა სარევიზიო კომისიას 3 წევრისა და 3 კანდიდატის შემადგენლობით, ერთი წლით. მასში შედიოდა აგრეთვე სამთო უწყების წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავდა მინისტრი. ყრილობა ყოველწლიურად ისმენდა და იხილავდა სარევიზიო კომისიის ანგარიშს. ის ფარული კენჭისყრით ირჩევდა სხვადასხვა კომიტეტს, ვთქვათ, რკინიგზის ვაგონებისა და ბაქნების გამანაწილებელ კომიტეტს და სხვა საჭირო კომისიებს, ერთი წლის ვადით.

ყრილობის საბჭო ვალდებული იყო ჩაეტარებინა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოები; საამისო სახსრები დგებოდა საფუთო გადასახადისაგან, რომელიც „დებულებით" და მთავრობის ნებართვით წესდებოდა. უფრო გვიან მისი შემოსავლის წყაროდ იქცა აგრეთვე ელსადგური, აბანოები, წყალსადენები, ტელეგრაფი, მექანიკური დასაშვები, საავადმყოფო[6] (ყველაფერი ეს ყრილობამ მოაწყო 1900 — 1914 წლებში).

ზემოდახასიათებული „დებულების" პროექტი განიხილა და გარკვეული შესწორებებით მიიღო მრეწველთა I ყრილობამ, შემდეგ კი წარედგინა მიწათმოქმედების მინისტრს, რომელმაც დაამტკიცა 1896 წლის 18 ნოემბერს.[7]

---

[5] სსსა, ფონ. 264, საქ. 3601, ფურც. 11.

[6] იხ. Труды XV. съезда марганцепромышленников. К. 1913, გვ. 196.

[7] სსსა, ფონ. 264, საქ. 3601, ფურც. 2.

ყრილობა წარმოადგენდა ქონებრივი ცენზითა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით შეზღუდულ ბურჟუაზიულ წარმომადგენლობით ორგანიზაციას. მრეწველთა ყრილობის საბჭო, 1897 წლის II (საგანგებო) ყრილობის მიერ დამტკიცებული წესდების შესაბამისად მოქმედებდა და თავის საქმიანობაში სამთო უწყების კონტროლს ექვემდებარებოდა. საბჭოს ისედაც არ შეეძლო დამდგარიყო მრეწველობის საერთო ინტერესების სიმაღლეზე და ყრილობის ფარგლებში გაერთიანებული, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ძალების (მსხვილი და წვრილი მეწარმენი, მეწარმენი და ექსპორტიორნი) ზევით, როგორც ამას წესდება ამაოდ ითვალისწინებდა. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ყრილობა და მისი საბჭო მიზნად არ ისახავდა წარმოებაში ჩაბმული მშრომელი ხალხის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

„შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა ყრილობა" მრეწველთა, ასევე მადნის ექსპორტიორთა გაერთიანებას წარმოადგენდა. მან რევოლუციამდელ ხანაში 25 წელი იარსება, ხოლო სულ 29 წელიწადი.[8] ყრილობის მუდმივმოქმედ აღმასრულებელ ორგანოს, საბჭოს, 1896 წლიდან 1917 წლამდე, უცვლელად თავმჯდომარეობდა ცნობილი მოღვაწე გ. ზდანოვიჩი, ხოლო მისი მოადგილე და ერთ ხანსაც (1917—1918 წწ.) თავმჯდომარე იყო ცნობილი მოღვაწე და გამოჩენილი ლიტერატორი ივანე (კიტა) აბაშიძე.[9]

ყრილობის საბჭო მთავრობის შესაფერის ორგანოებთან განუწყვეტელ კავშირში იყო და ერთდროულად ასრულებდა წარმომადგენლობით და სამეურნეო ფუნქციებს, ცდილობდა მარგანეცის მრეწველობისა და მადნის ექსპორტის პირობების გაუმჯობესებას. მრეწველთა ყრილობისა და მის საბჭოს საქმიანობის მიზნებზე და ხასიათზე წარმოდგენას იძლევა პირველი (დამფუძნებელი) ყრილობის მიერ მოსმენილი მოხსენებები. ყრილობამ „დებულების" მიღების შემდეგ, მოისმინა და განიხილა ვრცელი მოხსენებები ჭიათურის მარგანეცის მრეწველობისა და მადნის გაზიდვა-გასაღების ორგანიზაციის თაობაზე. მოხსენებაში ნაჩვენები იყო, თუ „რა ჭირი სჭირდა მრეწველობას

---

[8] დასახელებული ორგანიზაცია 1921 წელს გაუქმებულ იქნა საქ. სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით (სსსა, ფონ. 417, ანაწ. 7, საქ. 44, ფურც. 22), მაგრამ, ის კვლავ აღდგენილ იქნა და საბოლოოდ გაუქმდა და ლიკვიდირებულ იქნა 1924 წელს საქ. სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (სსსა, ფონ. 417, ანაწ. 7, საქ. 55, ფურც. 10).

[9] ყრილობის საბჭოს 1918 წლიდან 1924 წლამდე თავმჯდომარეობდა ს. წერეთელი და თ. ბაქრაძე (სსსა, ფონ. 417, ანაწ. 7, საქ. 2, ფურც. 1—2).

და რა წამალი უნდა დასდებოდა მას"[10]. მოხსენებები ასურათებდნენ საბადოთა ექსპლოატაციის მდგომარეობას, საფუძვლიანად ასაბუთებდნენ სამთო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის უკეთ მოწყობის საჭიროებას, გზების ცუდ მდგომარეობას და მათი ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების აუცილებლობას, ადგილობრივი ადმინისტრაციის უმოქმედობას და სამრეწველო ადმინისტრაციის ჩამოყალიბების მიზანშეწონილობას. აქვე იყო ნაჩვენები მადნის საწყობების მოუწყობლობა და ჭიათურის შტოზე მოძრავი შემადგენლობის ნაკლებობა, ფოთის ნავსადგურისა და იქაური საწყობების უნუგეშო მდგომარეობა, წარმოებაში ტექნიკური კადრების სიმცირე და სხვ. მიღებულ იქნა დადგენილება წარმოების მდგომარეობისა და მადნის გაზიდვის პირობების გასაუმჯობესებლად, სამთო-ტექნიკური ცოდნის გასავრცელებლად — ქუთაისში სამთო სკოლის დასაარსებლად და სხვ. ყრილობამ განიხილა აგრეთვე იაფფასიანი და ყველასათვის მისაწვდომი სამრეწველო კრედიტითა და გრძელვადიანი სესხებით მეწარმეთა უზრუნველყოფის საკითხი. დახასიათებულ იქნა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მეტოქეთა, ასევე მარგანეცის მადნის მსოფლიო ბაზრის შეუსწავლელობის უარყოფითი შედეგები და დადგინდა, რომ მარგანეცის მსოფლიო მრეწველობისა და მადნის მსოფლიო ბაზრის შესასწავლად შექმნილიყო სტატისტიკური (ბიურო) განყოფილება, რომ ამასთანავე მადნის მსოფლიო ბაზრის სისტემატურად შესასწავლად გამოყენებულიყვნენ აგრეთვე რუსეთის საკონსულოები და სპეციალური აგენტები უცხოეთში. ყრილობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო მადნის მოპოვების, ასევე ადგილობრივ გზებზე და რკინიგზაზე მისი გადაზიდვის გაიაფება, რისთვისაც უნდა მომხდარიყო სარკინიგზო ტარიფის შემცირება, მოწყობილიყო ბრემსბერგ-ჩამოსაშვებები, „მაღაროების რკინიგზები" და სხვ. ყრილობამ საჭიროდ ჩათვალა ჭიათურის მრეწველთა სინდიკატის დაარსება, რითაც ბოლო უნდა მოღებოდა „იმ მეტოქეობას ჭიათურის ბაზარზე, რომლითაც სარგებლობენ უცხოელი სპეკულანტნი, რომ ჭიათურის მარგანეცის ფასები... დასცენ". მანვე აღძრა, სხვათა შორის, კითხვები „მუშათა ყოფა-ცხოვრების და საერთოდ ჭიათურის სამედიცინო-სანიტარული მხრით უნუგეშო მდგომარეობისა"; აქვე აღინიშნა „ჭიათურის მოუწყობლობა (... არც გზები, არც წყლები, არც განათება, არც სისუფთავე და არც სხვა რამ, რაც საჭიროა...),

---

[10] ს. წერეთელი, დასახ. ნარკვევი, იხ. გაზ. „საქართველო", 1920, 25 იანვარი, № 18.

რომელიც მეტად ხელს უშლის აქ ცხოვრებას და მოსაქმეობას"[11]. განხილულ იქნა საკითხი სამრეწველო რაიონიდან რკინიგზით გადასაზიდ ყოველ ფუთ მადანზე, ყრილობის სასარგებლოდ, ნახევარ-კაპიკიანი გამოსაღების დაწესების შესახებ და სხვ.

ყრილობამ განხილული საკითხების გარშემო მიიღო დადგენილებანი, რომლებიც შემდეგ სათანადო შუამდგომლობებით გაეგზავნა უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებს (მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, გზათა. შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს).

ამრიგად, გაფორმდა მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის — „შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის" — დაარსება, ჩამოყალიბდა მისი ამოცანები. ქართველი საზოგადოებრიობის ის ნაწილი, რომელიც ოცნებობდა შინაგანი სამეურნეო ძალებით ქვეყნის სამრეწველო განვითარებაზე, სიხარულით შეეგება მარგანეცის მრეწველთა ყრილობას — „პირველ ყრილობას ჩვენს სამრეწველო ცხოვრებაში"[12].

ყრილობის შემადგენლობა დროის მსვლელობაში შეიცვალა და 1900-იან წლებში ის აერთიანებდა დამუშავებაში მოქცეულ საბადოთა მფლობელებს, მარგანეცის მრეწველებს, მადნის ექსპორტიორებს, ასევე ზოგიერთ სამთო-სამრეწველო ყრილობათა, რკინიგზის, სამთო უწყების და საზღვაო-სახმალდო გაერთიანებათა წარმომადგენლებს, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ჭიათურის მრეწველობასთან, აგრეთვე ჩვენებური მარგანეცის მომხმარებელი ქარხნების წარმომადგენლებს. მაგრამ, ყრილობის სხდომებზე გადამწყვეტი ხმის უფლებით, პირადად ან თვით წარმომადგენელთა მეშვეობით, სარგებლობდნენ მხოლოდ მრეწველობაში და მადნის ექსპორტში უშუალოდ ჩაბმული საქმოსნები, მათი ამხანაგობები, და ფირმები[13].

ყრილობის წევრთა უმრავლესობას მრეწველები, უპირატესად ქართველები შეადგენდნენ, ხოლო უმცირესობას ექსპორტიორები, უმთავრესად უცხოელები.

ქართველ მრეწველებსა და უცხოელ ექსპორტიორებს შორის ცხარე ბრძოლა პირველსავე ყრილობაზე გაიშალა. „ამ ორ ჯგუფს შორის, — სწორად შენიშნავდა ფ. მახარაძე, — მუდამ უკმაყოფილე-

---

[11] Отчет о деятельности Совета съезда избранного на I съезде марганцепромышленников, გვ. 95—98; აგრეთვე ს. წერეთლის დასახ. ნარკვევი, გაზ. „საქართველო", 1920, 25 იანვარი, № 18.

[12] „ქვალი", 1900, № 40, გვ. 630.

[13] სსსა, ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 9. ამ საარქივო საქმეზე მიგვითითა მკვლევარმა ალ. კოკლაევაშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

ბა, განხეთქილება იყო, როგორც მყიდველთა და გამყიდველთა შორის"[14]. ყრილობა ისედაც არ ხასიათდებოდა თავის წევრთა ინტერესების ერთიანობით. „კრება, — მართებულად აღნიშნავდა გ. წერეთელი, — ორ პარტიად იყო გაყოფილი — მსხვილი და წვრილი კაპიტალის წარმომადგენელნი. ისინი ერთდებოდნენ, როცა ამას საერთო ინტერესი მოითხოვდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მართავდნენ, როცა ერთი მეორის უფლების შემცირებას მოინდომებდა, მეორის უბედურებაზე თავის ბედნიერების აგებას მოიწადინებდა"[15]. კრება ანუ ყრილობა მართლაც ერთმანეთისადმი პოლარულად დაპირისპირებული საქმოსნების გაერთიანებას წარმოადგენდა. მისი წევრები ებრძოდნენ ერთმანეთს, როგორც შედარებით წვრილი, საშუალო და მსხვილი მრეწველები, როგორც მრეწველები და ექსპორტიორები, ანუ როგორც მადნის გამყიდველები და მისი მყიდველები და ბოლოს, როგორც ადგილობრივნი და უცხოელნი. ადგილობრივი მრეწველები იბრძოდნენ წარმოების ეროვნულ ნიადაგზე გასაძლიერებლად, უცხოელ ექსპორტიორთა თვითნებობისა და მადნის ადგილობრივ ბაზარზე მათი ბატონობის ასალაგმავად. უცხოელი ექსპორტიორები კი, პირიქით, ცდილობდნენ, რამდენადაც შეიძლებოდა, მომგებიან პირობებში შეეძინათ მადანი და გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ ყრილობის უმრავლესობას, რომელიც მრეწველობისა და მადნის გადაზიდვის პირობების გასაუმჯობესებლად და კეთილმოსაწყობად თანხების გაღებას მოითხოვდა. ყრილობის უმრავლესობა და მისი საბჭო იღვწოდა იმისათვის, რომ შეეზღუდა უცხოური საკაპრო და სამრეწველო კაპიტალის მოქმედება წარმოებასა და მადნის ექსპორტში, მაგრამ, ეს მცდელობა მიზანს მეტწილად ვერ აღწევდა, რადგან უცხოური კაპიტალის მოქმედების შეზღუდვა, მისი ძლიერებისა და ადგილობრივი კაპიტალის შედარებითი სისუსტის გამო, შეუძლებელი ხდებოდა. ამასთანავე, მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ყრილობის საბჭო ცდილობდა ადგილობრივ მრეწველთა დაცვას უცხოური კაპიტალის მხრივ შევიწროებისაგან.

მრეწველთა ყრილობის ფარგლებში ასევე გამუდმებით მიმდინარეობდა ბრძოლა წვრილ, საშუალო და მსხვილ მრეწველებს შორის. ყრილობისა და მის საბჭოს საქმიანობაზე დაკვირვება მოწმობს, რომ წარმომადგენლობითი ორგანიზაცია უმთავრესად ადგილობრივ საშუალო, მეტადრე მსხვილ მრეწველთა ინტერესებით ხელმძღვანელობდა.

---

[14] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. II, 1925, გვ. 53 — 54.

[15] „კვალი", 1900, № 30, გვ. 471.

§ 2. ყრილობის საქმიანობის ხასიათი და მნიშვნელობა

თავისი კლასობრივი შეზღუდულობის მიუხედავად, სამრეწველო აგრეთვე სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლობითმა ორგანიზაციამ (ყრილობამ) და მისმა აღმასრულებელმა ორგანომ (საბჭომ), როგორც ბურჟუაზიულმა თვითმმართველმა ორგანიზაციამ, საკუთარი არსებობის ხანგრძლივ პერიოდში, გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში. მისი ბიუჯეტი და პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობის მასშტაბი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრებოდა მთავრობის მიერ ნებადართული „საფუთო გამოსაღებიდან" მიღებული შემოსავლით. ეს გადასახადი ფაქტიურად, სრულად მხოლოდ 1895 წლიდან იკრიბებოდა. სამრეწველო რაიონიდან გასაზიდ ყოველ ფუთ მადანზე დაწესებული $^1/_2$-კაპიკიანი გამოსაღების დიდი ნაწილი ყრილობის განკარგულებაში მხოლოდ 1898 წლიდან გადავიდა. 1906 წლიდან, მრეწველთა ყრილობის და მისი საბჭოს გულმოდგინეობის შედეგად, მიღწეულ იქნა საფუთო გამოსაღების გადიდება $^3/_4$ კაპიკამდე, 1913 წლიდან — 2 კაპიკამდე, ხოლო 1918 წლიდან — 3 კაპიკამდე[1]. ამ გზით შეგროვილ თანხას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ემატებოდა აგრეთვე წარმომადგენლობითი ორგანიზაციის მიერ დაარსებულ დაწესებულებათა და საწარმოთაგან მიღებული შემოსავალი. ამ თანხებით ხდებოდა ყრილობის მთელი პრაქტიკული საქმიანობის დაფინანსება. ის ნაწილდებოდა სხვადასხვა ღონისძიებაზე. დასახელებული ორგანიზაციის მუშაობის მეტნაკლებად დადებითი მხარეებია: მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა, სამრეწველო რაიონის ეროვნული ბურჟუაზიისათვის მხარდაჭერა, მუნიციპალური საქმიანობა და სხვ.

ა. მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა და ეროვნული ბურჟუაზიისათვის მხარდაჭერა

ამ საქმეს განსაკუთრებული ადგილი ეკავა ყრილობის (და მისი საბჭოს) მუშაობაში. საყურადღებოა მისი მცდელობა საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის მოსაწესრიგებლად, — სამთო ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად. ამის შედეგად შემცირდა საბადოთა უნებართვო ექსპლოატაცია, მრეწველთა დიდი უმრავლესობა მუშაობდა სამთო სამმართველოს მიერ გაცემული ნებართვით, თანდათან გაძლიერდა ოლქის სამთო ინჟინრის, მისი თანაშემწის და შტეიგერ-

[1] სსსა, ფონ. 417, ანაწ. 1, საქ. 311, ფურც. 30.

თა ზედამხედველობა.[2] თუმცა ამ ღონისძიებამ ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების წესების ჯეროვნად დაცვა და მაღაროებში უბედურ შემთხვევათა საგრძნობი შემცირება.

წარმოებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ყრილობის ზრუნვას სამრეწველო რაიონში ახალი გზების გასაყვანად და ძველის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც ის ყოველწლიურად გამოყოფდა თანხებს. ჯერ კიდევ მრეწველთა II ყრილობამ (1897 წ.) მიიღო გადაწყვეტილება გზების შეკეთების თაობაზე. მალე დაიწყო მისასვლელი გზების შეკეთება რგანის, ზედა რგანის, თაბაგრების, დარკვეთის, შუქრუთის, მღვიმევის და ითხვისის მაღაროებში, შეკეთდა ან ახალი გზა გაკეთდა 5—6 ვერსზე; მდ. ყვირილაზე აიგო ხის ხიდი, რაც ყრილობას 4000 მანეთი დაუჯდა. ამ საქმიანობას წარმართავდა ყრილობის საბჭოს მიერ დანიშნული ტექნიკოსი ი. დეკანოზიშვილი. მაღაროებიდან რკინიგზამდე მადნის ზიდვის პირობების გასაუმჯობესებლად, — შარაგზებისა და საბაგირო გზების გაყვანის საკითხებზე ხანგრძლივი მსჯელობა გაიმართა მრეწველთა III ყრილობაზე (1900 წ). ყრილობის საბჭომ ჯერ კიდევ 1899 წელს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს სთხოვა დახმარება აღმოეჩინა დასახელებული გზების მოწყობაში. სამმართველოს დავალებით ინჟ. სახაროვმა იმავე წელს შეადგინა შესაფერისი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 40 კმ სიგრძის გზის გაყვანას 60000 მანეთად. ამ საქმეს ისიც ართულებდა, რომ ამ პროექტით ნავარაუდევი გზები არ უდგებოდა ყველა საბადოს, ყველა სამთო საწარმოს. ამავე დროს საკითხი იმის შესახებ თუ სად, რომელ მაღაროში გაყვანილიყო გზა, ყოველთვის დიდ შეჯახებებს იწვევდა მეწარმეთა შორის, რადგან ყოველი მათგანი იბრძოდა, რათა ხაზინის თუ ყრილობის ხარჯზე გზა გაყვანილიყო მის საბადოში. ასეთ ვითარებაში გზის ზემოდასახელებული პროექტი მიუღებელ იქნა. ამის შემდეგ ყრილობის საბჭომ ხელშეკრელება დაუდო სამთო ინჟინერ ა. მიხაილოვს, რომელსაც დაევალა გზის პროექტის შემუშავება და მისი წარმოდგენა მრეწველთა III ყრილობაზე. მის მიერ შემუშავებული პროექტისა და მოხსენების თანახმად ზოგიერთ საბადო ზეგანზე უნდა გაყვანილიყო რკინიგზა, რასაც მაღაროები დაუკავშირდებოდნენ საჰაერო-საბაგირო გზით, ხოლო საბაგირო გზებისათვის აუცილებელი ელექტოენერგიის მისაღებად, აგრეთვე მაღაროების განათების მოსაწყობადაც, უნდა აშენებულიყო ჰიდროელექტროსადგური ან თბოსადგური. ავტორის აზრით, საქმის ასე მოწყობა უფრო მიზანშეწონილი იყო, ვიდრე ბრემსბერ-

---

[2] ს. წერეთელი, დასახ. ნარკვევი, გაზ. „საქართველო" 1920, 29 იანვარი, № 20.

ვისა და რკინის დარების მოწყობა მაღაროებიდან რკინიგზამდე მადნის ჩამოსაზიდად.[3] ეს პროექტი და მოხსენება, ისევე როგორც შემდეგში ყრილობებზე თუ მთავრობის ორგანოებში წარდგენილი პროექტები, მათ შორის კონცესიონერ გ. წერეთლისა, მოწონებულ იქნა ყრილობის მიერ, მაგრამ არ განხორციელდა. მრეწველთა ყრილობის საბჭო განუწყვეტლივ განაგრძობდა საბადოებისკენ მისასვლელი გზების მშენებლობას და პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გაიყვანა 60 — 70 — 80 ვერსის სიგრძის საერთო სარგებლობის გზა[4]. ამავე დროს ამ გზებს შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (1906 წელს) ზედა რგანსა და რგანს შორის გაყვანილ გზას[5]. საბჭომ მოაწყო საერთო სარგებლობის მეჩხერის მექანიკური ჩამოსაშვები, რითაც წელიწადში 4 მილიონი ფუთი მადანი მიემართებოდა ჭიათურის რკინიგზის სატვირთო ბაქნებამდე[6]. მღვიმევში გაიყვანა 160 საჟენის სიგრძის უსასრულო საჰაერო-საბაგირო გზა, ხოლო დასატვირთი ბაქნის მახლობლად 52 საჟენის სიგრძის ასეთივე გზა. ორივე საერთო სარგებლობის გზის გამტარუნარიანობა საათში 4 000 ფუთს შეადგენდა.[7]

მრეწველთა ყრილობამ და საბჭომ ხანგრძლივი ბრძოლა აწარმოეს რკინიგზის ჭიათურის შტოს სადგურებზე ხაზინის მიერ ბაქნების უკეთ მოსაწყობად და გასაფართოებლად, — ამ გზის გამტარუნარიანობის გასაზრდელად. ამის შედეგად ბაქნები მოეწყო, ხოლო შტოს მოძრავი შემადგენლობა შეივსო: საკმარისია გავიხსენოთ, რომ შტოზე ნორმალური მოძრაობის დაწყებისას მხოლოდ 50 სატვირთო ვაგონი დადიოდა, ხოლო ყრილობის საბჭოს განუწყვეტელი თხოვნა-შუამდგომლობების შედეგად ის თანდათან შეივსო და 1914 წელს ამ გზაზე 500 ვაგონი მოძრაობდა.

ყრილობის საბჭოს ხელმძღვანელობამ, განსაკუთრებით გ. ზდანოვიჩმა, პ. წულუკიძემ, აგრეთვე იმ დროს ფოთის ქალაქისთავმა ნ. ნი-

---

[3] იხ. Доклад горного инженера А. Д. Михаилова в Совет съезда марганцепромышленников об устройстве механической доставки чиатурских марганцевых руд от рудников к погрузочным платформам чиатурской ветви Зак. ж. дорог и об электрическом освещении рудников и зданий, К., 1900 г., Труды III съезда... марганцепромышленников, გვ. 34.

[4] ს. წერეთელი, დასახ. ნარკვევი, გაზ. „საქართველო", 1920, 29 იანვარი, № 20; სსსა., ფონ. 417, ანაწ. 8, საქ. 3, ფურც. 56—57.

[5] Отчет о деятельности Совета съезда марганцепромышленников за 1905 и 1906 гг. К., 1907, გვ. 6—7.

[6] Отчет Кавказского горного управления за 1913 г. Тиф., 1914 გვ. 98—99; ЦГИАЛ, ф. 565, оп. 7, д. 26907, л. 16, об.

[7] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 75, д. 691, л. 20—21.

კოლაძემ, განსაკუთრებით დიდი დრო და ენერგია მოახმარეს ჭიათურის შტოზე მთავრობის მიერ დაწესებული უმაგალითო, ფაქტიურად ამკრძალავი ტარიფის შემცირებას. ტარიფის შესამცირებლად წარმოებულმა ბრძოლამ (კავკასიის ადმინისტრაციის მხარდაჭერის შედეგადაც) ნაყოფი გამოიღო: ჭიათურის შტოზე დაწესებული ტარიფი — ფუთი მადნის გადაზიდვაზე — 10 კაპიკი, 1899 წლიდან შემცირდა 7 კაპიკამდე, ხოლო 1909 წლიდან — 5,5 კაპიკამდე[8].

მრეწველთა ყრილობა (მთავრობის შესაფერისი საუწყებო დაწესებულებათა წარმომადგენლებთან ერთად) აწესრიგებდა მადნის საწყობი ბაქნების და ვაგონების განაწილებას. თუმცა ამ საქმეში საჭირო წესრიგი არ დამკვიდრებულა.

მრეწველთა ყრილობამ დასვა და ზოგჯერ კიდეც გადაჭრა საწარმოო პროცესის გაუმჯობესებისა და მადნის გადაზიდვაში ტექნიკური სიახლეების დანერგვის რიგი პრობლემები. მრეწველთა III ყრილობამ დაადგინა მადნის დანაკარგის შესამცირებლად ტექნიკური კომისიის ანუ ბიუროს შექმნა, რაც დაარსდა სამი ინჟინრის, ორი ტექნიკოსის, ორი ათისთავისა და ერთი მოანგარიშის შემადგენლობით[9].

უფრო გვიან დაწესდა აგრეთვე გამამდიდრებელი ფაბრიკების კონტროლი, რითაც ერთგვაროვად შემცირდა მარგანეცის მადნის შლამით მდ. ყვირილას დატალახიანება.

V ყრილობამ (1903 წ.) დაადგინა და შემდეგში განახორციელა საბადოს გეოლოგიური რუქის შედგენა. მანვე განიზრახა სამთო გამონამუშევრებიდან საბადოს ზედაპირზე მადნის გამოზიდვის მექანიზაცია, რაც არ განხორციელებულა. V ყრილობამ დაადგინა მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკების მოწყობა, გამოთქვა მოსაზრება ფერომარგანეცის წარმოების დაფუძნების საჭიროებაზე. XIV ყრილობამ განიხილა ელექტრონის გამოყენებით ფერომარგანეცის მიღების, ასევე მარგანეცის მადნის შლამით მდ. ყვირილას გატალახიანებისა და შლამის გამოყენების საკითხები, რომლებიც არ განხორციელებულა.

V ყრილობამ გადაწყვიტა ქუთაისში ქიმიური ლაბორატორიის დაარსება, რისი ხელმძღვანელობაც ითავა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. პეტრიაშვილმა. მალე განზრახულ იქნა აგრეთვე ჭიათურაში ქიმიური ლაბორატორიის მოწყობა, ასევე ბათუმის ნავსადგურში მადნის დასატვირთი ელევატორის მოწყობა, თუმცა ჩამოთვლილი ღონისძიებები ბოლომ-

---

[8] ЦГИАЛ ф. 1263, оп. 89, алф., д. 5442, л. 421; ф. 1276, оп. 19, д. 87, л. 6; ф. 37. оп. 72. д. 138. л. 74.

[9] Труды XV очередного съезда марганцепромышленников, К., 1913. зз. 48 — 49.

დე არ განხორციელებულა. მრეწველთა წარმომადგენლობითმა ორგანიზაციამ წამოიწყო სამუშაოები ზოგიერთი მაღაროს წყლით მოსამარაგებლად. საბადოთა ექსპლოატაციისა და მიწისქვეშა სამუშაოების გაფართოების შედეგად მრავალი წყარო დაიკარგა, — მაღაროთა ერთი ნაწილი უწყლობას განიცდიდა. ეს საკითხი განიხილა მრეწველთა XIV ყრილობამ, რომელმაც დაადგინა, რომ, ერთი მხრივ, ეთხოვა მთავრობისათვის, რათა მას წყლების გასაყვანად ყრილობის საბჭოსათვის მიეცა სესხი — 300 ათასი მანეთი. ხოლო, მეორე მხრივ, ეთხოვა საბადოთა აუზში არსებული სოფლებისათვის, სადაც წყალსადენი იყო გასაყვანი, რათა მათ შეესრულებინათ საამისოდ აუცილებელი მიწის სამუშაოები. ჭიქოურიდან მღვიმევში აყვანილ იქნა სანიმუშოდ მოწყობილი წყალსადენი[10]. მისი გაყვანა დაიწყო შუქრუთსა და ზედა რგანში, თუმცა ამ საქმის რამდენადმე სრულად მოგვარება შეუძლებელი აღმოჩნდა მსოფლიო ომის დაწყების გამო. ომმა ასევე აღკვეთა მრეწველთა ყრილობის საქმიანობის გაგრძელება სამრეწველო რაიონის ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად, თუმცა მან მოასწრო ცენტრალური ელექტროსადგურის აშენება ჭიათურაში. ყრილობის საბჭომ მოაწყო ჭიათურის ელექტროგანათება, გამართა ტელეფონის ადგილობრივი ქსელი. მაგრამ სატელეფონო ხაზით ჭიათურა არ იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ცენტრებთან — ქუთაისთან, ფოთთან და ბათუმთან. ამავე დროს თვით მრეწველთა ყრილობის საბჭოს რეზიდენციას ქუთაისი წარმოადგენდა, ხოლო მადნის საექსპორტო ნავსადგურებს ფოთი და ბათუმი, რის გამო დასახელებულ ქალაქებთან ჭიათურას ინტენსიური სატელეფონო კავშირი ძლიერ ესაჭიროებოდა*. ეს საკითხი განიხილა მრეწველთა XIV ყრილობამ (1911 წ.) და იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რათა მას თავს ედო ტელეფონის მოცემული ხაზების გამართვა. ხაზინამ ეს მოთხოვნა მხოლოდ 1913 წელს შეიწყნარა, ხოლო მის განხორციელებას ხელი შეუშალა I მსოფლიო ომის დაწყებამ.

ჯერ კიდევ მრეწველთა V ყრილობამ განიხილა საკითხი ე. წ. „ნაფიც მწონავთა“ ინსტიტუტის დაარსებისა, რაც ფაქტიურად 1908 წლიდან გადაიკრა ნაწილობრივ. ამ ღონისძიებას რამდენადმე გადაჭარბებულ შეფასებას აძლევდა ყრილობის საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვა-

---

[10] Труды XV очередного съезда марганцепромышленников, К., 1913, გვ. 196.

* მისი რეზიდენცია მხოლოდ 1918 წელს გადავიდა ქუთაისიდან ჭიათურაში. უფრო ზუსტად მრეწველთა XXI- ყრილობის გადაწყვეტილებით საბჭოს კანტორა ქუთაისიდან თბილისში გადავიდა, ხოლო ჭიათურაში დაარსდა საბჭოს საქმეთა სამმართველო.

ნელი, ს. წერეთელი, როცა წერდა: „სკიდკისა“ და „სიროსტის“ მოსასპობად შემოღებულ იქნა ე. წ. „სასწორთა კონტროლი“. რაიონში დაკანონებულ ყაჩაღობას ადგილი აღარ აქვს“[11]. სინამდვილეში ამ ღონისძიებამ მხოლოდ შეანელა მადნის მწონავთა ძალმომრეობა. მრეწველთა ყრილობამ და მისმა საბჭომ ხანგრძლივი და ენერგიული მუშაობა აწარმოვა ადგილობრივ მრეწველთა გასაერთიანებლად. მადნის უცხოელ შემსყიდველ-ექსპორტიორთა მოქმედების შესაზღუდავად და სამრეწველო რაიონში უცხოური კაპიტალის მოძალების მოსაგერიებლად, მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია ცდილობდა შეეკავშირებია ადგილობრივი მეწარმენი, შეექმნა მათი სავაჭრო, აგრეთვე სინდიკატისა და სააქციო საზოგადოების ტიპის სამრეწველო გაერთიანებანი და ამხანაგობანი, რათა განემტკიცებინა ადგილობრივი სამრეწველო კაპიტალის პოზიციები წარმოებაში; უზრუნველეყო მოპოვებული მადნის მომგებიან პირობებში კოლექტიურად გასაღება — ადგილზე ან, უკეთეს შემთხვევაში, საერთაშორისო ბაზრებზე. მრეწველთა II ყრილობამ (1897 წ.) განიხილა მოპოვებული მადნის ექსპორტის კოლექტიურად ორგანიზების მიზნით სინდიკატის დაარსების საკითხი. სინდიკატს უნდა მოეპოვებია შემცირებული ტარიფით სარგებლობის პრივილეგია. ეს შეღავათი ხაზინამ არ დაუშვა და წამოწყება ჩაიფუშა. შემდეგში ყრილობის საბჭოს ინიციატივით ჩამოყალიბდა სხვადასხვა გაერთიანება: ე. წ. სინდიკატი „შავი ქვა“, „კავშირი“, „მრეწველობა“, სააქციო საზოგადოებანი და სხვ.

მაგრამ, უცხოური სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის წინააღმდეგ კოლექტიურად მოქმედების ეს ცდები წარმატებით ვერ წარიმართა. ხელშემშლელ მიზეზებს შორის აღსანიშნავია დაქსაქსულად, ერთპიროვნულად მოქმედ მეწარმეთა ინტერესების სხვადასხვაობა, მათ ხელთ არსებული საბრუნავი კაპიტალის სიმცირე, ასევე მწერველობის მოცემულ დარგთან დაკავშირებული უცხოური კაპიტალის მოხერხებული მოქმედება ადგილობრივ მეწარმეთა გაერთიანებების, მეტადრე სინდიკატის მოსასპობად.

ზემოჩამოთვლილი ღონისძიებებით ყრილობა, თავის შესაძლებლობის ფარგლებში, მრეწველობისათვის გარკვეულ სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა. ის მიზნად ისახავდა წარმოებისა და მადნის გადაზიდვის საშუალებათა „ევროპულად მოწყობას“ ცდილობდა „ეროვნული სული ჩაებერა მარგანეცის მრეწველებისათვის“[12]. ყრილობა გარკვეულ გავლენას ახდენდა მრეწველობის წინსვლაზე, მასში ეროვნული ბურჟუაზიის როლის ზრდა-განმტკიცებაზე.

---

[11] ს. წერეთელი, დასახ. ნარკვევი, გაზ. „საქართველო“, 1920, 29 იანვარი, № 20.
[12] იქვე.

ბ. მუნიციპალური საქმიანობა

ყრილობამ გარკვეული მუნიციპალური მოღვაწეობა გაშალა, — ხელი შეუწყო სამრეწველო რაიონის ცენტრის — ჭიათურის უკეთ მოწყობას. ეს სოფელი მარგანეცის მრეწველობის გარიჟრაჟზე მცირე, მივარდნილ დასახლებას წარმოადგენდა. მრეწველობის ზრდამ და ვიწროლიანდაგიანი გზით ამიერკავკასიის მაგისტრალურ რკინიგზასთან დაკავშირებამ ძლიერ გამოაცოცხლა ცხოვრება ჭიათურაში. ამის შემდეგ სამრეწველო აუზში მოპოვებული მადანი (თვით მდ. ყვირილას მარცხენა სანაპიროს — ითხვისის, შუქრუთისა და პერევისის ზეგნებზე მოპოვებულიც) თითქმის მთლიანად ჭიათურის გზით მიემართებოდა; ამ გზითვე შემოდიოდა მაღაროთა გასამაგრებელი ხე-ტყე, სამუშაო იარაღები, ტექნიკური მოწყობილობა, სურსათი, ფურაჟი და სხვ. ჭიათურაში მალე გაცხოველდა აღებ-მიცემობა, ჩაისახა და თანდათან გაფართოვდა უამრავი, მრეწველობის დამხმარე სახელოსნოები, გაიხსნა სხვადასხვა სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულება, მრეწველთა „კანტორები", მადნის დასაწყობი ფარდულები, ბაქნები, საცხოვრებელი სახლები, სატრანსპორტო საქონლის სადგომები და სხვ. აქ დასახლდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხიდან, რუსეთიდან და უცხო ქვეყნებიდან მოსული ვაჭრები და მრეწველები, ტექნიკური პერსონალი, მოსამსახურეები, მუშები.

დაბა ჭიათურა მხოლოდ 1917 წელს გამოცხადდა ქალაქად. მთავრობის დახმარების მოიმედე მრეწველთა ყრილობა სოფ. ჭიათურის ქალაქის ტიპის დასახლებად გადაქცევის შუამდგომლობების აღძვრას არ დაჯერებია. ყრილობის სახსრებით ჭიათურაში მოეწყო გზები, ქუჩები, ხიდები, სასწავლებლები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, მუშათა თეატრი, იაფფასიანი სასადილო, აბანო, წყალსადენი, საკანალიზაციო სისტემა, ნავთით და მერე, 1907 წლიდან, ელექტროგანათება, ტელეფონი და სხვ.[13]. ქუჩების კეთილმოწყობა 1901 წლიდან დაიწყო. კეთილმოწყობილი აბანო 1901 — 1902 წლებში აშენდა. პირველი სათეატრო დარბაზი 1899 წელს მოეწყო კერძო სახლში, ხოლო 1906 წლიდან მუშათა თეატრი ახალ შენობაში გადავიდა. 1907 წელს საქალაქო სასწავლებელს გადაეცა კაპიტალური შენობა. გარდა ამისა, ყრილობის საბჭომ შეიძინა და ააშენა მრავალი კაპიტალური შენობა, მათ შორის კანტორის, სარემონტო სახელოსნოს, ტენიკური ბიუროს, ცენტ-

---

[13] იხ. Статистика чиатурского населения по переписи произведенной статистическим бюро Совета съезда Шорапанских марганцепромышленников 18—20 января 1903 года. К., 1905 г. სსსა, ფონ. 417, ანაწ. 8, საქ. 3, ფურც. 56—58; ფონ. 417, ანაწ. 1, საქ. 272, ფურც. 7—8.

რალური ელსადგურისა და სხვ. გაიხსნა მომრიგებელი სასამართლო, სახელმწიფო ბანკის განყოფილება, ურთიერთდამკრედიტებელი ამხანაგობის კანტორა და სხვ. ჭიათურა ფაქტიურად პატარა ქალაქად და სამრეწველო რაიონის ნამდვილ ცენტრად იქცა. მრეწველთა ყრილობის საბჭოს ამგვარ საქმიანობას ზღუდავდა საჭირო სახსრების ნაკლებობა; ამის მიუხედავად, მის მუნიციპალურ მოღვაწეობას უდავოდ ჰქონდა მნიშვნელობა ჭიათურისა და მთელი სამრეწველო რაიონისათვის.

გ. მრეწველთა ყრილობა და მუშათა საკითხი

მრეწველთა ყრილობის საქმიანობაში შეინიშნება სამრეწველო რაიონის მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების რიგი ცდები, — სახსრების გამონახვა მუშათა სამედიცინო მომსახურებისათვის, სანიტარული დაწესებულებების მშენებლობისათვის, მუშათა დაზღვევის მოსაწესრიგებლად. სამრეწველო რაიონში მუშათა კონტინგენტი თანდათან ივსებოდა და XIX ს. მიწურულს აქ მუშათა მრავალეროვანი რაზმი არსებობდა. მისი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები თავიდანვე აუტანელი იყო. სამრეწველო რაიონში მუშათა უკმაყოფილების გაძლიერებისა და რევოლუციური გამოსვლებისათვის პირობები მწიფდებოდა; წამოიწყო მუშათა სპორადული ეკონომიური ხასიათის გამოსვლები. ბურჟუაზიულ წარმომადგენლობით ორგანიზაციას არ შეეძლო ამისათვის ანგარიში არ გაეწია. ამიტომ მრეწველთა III ყრილობაზე დასმულ იქნა მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა და მათი დაზღვევის საკითხი. ყრილობამ გადაწყვიტა კვირაობით მუშათა დასვენება, მათთვის ხელფასის შაბათობით დარიგება, რაც ადრე კვირაობით ხდებოდა, ასევე მუშებისათვის მაღაროებში იაფფასიანი სასადილოების დაარსება და სხვ. მან მიიღო გადაწყვეტილება სამთო მუშათა დაზღვევის შესახებ, რაც ითვალისწინებდა შესაფერისი ფონდის შექმნას ნახევარკაპიკიანი საფუთო გამოსაღებისაგან.[14] მაგრამ, ეს ასე არ გატარდა. ყრილობის საბჭოს მოლაპარაკების შედეგად მუშათა დაზღვევა თავს იდო კერძო სადაზღვევო საზოგადოებამ — „როსიამ", მაგრამ, მის მიერ შემოთავაზებული პირობები მუშებისათვის ხელსაყრელი არ აღმოჩნდა. მრეწველთა V ყრილობამ კვლავ განიხილა ეს საკითხი, — მოხსენებით გამოვიდა ყრილობის საბჭოს წევრი — ი. ნიჟარაძე, რომელმაც აღიარა, რომ

---

[14] Труды III съезда марганцепромышленников, К., 1901, გვ. 19.

დაზღვევის ის პირობები, რომელიც „როსიამ“ შეიმუშავა და რომლის საფუძველზე 1900—1902 წლებში დაზღვეულ იქნა მარგანეცის მაღაროთა მუშები, მეტისმეტად არახელსაყრელია მუშებისათვის. მოცემულ წლებში, 30 უბედური შემთხვევისას, დაზღვევით განკუთვნილი დახმარება მარტო 6 მუშას მიუღია და ისიც მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით. ასე მაგალითად, მუშას, რომელსაც ფეხი მოტყდა და ინვალიდი გამხდარა, „როსიასგან“ მიუღია მხოლოდ 150 მანეთი, ხოლო უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპული მუშის ოჯახს მხოლოდ 500 მანეთი[15].

ამის გამო მომხსენებელმა მოითხოვა „როსიას“ მეოხებით მუშათა დაზღვევის გაუქმება და საამისოდ სხვა გზის დასახვა. ამის წინააღმდეგ გამოვიდა, ერთი მხრივ. გ. ზდანოვიჩი, ხოლო, მეორე მხრივ, გ. ემერიკი, რომლებიც საქმისადმი უზრუნველობას იმით ამართლებდნენ, რომ 2 წელი საკმარისი არაა „როსიას“ მეშვეობით დაზღვევის პირობების ავკარგიანობის დასადგენად და იშუამდგომლეს საქმის გამოსარკვევად კომისიის გამოყოფა და მისი მოხსენების განხილვა მომდევნო ყრილობაზე[16]. ამის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა წვრილ მრეწველთა ოპოზიციამ, რომელმაც საკითხის გადაწყვეტაში ცვლილების შეტანას ვერ მიაღწია[17]. ხელშეკრულებით „როსიას“ მიერ მუშათა დაზღვევის ვადა მხოლოდ 1904 წლის 22 თებერვალს მთავრდებოდა და ის უცვლელი დარჩა. მუშათა დაზღვევის საქმე სავალალო მდგომარეობაში დარჩა. ამასთანავე მოცემულ პერიოდში, ე. ი. 1905 წლის რევოლუციის წინა ხანებში, ჭიათურაში, როგორც დავინახეთ, აქტიური და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა რსდმ პარტიის კავკასიის კომიტეტის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა, გაძლიერდა მუშათა შორის მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდა, ჩამოყალიბდა მუშათა წრეები. ჭიათურაში ჯერ კიდევ 1902 წლის ივლისში მოეწყო მუშათა პირველი მძლავრი გაფიცვა. მუშები გამოვიდნენ პოლიტიკური თავისუფლების, შრომის, ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და ხელფასის მომატების მოთხოვნით. მოცემულ პერიოდში მუშათა მძლავრი რევოლუციური მოძრაობა გზას იკაფავდა თითქმის მთელ რუსეთში, სადაც იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია მწიფდებოდა. ასეთ ვითარებაში ცბიერმა მეფის მთავრობამ გადაწყვიტა მებრძოლი პრო-

---

[15] Труды III съезда марганцепромышленников, გვ. 19; ЦГИАЛ, ф. 37, оп. 74, д. 348, л. 278.

[16] Труды III съезда გვ. 13.

[17] იქვე, გვ. 18.

ლეტარიატის „დამშვიდება“, მეწარმეთა და მუშათა ურთიერთობაში ჩარევა, — 1903 წლის 2 ივნისს მან მიიღო კანონი „მუშა დაზღვევის შესახებ“[18]. კანონის ძალით იზრდებოდა მეწარმის პასუხისმგებლობა და უბედური შემთხვევისას დაშავებულ მუშაზე გასაცემი თანხის ოდენობა, რის გამო ჰიათურის მარგანეცის მრეწველთა V ყრილობამ უარი თქვა სამთო მუშათა დაზღვევაზე[19]. „საქმე იმაშია, — განმარტავდა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი, — რომ 2 ივნისის კანონმა ძლიერ დააშინა სადაზღვევო ორგანიზაციები, რომლებიც ან უარს ამბობენ დაზღვევაზე ან აწესებენ მაღალ განაკვეთს“[20]. მარგანეცის მრეწველთა VI ყრილობამ (1904 წ.) კვლავ განიხილა სამთო მუშათა დაზღვევის საკითხი. მან ცნობად მიიღო, რომ „როსიას“ მეშ-

---

[18] 1903 წლის 2 ივნისის კანონი ეხებოდა საფაბრიკო, სამთო და სამთო-საქარხნო მრეწველობის მუშებს. კანონით უბედური შემთხვევისას მუშას გასამრჯელო ეძლეოდა თუ იგი 3 დღეზე მეტი ხნით დაკარგავდა შრომის უნარს. მეწარმე მხოლოდ მაშინ თავისუფლდებოდა სადაზღვევო თანხის გადასახადისაგან, თუკი ის დამტკიცებდა, რომ უბედური შემთხვევა განზრახ ან მუშის უხეში დაუდევრობით მოხდა. მუშის სიკვდილის შემთხვევაში მეწარმე ვალდებული იყო: 1) გადაეხადა გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯი, უკანასკნელის ასაკის შესაბამისად — 15-დან 30 მანეთამდე; 2) ყოველწლიურად გაეცა გარდაცვლილის ოჯახზე პენსია ყოფილი მუშის ხელფასის $^2/_3$-ს რაოდენობით. მუშის დასახიჩრების შემთხვევაში მრეწველი მოვალე იყო: 1) აღმოეჩინა მისთვის უსასყიდლო საექიმო დახმარება ან აენაზღაურებინა მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები, 2) მკურნალობის პერიოდში მუშისათვის მიეცა მისი საშუალო ხელფასის ნახევარი, 3) დაზარალებულის მიერ შრომის უნარის სრულად დაკარგვისას — მიეცა მისთვის ყოველწლიურად პენსია, ხელფასის $^2/_3$-ს რაოდენობით, ხოლო შრომის უნარის ნაწილობრივი დაკარგვისას შესაბამისი წლიური პენსია ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ან კიდევ პენსია მიეცა ერთდროულად 10-მაგი ოდენობით. პენსიის გაცემის საქმის მოსაწესრიგებლად და რეგლამენტაციისათვის პროფესიონალური მუშის წლიური ხელფასის ოდენობად დადგინდა 260 მანეთი, შავი მუშის წლიური ხელფასი უნდა განესაზღვრა საფაბრიკო-საქარხნო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს.

მეწარმისა და დაზარალებული მუშის შეთანხმება პენსიის თაობაზე ძალაში შედიოდა მხოლოდ საფაბრიკო ინსპექციის ან საოკრუგო სამთო ინჟინრის მიერ დამტკიცების შემდეგ. თუკი სამრეწველო დაწესებულება დახურვას ექვემდებარებოდა, მის მეპატრონეს ხანდაზმული მუშა უნდა დაეზღვია სადაზღვევო ან საბანკო დაწესებულებაში. თუკი საწარმო მემკვიდრეობით გადაიცემოდა მუშის დაზღვევის მოვალეობაც მემკვიდრეზე გადადიოდა.

უბედურ შემთხვევათა აღრიცხვა ხდებოდა საამისოდ შემოღებულ წიგნში. მეწარმე, რომელსაც ეს წიგნი არ აღმოაჩნდებოდა, ჯარიმდებოდა 25-დან 100 მანეთამდე. ასეთი იყო, მოკლე ხაზებში, 1903 წლის 2 ივნისის კანონის არსი (დაწვრ. ს. Труды VII съезда Шорапанских марганцепромышленников. К., 1901, зз. 14—16.

[19] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 72, д. 138, л. 178.

[20] იქვე.

ვეობით დაზღვევის ვადა მთავრდება და შეიმუშავა მუშათა დაზღვევის პირობები, რომლის თანახმად სადაზღვეევო თანხის $^1/_{10}$ ნაწილს იხდიდა მეწარმე, რომელთანაც უბედური შემთხვევა მოხდებოდა, ხოლო $^9/_{10}$ ნაწილს ყრილობის საბჭო საფუთო გამოსაღებიდან საამისოდ 30 ათასი მანეთის გამოყოფით[21]. სამთო მუშათა დაზღვევის საქმე არც ამ გადაწყვეტილებით მოწესრიგებულა. ეს აღიარა გ. ზდანოვიჩმა მრეწველთა VIII ყრილობაზე პენსიების თაობაზე გაკეთებულ მოხსენებაში, სადაც დაასაბუთა, რომ ბევრი მრეწველი კვლავაც არ ასრულებს VI ყრილობის გადაწყვეტილებას და რომ მრეწველები დაზარალებულ მუშებს ქრთამს სთხოვენ საბჭოში დაზღვევის თანხის $^9/_{10}$ ნაწილის მისაღებად წარსადგენი ცნობების გაცემისათვის. 1905 წელს რევოლუციამ მთელ საქართველოში და, კერძოდ, ჭიათურაში უმაგალითო გაქანებას მიაღწია. ასეთ ვითარებაში მრეწველთა VIII ყრილობა იძულებული გახდა განეხილა მუშათა საკითხი. აქ საგანგებოდ აღინიშნა, რომ ახალი კანონმდებლობით მუშათა დაზღვევის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მეწარმეს, რომელიც ვალდებულია გაიღოს პენსიისათვის განკუთვნილი თანხა. აღიარებულ იქნა, რომ „დაშავებულ მუშათა უზრუნველყოფის საქმე ცუდადაა დაყენებული, კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა მუშაობის უსაფრთხოების წესების დაცვის მხრივ"[22]. ყრილობამ კვლავ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად პენსიას იძლეოდა მრეწველთა საბჭო, იმ მეწარმეთა ხარჯზე, რომელთა საბადოშიც უბედური შემთხვევა მოხდებოდა. არც ეს გადაწყვეტილება გატარებულა ცხოვრებაში. შემდეგში მრეწველთა ყრილობამ დაადგინა, რომ ის თვითონ გაიღებდა 30 ათას მანეთს მუშათა დასაზღვევად, მაგრამ იმ პირობით, რომ გადასახდელი თანხის 50%-ს მრეწველი გაიღებდა. საქმე არც ამით მოწესრიგდა. ეს აღიარა მრეწველთა IX ყრილობამ (1907 წ.), რომელმაც სცნო, რომ მუშათა დაზღვევის საქმეში ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას, რომ ის პირი, რომელიც მოვალეა აწარმოოს მუშებზე პენსიების გაცემა „დახმარების მაგიერ უბედური შემთხვევებით დასახიჩრებულ მუშებს ართმევს იმ თანხის ნაწილს, რომელსაც ისინი პენსიის სახით იღებენ"[23]. ამავე ყრილობაზე (სარევიზიო კომისიის ოფიციალურ ანგარიშში) მუშათა დაზღვევის თაობაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ „პენსიისათვის გამოყოფილი 60 ათასი მანეთიდან დანიშნულებისამებრ არ დაიხარჯა 40 ათასზე მეტი"[24]. მრეწველთა XIII ყრი-

---

[21] Труды VI съезда... Марганцепромышленников, К., 1904, გვ. 47—49.
[22] Труды. VIII съезда... марганцепромышленников, К., 1906, გვ. 45.
[23] Труды IX и X съездов... марганцепромышленников, К., 1908, გვ. 38.
[24] Труды IX и X съездов... გვ. 38.

ლობამ, რომელმაც აღიარა უბედურ შემთხვევათა ყოველწლიური ზრდა,[25] სცნო რომ წარმოებაში დაშავებულ-დაზარალებულ მუშებზე 1908 წლის 1 იანვრისათვის გაუცემელი თანხის საერთო ოდენობა 130 000 მანეთს უდრიდა[26]. მეწარმენი გაურბოდნენ უბედური შემთხვევებისას დაშავებულთათვის თუ დაღუპულთა ოჯახებისათვის კანონით დადგენილი მცირედი სადაზღვევო თანხის გადახდასაც. ასე მაგალითად, 1910 წელს ქუთაისის გუბერნიის საფაბრიკო და სამთო-საქარხნო საქმეთა საგანგებო საკრებულომ სპეციალურად განიხილა მეწარმეთა — ვ. მოდებაძის, კ. მასხარაშვილის. პ. ქუთათელაძის, გ. გუჯეჯიანის, ფრანგული ანონიმური სამრეწველო და კომერციული საზოგადოების რწმუნებულ ნ. ვოტრენის და სხვათა მიერ უბედური შემთხვევებისას დაშავებული მუშებისათვის კანონით განკუთვნილი თანხის გადაუხდელობის საკითხი, — ისინი დაავალდებულა გაესტუმრებინათ მუშები და თანაც დააჯარიმა კანონის დარღვევისათვის[27]. სამთო მუშათა დაზღვევის მდგომარეობას არსებითი გაუმჯობესება მომდევნო წლებშიც არ განუცდია[28]. ჯერ ერთი, მეწარმენი გაურბოდნენ დაშავებულ მუშებზე პენსიის გაცემას; მეორეც, ყრილობის საბჭო მუშებს დაზღვევის განკუთვნილ თანხას თავის დროზე იშვიათად აძლევდა, ისიც ქრთამის მიღების გარეშე; მესამეც, როგორც ამას აღიარებს მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე, წვრილი მეწარმენი იშვიათად იხდიდნენ ამ თანხას[29]. ამრიგად, სამთო მუშათა დაზღვევის საქმე ჭიათურაში ფაქტიურად მოუწესრიგებელი დარჩა, ხოლო მოპოვებული მადნის გადაზიდვასა და მრეწველობის დამხმარე დარგებში დასაქმებული რამდენიმე ათასი მუშის დაზღვევის საკითხი არც დასმულა მთელ რევოლუციამდელ ხანაში.

მრეწველთა V ყრილობამ განიხილა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხი, საქმის შესასწავლად და ღონისძიების შესამუშავებლად კომისიაც გამოყო, მაგრამ, ამ მხრივ მრეწველთა ყრილობის მონაწილეობით არსებით ძვრებს ადგილი არ ჰქონია; თუმცა, მეწარმეთა ნაწილმა საკუთარი სახსრებით მაღაროებში ააშენა ქვიტკირის საცხოვრებელი სახლები და ხის ყაზარმები. ყრილობამ ცხოვრებაში ვერ გაატარა თავისი გადაწყვეტილებები მაღაროებში იაფფასიანი სასადილოების გახსნაზე, აბანოების აგებაზე და სხვ. ამ მიმართულებით მან მხოლოდ წამოიწყო ზრუნვა. 1905 წელს ასეთი სა-

[25] Труды XIII съезда... К., 1910, გვ. 104.
[26] ◦ქ ვ ე.
[27] ქსსა, ფონ. 39, საქ. 15, ფურც. 3—9.
[28] იხ. Труды XIII съезда... марганцепромышленников, К., 1910, გვ. 104.
[29] ЦГИАЛ; ф. 37, оп. 72, д. 138, л. 178.

სადილო გახსნა ჭიათურაში, 1906 წელს ჭიქოურში.[30] მრეწველთა ყრილობამ გარკვეული ზრუნვა გამოიჩინა მუშათა საექიმო მომსახურებაზე. მრეწველთა ყრილობის საბჭომ სოფ. ჭიათურაში 1897 წელს გახსნა საავადმყოფოს ტიპის საექიმო პუნქტი 6 საწოლითა და პატარა აფთიაქით. მას ჯერ მაზრის ექიმი ემსახურებოდა, ხოლო შემდეგ საბჭოს მიერ სპეციალურად მოწვეული ექიმი. მრეწველთა III ყრილობამ გადაწყვიტა ეშუამდგომლა გუბერნიის ადმინისტრაციის წინაშე ჭიათურის ქსენონის ყრილობის საბჭოსათვის გადაცემაზე. ის დაპირებას იძლეოდა, რომ ქსენონს გადააკეთებდა 50—60-საწოლიან საავადმყოფოდ[31]. თუ რაოდენ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა სამრეწველო რაიონის სამედიცინო მომსახურება, ამას მოწმობს იქ არსებული ქსენონის დათვალიერების აქტი, შედგენილი, სამთო ოკრუგის ინჟინრის ბ. მაკოვსკის მიერ. აქტში ვკითხულობთ: «Осматривал 25 февраля 1900 года приемный покой Шорапанских марганцевых промыслов, при чем оказалось: пять комнат содержатся без всякого ремонта, печи растрескались до такой степени, что дымят при всякой топке; вентиляции нет никакой; воздух крайне тяжелый, имеется шесть кроватей приблизительно на 2 тысячи пятьсот горнорабочих; если же принять в соображение и возчиков, то не менее, как на 4000 рабочих; на кроватях и то не на всех, соломенные матрасы, видимо, долго непеременяемые и не очищаемые; по заявлению фельдшера Пулария, в течении трех месяцев существует такое положение без перемен, вследствие неимения запасных чехлов, которых имеются в наличности всего три на шесть кроватей: в одной комнате на полу в своей одежде лежал умерший рабочий, покрытый одеялом; в двух комнатах лежали рабочие больные... все без подушек, без простыни и без одеял; аптека далеко не полная; хирургические инструменты в негодном состоянии... больные, за неимением белья и невозможности принять ванну, укладываются на кровати в том грязном виде, в каком они приходят с рудничных работ; приходящих больных бывает до 25 человек в день, в среднем, в летнее же время число это достигает восьмидесяти человек; за неимением места ежедневно приходится отказывать в приеме больных».[32]

ასეთ, უკიდურესად მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა სამრეწველო რაიონის სამკურნალო დაწესებულება, რომელიც 1901 წლამდე გუბერნიის სამედიცინო სამსახურს ექვემდებარებოდა. მას განაგებდა მაზრის ექიმი, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესაბამისად, ჭიათურაში კვირაში მხოლოდ ორჯერ მოდიოდა, ხოლო ყრილობის

---

[30] Труды IX и X съездов, გვ. 42.

[31] Труды III съезда, გვ. 73.

[32] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л. 36—37.

საბჭოს ექიმი — ერთხელ. ყრილობის საბჭო 1901—1902 წლებში სამედიცინო მომსახურებისათვის წლიურად ხარჯავდა მხოლოდ 2500 მანეთს. მრეწველთა ყრილობის გადაწყვეტილებით საბჭოს უნდა შეეძინა სახლი საავადმყოფოსათვის, მაგრამ, როგორც V ყრილობაზე გამოირკვა, მან ეს არ გააკეთა. მომდევნო წლებში მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა. საავადმყოფოსათვის კეთილმოწყობილი სახლი აიგო; ყრილობის ხარჯზე არსებულ საავადმყოფოს 1905—1907 წლებში 26 თანამშრომელი ემსახურებოდა. აქედან 2 ექიმი იყო და 5 ფერშალი. მაგრამ, საავადმყოფოს მოვალეობას მხოლოდ სამთო მუშების მომსახურება შეადგენდა, ხოლო სამრეწველო რაიონის სხვა, ათასობით მუშები ამ მხრივაც სავსებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მრეწველთა ყრილობის საბჭომ 1909 წლიდან 4 საფერშლო პუნქტი გახსნა საბადო ზეგნებზე[33]. საავადმყოფოს მოსამსახურე პერსონალი შეივსო, ჩამოყალიბდა სამედიცინო-სანიტარული, ასევე სანიტარულ-ვეტერინარული განყოფილება და სხვ.[34]. როგორც ვხედავთ, ყრილობამ გარკვეული ღონისძიებები გაატარა სამრეწველო რაიონის სამედიცინო მომსახურებისათვის, მაგრამ მან ვერ შეძლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მშრომელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებული იყო სამედიცინო მომსახურებას.

ყრილობის მიერ ე. წ. „მუშათა საკითხის“ დასმა და გარკვეული ღონისძიებების გატარება სამრეწველო რაიონის მუშათა რევოლუციური ბრძოლის გაძლიერების საპასუხო ღონისძიებას წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა „მუშათა დამშვიდებას“.

დ. ღონისძიებანი სახალხო განათლების გასავრცელებლად

ყრილობამ და მისმა საბჭომ გარკვეული ნაბიჯი გადადგა მრეწველობის მოცემული დარგისათვის სამთო-ტექნიკური კადრების მოსამზადებლად და სამრეწველო რაიონში განათლების გასავრცელებლად. მრეწველთა II ყრილობამ ჭიათურის სასულიერო სამრევლო სკოლის შესანახად ყოველწლიურად 600 მანეთის გაღება დაადგინა. ჭიათურასა და ქუთაისში (ყრილობის საბჭოს შენობაში) გაიხსნა საერთო სარგებლობის სამკითხველო. მრეწველთა III ყრილობამ სამთო სკოლებში მოსწავლეთათვის სტიპენდიების დანიშვნა გადაწყვიტა. დაბალი ტიპის სამთო სასწავლებლების მოსწავლეებს

---

[33] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, л .27, 67, 68.

[34] Труды XV (очередного) съезда марганцепромышленников, К., 1913, зз. 54—57.

დაენიშნათ თითოს 300—500 მანეთი წელიწადში,[35] ხოლო უმაღლესი სამთო სასწავლებლის ერთ მოსწავლეს 800— მანეთი. 1905—1906 წლებში საბჭო სტიპენდიების ხაზით იხდიდა 30 000 მანეთს. მას სულ ჰყავდა 166 სტიპენდიანტი: 78 სტიპენდიანტი — დაბალი ტიპის სასწავლებელში, 61 — საშუალო ტიპისა, ხოლო 27 — უმაღლეს სასწავლებელში. საბჭოს სტიპენდიანტები სწავლობდნენ დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ჩვენში, რუსეთში და უცხოეთში. ისინი იყვნენ:

ცხრილი 13[36]

წელი	სასწავლებლები				სულ
			უმაღლესი		
	დაწყებითი	საშუალო	რუსეთში	უცხოეთში	
1905	25	62	11	11	112
1906	48	74	—	17	139
1907	37	50	13	14	114
1908	23	45	12	12	92
1909	29	74	11	10	124
1910	25	67	21	7	120
1911	13	60	22	5	100
1912	10	51	12	1	74
1913	5	43	19	2	60
1914	3	62	12	2	79
1915	1	47	—	—	48
სულ	219	538	133	81	1,071

საბჭო მრავალ მოსწავლეს ეხმარებოდა; მისი სტიპენდიით რამდენიმე ასეული ახალგაზრდა გაიზარდა ადგილობრივ, რუსეთისა და უცხოეთის სხვადასხვა სასწავლებელში[37]. ყრილობის საბჭო შეუდგა საკვირაო სკოლის, სახალხო სამკითხველოსა და სახალხო თეატრის დაარსებას. მალე გაფართოვდა ჭიათურის დაწყებითი სასწავლებელი და სამკითხველო. ახალი სამკითხველო დაარსდა ჭიქოურში, საკვირაო სკოლა და თეატრი — ჭიათურაში[38]. ჩამოყალიბდა „ჭიათურის საზოგადოებრივი კრება", რომლის წესდება 1904 წლის 9 მარტს დაამტკიცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. კრების მიზანი იყო მუსიკისა და დრამატული ხელოვნების მოყვარულთა გაერთიანება. ამასთანავე მას —

[35] Труды XV (очередного) съезда марганцепромышленников, გვ. 8.

[36] სსსა, ფონ. 417, ანაწ. 7, საქ. 44, ფურც. 80—82; ელ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 382.

[37] იხ. ს. წერეთელი, დასახ. ნარკვევი, „საქართველო", 1920, 29 იანვარი, № 20.

[38] Отчет о деятельности Совета съезда за 1905 и 1906 гг., К., 1907. გვ. 43.

ვკითხულობთ წესდებაში, — ხელი უნდა შეეწყო ადგილობრივი მოსახლეობის ესთეტიკური გემოვნების გამომუშავება-განვითარებისათვის. კრებას უნდა მოეწყო მუსიკალური და ლიტერატურული საღამოები, წარმოდგენები, კონცერტები, მასკარადები, საოჯახო და საცეკვაო საღამოები და სხვა,—„კანონით ნება დართული გართობები“. პოლიციის კონტროლის ქვეშ.[39] სინამდვილეში ამგვარი ღონისძიებების გატარებას, მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში, მთავრობის ორგანოები წარმართავდნენ მთელ იმპერიაში. მათი გატარებით ცარიზმი ცდილობდა მუშებზე იდეური გავლენის მოხდენას, ესწრაფვოდა მუშათა შორის თვითმპყრობელურ-მონარქისტული და ლიბერალურ-ბურჟუაზიული იდეების გავრცელებას[40]. 1904 წელს გაიხსნა ჭიათურის საქალაქო სასწავლებელი. ამ სასწავლებლისათვის 1906 წელს აიგო ახალი შენობა, რაც დაჯდა 14 240 მანეთი. საქალაქო სასწავლებელი 1906 წელს ექვსკლასიანი იყო. ამავე წელს სასწავლებელთან გაიხსნა ერთკლასიანი დაწყებითი სკოლა. საკვირაო სკოლაში სამი ჯგუფი იყო: პირველი წერა-კითხვის უცოდინართათვის, მეორე ქართულად წერა-კითხვის მცოდნეთათვის, მესამე — ქართულად და რუსულად წერა-კითხვის მცოდნეთათვის. ამ სკოლაში ირიცხებოდნენ მოსწავლეები 12-დან 40 წლის ასაკამდე. მოსწავლეთა 38%-ს მუშები შეადგენდნენ. დაწყებითი და საკვირაო

ცხრილი 3[41]

სასწავლებლების დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა წლების მიხედვით			
	1911	1912	1913	1914
ჭიათურ-ს საქალაქო სასწავლებელი	209	264	278	—
ჭიათურის ვაჟთა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი	—	—	—	294
ჭიათურ ს დაწყ ბითი სასწავლებელი	178	175	—	241
ქალთა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი	—	—	39	48
ჭიათურის ქალთა დაბალი დაწყებითი სასწავლებელი	—	—	145	157
სამთო-ტექნიკური განყოფილება (ვაჟთა უმაღ. დაწ-ყებითი სასწავლ.)	—	—	—	35
შუქრუთის დაწყებითი სასწავლებელი	—	—	157	140
მღვიმევის „ „	—	—	134	133
ზედა რგანის „ „	—	—	88	85
ჭიათურის ბერძნების ერთკლასიანი სასწავლებელი	—	—	84	102

[39] ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 187 д. 384, 1801 — 1904 гг. л. 32

[40] Л. М. Иванов, Пролетариат и самодержавие: Некоторые вопросы идеологического воздействия царизма на рабочих (Сборник: «Пролетариат России на пути к октябрю 1917 года. Материалы к научной сессии по истории Пролетариата. часть 1, Одесса, 1967, გვ. 75—106).

[41] Отчет о деятельности Совета съезда.. марганцепромышленников за 1913 и 1914 гг., К., 1915, გვ. 37.

სკოლები, ასევე შტეიგერთა კურსები, ყრილობის საბჭოს ხარჯზე არსებობდა.

1911 — 1914 წლებში მრეწველთა საბჭოს ხარჯზე ჭიათურაში შემდეგი სასწავლებლები არსებობდა (იხ. ცხრილი 3).

როგორც ვხედავთ, სამრეწველო რაიონში განათლების ქსელი ფართოვდებოდა.

მრეწველთა ყრილობის საგანმანათლებლო საქმიანობა არა თუ მხარდაჭერას პოულობდა მთავრობის ორგანოებში, არამედ, პირიქით, მოხელეთა და ზოგიერთ არაქართველ სპეციალისტთა გულისწყრომასაც იწვევდა, რის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მრეწველობაში ჩაბმული ქართველი მოღვაწენი. ასე მაგალითად, მრეწველთა V ყრილობაზე ინჟ. ჩერნიავსკის უხამსი გამოსვლის გამო ცნობილმა მოღვაწემ, მარგანეცის მრეწველმა პ. წულუკიძემ პროტესტი გამოთქვა და სამართლიანად შენიშნა: „ჩვენდა საუბედუროდ, მოსული კაცები, უმეტესწილად ისე უგულოდ გვეკიდებიან... რომ კაცს გააკვირვებს მათი საქციელი. ეს არაფერი: მოგვდგებიან და ისევ ჩვენ გვაგინებენ და გვთათხავენ, ჯამბაზობენ და თვალთმაქცობენ... მეტი ქარაფშუტობა იქნება? იმისათვისაც კი ჰკიცხავენ მრეწველთ, რატომ სასწავლებლისა, თეატრისა და წიგნთ-საცავებისათვის ზრუნავენო. დიახ, სავალალოა ასეთი საყვედურები"[42]. სამაგიეროდ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი მხარდაჭერას უწევდნენ და ცხოველი ინტერესით ეკიდებოდნენ მრეწველთა ყრილობის საგანმანათლებლო საქმიანობას. ამ მხრივ ნიშანდობლივია, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილის გამოხმაურება ჭიათურის საქალაქო სასწავლებელთან 1911 წელს სამთო-ტექნიკური განყოფილების გახსნისადმი. გამოჩენილი მოღვაწე და პედაგოგი სიხარულით შეეგება ჭიათურის საქალაქო სასწავლებელთან სპეციალური სამთო-ტექნიკური განყოფილების გახსნას, ამავე დროს შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ დამატებით კლასებში ქართულ ენაზე არც ერთი საგნის სწავლა არ იყო ნავარაუდევი, რომ „თვითონ ქართული ენის და ქართული ლიტერატურის ჭაჭანებაც არ იქნება ამ ახალ კლასებში"[43]. ი. გოგებაშვილი ამ უკულმართობას სახიფათოდ თვლიდა, რადგან შიშობდა, რომ „ეს უკულმართობა გადალახავს ამ სასწავლებლის საზღვრებს და მოარულ ჭირივით სხვა სასწავლებლებსაც გადაედება," რომ „ჭიათურის სატექნიკო სკოლის მაგალითი ჯერ შეარყევს და შეამცირებს ენას სპეციალურ სასწავლებლებში და ბოლოს კი სულ გააქრობს".

დიდი პედაგოგი და პატრიოტი საჭიროდ თვლის „რომ ჭიათურის

---

[42] იხ. „ივერია", 1903, № 11.

[43] ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, თბ., 1955, გვ. 389.

სატექნიკო კლასშიაც უსათუოდ კვირაში რამდენიმე გაკვეთილი დაეთმოს ქართულ ლიტერატურას და იგი ძმურად გვერდში ამოუდგეს რუსულ ლიტერატურას". ი. გოგებაშვილის გამოსვლამ დიდი გამოხმაურება პოვა და მან დისკუსიაც გამოიწვია. ი. გოგებაშვილის გამოსვლას უარყოფითად შეეგება მრეწველთა ყრილობის საბჭო, რომლის სახელით კ. აბაშიძე სამთო-ტექნიკური სკოლიდან ქართულის განდევნას იმით ამართლებდა, რომ მთავრობამ არ ინება ამ სკოლაში ქართულ ენაზე სწავლების დაშვებაო. თავის საპასუხო წერილში ი. გოგებაშვილი საყვედურობს კ. აბაშიძეს, რომ მრეწველთა ყრილობამ სატექნიკო სკოლაში ქართულ ენაზე სწავლების შემოსაღებად მხოლოდ დაბალ ინსტანციებში იზრუნა და არ მიმართა მთავრობის მაღალ ინსტანციებს. ჭიათურის სპეციალური სასწავლებლიდან ქართული ენის განდევნა დიდ პედაგოგს სამწუხარო პრეცენდენტად მიაჩნდა, მით უმეტეს, რომ სხვა სპეციალურ სასწავლებლებში ქართულ ენას გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი. ამის გამო „ჭიათურის ანტიპედაგოგიური სკოლის" დაარსება, საიდანაც ქართული ენა იდევნებოდა, საზიანო საქმედ მიაჩნდა, მით უფრო, რომ ის ხარჯებს მოითხოვდა და შეამცირებდა „იმ ჯამს, იმ რაოდენობას ფულებისას, რომელსაც ჭიათურის საბჭო ხარჯავს სტიპენდიაზედ და სხვა საზოგადო საქმეზედ"[14].

მრეწველთა ყრილობამ, მრავალი სასწავლებელი დააარსა ჭიათურაში და სხვა სოფლებში (მღვიმევი, შუქრუთი, ზედა რგანი), ქალთა კერძო პროგიმნაზია გადააკეთა ქალთა უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად, ხოლო ჭიათურის საქალაქო სასწავლებელი 1914 წლის დამდეგიდან ასევე გადააკეთა უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად, გახსნა ქალთა და ვაჟთა პირველდაწყებითი სკოლები. ყრილობის საბჭო მატერიალურ მხარდაჭერას უწევდა სახალხო კურსებსა და სახალხო უნივერსიტეტს, ბერძნებისა და სომხების სკოლებს ჭიათურასა და ფოთში და სხვ.

ყრილობის საგანმანათლებლო საქმიანობას, ცხადია, გააჩნდა სერიოზული ხარვეზებიც: ის ვერ აკმაყოფილებდა სამრეწველო რაიონის მშრომელთა მოთხოვნილებას სწავლა-განათლებაზე. ასე, მაგალითად, 1910 წელს საქალაქო სასწავლებელს „აუარებელი მთხოვნელი მოაწვა, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო 3/4 უკან გაბრუნდა".[45] ამის მიუხედავად, მის მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა პროგრესული საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე იყო.

---

[44] ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, გვ. 390, 408, 409.

[45] გაზ. „სხივი", 1910, 9 თებერვალი, № 3.

2. საქველმოქმედო საქმიანობა

უნდა შევნიშნოთ, რომ ყრილობის საგანმანათლებლო საქმიანობას ზოლად გასდევს საქველმოქმედო ხასიათი. ამასთანავე მრეწველთა ყრილობებზე მრავალჯერ დაისვა და ზოგჯერ კიდეც განხორციელდა სხვადასხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმის მოსაწესრიგებლად თუ ხელის შესაწყობად თანხების გაღების საკითხი. ამ მხრივ საყურადღებოა, მაგალითად მრეწველთა IX ყრილობა. მისი გადაწყვეტილებით დახმარების სახით თანხები მიეცა: ხონის კერძო გიმნაზიას — 500 მანეთი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას — 2000 მანეთი (რაც უნდა დახარჯულიყო ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შესაქმნელად), ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლას — 1000 მანეთი; სპარსეთის ქართული მოსახლეობისათვის გაღებულ იქნა — 1500 მანეთი, ქართველ მუსლიმანთათვის წიგნების გამოსაცემად — 300 მანეთი.[46] საჩხერის საზოგადოებას ხიდის ასაშენებლად მიეცა 2000 მანეთი, ქუთაისში საშუალო სამრეწველო სკოლის დაწესების მიზნით ფონდის შესაქმნელად გაიღო 6000 მანეთი.[47] ყრილობის საბჭოს ინიციატივით მრეწველთა გაერთიანება „შავი ქვა" თავის შემოსავლის 3%-ს ითვალისწინებდა ქართული პერიოდული პრესის დასახმარებლად[48] და სხვ. ზოგიერთი რუსი მოხელენი სასტიკად ადანაშაულებდნენ საბჭოს საქველმოქმედო საქმიანობისათვის. ასე მაგალითად, ინჟ. ა. ბუნგე ბრალს სდებდა ყრილობას და მის საბჭოს „თანხების არარაციონალური ხარჯვისათვის" — ქველმოქმედებისათვის[49]. წარმომადგენლობითი ორგანიზაციის საქველმოქმედო საქმიანობა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მის სათავეში მყოფ ქართველ მოღვაწეთა განწყობილებების დასახასიათებლად.

3. ყრილობაზე მუშათა წარმომადგენლების დაშვების საკითხი

ეს საკითხი მწვავე კამათის საგნად იქცა ჯერ კიდევ მრეწველთა I ყრილობაზე — წარმომადგენლობითი ორგანიზაციის „დებულების" განხილვისას. წვრილ მრეწველთა წარმომადგენლებმა საჭიროდ ჩათვალეს შეევსოთ „დებულების" მე-9 მუხლი, სადაც უნდა შესულიყო შესწორება, რომ ყრილობებზე დაიშვებოდნენ მუშები ან მათი

---

[46] Труды IX и X съездов марганцепромышленников, К., 1908, გვ. 9.

[47] Труды XV (очередного) съезда марганцепромышленников, К., 1913, გვ. 207—209.

[48] Договор общества «Шави Ква», К., 1902, статья 26.

[49] Н. Николадзе, «Полукопеечный сбор», Поти, 1908, გვ. 228.

წარმომადგენლები, რადგან ისინი მრეწველებზე ნაკლებად არ არიან დაინტერესებული მარგანეცის მრეწველობის საქმით[50]. ეს წინადადება მრეწველთა უმრავლესობამ მიუღებლად ჩათვალა. მაგრამ, როცა სამრეწველო რაიონის მუშათა კლასი სერიოზულ ძალად იქცა და აქტიურად ჩაება ეპოქის გამათავისუფლებელ-რევოლუციურ მოძრაობაში, მუშათა წარმომადგენლების დაშვება მრეწველთა ყრილობაზე კვლავ წამოჭრეს თვითონ მრეწველებმა. 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში ეს საკითხი განიხილა მრეწველთა VIII ყრილობამ, რომელმაც მთავრობის წინაშე აღძრა საკითხი ყრილობაზე მუშათა წარმომადგენლების დაშვებაზე, რაზეც დადებითი პასუხი იქნა მიღებული.

მრეწველთა IX ყრილობამ ამ საკითხზე მოისმინა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კიტა აბაშიძის მოხსენება. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლება მისცემოდა ყოველი 300 მუშის მიერ არჩეულ წარმომადგენელს, რომლის არჩევის დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე მადნის მოპოვების ოდენობაც: 1 წარმომადგენელი უნდა აერჩიათ მაღაროს მუშებს, რომელთაც მოიპოვეს 2 მილიონი ფუთი მადანი. წინასწარი ვარაუდის თანახმად რგანი და ზედა რგანი აირჩევდა 2 წარმომადგენელს, მღვიმევი, ხალიფაური და თაბაგრები — 4, დარკვეთი და პერევისა თითოს, შუქრუთი და ითხვისი — 2, სამრეწველო რაიონის მეურმე ჩალვადრები — 1, რკინიგზის ვაგონების მტვირთავნი — 1 მუშას, ანუ სულ 12 წარმომადგენელს. საკითხის განხილვამ მწვავე დისკუსია გამოიწვია. ყრილობის ერთი დაჯგუფების წარმომადგენლები (ექსპორტიორები — პერსინაკი და სხვ.) მუშათა წარმომადგენლების დაშვებას ფაქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ[51], მეორენი (მრეწველი ვ. მოსეშვილი და სხვ.) ამტკიცებდნენ, რომ ყრილობაზე ისინი შეიძლებოდა დაშვებულიყვნენ მხოლოდ მაშინ, როცა განსახილველი საკითხი მუშათა ინტერესებთან იქნებოდა დაკავშირებული, ისიც მარტო სათათბირო ხმის უფლებით.[52] ამის საპასუხოდ მრეწველმა ი. ნიჟარაძემ განაცხადა: მუშებს მრეწველობასთან დაკავშირებული ყოველი საკითხი აინტერესებს. „სწორი არ იქნება, თუ მუშებს მტრებად ჩავთვლით. მარგანეცის მრეწველებსა და მუშებს შორის სრულებით არ არსებობს ის ანტაგონიზმი, რომელზეც მიუთითებს

---

[50] Труды I и II съездов... марганцепромышленников, К., 1900, გვ. 5.

[51] Труды IX (очередного) и X экстренного съездов Шорапанских марганцепромышленников, К., 1908, გვ. 228.

[52] იქვე, გვ. 228—229.

ყრილობის ზოგიერთი წევრი.“ ი. ნიჟარაძემ დასძინა: თუნდაც დავუშვათ, რომ მუშები არ არიან ჩვენი მეგობრები, იმ შემთხვევაშიც „რის გაკეთება შეუძლია მუშათა 12 წარმომადგენელს? ცხადია, არაფრის!“[53]

საკითხის განხილვისას გაჩაღებული დისკუსიის დროს ივ. აბაშიძემ აშკარად აღიარა ყრილობაზე მუშათა წარმომადგენლების დაშვების ნამდვილი მიზანი და ხელსაყრელობა. მან განაცხადა: „ამჟამად მუშები თავისი უფლებების მოპოვებისათვის იღვწიან არალეგალურად, ხოლო როცა ისინი ლეგალურად იმუშავებენ და მონაწილეობას მიიღებენ ყრილობის გადაწყვეტილებათა შემუშავებაში, თავისთავს მოვალედ ჩათვლიან შეასრულონ ეს გადაწყვეტილებანი.“[54] მიუთითა რა მუშათა არალეგალური საქმიანობის აღკვეთის საჭიროებაზე, ივ. აბაშიძე დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ შექმნილ ვითარებაში ყრილობაზე რამდენადაც მეტი წარმომადგენლები ეყოლებოდათ მუშებს, იმდენად უფრო ანგარიშს გაუწევდნენ ისინი მის გადაწყვეტილებებს. „მეორე მხრივ. — ამშვიდებს ყრილობის წევრებს ივ. აბაშიძე, — ყრილობაზე მუშათა წარმომადგენლების დაშვება არავითარ საფრთხეს არ უქმნის მარგანეცის მრეწველებს, რადგან უკანასკნელთა რიცხვი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მუშათა წარმომადგენლებისა. ასე, რომ უთანხმოების შემთხვევაში მარგანეცის მრეწველები ყოველთვის შეძლებენ თავისი გადაწყვეტილების გატარებას“.[55] ყრილობაზე მუშათა წარმომადგენლების დაშვების მოთხოვნით და მათი ინტერესების დასაცავად გამოვიდა წვრილ მეწარმეთა წარმომადგენელი ი. კაკაბაძე, რომელმაც ზოგიერთ მრეწველთა თუ ექსპორტიორთა მისამართით განაცხადა: «Те, которые пользуются трудами рабочих, которые набивают себе карманы на их шее, хотят довести до минимума представительство рабочих...» «Но,—განაგრძობს იგი,—пусть не забывают эти паразиты (звонок председателя), что рабочие все же добьются своего; не следует забывать, что раз благосостояние этих паразитов (звонок председателя обращенное к оратору, быть осторожнее в своих выражениях)—основано на труде, то рабочие больше всех имеют право вмешиваться в разрешение тех или других вопросов; те же, которые стараются мешать им в таком стремлении и лишать их этого права в удовлетворении своего животного эгоизма, должны убить в себе этот эгоизм. 15 тысяч рабочих... должы иметь больше права принимать участие в занятиях съезда, чем марганцепромышленники и экспортеры; и они должы послать на съезде не 12, а больше защитников своих интересов...»[56].

---

[53] Труды IX и X съездов... გვ. 231.

[54] იქვე.

[55] იქვე, გვ. 229—230.

[56] იქვე, გვ. 231—232.

ორატორის, წვრილი მრეწველის ასეთი რადიკალური გამოსვლა, — მის მიერ სამრეწველო რაიონის მუშათა ინტერესების დაცვა, — ეპოქის გამათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით უნდა ყოფილიყო გაპირობებული. წვრილი მეწარმენი, რომელნიც თავისი გენეზისით და რეალური მდგომარეობით შორს არ იდგნენ მუშებისაგან, ამჯერადაც ისევე როგორც ყოველთვის, ყრილობაზე მსხვილ მრეწველთა და ექსპორტიორთა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ყრილობამ ხმების უმრავლესობით დაადგინა: დაშვებულ იქნეს სამთო, მზიდველი, ასევე ჭიათურასა და ფოთში მადნის მტვირთავი მუშების მიერ წარმომადგენლების არჩევა 3 კაცის შემადგენლობით, მარგანეცის მრეწველთა მორიგ და რიგგარეშე ყრილობებზე სათათბირო ხმის უფლებით დასასწრებლად.[57] ამრიგად, ყრილობაზე მუშათა წარმომადგენლების დასწრება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამასთანავე საყურადღებოა ის, რომ ყრილობაზე მუშათა წარმომადგენლების დაშვება ადრე (II ყრილობაზე — 1897 წელს) სერიოზული განხილვის საგნადაც არ იქნა მიჩნეული, შემდეგში (VIII ყრილობაზე — 1905 წელს) მუშათა წარმომადგენლების მოწვევა საჭიროდ იქნა აღიარებული, ხოლო IX ყრილობაზე (1907 წელს) თუმცა ფორმალურად, მაგრამ მაინც გადაწყდა მათი დაშვება.

ზ. სამრეწველო სტატისტიკის ორგანიზაცია

მრეწველთა ყრილობამ ჩამოაყალიბა სტატისტიკური ბიურო. მას ჰყავდა თავისი გამგე, აღმრიცხველი და აგენტი უცხოეთში.[58] ბიუროს ამოცანას შეადგენდა უცხო ქვეყნების მარგანეცის მრეწველობისა და მადნის მსოფლიო ბაზრის შესწავლა. ის მიზნად ისახავდა მრეწველობის მდგომარეობის გაუმჯობესებას სხვა ქვეყნების მარგანეცის მრეწველობის განვითარების გამოცდილებისა და მადნის საერთაშორისო ბაზრებზე შექმნილი ვითარების შესწავლისა და გათვალისწინების საფუძველზე. ბიუროს ევალებოდა „მარგანეცის საქმის" სტატისტიკის მოწესრიგება. მაგრამ, ის ჯეროვნად ვერ ახერხებდა მადნის მსოფლიო ბაზრის, კონკურენტი ქვეყნების, აგრეთვე თვით სამხრეთ რუსეთის მარგანეცის მრეწველობის ჯეროვნად შესწავლასაც.[59] არ მოწესრიგდა სამრეწველო რაიონის „მუშათა სტატისტიკაც". ბიუროს

---

[57] Труды IX и X съездов... გვ. 232

[58] Труды XV (очередного) съезда марганцепромышленников, 12, 1913. გვ. 46—47.

[59] Н. Николадзе, Кавказское марганцевое самоуправление, СПБ., 1910, გვ. 16—17.

მიერ გამოცემული კრებულები უამრავ ყალბ ცნობებს შეიცავდა.[60] ამასთანავე ყრილობის საბჭოსა და სტატისტიკური ბიუროს გამოცემები ზოგიერთ უტყუარ, ხელშესახებ ცნობასაც შეიცავს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობის, მარგანეცის მსოფლიო მრეწველობისა და მადნის მსოფლიო ბაზრის დასახასიათებლად.

თ. ყრილობის საქმიანობის ხასიათი

გავეცანით ჭიათურის მარგანეცის მადნის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის საქმიანობას და დავინახეთ, რომ ის ხშირად ახორციელებდა პროგრესული ხასიათის ღონისძიებებს, თუმცა, მათ ბურჟუაზიული თვითმმართველი ორგანიზაცია, თავისი კლასობრივი შეზღუდულობის გამო, ბუნებრივია, თანმიმდევრულად და ფართო მასშტაბით ვერც გაატარებდა. შეზღუდული იყო თვით ორგანიზაციის მატერიალური შესაძლებლობაც. ამავე დროს მასში გაერთიანებული იყვნენ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განწყობილი საქმოსნები, ადგილობრივნი და უცხოელნი, მეწარმენი და ექსპორტიორები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებული, ურთიერთსაპირისპირო, ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ და თითქმის სულ მუდამ ერთმანეთს ებრძოდნენ. ყრილობის ფარგლებში ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი საქმოსნები ძირითადად სამ დაჯგუფებად იყოფოდნენ. ერთს შეადგენდნენ წვრილი მეწარმენი, რომელთაც, სიმრავლის მიუხედავად, ხმების მცირე რაოდენობა გააჩნდათ, მეორეს — საშუალო და მსხვილი მრეწველები, რომლებიც ხმების უმრავლესობით სარგებლობდნენ, მესამეს — მადნის უცხოელი ექსპორტიორები, რომლებიც თავის ეკონომიურ ძლიერებას ორგანიზაციაში გადამწყვეტი გავლენის მოსაპოვებლად იყენებდნენ.

წვრილ მრეწველთა ოპოზიცია ყრილობის სხდომაზე ხშირად გამოდიოდა სამრეწველო რაიონის გაჭირვებულ მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნით. მის გამოსვლას ყრილობაზე მუშათა წარმომადგენლების დასაშვებად, მუშათა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მსხვილ მრეწველთა და ექსპორტიორთა თვითნებობის ასალაგმავად, მხარს უჭერდნენ თერგდალეულთა პლეადის სახელოვანი წარმომადგენლები: აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. ოპოზიციის გამოსვლის მუშათა ინტერესების დასაცავად მხარს უჭერდნენ გამოჩენილი რევოლუციონერები ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე წულუკიძე და საზოგადოდ „კვალის“ პუბლიცისტთა უმრავლესობა, აგრეთვე „ივერიის“ პუბლიცისტთა პროგრესული ნაწილი.

---

[60] Н Николадзе, Кавказское марганцевое самоуправление, СПБ. 1910, ეგ. 17.

საშუალო და, მეტადრე, მსხვილ მრეწველთა დაჯგუფების წარმომადგენლები და მათი ინტერესების დამცველნი ყრილობის საბჭოს ხელმძღვანელ ბირთვს შეადგენდნენ. ეს დაჯგუფება ეროვნული ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელთა და გაზ. „ცნობის ფურცლის" პუბლიცისტთა დიდი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდა. მართალია, ის მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ წარმოებაში ადგილობრივი კაპიტალის პოზიციების განსამტკიცებლად ზრუნვასთან ერთად, ზოგიერთ პროგრესული მნიშვნელობის ღონისძიებასაც ახორციელებდა.

მადნის უცხოელ ექსპორტიორთა დაჯგუფება წარმომადგენლობით ორგანიზაციაში ებრძოდა, ერთი მხრივ, წვრილ მრეწველთა ოპოზიციას, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივ საშუალო და მსხვილ მრეწველთა დაჯგუფებას, ასევე ყრილობის საბჭოს ხელმძღვანელობას, რომელიც მრეწველობის ეროვნულ ნიადაგზე წინსვლას ესწრაფვოდა. ის გამოდიოდა ყრილობის ინიციატივით ქართველ მეწარმეთა სავაჭრო და სამრეწველო გაერთიანებათა ჩამოყალიბების წინააღმდეგ, ეწინააღმდეგებოდა ყრილობის მატერიალურ შესაძლებლობათა გაზრდას ე. წ. „საფუთო გამოსაღების" გადიდების მეშვეობით, ასევე ღონისძიებებს მრეწველობის კეთილმოსაწყობად, მუშათა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, განათლების გასავრცელებლად და სხვ. დასახელებული დაჯგუფების წევრებს შორის ამ მხრივ გამოირჩეოდნენ: გ. ემერიკი, ლ. პანასიე, ი. პერსინაკი, ძმ. ფორვუდები და მძლავრი გერმანული ფირმები [61]. გასაკვირი არაა, რომ იმჟამინდელი ქართველი ინტელიგენცია და ქართული პრესა თითქმის ერთხმად გამოდიოდა უცხოელთა ამ დაჯგუფების წინააღმდეგ.

ყრილობის საბჭო, ცხადია, მიზნად არ ისახავდა მრეწველობაში ჩაბმული მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილებას, მუშათა მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ამ მიმართულებით მის მიერ გატარებული გარკვეული ღონისძიებანი ნაკარნახევი იყო სამრეწველო რაიონის მუშათა მრავალათასიანი რაზმის გავლენის გაზრდით, — მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით. ის მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებზე განუწყვეტელი და ეფექტური ზრუნვის ილუზიას ქმნიდა, სინამდვილეში კი საამისოდ, ასევე მუშათა დაზღვევისა და ყრილობაზე მათი წარმომადგენლების დასაშვებად მხოლოდ ფორმალურად, ან კიდევ მეტად შეზღუდულ ფარგლებში ზრუნავდა.

---

[61] იხ. Труды III съезда марганцепромышленников, К., 1901, გვ. 41, Труды XII съезда марганцепромышленников, К., 1910, გვ. 75—78.

მრეწველთა ყრილობა თავისი ბიუჯეტიდან გარკვეულ თანხებს გამოყოფდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებისა და მათი სამედიცინო მომსახურების მოსაწესრიგებლად. ყრილობის საბჭო ამ შედარებით მცირედ თანხებს ზოგ შემთხვევაში დანიშნულებისამებრ არ ხარჯავდა. ის ხშირად თვითონ მოიხმარდა საავადმყოფოს, სკოლების, მოსწავლეთა სტიპენდიების, აგრეთვე სხვადასხვა ნაგებობისა და გზების მოსაწყობად განკუთვნილ თანხებს[62].

მრეწველთა ყრილობისა და საბჭოს საქმიანობის ხასიათის დასადგენად ფრიად საყურადღებოა მის ბიუჯეტზე დაკვირვება.

გავეცნოთ ჭიათურის მრეწველთა ყრილობის საბჭოს ბიუჯეტს, რომელიც 1895 წლიდან მოყოლებული დგებოდა უმთავრესად „საფუთო გადასახადის" სახით შეგროვილი თანხიდან, თუმცა რამდენადმე გვიან, კერძოდ, 1908—1914 წლებში საშემოსავლო სტატიებს შორის გარკვეული ადგილი ეკავა ყრილობის წარმოება-დაწესებულებათა ექსპლოატაციიდან მიღებულ შემოსავალს. ასე მაგალითად, 1912 წელს ყრილობის საბჭოს შემოსავალი იყო 515 500 მანეთი, აქედან 442 500 მანეთი „საფუთო გამოსაღებიდან", ხოლო 73 000 მანეთი მისსავე წარმოება-დაწესებულებებიდან მიღებული[63].

1898 წლიდან 1910 წლამდე, ე.ი. 12 წლის მანძილზე ყრილობის საბჭოს ხელთ არსებული თანხა 1 837 000 მანეთი, ჩვენი გაანგარიშებით, ასე განაწილდა და დაიხარჯა:

ცხრილი 4[64]

საქმე, რაშიც თანხები დაიხარჯა	თანხის ოდენობა	
	აბსოლუტური ოდენობა მანეთობით	% შეფარდება მთელ თანხასთან
პოლიციის შენახვა	242 000	13,1
გზების მოწყობა-შენახვა და ტექნიკური ზედამხედველობა	347 000	18,8
სამეურნეო ნაგებობანი და უძრავი ქონება	297 000	16,1
სამედიცინო მომსახურება	273 000	15,1
საჯარო განათლება	176 000	9,6
სხვადასხვა ხარჯები	57 000	3,1
უბედური შემთხვევებისაგან დაზარალებული მუშებისათვის ფულადი დახმარება	16 000	0,9
საბჭოს შენახვა და ყრილობების მოწვევა	290 000	15,7
მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება	117 000	6,3
სხვა ხარჯები	23 000	1,3
სულ	1 843 000	100

[62] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. II, გვ. 22—23.

[63] Труды XV съезда марганцепромышленников, К. 1913, გვ. 196.

[64] ЦГИАЛ, ф. 565, оп. 7, д. 26907,1910—1911 гг., л. 18.

თუ ამ მონაცემებს შევადარებთ მთავრობის მიერ მიღებული „დებულებით“ დაწესებულ ნორმებს, დავინახავთ, რომ ყრილობის საბჭომ თანხების ხარჯვისას არსებითი გადახვევები დაუშვა: ჯერ ერთი, მუშათა დასაზღვევად ანუ უბედური შემთხვევებისას დაზარალებულ მუშათა დასახმარებლად საერთო თანხიდან „დებულებით“ გათვალისწინებულ 5,9%-ის ნაცვლად, დაიხარჯა მხოლოდ 0.9%. სახალხო განათლებისათვის დაწესებულ 13%-ის ნაცვლად — მხოლოდ 9.6%, ე. ი. ორივე შემთხვევაში საგრძნობლად ნაკლები; მეორეც. „აუცილებელი ხარჯებისათვის“, რაც პოლიციის შესანახადაც იყო განკუთვნილი, „დებულებით“ დაწესებული 5.5%-ის ნაცვლად, საბჭომ გაიღო მის განკარგულებაში მოქცეული თანხის საერთო ოდენობის 13.1%, ყრილობისა და საბჭოსათვის 12%-ის ნაცვლად 15.7%, ე. ი. გაცილებით მეტი; მესამეც, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად „დებულებით“ დადგენილი ნორმის—1.8%-ის ნაცვლად, ყრილობის საბჭომ გაიღო 6,3%, ეს აიხსნება ეპოქის გამათავისუფლებელ რევოლუციურ მოძრაობაში ჭიათურის მუშათა რაზმის აქტიურად ჩაბმით, რისთვისაც საბჭოს არ შეეძლო არ გაეწია ანგარიში. ყრილობის საბჭომ 30—40 პოლიციელისათვის გაიღო თავისი შემოსავლის 13,1%, მუშამოსამსახურეთა საექიმო დახმარებისათვის (შესაბამისად) მხოლოდ 15,1%, ხოლო „სხვადასხვა ხარჯისათვის“ (სადაც, როგორც ჩანს, ერთ-ერთ მთავარ მუხლს საბჭოს წევრებზე გაცემული „დამატებითი ხელფასი“ შეადგენდა, ასევე საბჭოს ხელმძღვანელთა ხელფასისა და ყრილობის ხარჯისათვის) მთელი შემოსავლის 20.1% და სხვ. ყრილობის საბჭო თვითონ თითქმის ყოველწლიურად ხარჯავდა სხვა საქმეებისათვის განკუთვნილ თანხებს. ასე მაგალითად, მრეწველთა მესამე ყრილობის სარეზიზიო კომისიამ არ დამალა, რომ „საბჭომ ყრილობის უნებართოდ მისცა თავის წევრებს სხვა საქმისათვის განკუთვნილი თანხა—2851 მანეთი“[65]. ამგვარი თვითნებობისათვის ყრილობის საბჭოს დაუნდობლად აკრიტიკებდნენ გამოჩენილი რეოლუციონერები ფ. მახარაძე და ა. წულუკიძე. ეხებოდა რა ყრილობის მიერ მუშათა მომსახურებისა და საზოგადოებრივი საქმეების მოსაწესრიგებლად განკუთვნილი თანხების არადანიშნულებისამებრ დახარჯვის ფაქტებს, ფ. მახარაძე არც თუ უსაფუძვლოდ შენიშნავდა, რომ „ყრილობის საბჭომ თავისი მოქმედებით უარყო კრება. და მისი გადაწყვეტილებანი, მან სრულებით გააუქმა თვითმმართველობა და გაამეფა თვითნებობა“[66]. ყრილობის საბჭოს ასევე მკაცრად აკრიტიკებდა ა. წულუკი-

---

[65] Труды III съезда марганцепромышленников, К., 1903, გვ. 75.

[66] „ალალი“, 1903, № 14, გვ. 79.

ძე. იგი გამოეხმაურა და გამოექომაგა წვრილ მრეწველთა ოპოზიციის წარმომადგენლის ნ. ჭიჭინაძის გამოსვლას მრეწველთა V ყრილობაზე, სადაც ორატორი „საბუთებით ხელში საბჭოს უმოქმედობას, მის არარაობას არკვევდა, საზოგადოებას სინამდვილეს აუწყებდა"[67]. ა. წულუკიძე მიუთითებდა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარის გ. ზდანოვიჩის დესპოტიზმზე, შეშფოთებით აღნიშნავდა, რომ „სიმართლე მასში წინააღმდეგობას იწვევს და სინათლის ჩასაქრობად რაინდებია დაჟანგული ხმალი მოუმარჯვნია!"[68].

ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის 14 წლის საქმიანობა ვრცლადაა დახასიათებული ნ. ნიკოლაძის ნაშრომში — „Кавказское марганцевое самоуправление", სადაც ავტორი იძლევა „მარგანეცის თვითმმართველობის საპროგრამო კრიტიკას"[69]. ეს პოლემიკური ნაშრომი ერთგვარი გაგრძელებაა იმ ჩანგრძლივი და მწვავე დისკუსიისა, რომელიც ნ. ნიკოლაძესა და გ. ზდანოვიჩს შორის გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მიმდინარეობდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობისა და ფოთის ნავსადგურის მოწყობის თაობაზე. ამ დისკუსიაში ფოთის ქალაქისთავი, ნ. ნიკოლაძე, წარმოგვიდგება ჭიათურის მრეწველობისა და ფოთის ნავსადგურის კეთილმოწყობისათვის დაუღალავ მებრძოლად, ხოლო მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარე, გ. ზდანოვიჩი მხოლოდ ჭიათურის მრეწველობის ინტერესების დამცველად. ცხარე ბრძოლაში ნ. ნიკოლაძე საქვეყნო საქმისათვის მზრუნველი, ფართო მასშტაბის მოღვაწედ წარმოგვიდგება და სიმართლეც უფრო ხშირ შემთხვევაში მის მხარეზეა[70]. ორ მოღვაწეს შორის მიმდინარე პოლემიკამ თავისი გამოხატულება პოვა ნ. ნიკოლაძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, სადაც ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის მოღვაწეობის სუსტი მხარეები წინა პლანზეა წამოწეული. ხოლო დადებით მხარეებზე არაფერია ნათქვამი[71].

მრეწველთა ყრილობის საქმიანობის ხასიათის შეფასებისას ყურადღებას იმსახურებს მისი ე. წ. „მუშათა პოლიტიკა" ანუ, სხვანაირად, მისი დამოკიდებულება სამრეწველო რაიონის მუშათა შრომისა

---

[67] „ეკალი", 1903. № 5, ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1943, გვ. 80—81.

[68] ი ქ ვ ე, გვ. 81.

[69] Н. Николадзе, Кавказское марганцевое самоуправление. СПБ, 1910. გვ. 3.

[70] დაწვრ. იხ. Н. Николадзе. Полуколесчный сбор. Поти, 1908; გვ. XVIII; ნ. ნიკოლაძის წვრილი გასაზიდ ტვირთზე ფოთის ნავსადგურის სასარგებლოდ ნახევარ კაპიკიანი საფუთო გამოსაღების დაწესების შესახებ დაბეჭდა გაზ. „Батумский голос"-ში 1908 წელს (იხ. № 180, 182, 194, 195).

[71] Н. Николадзе, Кавказское марганцевое самоуправление. გვ. 1.

და ყოფა-ცხოვრებისადმი. აღსანიშნავია, რომ ბურჟუაზიულმა წარმომადგენლობითმა ორგანიზაციამ ამ მიმართულებით 1900 წლამდე არსებითად არაფერი გააკეთა. ამას აღიარებდა ამ ორგანიზაციის მესვეური გ. ზდანოვიჩიც. ამაზე ამახვილებდა ყურადღებას ფ. მახარაძე, როცა წერდა: „ზდანოვიჩის მოხსენებიდან, რომელიც მან წარუდგინა 1900 წელს შავი ქვის მრეწველთა მესამე ყირლობას, ჩვენ ვტყობილობთ, რომ მთელ რუსეთში ძნელად მოიპოვება მრეწველობის მეორე დარგი, სადაც ისე უყურადღებოდ იყოს დატოვებული მუშა ხალხის მდგომარეობა, როგორც ჭიათურისა, და სადაც დღემდის მისი მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად არაფერი არ გაკეთებულა“[72].

ამ მხრივ გასული საუკუნის დამლევს ჭიათურის აუზში გაცილებით უფრო მძიმე ვითარება იყო შექმნილი, ვიდრე ბაქოს ნავთობისა და სამხრეთ რუსეთის სამთამადნო მრეწველობაში.

ვითარება რამდენადმე შეიცვალა XX საუკუნის დამდეგიდან, როცა ჭიათურის სამრეწველო რაიონში ჩაისახა და ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა მუშათა რევოლუციური მოძრაობა, სამრეწველო რაიონის ბურჟუაზია და მისი წარმომადგენლობითი ორგანიზაცია იძულებული გახდა ერთგვარი ანგარიში გაეწია მუშათა ამ მძლავრი რაზმისათვის. ამ დროიდან შეინიშნება მრეწველთა „ზრუნვა“ ჭიათურელ სამთო მუშათა მდგომარეობის რამდენადმე შესამსუბუქებლად. მართალია, ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობამ ამ მიმართულებით 1900—1914 წლებშიც შედარებით ცოტა რამ გააკეთა, მაგრამ მისი ე. წ. „მუშათა პოლიტიკის“ დახასიათებისა და შეფასებისას სწორი არ იქნებოდა იმის გაუთვალისწინებლობა, რომ მრეწველთა ყრილობისაგან, როგორც სამრეწველო, აგრეთვე სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლობითი ორგანიზაციისაგან, არც იყო მოსალოდნელი მუშებისადმი დაუცხრომელი ზრუნვა, რასაც მისგან ამაოდ მოითხოვდა „კვალის“ ზოგიერთი პუბლიცისტი. ყრილობა, როგორც თავისი შემადგენლობითა და კლასობრივი ინტერესებით ძლიერ შეზღუდული ორგანიზაცია, სამრეწველო რაიონის ბურჟუაზიის გამდიდრების მიზანს ემსახურებოდა და თუ ის მუშებისადმი რაიმე მზრუნველობას იჩენდა, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იძულებული იყო ანგარიში გაეწია მისთვის, როგორც მზარდი რევოლუციური ძალისათვის.

თავისი კლასობრივი შეზღუდულობის მიუხედავად „შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა ყრილობამ“ გარკვეული პროგრესული როლი შეასრულა ჭიათურის მრეწველობაში: იგი მხარს უჭერდა ეროვ-

---

[72] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. II, გვ. 2—3.

ნულ ბურჟუაზიას, ენერგიულად, ხშირად ეფექტურადაც, იცავდა მრეწველობის სასიცოცხლო ინტერესებს მთავრობის ორგანოებში. მან მიაღწია ჭიათურის სახაზინო რკინიგზაზე უმაგალითოდ მაღალი ტარიფის ზედიზედ შემცირებას, ამ გზაზე მოძრავი შემადგენლობის რამდენჯერმე შევსებას, მადნის საწყობი ბაქნების უკეთ მოწყობას, ცდილობდა რკინიგზის სადგურებსა და ნავსადგურებში მადნის დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯების შემცირებას, შეუპოვარი ბრძოლით მიაღწია თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად განკუთვნილი „საფუთო გამოსაღების“ რამდენჯერმე გადიდებას. ყრილობა ხელს უწყობდა მრეწველობის განვითარებას: მეცადინეობდა სამთო ზედამხედველობის გასაძლიერებლად, ზრუნავდა სამრეწველო რაიონში მიმოსვლისა და რკინიგზამდე მადნის გადაზიდვის საშუალებათა უკეთ მოსაწყობად, ახალი გზების გასაყვანად და ძველის გასაუმჯობესებლად, ცდილობდა წარმოების „ევროპულად მოწყობისათვის“ ხელშეწყობას, ტექნიკური სიახლეების დანერგვას მადნის მოპოვებაში, მის გამდიდრებასა და გადაზიდვაში, აყალიბებდა მოსაზრებებს ჩვენში ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობის თაობაზე და სხვ. ყრილობა იბრძოდა წარმოებაში უცხოური კაპიტალის შემოჭრის წინააღმდეგ. აგრეთვე მარგანეცის მადნის ადგილობრივ ბაზარზე უცხოური სავაჭრო კაპიტალის ბატონობის აღსაკვეთად, განუწყვეტლივ ზრუნავდა ადგილობრივ მრეწველთათვის კრედიტორის საპოვნელად და, რაც მთავარია, ცდილობდა ადგილობრივ მეწარმეთა შეკავშირება-გაერთიანებას „ამხანაგობაში“, „სინდიკატში“, „სააქციო საზოგადოებაში“. ამით ის ესწრაფვოდა მრეწველობაში ადგილობრივი კაპიტალის მონოპოლიურად გაბატონებას და ჩვენებური მადნით საერთაშორისო ბაზრებზე უშუალოდ, უცხოური სავაჭრო კაპიტალის უმეშვეოდ. გასვლას და იქ დამკვიდრებას. ყრილობა ეწეოდა მუნიციპალურ საქმიანობას, რითაც ხელს უწყობდა სამრეწველო რაიონის ცენტრის ჭიათურის კეთილმოწყობას, 1900-იანი წლებიდან ახორციელებდა გარკვეულ ღონისძიებებს სამთო მუშათა მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად, გარკვეულ ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა სამრეწველო რაიონში სახალხო განათლების გასავრცელებლად; სტიპენდიებს უნიშნავდა მრავალ ახალგაზრდას — დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, — ჩვენში, რუსეთში და უცხოეთში მოსწავლეებს; ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობასაც; ყრილობა ცდილობდა ჩვენში მრეწველობის მდგომარეობის გაუმჯობესებას სხვა ქვეყნების მარგანეცის მრეწველობის გამოცდილებისა და მადნის საერთაშორისო ბაზრების კონიუნქტურის გათვალისწინების საფუძველზე.

მრეწველთა ყრილობა მთელ თავის საქმიანობაში, ბუნებრივია,

უპირველეს ყოვლისა კაპიტალის ინტერესებით ხელმძღვანელობდა და დემოკრატიულად უფრო მოსაჩვენებლად „მოიპრანჭებოდა“ ხოლმე. ამის მიუხედავად მის საქმიანობას ობიექტურად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მრეწველობის მოცემული დარგისათვის.

ყრილობა გარკვეულ ფარგლებში პატრონობდა და ხელმძღვანელობდა მრეწველობას, ხელს უწყობდა მის წინსვლას და, რამდენადაც ძალუძდა, განამტკიცებდა შინაგან სამეურნეო ძალთა პოზიციებს საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მსოფლიო მნიშვნელობის დარგში.

თავი VIII

ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა ჭიათურაში I მსოფლიო ომის პერიოდში სალიკვიდაციო გერმანული ფირმების უძრავ-მოძრავი ქონების ხელში ჩასაგდებად

ზემოთ (თავი IV, §5) განვიხილეთ ჭიათურაში 1914 წლის დამლევამდე მოქმედი მძლავრი გერმანული ფირმები, ასევე I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ რუსეთის მთავრობის მიერ ამ ფირმების სალიკვიდაციოდ გატარებული ღონისძიების მოტივები და მიზნები. ახლა გავეცნოთ იმ მწვავე და ხანგრძლივ მეტოქეობას, რომელიც 1914-1917 წლებში გაიშალა ადგილობრივ, რუსულ და უცხოურ კაპიტალს შორის — სალიკვიდაციო გერმანული ფირმების უძრავ-მოძრავი ქონების ხელში ჩასაგდებად. გერმანული ფირმების საწარმოთა შესაძენად (და, მაშასადამე, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში მძლავრი პოზიციების მოსაპოვებლად) I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე შეუდგა ზრუნვას მრავალი სამრეწველო-სავაჭრო, ასევე საკრედიტო ფირმა და დაწესებულება. ამ ბრძოლაში აქტიურად ჩაება არაერთი სახელმწიფოს მთავრობის ორგანოები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ფირმებს შუამდგომლობდნენ რუსეთის მთავრობის წინაშე — ჭიათურაში გერმანული ფირმების კუთვნილების შესაძენად.

რუსეთის მთავრობას მიაჩნდა, რომ „Вопрос о будущей судьбе германских владении в Чиатурском марганцевом районе имеет сугубо жизненное значение для населения всей вообще Грузии...“[1].

თავის მხრივ გერმანული ფირმები I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე შეეცადნენ საკუთარი პოზიციების შენარჩუნებას ჭიათურის მრეწველობაში, ნეიტრალური ქვეყნის ფირმასთან წინასწარი მორიგებით. ამ მიზნით ისინი იმთავითვე დაუკავშირდნენ შვედურ ფირმა „ვინტერვიკენსს“, რომლის ერთ-ერთი მთავარი აქციონერი იყო შვე-

[1] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 101; Газ. «День» 1916 г., 5 октября.

ციის საგარეო საქმეთა მინისტრი კურტ ვალენბერგი, რუსეთის მთავრობის დიპლომატიურ წრეებში საკმაოდ ცნობილი პიროვნება. იმისათვის, რომ გერმანულ და შვედურ ფირმებს შორის შესაძლებელი მორიგება რეალური გამხდარიყო და რუსეთის მთავრობას, ომის ვითარებაში ეცნო ჭიათურაში გერმანული ფირმების კუთვნილების შვედური ფირმის ხელში გადასვლა, კ. ვალენბერგმა ნიადაგი წინასწარვე მოამზადა. უკანასკნელმა საქმის კურსში ჩააყენა, ერთი მხრივ, რუსეთის საელჩო სტოკჰოლმში, ხოლო, მეორე მხრივ, შვეციის საგარეო მისია პეტროგრადში[2]. საგარეო საქმეთა მინისტრმა 1915 წლის 12 თებერვალს მიმართა რუსეთის ელჩს სტოკჰოლმში, — ნეკლიუდოვს და ითხოვა ოფიციალური შეკითხვა გაეგზავნა თავისი მთავრობისათვის და გაეგო: დაუშვებს თუ არა რუსეთის მთავრობა შვედური ფირმის მიერ ჭიათურაში გერმანული ფირმების საწარმოთა შესაძლებელ შეძენას[3]. შვედური ფირმა „ვინტერვიკენსი" პეტროგრადიდან პასუხის მოლოდინში განაგრძობდა გერმანულ ფირმებთან („გელზენკირხენის სამთოსამრეწველო სააქციო საზოგადოება", „კავკასიის საბადოთა ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობით") მოლაპარაკებას. რუსეთის მინისტრთა საბჭოში რამდენადმე გვიან, 1917 წლის მარტში, წარდგენილი წერილიდან ირკვევა, რომ შვედურ სააქციო საზოგადოება „ვინტერვიკენსის" მიერ ჭიათურაში გერმანული ფირმების ქონების შეძენას პეტერბურგში მხარს უჭერდნენ გარკვეული წრეები: „После телеграфного запроса в Петрограде, — ვკითხულობთ წერილში, — посол Неклюдов уведомил общество, что наше правительство окажет ему всякую поддержку и радо будет считать заинтересованным в России О-во Винтервикенс".[4] საქმის მსვლელობაზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ სტოკჰოლმიდან მიღებულ შეკითხვაზე დადებითი პასუხი გასცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. დ. საზონოვმა, თუმცა თავის მთავრობის შესაფერის ორგანოებთან წინასწარი მოლაპარაკების და მათგან თანხმობის მიღების გარეშე. რუსეთიდან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, 1915 წლის 6 და 8 აპრილს, „ვინტერვიკენსმა" სპეციალური (სავარაუდებელია ფიქტიური) ხელშეკრულებები დადო ჯერ „გელზენკირხენთან". ხოლო მერმე „კავკასიის საბადოთა ამხანაგობასთან"[5]. ამ ხელშეკრუ-

---

[2] ЦГИАЛ, ф. 23. оп. 28. д. 513, л. 2.

[3] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 192.

[4] იქვე.

[5] რუსეთში გარკვეულმა წრეებმა ეჭვის თვალით შეხედეს ამ ხელშეკრულებებს და გამოითქვა მოსაზრება „ვინტერვიკენსის" მიერ დადებული ხელშეკრულებების ფიქტიურობაზე, რის მაჩვენებლადაც ჩათვლილ იქნა ის, რომ «последнее общество приобрело промысел и произвело полную уплату денег без его осмо́тра»

ლებით გერმანულმა ფირმებმა მთელი თავისი ქონება ჭიათურაში 5 მილიონ კრონად გადასცეს „ვინტერვიკენსს“[6].

1915 წლის 20 და 26 მაისს შვედურმა ფირმამ სათანადო შუამდგომლობა და სტოკჰოლმში რუსეთის გენერალურ საკონსულოს მიერ შემოწმებული ხელშეკრულებები წარადგინა პეტროგრადში, თბილისში და ჭიათურაში[7]. „ვინტერვიკენსის“ შუამდგომლობას რუსეთის მთავრობის ცენტრალურ ორგანოებში მხარს უჭერდა საგარეო საქმეთა მინისტრი ს. დ. საზონოვი. ამას ადასტურებს 1917 წელს შედგენილი, ჩვენი დაკვირვებით, სარწმუნო ცნობა, სადაც ვკითხულობთ: „საზოგადოება „ვინტერვიკენსი“ თავისი უფლებების განხორციელებისას პეტერბურგში შეხვდა უაღრეს კეთილგანწყობილებას და მხარდაჭერას საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ს. დ. საზონოვის მხრივ. საზონოვს ჩვენმა სტოკჰოლმელმა ელჩმა გამოუგზავნა ტელეგრამა, რომლითაც ადასტურებდა გარიგებათა სინამდვილეს და აღნიშნავდა, რომ გარიგებათა ლეგალიზაცია, მათში ვალენბერგის კაპიტალების მონაწილეობის გამო, სასურველია არა მარტო ეკონომიური თვალსაზრისით, არამედ შვეციასთან კეთილი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნითაც. საგარეო საქმეთა მინისტრმა მხარი დაუჭირა „ვინტერვიკენსის“ შუამდგომლობას და ოფიციალურად თხოვა შესაფერის სამინისტროებს, რომ ისინი კეთილგანწყობილებით შეხვედროდნენ შვედური ფირმის შუამდგომლობას“[7], სხვა საბუთებიც ცხადყოფენ, რომ ს. დ. საზონოვი უშუალოდ ენერგიულად, თუმცა ამაოდ ცდილობდა „ვინტერვი-

---

(ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 193). ამ ეპვსა და სინამდვილეს შორის კავშირის არსებობას ასაფუძვლებდნენ სალიკვიდაციო გერმანული ფირმების კუთვნილების შეძენით დაინტერესებული გავლენიანი რუსი საქმოსნები ს. ლიანოზოვი და გ. ლეოვი, რომლებიც ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს შთააგონებდნენ, რომ «Столь необычайный способ приобретения и уплаты миллионов за неизвестное, неизученное и неосмотренное предприятие дает полное право предполагать, что под Шведским флагом скрывается германская контрабанда, что О-во «Винтервикенс» является лишь подставным лицом, в целях обхода наших законов о предприятиях, принадлежащих подданным воюющих с Россией государств (ससा, ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 22). დასახელებულ საქმოსნები ირწმუნებოდნენ, რომ «Истинным владельцем дела остается попрежнему общество Гельзенкирхен» (იქვე, ფურც. 22, მეორე გვერდი).

[6] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 513, л. 2, 7—9; ф. 23. оп. 28, д. 514, л. 192. სხვა წყაროს ცნობით, რაც სათუოდ გვეჩვენება, ფირმებს შორის ხელშეკრულება დაიდო და ანგარიშსწორება განხორციელდა 1915 წლის 12 აპრილს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სტოკჰოლმში რუსეთის ელჩისაგან წინასწარი თანხმობის მიღების შემდეგ (ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 1102, 1915—1916 гг., л. 1. об).

[7] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 192, об.

კენსის“ შუამდგომლობისათვის მხარდაჭერას[8]. ამ შუამდგომლობაზე უარით უპასუხა რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ, რომელსაც ამის გამო საგარეო საქმეთა მინისტრმა საზონოვმა 1915 წლის 24 მაისს ერთგვარი საპროტესტო ტელეგრამით მიმართა. ს. საზონოვმა შვედური ფირმის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობა შეაფასა როგორც „გაუგებრობა“ და მისი დაუყოვნებლივ აღმოფხვრაც მოითხოვა. ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა, რომელმაც, ეტყობა, იცოდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ მთავრობის სხვა ორგანოებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე დააიმედა შვედური ფირმა, 1915 წლის 27 მაისს, ს. დ. საზონოვს უპასუხა, რომ ჭიათურაში „ვინტერვიკენსის“ დაშვება მიზანშეუწონლად მიაჩნია, ამასთანავე საგარეო საქმეთა მინისტრს არც თუ ისე ორაზროვნად ანიშნა, რომ ეგრეთწოდებული „გაუგებრობა“ მისი უწყების წინდაუხედავი მოქმედების შედეგია. ამ პასუხში ვკითხულობთ: «По поводу указания в телеграмме на желательность устранения недоразумений, возникших в министерстве Т. и П. в связи с покупкой означенных предприятий обществом «Винтер Викенс», считаю необходимым заметить, что о совершенной сделке министерству не было известно, и посему не могло возникнуть и указанных недоразумений».[9] ს. დ. საზონოვის ცდამ უშედეგოდ ჩაიარა: ვაჭრობისა და მრეწველობის, ასევე შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებმა ჭიათურაში შვედური ფირმის დაშვებაზე უარყოფითი დასკვნა წარადგინეს მინისტრთა საბჭოში. მინისტრთა საბჭომ 1915 წლის 17 ნოემბერს განიხილა საკითხი და დასახელებულ ფირმას (ს. დ. საზონოვის პროტესტის მიუხედავად[10]) უარი უთხრა ნებართვაზე[11]. ეს გადაწყვეტილება განაპირობა აგრეთვე საქმეში დიდი მთავრის ნიკოლოზის ჩარევამაც. მეფისნაცვალმა კავკასიაში ანგარიში არ გაუწია თავისი წინამორბედის ვორონცოვ-დაშკოვის თანხმობას ჭიათურაში შვედური ფირმის დაშვებაზე[12] და პეტროგრადში საწინააღმდეგო დასკვნა წარადგინა.

მეფისნაცვლის ასეთი პოზიცია გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებდით იმას, რომ 1915 წლის შემოდგომაზე მას მრავალმა გავლენიანმა ადგილობრივმა და რუსულმა სამრეწველო, სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებამ თუ ფირმამ წარუდგინა განცხადება ჭიათურა-

---

[8] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 192, об.

[9] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 510, л. 6; ф. 23, оп. 28, д. 514, л. 371, об.

[10] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514. л. 192, об.

[11] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 510, л. 9.

[12] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 192, об.

ში სალიკვიდაციო გერმანული ფირმების საწარმოთა შეძენის მოთხოვნით.

კავკასიის ადმინისტრაცია ომის დაწყების შემდეგ (1914 წლის მიწურულს), როგორც იქნა, გაერკვა ჭიათურის მრეწველობაში გერმანული კაპიტალის ექსპანსიის შედეგად შექმნილ ვითარებაში. მისთვის ცხადი გახდა ისიც, რომ ეს ექსპანსია დაკავშირებული იყო მსოფლიო ომისათვის გერმანიის მრეწველობის სამზადისთან. ომის დაწყების შემდეგ მთავრობამ იმთავითვე გადაწყვიტა რუსეთში მოქმედი გერმანული ფირმების საქმიანობის აღკვეთა. ასეთ ვითარებაში მეფისნაცვალმა, ნიკოლოზმა, მინისტრთა საბჭოს მიმართა ჭიათურაში სალიკვიდაციო გერმანული ფირმების კუთვნილების ხაზინის ან, უკიდურეს შემთხვევაში, ეროვნული კაპიტალის განკარგულებაში გადაცემის მოთხოვნით. მხარის განცგებელი აღწერდა ჭიათურაში გერმანული კაპიტალის მოქმედების სავალალო შედეგებს, ხაზს უსვამდა დასახელებულ საწარმოს უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და ასე ასაბუთებდა თავის შუამდგომლობას: «Таким образом, добыча и экспорт марганца, ввиду исключительного значения последнего для металлургического производства, составляет вид промышленности высокой государственной важности и посему весьма желательно, чтобы марганцевое дело постепенно сосредоточивалось в руках государства или, по крайней мере, в руках национального капитала и предпринимателей, которым можно доверить это отечественное богатство в убеждении, что эксплоатация его будет направлена соответственно экономическим и политическим государственным требованиям».[13]

მეფისნაცვალი მოითხოვდა, რომ მთავრობას გამოეყენებია ომით შექმნილი ვითარება: „გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა მარგანეცის მრეწველობის მომავალზე კავკასიაში". ის შუამდგომლობდა ჭიათურაში გერმანელთა კუთვნილი საწარმოების ერთად (დაქუცმაცების გარეშე) შენარჩუნებას ან ასეთივე სახით გასაღებას, რითაც ხელი უნდა შეწყობოდა წარმოების ტექნიკის შემდგომ გაუმჯობესებას მსხვილ სამრეწველო დაწესებულებაში[14].

ომის მძიმე ვითარებაში ხაზინამ არ შეიძინა გერმანული ფირმების საწარმოები ჭიათურაში და მთავრობამ ამ ფირმების სალიკვიდაციოდ შექმნილ „განსაკუთრებულ სამმართველოს" დაავალა მთელი მათი უძრავ-მოძრავი ქონების გასაღება. შეძენის მსურველი, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ჩვენში, ასევე უცხოეთში, მრავალი აღმოჩნდა. შვედური ფირმის გარდა, რომელიც რუსეთის მთავრობისგან უარის

[13] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 8, об.

[14] იქვე, ფურც. 11.

მიღების შემდეგაც იბრძოდა ჭიათურაში გერმანული ფირმების საწარმოთა ხელში ჩასაგდებად, სალიკვიდაციო ფირმების კუთვნილების შეძენის პირველი პრეტენდენტი იყო ჭიათურის მრეწველობაში მტკიცედ დამკვიდრებული სავაჭრო სახლი „ძმები ოგანეზოვები". მან 1914 წლის ნოემბერში განცხადებით მიმართა, ერთი მხრივ, მეფისნაცვალს კავკასიაში, ხოლო, მეორე მხრივ, იმპერიის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს[15]. ფირმის განმკარგულებელი ი. ოგანეზოვი თავის განცხადებაში აღნიშნავდა, რომ ის 25 წელია, რაც მრეწველია ჭიათურაში, რომ მას სანიმუშოდ მოწყობილ საწარმოსთან ერთად გააჩნია გემები, რითაც პირველმა დაიწყო და წარმატებით აგრძელებს მარგანეცის მადნით რუსეთის მომარაგებას[16]. მრეწველი ირწმუნებოდა, რომ ის, როგორც რუსი საქმოსანი ხელმძღვანელობს რა „მშობლიური მრეწველობის ინტერესებით, ჭიათურაში გერმანული ფირმების ქონების შესაძენად ხელშეკრულებით შეუკავშირდა მსხვილ რუსულ საფინანსო ჯგუფს, ასევე სხვა კომპანიას, რომელსაც განზრახული აქვს სოფ. ალპანის მახლობლად მძლავრი ელსადგურის აგება, ასევე ფერომარგანეცის ელექტრომეტალურგიული ქარხნის აშენება და ამოქმედება. ი. ოგანეზოვი ამასთანავე ირწმუნებოდა, რომ გაიჩენდა მძლავრ ფლოტილიას მადნისა და ფერომარგანეცის გასაზიდად. დაბოლოს, ის თხოვდა მთავრობას გაეთვალისწინებია მისი, როგორც მეწარმის, სანიმუშო დამსახურება და ნება მიეცა ჭიათურაში ორივე გერმანული ფირმის საწარმოთა შესაძენად[17]. ი. ოგანეზოვი პირობას იძლეოდა, რომ ომის დამთავრებისა და საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ გელზენკირხენს გადაუხდიდა 1 850 000 მანეთს, ხოლო „კავკასიის საბადოთა ამხანაგობას" — 1 200 000 მანეთს[18]. მან მთავრობას შემდეგშიც მრავალი ამგვარი შინაარსის განცხადება და ბარათი გაუგზავნა[19]. მათ შორის 1916 წლის დეკემბერში წარდგენილ ბარათში ი. ოგანეზოვი აცნობებდა, რომ ის უკვე შეუერთდა კონცესიონერთა ჯგუფს, რომელსაც განზრახული აქვს ააგოს 60 000 ცხ. ძ. სიმძლავრის ელსადგური და ყოველწლიურად გამოადნოს 4,5 მილიონიდან 5 მილიონამდე ფუთი ფერომარგანეცი. ამ მოტივით ის კვლავაც ითხოვდა ნებართვას ჭიათურაში გერმანული ფირმების კუთვნილების შესაძენად[20].

რუსეთის მთავრობას ამგვარივე თხოვნით მიმართა ს. გ. ლიანო-

---

[15] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 14. д. 507, л. 48.

[16] იქვე, ფურც. 49.

[17] იქვე.

[18] იქვე, ფურც. 44.

[19] სსსა, ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 17—19, 32—34; ЦГИАЛ ф. 28. д. 514, л. 55—57.

[20] სსსა, ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 32—34.

ზოემა და გ. ა. ლეოემა, რომლებმაც 1915 წლის იელისში განცხადებები წარადგინეს პეტროგრადსა და თბილისში. განცხადებას მათ დაურთეს ვრცელი და დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი, სადაც ფართოდ იყო მიმოხილული ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის წარსული და თანამედროვე მდგომარეობა, დახასიათებული იყო ამ დარგში გერმანული კაპიტალის შემოჭრა და მისი შედეგები. ბარათის ავტორები ცდილობდნენ ეჩვენებინათ მრეწველობის დასახელებული დარგის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, დაესაბუთებინათ ჭიათურიდან უცხოური ფირმების განდევნის და მათი საწარმოების ხაზინის ან რუსი კაპიტალისტებისათვის გადაცემის აუცილებლობა[21]. ბარათში, ასევე განცხადებაში, ს. ლიანოზოვი და გ. ლეოვი ირწმუნებოდნენ, რომ სალიკვიდაციო გერმანულ ფირმებსა და შვედურ „ვინტერვიკენსს“ შორის დადებული ხელშეკრულება ფიქტიურია. მოითხოვდნენ რა მთავრობის ნებართვას ჭიათურაში გერმანული ფირმების საწარმოთა შესაძენად, ისინი დაპირებას იძლეოდნენ, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის საზავო ხელშეკრელების დადებისა და მისი გამოქვეყნების დღიდან 3 თვეში „კავკასიის საბადოთა ამხანაგობას“ გადაუხდიდნენ 1 000 000 მანეთს[22], ხოლო გელზენკირხენს“ — 2 500 000 შვედურ კრონს, „გელზენკირხენსა“ და „ვინტერვიკენსს“ შორის ხელშეკრულების დადების დღიდან ამ კაპიტალზე ყოველწლიურად დამატებით 6%-ის გადახდით, იმ პირობით, რომ კრონის კურსი იქნება არა უმეტეს 65 კაპიკისა[23]; თანაც, მოცემულ ვადაში მთელი თანხის გადახდაზე პირველხარისხოვანი ბანკის გარანტიას იძლეოდნენ[24]. პრეტენდენტები დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ ქუთაისის გუბერნიაში დააფუძნებდნენ ფერომარგანეცის ელექტრომეტალურგიულ წარმოებას, რასაც, მათი განცხადებით, შედეგად მოჰყვებოდა: „მრეწველობის მხრივ საერთოდ ღარიბ მხარეში ახალი დარგის აღმოცენება, მთის მდინარეების წყალვარდნილების გამოყენება, ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლის ახალი წყაროს გაჩენა, „ნედლეულის“ (ანუ მარგანეცის მადნის) გაზიდვის თანდათან შემცირება და მისი შეცვლა 95%-ანი ფერომარგანეცის გაზიდვით და სხვ.[25].

ჭიათურაში გერმანული ფირმების საწარმოთა შესაძენად საქმე აღძრა და 1915 წლის 13 სექტემბერს მეფისნაცვალს კავკასიაში ტელეგრამა გამოუგზავნა ცნობილ რუს საქმოსანთა ჯგუფმა: რუსეთის

---

[21] სსსა, ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 1—5, 6—16.
[22] იქვე, ფურც. 21.
[23] იქვე, ფურც. 22.
[24] იქვე, ფურც. 21, 22.
[25] იქვე, ფურც. 22.

გემთმშენებლობის საზოგადოების თავმჯდომარემ ვ. მ. ივანოვმა, რუსეთის ორთქლმავალმშენებელი და მექანიკური საზოგადოების დირექტორმა ს. ს. პალაშკოვსკიმ, სამხრეთ-რუსეთის დნეპრის მეტალურგიული საზოგადოების გამგეობის წევრმა, მეფის სასახლის კომერგერმა ლ. ფ. დავიდოვმა[26]. ეს ჯგუფი ამავე დროს იტყობინებოდა, რომ მას განზრახული აქვს ქუთაისის გუბერნიაში მოაწყოს ფერომარგანეცის ელექრომეტალურგიული ქარხანა, რისთვისაც მან გადაწყვიტა კონცესიით აიღოს და უწერაში (რიონზე) ააგოს ჰიდროელექტრო „დანადგარი" ფერომარგანეცის წარმოებისათვის. საქმოსანთა ჯგუფი მოაგონებდა მთავრობას თავის დამსახურებას ომთან დაკავშირებით თავდაცვითი მნიშვნელობის სამრეწველო დარგების განვითარებაში, აცნობებდა, რომ მას მოპოვებული აქვს უმსხვილეს რუსულ საფინანსო დაწესებულებათა მხარდაჭერა და მოითხოვდა აღძრული შუამდგომლობის დაკმაყოფილებას[27].

ჭიათურაში სალიკვიდაციო უცხოური საწარმოების შესაძენად თავგამოდებით იბრძოდა აგრეთვე მრეწველთა და ტექნიკოს-სპეციალისტთა ჯგუფი: ე. კ. გრუბე, ე. დ. ლვოვი, დ. ს. ხრულიოვი, სამთო ინჟინრები მ. პ. ტერ-დავიდოვი და ლ. მ. ბელინკო. მათ ჯერ 1915 წლის დეკემბერში, ხოლო მერმე 1916 წლის თებერვალში „უქვეშეერდომილესი" თხოვნით მიმართეს მთავრობის ორგანოებს პეტროგრადში და თბილისში[28]. საქმოსანთა ამ ჯგუფის აზრით აუცილებელი იყო შექმნილი სიტუაციის გამოყენება ჭიათურაში მსხვილი რუსული სამრეწველო დაწესებულების დასაფუძნებლად, ასევე ამ რაიონიდან გერმანული და საზოგადოდ უცხოური კაპიტალის განდევნა, ფერომარგანეცის წარმოების დაფუძნება მდ. რიონის ჰიდროენერგიის გამოყენებით, მძლავრი სავაჭრო ფლოტილიის შექმნა რუსეთსა და უცხოეთში ფერომარგანეცისა და მარგანეცის მადნის გასაზიდად. ამ მძიმე და რთული ამოცანების გადასაწყვეტად, საქმოსანთა ჯგუფის მტკიცებით, აუცილებელი იყო მძლავრი სააქციო საზოგადოების დაარსება, თუ მეტი არა, 20 მილიონი მანეთის კაპიტალით მაინც[29]. დასახელებული საქმოსნები ამასთანავე ირწმუნებოდნენ, რომ ისინი შეიარაღებული არიან დიდი გამოცდილებით, საქმის ცოდნითა და გავლენით, ფინანსური სამყაროს ნდობით, რის წყალობითაც ძალუძთ ჭიათურაში სამრეწველო საქმიანობის ფართოდ გასაჩაღებლად მოი-

---

[26] სსსა. ფონ. 13, ანაწ. 12. საქ. 335, ფურც. 17 — 19; ЦГИАЛ. ф. 23, оп., 14, д. 536.

[27] სსსა, ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 19.

[28] ი ქ ვ ე. ფურც. 22—24, 25—28.

[29] ი ქ ვ ე. ფურც. 25.

ზიდონ სამი უმსხვილესი რუსული კომერციული ბანკი: ციმბირის აზოვ-დონის და საერთაშორისო და რომ ამ ბანკებს შეუძლიათ და კიდეც სურთ თავს იდონ მთელი საქმის დაფინანსება 20 მილიონ მანეთის ფარგლებში[30].

ყოველივე ამის გამო მრეწველთა ჯგუფი მოითხოვდა ჭიათურაში გერმანული ფირმების კუთვნილების შეძენის ნებართვას და დაპირებას იძლეოდა, რომ მათ ანგარიშს გაუსწორებდა, დააარსებდა საააქციო საზოგადოებას საკმაო კაპიტალით, უზრუნველყოფდა მარგანეცის საბადოთა ექსპლოატაციას, 60 — 80 ათასი ცხ. ძ. სიმძლავრის ჰიდროელექტრო „დანადგარის“ გამართვას ალპანაში (მდ. რიონზე), ელექტრომეტალურგიული ქარხნის მშენებლობას ჭიათურაში (ყოველწლიურად 4 ან 5 მილიონი ფუთი ფერომარგანეცის წარმოებით), გემების შეძენას მადნის და ფერომარგანეცის რუსეთში და უცხოეთში გასაზიდად. მრეწველთა ჯგუფი ირწმუნებოდა, რომ „... ზემოჩამოთვლილ პირობებში მარგანეცის მრეწველობაში არა მარტო აღმოფხვრილი იქნება გერმანელთა და სხვა უცხოელთა გავლენა, არამედ ამ გავლენის ნაცვლად მტკიცედ აღიმართება მარგანეცისა და ფერომარგანეცის წმინდა ნაციონალური მრეწველობა, რითაც იამაყებს რუსეთის მთავრობა და რუსეთის მრეწველობა“.[31] თავის „უქვეშევრდომილეს მოთხოვნაში“ საქმოსანთა ჯგუფი შთააგონებდა მთავრობას, რომ მარგანეცის საქმით დაინტერესებულ სხვა ფირმებსა და პირებს "არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი პირობები", რომ დასახული ამოცანების გადაწყვეტა მხოლოდ საკუთრივ მათ შეუძლიათ.[32]

გერმანული ფირმების ჭიათურის საწარმოთა ხელში ჩასაგდებად ასევე ენერგიულად იბრძოდნენ ურბანოვიჩი და პალაშკოესკი, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ 20 ათასი ცხ. ძ. სიმძლავრის გლოლის ელსადგურის მშენებლობა (მდ. რიონზე), ასევე ფერომარგანეცის ქარხნისა ჭიათურაში[33].

საქმით დაინტერესდა მძლავრი სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანება „სტახეევი და კომპანიაც“, რომელმაც 1916 წლის ოქტომბერში სთხოვა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, რათა ფირმის რწმუნებულისათვის, ინჟინერ ი. ი. გუსარსკისათვის, ნება მიეცა გასცნობოდა გერმანული ფირმების სალიკვიდაციო სამმართველოს მასალებს ჭიათურაში[34].

---

[30] სსსა. ფონ. 13. ანგ. 12. საქ. 335. ფურც. 27.
[31] იქვე. ფურც. 35.
[32] იქვე. ფურც. 26
[33] იქვე.
[34] ЦГИАЛ. ф. 23. оп. 28. д. 514. л. 109.

თავადმა კ. პ. კანტაკუზენმაც 1916 წლის ოქტომბერში მიმართა მთავრობას და სთხოვა მისთვის მიეყიდა ან სხვა პირობით გადაეცა გერმანელთა საწარმოები ჭიათურაში. ის პირობას იძლეოდა, რომ ამ საწარმოებს შეიყვანდა მსხვილი მეტალურგიული დაწესებულებების სისტემაში, დაწესებულებებისა, რომლებიც იქმნებოდნენ რუსეთის კაპიტალით ახალ-მოსკოვის მაზრაში, გზათა სამინისტროს საჭიროებისათვის. კანტაკუზენიც ირწმუნებოდა, რომ მოაწყობდა ფერომარგანეცის წარმოებას ჭიათურაში.[35]

სალიკვიდაციო ფირმების ბედი ძლიერ აღელვებდა ქართული საზოგადოების გარკვეულ წრეებს, ინტელიგენციას, კერძოდ ნ. ნიკოლაძეს, გ. ზდანოვიჩს, კ. აბაშიძეს, პ. ქავთარაძეს და სხვ. ისინი ცდილობდნენ, რომ ეს სიმდიდრე „კვლავ მოსული ელემენტის ხელში არ გადასულიყო, არამედ დარჩენოდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობას...“[36]. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები და მრეწველთა ყრილობის ხელმძღვანელები საამისოდ საზოგადოებრივ აზრს განაწყობდნენ ქართული და რუსული პერიოდული პრესის მეშვეობით. მათი აზრით, „მთავრობის, სახელმწიფო მრეწველობის, ქართველი სამრეწველო წრეების და სამრეწველო რაიონის მთელი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდნენ სალიკვიდაციო ფირმების საწარმოთა თავისუფალი შეჯიბრების წესით გაყიდვაზე უარის თქმას და ნორმალურ ფასში მათს გადაცემას ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობისათვის,“ რადგან უკანასკნელი წარმოადგენდა ადგილობრივ მრეწველთა მასობრივ ორგანიზაციას, რომელიც ხელმძღვანელ როლს თამაშობდა მრეწველობაში და ფართოდ ახორციელებდა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებს სამრეწველო რაიონში და მთელ გუბერნიაში.[37] პ. ქავთარაძე წერდა: „სალიკვიდაციო გერმანული საწარმოების გადასვლა ყრილობის ხელში, ერთი მხრივ, უპასუხებდა ადგილობრივი მრეწველობისა და საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს, მეორე მხრივ კი, იქნებოდა მდიდრული წყარო მოსახლეობის სხვადასხვა მომწიფებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ადგილობრივ მრეწველთა ორგანიზაციისათვის“[38].

დასახული მიზნით მრეწველთა ყრილობის საბჭომ შეადგინა სპეციალური მოხსენება, რომელიც 1916 წლის 15 ოქტომბერს განიხილა

---

[35] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 112.

[36] იქვე, ფურც. 101.

[37] იქვე.

[38] იქვე.

მრეწველთა რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობამ[39]. საკითხის განხილვის შემდეგ ყრილობამ მიიღო ნ. ნიკოლაძის წინადადება საფუთო გამოსაღების გაზრდის მეშვეობით გერმანული ფირმების საწარმოთა შეძენის შესახებ.[40] მალე აშკარა გახდა ამ გზით გერმანული ფირმების დიდძალი ქონების შეძენის შეუძლებლობა. ამიტომ ყრილობის საბჭომ 1916 წლის ნოემბერში მთავრობას მიმართა ახალი მოხსენებით, რომლის შესავალში ვკითხულობთ: „სახელმწიფოს, ჩამოართმევდა რა საწარმოებს გერმანულ ფირმებს, არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო მიეცა ისინი საჩუქრად კერძო პირების ან საზოგადოებათათვის, რადგან მათი გამდიდრებისათვის როდი იქნა მიღებული ასეთი განსაკუთრებული ზომები. ამ საწარმოების შემოსავალს უნდა განაგებდეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მას გამოიყენებს სახელმწიფოს საჭიროებისთვისვე, და რომელიც ამა თუ იმ ფორმით ადგილობრივ მოსახლეობას დაუბრუნებს მხარიდან გატანილი სიმდიდრის ექვივალენტს“.[41] ასეთი მისიის შესრულება, მოხსენების ავტორთა მტკიცებით, მხოლოდ ყრილობას შეუძლია, რადგან „მარგანეცის მრეწველთა ყრილობა დაარსების დღიდან მიზნად ისახავს სახელდობრ, დააკმაყოფილოს არა მარტო ჭიათურის რაიონის, არამედ მთელი გუბერნიის სამრეწველო და კულტურული საჭიროებანი“.[42]

მოხსენების ავტორები აღნიშნავდნენ, რომ სალიკვიდაციო ფირმების საწარმოთა შესაძენად მოქმედი სხვა ფირმები მხოლოდ ვიწრო ინტერესებით ხელმძღვანელობენ, სპეკულაციური გზით გამდიდრებას ესწრაფვიან და თუ ეს საწარმოები მათ ხელში ჩავარდება სამრეწველო რაიონი განადგურდება. ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ყრილობა ერთადერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა ჭიათურაში, რომელიც მთავრობის კონტროლს ექვემდებარება და მის ამოცანებს ახორციელებს. ამიტომ მთავრობას სთხოვდნენ ყრილობისათვის სესხად მიეცა სალიკვიდაციო ფირმების საწარმოთა შესაძენად აუცილებელი თანხა, რომელსაც ყრილობა დაფარავდა წარმოების „წმინდა მოგებით.“ მოხსენების ავტორთა მტკიცებით, ამ თანხის გადახდა ძლიერ გაადვილდებოდა თუკი მთავრობა ყრილობას დააკისრებდა თავისი ნაწარმით სახელმწიფოებრივი დანიშნულების ქარხნების მომარაგებას[43].

---

[39] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514. л. 101.

[40] იხ. საქ. საჯარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, სად. 3/51.

[41] სსსა, ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 70—71.

[42] იქვე, ფურც. 71.

[43] იქვე, ფურც. 72.

წყაროებიდან ჩანს, რომ თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულოც ცდილობდა ჭიათურაში გერმანული ფირმების კუთვნილების შეძენას. თავდაპირველად ის ვარაუდობდა ამ ქონების 4 მილიონ მანეთად შეძენას, რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკისაოვის უფრო მაღალ ფასში გადასაცემად[44]. ხოლო შემდეგში მის შეძენას სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მომგებიანი სამრეწველო საქმიანობის გაჩაღების იმედებს უკავშირებდა. თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლმა თავადმა კ. აფხაზმა თავის რწმუნებულს დაავალა რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის გამგეობასთან მოლაპარაკება, შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა გამოვა სალიკვიდაციო გერმანული ფირმების („გელზენკირხენისა" და „კავკასიის საბადოთა ამხანაგობის") საწარმოთა შემსყიდველად ჭიათურაში, ორივე სალიკვიდაციო ფირმის საწარმოები ერთად იყიდება; წინასწარმა შემფასებელმა კომისიამ ეს საწარმოები თვითღირებულების მიხედვით შეაფასა დაბალ ფასებში, — არსებული ცნობებით, — 7 მილიონ მანეთად; საიმედო მყიდველს შესაძლებლობა ეძლევა შეიძინოს ეს საწარმოები. ამასთანავე რწმუნებული მოახსენებდა ბანკს, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას, რომელიც მეტად თვალსაჩინო სიმდიდრის მფლობელია, უპირატესობა ენიჭება დასახელებულ საწარმოთა შეძენაში, მაგრამ დაბრკოლებას წარმოადგენს ამჯერად თავისუფალი კაპიტალის უქონლობა. აშავე დროს მხედველობაში იღება რა იმას, რომ სალიკვიდაციო საწარმოთა სარეალიზაციო ფასი სამჯერ ნაკლებია მათ ნამდვილ ღირებულებასთან შედარებით, თბილისის თავადაზნაურობას შესაძლებლად მიაჩნია გამოვიდეს მყიდველად, იმ შემთხვევაში თუკი სახეზე იქნება სოლიდური საბანკო დაწესებულება, რომელიც თანხმობას განაცხადებს დააფინანსოს ეს საქმე შემდეგ საფუძველზე:

1) თავადაზნაურობა იძენს სალიკვიდაციო ფირმების ყოველგვარ უფლებებს; 2) მთელ ფასს ერთდროულად (ან ვადის გაგრძელებით) იხდის ბანკი, რომელიც გაცემული თანხის საგარანტიოდ თავადაზნაურობისაგან იმთავითვე მიიღებს და შეინარჩუნებს საწარმოთა შეძენასთან დაკავშირებულ საბუთებს და უფლებებს (სააქციო საზოგადოების დაარსებამდე). 3) თავადაზნაურობა ვალდებულებას კისრულობს დროულად აღძრას შუამდგომლობა სააქციო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, 4) სააქციო კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს საქმის ნამდვილ ღირებულებას, რაც გაგებული პირების განკ-

[44] ЦГИАЛ. ф. 23, оп. 28. д. 514, л. 193; ნ. ნიკოლაძის არქივი, საქ. 55/49, 55/52.

საზღვრით 20 მილიონ მანეთს შეადგენს. რადგან მხედველობაშია მისაღები ამ საქმის შემდგომი გაფართოება-გაძლიერება: ფერომარგანეცის წარმოების დაფუძნება, ფლოტილიის შექმნა, გაუსაღებლად დარჩენილი მარგანეცის საბადოების შეძენა იმავე რაიონში[45]. ყოველივე ამას კისრულობდა თბილისის თავადაზნაურობა, თუკი ბანკი მხარში ამოუდგებოდა. წინასწარი მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. ამის შემდეგ, 1916 წლის 27 ნოემბერს, შედგა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საგანგებო კრება, რომელმაც მოისმინა წინამძღოლთა და დეპუტატთა მოხსენება „დააბელებული საკრებულოსათვის ამიერკავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში უძრავი ქონების, სამთო-სამრეწველო საწარმოთა, ფაბრიკების, ქარხნების და მათი მოწყობილობის, აგრეთვე სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოების შეძენის რწმუნების მოცემის შესახებ"[46].

კრებამ მოხსენებები მოიწონა და დაადგინა: რწმუნება მიეცეს წარმომადგენელთა და დეპუტატთა კრებას შეუდგეს ზემოაღნიშნულ საქმიანობას[47], ამის შემდეგ, 1916 წლის 22 დეკემბერს, გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა მიმართვა გაუგზავნა რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის გამგეობას. სადაც წერდა: „მივუთითებრა ჩვენს პირად მოლაპარაკებაზე, პატივი მაქვს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის სახელით დავადასტურო, რომ თავადაზნაურობა თანახმაა მონაწილეობა მიიღოს მომავალ შეჯიბრებაში ჭიათურის რაიონში განლაგებულ სალიკვიდაციო გერმანულ საწარმოთა შესასყიდად, იმ შეკითხვევაში, თუ ბანკი ვალდებულებას აიღებს თავადაზნაურობას აღმოუჩინოს ფინანსიური დახმარება".[48]

ბანკის გამგეობამ გერმანული ფირმების საწარმოთა შესასწავლად ჭიათურაში მიავლინა სამთო ინჟინერი ს. გ. იმენიტოვი, რომელმაც ორივე გერმანული საწარმო დაათვალიერა და ვრცელი მოხსენება შეადგინა. მოხსენების შესავალში ავტორი შენიშნავდა: „ჭიათურის მარგანეცის საბადო, სადაც საწარმოები გააჩნია „კავკასიის საბადოთა ამხანაგობას" და „გელზენკირხენის სამთოსამრეწველო საზოგადოებას", ცნობილია არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ ძველსა და ახალ სამყაროში..."[49]. ს. იმენიტოვი მაღალ შეფასებას აძლევდა გერმანული ფირმების საწარმოებს, მათ ტექნიკურ აღჭურვილობას, მძლავრ ელსადგურს. ის დიდად პერსპექტიულ საქმედ თვლიდა ამ

---

[45] ЦГИАЛ, ф. 634. оп. 1, д. 237, л. 3.
[46] იქვე, ფურც. 4.
[47] იქვე.
[48] იქვე, ფურც. 6.
[49] იქვე.

საწარმოთა შეძენას, ამასთანავე დასძენდა: „უკეთესი იქნებოდა ყველა ეს საწარმოები შეგვეერთებინა ტულის თუჯსასხმელი ქარხნების სააქციო საზოგადოებისათვის“[50].

ბანკის გამგეობამ გადაწყვიტა საქმეში ჩაბმა და ხანგრძლივი მიწერ-მოწერა აწარმოა თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლთან — კ. აფხაზთან. დაბოლოს, 1917 წლის 10 თებერვალს ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ კულაკოვმა უდეპეშა კ. აფხაზს, რომ თანახმაა საწარმოთა მთლიანად შეძენისა, ისე, რომ კერძო პირების ხელში არაფერი დარჩენილიყო[51]. თბილისის, ასევე ქუთაისის, სათავადაზნაურო საკრებულოს მეცადინეობამ გერმანული ფირმების კუთვნილების შესაძენად უშედეგოდ ჩაიარა.

* * *

სალიკვიდაციო გერმანული ფირმების საწარმოთა შესაძენად უნერგიულად იბრძოდა „რუსეთის სამთოსამრეწველო საკომისიო საზოგადოება“, რომელიც დაკავშირებული იყო რუსულ-ინგლისურ საფინანსო ჯგუფთან ლონდონში („The jnternational Russian Corporation Limited“) და ეწეოდა სამთოსამრეწველო დაწესებულებათა მოწყობასა და დაფინანსებას[52]. „საზოგადოებამ“ 1916 წლის 2 აპრილს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიმართა განცხადებით, სადაც ის, სხვათაშორის, აღნიშნავდა, რომ მან, 1914 წელს, შექმნა ორი მსხვილი სამთო საწარმო („რიდერის სამთოსამრეწველო სააქციო საზოგადოება“ ალტაიში, 20 მილიონი მანეთის ძირითადი კაპიტალით და „ყირგიზეთის სამთოსამრეწველო სააქციო საზოგადოება“, 10 მილიონი მანეთის კაპიტალით), რომლებიც უკვე მუშაობენ და ემსახურებიან სახელმწიფო თავდაცვის საჭიროებას[53]. „საზოგადოება“ ირწმუნებოდა, რომ მას, ომის ვითარებაში წამოჭრილი მოთხოვნილების შესაბამისად, უახლეს მიზნად აქვს დასახული ფეროშარგანეცის წარმოების მოწყობა რუსეთში, რისთვისაც ის უკვე დაუკავშირდა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოთა მფლობელებს და ზრუნავს ჭიათურის მარგანეცის საბადოთა შესაძენად; ამიტომ შუამდგომლობდა მთავრობის წინაშე, რათა მას ნება დაერთო ან საკუთრების უფლებით, ან კიდევ ხანგრძლივი იჯარით აეღო გერმანული ფირ-

---

[50] ЦГИАЛ, ф. 634, оп. 1, д. 237, л. 11.

[51] იქვე, ფურც. 21.

[52] იქვე, ფურც. 29;

[53] იქვე, ფურც. 30.

მების კუთვნილება ჭიათურაში[54]. როგორც ჩანს, „საზოგადოება“ ინგლისურ კაპიტალთან იყო დაკავშირებული და მისი ინტერესებით ხელმძღვანელობდა.

ჭიათურაში სალიკვიდაციო გერმანული ფირმების საწარმოთა ხელში ჩასაგდებად გულმოდგინეობდა ამერიკული კაპიტალიც. ასე მაგალითად, ე. წ. „რუსულ-ამერიკული პალატა“ 1916 წლის 28 ივნისს გერმანული ფირმების „სალიკვიდაციო სამმართველოს“ თავმჯდომარის პროტასიევის სახელზე გამოგზავნილი დეპეშით იტყობინებოდა: „ჩვენი ამერიკული ორგანიზაციისაგან მიღებული გვაქვს ცნობა რუსეთის მთავრობის მიერ კავკასიაში მარგანეცის ორი საწარმოს გაყიდვის თაობაზე. პალატა მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით დაწვრილებით გვაცნობოთ საწარმოთა გაყიდვის პირობები, საწარმოთა მასშტაბის, ასევე ტექნიკური შეიარაღების მაჩვენებლები და სხვ.“. ამერიკული ორგანიზაცია ამასთანავე აღნიშნავდა: „ყველა ეს მონაცემი უაღრესად საჭირო და აუცილებელია ჩვენი ამერიკული ორგანიზაციისათვის, რომელიც დიდად დაინტერესებულია მარგანეცის ექსპორტით და მარგანეცის საბადოთა შესყიდვით“.[55] ამერიკულ კაპიტალს ამ შემთხვევაში წინ აღუდგა ინგლისური კაპიტალი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 1916 წლის 8 და 9 აგვისტოს „საჩქარო“ მიმართვა გაუგზავნა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, სადაც იტყობინებოდა: დიდი ბრიტანეთის საელჩომ პეტროგრადში აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ორ მსხვილ ინგლისურ ფირმას — უაილდს (მიდლსბორო) და ფერგიუსონს (ლონდონი) სურთ შეიძინონ გერმანული ფირმების კუთვნილი მარგანეცის საბადოები კავკასიაში. «Великобританское посольство,—ვკითხულობთ მიმართვაში,—желало бы знать, может ли быть допущена такая покупка императорским правительством и, в утвердительном случае, могут ли покупающие рудники фирмы рассчитывать на безопасное признание прав собственности на означенное имущество. При этом посольство отмечает, что вышеуказанное желание имеет также целью предупредить возможности попадания этих рудников в Американские руки, что в сущности равнялось бы сохранению над ними немецкого влияния».[56].

რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ 1916 წლის 25 აგვისტოს აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს (დიდი ბრიტა-

---

[54] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 23, д. 524, л. 53; სსსა, ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 30, მეორე გვერდი.

[55] სსსა, ფონ. 13, ანაწ. 12, საქ. 335, ფურც. 45.

[56] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 79. 102.

ნეთის საელჩოსათვის გადასაცემად), რომ ინგლისელთა შუამდგომლობა მეფისნაცვალს გადაეცა განსაკილველად.

ჰიათურაში სალიკვიდაციო გერმანულ საწარმოთა შესაძენად მოქმედებდა არა მხოლოდ ზემოდასახელებული ინგლისური ფირმა და ისიც არა მარტო დიპლომატიური ორგანოების მეშვეობით. საამისოდ გამოყენებულ იქნა რუსეთის მეტალით მომარაგების კომიტეტი ლონდონში („Комитет металоснабжения русского правительственного комитета в Лондоне"). უკანასკნელმა 1916 წელს მრავალგზის მიმართა რუსეთის მთავრობას ჰიათურაში სალიკვიდაციო გერმანული საწარმოების შესაძენად ინგლისური ფირმ[illegible]ების შუამდგომლობით. კომიტეტი საგანგებოდ გულმოდგინეობდა შეფილდელი მექარხნის რობერტ ჰედფილდის დაჭალებით: რუსეთის მთავრობას 3-ჯერ აცნობა, რომ ჰედფილდს სურს ჰიათურაში სალიკვიდაციო საწარმოთა შეძენა და მოითხოვდა, რომ, თუ ეს წინადადება საინტერესოდ იქნებოდა მიჩნეული, იმთავითვე საქმის კურსში ჩაეყენებია დასახელებული ინგლისელი კაპიტალისტები[57].

* * *

ჰიათურაში სალიკვიდაციოდ განკუთვნილ გერმანულ საწარმოთა შეძენის ყველა პრეტენდენტის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ვფიქრობთ, აღნიშნულიც საკმაო დამაჯერებლობით მეტყველებს ამ საქმესთან დაკავშირებით გაშლილ მეტოქეობასა და ბრძოლაზე. ზემოთ ჩამოთვლილი პრეტენდენტები: ადგილობრივი, რუსული და უცხოური სავაჭრო, სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებები, ასევე თავადაზნაურული თუ ბურჟუაზიული წარმომადგენლობითი ორგანიზაციები, ერთპიროვნულად, აგრეთვე ჯგუფურად მოქმედი საქმოსნები თითქმის მთელი ოთხი წლის მანძილზე ეცილებოდნენ ერთმანეთს სალიკვიდაციო ფირმების საწარმოთა შეძენაში. ეს მეტოქეობა მწვავე ფორმებში მიმდინარეობდა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე და მთლიანად მის შემდეგაც არ შეწყვეტილა. სალიკვიდაციო საწარმოთა შეძენის პრეტენდენტთა უთვალავი განცხადება-შუამდგომლობების განხილვა გაჭიანურდა. თავის მხრივ ჰიათურაში გერმანული ფირმების სალიკვიდაციო საქმართველო სრული დატვირთვით მუშაობდა და ცდილობდა საქმის მალე დამთავრებას, მით უმეტეს, რომ ამ ფირმების შესაძენად გაშლილ

---

[57] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 91.

მეტოქეობასთან ერთად, სამხედრო უწყება ჩქარობდა გერმანული საწარმოების გადაცემას კერძო ფირმებზე, რომელთაც ჩვენში ფერომარგანეცის წარმოება უნდა დაეფუძნებიათ[58].

სალიკვიდაციო სამმართველომ ჭიათურაში ორივე გერმანული ფირმის უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა-შეფასება და მისი მიღება საკუთარ განმგებლობაში მხოლოდ 1917 წლის 2 თებერვლისთვის მოახერხა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როგორც ცნობილია, ხელისუფლების სათავეში ჯ თვე დაჰყო დროებითმა მთავრობამ, ომის ეკონომიურმა პოლიტიკამ და ცდამ, — გამოსავალი ეპოვა ქვეყნის სამეურნეო ნგრევისაგან და ეხსნა კაპიტალიზმი, — კრახი განიცადა[59]. დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 10 მარტს განიხილა რუსეთში მოქმედი სააქციო კომპანიების საკითხი; ამ ფირმებზე ზედამხედველობა, ასევე ახალ სააქციო საზოგადოებათა დაშვება ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს დააკისრა[60]. რუსეთის წინააღმდეგ მეომარი ქვეყნების ქვეშევრდომებს კვლავაც აეკრძალათ აქ მოქმედ სააქციო საზოგადოებათა საერთო და ტექნიკურ ხელმძღვანელობაში მონაწილეობა[61]. ჭიათურაში ლიკვიდაციის პროცესში მყოფი გერმანული ფირმების საკითხი დროებითი მთავრობის [illegible] ვალებით განიხილა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ, რომელმაც ამასთან დაკავშირებით 1917 წლის 24 მარტს, 4 და 18 მაისს სპეციალური თათბირები გამართა[62]. 24 მარტის თათბირის გადაწყვეტილებით გერმანული ფირმების სალიკვიდაციო სამმართველო ჭიათურაში დაექვემდებარა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, სადაც შეიქმნა „გერმანული საწარმოების სალიკვიდაციო კომიტეტი". 1917 წლის 26 მარტს გერმანული ფირმების სალიკვიდაციო სამმართველომ (ჭიათურაში) განცხადება გამოაქვეყნა ამ ფირმების კუთვნილების საჯარო გაყიდვის თაობაზე[63]. მაგრამ საქმე შეჩერებულ იქნა და ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში 1917 წლის 4 და 18 მაისს მოწყობილი თათბირების შედეგად გადაწყდა: 1) გერმანული ფირმების ჭიათურის საწარმოთა ხაზინისათვის გადაცემა, [illegible] „სამმართველოს" მიერ დაწესებულ ფასებში; 2) ამ საწარმოთა

---

58 ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514. л. 65.

59 Г. Я. Волобуев, Экономическая политика временного правительства. М., 1962, зз. 469.

60 ЦГИАЛ, ф. 23, оп. 4, д. 21, 1917, л. 1—2.

61 იქვე.

62 ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 191, 323.

63 იქვე, ფურც. 228.

შემდგომი ექსპლოატაციისათვის სააქციო საზოგადოების დაარსება, ხაზინისა და კერძო მეწარმეთა მონაწილეობით[64].

დასახელებული ფირმების ლიკვიდაციის საკითხი 1917 წლის 15 ივნისს განიხილა „ოზაკომმა", მან ცნობად მიიღო ამ ფირმების ხაზინისათვის გადაცემის გადაწყვეტილება და სალიკვიდაციო სამმართველოს გადასვლა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განმგებლობაში.

ამასთანავე, სალიკვიდაციო სამმართველოს წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ დაკავშირებოდა სამთო დეპარტამენტს საწარმოთა ხაზინისათვის გადასაცემად. მაგრამ, შემდეგ, 1917 წლის 22 აგვისტოს, „ოზაკომი" კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხის ხელახლა განხილვას: მოსმენილ იქნა „ოზაკომის" წევრის მ. ი. ჯაფაროვის მოხსენება გერმანული საწარმოების ლიკვიდაციის საქმის მსვლელობაზე. მოხსენებების განხილვამ ცხადყო, რომ „ოზაკომი" უკვე არ ეთანხმება დროებითი მთავრობის და, კერძოდ, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზემოთ დახასიათებულ გადაწყვეტილებას ჭიათურაში სალიკვიდაციო ფირმების თაობაზე. სხდომაზე აღინიშნა, რომ „ოზაკომმა" ჯერ 1917 წლის 8 ივნისს, ხოლო შემდეგ 18 აგვისტოს უდეპეშა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ასევე ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს და სთხოვა მისი მონაწილეობის გარეშე არ მომხდარიყო ჭიათურაში სალიკვიდაციო ფირმების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. პეტროგრადში საკითხი მისი მონაწილეობის გარეშე გადაწყდა, რასაც არ ეთანხმებოდა „ოზაკომი", რომლის (22 აგვისტოს) სხდომის ჟურნალში ვკითხულობთ: «Обсудив изложенное, Особый Закавказский Комитет усмотрел формальные нарушения в принятом новом направлении дела ликвидации и непосредственное подчинение этого дела ведению Министерства проведено без предварительного сношения с Особым Закавказским Комитетом, который при этом лишен тех прав, которые были предоставлены наместнику в этом деле в прежнем положении. В виду этого, — აღნიშნულია ჟურნალში, — и в согласии с интересами местного населения и краевой промышленности, Озаком постановил сохранить ведение ликвидации предприятий за собою, оставив временное заведывание... за особым управлением по ликвидации, реформировав последнее путем привлечения в него представителей местных демократических организаций. Озаком... высказался за принципиальную недопустимость передачи предприятий

---

[64] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 323.

как в казну, так и отдельным предпринимателям, признав, что наиболее целесообразным представляется передача **предприятий будущему земству или соответственной местной общественной организации»**[65].

ამასთანავე, „ოზაკომმა“ წინადადება მისცა სალიკვიდაციო „სამმართველოს“ განსაკუთრებულ მითითებათა მიღებამდე თავი შეეკავებინა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში რაიმე მასალების გაგზავნაზე. ამ დროს თბილისში ჩამოვიდა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ამხანაგი მალიავკინი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ჟიათურაში სალიკვიდაციო საწარმოთა საკითხის გადაწყვეტაში „ოზაკომის“ მონაწილეობის მიუღებლობა რაღაც გაუგებრობის ნაყოფია, რადგან სამინისტროს შეხედულებით „ოზაკომს“ უფლება აქვს თავისი დასკვნა წარადგინოს ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. მინისტრის ამხანაგმა „ოზაკომს“ ამასთანავე განუცხადა, რომ სამინისტრო სალიკვიდაციო საწარმოთა საკითხის თაობაზე მოხსენებას ამზადებს დროებითი მთავრობისათვის წარსადგენად და რომ ამ მოხსენების ტექსტი დასკვნისათვის წინასწარ გადაეცემა „ოზაკომს“. ასეთი პირობის მიცემის შემდეგ მინისტრის ამხანაგმა დროებით დაითანხმა „ოზაკომი“ და მითითება მისცა გერმანული ფირმების სალიკვიდაციო სამმართველოს, რათა მთელი მასალები გაეგზავნათ ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში[66]. მასალები გაიგზავნა მაგრამ დროებითმა მთავრობამ ვერ მოასწრო საქმის გადაწყვეტა: რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

საქართველოში მენშევიკების ხანმოკლე ბატონობისას გერმანულ ფირმებს კვლავ ამინდი დაუდგათ ჟიათურაში: მენშევიკური მთავრობა გერმანული კაპიტალის მოხმობით შეეცადა ჟიათურის მარგანეცის საბადოთა სამრეწველო ათვისებას. მთავრობის მესვეურთა იდეით ჟიათურაში გერმანული კაპიტალის მონაწილეობით მძლავრი სააქციო საზოგადოება უნდა შექმნილიყო. ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა: „შერეული“ სააქციო საზოგადოების პროექტიც შემუშავდა[67], მაგრამ არ განხორციელდა. სამაგიეროდ, I მსოფლიო ომის წლებში ჟიათურაში სალიკვიდაციოდ განკუთვნილი გერმანული საწარმოები იმთავითვე დაუბრუნდათ მეპატრონეებს,

---

[65] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 514, л. 453—454.

[66] იქვე, ფურც. 454.

[67] იხ. სსსა, ფონ. 417, ანაწ. 1, საქ. 50.

რომელთაც აქ თავისი კუთვნილება კვლავ რამდენიმე წლით შეინარჩუნეს[68].

* * *

ასე დამთავრდა ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა, რაც I მსოფლიო ომის წლებში გაჩაღდა, ჭიათურაში სალიკვიდაციო გერმანული საწარმოების ხელში ჩასაგდებად. ყოველივე ამაზე დაკვირვება თვალნათლივ მოწმობს რუსეთისა და უცხოური კაპიტალის მძლავრ მისწრაფებას ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში დასამკვიდრებლად. ის წარმოდგენას იძლევა საკუთრივ მრეწველობის მოცემული დარგით იმ დროს დაინტერესებულ ფირმებზე, ასევე იმ გეგმებსა და პროექტებზე, რომელთა განხორციელებასაც ეს ფირმები ჩემულობდნენ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის გასაფართოებლად და საქართველოში ფერომარგანეცის წარმოების დასაფუძნებლად. მთავარი კი ის არის, რომ ჭიათურაში გერმანელთა კუთვნილი საწარმოების ხელში ჩასაგდებად წარმოებულმა მეტოქეობამ საერთაშორისო მასშტაბს მიაღწია; ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ დაინტერესებული ქვეყნების მთავრობის ორგანოებიც.

მოკლე დასკვნები

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვებას თავისი ობიექტური წანამძღვრები და კანონზომიერება გააჩნდა. საქართველო რუსეთთან შეერთების შემდეგ განვითარების ახალ გზაზე გამოვიდა. XIX ს. 30-იანი წლებიდან მშვიდობიანობის უამყარებამ ხელსაყრელი ვითარება შექმნა საქართველოს საწარმოო ძალთა ზრდისათვის. შედარებით დაწინაურებული რუსეთის გავლენით ერთიანად დაჩქარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების თავისთავად კანონზომიერი პროცესი. რუსეთის ეს პროგრესული ზეგავლენა უფრო თვალსაჩინო 70-იანი წლებიდან გახდა. ბურჟუაზიულმა რეფორმებმა დააჩქარა ჩვენი ქვეყნის სამრეწველო-კაპიტალისტური განვითარება. რეფორმათა მომდევნო ხანაში საქართველო და ამიერკავკასია რკინიგზის საშუალებით მეტროპოლიასაც მჭიდროდ დაუკავშირდა. გაიზარდა რუსეთის კაპიტალიზმის გავლენა საქართველოსა და ამიერკავკასიაზე.

---

[68] სსსა, ფონ. 417, ანაწ. 7, საქ. 91.

XIX საუკუნეში, მეტადრე რეფორმათა მომდევნო პერიოდში, რუსეთში სწრაფად ვითარდებოდა სამრეწველო კაპიტალიზმი, ქვეყანა ჩაბმული იყო საქონლის მსოფლიო ბრუნვაში და რუსეთის ბურჟუაზია საქართველოსაც აბამდა ამ ფერხულში[1]. რუსეთის კაპიტალიზმის განვითარება „სიგანეში" სტიმულს აძლევდა საქართველოს ერთიანი ბაზრის შექმნა-განვითარებას. ერთიანი ბაზრის შექმნას თავიდანვე ხელს უწყობდა აგრეთვე საქართველოს უშუალო კავშირი „მსოფლიო შარაგზასთან" — საზღვაო გზებთან. საქართველოში სამრეწველო წამოწყებებს, ასევე მრეწველობაში კაპიტალის მოქმედების სფეროს თანდათან გაფართოებას, მეტროპოლიის კაპიტალთან ერთად, ბიძგს აძლევდა უცხოური კაპიტალიც. ჩვენში ერთიანი ბაზრის შექმნასა და სამრეწველო წინსვლას აჩქარებდა კაპიტალიზმის მსოფლიო ბაზრის ზემოქმედება, აგრეთვე დაწინაურებული კაპიტალისტური ქვეყნების „მაგალითი და დახმარება". საქართველოში წარმოების ახალი წესის გამარჯვების ხელშემწყობ ფაქტორებს შორის საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა სიუხვეს.

მეორე მხრივ, არსებობდა საქართველოს სამრეწველო განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორები. მათ რიცხვს განეკუთვნებოდა ცარიზმის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკა, რომლის მიზანს შეადგენდა საქართველოს გადაქცევა რუსული სამრეწველო საქონლის გასაღებელ ბაზრად და ნედლეულის ბაზად. ცარიზმი ესწრაფვოდა პოლიტიკურად დაპყრობილი ქვეყნის „ეკონომიურად დაპყრობას". რუსეთის ბურჟუაზია, თავისი შედარებითი სისუსტის გამო, ამ გზაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმატებასთან ერთად მარცხსაც განიცდიდა. ამაზე მიუთითა ვ. ი. ლენინმა 1899 წელს, როცა აღნიშნა, რომ კავკასიის „ეკონომიური დაპყრობა საკუთარი აქამდეც არ დასრულებულა"[2], რომ საქართველოს მრეწველობის ზოგიერთი ნაწარმი „თავის მხრივ იპყრობდა რუსეთის ბაზარს"[3]. საქართველოში კაპიტალიზმის შემდგომ განვითარებას აფერხებდა ბატონყმობის გადმონაშთების სიმრავლე. კაპიტალისტური ურთიერთობა ჩვენში (რუსეთზე უფრო მეტადაც კი) აღმოჩნდა გახვეული „წინაკაპიტალისტური ურთიერთობის განსაკუთრებით ხშირ ქსელში"[4]. ამასთანავე საქართველო შედარებით გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. იგრძნობოდა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

[2] იქვე, გვ. 703,

[3] იქვე, გვ. 704.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 325.

კაპიტალის დაგროვების უკმარობა, ქვეყნის შიგნით მიმოსვლისა და სატრანსპორტო საშუალებათა მოწყობის დაგვიანება, სამრეწველო ტექნიკის შედარებით დაბალი დონე, რაც ასევე აფერხებდა კაპიტალიზმის განვითარებას მრეწველობაში.

საქართველოში ჯერ კიდევ XIX ს. რეფორმამდელ ხანაში შეინიშნება სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ბურჟუაზიული ევოლუცია: იზრდება მისი წამყვანი რაიონების სოფლის მეურნეობის დარგების საქონლიანობა, საფუძველი ეყრება კაპიტალისტური ხასიათის ცალკეულ საწარმოებს მრეწველობაში, იზრდება საშინაო და საგარეო ვაჭრობის მასშტაბი. მზადდება პირობები ბურჟუაზიული ურთიერთობის გასამარჯვებლად.

საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში ძირფესვიანი გარდატეხა რეფორმების ხანიდან დაიწყო და მის მომდევნო პერიოდში განხორციელდა. წარმოების კაპიტალისტურმა წესმა სწრაფად გაიკაფა გზა და საბოლოოდ გაიმარჯვა. რეფორმების მომდევნო ხანაში ძლიერ განვითარდა საქართველოს სამთამადნო მრეწველობა. კერძოდ კი მისი ისეთი პირველხარისხოვანი დარგი, როგორიცაა მარგანეცის მრეწველობა.

* * *

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ 1879—1914 წლებში განვლო ოთხი, ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებული, პერიოდი: პირველ პერიოდში (1879—1894 წწ.) მის განვითარებას, მრეწველობის დაფუძნებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხასიათის სიძნელეებთან ერთად, აფერხებდა ახალ სამრეწველო რაიონში მიმოსვლისა და მადნის გადაზიდვის სრულყოფილ საშუალებათა არარსებობა,—რკინიგზისგან მოწყვეტილობა; მეორე პერიოდში (1895—1900 წწ.) „ორ-ოქლის რკინიგზით“ უზრუნველყოფილმა დარგმა, მარგანეცის მადნის მომხმარებელ—მსოფლიო მეტალურგიასთან ერთად, განიცადა მძლავრი აღმავლობა და ის საიმპერიო და მსოფლიო მნიშვნელობის დარგად იქცა; მესამე პერიოდში (1901—1905 წწ.) მარგანეცის მრეწველობამ, მსოფლიო მეტალურგიასთან ერთად, განიცადა მძიმე კრიზისი და მომდევნო დეპრესია, ხოლო მეოთხე პერიოდში (1906—1914 წწ.) მისი ინდუსტრიული განვითარება (1907, მეტადრე 1908 წლის პერიოდული კრიზისის მიუხედავად) უსწრაფესი ტემპით წარიმართა. პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა, რომელიც მსოფლიო ბაზარს მოწყდა, დაღმავალი გზით წავიდა და 1921 წლისათვის მინიმუმამდე დაეცა.

• • •

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განთიადი ხასიათდებოდა წვრილი (უმთავრესად გლეხური) სარეწავებისა და მანუფაქტურული ხასიათის საწარმოთა თანაარსებობით. XIX ს. 80-იანი წლების მეორე ნახევარში მრეწველობა განვითარების მანუფაქტურულ სტადიაზე გადადის. 90-იან წლებში საფუძველი ეყრება მრეწველობის გარდაქმნას ინდუსტრიულ ყაიდაზე. სამრეწველო გადატრიალება ძირითადად დასრულებულ სახეს პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში იღებს. ჭიათურის მრეწველობა 1894 წლიდან უკვე უზრუნველყოფილია რკინიგზით, სამრეწველო რაიონი თანდათან იფარება ბრემსბერგებისა და საჰაერო-საბაგირო გზების ქსელით, მიწისქვეშა და საბადოს ზედაპირზე გაყვანილი რელსებიანი გზებით, „ესტოკადებით", წყალსაქაჩავებითა და მადნის დასაშვები „ღარებით". ფართოდ ინერგება ჰიდრავლური, ორთქლის, ნავთობის—გაზომოტორული და ელექტროენერგიის ძალის გამოყენება. სამრეწველო რაიონში აშენდა და ამოქმედდა მადნის 30 გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელთა უმრავლესობა იმდროინდელი ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გამოყენებით მოეწყო. მრეწველობაში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ შედარებით მსხვილი, ინდუსტრიულად მოწყობილი საწარმოები. მართალია, მაღაროებში მადნის მონგრევა და ვაგონეტებში ჩატვირთვა ხელით წარმოებდა, მაგრამ მაღაროებიდან საბადოს ზედაპირზე მისი რელსებიანი გზით გამოზიდვა, საბადოებიდან ბრემსბერგით ან საჰაერო-საბაგირო გზით მდ. ყვირილას ხეობაში გამართული გამაუჯვებელი ფაბრიკებისათვის მიწოდება, იქ მადნის მექანიკური გამდიდრება და მისი „საესტოკადო" გზით რკინიგზის სატვირთო ბაქნებამდე გადაზიდვა, რკინიგზის ვაგონებში მადნის მექანიკური ტვირთვის დანერგვა, — ყველაფერი ეს მოწმობს მრეწველობის მოცემული დარგის ინდუსტრიულ ყაიდაზე გარდაქმნას. ამასთანავე წვრილმა და მანუფაქტურულმა საწარმოებმა მთელ რევოლუციამდელ ხანაში შეინარჩუნეს არსებობა, მაგრამ ისინი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ საქმიანობის მასშტაბისა და დასაქმებულ მუშათა რაოდენობის მხრივ. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა მსოფლიო ინდუსტრიის ერთ-ერთ წამყვან დარგს — მსოფლიო მეტალურგიას ემსახურებოდა, მასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ის, გარკვეული გაგებით, შეიძლება შევაფასოთ, როგორც მსოფლიო მეტალურგიის ერთ-ერთი დასაყრდენი და შემადგენელი დარგი.

* * *

ჭიათურაში ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული ბურჟუაზიის მრავალრიცხოვანი ჯგუფი. მის გენეზისზე დაკვირვება მოწმობს, რომ ჩვენში XIX ს. 70-იან წლებში კაპიტალის შინაგანი დაგროვება არასაკმაოა, კერძო კაპიტალისტური თაოსნობა ერთგვარად მოისუსტებს. კაპიტალის შინაგანი დაგროვების პროცესი ახალი ძალით ღრძაედება XIX ს. უკანასკნელ მეხუთედში და გრძელდება XX ს. პირველ მსოფლიოომამდელ ხანამი. ამ ბაზაზე ჩამოყალიბდა სამრეწველო ბურჟუაზია ჭიათურაში. ის ყალიბდებოდა გაბურჟუების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის, შედარებით შეძლებულ ვლეხთა, გლეხური წარმოშობის ეაჭართა, აგრეთვე (იშვიათ შემთხვევებშიც) გამდიდრებულ ხელოსანთა ხარჯზე. შესასწავლ ხანაში, მარგანეცის მრეწველთა საერთო მასაში ქართველი საქმოსნებია დაახლოებით 94—95%, ადგილობრივი სომხები, ბერძნები, ებრაელები — 2—3%, უცხოელები 3%. 1860-იანი წლების დამდეგს ქართველ მეწარმეთა საერთო რიცხვის 50%-ზე მეტი თავადაზნაურთა წრიდანაა, დანარჩენი კი გლეხობიდან. დროის მსვლელობაში ვითარება იცვლება გლეხური წარმოშობის მეწარმეთა სასარგებლოდ. 1900—1914 წლებში ისინი შეადგენენ ქართველ მეწარმეთა საერთო რიცხვის 58—59%.

*

უცხოური კაპიტალი თავიდანვე აქტიური ჩანს ჭიათურაში. მისი მოძალება წარმოებაში უფრო ენერგიულია XIX ს. 90-იანი წლებიდან. უცხოური ფირმებიდან აქ, 1900-იანი წლების დამლევამდე, უფრო მძლავრი არიან ფრანგული. აგრეთვე ინგლისური კაპიტალის წარმომადგენლები, რომელთაც მხარს ვერ უსწორებდნენ გერმანული ფირმები. მომდევნო პერიოდში გერმანული კაპიტალის ექსპანსიის გაძლიერების შედეგად ვითარება ძირფესვიანად იცვლება. უცხოური და ადგილობრივი კაპიტალის მეტოქეობა ჭიათურაში თავიდანვე მწვავე ფორმებში მიმდინარეობდა და ის ზოლად გასდევს მარგანეცის მრეწველობის მთელ რევოლუციამდელ ისტორიას. ადგილობრივმა კაპიტალმა წარმოებაში 1900-იანი წლების დამლევამდე შეინარჩუნა გადამწყვეტი პოზიციები, ხოლო უცხოური კაპიტალი თავიდანვე მტკიცედ დაეუფლა მადნის ადგილობრივ ბაზარს. უცხოური სამრეწველო კაპიტალი ჭიათურაში დამკვიდრების პირველ წლებში ხელს უწყობდა მარგანეცის მრეწველობის წინსვლას, აჩქარებდა მის მატერიალურ-

ტექნიკურ პროგრესს, ხოლო აქ მტკიცედ დაფუძნების შემდეგ საქმეს აბრკოლებდა, მრეწველობის დაქვემდებარებას ლამობდა, სამუშაო ძალის უმოწყალო ექსპლოატაციას აძლიერებდა, საბადოთა სამრეწველო ათვისებას უფრო და უფრო მტაცებლურად ეწეოდა. გერმანულმა ფირმებმა 1909 წლიდან დიდძალი კაპიტალი დააბანდეს ჭიათურაში. მათ ძლიერ შეავიწროვეს არა მარტო ადგილობრივი სამრეწველო კაპიტალის პოზიციები, არამედ ინგლისური და ფრანგული კაპიტალისაც. ორი გერმანული ფირმა — „გელზენკირხენი" და „კავკასიის საბადოთა ამხანაგობა" — აფართოებდა ოპერაციებს და წარმატებით იკაფავდა გზას მარგანეცის მრეწველობაში მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად. მათ ხელთ იგდეს ექსპლოატაციაში შესული, საუკეთესო საბადო — ზეგნების ფართობის თითქმის მესამედი (სოლიდური კაპიტალი ჰქონდათ გამიზნული ახალ საბადოთა შესაძენად). სესხების გაცემით დააკაბალეს ადგილობრივ მეწარმეთა ერთი ნაწილი, გერმანული სააქციო გაერთიანებანი გულდადებით ეწეოდნენ საკუთარ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვას, შეგნებულად აყოვნებდნენ დასაკუთრებულ საბადოთა საძრეწველო ექსპლოატაციას და დაკაბალებულ მეწარმეთაგან შეღავათიან ფასებში მზარდი მასშტაბით შეძენილ მადანს შინ ეზიდებოდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ დასახელებულმა გერმანულმა ფირმებმა 1909 — 1914 წწ. ჭიათურის აუზში საკუთრივ მხოლოდ 15 მილიონი ფუთი მადანი მოიპოვეს, ხოლო აქედან გაზიდეს 90 მილიონი ფუთი[5]. მათ თვალსაჩინო მასშტაბით აწარმოეს მადნის შესყიდვა-გაზიდვა, რითაც სტრატეგიული ნედლეულის კოლოსალური მარაგი შეუქმნეს გერმანიის მეტალურგიას. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გერმანული ფირმების საქმიანობა აღკვეთილ იქნა ჭიათურაში: სალიკვიდაციოდ განკუთვნილი ფირმების საწარმოთა ხელში ჩააგდებად (1914—1917 წწ.) ადგილობრივ, რუსულ და უცხოურ კაპიტალს შორის გაჩაღებული მეტოქეობა მწვავე ფორმებში მიმდინარეობდა. ამ მეტოქეობამ საერთაშორისო მასშტაბს მიაღწია და მასში მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებული ქვეყნების მთავრობებმაც.

უცხოური კაპიტალის მოძალების მოსაგერიებლად ადგილობრივი კაპიტალი თითქმის განუწყვეტლივ ცდილობდა გაერთიანებულად მოქმედებას, ესწრაფვოდა მეწარმეობის ერთპიროვნული ფირმიდან კოლექტიურზე („ამხანაგობანი", სააქციო საზოგადოებანი, სინდიკატი) გადასვლას. ამ მიმართულებით დაბეჯითებით, თუმცა მეტწილად წარუმატებლად, გულმოდგინეობდა მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენ-

---

ЦГИАЛ. ф. 23. оп. 28, д. 514, л. 101.

ლობითი ორგანიზაცია — „ყრილობა“. თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე მიმდინარეობდა წარმოების გამსხვილება და კონცენტრაცია. მოცემულმა პროცესმა ჭიათურაში ვერ მიაღწია იმ საფეხურს, როცა იქმნება მონოპოლია. ადგილობრივმა კაპიტალმა ამ მიმართულებით მხოლოდ ბერლინის „მანგანსინდიკატთან“ შეკავშირებული სინდიკატის დაარსება შეძლო, ისიც მხოლოდ XX ს. დამდეგს, ე. ი. ეპოქაში, „როცა ძველი კაპიტალიზმი შეიცვალა ახლით“. ადგილობრივი სინდიკატური გაერთიანებაც უდღეური აღმოჩნდა. უცხოურმა, კერძოდ, გერმანულმა ფირმებმა ვერ მოასწრეს ჭიათურაში მონოპოლიურად გაბატონება. უმაღლესი ტიპის მონოპოლისტური გაერთიანებანი (ტრესტი, კონცერნი) ჩვენში საზოგადოდ არ აღმოცენებულა.

* * *

რუსული სამრეწველო კაპიტალი ჭიათურაში XIX ს. 80-იანი წლების დამდეგსავე გამოჩნდა. მან აქ, გარკვეული ცდების მიუხედავად, ვერ შეიქმნა საკუთარი პოზიცია. სამაგიეროდ მეტროპოლიის ზოგიერთი საკრედიტო დაწესებულება წარმატებით ჩაება ჭიათურის მარგანეცის ექსპორტთან დაკავშირებულ ოპერაციებში. მოცემულ დარგს ცარიზმი მხოლოდ თავისი ვიწროდ გაგებული ფისკალური ინტერესებისა და მეტროპოლიის მარგანეცის მრეწველობისათვის მფარველობის თვალსაზრისით უდგებოდა. ამან თავისი გამოხატულება პოვა ჭიათურის სახაზინო რკინიგზით მადნის გადაზიდვაზე უმაგალითოდ ბაღალი ტარიფის დაწესებაში. რეპრესიული სატარიფო პოლიტიკის გატარებით ხაზინა სოლიდურ შემოსავალს იღებდა, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას ძლიერ ავიწროებდა, ხოლო მეტროპოლიისას ამით ხელს უმართავდა. მთავრობა XIX ს. 80-იანი წლებიდან განსაკუთრებული გულმოდგინებით ახორციელებდა პროტექციონისტულ პრინციპებს. სახალხო მეურნეობის მძლავრი განვითარების უზრუნველსაყოფად ის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა საკრედიტო პოლიტიკას, მიმართულს უცხოური სამრეწველო ინვესტიციების მოზიდვისაკენ, ასევე საბაჟო პოლიტიკას, რითაც რუსეთის კაპიტალიზმი თავს იცავდა უცხოური სამრეწველო პროდუქციის მხრივ კონკურენციისაგან. „ეროვნული ეკონომიური სისტემის“ შექმნისადმი მისწრაფება (რაც რუსეთის სახალხო მეურნეობის პროგრესული განვითარების საჭიროებით იყო ნაკარნახევი) 80-იანი წლების პოლიტიკური რეაქციის პირობებში, უაღრესად რეაქციული ეკონომიური შოვინიზმის ფორმით გამომჟღავნდა და მან დასრულებული სახე 1891—1900 წწ.

ბიიღო.[6] მოცემულ პერიოდში, ისევე როგორც XX ს. პირველ მეოთ-ხეოთხემამდელ წლებში, მეტროპოლია გაძლიერებულ ინტერესს იჩენს საქართველოსა და კავკასიისადმი, თავისი კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის განუხრელად გატარებით ცდილობს ერთდროულად ორი მიზნის მიღწევას, სახელდობრ, მხარის სრულ ეკონომიურ დაპყრობასა და ასიმილაციას. დასახული მიზნების მისაღწევად გამიზნული კოლონიური პოლიტიკის მეთოდების შემუშავებისას მთავრობის ორგანოებში ხშირად იჩენდა თავს აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა. მთავრობის ცენტრალური ორგანოები მეტროპოლიისათვის ხელსაყრელ საქმედ არ თვლიდნენ საქართველოს მრეწველობის ინდუსტრიული განკითარებისათვის ხელშეწყობას, ამ პროცესს შეგნებულად ამუხრუჭებდნენ. პეტერბურგში სწორედ ასე ეკიდებოდნენ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას, რომლის წინსვლას ფაქტიურად აბრკოლებდნენ, ისიც არა მარტო სატარიფო რეპრესიის მეშვეობით. კავკასიის ადმინისტრაციის მესვეურთა უმრავლესობას კი მიაჩნდა, რომ მხარის სრული ეკონომიური დაპყრობა მის სამრეწველო ძალთა წინსვლისათვის ხელშეწყობით უნდა განხორციელებულიყო. კავკასიის ადმინისტრაცია კოლონიურ მხარეში მეტროპოლიის სამრეწველო კაპიტალის პასიურობის პირობებში, ჭიათურაში უცხოური კაპიტალის დაბანდებას ხალისით ეგებებოდა და ხელს უწყობდა, ამავე დროს მთავრობის ცენტრალური ორგანოების წინაშე თითქმის გამუდმებით შუამდგომლობდა საქართველოს მარგანეცის მრეწველობის განვითარების შემაფერხებელი სატარიფო პოლიტიკის შესარბილებლად. რუსეთის გავლენიანი საქმიანი წრეებისათვის უცხო არ იყო საქართველოსა და კავკასიის სიმდიდრეთა კოლონიური ათვისების მომგებიანობის გაგება. ამ მიმართულებით მათი მოქმედება უფრო გააქტიურდა XIX ს. 90-იანი წლებიდან, როცა რუსი კაპიტალისტები, ერთი მხრივ, საკუთრივ უფრო ენერგიულად, თუმცა მეტწილად წარუმატებლად, ცდილობდნენ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა სამრეწველო ექსპლოატაციას, ხოლო, მეორე მხრივ, მთავრობისაგან მოითხოვდნენ საგანგებო ზრუნვასა და უფრო ეფექტურ მოქმედებას მეტროპოლიის მიერ ამ სიმდიდრეთა კოლონიური ათვისებისათვის. რუსეთის საქმიანი წრეების ასეთი მისწრაფება არა თუ ცხრებოდა, არამედ საგრძნობლად გაძლიერდა იმპერიაში მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის გაღრმავება-გაფართოებასთან დაკავშირებით. ეს გასაგებიცაა, რადგან რუსეთის გავლენიანი საქმიანი წრეები საქართველოსა და კავკასიაში 1905—1907 წლების რევოლუციის განსაკუთრებულ სიმძლავრეს

---

[6] П. Я. Лященко. История народного хозяйсотва СССР, т. 2. გვ. 178—191.

სწორედ რომ მოცემული კოლონიური მხარის სამრეწველო-ეკონომიური განუვითარებლობითა და, მის გამო, აქაური გაღარიბებული მოსახლეობის დაუსაქმებლობით ხსნიდნენ. მეტროპოლია საქართველოსა და კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის აღკვეთას კოლონიის სრული ეკონომიური დაპყრობისა და მოსახლეობის ასიმილაციის მეშვეობით ლამობდა. ამ მიმართულებით გამიზნული პოლიტიკით ცარიზმმა „...მსოფლიო რეკორდი დაამყარა ერთა ჩაგვრაში იმპერიალიზმის საფუძველზე, იმპერიალიზმისა, რომელიც გაცილებით უფრო უხეში, შუასაუკუნეობრივი, ეკონომიურად ჩამორჩენილი და სამხედრობიუროკრატიულია“.[7] მეფის რუსეთმა, რომელიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საკუთრივ, ასე თუ ისე, „მსოფლიო ფინანსიური კაპიტალის ოთხი ბურჯის მოვალე და მეხარკეა“, თავისი შედარებითი ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო, საწადელ მიზანს ვერ მიაღწია: ვერ შეძლო საქართველოს სრული ეკონომიური დაპყრობა და ასიმილაცია. რუსეთის ბურჟუაზია ვერ დაეუფლა საქართველოს მრეწველობას, კერძოდ, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას, რომლის ინდუსტრიულად მოწყობასაც ცარიზმი რიგ შემთხვევებში შეგნებულად აბრკოლებდა, ჭიათურის მარგანეცის მადნის გადაუმუშავებლად ექსპორტის შედარებით წამგებიანობას ანგარიშს არ უწევდა, საქართველოში ფერომარგანეცის წარმოების დაფუძნებით დაინტერესებულ ფირმებს გასაქანს არ აძლევდა. ეს მაშინ, როცა მარგანეცის მადნის მსოფლიოში ცნობილი ექსპორტიორი, რუსეთი, ფეროშენადნობთა იმპორტს განუწყვეტლივ ეწეოდა.

* * *

ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა რიგები ივსებოდა საქართველოს სოფლიდან მოსული ღარიბი გლეხობის, აგრეთვე კავკასიისა და შიდა რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან სამუშაოდ მოსულთა ხარჯზე. მუშახელი მოედინებოდა ირანიდან და თურქეთიდანაც. სამუშაო ძალის კონტინგენტის შევსების ერთ-ერთ წყაროს მუშათა ოჯახების წევრებიც შეადგენდნენ. წარმოებაში თავიდანვე დაინერგა არასრულასაკოვანთა და ქალთა შრომის გამოყენება. თვალსაჩინო იყო მუშახელის დენადობა. კადრის მუშათა ძირითადი კონტინგენტი ივსებოდა სამთო, აგრეთვე მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკებისა და რკინიგზის სადგურებზე მოკალათებულ მტვირთავ მუშათა ხარჯზე, ბოლო სეზონურისა მრეწველობის დამხმარე საწარმოთა მუშებისა და

---

[7] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 459.

მადნის საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტით გადამზიდველთაგან. XX ს. დამდეგამდე მადნის გადამზიდველი მუშახელის რაოდენობა სამთო მუშათა რიცხვს უტოლდებოდა, მომდევნო პერიოდში კი ვითარება იცვლება: პირველი „კატეგორიის“ მუშათა რიცხვი თანდათან მცირდება, ხოლო მეორისა იზრდება. ასევე თანდათან ივსება გამამდიდრებელი ფაბრიკების მუშათა რიგები. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მუშათა საერთო მასაში ეროვნებით ქართველებია დაახლოებით 80%, რუსები — 6%, დანარჩენს კი შეადგენენ სომხები, ბერძნები, ოსები, ლეკები, თათრები და სხვ. (სამრეწველო რაიონში 1900-იან წლებში 15 ეროვნების მუშებია აღრიცხული). მუშათა საერთო რიცხვი არასრული ცნობით 1900 წელს 8000 აღემატება, ხოლო 1913 წელს 12 000 აღწევს. პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში სამრეწველო რაიონის მუშათა რიცხვი ძლიერ შემცირდა. ამასთანავე მუშათა საერთო მასაში გაიზარდა ქალთა და არასრულასაკოვანთა აბსოლუტური და შეფარდებითი რაოდენობა. სამთო მუშათა ასაკობრივი შემადგენლობა, სადაზღვევო ბარათების ჩვენებით, ასეთია: 20-დან 35-მდე წლისა 69%, 36-დან 50-მდე წლის — 20%, ხოლო დანარჩენს კი სხვა ასაკისანი შეადგენდნენ.

1903 წლის დემოგრაფიული აღწერის ცნობით ჭიათურაში მუშათა საერთო რიცხვის 17% წერა-კითხვის მცოდნეა, ხოლი სადაზღვევო ბარათების მონაცემებით 1914 წელს ასეთია 29%.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებისათვის მუშათა საერთო რიცხვის დაახლოებით 80% თავს იყრის მსხვილ, აგრეთვე საშუალო სიდიდის საწარმოებში, ხოლო დანარჩენი მოდის წვრილ (უმთავრესად გლეხურ) და მანუფაქტურული ტიპის საწარმოებზე.

სამთო მუშათა შრომის პირობების გაუარესებას პირველ რიგში აპირობებდა მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრების თანდათანი შეჭრა საბადოთა სიღრმეში. შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის საქმე ჯეროვნად არ გაუმჯობესებულა. საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა უბედური შემთხვევების, ასევე მათ შედეგად დაღუპულ თუ დასახიჩრებულ მუშათა რიცხვი. მუშათა დაზღვევის მოგვარება მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო და ის შემდეგშიც მნიშვნელოვანწილად მოუწესრიგებელი დარჩა. სამუშაო დროის ხანგრძლიობა წლის სხვადასხვა დროს, 12—14 საათს აღწევდა, ხშირი იყო კვირაობით, ასევე ღამით მუშაობის შემთხვევებიც. სამუშაო დროის გახანგრძლივებას ხელს უწყობდა მუშათა დაქირავების სანარდო სისტემის ბატონობა.

მუშათა (მათ შორის კადრის მუშების) კავშირი სოფელთან (თუ შვიათ შემთხვევებს მხედველობაში არ მივიღებთ) არ წყდებოდა, ინ-

ტენსიური სოფლის მეურნეობის ქვეყნის პირობებში ეს კავშირი მხოლოდ სუსტდებოდა. ამას აპირობებდა აგრეთვე ტერიტორიული სივრცის მხრივ შედარებით მცირე ქვეყნის სოფლისა და სამრეწველო ცენტრის სიახლოვე. ჭიათურაში, ისევე როგორც ეს ხდება საზოგადოდ, „მიწათმოქმედებისა და მრეწველობის შეერთება მუშის კაპიტალისტური ექსპლოატაციის უძლიერეს საშუალებად იქცა". მუშის შრომის ნაყოფიერების ზრდის მიუხედავად, მისი ნომინალური და რეალური ხელფასის დონე (მუშათა მძლავრი რევოლუციური ბრძოლის წლების გამოკლებით) თანდათან ეცემოდა. ამას, მეწარმეთა მიერ მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებასთან ერთად, ბიძგს აძლევდა მუშახელის სიჭარბე მასზე მოთხოვნილებასთან შედარებით, ასევე უმუშევრობის ზრდა, რაც განსაკუთრებით ფართო მასშტაბს იღებდა წარმოების პერიოდული კრიზისების შედეგად. მუშათა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების ერთგვარი გაუმჯობესება მხოლოდ მსხვილ საწარმოებში შეინიშნებოდა, ისიც მარტო XIX ს. მიწურულიდან. სამრეწველო რაიონის მომარაგება პირველი მოთხოვნილების საგნებით ჯეროვნად არ მოწესრიგებულა. დიდ სივრცეზე გადაჭიმული რაიონის ზოგიერთ უბანში სასურსათო მაღაზიები და მუშათა სასადილოები არ მოწყობილა. სამრეწველო მოსახლეობის განუხრელი ზრდის პირობებში სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა, პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასები მატულობდა. მუშათა სამედიცინო მომსახურებაც არ პასუხობდა მოთხოვნილებას. ყოველივე ამაში ვლინდებოდა სამრეწველო რაიონის მუშათა შეფარდებითი და აბსოლუტური გაღატაკების პროცესის გაღრმავება. ასეთ მდგომარეობას მუშები მიჰყავდა საკუთარი ისტორიული მისიის გაგებამდე, ის განაწყობდა მათ ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მუშათა სპორადული ეკონომიური ხასიათის სტიქიური გამოსვლები ჭიათურაში XIX საუკუნის დამლევს წამოიწყო. მუშათა ეკონომიური ხასიათის გამოსვლები XX საუკუნის დამდეგს პოლიტიკურ ბრძოლაში გადაიზარდა. პირველ პოლიტიკურ გამოსვლას ჭიათურაში ადგილი ჰქონდა 1902 წელს: მძლავრი გაფიცვა 4 დღეს გაგრძელდა, მასში 1300 მუშა მონაწილეობდა. სამრეწველო რაიონის მუშათა ბრძოლამ შემდეგში უფრო შეგნებული და ორგანიზებული რევოლუციური ბრძოლის ხასიათი მიიღო. 1903 წლის ივლისის გაფიცვამ ჭიათურაში 12 დღე გასტანა, მასში 3 000-მდე მუშა მონაწილეობდა. ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა რევოლუციური თვითშეგნებისა და აქტივობის ამაღლებაზე, ბუნებრივია, დიდი გავლენა მოახ-

დინა რუსეთის გმირული მუშათა კლასისა და ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრების მუშათა რევოლუციური ბრძოლის აღმავლობამ. მუშათა მოძრაობამ ჭიათურაში ლენინური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წინ მიაღწია ფართო გაქანებას. ამ დროისათვის ჭიათურის სამრეწველო რაიონში კადრის მუშათა მრავალათასიანი რაზმი ჩამოყალიბდა და აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. მთელი ქვეყნის მუშათა კლასთან ერთად, ჭიათურელ მუშათა პოლიტიკურმა ბრძოლამ ახალ, უფრო მაღალ საფეხურს 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში მიაღწია. ამ ეტაპზე ბრძოლაში აქტიურად ჩაება სამრეწველო რაიონის ყველა „კატეგორიის" მუშა. მუშათა ბრძოლამ, სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით, დიდი გავლენა იქონია შორაპნის მაზრაში გლეხთა მოძრაობის გაძლიერებაზე. რევოლუციამ დიდი საბრძოლო გამოცდილება შესძინა მუშებს, ხელი შეუწყო მათი რევოლუციური თვითშეგნების შემდგომ ამაღლებას, გაზარდა მათი საბრძოლო სოლიდარობა. რევოლუცია თვალსაჩინო ნიშანსვეტი გახდა სამრეწველო რაიონის მუშათა კლასის რიგების საბრძოლო დარაზმვაში. 1905 წლის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა ბათუმიდან ჭიათურაში გადაინაცვლა. ამის საუკეთესო დემონსტრაციას წარმოადგენდა ჭიათურელ მუშათა 1913 წლის ივნის-ივლისის 56-დღიანი გაფიცვა, რომელმაც მძლავრი გამოძახილი პოვა ბათუმში, ტყიბულში, ფოთში. გავლენა მოახდინა ამიერკავკასიასა და შიდა რუსეთში საგაფიცვო მოძრაობის განვითარებაზე. ეს გაფიცვა იყო ამიერკავკასიის მუშათა კლასის ერთ-ერთი უდიდესი და მძლავრი გამოსვლა ახალი, საერთო სარუსეთო რევოლუციური აღმავლობის პერიოდში.

* * *

1879 წლიდან 1914 წლის ივლისამდე ჭიათურაში მოპოვებულ იქნა მარგანეცის მადნის მსოფლიო მოპოვების 36,13%, ზის წილად მოდიოდა მარგანეცის მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 43%. აღებულ პერიოდში, არასრული ცნობით, ჭიათურიდან გაიზიდა 698 581 000 ფუთი.

აქედან უცხოეთში გატანილ იქნა 656 666 000 ფუთი (ანუ 94%), ხოლო რუსეთში — 41 915 000 ფუთი (ანუ 6%).

1879—1914 წლებში ჭიათურაში მოპოვებული და აქედან გაზი-

დული მარგანეცის მადნის ღირებულებამ, ჩვენი მიახლოებითი გაანგარიშებით, შეადგინა:

ცხრილი 1

მადნის ღირებულების შემადგენელი მუხლები	უცხოეთში გაზიდული 656 666 ათასი ფუთი მარგანეცის მადნისა		რუსეთში გაზიდული 41 915 ფუთი მარგანეცის მადნისა		უცხოეთსა და რუსეთში გაზიდულისა (ათას მანეთობით)
	ფუთი ფასად	სულ ათას მანეთობით	ფუთი ფასად	სულ ათას მანეთობით	
საბადოს რენტა	1	6 566,6	1	419,2	6 985,9
მადნის ამოღების (მოპოვების) ღირებულება	2	13 133,3	2	838,3	13 971,6
საბადოებიდან ჭიათურამდე მადნის გადაზიდვის ღირებულება	3	19 700	3	1 257,5	20 957,5
მადნის თვითღირებულება ჭიათურაში	6	39 400	6	2 516	41 916
მადნის სარეალიზაციო ფასი ჭიათურაში	8	52 533,3	8	3 353,3	55 886,6
მეწარმეობა მოგება	2	13 133,3	2	838,3	13 971,6
ჭიათურიდან ადგილობრივ ნავსადგურებამდე მადნის გადაზიდვის ღირებულება და ზედნადები ხარჯები	11	72 233,3	11	4 610,6	76 843,9
მადნის თვითღირებულება ადგილობრივ ნავსადგურებში	19	124 766,5	19	7 963,9	132 730,4
მადნის სარეალიზაციო ფასი ადგილობრივ ნავსადგურებში	23	151 033,1	23	9 640,5	160 673,6
ჭიათურიდან ადგილობრივ ნავსადგურებამდე მადნის გადამზიდველ კაპიტალისტთა მოგება	4	26 266,6	4	1 676,6	27 943,3
ევროპის და რუსეთის ნავსადგურებში მადნის გადაზიდვის ღირებულება (ფრახტი და ზედნადები ხარჯები)	12	78 799,9	2	838,3	79 638,2
მადნის თვითღირებულება ევროპისა და რუსეთის ნავსადგურებში	35	229 833	25	10 478,8	240 311,8
ექსპორტიორ (და რუსეთში მადნის გამსაღებელ) კაპიტალისტთა საერო მოგება	7	45 966,6	1	419,2	46 385,8
მარგანეცის მადნის სარეალიზაციო ფასი	42	275 799,6	26	10 898	286 697,6

როგორც ვხედავთ, ჭიათურის მარგანეცის რეალიზაციიდან კოლოსალური თანხა იქნა მიღებული; საშუალოდ, წლიურად მიღებული თანხის ოდენობამ (34 წლის მანძილზე) 8 432 255 მანეთი შეადგინა. სინამდვილეში ეს ოდენობა წლიდან წლამდე თანდათანი, ზოგჯერ ნახტომისებური ზრდითაც ხასიათდება. ასე მაგალითად, 1900 წელს საქართველოს ნავსადგურებში გასაღებული 40 მილიონი ფუთის სარეალიზაციო ფასმა (ფუთი 23 კაპ.) შეადგინა 9 200 000 მანეთი, უცხოეთში (ფუთი 42 კაპ.) კი 16 800 000 მანეთი, ხოლო 1913 წელს შესაბამისად 16 100 000 და 29 400 000 მანეთი. სამრეწველო რაიონის მუშებმა შედარებით უმნიშვნელო ოდენობის თანხა მიიღეს, ხოლო მრეწველმა და ექსპორტიორმა კაპიტალისტებმა კოლოსალური ოდენობის ზედმეტი ღირებულება (მოგება და სავაჭრო მოგება) მიითვისეს. დიდძალი თანხები მიიღო აგრეთვე რკინიგზის მფლობელმა ხაზინამ და უცხოურმა, აგრეთვე რუსულმა სანაოსნო კომპანიებმა, რომლებიც მადნის გაზიდვას ეწეოდნენ.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ არ შეამსუბუქა სამრეწველო აუზის მკვიდრი გლეხური მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა. სარწმუნო წყაროს მოწმობით „Промысли не повлиали ни на выкуп земель, ни на приобретение земельной собственности, что касается до полеводства, то посевы отчасти, скорее сократились, нежели увеличились“[8].

მრეწველობამ ადგილობრივი მოსახლეობა დააზარალა: „ისედაც უნაყოფო ადგილებს ქვემოდან ნიადაგი გამოეცალა, გვირაბ-მაღაროების გაყვანით ადგილები, სამოსახლოები, თვითონ სახლები და შენობები დააქცია, სასმელი წყლები დააშრო, ტყე, ბალახი და ვენახები გაახმო და მოსპო“. სამრეწველო აუზის საბადო-ზეგნები „მტრისაგან აოხრებულს და ნანგრევ არე-მარეს დაემსგავსა“[9].

* * *

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში, ისევე როგორც საერთოდ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, თვისობრივად ახალი ეპოქა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიწყო. ამ დროიდან ხდება მრეწველობის დასახელებული დარგის გეგმაზომიერი განვითარება მოწინავე ტექნიკის სულ უფრო და უფრო მზარდი მასშტაბით დანერგვის ბაზაზე. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის

---

[8] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2. д. 4914, л. 521.

[9] გაზ. „აზრი“, 1908, 15 ნოემბერი, № 15.

წლებში ის გადაიქცა საქართველოს ინდუსტრიული მრეწველობის ერთ-ერთ მოწინავე, საკავშირო მნიშვნელობის დარგად.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა წარმატებით ამარაგებს საბჭოთა კავშირის მძლავრ მრეწველობას მეტალურგიული ნედლეულით. ამასთანავე ჩვენი რესპუბლიკისათვის დამახასიათებელ საექსპორტო საქონელს უკვე ფეროშენადნობები წარმოადგენს. საქართველოს ექსპორტში ტრადიციულად დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია მარგანეცის მადანს. ამ მეტალურგიულ ნედლეულზე საგარეო ბაზრის დიდი მოთხოვნა გაპირობებულია მისი საუკეთესო ხარისხით[10].

ფეროშენადნობთა და მარგანეცის მადნის მყიდველები არიან მოძმე სოციალისტური სახელმწიფოები, აგრეთვე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან ფეროშენადნობები გადის 25 ქვეყანაში.

ლენინის ორდენოსანი ჭიათურა საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი მძლავრი ინდუსტრიული ცენტრია.

მარგანეცის მრეწველობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, განსაკუთრებით კი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემაა საგანგებო კვლევისათვის.

---

[10] იხ. სსრკ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის (საქ სსრ მინისტრთა საბჭოში) რ. ელიგულაშვილის საუბარი საკდესის კორესპონდენტთან („ახალგაზრდა კომუნისტი", 1968, 18 იანვარი, № 8).

ГОРНОРУДНАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ И ПРОМЫШЛЕННЫЙ ПРОЛЕТАРИАТ В ДОРЕВОЛЮЦИОННОЙ ГРУЗИИ

резюме

Среди отраслей капиталистической промышленности пореформенной Грузии особенно бурно развилась горнорудная, в первую очередь возникшая в 1879 году чиатурская марганцевая промышленность. В 1879—1914 годах она удовлетворяла растущий спрос мировой металлургии на высококачественную марганцевую руду. За этот период ее доля в мировой добыче марганца составила 36,13% и 43% его мирового экспорта. Удельный вес данной отрасли в капиталистической промышленности Грузии неуклонно возрастал: с начала XX века она заняла первое место среди всех отраслей промышленности по размерам производства и по числу вовлеченного в нее национального пролетариата.

В предлагаемой монографии, основанной на анализе разнообразных, преимущественно до сих пор не известных архивных и иных источников, а также и специальной литературы, исследуется развитие марганцевой промышленности и формирование промышленного пролетариата в Чиатура; освещены все аспекты данного процесса: социальный, экономический, политический, технический. Изучен генезис промышленной буржуазии, прослеживается соперничество местного, русского и иностранного капитала в Чиатура, выделены различные формы промышленности, определены стадии и этапы ее развития. Охарактеризована «деятельность» представительного органа промышленной и торговой буржуазии, колониальная тарифная политика царизма, а также развернувшаяся в 1914—1917 годах между местным, русским, английским, американским и шведским капиталом (при содействии правительств соответствующих стран) борьба за захват предприятий ликвидируемых в Чиатура немецких фирм.

Марганцевая промышленность Грузии за 1879—1921 годы прошла следующие, качественно отличные друг от друга этапы: первый —начало промышленного освоения Чиатура (1879—1894 гг.), когда ее развитие тормозилось недостаточностью внутреннего накопления капитала, слабостью капиталистического предпринимательства местной буржуазии, отсутствием удобных путей сообщения для вывоза руды и т. п. На втором этапе (1895—1900 гг.) с проведением Чиатурской железной дороги и в результате увеличения спроса на марганец со стороны бурно развивающейся мировой металлургии марганцевая промышленность пережила стремительный подъем и приобрела мировое значение. Третий этап (1901-1905 гг.) — это период кризиса и последующей депресии. Четвертый этап (1906—1914 гг., за исключением 1907—1908 годов) отмечен ускоренным индустриальным развитием, а пятый (1914—1921 гг.), совпав с мировой войной и кратковременным господством меньшевиков в Грузии, характеризуется утратой мировых рынков и катастрофическим упадком чиатурской марганцевой промышленности.

Данная отрасль в своем развитии прошла три стадии: мелкотоварную, мануфактурную и фабричную (машинную).

На заре развития марганцевой промышленности, наряду с многочисленными мелкими (преимущественно крестьянскими) промыслами, возникли мануфактурные предприятия. Во второй половине 80-х гг. XIX века промышленность перешла на мануфактурную стадию. В 90-х годах закладывается основа для перевооружения производства на индустриальный лад. В последующий период промышленный переворот углубляется и завершается. Чиатурская промышленность с самого начала стала ареной соперничества местного, русского и иностранного (французского, английского, немецкого и др.) капитала. Грузинская промышленная буржуазия до 900 х годов занимала решающие позиции в промышленности, а местным рынком марганца и экспортом руды с самого начала завладел иностранный (в основном французский и английский) капитал. В последующий период положение коренным образом меняется. Немецкий капитал все более и более широко проникает в промышленность, овладевает и экспортом руды, вытесняя другие иностранные, а также местные торгово-промышленные фирмы, успешно прокладывая себе путь к монополизации промышленности. Однако этому помешало начало первой мировой войны. Русский капитал в Чиа-

тура активизировался в 1941—1917 годах. Местные промышленники, испытывая недостаток оборотного капитала в борьбе против засилия иностранного капитала, интенсивно (хотя и безуспешно) пытались объединить свои усилия путем перехода от единоличных форм предпринимательства к коллективным (товарищества, акционерные общества, синдикат) формам. На базе свободной конкуренции происходит процесс концентрации производства. Но он не повлек за собой создания монополии. Царское правительство, покровительствуя южно-русской (никопольской) марганцевой промышленности и преследуя узкие фискальные интересы казны, в отношении чиатурской марганцевой промышленности неуклонно проводило жесткую колониальную (протекционистскую) тарифную политику и тем самым искусственно тормозило развитие чиатурской марганцевой промышленности.

В монографии исследуется формирование кадров постоянных рабочих в промышленном районе Чиатура; выяснены источники пополнения их рядов; дана социальная характеристика состава рабочих, описано их положение. В Чиатура сформировался многотысячный и многонациональный отряд пролетариата Грузии; основным источником его пополнения являлось пришедшее из грузинского села разорившееся крестьянство. Его ряды пополнялись также пришлыми из разных областей Кавказа, внутренних губерний России, из Турции и Ирана рабочими.

Возникшие в конце XIX века в Чиатурском промышленном районе спорадические выступления рабочих, носившие экономический характер, с 1902 года переросли в политическую борьбу. С июля 1905 г. центр революционного движения в Западной Грузии перемещается из Батуми в Чиатура. Рабочие чиатурского промышленного района сыграли видную роль в освободительной борьбе пролетариата Грузии.

* * *

Качественно новый этап в развитии чиатурской марганцевой промышленности начинается после победы социалистической революции в Грузии. Ее планомерное развитие осуществилось на базе все более широкого внедрения передовой техники. Марганцевая промышленность превратилась в одну из ведущих отраслей грузинской индустрии, имеющую всесоюзное значение

Удостоенная Ордена Ленина, чиатурская марганцевая промышленность снабжает могучую советскую промышленность металлургическим сырьем; вместе с тем, ферросплавы и марганцевую руду поставляет 25 странам мира.

G, Margiani

THE MINING INDUSTRY AND THE INDUSTRIAL PROLETARIAT IN PRE-REVOLUTIONARY GEORGIA

Summary

Among the branches of capitalist industry in the postreform Georgia, it was the mining industry that showed particularly rapid development — primarily, the Chiatura manganese industry which emerged in 1879. During the 1879-1914 period it met the growing demand of the world metallurgy in high-quality manganese ore. During that period its share in the world output of manganese amounted to 36.13% and 43% of its world export. The specific share of this branch in Georgia's capitalist industry grew steadily: at the turn of the 20th century it held the first place among all the other industries as to the scale of production and the numbers of the national proletariat involved.

In the present monograph, based on an analysis of various archival and other hitherto largely unknown sources, as well as of the special literature, the development of the manganese industry and the formation of the industrial proletariat in Chiatura has been studied by the present writer; all the aspects of the process in question are elucidated: social, economic, political and technical. The emergence of the industrial bourgeoisie is studied; the rivalry between local, Russian and foreign capital in Chiatura is retraced; various forms of the industry have been identified, and the stages and periods of industrial development ascertained. The "activities" of the representative organ of the industrial and commercial bourgeoisie and the colonial tariff policy of tsarism are passed under review, as well as the scramble of local, Russian, British, American, and Swedish capital for control of the enterprises of German firms which were being liquidated in Chiatura.

During the 1879 - 1921 period the Georgian manganese industry went through the following, qualitatively distinct, periods. The first— the initial industrial exploitation at Chiatura (1879-1894), when its development was hampered by the lack of internal accumulation of capital, by the weakness of the capitalist investments of the local bourgeoisie, by the absence of convenient transportation for the export of ore and so forth. In the second period (1895-1900), with the construction of the Chiatura railway and with the growing demand for manganese from the rapidly developing world metallurgy, the manganese industry witnessed a boom, gaining world importance. The third period (1901-1905) was a period of crisis and subsequent depression. the fourth period (1906-1914, with the exception of 1907-1908), was marked by an accelerated industrial development, the fifth period (1914-1921) — coinciding with World War I and the short-lived rule of the Mensheviks in Georgia — is characterised by the loss of world markets and a catastrophic decline of the Chiatura manganese industry.

The industry went through three stages of developmet: small-scale commodity production, manufactural and factory (machine).

On the eve of the development of the manganese industry, alongside with numerous petty (predominantly peasant) handicrafs manufactural enterprises came into being. In the late 80s of the 19th century the industry changed to the manufactural stage. In the 90s the foundation was laid for the industrialization of the ore mining. In the subsequent period the industrial revolution developed further and was consummated. From the very beginning, the Chiatura industry became an arena of rivalry between the local, Russian and foreign (French, British, German, etc.) capital. At the turn of the century the Georgian industrial bourgeoisie held the key positions in the industry, whereas the local manganese market and the export of the ore came under the control of foreign (mainly French and British) capital. In the ensuing period the situation changed radically. German capital increasingly penetrated into the industry and took over the ore export by ousting other foreign, as well as local, commercial and industrial firms, thus successfully paving the way for the monopolization of the industry. However, this was prevented by the outbreak of World War I. The Russian capital in Chiatura became active in 1914-1917. The local industrialists, experiencing a shortage of circulating capital, in their fight

against the dominance of foreign capital, made intensive, but unsuccessful, attempts to combine their efforts by means of changing from private enterprises to collective (association, joint-stock company, syndicate) forms. On the basis of free competition concentration of production occurred. But this did not result in the creation of monopolies. The tsarist government — by patronizing the South-Russian (Nikopol) manganese industry and furthering the narrow, fiscal interests of the exchequer—steadily pursued a tough colonial (protectionist) tariff policy in relation to the Chiatura manganese industry, thereby artificially impeding the development of the Chiatura manganese industry.

The formation of regular worker cadres in the industrial region of Chiatura is investigated; the sources of filling in its ranks is also studied; the social characterization of the composition of the workers is given and their condition is described. A numerous, multinational body of Georgian proletariat was formed in Chiatura. The main source from which it drew its recrouts were the ruined Georgian peasants from the countryside. Its ranks were also filled by workers from various regions of the Caucasus, the inner provinces of Russia and from Turkey and Iran.

The sporadic risings of workers in the Chiatura industrial region at the turn of the 19th century—first of economic character—grew, beginning with 1902, into a political struggle. From July, 1905, the centre of revolutionary movement in western Georgia shifted from Batumi to Chiatura. The workers of the Chiatura industrial region played a significant part in the liberation struggle of the Georgian proletariat.

* * *

A qualitatively new stage in the development of the Chiatura manganese industry began after the victory of the socialist revolution in Georgia. Its planned development was carried out on the basis of an extensive introduction of advanced technology. The manganese industry turned into one of the leading branches of Georgian industry of all-Union significance.

The Chiatura manganese industry — decorated with the Order of Lenin — supplies the mighty Soviet industry with metallurgic raw material, providing at the same time 25 foreign countries with ferro-alloy and manganese ore.

შემოკლებანი

ЦГИАЛ — Центральный государственный исторический архив в Ленинграде
ЦГИАМ — Центральный государственный исторический архив в Маскве
ЦГВИА — Центральный государственный военно-исторический архив
ХФЦГИАУ — Харьковский филиал центрального государственного исторического архива Украины

სსსა — საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი
მლისშა — სკკპ ცკ არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი
ქსსა — ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი
ქიემა — ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

შესავალი 7

თავი I. ჭიათურის მარგანეცის საბადოს აღმოჩენა და მისი სამრეწველო ექსპლოატაციის პირველი ეტაპი (1846 — 1876 — 1879 — 1894 წწ.)

§ 1. საბადოს აღმოჩენა-გამოკვლევა (1846 — 1876 წწ.) 34

§ 2. ჭიათურის საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის პირველი ეტაპი (1879—1894 წწ.) 38

ა. პირველი მრეწველები. საბადოთა იჯარით გაცემა. ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობის შედეგები 38

ბ. სამრეწველო ბურჟუაზია. მრეწველთა შემადგენლობა და კატეგორიები 63

გ. ქართველ მრეწველთა გაერთიანების პირველი ცდები 80

დ. მუშები და მათი მდგომარეობა 84

ე. მრეწველობის განვითარება და ხასიათი 113

§ 3. ურკინიგზობა 127

თავი II. სამრეწველო აღმავლობა ჭიათურაში (1895 — 1900 წწ.)

§ 1. უცხოური კაპიტალის შემოჭრისა და ადგილობრივ მრეწველთა გაერთიანებების ჩამოყალიბების ახალი ცდები 136

§ 2. მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია. პირველი ნაბიჯები მეწარმეთა გაერთიანების — „სინდიკატის" — ჩამოსაყალიბებლად 141

§ 3. სამრეწველო ბურჟუაზიის რიგების ახალი შევსება. მრეწველთა კატეგორიები და მათ თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებანი 145

§ 4. მუშათა რიგების შევსება და მდგომარეობა 155

§ 5. მრეწველობის განვითარება და ხასიათი 166

თავი III. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა 1901 — 1903 წლების კრიზისისა და 1904 — 1905 წლების დეპრესიის პერიოდში 175

§ 1. მადნის მოპოვების მკვეთრი შემცირება 177

§ 2. სამრეწველო ბურჟუაზიის რიგების შემცირება. მრეწველთა კატეგორიები და მათ თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებანი 180

§ 3. ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა. უცხოური საქციო საზოგადოებანი, ადგილობრივ მრეწველთა ამხანაგობანი და „სინდიკატის" ტიპის გაერთიანება 186

§ 4. მუშათა მდგომარეობა და ბრძოლა სამრეწველო კრიზისისა და 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში 206

§ 5. წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ახალი ცდები და მის ხასიათში მომხდარი ძვრები 233

თავი IV. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა 1906 — 1914 წლებში

§ 1. მარგანეცის მადნის მოპოვება 241
§ 2. სამრეწველო ბურჟუაზიის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები 245
§ 3. ადგილობრივი სამრეწველო ბურჟუაზიის გაერთიანების ცდები . 253
§ 4 მეტროპოლიის შოვინისტურ-კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის დახასიათებისათვის 257
§ 5. გერმანული კაპიტალის შემოჭრა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში 260
ა. პირველი ნაბიჯები ჭიათურაში დასამკვიდრებლად 260
ბ. „გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების" საქმიანობა ჭიათურაში . . 267
გ. „კავკასიის საბადოთა ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობით" 298
§ 6. მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნა — სამრეწველო გადატრიალების გაღრმავება . . 310
§ 7. მუშათა რიგების შემდგომი შევსება-ჩამოყალიბება. მუშათა მდგომარეობა და მოძრაობა რევოლუციური აღმავლობის პერიოდში . 323

თავი V. მარგანეცის მადნის გაზიდვა-ექსპორტი. მისი მომხმარებლები

§ 1. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ხვედრითი წონა მადნის მსოფლიო მოპოვებაში 349
§ 2. ჭიათურის მარგანეცის მადნის ექსპორტიორები 352
§ 3. მარგანეცის მადნის გაზიდვა-ექსპორტი და მისი მომხმარებლები 359

დამატება

თავი VI. ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა და ცარიზმის კოლონიური სატარიფო პოლიტიკა

§ 1. ბრძოლა ჭიათურის რკინიგზის გასაყვანად. გზის მშენებლობა და მწყობრში ჩადგომა (1882 — 1891 — 1894 წწ.) 375
§ 2. ცარიზმის კოლონიური და პროტექციონისტული სატარიფო პოლიტიკა (1894 — 1914 წწ.) 384

თავი VII. მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის (ყრილობის) დაარსება და მისი საქმიანობა

§ 1. ყრილობის დაარსება და მის წევრთა დაჯგუფებები 401
§ 2. ყრილობის საქმიანობის ხასიათი და მნიშვნელობა . . 409
ა. მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა და ეროვნული ბურჟუაზიისათვის მხარდაჭერა 409
ბ. მუნიციპალური საქმიანობა 415
გ. მრეწველთა ყრილობა და მუშათა საკითხი . 416
დ. ღონისძიებანი სახალხო განათლების გასავრცელებლად 424
ე. საქველმოქმედო საქმიანობა 427
ვ. ყრილობაზე მუშათა წარმომადგენლების დაშვების საკითხი 427
ზ. სამრეწველო სტატისტიკის ორგანიზაცია 430
თ. ყრილობის საქმიანობის ხასიათი . 431

თ ა ვ ი VIII. ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა ჭიათურაში პირველი მსოფლიო ომის პერიოდში სალიკვიდაციო გერმანული ფირმების უძრავ-მოძრავი ქონების ხელში ჩასაგდებად 439
მოკლე დასკვნები 458
რეზიუმე რუსულ ენაზე 473
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 476
შემოკლებანი 477

რედაქტორი ჯ. ლომაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ნ. გონაშვილი
მხატვარი დ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი ნ. ოსკანოვი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი პ. ღელეყვა

გადაეცა წარმოებას 4/VI-68 წ., ხელმოწერილია
დასაბეჭდად 2. IX. 68 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/16.
ნაბეჭდი თაბახი 30.25, სააღრ.,-საგამომც. თაბახი 28,43,
უე 01457 ტირაჟი 1 000 შეკვ. № 594.

ფასი 2 მან. 28 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1, თბილისი,
ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Госкомитета Совета Министров Груз. ССР по печати. Тбилиси, Орджоникидзе № 50.